სმაუგი იწვა, ფრთები უზარმაზარი ღამურასავით შეეკეცა და ცოტათი გვერდზე მობრუნებულიყო. ჰობიტი ხედავდა მის ღია ფერის მუცელს, რომელიც ფასმიუწვდომ სარეცელზე დიდხანს წოლისაგან პატიოსანი თვლებითა და ოქროს ფილებით მოოქვოდა. მის უკან უახლოეს კედლებზე ბუნდოვნად ილანდებოდა ზედ დაკიდული ჯაჭვის პერანგები, მუზარადები და საომარი ნაჯახები, ხმლები და შუბები. იქვე მწკრივად ელაგა რაღაც იდუმალი საგანძურით სავსე დიდი ქოთნები და ჭურჭელი...

ISBN 99928-0-302-0

ჯ.რ.რ.ტოლკიენი ჰობიტი

ჯ.რ.რ.ტოლკიენი

ჰობიტი

ანუ იქით და აქეთ

John Ronald Reuel Tolkien
The Hobbit or There and Back Again

© George Allen & Unwin (Publishers) Ltd. 1937,1951, 1966, 1978
Georgian by Nino Bardzimishvili
Georgian Lyrics by Tinatin Gogochashvili
Georgian Translation ©Otar Karalashvili Publishers, Tbilisi, 2001

ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენი
ჰობიტი ანუ იქით და აქეთ
ავტორის ილუსტრაციებით

ინგლისურიდან თარგმნა ნინო ბარძიმიშვილმა
ლექსები თარგმნა თინათინ გოგოჩაშვილმა
ქართული თარგმანი ©ოთარ ყარალაშვილი 2001

ISBN 99928-0-302-0

პირველი გამოცემა 2002
ყველა უფლება დაცულია

გამომცემელი ოთარ ყარალაშვილი
ჭავჭავაძის 74, ოფისი 701, 380052 თბილისი
ტელ./ფაქსი 25 31 96, ელ-ფოსტა okaralashvili@yahoo.com

ჯ.რ.რ.ტოლკიენი

ჰობიტი ანუ იქით და აქეთ

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.ChiaturaINFO.GE

ოთარ ყარალაშვილი

სარჩევი

1 მოულოდნელი სტუმრობა 7
2 ცხვრის მწვადები 31
3 ხანმოკლე შესვენება 46
4 მთას გადაღმა და მთის ქვეშ 54
5 გამოცანები ბნელში 66
6 ვაის გაყრილნი და ვუის შეყრილნი 86
7 საოცარი საცხოვრისი 104
8 ბუზები და ობობები 127
9 კასრები საკნებიდან 152
10 გულთბილი დახვედრა 168
11 ზღურბლზე 179
12 ამბავი შიგნიდან 188
13 შინ არ არის 207
14 ცეცხლი და წყალი 218
15 საავდრო ღრუბლები 227
16 ღამის ქურდი 236
17 მეხთატეხა 242
18 დაბრუნება 253
19 ბოლო ამბავი 261

1 მოულოდნელი სტუმრობა

მინის ქვეშ, სოროში, ჰობიტი ცხოვრობდა. განა ნესტიან და საძაგელ სოროში, სადაც შლამის სუნი დგას, ჭერ-კედლიდან კი ჭიაყელების კუდებია გამოჩრილი, არც მშრალ, გამოხრუკულ ქვიშიან ხვრელში, სადაც ვერც სკამებს ნახავ, ვერც სანოვაგეს. არა – ჰობიტთა ბინები კეთილადაა ნაგები.

სოროს შემოსასვლელს ფარავდა უზადოდ მრგვალი მწვანედ შეღებილი კარი, შუაგულში დატანებული თითბერის პრიალა ბალთა-სახელურით დამშვენებული. კარს შეყავდით გვირაბის მსგავს გრძელ დერეფანში, ოღონდ ამ გვირაბში კვამლისა და ჭვარტლის ხსენებაც კი არ იყო. კედლები ხით მოპირკეთებინათ, ფილაქანმოგებულ იატაკს კი ლამაზი ხალიჩები ფარავდა. რბილი სკამების და კედელზე მიმაგრებული ნაირ-ნაირი საკიდრების სიმრავლე მოწმობდა, რომ ჩვენი ჰობიტი სტუმრიანობის დიდი მოყვარული გახლდათ.

მიხვეულ-მოხვეული დერეფანი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, ღრმავდებოდა ბორცვის წიაღში, თუმც მის გულისგულს მაინც არ უწევდა. კედლებში, ორივე მხარეს დატანებული იყო მრავალი მომცრო მრგვალი კარი – რადგანაც ჰობიტს კიბეებზე აღმა-დაღმა სიარული გულზე არ ეხატებოდა, საძინებელი და სააბაზანო ოთახები, სარდაფები და საკუჭნაოები (ბევრი, ბევრი საკუჭნაო), გარდერობები (რამოდენიმე ოთახი სავსე იყო მხოლოდ ტანსაცმლით), სამზარეულოები და სასადილო ოთახები – ყველა მიყოლებით თავსდებოდა ერთ სართულზე, ერთ ტალანში. საუკეთესო ოთახები ხელმარცხნივ განელაგებინათ, რადგანაც ამ მხრიდან ბინას ფანჯრები ჰქონდა, დაბალი მრგვალი ფანჯრები, რომლებიც გადასცქეროდა მშვენიერ ბაღს და მოშორებით მდინარისკენ გაშლილ ველებს.

გარშემო მრავალი მილის მანძილზე ხალხი ამ მაღლობს გორას უწოდებდა. ხოლო მის ქვეშ გათხრილი მშვენიერი სოროს მფლობელი გახლდათ ერთი ფრიად დარბაისელი ჰობიტი, გვარად ბეგინსი. ბეგინსებს უხსოვარი დროიდან აქ, გორას სიახლოვეს ედოთ ბინა და მეზობლები მათ მუდამ პატივსაცემ ოჯახობად იცნობდნენ. მიზეზი ამისა გახლდათ არა მარტო მათი გვარიანი სიმდიდრე, არამედ ისიც, რომ არც ერთი ამ ღირსეულ ჰობიტთაგან არ გახვეულა მცირე რამ საეჭვო თავგადასავალშიც კი და, გარდა ამისა, ყველას წინდაწინვე დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე

რა აზრის იქნებოდა ესა თუ ის ბეგინსი. ხოლო ამბავი ესე არის ამბავი ერთი გამორჩეული ბეგინსისა, რომელსაც უცნაური თავგადასავლები გადახდა და რომლის ქცევაც და აზრებიც ჰობიტთათვის სრულიად მოულოდნელი შეიქნა. ამის გამო მან იქნებ კიდევაც დაკარგა მეზობელთა ოდინდელი პატივისცემა, მაგრამ შეიძინა... თუმც, ამას მერე შევიტყობთ, თუ შეიძინა რამე საბოლოოდ.

დედა ჩვენი ჰობიტისა... თუმცა, რა არის ჰობიტი? ჩვენს დროში, როცა ჰობიტები ცოტანილა დარჩნენ და ყოველნაირად ერიდებიან „დიდ ხალხს" – ჩვენ, ადამიანებს, ისინი ამგვარად მოგვიხსენიებენ – ალბათ, იშვიათად, რომ ვინმეს სმენოდეს მათ შესახებ.

ჰობიტები ტანმორჩილი ხალხია, ადამიანთა სიმაღლის ნახევარი თუ იქნებიან და ტანად წვეროსან ჯნომებს ჩამოუვარდებიან. მაგისა და ჯადოსნობის ბევრი არაფერი გაეგებათ, ოღონდ ის კია, რომ სწრაფად და უხმოდ შეუძლიათ გაუჩინარება, როდესაც ჩვენნაირი ზორბა და ბრიყვი ადამიანები მოყიალობენ ბზაზე სპილოებივით – ამგვარი ნაბიჯების ხმა ჰობიტებს ერთი მილის იქიდანაც ესმით. წვერი არ ამოსდით, სამაგიეროდ იოლად იზრდიან ლიპებს. აცვიათ ფერადი სამოსი, მეტწილად ყვითელი და მწვანე ფერის, ფეხსაცმელს არ იცვამენ, რადგანაც ფეხისგულები ბუნებრივი სქელი ლანჩით აქვთ დაფარული და ტერფებზე ისეთივე ხშირი და თბილი, წაბლისფერი თმა ეზრდებათ, როგორიც თავზე (ოღონდაც ქოჩორი ხუჭუჭდება). ჰობიტებს აქვთ გრძელი, მარდი მუქი თითები, სანდომიანი სახე და მჟღერი ხმით იცინიან (რა თქმა უნდა, სადილის შემდეგ მეტი ხალისით, სადილობენ კი დღეში ორჯერ, თუ ხელი არაფერმა შეუშალათ).

ახლა კი შეგვიძლია გავაგრძელოთ:

როგორც მოგახსენებდით, ბილბო ბეგინსად წოდებული ჩვენი ჰობიტის დედა იყო სახელგანთქმული ბელადონა ტუკი, ჰობიტთა მთავრის, მოხუცი ტუკის სამ შესანიშნავ ასულთაგანი. ისინი წყალგაღმა სახლობდნენ, გორას ძირში მორაკრაკე ციცქნა მდინარის გადაღმა. ხშირად გაიგებდით, სხვა გვარის ჰობიტები როგორ ყვებოდნენ, მრავალი წლის წინათ ტუკის ერთ წინაპარს ფერია მოუყვანია ცოლადო. ცხადია, მონაჩმახია, მაგრამ ტუკებს მართლაც სჭირდათ რაღაც, არც მთლად ჰობიტური, რაკიღა ზოგჯერ ვინმე მათი საგვარეულოდან ფათერაკების საძიებლად გასწევდა ხოლმე; მორცხვად, შეუმჩნევლად გაუჩინარდებოდა, ოჯახიც საქმეს მიაჩუმათებდა, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო: ტუკები ბეგინსებს ტოლს ვერ უდებდნენ სიდარბაისლით, თუმც ქონებით უეჭველად სჭარბობდნენ.

არა, ბელადონა ტუკს მას შემდეგ, რაც მისის ბანგო ბეგინსი შეიქნა, ფათერაკები როდი უძებნია! ბანგომ, ბილბო ბეგინსის მამამ, ნაწილობრივ ცოლისეული სახსრებითაც, მეუღლეს ისეთი ჰობიტის სორო აუშენა, რომ

მსგავსს ვერც გორას ქვეშ, ვერც გორას იქით და ვერც წყალგაღმა ვერ ნახავდი. ამ ბინაშივე მათ მშვიდად გალიეს სიცოცხლის დღენი. მაგრამ, როგორც ჩანს, ბილბო ბეგინსს, ბელადონა ტუკის მხოლოდშობილ ძეს, მიხრა-მოხრა თუ სოლიდური იერი მთლად პატივცემული მამისა რომ გამოჰყოლოდა, დედის მხრიდან ტუკისეული უცნაურობაც შეეძინა, რაც ხელსაყრელ შემთხვევასლა ელოდა, ყველას დასანახად რომ გამომზეურებულიყო. ასეთი შემთხვევა არსად ჩანდა და ბილბო ბეგინსი ისე დავაჟკაცდა და ორმოცდაათიოდე წლისაც შეიქნა, რომ საეჭვო არაფერი ჩაუდენია. იგი მშვიდად ცხოვრობდა მამის დანატოვარ მშვენიერ სოროში და მის ამგვარ ყოფას თითქოსდა არაფერი ემუქრებოდა.

მაგრამ ერთ დილას, ძველ დროში, სამყაროს სიწყნარის ჟამს, როდესაც ქვეყნად ხმაური ნაკლები იყო, სიმწვანე კი მეტი, როდესაც ჰობიტები მრავლობდნენ და ცხოვრება ულხინდათ, ბილბოს კი ის იყო ესაუზმა, კარში გამოსულიყო და აბოლებდა უზომოდ გრძელ ხის ჩიბუხს, რომლის ბოლო ფაქიზად დავარცხნილ ფეხის თითებამდე უწევდა, რალაც უცნაური შემთხვევის წყალობით გზად გენდალფმა ჩაიარა. გენდალფი! თქვენ რომ გსმენოდათ მასზე თუნდაც მეოთხედი იმისა, რაც მე მსმენია, მე კი მსმენია სულ მცირედი ნილი იმისა, რაც მას ჩაუდენია – ყველაზე საოცარი ამბავიც კი ალარ გაგაოცებდათ. სადაც კი გაივლიდა, ყველგან თითქოს ციდან ცვიოდა ყოვლად დაუჯერებელი თავგადასავლები და ფათერაკები. გენდალფს მრავალი წელი იყო, გორას ძირას ბზაზე ალარ ჩაევლო, სწორედ იმ დროიდან, რაც მისი მეგობარი მოხუცი ტუკი გარდაიცვალა და ჰობიტებს კიდევაც დავიწყებოდათ, როგორი იყო იგი – ისინი პატარა ჰობიტი გოგონები და ბიჭუნები იყვნენ მაშინ, როდესაც გენდალფი უკანასკნელად გაემართა წყალგაღმა გორას იქით თავისი უჩვეულო საქმეების მოსაგვარებლად.

ხოლო ბილბომ, გუმანი რომ არაფრისა ჰქონდა, მხოლოდ ერთი კვერთხიანი მოხუცი დაინახა. მოხუცს ნონოლა წამახული ლურჯი ქუდი ეხურა, გრძელი რუხი ლაბადა მოესხა და ვერცხლისფერ შარფს ზემოდან გადმოშვებული თეთრი წვერი წელს ქვემოთ სცემდა, ფეხზე ვეება შავი ხამლი ემოსა.

– დილა მშვიდობისა, – მიესალმა ბილბო და მისი სალამი გულნრფელი იყო. ირგვლივ მზე ნათობდა, საამოდ ხასხასებდა მოლი. მაგრამ გენდალფმა გრძელი, დაფანჩული წარბების ქვემოდან გამოხედა და მისმა თვალებმა ქუდის ჩრდილში გაიკვესეს.

– ვითომ რას გულისხმობ ამით? – ჩაეკითხა იგი ბილბოს, – მშვიდობის დილას მისურვებ, თუ მეუბნები, კარგი დილააო, მსურს თუ არა მსურს – მაინც? იქნებ იმას, რომ თავს მშვენივრად გრძნობ ამ დილით? ან იქნებ გგონია, რომ ეს დილა სიმშვიდეს გვიქადის?

– სწორედაც რომ, ყველაფერს ერთად, – კვერი დაუკრა ბილბომ, – და, გარდა ამისა, ჩინებული დილაა სუფთა ჰაერზე თამბაქოს გასაბოლებლად, განა არა? თუკი ჩიბუხი თანა გაქვს, ჩამოჯექი და თუთუნზე დამეწვიე! არსად გვეჩქარება, დღე მხოლოდ იწყება, – ბილბო კართან გამართულ სკამზე ჩამოჯდა, ფეხები გადააჯვარედინა და ცისკენ გაუშვა ნაცრისფერი კვამლის ლამაზი რგოლი, რომელიც დაუშლელად აცურდა მაღლა და გორას იქით გაფარფატდა.

– მშვენიერია, – თქვა გენდალფმა, – ოღონდ ამ დილით კვამლის რგოლების გასაშვებად არა მცალია. მე ვეძებ ვინმეს, ჩემს მოწყობილ თავგადასავალში მონაწილეობას რომ მიიღებდა და ძალიან გამიჭირდა ასეთის პოვნა.

– აბა, როგორ – ჩვენს მხარეში? ჩვენ უბრალო, წყნარი ხალხი ვართ, თავგადასავლები სულ არ გვჭირდება. რა გასაკვირია – საძაგელი, შემაწუხებელი, უხერხული რამაა ეს თავგადასავლები! სადილზეც კი დაგაგვიანებს! ნეტავ, ვინ რა ხეირს ხედავს მათში? – ასე განაცხადა ჩვენმა მისტერ ბეგინსმა, ცალი ცერი აჭიმს გამოსდო და კიდევ უფრო დიდი რგოლი ააბოლა ჰაერში. შემდეგ ამოიღო დილის ფოსტა და შეუდგა კითხვას, ვითომც მოხუცს ველარ ვამჩნევო. ბილბოს გადაეწყვიტა, ეს მოხუცი მთლად ჩემი გუნების ვერ არისო და უნდოდა, რომ იგი წასულიყო. მაგრამ მოხუცებულს ფეხიც არ მოუცვლია, იგი იდგა კვერთხს დაყრდნობილი, არაფერს ამბობდა და დაჟინებით უცქერდა ჰობიტს, სანამ ბილბომ უხერხულად არ იგრძნო თავი და ცოტათი კიდევაც არ გაბრაზდა.

– დილა მშვიდობისა, – თქვა ბოლოს კიდევ ერთხელ, – გმადლობთ, მაგრამ აქ თავგადასავლები არ გვჭირდება. გორას იქეთ ან წყალგაღმა სცადე, – ეს ნიშნავდა, რომ ბილბომ საუბარი დაასრულა.

– თურმე შენი „დილა მშვიდობისა" რამდენ რაღაცას ნიშნავს! – თქვა გენდალფმა, – ახლა გულისხმობ, რომ გინდა, თავიდან მომიშორო და სანამ არ წავალ, დილა საამო ვერ იქნება, არა?

– არა, არა, სრულებითაც არა, ბატონო ჩემო... უკაცრავად, მგონი თქვენი სახელი ჯერ არ მსმენია?

– დიახ, დიახ, ასეა, ბატონო ჩემო – და მე კი ვიცი შენი სახელი, მისტერ ბილბო ბეგინს, და შენც გსმენია ჩემი, ოღონდაც არ უნყი, რომ სწორედ ჩემია ეს სახელი. მე გენდალფი ვარ, და გენდალფი – ეს მე ვარ! ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ბელადონა ტუკის ვაჟი ასე დილამშვიდობებით გამისტუმრებდა შინიდან, თითქოს კარდაკარ გასაყიდ ღილებს დავატარებდე!

– გენდალფი, გენდალფი! ო, ღმერთო ჩემო! მოხეტიალე ჯადოქარი, მოხუც ტუკს წყვილი ჯადოსნური ალმასის საკინძი რომ აჩუქა! ისინი თავისით იბნეოდნენ და, სანამ არ უბრძანებდი, არ იხსნებოდნენ! შენ არ იყავი, საღამოს წვეულებებზე გასაოცარ ამბებს რომ გვიამბობდი დრაკონებსა და გობლინებ-

ზე, გოლიათებზე და პრინცესათა მხსნელებზე, ქვრივთა ვაჟთათვის მოვლენილ იღბალზე? და ეს შენ ანთებდი ბრწყინვალე, საოცარ ფეიერვერკებს! ო, მე მახსოვს ეს ფეიერვერკები – მოხუცი ტუკი ზაფხულის ნაბუნიობაზე აწყობდა ხოლმე... ო, რა იყო! მახსოვს, როგორ იზრდებოდნენ ცისკენ ვეებერთელა ცეცხლის ყვავილები, ალის შროშანები და დევისპირები, ოქროს წვიმები, და მთელი საღამო ელავდნენ ბინდში!

ხომ შეამჩნიეთ, რომ მისტერ ბეგინსი სულაც არ იყო ისე პროზაული, როგორადაც თავი მოქონდა, თანაც, ძალიან უყვარდა ყვავილები.

– ღმერთო ჩემო, – ვერ ცხრებოდა ბილბო, – გენდალფი! რომლის გამოისობითაც ამდენი ჭაბუკი და ასული ქვეყნის დასალიერს გაემართა გიჟური თავგადასავლების საძებრად! ყველანაირი თავგადასავლების – ხეზე აცოცებით დაწყებული და ელფებთან სტუმრობით დამთავრებული. ზოგს დიდი ხომალდებით უცხო ნაპირებისკენაც გაუწევია! ღმერთო მოწყალეო! ცხოვრება მაშინ რა საინტერ... მე მინდოდა მეთქვა, ოდესლაც დიდად გიყვარდა აქაურობის არევ-დარევა. ბოდიში მომითხოვია, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ საქმიანობაზე დღემდე არ აგიღია ხელი!

– სხვა რა გზაა, – მიუგო ჯადოქარმა, – მაინც ძალიან მეამა, რომ რაღაცრაღაცეები გახსოვს ჩემზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ფეიერვერკებს კეთილად იგონებ, მაშასადამე, არც ისე უიმედოდაა საქმე. ჯანი გავარდეს – შენი მოხუცი ბაბუა ტუკის და საწყალი ბელადონას ხათრით ჩემგან მიიღებ, რაც მოგითხოვია.

– მომიტევეთ, მაგრამ მე არაფერი მითხოვია!

– როგორ არა! უკვე ორჯერ. მიტევება მთხოვე და მე თანახმა ვარ. კაცმა რომ თქვას, იმდენსაც ვიზამ, რომ სათავგადასავლოდ შენ გაგგზავნი. მე გავერთობი, შენთვის კი მარგებელი იქნება და სარფიანიც, თუკი ოდესმე მოახერხებ მის დაბოლოებას.

– უკაცრავად, მაგრამ სულ არ მჭირდება თავგადასავლები. დილა მშვიდობისა. დიდი მადლობა. არა, ჯერჯერობით არა. მშვიდობის დღეს გისურვებთ! მაგრამ როცა გენებოთ, ჩაიზე მეწვიეთ. თუნდაც ხვალ. ხვალ მობრძანდით, – ამის თქმა იყო და ჰობიტი მიტრიალდა, დაუყოვნებლივ შეაფარა თავი საკუთარ სახლს და იმდენად სწრაფად შეიკეტა მრგვალი მწვანე კარი, რამდენსაც აბედინებდა ფიქრი, ყოველივე ეს უხეშობაში არ ჩამომერთვასო – ჯადოქრები, რაც არ უნდა იყოს, ჯადოქრები არიან.

– მაინც რა მრჯიდა, ჩაიზე რომ მოვინვიე! – უთხრა ბილბომ თავისთავს, საკუჭნაოსკენ რომ მიდიოდა. მას ის იყო, ესაუზმა, მაგრამ გადაეწყვიტა, ერთი-ორი ნამცხვარი და რამე პირის გასასველებელი ამისთანა ელდის შემდეგ უთუოდ მომიხდებაო.

გენდალფი კი ამასობაში არსადაც არ წასულიყო – ის კართან იდგა და დიდხანს წყნარად იცინოდა. სიცილს რომ მორჩა, მივიდა და ჰობიტის ლამაზ სადარბაზო კარზე კვერთხის წვეტით უცნაური ნიშანი ამოკაწრა, შემდეგ კი ფართო ნაბიჯებით გასწია გზაზე. ამასობაში ბილბო უკვე მეორე ნამცხვარს ულებდა ბოლოს და ფიქრობდა, იოლად დავუძვერი თავგადასავლებსო.

მეორე დღეს მას თითქმის აღარც ახსოვდა გენდალფი. საერთოდ, ცუდად იმახსოვრებდა ხოლმე ამგვარ რამეებს, თუკი ტაბელში არ ჩაინერდა, ვთქვათ, ასე: „გენდალფი; ოთხშაბათს ჩაიზე". ნინადღით კი ძალიან აფორიაქდა და ამისათვის არა სცხელოდა.

სწორედ ჩაის დრომ მოატანა, სადარბაზო კართან ზარმა რომ დარისხა და ბილბოს ყველაფერი გაახსენდა! ჰობიტი გავარდა, ქეთლი მოიტანა და მაგიდაზე დადგა, სტუმრისათვის ლამბაქი და ფინჯანი გამოიღო, ერთი-ორი საუკეთესო ნამცხვარიც შემატა სუფრას და კარის გასაღებად გაიქცა.

ბილბოს, ის იყო, უნდა ეთქვა, დაყოვნებისათვის ბოდიში მომითხოვიაო, რომ უცებ დაინახა: მოსული გენდალფი არ იყო! კარში გნომი იდგა, ლურჯი წვერი ოქროს სარტყელში ჩაეკეცა და ანთებული თვალებით შემოსცქეროდა ჰობიტს მუქი მწვანე ჩაჩის ქვემოდან. როგორც კი კარი გაიღო, ისე შემოაბიჯა სახლში, თითქოს წვეულიაო. მან პირველსავე კაჭზე ჩამოკიდა ჩაჩიანი მოსასხამი, მდაბლად მოიდრიკა და წარმოსთქვა:

– დვალინი, პატივი მაქვს, გემსახუროთ!

– ბილბო ბეგინსი, თქვენ მსახურად მიგულეთ! – მიუგო ჰობიტმა და გაოცებისგან ველარაფერი ჰკითხა. როდესაც ჩამონოლილი სიჩუმე უხერხული შეიქნა, მან დაამატა:

– სწორედ ახლა ჩაის დალევას ვაპირებდი. უმორჩილესად გთხოვთ, დამეწვიოთ.

მიპატიჟება, იქნებ, ცოტა ნაძალადევი გამოვიდა, მაგრამ გულწრფელი კი იყო. აბა, თქვენ თავად რა დღეში ჩავარდებოდით, დაუპატიჟებლად გნომი რომ მოგდგომოდათ კარს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაეკიდა თავისი ნივთები თქვენს მისაღებში?

სტუმარ-მასპინძელს სუფრასთან დიდხანს ჯდომა არ დასცალდა – ის იყო, მესამე ნამცხვარს მიადგნენ, რომ წინანდელზე უფრო ხმამაღალი რეკვა გაისმა.

– მაპატიეთ, – თქვა ჰობიტმა და კარის გასაღებად გაემართა.

– ოჰ, როგორც იქნა, შენც მოხვედი, – ამგვარად უნდა შეგებებოდა გენდალფს ბილბო, მაგრამ არც ეს მომსვლელი აღმოჩნდა გენდალფი. მის მაგივრად ზღურბლზე კიდევ ერთი გნომი იდგა, თეთრწვერა და თვალად ძლიერ ხანმოძეული, ალისფერჩაჩიანი მოსასხამი ეცვა. ისიც კარის გაღებისთანავე შესცუბდა სოროში, თითქოს წვეულიაო.

– როგორც ვხედავ, უკვე მოსვლა დაუწყიათ, – თქვა მან, დვალინის მწვანე მოსასხამს რომ ჰკიდა თვალი, თავისი წითელი ჩაჩი გვერდით მიაკიდა და მკერდზე ხელმიდებულმა წარსთქვა:

– ბალინი, პატივი მაქვს, გემსახუროთ!

– გმადლობთ, – მიუგო ბილბომ. რასაკვირველია, ზრდილობიან კაცს ასე არ უნდა ეპასუხა, მაგრამ ბალინის სიტყვებმა „მოსვლა უკვე დაუწყიათო", იგი ზედმეტად ააფორიაქა. ბილბოს უყვარდა სტუმრები, მაგრამ უნდოდა, წინასწარ სცოდნოდა, ვინ ეწვეოდა, გარდა ამისა, ერჩივნა, თვითონ დაეპატიჟებინა თავისი სტუმრები. თან საშინელი აზრი აეკვიატა: ვაითუ ნამცხვრები შემომაკლდესო. მაშინ იგი, როგორც მასპინძელი – მან კარგად იცოდა მასპინძლის ვალი და მტკიცედ გადაეწყვიტა, არ ელალატა მისთვის, რა ტანჯვადაც არ უნდა დასჯდომოდა – მაშინ იგი უნამცხვროდაც იოლას უნდა გასულიყო.

ბილბომ ღრმად ამოიოხრა და მოახერხა, ეთქვა:

– შემობრძანდით და ჩაიზე დამეწვიეთ!

– ჩაის მაგივრად ცოტაოდენ ლუდს გეახლებოდით, თუ შეიძლება, – თქვა თეთრწვერა ბალინმა, – ნამცხვარს კი არ ვიუარებდი, დარიჩინიან ნამცხვარს, თუკი მოგეძევებათ, კეთილო სერ...

გაოცებულ ბილბოს ჩაესმა საკუთარი პასუხი: „რამდენიც გენებოთო", შემდეგ გრძნობდა, როგორ მიქროდა სარდაფისკენ მოზრდილ კათხაში ლუდის ჩამოსასხმელად, იქიდან საკუჭნაოში, ორი თვალწარმტაცი დარიჩინიანი ნაზუქი რომ წამოელო. ეს ნაზუქები ბილბომ დილით გამოაცხო და ნავახშმევის სიმყუდროვეში მისართმევად ჰქონდა გადანახული.

უკან რომ დაბრუნდა, ბალინი და დვალინი სუფრას უსხდნენ და ძველი მეგობრებივით გულითადად საუბრობდნენ (უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი ძმები იყვნენ). ბილბომ, ის იყო, მათ წინ მაგიდას დაახეთქა ლუდი და ნამცხვარი, რომ სადარბაზო კართან ისევ ხმამაღალი რეკვა გაისმა, და კვლავ რეკვა.

„ამჯერად ნამდვილად გენდალფია", – გაიფიქრა მან, დერეფანში რომ მიქაქანებდა. მაგრამ არა: კვლავ გნომები იყვნენ, ორნი, ორივენი ლურჯჩაჩიანი, ვერცხლისქამრიანი და ყვითელწვერიანები, ორივეს ხელსაწყოთა ჩანთა და ნიჩაბი ეჭირა, ორივე კარის გახსნის უმალ შემოსხლტა შიგნით – ბილბოს კი უკვე აღარაფერი აკვირვებდა.

– რით შემიძლია გემსახუროთ, ძვირფასო გნომებო? – დაეკითხა სტუმრებს.

– ფილი, პატივი მაქვს გემსახუროთ, – თქვა ერთმა – კილი, აგრეთვე, – დაურთო მეორემ. ორივემ მოიშვლიპა ლურჯი თავსარქმელი და წელში მოიდრიკნენ.

– თქვენი და თქვენი ოჯახის მსახურად მიგულეთ, – მიუგო ბილბომ, საიმდროოდ ზრდილობის წესები რომ გახსენებოდა.

– ვხედავ, რომ ბალინი და დვალინი უკვე მოსულან, – თქვა კილიმ, – შევუ-ერთდეთ თავყრილობას!

„თავყრილობასო!" – გაიფიქრა მისტერ ბეგინსმა, – „არ მომწონს მე ეს. ცოტა ხნით უნდა ჩამოვჯდე, გონი მოვიკრიბო და დავლიო რამე." და სანამ მაგიდას შემომსხდარი ოთხი გნომი გაცხარებით საუბრობდა საბადოებსა და ოქროზე, გობლინთა თავდასხმებსა და მძარცველ დრაკონებზე, კიდევ მრავალ და მრავალ საქმეთა შესახებ, რომელთა არსი ბილბოს არც ესმოდა და არც სურდა, რომ გაეგო, რაკი ყველაფერი ეს ძალიან აგონებდა თავგადასავლებს – ბილბო ბეგინსი კუთხეში მიიყუჟა და თავისი ბრძნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა სცადა. მაგრამ პირველივე ყლუპის შემდეგ ზარი კვლავ მუღერად ახმაურდა, გრძლად და დაჟინებით, თითქოს გაუგონარ ჰობიტ-ბიჭუნებს სახელურის ჩამოგლეჯა გადაუწყვეტიათო.

– ვილაც მოვიდა, – თქვა ბილბომ თვალების ხამხამით.

– ოთხი ვილაც, თუ ყური არ მატყუებს, – თქვა ფილიმ – ჩვენ შორიდან დავინახეთ კიდეც ისინი, აქეთ მომავალნი, ჩვენს უკან.

საბრალო პატარა ჰობიტი ჰოლში ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. იგი ვერ-ზიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს, ან რა მოხდებოდა შემდეგ, ანდა თუ დარჩებოდნენ გნომები ვახშმადაც. მაგრამ ზარის კიდევ უფრო დაჟინებულმა ჩამორეკვამ ბილბო ფეხზე წამოახტუნა და კარის გასალებად გააჩქარა. კარს ოთხი კი არა, ხუთი გნომი მოსდგომოდა – სანამ ბილბო ჰოლში თავს იმტვ-რევდა, ერთი შემომატებოდათ. ჰობიტს ჯერ სახელურიც არ მოებრუნებინა, რომ ხუთივე უმალ შინ შემოვიდა, მასპინძელს მდაბლად უკრავდნენ თავს და „პატივი მაქვს, გემსახუროთო" – იმეორებდნენ რიგრიგობით. მათ დორი, ნორი, ორი, ოინი და გლოინი ერქვათ. ორი იისფერი, თითო ნაცრისფერი, ყავისფერი და თეთრი ჩაჩი თვალის დახამხამებაში დაბინავდა საკიდრებზე, სტუმრებმა ვერცხლის თუ ოქროს სარტყლებში ჩაილაგეს ფართო ხელები და თავდაჯერებულად გაემართნენ ბილბოს დერეფნით ბილბოს სასტუმრო ოთახისკენ. ყველაფერი ეს უკვე მართლაც ემსგავსებოდა თავყრილობას. ზოგი სტუმარი ელს ითხოვდა, ზოგი – ლუდს, ვილაც – ყავას, ყველა ერთად კი – ნამცხვრებს, და ჩვენს ჰობიტს თავის მოსაფხანადაც არ ეცალა.

დიდი ყავადანი ბუხრის ცეცხლზე დუღდებოდა, დარიჩინიანი ნამცხვრები გამოილია, გნომები კარაქნასმულ შვრიის კვერებს შეუდგნენ, როდესაც ხმა-მაღალი კაკუნი შემოესმათ. ჰობიტის ლამაზ მწვანე კარს უხეში ბრახუნი გაუ-დიოდა. ვილაც, ნაცვლად იმისა, რომ ზარი ჩამოერეკა, კარს ჯოხს ურტყამდა!

ბილბო დერეფანში გაესწრაფა, ერთიანად გაოგნებული და გაბორგებული – ამისთანა არეულ-დარეული, შემაწუხებელი ოთხშაბათი თავის დღეში არ ახსოვდა. ერთბაშად მოსწია კარს, ახალმოსულები შინ შემოცვივდნენ და

ხალიჩაზე ერთიმეორეზე დახორავდნენ. მოსულიყვნენ ისევ გნომები, ოთხი გნომი კიდევ! მათ უკან, ზლურბლზე, კვერთხს ჩამოყრდნობილი გენდალფი იდგა და გულიანად იცინოდა. ჯადოქარს ჰობიტის ლამაზ კარზე მოზრდილი ნაჭდევები გაეჩინა და მათ ქვეშ აღარ ჩანდა ის იდუმალი ნიშანი, წინადღით რომ დატოვა.

– ცოტა ფრთხილად! – თქვა მან, – ბილბო, როდის იყო, შენთან მოსულ მეგობრებს გარეთ ფეხის შესაწმენდზე აყურყუტებდი, შემდეგ კი ასეთი ბრახა-ბრუხით ულებდი კარს? პატივი მაქვს, წარმოგიდგინო: ბიფური, ბოფური, ბომბური და, განსაკუთრებით, თორინი!

ბიფური, ბოფური და ბომბური ჩამწკრივდნენ და „პატივი მაქვს გემსახუ-როთო," მოახსენეს ბილბოს. შემდეგ კავებზე დაკიდეს ერთი მკრთალი მწვანე და ორი ყვითელი ჩაჩი, და ერთიც ლაჟვარდისფერი, ვერცხლისფუჯიანი, თორინისეული. ეს უალრესად ღირსეული გნომი სხვა კი არა, თავად დიდი თორინ ოუკენშილდი* ბრძანდებოდა და სულაც არ გახლდათ ნაამები, ბილ-ბოს მისალებში დაბლა რომ გაიშოტა ბიფურის, ბოფურის და ბომბურის ქვეშ მოქცეული. თანაც, ბომბური მეტისმეტად სქელი და მძიმე ჩანდა. მაგრამ საბრალო მისტერ ბეგინსმა ისე აავსო ბოდიშებით, რომ მან, როგორც იყო, ჩაიბურტყუნა „ნუ შეწუხდებითო" და მეტად აღარ იბღვირებოდა.

– უკვე ყველანი მოვედით, – თქვა გენდალფმა, კავებზე ჩამორიგებულ ცამეტ ფერად საგარეო ჩაჩს და თავის საკუთარ ქუდს რომ გადახედა, – მხია-რული თავყრილობა გამოვიდა! იმედია, დაგვიანებულებისთვისაც დარჩა რაიმე შესაჭმელი. რას მიირთმევთ? ჩაის? არა, გმადლობთ! ჩემთვის ცოტა-ოდენი წითელი ღვინო გაითვალისწინეთ.

– ჩემთვისაც! – თქვა თორინმა.

– კიდევ, ჟოლოს მურაბა და ვაშლის ნამცხვარი, – თქვა ბიფურმა.

– კიდევ, ნუშიანი ნამცხვარი და ყველი, – თქვა ბოფურმა.

– და ხორციანი ღვეზელი, სალათაც, – თქვა ბომბურმა.

– ნაზუქებიც, კიდევ ელი და ყავა, თუ შეიძლება, – დაიძახეს დანარჩენმა გნომებმა კარს იქიდან.

– რამდენიმე კვერცხი დაუმატე, მხიარულო მასპინძელო, – მიაძახა გენ-დალფმა საკუჭნაოსკენ ნაჩანჩალებულ ბილბოს, – მრგვალად მოხარშული წინილაც გამოიღე და მუავე კიტრებიც!

„გეგონება, ჩემზე უკეთ იცის, რა მაქვს სახლში და რა არა", – გაიფიქრა ბილბომ. საბოლოოდ თავგზააბნეული, იგი უკვე იმასაც ფიქრობდა, მგონი, დედამიწის ზურგზე ყველაზე უვარგისი თავგადასავალი საკუთარ სახლში თავს დამატყდაო. და ბოლოს, როდესაც, როგორც იყო, შეაგროვა ყველა ბოთლი და კერძები და დანა-ჩანგლები, ჭიქები და თეფშები თუ კოვზები და კიდევ

რალაც-რალაცეები და ყველაფერი უზარმაზარ სინებზე დაახორავა, ბილბოს ხვითქი გადასდიოდა, ჭარხალივით წითელი იყო და საშინლად ავი.

– წყალს და მენყერს წაუღია ეს გნომები, – ხმამაღლა თქვა მან, – ვითომ არ ეკადრებათ, ხელი შემაშველონ!

და ჰა, იხილეთ! ბალინი და დვალინი უკვე სამზარეულოს ზღურბლზე იდგნენ, ფილი და კილი – მათ უკან, თვალისდახამხამების უმალ ნარიტაცეს სინები და წყვილი მაგიდა სასტუმრო ოთახში და წამში გაშალეს სუფრა – ბილბომ პირის დალებაც ვერ მოასწრო.

სუფრის თავში გენდალფი დაბრძანდა, გარს ცამეტი გნომი შემოისხა. ბილბო კი ბუხართან მიჯდა, მადადაკარგული ანგარიშმიუცემლად კვნეტდა ბისკვიტს და ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოსდა არაფერი ხდებოდა უჩვეულო, თავგადასავლის ხომ სუნიც კი არ უდიოდა მთელ ამ ამბავს. გნომები ჭამდნენ და ჭამდნენ, საუბრობდნენ, დრო კი გადიოდა. ბოლოს, როგორც იყო, გნომებმა თეფშებს თავი ანებეს და სკამებზე გადაწვნენ. მაშინ ბილბო წამოდგა, ჭურჭლის ასალაგებლად გაინია.

– ალბათ, ვახშმადაც დარჩებით? – იკითხა რაც შეიძლება ზრდილობიანად და დაუჟინებლად.

– რასაკვირველია! – დაუდასტურა თორინმა, – ვახშმის შემდეგაც დავრჩებით. ჩვენ გვიანობამდე ვერ მოვრჩებით საქმეს, ოღონდ ჯერ უნდა ვიმღეროთ!

ამის თქმა იყო და, თორმეტი გნომი ზეზე წამოხტა. თორინი, ზედმეტად ღირსეული, რომ საოჯახო საქმეში ხელი ჩაერია, გენდალფთან ბაასს განაგრძობდა, ხოლო დანარჩენებმა ერთად შეაქუჩეს ჭურჭელი, აღარ მოუცდიათ, სანამ ბილბო სინებს მოიტანდა და ცალი ხელით მიატორტმანებდნენ დასარეცხ თეფშთა თვალუნვდენელ სვეტებს, თითო ცარიელი ბოთლით რომ გვირგვინდებოდა, საბრალო ჰობიტი კი უკან მისდევდათ და გულგახეთქილი წიოდა: „გეთაყვა, ფრთხილად! გემუდარებით, ნუ წუხდებით! მე თვითონ!“ მაშინ გნომებმა სიმღერა ნამოიწყეს:

ამსხვრიეთ თეფშები, ჭიქები,
დაგრიხეთ დანები, ჩანგლები,
კარგად რომ გაბრაზდეს ბეგინსი,
ამტვრიეთ ბოთლების თავები.

მოთხვარეთ სუფრა და აკუწეთ,
ძვლები დააყარეთ ბალიშებს,
რძით სახლის ფანჯრები გაწუწეთ
და ღვინო მოასხით ხალიჩებს.

მდულარე დაასხით თასებსაც,
დაბეგვეთ მაგარი კეტებით
და თუკი რაიმე დარჩება,
ძირს გადაუძახეთ ფეთებით.

ბილბო ბრაზისგან შეშდება,
ისე კი, გაფრხილდით თეფშებთან!

ოღონდ, რასაკვირველია, მათ მსგავსიც არაფერი ჩაუდენიათ, ყველაფერი ელვის სისწრაფით დარეცხეს და დაუზიანებლად მიალაგეს, სანამ ჰობიტი შუა სამზარეულოში გარს ბრუნავდა და ცდილობდა, თვალი მოეკრა, რას აკეთებდნენ მისი სტუმრები. შემდეგ ყველანი უკან დაბრუნდნენ და ნახეს, რომ თორინს ფეხები ბუხრის გისოსზე შემოეწყო, ჩიბუხს აბოლებდა და ყოვლად უჩვეულო კვამლის რგოლებს თხზავდა. მისი რგოლები იქით მიფრინავდნენ, საითკენაც თვითონ უბრძანებდა: ზოგი საკვამურში მიქროდა, ზოგი ბუხარზე შემოდებულ საათს ეფარებოდა, ერთნი მაგიდის ქვეშ ლაგდებოდნენ, ხოლო რამოდენიმე აუჩქარებლად დაბრუნავდა ჭერთან. მაგრამ გენდალფი უფრო სხარტი იყო: მოკლე თიხის ჩიბუხიდან ოდნავ მომცრო რგოლებს აბოლებდა და ყოველ თორინისეულ რგოლს შუაგულში უძვრენდა. შემდეგ გენდალფის კვამლის რგოლები ფერს იცვლიდა, მწვანდებოდა, ისინი უკან მოცურავდნენ და ჯადოქარს თავს დასტრიალებდნენ; მომწვანო კვამლის ღრუბელში მობურულ გენდალფს ბუხრის მკრთალ სინათლეზე იდუმალი და ჯადოსნური იერი დასდებოდა, მონუსხული ბილბო კარში იდგა და უმზერდა: მას უყვარდა რგოლების ბოლება და ახლა სირცხვილი სწვავდა, როდესაც იგონებდა, წინადღით როგორ მოჰქონდა თავი გორას იქეთ ნიავს გატანებული რგოლებით.

– ახლა მუსიკა! – თქვა თორინმა, – მოიტანეთ საკრავები.

კილი და ფილი ჩანთებისკენ გაემართნენ და პატარა ვიოლინოები მოიტანეს. დორიმ, ნორიმ და ორიმ სადღაც ტანსაცმლიდან ამოაძვრინეს ფლეიტები. ბომბურმა მისალებიდან დოლი შემოიტანა. ბიფური და ბოფური გავიდნენ, უკან შემობრუნებულებს ხელთ ეპყრათ კლარნეტები, რომლებიც ხელჯოხების ყუთში ჩაეტოვებინათ. ბალინმა და დვალინმა თქვეს: „ბოდიში, ჩვენ ჩვენები წინკარში დავტოვეთ.“ „ჩემიც შემოიყოლეთო.“ – სთხოვათ თორინმა. მათ შემოიტანეს ორი ვეება, თავად დამკვრელების ხელა ვიოლა და მწვანე ქსოვილით შებურული არფა. ეს გახლდათ მშვენიერი ოქროს არფა და როგორც კი თორინმა სიმებს ჩამოჰკრა, ერთბაშად აჟღერდა ანაზდეული ჰანგი, უეცარი და საამო. მოხიბლულ ბილბოს უმალ ყველაფერი გადაავიწყდა და ნელ-ნელა გაედევნა ჰანგს უცხო მთვარეებით განათებული ქვეყნებისაკენ,

შორს, წყლის გადალმა, გორას ქვეშ გაშენებული ჰობიტის სოროსგან ძალიან, ძალიან მოშორებით.

გორას ფერდში გაჭრილი პატარა სარკმლიდან ოთახში ბინდი შემოცურდა. აპრილი იდგა, ცეცხლის შუქი ტორტმანებდა, გნომები კი უკრავდნენ. კედელზე გენდალფის ნვერების ჩრდილი დაბარბაცებდა.

ბინდმა ერთიანად მოიცვა ოთახი, ცეცხლი ჩაინავლა, ჩრდილები გაქრა. გნომები კი კვლავ უკრავდნენ. ანაზდად რომელილაცამ საკრავების ჟღერას ხმა შეუწონა, მას სხვა აჰყვა, და ისინი ამღერდნენ. ღრმა, დაბალი ხმით თავისი ტომის უძველეს სიმღერას ამბობდნენ გნომები, სიმღერას, ოდესღაც მათ ძველისძველ ვანთა უღრმეს სანახებში რომ ჟღერდა. აი, რას მღეროდნენ ისინი, თუმც მათივე ჰანგის გარეშე გალექსილ სტროფებს სიმღერა არ ეთქმის:

შორს, ნისლოვან მთებს გადალმა, ცივი ცის დასალიერთან,
მიწისქვეშა ციხეებსა და უძველეს მღვიმეებთან,
წავალთ მანამ, სანამ ზეცა ცისკრის სხივით გაიღება,
მოჯადოებული ოქროს ფერმკრთალ ზოდთა საძიებლად.

უძლეველი ჯადოები იქ გნომებმა ძველად შეკრეს,
სანამ მათი ჩაქუჩები სცემდა, თითქოს ზარებს რეკდნენ,
ღრმა ღრმულებში, როგორც წინათ, ბნელ არსებებს ისევ სძინავთ –
გამოფულრულ დარბაზებში, თოვლიანი მთების ქვეშე.

ძველი დროის მეფეთათვის და ელფების ხელმწიფისთვის
იქ მრავალი მოკამკამე ოქრო ბრწყინავს, თითქოს იწვის,
მათ ჩამოქნეს, იმუშაკეს და ნათელი ხელში იპყრეს,
რომ დამალონ ძვირფას თვლებში, ხმლის ვადებზე გამობრწყინდეს.

ვერცხლის ფერად ყელსაბამებს გაფურჩქნული ვარსკვლავები
შეაბეს და შეუკიდეს, მათ დრაკონის ცეცხლის ალი
გვირგვინებზე ჩამოკიდეს და სინაზე გადაგრიხეს,
აურიეს ერთმანეთში მზის და მთვარის სხივთა რკალი.

შორს, ნისლოვან მთათა გალმა, ცივი ცის დასალიერთან,
მიწისქვეშა ციხეებსა და უძველეს მღვიმეებთან,
წავალთ მანამ, სანამ ზეცა ცისკრის სხივით გაიღება,
რომ გვეკუთვნის დიდი ხნიდან, იმ ზოდების საძიებლად.

მათ ძვირფასი ფიალები გამოკვეთეს თავისათვის,
ოქროს არფებს ქმნიდნენ, სადაც კაცთა კვალი არსად არის
და იქ ეწყო დიდხანს, სანამ სიმღერების ექო იდგა,
სიმღერების – კაცთათვის და ელფებისთვის უსმინარის.

იქ ფიჭვები შრიალებდა მაღალ მთაზე ტანკენარი,
იქ ქარები დაჰკვნესოდნენ გამუდმებით, მთელი ღამით,
მთლად წითელი იყო ცეცხლი, მისი შუქი მეტად ვრცელი,
ჩირაღდნებად ბრიალებდა იმ ხეების დიდი ალი.

იქ ზარები რეკდა ველზე; ზეციისაკენ იქცეოდა
კაცთა მოდგმის გაცრეცილი სახე – ზეცას შესცქეროდა
და დრაკონის რისხვა-ელვამ, ცეცხლზე უფრო მეტად მწველმა
ძირს დაფინა ყველა კოშკი და სახლებიც იქცეოდა.

მთვარის შუქზე დიდი მთები ერთიანად ააბოლა,
ბედისწერამ გნომებს თვისი ნაბიჯის ხმა გააგონა,
გამოიქცენ გამალებით, მიატოვეს დარბაზები,
და მის ფეხქვეშ იქ დაეცნენ, მთვარემ სხივი დაათოვა.

შორს, პირქუში მთების გალმა, ნისლიან დასალიერთან,
მიწისქვეშა ციხეებსა და უძველეს მღვიმეებთან,
წავალთ მანამ, სანამ ზეცა ცისკრის სხივით გაიღება,
დაკარგული არფების და ოქროს ზოდთა საძიებლად.

ასე მღეროდნენ ისინი და ჰობიტმა იგრძნო, როგორ მსჭვალავდა მას მშვენიერ ხელთქმნილ საგანთაგან მოგვრილი ხიბლი, ოსტატობითა და ჯადოსნობით ქმნილ საგანთა სიყვარული, ანაზდად შეიპყრო მწველმა და ეჭვით აღბეჭდილმა ტრფობამ და გნომების გულთა წადილი შეიგრძნო. შემდეგ რაღაც ტუკისეულმა გაიხმიანა მის არსებაში და ბილბომ მაღალ მთათა ხილვა ისურვა, ფიჭვებისა და ჩანჩქერების ყურისგდება, მღვიმეთა ჩხრეკა, ისურვა, სასეირნო ხელჯოხის ნაცვლად მახვილი მოეხდინა. ფანჯრის მილმა გაექცა თვალი. ხეებს მაღლა, ბნელ ცაში ვარსკვლავები ენთო, და ბილბო გნომების გამოქვაბულებში მოელვარე თვალ-მარგალიტზე ფიქრმა შეიპყრო. უეცრად ნყალგალმა ტყეში ცეცხლი ავარდა – ალბათ, ვილაც კოცონს თუ ანთებდა – და ბილბოს ფიქრებში მძარცველი დრაკონები შემოიჭრნენ. ისინი მის წყნარ გორაზე შემოსხდნენ და გადაბუგვით დაექადნენ ყოველივეს. ჰობიტს გააჟრი-

ალა და წამის უმალ იგი კვლავ უბრალო მისტერ ბეგინსი იყო, ბეგ-ენდიდან, გორასძირელი, როგორც ყოველთვის.

იგი ცახცახით წამოდგა ფეხზე. ნაკლებად, ვიდრე სანახევროდ – ჭრაქის მოტანა განეხრახა და მეტნილად კი იმის განზრახვა ჰქონდა, ვითომ სინათლის მოსატანად გასულიყო, სინამდვილეში კი სარდაფში ლუდის კასრების უკან ჩამალულიყო და გნომების წასვლამდე იქიდან ცხვირიც არ გამოეყო. და უცებ შემცბარმა შენიშნა: გნომები აღარ მღეროდნენ, აღარც უკრავდნენ და ყველა მას შემოსცქეროდა სიბნელეში მოელვარე თვალებით.

– საით გაგინევია? – იმგვარად დაეკითხა თორინი, თითქოს მისი განზრახვის ორივე ნახევარი თვალწინ გაუსიგრძეგანებიაო.

– ცოტაოდენი შუქი... რას იტყოდით? – თითქოს ბოდიშობსო, ისე მიუგო ბილბომ.

– ჩვენ გვიყვარს სიბნელე! – განუცხადეს გნომებმა – ბნელი ღამე ბნელი საქმეებისთვის... ალიონამდე ჯერ კიდევ შორია.

– რასაკვირველია, – კვერი დაუკრა ბილბომ და საჩქაროდ ჩამოჯდა, მაგრამ სკამს ასცდა, ბუხრის გისოსს დაეცა და ზათქითა და ზრიალით გადააყირავა საჩხრეკი და აქანდაზი.

– ჩუ, – თქვა გენდალფმა, – ყური დაუგდეთ თორინს!

და თორინმა ასე დაიწყო:

– გენდალფ, გნომებო და მისტერ ბეგინს! ჩვენ შევიკრიბეთ აქ, სახლში ჩვენი მეგობრისა და თანაშეთქმულის, შესანიშნავი და უშიშარი ჰობიტისა – დაე, ნურასოდეს გასცვივა ტერფთა ბალანი და ათასგზის ქება მის პურ-ღვინოს, – იგი შეჩერდა, რომ ამოესუნთქა, მასპინძლისთვის კი ეცლია, სათანადო ხარკი მოეხადა თავაზიანობისათვის. მაგრამ საბრალო ჰობიტზე სულ ფუჭად დაიხარჯა ამდენი ქათინაური – იგი იდგა, უმწეოდ აბჩენდა პირს და ცდილობდა, აღშფოთება გამოეთქვა იმის გამო, რომ უშიშარი და – კიდევ უარესი! – თანაშეთქმული უწოდეს, მაგრამ ისე იყო გაოგნებული, ხმას ვერ იღებდა. და თორინმა განაგრძო:

– ჩვენ შევიკრიბეთ, რათა განვიხილოთ ჩვენი გეგმები, გზანი ჩვენნი, ვარაუდები, ქმედებების ნირი, ჩვენი ხერხი და ღონე. სულ მალე, განთიადამდე, გავუდგებით გრძელ გზას და ამ მოგზაურობიდან ზოგი ჩვენგანი, ან იქნებ ვერცერთი ჩვენგანი (ჩვენი გულითადი მეგობრის და მრჩევლის, მახვილგონიერი ჯადოქრის გენდალფის გარდა) შესაძლებელია უკან ვერასოდეს მობრუნდეს. ეს ღირშესანიშნავი ნუთია. ვფიქრობ, ჩვენი განსჯის საგანი ყოველი ჩვენთაგანისთვის კარგადაა ცნობილი. ოღონდ ღრმად პატივცემული ბილბო ბეგინსისა და, შესაძლოა, ერთი-ორი უმცროსი გნომისათვის – ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასახელებ კერძოდ ფილისა და კილის – ეს კერძო გარემოება ამჯერად იქნებ კიდევაც მოითხოვდეს მოკლე განმარტებას.

თორინს ასე სჩვეოდა. იგი მეტად დიდმნიშვნელოვანი გნომი გახლდათ. რომ გეცლიათ, ალბათ სუნთქვის შეკვრამდე ამგვარადვე განაგრძობდა და თანაც არაფერს იტყოდა ახალს და მანამდე უცნობს. მაგრამ თორინს ტლანქად შეაწყვეტინეს სიტყვა – საბრალო ბილბომ ამდენს ველარ გაუძლო. რომ გაიგონა: „უკან ვერასოდეს მობრუნდესო“, უკვე მის ძალებს აღემატებოდა ყელს მოწოლილი სასოწარკვეთილების კივილის შეჩერება და გვირაბიდან გამოვარდნილი ორთქმავალივით მოულოდნელად და ყურისწამღებად დაიყვირა. გნომები ნამოხტნენ და მაგიდა გადააყირავეს. გენდალფის ჯადოსნური კვერთხის წვერმა იკვესა და მის თვალისმომჭრელ შუქზე გამოჩნდა ბუხრის წინ პატარა ხალიჩაზე დაჩოქილი ბილბო, ფოთოლივით რომ ცახცახებდა. უცბად იგი იატაკს განერთხა და აყვირდა: „მეხი დაეცა! მეხი დაეცა!“ გაუთავებლად იმეორებდა ერთსა და იმავეს და კარგახანს მეტი ვერაფერი ათქმევინეს. სხვა რა გზა იყო: გნომებმა წაიყვანეს ბილბო და გვერდითა სასტუმრო ოთახში ტახტზე დააწვინეს. ხელმისაწვდომზე სასმელი დაუდგეს და შემდეგ თავიანთ საქმეებს დაუბრუნდნენ.

– ფიცხი ჯეელია, – თქვა გენდალფმა, როდესაც კვლავ ჩამოსხდნენ, – სასაცილო და უცნაური გამოხდომები იცის, მაგრამ, გეუბნებით, ერთი უკეთესთაგანია, ჰო, საუკეთესოთაგანი. მახეში გაბმული დრაკონივით შლეგია.

თუ ოდესმე მახეში გაბმული დრაკონი გინახავთ, მიხვდებოდით, რომ გენდალფის სიტყვები მხოლოდ პოეტური გადაჭარბება იყო ნებისმიერი ჰობიტის მიმართ, თვით მოხუცი ტუკის პაპის-პაპის-პაპის ძმის, ბულარა ტუკისათვისაც კი, რომელიც ჰობიტის კვალობაზე ისეთი ზორბა ყოფილა, რომ ცხენის ჭენება შეეძლო. მწვანე ველის ომში სწორედ იგი დაატყდა თავს მთაბარდელი გობლინების რაზმს და ხის კომბლით თავი ნაასხიპა გოლფიმბულს, მათ მეფეს. თავმა ასიოდე მეტრი იფრინა ჰაერში და პირდაპირ კურდღლის სოროში ჩავარდა. ასე და ამგვარად გადაწყდა ბრძოლის ბედი და თან გოლფის თამაშიც გამოიგონეს.

ხოლო ამასობაში ბულარას ნებიერი შთამომავალი ნელ-ნელა სულიერდებოდა სასტუმრო ოთახში. რამოდენიმე წუთის და რამოდენიმე ყლუპის შემდეგ მღელვარე ბილბო ფეხაკრეფით მიიპარა კართან და გლოინის სიტყვები ჩაესმა:

– ჰმ! (თუ რაღაც სხვა, მაგრამ ამის მსგავსი ფრუტუნი) – გგონიათ, შეძლებს? გენდალფს რა ენაღვლება, რატომაც არ მოგვიყვება ზღაპრებს შმაგ ჰობიტებზე, ჩვენ კი ერთი ასეთი ნივილი გაფიცხების ჟამს მთელ დრაკონებს გაგვიღვიძებს და შავი დღეც დაგვადგება. სულაც ასე მგონია, იგი შიშმა უფრო ააყვირა, ვიდრე აღგზნებამ და, ჩემდათავად, კარზე ნიშანი რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, მისამართი შეგვეშალა-მეთქი. როგორც კი დავინახე, ეს ჩია ჯეელი როგორ ხტოდა და ქშენდა კარნინ, მაშინვე გულმა რეჩხი მიყო. უკაცრაული პასუხია და, მედუქნეს უფრო ჰგავს, ვიდრე მპარავს!

მაშინ მისტერ ბეგინსმა სახელური დასწია და ოთახში შევიდა. ტუკისეულმა წილმა იმძლავრა და ბილბომ იგრძნო – იგი იოლას გავიდოდა რბილი ლოგინისა და საუზმის გარეშე, ოლონდაც მისი სიშმაგე ელიარებინათ. ესეც რომ არა, იგი მართლაც გაეშმაგებინა გლოინის სიტყვებს „ეს ჯეელი ხტოდა და ქშენდაო". ამ ნაბიჯის გამო შემდგომ მრავალგზის უნანია მის ბეგინსურ არსებას და მრავალგზის უთქვამს თავისთვის: „ბრიყვი იყავი, ბილბო, ნებით რომ გაყავი თავი ყოველივე ამაშიო".

– უკაცრავად, თქვენი საუბარი რომ გავიგონე, – თქვა მან, – ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის ცხადი იყოს, რის შესახებ ბჭობთ ან რად ახსენებთ მპარავებს. მაგრამ ერთში დავრწმუნდი (აი, ეს მას თავის ღირსეულ დაჭერად მიაჩნდა) – თქვენ ფიქრობთ, რომ მე არაფრად ვვარგივარ. შევეცდები დაგანახოთ, რომ ცდებით. ჩემს კარზე ნიშნები არ ხატია – ამ რამდენიმე დღის უკან შევაღებინე – და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისამართი შეგეშალათ. როგორც კი კარის ზღურბლზე თქვენი ღიმილისმომგვრელი ცხვირ-პირი დავინახე, უმალ გულმა რეჩხი მიყო. მაგრამ ჩათვალეთ, რომ არ შემცდარხართ, მითხარით, რა უნდა გავაკეთო და მეც შევეცდები, თუნდაც აღმოსავლეთის აღმოსავალით მომიწიოს აქიდან წაჩანჩალებამ და ქვეყნის დასალიერის ხრიოკებზე ველურ მაქცია მატლებთან შებმა მომთხოვოთ. ოდესღაც პაპის-პაპის-პაპის-პაპის-ძმა მყოლია, ბულარა ტუკი, ჰოდა...

– ვიცით, ვიცით, მაგრამ ეს ძველი ამბავია, – შეანყვეტინა გლოინმა, – თანაც, საუბარი ახლა შენ შეგეხება. და მერწმუნე, შენს კარზე ნამდვილად არის დალი – ამ ნიშანს მოხელენი ხმარობენ ხოლმე, თუ ხმარობდნენ ოდესღაც – და ამგვარად იკითხება: „მპარავი ეძებს რიგიან სამუშაოს, სავსეს მღელვარე ფათერაკებით, შესაბამისი ანაზღაურებით". შენ მპარავის ნაცვლად შეგიძლია, განძის პოვების ოსტატი დაირქვა, ზოგი ასეც შვრება – ჩვენთვის სულერთია. გენდალფმა გვითხრა, რომ ამ მხარეში სწორედ იმგვარი კაცი, ჩვენ რომ გვჭირდება, სასწრაფოდ ეძებს სამუშაოს და იგი ოთხშაბათს, ჩაის დროს შეხვედრას გინიშნავთო.

– ცხადია, კარზე ნიშანი იყო, – ჩაერია გენდალფი, – მე თვითონ დავსვი. და აი, რატომ: თქვენ მთხოვეთ, ჩვენი ექსპედიციისათვის მეთოთხმეტე კაცი მოგვიძებნეო, და მეც მისტერ ბეგინსი შეგირჩიეთ. თქვით, თუნდაც ერთმა, იქ არ მოგვიყვანე, სადაც საჭიროა, ან ვინც საჭიროა, ის კაცი ვერ მოგინახავსო და – ნება თქვენია – დარჩებით ცამეტნი, როგორცა ხართ, და თარს გზასაც გაუდგებით, ან, თუ გსურთ, შინ მიბრუნდებით ქვანახშირის სათხრელად.

და მან ისეთი რისხვით შეუბღვირა გლოინს, რომ შემცბარი გნომი სკამში ჩაიჭუჭყა, ხოლო როდესაც ბილბომ პირი გააღო და სცადა, რაღაცას შეპკითხვოდა, გენდალფი ისე მოილუშა და ისე შეყარა წარბები, რომ ჰობიტმა



ხმამაღალი წკაპუნით დამუნა პირი.

– აი, ასე, - თქვა გენდალფმა, - მოდით, ნულა ვიდავებთ. მე მისტერ ბეგინსი შევარჩიე და თქვენთვის ეს უნდა კმაროდეს. თუკი ვამბობ, რომ იგი მპარავია, მაშ, იგი მართლაც მპარავია, ან იქნება, როცა დრო მოვა. მერწმუნეთ, თვალით რასაც ხედავთ, იმაზე ბევრად მეტია მასში დაფარული, იმაზეც მეტი, ვიდრე თავად ჰგონია. თუკი ცოცხლები დარჩებით, მადლობებითაც ამავსებთ მის გამო. ახლა კი, ბილბო, ჩემი ბიჭი, მოიტა ლამპა და აი, აქ მომინათე.

და გენდალფმა წითელთალფაქიანი დიდი ლამპის შუქში მაგიდაზე გაშალა თხელი ეტრატის ნაჭერი, რუკას რომ ჩამოჰგავდა.

– ეს თრორის ნახელავია, შენი პაპის, თორინ, – თქვა მან გნომების აღგზნებულ შეკითხვათა პასუხად, – ეს თქვენი მთის გეგმაა.

თორინმა თვალი გადაავლო რუკას და იმედგაცრუებული გენდალფს მიუბრუნდა.

– ბევრს ვერაფერს დაგვეხმარება ეს ნახაზები, – თქვა მან, – მე ისედაც მშვენივრად მახსოვს მთაც და მის გარშემო გაშლილი მინებიც. ვიცი, სად არის ტყეებნელი და სად – ხრიოკი ტრამალი, დრაკონები რომ ბუდობენ.

– დრაკონი მთაზეა ნითლად აღბეჭდილი, – ჩაერია ბალინი, – მაგრამ იქამდე თუ მივაღწევთ, უამისოდაც იოლად მივაგნებთ მის კვალს.

– ერთი რამ ვერ შეგინიშნავთ, – შეეპასუხა მათ ჯადოქარი, – აქ საიდუმლო შესასვლელია აღნიშნული. ხედავთ აიმ რუნას, დასავლეთის მხარეს, და ხელის მტევანს, მასზე რომ უთითებს კიდევ სხვა რუნიდან? ეს ქვედა დარბაზებისკენ მიმავალ ფარულ გასასვლელს მიგვანიშნებს.

– იქნებ, ოდესმე კიდევაც იყო იგი ფარული, – თქვა თორინმა, – მაგრამ განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გასასვლელი დღემდე საიდუმლოა? ბებერი სმაუგი იქ უკვე საკმაოდ ძველი ბინადარია და რისი ნახვაც შეიძლებოდა, უკვე ყველაფერი ნაპოვნი უნდა ჰქონდეს იმ გამოქვაბულებში.

– იქნებ, კიდევაც იპოვა – მაგრამ ამ გასასვლელს ვერ გამოიყენებდა მთელი ეს წლები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ გასასვლელი ვიწროა. „ხუთი ფუტია კარი სიმაღლით, სამნი გადიან განში მხარდამხარ“, – გვეუბნება რუნები. მაგრამ სმაუგი ამხელა ხვრელში ახალგაზრდა რომ იყო, მაშინაც ვერ გაძვრებოდა და ახლა, რაც ამდენი გნომი და დეილის მკვიდრნი ჩასანსლა, იქ მითუმეტეს ვერ გაეტევა.

– მე კი ეს ხვრელი კარგა მოზრდილი მეჩვენება, – დაინრიპინა ბილბომ (რომელიც თავის დღეში არ შეხვედროდა დრაკონებს, ხვრელები კი მხოლოდ ჰობიტების ენახა). იგი კვლავ აღელდა და ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ამიტომაც დაავიწყდა, რომ პირი არ უნდა გაეღო. ბილბოს უყვარდა რუკები, მის ჰოლში კედელზე შემოგარენის დიდი რუკა იყო გაკრული, რომელზედაც საყვარელი ბილიკები წითელი მელნით მოენიშნა. – არ მესმის, ამოდენა კარი როგორ შეიძლება, არათუ დრაკონის, საერთოდ ვინმეს თვალს მოაფარო? – იკითხა მან. არ უნდა დაივიწყოთ, რომ იგი მხოლოდ ერთი ჰატარა ჰობიტი იყო.

– მრავალნაირად, – მიუგო გენდალფმა, – მაგრამ სწორედ ეს კარი რანაირად დაფარეს, ჩვენ ვერ გავიგებთ, სანამ არ მივალთ და არ ვნახავთ. ამ რუკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს დახშული კარია და იმგვარადაა ნაშენები, რომ მთის ფერდისგან არ განირჩევა. ეს გნომთა ჩვეული ხერხია – მგონი, ასეა, არა?

– ნამდვილად, – დაუდასტურა თორინმა.

– თანაც, – განაგრძობდა გენდალფი, – დამავიწყდა, მეთქვა თქვენთვის, რომ რუკას გასაღებიც მოჰყვებოდა, ჰატარა და უცნაური გასაღები. აი, ისიც! – და მან თორინს გაუწოდა ვერცხლისაგან ნაჭედი გრძელტარა და დახლართულენიანი გასაღები, – გაუფრთხილდი!

– თვალისჩინივით გავუფრთხილდები, – მიუგო თორინმა და გასაღები მიიბნია ღამაზ ოქროს ძენკჭე, რომელიც კისერზე ეკიდა და მის ტანსაცმელში იმალებოდა, – ახლა შეგვიძლია, მეტი იმედით შევხედოთ ჩვენს საქმეს. ამ ახალმა ამბავმა ბევრად გამიკეთა გული. დღემდე არც ვიცოდით, რა უნდა

გვექნა, ვაპირებდით, აღმოსავლეთისაკენ გავდგომოდით გზას, რაც შეიძლება, ფრთხილად და შეუმჩნევლად გვევლო, სანამ ტაბაგრძელს არ მივადგებოდით. აი, იქიდან კი საქმე გაჭირდებოდა...

– ბევრად უფრო ადრე, თუკი საერთოდ რაიმე დამეჯერება აღმოსავლეთის გზათა შესახებ, – შეაწყვეტინა გენდალფმა.

თორინმა, თითქოს მისი ნათქვამი არც გაუგონიაო, ისე განაგრძო:

– იქიდან შეგვეძლო, მდინარე ჩქერულასაც ავყოლოდით დეილის ნანგრევებამდე – იქვე, მთის ჩრდილში გაშენებულ ძველ ქალაქამდე. მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ სურდა, წინა კარიბჭით შეესეირნა მთაში. სწორედ ამ კარიბჭიდან გამოედინება მდინარე, მთის სამხრეთ ფერდზე გაჩენილი ვეება ნაპრალიდან, და აქედანვე გამოდის ხოლმე გარეთ დრაკონი – მეტისმეტად ხშირად გამოდის, თუ ძველი ჩვევები ჯერაც არ დავიწყნია.

– არა, ეგრე არ ივარგებს, – კვლავ ჩაერია გენდალფი, – თუკი მძლე მეომარი, გმირთაგმირი არ გახლავთ თან. მე შევეცადე, ასეთიც მეპოვნა, მაგრამ მეომრები შორეულ ქვეყნებში ერთურთს ერკინებიან და სათქვენოდ არა სცალიათ, ახლომახლო კი გმირები ძვირი სანახავია, იქნებ, საერთოდაც არ არიან. ამ მხარეში ყველა ხმალი ბლაგვია, საომარი ნაჯახებით შეშას ჩეხენ, ფარები კი ან აკვნებად გადაუქცევიათ, ან სინებად ხმარობენ. დრაკონები იმსიშორეს გადახვეწილან, რომ თავს ყველა სამშვიდობოს გრძნობს და საერთოდაც უკვე მხოლოდ ზღაპრების ბინადრებად ჩათვალეს დრაკონები. ამიტომაც ვარჩიე პარვა – მით უფრო, რომ გვერდითა შესასვლელიც მომაგონდა და თანაც, გვყავს ჩვენი ჰატარა ბილბო ბეგინსი – დიდი მპარავი, რჩეული და სრულიად განსაკუთრებული მპარავი. ახლა კი, მოდით, განვაგრძოთ საუბარი და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

– ო, კეთილი, – განაცხადა თორინმა, – ვფიქრობ, პარვის ოსტატი მოგვაწვდის რაიმე გონივრულ აზრს, ანუ რჩევას, – და იგი დამცინავი თავაზიანობით მიუბრუნდა ბილბოს.

– კარგი იქნებოდა, მანამდე ცოტა მეტი მოგეთხროთ თქვენს საქმეთა შესახებ, – მიუგო მან. ბილბო ერთიანად აფორიაქებული იყო და ცოტათი გულ-მუცელიც უბუყბუყებდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ტუკის სისხლი კარნახობდა, როგორ უნდა ემოქმედა, – მე ვგულისხმობ, მომიყვეთ იმ ოქროსა და დრაკონზე, და კიდევ – რანაირად მოხვდა ოქრო იქ, ვისია იგი სინამდვილეში, და შემდეგ...

–ღმერთო, მიშველე! – წამოიძახა თორინმა, – განა ვერ ნახე რუკა? ვერ გაიგონე, რასა ვმღეროდით? და განა უკვე რამოდენიმე საათი არ არის, რაც ამის თაობაზე ვბჭობთ?

– და მაინც, მე მინდა, ჩემთვის ყველაფერი ცხადი და თვალსაჩინო იყოს, –

შეეპასუხა ბილბო ჯიუტად, საქმიანი იერი დაიდო (ამგვარი გამომეტყველება, როგორც წესი, მათთვის ჰქონდა შემონახული, ვინც მისგან ფულის სესხებას შეეცდებოდა), ძალიან შეეცადა, დაერწმუნებინა გნომები თავის სიბრძნეში, გონიერებასა და უნარიანობაში და ამგვარად შეეფერებინა გენდალფის ქება. – აგრეთვე მსურს, ვიცოდე, რამდენად ხიფათიანია საქმე, რაგვარი ხარჯის გალება მომინევს, რა დრო დაგვჭირდება, როგორი იქნება ანაზღაურება და ასე შემდეგ. – ყოველივე ეს გულისხმობდა: „რას გამოვრჩები ამ საქმეს მე? და თუ დავბრუნდები შინ ცოცხალი?"

– მაშ, კარგი, – მიუგო თორინმა, – მოგეხსენებათ, დიდი, დიდი ხნის წინათ, ჩემი პაპის, თრორის დროს ჩვენი გვარი შორეული ჩრდილოეთიდან გამოდევნეს და ისინიც მთელი თავისი ქონებითა და ხელსაწყოებით მიადგნენ აიმ მთას, რუკაზე რომ ხატია. ეს მთა ჩემმა შორეულმა წინაპარმა, თრეინ უფროსმა აღმოაჩინა, მაგრამ გნომებმა ახლალა მიჰყვეს ხელი მაღაროების გათხრას, გვირაბების გაყვანას; მათ გამოკვეთეს ვეება დარბაზები, ხალვათი სახელოსნოები მოაწყვეს და მჯერა, მრავლად მოიპოვეს ოქრო და პატიოსანი თვლები. ენა ვერ იტყვის, ისე მდიდარი და სახელთქმული შეიქნენ მაშინ გნომები, და ჩემი პაპა კვლავ გახდა მთისქვეშა მეფე, და დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ მას მოკვდავი კაცნი, მთის სამხრეთით რომ სახლობდნენ. ისინი თანდათანობით ამოყვნენ მდინარე ჩქერულას ნაპირებს და მთისძირა ველებამდე მოალწია მათმა საცხოვრისებმა. სწორედ მაშინ გააშენეს ადამიანებმა მხიარული ქალაქი დეილი. იქაური მეფეები ჩვენს მჭედლებს იბარებდნენ სამუშაოდ და მათ შორის ყველაზე მცირედ ხელოვანსაც კი უხვად აჯილდოებდნენ. კაცნი გვთხოვდნენ, შეგირდებად აგვეყვანა მათი შვილები და მდიდრულ გასამრჯელოს გვიხდიდნენ, ჩვეულებრივ, სასმელ-საჭმელით გვამარაგებდნენ ხოლმე და ჩვენც არასოდეს გვიზრუნია, თავად მოგვეყვანა და მოგვეპოვებინა საკვები. იმ დროს ცხოვრება გვილხინდა და ულარიბეს გნომსაც კი ჰქონდა სახარჯო თუ გასასესხებელი ფული და მოცლა, თავშესაქცევად ლამაზი საგნები რომ ეკეთებინა. აღარაფერს ვამბობ იმ საოცარ ჯადოსნურ სათამაშოებზე, რომელთა მსგავსსაც დღეს ვერსად შეხვდები. და პაპის ჩემის დარბაზები აივსო აბჯარ-საჭურველით და თვალ-მარგალიტით, თასებით და ნაჩუქურთმალი ხით; დეილის სათამაშოების ბაზრობა ხომ მთელი ჩრდილოეთის საოცრებად ითვლებოდა!

უეჭველია, სწორედ ამ სიმდიდრემ მოიზიდა დრაკონი. ისინი, სადაც არ უნდა იყოს, ოქროსა და ძვირფასეულობას სტაცებენ ადამიანებს, ელფებსა და გნომებს, და შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე სდარაჯობენ ნაძარცვს. ცხოვრობენ კი ძალიან, ძალიან დიდხანს, თითქმის მუდამ, თუკი ვინმემ არ მოკლა, და არასოდეს, არასოდეს არაფერში ხმარობენ უმცირეს სპილენძის

ბეჭედსაც კი. კარგ ნახელავს ცუდისაგან ძნელად არჩევენ და თვითონ, თავისით სულ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, საკუთარ ჯავშანში ამოვარდნილ ფარფლსაც კი ვერ შეჭედავენ. თუმცა, სავაჭრო და ბაზრის ფასებში რიგიანად ერკვევიან.

იმხანად ჩრდილოეთში მრავალი დრაკონი სახლობდა, ოქრო კი სულ უფრო და უფრო იშვიათი ხილი ხდებოდა, რაკი გნომები ზოგნი სამხრეთით გადაიხვეწნენ, ზოგი კი დახოცეს, და დრაკონებისაგან გაპარტახებული მხარე სულ უარესი და უარესი შეიქნა. ჩრდილოეთითვე ბუდობდა ერთი განსაკუთრებით ხარბი, ძლიერი და დაუნდობელი მატლი, სახელად სმაუგი. ერთხელაც აიჭრა იგი ჰაერში და სამხრეთისაკენ გამოსწია. გრიგალის გრგვინვა მოგვესმა გნომებს, ჩრდილოეთიდან მომავალი, ატეხილ ქარში ფიჭვის ხეები ატკაცუნდნენ და აჭრიალდნენ მთის ფერდობზე. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და შეუპოვარი, ქვეყნად ყველაფერი მაინტერესებდა. სწორედ ამან მიხსნა იმ დღეს დალუპვისაგან – ბედად, რამდენიმე გნომთან ერთად მაშინაც მთის შორიახლოს დავხეტიალობდი. შორიდან დავინახეთ, როგორ შემოჯდა ალის ჭავლში გახვეული დრაკონი ჩვენს მთაზე, შემდეგ კალთაზე იწყო ჩამოსვლა და ტყეს რომ მიუახლოვდა, ერთიანად აბრიალდნენ მაღალი ფიჭვები. გნომები დიდ კარიბჭეს მიაწყდნენ, მაგრამ აქ დრაკონი ელოდათ და ამ გზით ვერავინ დააღწია თავი დალუპვას. ქალაქ დეილში უკვე ყველა ზარი რეკდა და მეომრები საჭურველს ისხამდნენ. ორთქლი ავარდა მდინარეს, ქალაქში მძიმე ნისლი ჩამოწვა და ამ ნისლიდან მოევლინა მათ დრაკონი, სიკვდილის მთესველი, და მრავალი მეომარი მოსრა – ჩვეულებრივი უბედურება დატრიალდა, ასეთი რამ მეტად ხშირად ხდებოდა იმ დღეებში.

შემდეგ დრაკონი უკან მიბრუნდა, წინა კარიბჭეში შეიგრაგნა და გამობუგა ყველა დარბაზი, დერეფანი თუ გასასვლელი, გვირაბები, ჩიხები, სართულები თუ სარდაფები. ამის მერე აღარცერთი ცოცხალი გნომი აღარ დარჩა მთაში და მთელი ჩვენი განძი დრაკონმა მიითვისა. ალბათ, როგორც საერთოდ დრაკონებს სჩვევიათ, მანაც ერთ დიდ გროვად დაახორავა ყველაფერი სადღაც სიღრმეში, ზედ წევს და სძინავს. მოგვიანებით სმაუგი გარეთ გამოხოხებას და ღამ-ღამობით დეილის მონახულებას დაეჩვია. იგი ხალხს იტაცებდა შესაჭმელად, მეტწილად ასულები მიჰყავდა, სანამ დეილი არ დაინგრა, ხოლო მოქალაქენი ზოგი დაიხოცა, ზოგი გადაიხვეწა. არ ვიცი ზუსტად, რა ხდება იქ დღეს, მაგრამ ვფიქრობ, ტაბაგრძელის შორეული, ჩრდილო ნაპირების იქით, მთისკენ, აღარავინ სახლობს.

ჩვენ, რამოდენიმე გადარჩენილი, საფარში ვისხედით, ვგოდებდით და სმაუგს შევაჩვენებდით, როდესაც მოულოდნელად თავს მამაჩემი და ჩემი პაპა წამოგვადგნენ. მათ წვერები შეტრუსოდათ, ჭმუნვა აღბეჭდოდათ სახეზე და

ძალიან ძუნწად გამოგველაპარაკნენ. როდესაც შევეკითხე, როგორ მოახერხეს გარეთ გამოსვლა, მითხრეს, ენაზე კბილი დამეჭირა და რომ როცა დრო მოვიდოდა, ყველაფერს შევიტყობდი. შემდეგ ჩვენ წამოვედით, დავეხეტებოდით ალმა-დალმა და როგორც შეგვეძლო, ისე ვირჩენდით თავს. საკმაოდ ხშირად გვინევდა, მჭედლებად ან ქვანახშირის მთხრელებადაც კი გვემუშავა. მაგრამ ჩვენი დაკარგული საუნჯე არასოდეს დაგვვიწყებია და დღესაც, როდესაც უკვე საკმაო ქონება გადავინახეთ და სულაც აღარ გვიჭირს, – თორინმა კისერზე ჩამოკიდებულ ოქროს ჯაჭვზე ჩამოისვა ხელი, – ჩვენ განზრახული გვაქვს, განძი დავიბრუნოთ და სმაუგს შინ მივართვათ ყველა ჩვენი წყევლაკრულვა – თუკი ძალგვიძს.

მე ხშირად ვიმტვრევდი თავს იმაზე, თუ რა გზით გამოაღწიეს დრაკონს ჩემმა მამამ და პაპამ. ახლა ცხადია, რომ თურმე მათ საკუთარი გვერდითა კარი ჰქონიათ, მხოლოდ მათთვის ცნობილი გასასვლელი. როგორც ვხედავ, რუკაც შეუდგენიათ და ახლა მსურს შევიტყო, რანაირად დაეუფლა მას გენდალფი და რატომ არ გადმომეცა მე, კანონიერ მემკვიდრეს?

– მე მას არ „დავეუფლე", მე იგი მომცეს, – მიუგო ჯადოქარმა, – როგორც გახსოვს, შენი პაპა თრორი მორიას მაღაროებში მოკლა აზოგმა, გობლინთ მთავარმა...

– კრულ იყოს მისი სახელი, ასეა, – თქვა თორინმა.

– და თრეინი, მამა შენი, გზას გაუდგა ოცდაერთ აპრილს – გასულ ხუთშაბათს სწორედ ასი წელი შესრულდა მას აქეთ – და ამის შემდეგ აღარასოდეს გინახავს იგი...

– მართალია, ასეა, – კვლავ დაუდასტურა თორინმა.

– ჰოდა, მამაშენმა ეს რუკა შენთვის გადმოსაცემად ჩამაბარა. და თუკი მე თავად შევარჩიე საამისოდ დრო და ადგილი, მაინც რომელი გაბედავს, დამძრახოს ამის გამო? გაიხსენეთ, რად მიღირდა თქვენი მოძებნა! ეს ფურცელი რომ მომცა, მამაშენს საკუთარი სახელი აღარ ახსოვდა, შენსას რაღას მეტყოდა! ასე რომ, მგონია, თქვენგან სწორედ რომ ქებისა და მადლობების ღირსი ვარ, – და გენდალფმა რუკა თორინს გაუწოდა.

– ვერაფერი გამიგია, – თქვა მან და ბილბო მიხვდა, რომ იგივეს თქმა სურდა – ჯადოქრის განმარტებებმა მას ვერაფერი აუხსნა.

– შენმა პაპამ, – დაიწყო გენდალფმა დინჯად, მოლუშულმა, – ეს რუკა მამაშენს გადასცა შესანახად, როდესაც თავად მორიას მაღაროებისაკენ გასწია. მას შემდეგ, პაპაშენი რომ მოკლეს, თრეინი ამ რუკით ბედის საცდელად გაემართა, მრავალი ფათერაკი შეემთხვა და ბევრ უამურ თავგადასავალში გაეხვია, მაგრამ მთამდე არ მისულა. მე რომ ვნახე, იგი ნეკრომანტის კოშკის ჯურღმულებში იყო ტუსაღად, ხოლო იქ როგორ მოხვდა, არ ვიცი.

თორინი შეკრთა, შიშით აცახცახდნენ გნომები.

– შენ რაღა გინდოდა იქ? – იკითხა მან შეცვლილი ხმით.

– ეს მე ვიცი. როგორც ყოველთვის, რაღაც-რაღაცეების გამორკვევას ვცდილობდი და ბინძურ და სახიფათო საქმეში ჩავერიე. მეც კი, გენდალფმა, ძლივს დავაღწიე იქაურობას თავი. მამაშენის გამოხსნასაც შევეცადე, მაგრამ გვიანღა იყო – მას გონი დაბინდვოდა, ბოდავდა და ქვეყნად აღარაფერი ახსოვდა რუკისა და გასაღების გარდა.

– ჩვენ დიდი ხნის წინათ გავუსწორდით მორიას გობლინებს, – თქვა თორინმა, – ახლა დროა, ნეკრომანტს მივხედოთ.

– დაოკდი და ნუ სულელობ, – შეუტია ჯადოქარმა, – ეს ის მტერია, რომლის ძლიერებაც ბევრად აღემატება ერთად შეკრებილი ყველა გნომის ძალას, რომც მოგეხერხებინა შენს თანატომელთა კვლავ ერთად შეყრა ქვეყნის ოთხივ კუთხიდან. ერთადერთი, რაც მამაშენს სურდა, იყო, რომ მის ძეს რუკა წაეკითხა და გასაღები საქმეში გამოეყენებინა. დრაკონი და მთა – საკმაოზე მეტად რთული დავალებაა თქვენთვის.

– უსმინეთ, უსმინეთ! – ჩაილაპარაკა ბილბომ და რატომღაც ხმამაღლა გამოუვიდა.

– რას ვუსმინოთ? – იკითხა ყველამ ერთხმად და ყველანი მისკენ შემობრუნდნენ. ამან ისე ააღელვა ბილბო, რომ მიუგო:

– მისმინეთ, რას გეტყვით!

– რასო, – ჰკითხეს მათ.

– აი, რა: მე ვამბობ, რომ უნდა გაემართოთ აღმოსავლეთისაკენ და იქ მიიხედ-მოიხედოთ. ბოლოს და ბოლოს, არსებობს გვერდითა შესასვლელი და, ალბათ, დრაკონს ზოგჯერ მაინც სძინავს. თუკი საკმაოდ დიდხანს ისხდებით კარის ზღურბლთან, უეჭველად მოიფიქრებთ რაიმეს. და, გარდა ამისა, ხომ არ გეჩვენებათ, რომ... მე მგონი, ერთი ღამის კვალობაზე გვარიანად ვისაუბრეთ უკვე, განა არა? იქნებ ჯობდეს, ახლა მოსასვენებლად ნავიდეთ, დილით კი ადრიანად შევუდგეთ საქმეს? ვიდრე გზას გაუდგებოდეთ, კარგადაც გასაუზმებდით.

– ალბათ, გზას გავუდგებოდეთო, გინდოდათ გეთქვათ, – მიუგო თორინმა, – განა მპარავი არ ბრძანდებით? და განა ზღურბლზე ჯდომა თქვენი საქმე არ არის, რომ არაფერი ვთქვათ კარს იქით შეღწევაზე? მაგრამ მოსვენებასა და საუზმეზე ყაბულსა ვარ. სამოგზაუროდ წასვლის წინ ექვსკვერცხიან ლორიან ტაფამწვარს გეახლებით ხოლმე. ოღონდ არ ათქვიფოთ, ჩახლილი შენვით და თვალი მიადევნეთ, რომ არ გასკდნენ.

ამის შემდეგ დანარჩენებმაც შეუკვეთეს მასპინძელს საუზმე და ბოდიშმადლობებით თავი ოდნავადაც არ შეუნუხებიათ, ისე წამოდგნენ. ამან ბილბო

გვარიანად გააჯავრა, მითუმეტეს, რომ ყოველი მათგანის ღამისსათევზე ზრუნვა მოუხდა. ყველა საძინებელი ოთახი შეივსო, ბილბომ სკამებზე და ტახტებზეც დააგო ლოგინები, როგორც იყო, ყველანი დააბინავა და მერელა გაემართა თავისი პატარა საწოლისაკენ დაქანცული და შეწუხებული. მას მტკიცედ გადაეწყვიტა, თავი არ გაეცხელებინა ადრიანად ადგომითა და ყველა გადამთიელისათვის მათი უბადრუკი საუზმის მომზადებით. ტუკისეული შემართება მინელდა და ჩაიფერფლა და ბილბო სრულიადაც არ იყო დარწმუნებული, რომ დილით სამოგზაუროდ აპირებდა წასვლას.

უკვე ჩანოლილს კედლის იქიდან ჯერ კიდევ ესმოდა საუკეთესო საძინებელ ოთახში შესახლებული თორინის ღილინი:

შორს, ნისლიან მთებს გადაღმა, ცივი ცის დასალიერთან,
მიწისქვეშა ციხეებსა და უძველეს მღვიმეებთან
წავალთ მანამ, სანამ ზეცა ცისკრის სხივით გაიღება
მოჯადოებული ოქროს ფერმკრთალ ზოდთა საძიებლად...

ჩაძინებულსაც გნომების სიმღერა ჩაესმოდა და, ალბათ, სწორედ ამან მოპგვარა უამური სიზმრები. ხოლო როდესაც გამოეღვიძა, გარიჟრაჟი კარგა ხნის გადასული იყო.

2 ცხვრის მწვადები

ბილბო წამოხტა, ხალათი მოისხა და სასადილო ოთახისაკენ გასწია. იქ არავინ დახვდა, ოღონდ ოთახი უხვი და ნაჩქარევი საუზმის ნამუსრევით მოფენილიყო. სამზარეულოშიც ერთმანეთზე დაეხორავებინათ დაურეცხავი ჭურჭელი, თითქმის ყველა ქვაბი და ტაფა ნახმარი და გასვრილი ეყარა. ბილბომ ისე დამთრგუნველად ცხადად შეიგრძნო, ჭურჭლის დარეცხვა მომიწევსო, რომ ეჭვის ნატამალიც ალარ შერჩენია: წუხანდელი სტუმრები მხოლოდ მის უამურ ღამეულ ზმანებათა ბინადარნი არა ყოფილან, თუმც გულის სილრმეში ამის დიდი იმედიც ჰქონდა. ოლონდ ისიც ცხადი იყო, რომ გნომები გზას თავიანთი მასპინძლის გარეშე გასდგომოდნენ, ისე, რომ მისი გალვიძება საჭიროდ არც ჩაეთვალათ („მადლობა მაინც ეთქვათ," – გაიფიქრა ბილბომ). რასაკვირველია, ეს დიდი შვება იყო, მაგრამ ჰობიტმა მოულოდნელად გამოუცნობი გულისწყვეტაც იგრძნო. ამ გრძნობამ გააოცა იგი.

– ბრიყვი ნუ ხარ, ბილბო ბეგინს! – შეუძახა მან თავს, – სირცხვილია, შენი ხნის კაცი დრაკონებსა და სხვა ცხრამთასიქითურ აბდაუბდაზე რომ დაიწყებს ფიქრს!

და მან გაიკეთა წინსაფარი, ცეცხლი გააჩაღა, აადუღა წყალი და ყველაფერი დარეცხა. შემდგომ ამისა, ვიდრე სასადილო ოთახს მიხედავდა, მილაგებულ სამზარეულოში მეტად საამო მცირე საუზმეს შეექცა. მზე ანათებდა, მოლიავებული სადარბაზო კარიდან გაზაფხულის თბილი სიო შემოქროდა. ბილბომ ხმამაღალი სტვენა წამოიწყო და კიდევაც გადაიყარა გულიდან წინადღის აბეზარი მოგონებანი. იგი უკვე საამურ მეორე საუზმეს მიირთმევდა სასადილო ოთახის ღია ფანჯარასთან მიმჯდარი, როდესაც გენდალფი შემოვიდა.

– ჩემო კარგო, – წამოიწყო მან, – წასვლას როდისლა ფიქრობ? ვინ აპირებდა, ადრიანად შესდგომოდა საქმეს? ერთი შეხედეთ – ზის და საუზმობს, თუ რა ვიცი, თავად რას ეძახის ამას, და როდის – თერთმეტის ნახევარზე! იმათ მოცდა არ შეეძლოთ და ბარათი დაგიტოვეს.

– რა ბარათი? – იკითხა საბრალო მისტერ ბეგინსმა და ისევ აფორიაქდა.

– ო, ღმერთო! – წამოიძახა გენდალფმა, – რა გემართება – დღეს მტვერიც კი არ გადაგიწმენდია ბუხარზე!

– მერედა რაო? თოთხმეტი კაცისათვის ჭურჭლის რეცხვაც მეყოფა.

– ბუხარი რომ გადაგეწმინდა, საათის ქვეშ აი, ამას იპოვიდი, – მიუგო გენდალფმა და ბილბოს წერილი გაუწოდა (რასაკვირველია, ბილბოსსავე ქალალდზე დაწერილი).

და მან წაიკითხა:

„თორინი და კომპანია მიესალმება ბილბო მპარავს! გამასპინძლებისათვის უღრმესი მადლი მოგვიხსენებია და მადლიერებითვე ვიღებთ თქვენს მიერ მოთავაზებულ პროფესიულ შემწეობას ამგვარი პირობებით: საზღაური მოგერთმევათ შემდგომ სამუშაოს აღსრულებისა, საერთო შემოსავლის (თუკი გვექნება იგი) არა უმეტეს ერთი მეთოთხმეტედის ოდენობით. სამოგზაურო ხარჯების ანაზღაურება ნებისმიერ პირობებში გარანტირებულია. დაკრძალვის ხარჯებს დავფარავთ ჩვენ ან ჩვენი წარმომადგენელი, თუკი ეს საჭირო შეიქნება და თუკი ხსენებული საკითხი სხვაგვარად არ არის მოგვარებული.

რაკიღა თქვენი ძვირფასი მოსვენების დარღვევა საჭიროდ არ ვცანით, ხოლო თავად გავემართეთ აუცილებელი თადარიგის დასაჭერად, მოველით თქვენს პატივცემულ პიროვნებას სასტუმრო „მწვანე დრაკონში" წყლის პირას, ზუსტად დღის თერთმეტ საათზე. გვწამს, არ დაგვაღალატებთ.

დავშთებით მარად თქვენი

თორინ და კომპანია"

– ასე რომ, ათი წუთილა გრჩება. გაქცევა მოგიწევს, – თქვა გენდალფმა.

– მაგრამ... – წამოიწყო ბილბომ.

– ამის დრო არ არის, – მიუგო ჯადოქარმა.

– მაგრამ... – კვლავ წამოიწყო ბილბომ.

– არც მაგის დროა! გასწი, გაიქეცი!

ბილბოს სიცოცხლის ბოლომდე არ შეეძლო მოეგონებინა, თუ როგორ აღმოჩნდა ქუჩაში უქუდოდ, უფულოდ და ხელჯოხის, აგრეთვე გარეთ გამოსვლისას ჩვეულებრივ თან წასაღები რაღაც-რაღაცეების გარეშე. მას არ მოუთავებია მეორე საუზმე, ხეირიანად არც დასარეცხი ჭურჭელი მიულაგებია, გასაღებები გენდალფს მიაჩეჩა და ახლა თავქუდმოგლეჯილი ჩარბოდა შარაზე, მისი ბალნიანი ფეხები, რაც ძალა შესწევდათ, მიქროდნენ. იგი გასცდა წისქვილს, გადაირბინა წყალგაღმა და იმას იქით კიდევ ერთი თუ ორი მილი მოიტოვა უკან.

სწორედ თერთმეტმა ჩამოკრა, როდესაც გახვითქულმა და აქოშინებულმა „მწვანე დრაკონს" მიატანა და მაშინლა აღმოაჩინა, რომ ცხვირსახოცის

გარეშეც გამოქცეულიყო!

– ბრავო! – უთხრა ბალინმა, სასტუმროს კარში რომ იდგა და მას ელოდა.

სწორედ ამ დროს დანარჩენებიც გამოჩნდნენ სოფლის გზის მოსახვევში, ყველანი პონებზე იყვნენ ამხედრებულნი, ყოველი პონი ათასნაირი ბარგით, ფუთებით, ტომრებით და ხურჯინებით დაეტვირთათ, ხოლო ერთი, ყველაზე პატარა პონი, როგორც ჩანს, ბილბოსთვის ნამოეძღვანიებინათ.

– ამხედრდით თქვენ ორნიც და წავიდეთ! – შეეხმიანათ თორინი.

– უკაცრავად ვარ, – ნამოიწყო ბილბომ, – მაგრამ მე უქუდოდ მოვედი, ცხვირსახოცებიც დამრჩა და ფულიც არ წამომიღია. რომ დავაზუსტო, თქვენი წერილი ათ საათსა და ორმოცდახუთ წუთამდე არ მიმიღია.

– შენც ნუ დაგაზუსტებ, – ურჩია დვალინმა, – და ნურც იწუხებ მაგაზე! დამიჯერე, მოგზაურობის ბოლომდე აუცილებლად მოგიწევს, ცხვირსახოცების და ბევრი სხვა სააზიზო რამე-რუმეების გარეშეც იოლას გასვლა ისწავლო. ხოლო ქუდი – მე მაქვს ზედმეტი ჩაჩი და მოსასხამი.

აი, ასე დაიწყო მათი მოგზაურობა; კარსმომდგარი მაისის ერთ მშვენიერ დილას სასტუმროდან გაჩაქჩაქდნენ დატვირთულ პონებზე ამხედრებულნი. ბილბოს ეხურა დვალინის ნათხოვები მუქი მწვანე ჩაჩი (მართალია, ცოტა გამოხუნებული) და მუქი მწვანეევე ლაბადა ეცვა. ერთიცა და მეორეც მეტად ხალვათად ადგა და ჰობიტი საკმაოდ სასაცილო შესახედი გახლდათ. იგი თავს იმითლა იმშვიდებდა, რაკი ნვერი არა მაქვს, გნომი მაინც არავის ვეგონებიო. ოჰ, რას იტყოდა მამამისი ბანგო, შვილისათვის თვალი რომ მოეკრა!

ცოტა გზა რომ გაიარეს, დიდებულ თეთრ ცხენზე ამხედრებული გენდალფიც წამოენიათ. მას თან წამოელო აუარება ცხვირსახოცები, ბილბოს ჩიბუხი და თუთუნი. ამის შემდეგ ჯგუფი ხალისით მიიწევდა წინ, ჰყვებოდნენ ამ მთისას, იმ ბარისას და მთელი დღე სიმღერებს გასძახოდნენ, გარდა, რასაკვირველია, იმ დროისა, წასახემსებლად რომ შეჩერდებოდნენ ხოლმე. ბილბო დაბეჯითებით გეტყოდათ, ამგვარ შესვენებებს არასაკმარისად ხშირად აწყობენო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე იმასაც გაიფიქრებდა ხოლმე, თავგადასავლები არც ისე ცუდი რამ ყოფილაო.

თავიდან ისინი ჰობიტთა მხარეში მგზავრობდნენ, ვრცელ და მზრუნველად ნაშენებ ქვეყანაში, სადაც გზები საგულდაგულოდ იყო მოვლილი, აქა-იქ სასტუმროები აეგოთ, ზოგჯერ კი თავისი საქმეების მოსაგვარებლად გაჩქარებით მიმავალი გლეხი თუ გნომი ხვდებოდათ. შემდეგ ისინი მიადგნენ მხარეს, სადაც ხალხი უცნაურ ენაზე საუბრობდა და მათი სიმღერებიც არასოდეს სმენოდა ადრე ბილბოს. მერე და მერე გარემო გაუდაბურდა, უკაცრიელ არემარეზე არც ხალხი ხვდებოდათ, აღარც სასტუმროები, გზები კი სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. წინ, არცთუ მოშორებით, წამოიმართნენ ხეებით

ავდაგრული პირქუში მთები, აქა-იქ მწვერვალებზე ილანდებოდა ქუშად გამომზირალი ძველი ციხეები, ისეთი, თითქოს ბოროტ ხალხს უშენებიაო. გარემო ჩამუქდა, ჩაიქუფრა და ამინდიც ერთბაშად გაუარესდა, თუმც აქამდე მაისის საუცხოო დარები იდგა. აციოდა, თითქმის გაუთავებლად ჟინჟღლავდა და მოგზაურები აღარ დაეძებდნენ, სად გაათევდნენ ღამეს, ოღონდაც ამ უდაბურ მხარეში შედარებით მშრალი ადგილი ეპოვნათ.

– რომ იკითხო, ივნისი მოდის, – ბუზღუნებდა ბილბო და მწკრივის ბოლოს მითხლაფუნებდა ლაფიან გზაზე. ჩაის დრო გადასულიყო, მთელი დღე გადაულებლად ენვიმა და ახლაც გაუთავებლად ასხამდა. ჰობიტს ჩაჩიდან თვალებში ჩამოსწურწურებდა წყალი, მოსასხამიც წყლით გაჟღენთოდა, მისი დაქანცული პონი ქვებზე მიბორძიკობდა, ხოლო აღრენილ გნომებს სალაპარაკოდ არა სცხელოდათ.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ნვიმამ მშრალ ტანსაცმელსა და საჭმლის ჩანთებშიც ჩაჟონა, – ფიქრობდა ბილბო, – რა მრჯიდა, ეს წყეული პარვა თუ რაღაც რომ ავიკიდე! ოჰ, ნეტავი ახლა ჩემს მყუდრო სოროში მამყოფა, ცეცხლის პირას, ბუხარში კი ჩაიდანი ჩუხჩუხებდეს! – რომ იცოდეთ, შემდეგაც რამდენჯერ უნატრია იგივე!

გნომები გაუჩერებლად მიჩაქჩაქებდნენ, თავსაც კი არ აბრუნებდნენ უკან და ზედაც არ უყურებდნენ გატანჯულ ჰობიტს. საღლაც, ყომრალი ღრუბლების მიღმა მზე დასავლეთით ჩაესვენა და უკვე ბინდდებოდა, როდესაც მხედრები ერთიმეორის მიყოლებით დაეშვნენ ღრმა ველისაკენ, რომლის ფსკერზეც მდინარე მიედინებოდა. ამოვარდა ქარი და მდინარის ნაპირების გასწვრივ ტირიფები აკვნესდნენ, დაიდრიკნენ. თავსხმა ნვიმებით მოდიდებული მდინარე საშიშრად მოჰქუხდა, მოისწრაფოდა ჩრდილოეთის მთა-გორებიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, გზა ძველისძველ ქვის ხიდზე გადადიოდა.

როდესაც მდინარე გადალახეს, უკვე მთლად ჩამობნელდა. ქარმა ღრუბელი გაფხრიწა და გაფრენილ ნაფლეთებს შორის მთებზე ნამომდგარი მოხეტიალე მთვარე გამოჩნდა. მაშინ მგზავრები შეჩერდნენ, თორინმა რაღაც წაიბურდღუნა ვახშმისა და „ღამისსათევად მიწის მშრალი ნაგლეჯის მოძებნის" შესახებ, და ახლაღა შეამჩნია ყველამ, რომ გენდალფი სადღაც გაუჩინარებულიყო. აქამდე იგი განუშორებლად თან ახლდა მათ, თუმც არ ამბობდა, ისიც ბოლომდე თავგადასავლის მონაწილე იყო თუ მხოლოდ დროებით დარჩებოდა მათთან; ყველაზე მეტს ჭამდა, ყველაზე მეტს ლაპარაკობდა და ყველაზე მეტს იცინოდა. ოღონდ ახლა აღარსად ჩანდა.

– სწორედ მაშინ, როდესაც ჯადოქარი ყველაზე მეტად გამოგვადგებოდა, – დაიკვნესეს დორიმ და ნორიმ (ჰობიტის არ იყოს, მათაც მიაჩნდათ, რომ დროულად,, ხშირად და ბევრი უნდა ჭამო).

ბოლოს გადაწყვიტეს, ღამე, სადაც შეჩერდნენ, იქვე გაეთიათ და, რაკი იფიქრეს, ხეების ქვეშ უფრო სიმშრალე იქნებაო, შორიახლოს კორომს შეაფარეს თავი. ქარი ქროდა, ტოტებს არხევდა და გულისგამაწვრილებლად წკაპუნობდნენ ფოთლებიდან ჩამოცვენილი ნვეთები. კოცონი კი, თითქოს ჯადოთი შეუკრავთო, არა და არ ინთებოდა. გნომებს ცეცხლის გაჩაღება შეუძლიათ სადაც გნებავთ და რისგანაც გნებავთ, არ დაგიდევენ, ქარია თუ უქარობა, მაგრამ იმ ღამეს ვერაფერი გააწყვეს, თავად ოინი და გლოინიც კი, ამ საქმეში გამორჩეულად ხელოვანნი, ვერაფერს გახდნენ.

ამის მერე იყო და, ერთი პონი რატომღაც დაფრთხა, აიწყვიტა და, სანამ მის დაჭერას მოასწრებდნენ, მდინარეში შევარდა, ხოლო სანამ წყლიდან გამოათრევდნენ, კინაღამ ფილი და კილი დაეხრჩოთ. პონის ბარგი წყალმა წაიღო, ცხადია, მისი ბარგის დიდ წილს საჭმელი შეადგენდა. ამიტომ ვახშმად სულ მცირედი რამ დარჩათ, საუზმედ კი – უფრო ნაკლებიც.

ასე ისხდნენ ყველანი დაღვრემილები, სველები და ბუზღუნებდნენ, სანამ ოინი და გლოინი ამაოდ ეწვალებოდნენ კოცონს და ერთმანეთს ედავებოდნენ. სევდას მიცემული ბილბო ნაღვლიანად ფიქრობდა, თავგადასავლები მხოლოდ პონებით გასეირნება როდი ყოფილა მაისის ალერსიანი მზით განათებულ გორაკებზეო, როდესაც ბალინმა, მუდამ გუშაგად რომ იდგა ხოლმე, წამოიძახა:

– აი, იქ შუქი მოჩანს!

შორიახლოს გორაკის ტყიანი ფერდი მაღლდებოდა, ალაგ-ალაგ ხშირად და მიჯრით ნაზარდი ხეებით დაფარული. ხეების ბნელი კედლის მიღმა უკვე ყველა ხედავდა სინათლეს, მოწითალო თბილ შუქს, თითქოს კოცონი ანთია ან ჩირაღდნები ციმციმებენო.

მათ ცოტა ხანს უცქირეს ამ შორეულ ნათებას, შემდეგ კი კამათს მოჰყვნენ. ზოგმა „ჰო" თქვა, ზოგმა „არა"; ერთნი ამბობდნენ, შეგვიძლია, მივიდეთ და შევხედოთ მაინცო, სულერთია, ასეთ მწირ ვახშამზე, კიდევ უფრო მწირ საუზმეზე და მთელი ღამე სველ ტანსაცმელში ცახცახზე უარესი აღარაფერი დაგვემართებაო. სხვები კი უარობდნენ: ამ ადგილებს ცუდად ვიცნობთ, მთები საშიშრად ახლოა, მოგზაურები აქეთ თითქმის აღარ დაიარებიან, ძველ რუკებს არ დაეჯერება, რადგან ყველაფერი შეიცვალა, გაუარესდა, გზებს კი აღარავინ იცავს. აქეთურებს მეფის სახელიც კი ძვირად სმენიათ და, საერთოდაც, რაც უფრო ნაკლებად ჩავყოფთ ცხვირს საეჭვო ამბებში, ნაკლებ ჭირს გადავეყრებითო, ამბობდნენ. ვილაცამ თქვა:

– ბოლოს და ბოლოს, თოთხმეტნი ვართ!

სხვებმა იკითხეს:

– გენდალფი სადღა გადაიკარგა?

ეს კითხვა რიგრიგობით ყველამ გაიმეორა. მერე ნვიმამ უარესად ნამოუშინა და ოინი და გლოინი საბოლოოდ ნაეკიდნენ ერთმანეთს.

ამან ეჭვებს ბოლო მოუღო.

– ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მპარავი გვახლავს, – თქვეს მათ, პონებს გაუძღვნენ და დიდი სიფრთხილითა და რაც შეიძლება ჩუმად გასნიეს ცეცხლისაკენ. სულ მალე ბორაკსაც მიაღწიეს, ტყეში შევიდნენ და აღმა აუყვნენ ფერდობს. არ ჩანდა სულ მცირე ბილიკიც კი, რომელიც სახლის ან ფერმისაკენ ნაუძღვებოდათ, თანაც, თუმც ყველა ცდილობდა, უჩუმრად ეკლო, მაინც ერთი შარიშური, ჭრიალი და ტკაცუნი ატეხეს (ამ ხმაურს ბლომად ერთვოდა ბუზღუნი და შეკურთხება), სანამ ბნელ ტყეში გზას მიიკვლევდნენ.

წითელმა შუქმა მოულოდნელად გამოანათა ხეებს შორის, პირდაპირ, არცთუ მოშორებით.

– ახლა მპარავის ჯერია, – თქვეს გნომებმა. ისინი ბილბოს გულისხმობდნენ.

– უნდა ნახვიდე და ყველაფერი შეიტყო იმ შუქის შესახებ, – უთხრა თორინმა ჰობიტს, – რისთვის ანთია, რატომ ანთია, თუ შეიძლება იქ თამამად მისვლა, გარშემო სიწყნარე თუა და ხიფათი ხომ არ გვემუქრება. ახლა გასნი და ჩქარა დაბრუნდი, და თუ საერთოდ ველარ მოდიხარ უკან – ორჯერ ბუკიოტივით დაიკივლე, ერთხელ მიკიოტივით, და ჩვენ შევეცდებით, რაიმე მოვიმოქმედოთ.

და ბილბო ისე გაუყენეს გზას, რომ მან ვერც კი მოასწრო აეხსნა დანარჩენებისათვის, ისევე მეხერხება ნებისმიერი „კიოტივით" ერთხელ მაინც დაკივლება, როგორც ღამურასავით ფრენაო. მაგრამ ის კი მართალია, რომ ჰობიტებს ძალიან ჩუმად, სულ უჩუმრად შეუძლიათ ტყეში სიარული. ამ უნარით ისინი ძალიან ამაყობენ და ბილბომ არაერთხელ ცხვირაბზუებით ჩაიფრუტუნა ამ, როგორც თავად იტყოდა, „გნომური აურზაურის" გამო, სანამ ისინი გზას მიიკვლევდნენ ხეებს შორის. ცხადია, მე და თქვენ იმ ქარიან ტყეში სულ ვერაფერს შევნიშნავდით, იქვე, ყურისძირშიც რომ ჩაევლო მთელ ამ მხედრობას, მაგრამ ბილბოს ნაბიჯები, ალბათ, მშიშარა თრითინასაც კი არ შეაკრთობდა. ამიტომაც, რასაკვირველია, მან ისე მიაღწია ტყეში დანთებულ კოცონს – ეს მისი შუქი ანათებდა სიბნელეში – რომ არავინ შეუშფოთებია. და მან დაინახა:

წიფელის მთლიანი მორებისაგან დანთებულ უზარმაზარ კოცონს სამი ვეება არსება შემოსხდომოდა გარს, გრძელ შამფურებზე ნამოგებულ ცხვრის ხორცს ბრაწავდნენ და გაქონილ თითებს ინუწნიდნენ. ირგვლივ შემწვარი ხორცის მადისალმძვრელი სუნი ტრიალებდა, იქვე, ხელმისაწვდომზე კი რომელიღაც ჩინებული სასმელით სავსე კასრი იდგა, საიდანაც ცეცხლის გარშემო მსხდარნი ვეება კათხებით ხაპავდნენ ყელის გასასველებელს. ეს ტროლები იყვნენ

– ამას თავად ბილბო, მყუდრო და აღუშფოთველ ცხოვრებას დაჩვეული ბილბოც კი მაშინვე მიხვდა, როგორც კი დაინახა მათი სიდიდე, ვეება უხეში სახეები, მათი ხელ-ფეხი. ასეთნი მხოლოდ ტროლები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ! და სულაც რომ არაფერი დაენახა, ბილბოს კარგად ესმოდა ტროლების საუბარი, რომელიც, როგორც ყველამ იცის, სრულიადაც არ არის დახვეწილი და დარბაისლური.

– გუშინლამ ცხვარი, დღეს ცხვარი, ნახავთ, თუ ხვალესაც ცხვრის ხორცი არ გვეჭყანებოდეს! – თქვა ერთმა ტროლმა.

– კიდევაც დამავიწყდა, კაცის ხორცის გემო როგორია, – თქვა მეორემ, – რას აზრობდა ეს უილიამი, აქეთ რომ მოგვათრევდა, მეც დავუჯერე, რაღა, და ახლა კიდე აზრზე მოდი – სასმელშიც გვეჭოჭება, – და მან იდაყვი გაჰკრა უილიამს, რომელიც სწორედ ამ დროს თავის კათხას ფსკერს უჩენდა.

უილიამს სასმელი გადასცდა და კინაღამ გაიგუდა.

– მოკეტე! – ამოილრინა მან, როგორც კი სული მოითქვა, – რატო გეგონა, ხალხი აქვე დასტოპავდა, შენ და ბერტმა შემჭამეო? შე ნაგავო, სოფელნახევარი შენ და მაგან რო ჩახეთქეთ, რაც მთებიდან მოვედით, რა იყო? კიდე რამე გინდათ? ის დრო წავიდა, ეხლა სუ მადლობები უნდა მიხადოთ, ეგეთ მოსუქებულ ცხვარს თუ გიშოვით, – და ბილმა ცხვრის ბარკალს, ცეცხლზე რომ ატრიალებდა, მოზრდილი ნაჭერი მოაგლიჯა კბილებით და ტუჩები სახელოთი შეიწმინდა.

სამწუხაროდ, ტროლები მუდამ ასე საძაგლად ირჯებიან (ისინიც კი, მარტო ცალი თავი რომ აქვთ). ყველაფერი რომ მოისმინა, ბილბო მიხვდა, დაუყოვნებლივ რაიმე უნდა მოვიმოქმედოო. იგი ან უჩუმრად უნდა გაბრუნებულიყო უკან და მეგობრები გაეფრთხილებინა, აქვე, ყურისძირში სამი საზარლად ზორბა ტროლი ზის, ნამდვილად მყრალ გუნებაზე არიან და სიხარულით გაუსინჯავდნენ გემოს შემწვარ გნომებს ან, მრავალფეროვნებისათვის, მათ შემწვარ პონებსო, ანარადა ოსტატური სწრაფი პარვის მოკლე ჩვენება მოეწყო. ჭეშმარიტი პირველხარისხოვანი სახელგავარდნილი მპარავი მსგავსი შემთხვევისას თავდაჯერებულად გამოუცარიელებდა ტროლებს ჯიბეებს (ეს ყოველთვის სარფიანი საქმეა, თუკი მოახერხებთ), შამფურებიდან მთელ ხორცს აწაპნიდა, გაიტაცებდა ლუდსაც და ისე გაქრებოდა, რომ ტროლები თვალსაც ვერ მოჰკრავდნენ. სხვანი, უფრო ჭკუადამჯდარი, მაგრამ პროფესიული ღირსებით ნაკლებად დაჯილდოებული მპარავები ალბათ არჩევდნენ, აუტკივარი თავი არ აეტკივებინათ და, სანამ ტროლები რამეს შენიშნავდნენ, თითოეულისათვის ხანჯალი ჩაეცათ ზურგში, შემდეგ კი ხალისიან დროსტარებაში გაელიათ ღამე.

ყოველივე ეს ბილბომ კარგად იცოდა. მას ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული ისეთი, რაც არასოდეს ენახა და არასოდეს ეკეთებინა. იგი ერთდროულად

შეეპყრო განგაშისა და ზიზღის გრძნობას და გულით სურდა, აქედან ასი მილის მიღმა ყოფილიყო გადაკარგული, და მაინც... და მაინც, როგორღაც არ შეეძლო, მაშინვე უკან გაბრუნებულიყო და თორინსა და კომპანიას აი ასე, ხელცარიელი წარსდგომოდა. ბილბო ხეების ჩრდილში იდგა და ყოყმანობდა. იმ მრავალფეროვან პარვით ხელობათაგან, რომელთა შესახებაც სმენოდა, ტროლების ჯიბების დაცარიელება ყველაზე უხიფათო საქმედ მოეჩვენა და ბოლოს და ბოლოს ფეხაკრეფით გადაინაცვლა სწორედ იმ ხის უკან, რომელსაც უილიამი იყო მიყრდნობილი.

ბერტი და ტომი კასრისაკენ გაემართნენ. უილიამმა კვლავ კათხა მოიყუდა. მაშინ ბილბომ მხნეობა მოიკრიბა და თავისი პატარა ხელი უილიამის ვრცელ ჯიბეში ჩააცურა. ჯიბეში იდო საფულე, იმოდენა, რომ ბილბოს ჩანთად გამოადგებოდა. „აჰა!" – გაიფიქრა მან, საფულე რომ ამოაცოცა. იგი თანდათან თავისი ახალი სამუშაოს ეშხში შედიოდა – „ესეც ასე – დავიწყეთ!"

ვაი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო! ტროლების საფულეები, საერთოდ, მავნე ზნით გამოირჩევიან და გამონაკლისი არც ეს საფულე გახლდათ.

– ეე, ვინ ოხერი ხარ? – დაიწრიპინა მან, როგორც კი ჯიბიდან ამოაცოცეს. უილიამი მყის შემობრუნდა და მანამ წასწვდა კისერში ბილბოს, სანამ იგი კვლავ ხის უკან შესხლტებოდა.

– ფუი! ბერტ, მოიხედე, რა გამოვიჭირე! – დაიძახა უილიამმა.

– ეს რაა? – დაეკითხნენ სხვები და მოახლოვდნენ.

– ოხ, თუ ვიცოდე! შენა, რა ხარ?

– ბილბო ბეგინსი, მპა... ჰობიტი, – მიუგო საბრალო ბილბომ. იგი ერთიანად ცახცახებდა და თანაც საგონებელს მისცემოდა, როგორ მოვახერხო და მიკიოტივით დავძახო, სანამ მიმახრჩობდნენო.

– მპაჰობიტი? – დაეკითხნენ ისინი ოდნავი შეშფოთებით. ტროლები ნელა აზროვნებენ, ამიტომ დიდი ეჭვით ეკიდებიან ყოველივე ახალს.

– არა, მაინც რა უნდოდა მპაჰობიტს ჩემ ჯიბეში? – იკითხა უილიამმა.

– შენა, მაგის შეწვა იცი? – ჩაერია ტომი.

– თუ ხოში გაქ, ცადე, – მიუგო ბერტმა და შამფური აიღო.

– ერთ ყბასაც ვერ გამომიმსებს, – შეეპასუხა უილიამი, რომელსაც ლაზათიანად ევახშმა, – ნაღდად, რა დარჩება, ტყავსაც რომ გავაძრობთ და ძვლებსაც.

– მაგისთანები რო კიდე გვქონდეს, პერაშკებს გავაკეთებდით, – თქვა ბერტმა, – ე, მოიხედე, შენისთანები ამ ახლომახლობაში კიდე დაძვრებიან? ჰა, ბინძურო კურდღელო? – შეეკითხა იგი ბილბოს, მისი ბალნიანი ტერფები რომ დაინახა, ფეხებით ასნია ჰაერში და შეაჯანჯღარა.

– კი, ბევრნი, – მიუგო ბილბომ, სანამ მიხვდებოდა, რომ მეგობრები არ უნდა გაეცა, – არა, სულ არცერთი, – დაუმატა მაშინვე.

– მაგითი რა გინდა თქვა? – დაინტერესდა ბერტი. მას ჯერ კიდევ ჰაერში გამოკიდებული ეჭირა ბილბო, ოღონდ ამჯერად თმებით.

– რაც ვთქვი, ის, – მიუგო ბილბომ. მას უკვე სული ეხუთებოდა, – და, გემუდარებით, კეთილო ბატონებო, არ შემწვათ, და არც მომხარშოთ! მე თვითონ გვარიანი მზარეული ვარ, მე უკეთ ვხარშავ, ვიდრე ვიხარშები, ალბათ, გამიგებთ. მე თქვენ დიდებულ საჭმელს მოგიმზადებთ, სრულიად განსაკუთრებულ საუზმეს მოგიმზადებთ, თუკი არ მიმირთმევთ ვახშმად.

– ეგ საწყალი ჭიალუა, – თქვა უცებ უილიამმა. მას სულ ახლახან იმდენი ეჭამა, რომ ძლივსლა ინძრეოდა, ზედაც ბლომად ლუდი დაეყოლებინა, – ეგ საწყალი ჭიალუა! გაუშვი, წავიდეს!

– არა, თუ არ მითხრა, რატო თქვა ბევრი და სუ არავინო, – გაჯიუტდა ბერტი, – არ მინდა, რო დავიძინებ, ყრონჭი გამომჭრას ვინმემ. მოდი, ცეცხლში ფეხები მოვუბრაწოთ, სანამ არ აჭიკჭიკდება!

– არა-მეთქი! – თქვა უილიამმა, – ხო მე დავიჭირე!

– შენა, არა, გასიებული შტერი ხარ! – აყვირდა ბერტი, – უკვე მანამდეც გითხარი, გასიებული შტერი!

– შენა კიდე გოიმი ხარ!

– ბილ ჰაგინს, შენ მაგას მაინც არ შეგარჩენ! – დაიღრიალა ბერტმა და უილიამს მუშტი დააკერა თვალში.

და აღიმსთო დიადი ბრძოლა. ბილბოს ეყო ჭკუა, ცოცვით გარიდებოდა მათ მძიმე ფეხებს, როდესაც ბერტმა ხელიდან გააგდო. ტროლები ერთმანეთს მოჩხუბარი ძაღლებივით წეწდნენ და გლეჯდნენ და ათასნაირი, კაცმა რომ თქვას, ზედგამოჭრილი და სრულიად შესაფერისი სახელით ამკობდნენ. მერე მოჩხუბრები ერთ გორგლად შეიკვრნენ, წიხლებისა და მუშტების ქნევით გაგორდნენ მინაზე და კინაღამ ცეცხლში ჩაცვივდნენ. ტომიც არ რჩებოდა უქმად, ორივეს გამეტებით უზაპუნებდა ვეება კეტს გრძნობაზე მოსაყვანად, რაც, ცხადია, მოჩხუბრებს უფრო და უფრო ახელებდა.

სწორედ შესაფერი დრო იყო, ბილბო შეუმჩნეველად გასცლოდა იქაურობას. მაგრამ ბერტმა თავის უზარმაზარი ტორით უმოწყალოდ დაუსრისა ჰობიტს პატარა საბრალო ფეხები, იგი იხუთებოდა, თავბრუ ესხმოდა, უმოძრაოდ იწვა ცეცხლით განათებული წრის მიღმა და ცდილობდა, სული მოეთქვა.

და ამ დროს, შუა ჩხუბისას, ბალინი გამოცხადდა. გნომებს ჩაესმათ შორიდან მოღნეული გაურკვეველი ხმები, ცოტა ხანს ამაოდ უცადეს ბილბოს გამოჩენას ან ჭოტის დაძახილს, შემდეგ კი თითო-თითოდ გამოემართნენ სინათლისაკენ, რაც შეიძლება, ჩუმად და ფეხაკრეფით.

ტომმა, როგორც კი ცეცხლის შუქზე ბალინს მოჰკრა თვალი, საზარლად დაიღრიალა. ტროლებს გნომები თვალითდასანახად ეჯავრებათ (ოღონდ

უმები). ბერტმა და ბილმა მყის შენყვიტეს ჩხუბი და ერთხმად დასძახეს: „ტომ, ჩქარა, ტომარაო!" და სანამ ბალინი იდგა და არკვევდა, ამ არეულობაში სად შეიძლებოდა ყოფილიყო ბილბო, ტროლებმა თავზე ტომარა ჩამოაცვეს და დაბლა დასცეს.

– კიდე იქნებიან, – თქვა ტომმა, – ან მაგრა მეშლება. ეს არი, ბევრი და სუ არავინო, – დაუმატა მან, – სუ არ არიან მპაჰობიტები, ეგ გნომები კი ბევრი არიან. აგრეა, ჰო.

– სწორია, ხო იცი, – დაეთანხმა ბერტი, – მოდი, სინათლედან გავიდეთ.

ასეც მოიქცნენ. მოიმარჯვეს ტომრები, რომლითაც ცხვრის ხორცსა და ნაძარცვს დაატარებდნენ, და სიბნელეში ჩასაფრდნენ. როგორც კი გამოჩნდებოდა ხოლმე მორიგი გნომი და გაოცებული მიაჩერდებოდა ცეცხლს, აყირავებულ ვეება კათხებსა და ნამუსრევ ძვლებს, ჰოპ! აყროლებული გაზინთული ტომარა თავზე ჩამოეცმებოდა და დაბლა სცემდა. მალე ბალინს გვერდით დვალინი მიუწვა, ფილიმ და კილიმ ერთად გაიზიარეს მათი ბედი, ცალკე დაახორავეს დორი, ნორი და ორი, ხოლო ოინი, გლოინი, ბიფური, ბოფური და ბომბური ერთმანეთზე მიყარეს ცეცხლის პირას.

– ეხლა მაგენს ჩვენ სეირს ვუჩვენებთ, – ჩაიბურდღუნა გაავებულმა ტომმა: ტროლებმა დიდი ჯაფა გასწიეს ბიფურისა და ბომბურის დასაჭერად, რომელნიც გახელებით იბრძოდნენ, როგორც საერთოდ გნომთა წესია ჭირსა შიგან.

სულ ბოლოს თორინი გამოჩნდა. მისი დაჭერა ისე, რომ გონს მოსვლა არ ეცლიათ, ტროლებმა ველარ მოახერხეს – ოუკენშილდს ხიფათის მოლოდინი ჰქონდა და ტროლების ტომრებიდან გამოჩრილი ფეხების დანახვა არ დასჭირვებია იმის მისახვედრად, საქმე კარგად ვერ არისო. იგი მოშორებით შეჩერდა ხეებს ამოფარებული და იკითხა:

– რა ამბავია აქ? ვინ ებრძვის ჩემს ხალხს?

– ტროლები! – მიუგო ხის უკან ჩამალულმა ბილბომ, რომელიც უკვე ყველას დავინყებოდა. – მათ ტომრები უჭირავთ და ბუჩქებში იმალებიან, – შეატყობინა თორინს.

– ო! მაშ, იმალებიან! – წამოიძახა თორინმა, მყის ცეცხლთან მიიჭრა, სანამ ტროლები დააცხრებოდნენ, კოცონიდან ვეებერთელა მუგუზალი გამოიტაცა და ცეცხლოვანი ბოლოთი ბერტს თვალში სთხარა. ამან ბერტი ცოტა ხნით ბრძოლას გამოთიშა. ბილბოც არ დარჩენილა უქმად, თორინს მიეშველა და მთელი ძალით ჩაებღაუჭა ტომის მორივით სქელ ფეხს, მაგრამ მაშინვე ტრიალ-ტრიალით გაფრინდა სადღაც, ბუჩქების მილმა, რადგან ტომმა ფეხი გაიქნია და თორინს ღადარი შეაყარა სახეში, რის პასუხადაც ლაზათიანი დარტყმა დაიმსახურა მუგუზლით კბილებში და ერთი წინა კბილიც დაკარგა. ო, რომ გესმინათ, რარიგ ღრიალებდა! მაგრამ სწორედ ამ დროს უილიამი უკნიდან

The Trolls.

ტროლები

მიეპარა თორინს და თავიდან ფეხებამდე ჩამოაცვა ტომარა. ამგვარად დასრულდა ბრძოლა, რომლის შედეგიც გნომებისათვის მთლად სახარბიელო ვერ იყო: ახლა ყველანი საგულდაგულოდ შეკრულნი იწვნენ ტომრებში, მათ გვერდით მიჯდომოდა სამი გაავებული ტროლი (ორი სამახსოვროდ ნაუჭეი და დამწვარი) და ბჭობდნენ, ნელ ცეცხლზე შეეწვათ ტყვეები, აექნათ და ისე ჩაეხობბათ თუ სათითაოდ დამსხდარიყვნენ ტომრებზე და ფაფად ექციათ ყველანი. კანდაწყლულებული და ტანსაცმელშემოფლეთილი ბილბო კი სადღაც ბუჩქებში გაჩხერილიყო და იმის შიშით, ტროლებმა არ გამიგონო, განძრევასაც ვერ ბედავდა.

და სწორედ ამ დროს გენდალფი დაბრუნდა. ოლონდ იგი არავის დაუნახავს. ტროლებს ის იყო გადაეწყვიტათ, გნომები ახლა შევწვათ და მოგვიანებით შევჭამოთო. ეს ბერტის აზრი გახლდათ და დიდი დავის შემდეგ მას დანარჩენებიც დაეთანხმნენ.

– ვითომ რატომ შევწვათ ახლა, თელი ღამე მაგაში წავა, – გაისმა ხმა. ბერტმა იფიქრა, უილიამი ლაპარაკობსო.

– ეხლა თავიდან ნულა მოყვები მაგაზე, – თქვა მან, – თორე თელი ღამე მაგაში წავა.

– ვინ მოყვება თავიდან? – შეეკითხა უილიამი, რომელსაც ეგონა, რომ ბერტმა წამოიწყო საუბარი.

– შენა, – მიუგო ბერტმა.

– იტყვილები, – არ დაუთმო უილიამმა და ტროლები კვლავ გაცხოველებულ კამათს მოჰყვნენ. ბოლოს, როგორც იყო, შეთანხმდნენ, გნომები კარგად ავქნათ და მოვხარშოთო. მოათრიეს უზარმაზარი მურიანი ქვაბი და დიდი ბასრი დანები მოიმარჯვეს.

– კაი არ იქნება, რო მოვხარშოთ! წყალი სუ არა გვაქ, წყარომდე კი რა ნავა, და საერთოდ, – თქვა ხმამ. ბერტმა და უილიამმა გადაწყვიტეს, ტომიაო.

– მოკეტე, – ერთხმად შეუტიეს მათ ტომს, – თორე ასი ნელი ვერ მოვრჩებით და შეიძლება შენ თითონვე გაშოვიოთ წყალი, თუ არ მოკეტავ!

– შენ თითონ მოკეტე! – იყვირა ტომმა, რომელმაც იფიქრა, უილიამის ხმა მესმოდაო, – ნეტა შენს მეტი ვინ იწყებს!

– რეგვენი ხარ! – დაუღრიალა უილიამმა.

– შენ თითონ ხარ რეგვენი! – არ შეეპუა ტომი.

ასე რომ, კამათი თავიდან დაიწყო, ადრინდელზე კიდევ უფრო ცხარე, და დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა, სანამ ტროლებმა არ დაასკვნეს, ყველაფერს აჯობებს, რიგრიგობით დავსხდეთ ტომრებზე და გავჭყლიტოთ გნომები, მოხარშვით კი სხვა დროს მოვხარშოთო.

– ჯერ რომელს დავაჯდეთ? – იკითხა ხმამ.

– ჯერ ბოლო ტიპს, – თქვა ბერტმა, რომელსაც თორინმა თვალი დაუზიანა და რომელიც ფიქრობდა, ტომი ლაპარაკობსო.

– შენს თავს რას ელაპარაკები! – ჩაიბუზღუნა ტომმა, – მაგრამ თუ ბოლოს გინდა დააჯდე, დააჯექი. რომელი იყო?

– ყვითელწინდებიანი, – თქვა ბერტმა.

– არაფერიც, შავწინდებიანი, – შეეკამათა მას ხმა, რომელიც უილიამისას ჰგავდა.

– გეუნები, ვიცი, ყვითლიანი! – გაბრაზდა ბერტი.

– კი, ყვითელი იყო, – თქვა უილიამმაც.

– მერე რას ამბობდი, შავიო! – დაუყვირა ბერტმა.

– არა, მე არ მითქვია, ტომმა თქვა.

– სწორედ რო მე არ მითქვია! – ახლა ტომი აყვირდა, – შენ იყავი.

– ორი კაცი რო გეუნება, უნდა მოკეტო, – ურჩია ბერტმა უილიამს.

– არა, შენ მაგას ვის ეუბნები! – არ ცხრებოდა უილიამი.

– მორჩი ეხლა! – შეუტიეს ტომმა და ბერტმა ერთხმად, – ღამე თავდება, მალე განთიადი იქნება!

– განთიადი მოგისწრებთ, გაქვავება მოგიწევთ! – გაისმა ხმა, რომელიც უილიამისას ჰგავდა. მაგრამ ეს არ იყო უილიამი, რადგან სწორედ ამ დროს მთის იქიდან სინათლე ამოჩნდა და ტოტებში ხმამაღლა აჭიკჭიკდნენ ჩიტები. უილიამი უკვე ველარაფერს იტყოდა, იგი, როგორც იყო წინ ნახრილი, ისევე გაშეშდა ქვად ქცეული. უილიამს მიჩერებული ბერტი და ტომიც გაქვავდნენ. ასე დგანან ისინი დღემდე, ყველასგან მიტოვებულნი, მხოლოდ ჩიტები თუ ასხდებიან ხანდახან. ტროლები ხომ, როგორც, ალბათ, გსმენიათ, განთიადამდე მიწას უნდა მოეფარონ, რადგანაც მზის სხივები კვლავ გადააქცევთ მთის ლოდებად, რისგანაც შექმნილან უხსოვარ დროს, და ველარასოდეს გაცოცხლდებიან. სწორედ ასე მოუვიდათ ბერტს, ტომს და უილიამს.

– მშვენიერია! – თქვა გენდალფმა, ხის უკნიდან გამოვიდა და ბილბოს ეკალ-ბარდებიდან ამოცოცებაში მიეხმარა. და ბილბო ახლალა მიხვდა, რა მოხდა! ეს ჯადოქრის ხმა გაისმოდა, ამ ხმის გამო ჩხუბობდნენ და კამათობდნენ ტროლები, სანამ განთიადმა არ მოუსწროთ და არ გაქვავდნენ.

ბილბომ და გენდალფმა მყის გაათავისუფლეს და ტომრებიდან ამოსხეს გნომები. მათ სული ეხუთებოდათ და, რასაკვირველია, ვერ იყვნენ ხასიათზე, მით უმეტეს, რომ კარგად ესმოდათ, როგორ ეპირებოდნენ ტროლები მათ შებრანვას, გაჭყლეტვასა თუ აკუნვას. გნომებმა ბარეორჯერ მოაყოლეს ბილბოს, რა და როგორ მოხდა, და მერელა დაცხრნენ.

– ნახა, რალა, დრო ბაცაცობისა და ჯიბგირობისათვის! – აბუზღუნდა ბომბური, – როდესაც მხოლოდ საჭმელი და ცეცხლი გვჭირდებოდა!

– აი, მაგას კი ნამდვილად არ დაგანებებდნენ ის ჯეელები უბრძოლველად, – ჩაერია გენდალფი, – მაგრამ, ასეა თუ ისე, ახლა დროს ვკარგავთ. ხომ ხედებით, რომ ტროლებს სადმე ახლომახლო გამოქვაბული ან სორო უნდა ჰქონდეთ გამოთხრილი, სადაც მზის სხივებს დაემალებოდნენ. ჩვენ იქ უნდა შევიხედოთ!

მათ მიჩხრიკ-მოჩხრიკეს იქაურობა, მალევე იპოვეს ტროლების ქვის ტერფების ნაკვალევი ხეებს შორის და ალმა ფერდობზე შეუყვნენ გზას. ცოტა ხნის შემდეგ მიადგნენ ბუჩქებში დამალულ გამოქვაბულს, რომლის შესასვლელსაც დიდი ლოდის კარი ჰფარავდა. მაგრამ კარი არ იღებოდა არც ძალით – ისინი ჯერ ყველანი ერთად დაეჯაჯგურნენ კარებს – და არც გენდალფის ნაირგვარი ჯადო-შელოცვებით.

– ეს ხომ არ გამოდგებოდა? – იკითხა ბილბომ, როდესაც უკვე ყველა დაიქანცა და გაავდა, – მე ეს მინაზე ვიპოვე, იქ, სადაც ტროლები ჩხუბობდნენ. – და გამოაჩინა უშველებელი გასაღები, რომელიც უილიამს, ალბათ, ერთი ციცქნა და საიდუმლო ეგონა. საბედნიეროდ, იგი ტროლს მანამ დაჰკარგვოდა, სანამ ქვად გადაიქცეოდა.

– აქამდე რას გვაწვალებდი! – შეუძახეს ბილბოს. გენდალფმა ხელი სტაცა გასაღებს და ჭუჭრუტანას მოარგო. ამის შემდეგ ქვის კარს ერთი ძლიერი მიწოლაც დასჭირდა და იგი მძიმედ გადმოიხსნა. მგზავრები გამოქვაბულში შევიდნენ და მიმოიხედეს. მინაზე ძვლები ეყარა, ჰაერში სიმყრალე დაგუბებულიყო, მაგრამ იქვე ნახეს სურსათის გვარიანი მარაგიც. საჭმელი დაუდევრად ეყარა თაროებსა და მინაზე, პირდაპირ ტროლთა ნაძარცვ-ნაალაფარი ნივთების უწესრიგო გროვათა შორის. რას არ ნახავდით იქ – მიმობნეულ სპილენძის ღილებსაც და კუთხეში მიდგმულ, ოქროს მონეტებით პირთამდე მოყრილ ქოთნებსაც. კედლებზე უამრავი ტანსაცმელი ეკიდა, ტროლებისათვის მეტად პატარა, ალბათ, მსხვერპლებს თუ გახადეს. ტანსაცმელებს შორის კი მოჩანდა რამოდენიმე მახვილი, სხვადასხვაგვარად ნაჭედი, სხვადასხვა ფორმისა და ზომის. ორი სხვებზე მეტად იტაცებდა თვალს ლამაზი ქარქაშებისა და მოოჭვილ ვადათა გამო.

გენდალფმა და თორინმა სწორედ ეს ხმლები დაითითოვეს. ბილბომაც შეარჩია თავისთვის ტყავისბუდიანი დანა. ტროლს ის პაწაწინა ჯიბის ჯაყვად თუ გამოადგებოდა, ჰობიტი კი მოკლე ხმალივით დაიპყრობდა.

– ოჰო, ჩინებული პირებია, – თქვა ჯადოქარმა, სანახევროდ ამოზიდა ხმლები ქარქაშიდან და ყურადღებით დააცქერდა. – ისინი არც ტროლებს უჭედიათ, არც აქაურ ან ამ დროის მჭედელ ადამიანს უწრთია. როდესაც ჩვენ ზედ ამოტვიფრული რუნების ამოკითხვას შევძლებთ, მეტს შევიტყობთ მათ შესახებ.

– მოდი, გავიდეთ ამ საზიზღარი სუნიდან! – დაიკვნესა ფილიმ.

მათ გარეთ გაზიდეს მონეტებიანი ქოთნები, ხელუხლებელი და საჭმელად გამოსადეგი საკვები და მთელი კასრი ელი, ჯერაც გაუხსნელი. ამ დროისათვის ყველას ლაზათიანად მოშიებოდა, ამიტომაც ტროლების სარჩოს ცხვირი აღარ აუბზუეს. მათი საკუთარი საგზალი ძალიან მწირ სუფრას გაუშლიდათ, ახლა კი იშოვნეს პური და ყველი, უამრავი ელი და ლორიც, კოცონის ნაკვერჩხლებზე შესაწვავად.

საუზმის შემდეგ ღამენატეხმა მგზავრებმა დაიძინეს და შუადღემდე აღარაფერი გაუკეთებიათ. შემდეგ მოიყვანეს პონები, ოქროთი სავსე ქოთნები გადაზიდეს და გზის შორიახლოს, მდინარის პირას საიდუმლოდ დაფლეს. სამალავი უამრავი ჯადო-შელოცვით შეკრეს, რათა, თუკი ოდესმე უკან დაბრუნდებოდნენ, ხელუხლებელი განძი ამოეთხარათ. ამ საქმეს რომ მორჩნენ, ყველანი ამხედრდნენ და კვლავ აღმოსავლეთისაკენ გაჩქარდნენ ბილიკზე.

– შეიძლება გკითხო, სად იყავი ნასული? – ჰკითხა თორინმა გენდალფს, გვერდიგვერდ რომ მიდიოდნენ.

– ნინ გასახედად, – მიუგო მან.

– ასე დროულად როგორღა მობრუნდი?

– უკანაც მოვიხედე, – იყო პასუხი.

– მართლაც! – ჩაიბურდღუნა თორინმა, – მაგრამ უფრო ზუსტად ვერ მეტყოდი?

– მე ნინ გავსწიე, გზა რომ დამეზვერა – მალე ჩვენი გზა ძნელი და სახიფათო გახდება. იმაზეც ვფიქრობდი, როგორ შეგვევსო სურსათის მარაგი. ძალიან შორს არც ნავსულვარ, რომ ორ ჩემს მეგობარს გადავეყარე, ველვარდნილის მცხოვრებლებს.

– ეგ სადღაა? – დაეკითხა ბილბო.

– ნუ მაწყვეტინებ! – მიუგო გენდალფმა, – თუ ილბლიანად ვიცლით, თავად მიხვალ იქ რამდენიმე დღეში და ყველაფერს შეიტყობ. როგორც ვამბობდი, ელრონდის ხალხი შემომხვდა, ჩქარობდნენ, რადგანაც ტროლების შიში ჰქონდათ. სწორედ მათ მითხრეს, რომ სამი ტროლი მთებიდან დაეშვა და გზის შორიახლოს ტყეებში დაბინავდა. და რადგანაც ამ არემარედან უკვე ყველა გააფრთხეს და გადახვეწეს, ახლა შორიდან მოსულებს უსაფრდებიან გზაზეო. მაშინვე გულმა მითხრა, რომ უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი. უკან რომ მოვიხედე, შორს ცეცხლი დავინახე და მისკენ გავემართე. მერე რა მოხდა, თქვენც იცით და გეხვეწებით, სხვა დროს ცოტა უფრო ფრთხილად იყავით, თორემ ასე ვერსადაც ვერ მივალთ.

– მადლობა მომიხსენებია, – უთხრა თორინმა.

3 ხანმოკლე შესვენება

იმ დღეს მგზავრები აღარ მღეროდნენ და აღარ ყვებოდნენ ძველ ამბებს, თუმც ამინდი გაუმჯობესდა. აღარ მღეროდნენ არც მეორე დღეს, არც იმის მომდევნო დღეს. მათ იგრძნეს, რომ ხიფათი ცხრა მთას გადაღმა აღარ იყო გადაკარგული, იგი ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულიყო. ღამეებს ვარსკვლავების ქვეშ ათევდნენ და მათ პონებს პატრონებზე მეტი საკვები ჰქონდათ, რადგან გარშემო მწვანე ბალახი ხასხასებდა, მგზავრთა ჩანთებში კი ბევრი აღარაფერი რჩებოდა, თუნდაც ტროლების მარაგიც მიგვეთვალა.

ერთ დღესაც მდინარეს გადავიდნენ ფონით ფართო და თავხელ ალაგას, კენჭებისა და ქაფის ხმიანობით რომ იყო სავსე. გალმა ნაპირი ციცაბო და ლიპი იყო, ისინი დაქვეითდნენ, წინ გაუძღვნენ პონებს და როდესაც ფერდობი ალიეს, დაინახეს, რომ უზარმაზარი მთები მოახლოებულიყვნენ და თავს წამოსდგომოდნენ მოგზაურებს, ისე ჩანდა, თითქოს უახლოეს მთასთან მისასვლელად ერთი დღის ნება-ნება სიარული თუ დასჭირდებოდათ. მთა იყო ბნელი და ქუში, თუმც აქა-იქ მის რუხ კალთებზე მზის ლაქები ეყარა, ხოლო მის მიღმა მკრთალად ბზინავდნენ თოვლიანი მწვერვალები.

– ეს ის მთაა? – იკითხა ბილბომ თრთოლვით, გაოცებისაგან თვალები დამრგვალებოდა. მას ცხოვრებაში არაფერი ენახა ასეთი უზარმაზარი.

– ცხადია, არა, – მიუგო ბალინმა, – ეს მხოლოდ ნისლიან მთათა მისადგომებია. ჩვენ ან მაღლივი ბილიკებით, ან მინისქვეშა გვირაბებით როგორმე უნდა გავაღწიოთ იმ მთაგრეხილში, რათა გადაღმა, ველურ მხარეში მოვხვდეთ. და იქიდანაც დიდი ძალი გზაა ეულ მთამდე, სადაც სმაუგი გაშოტილა ჩვენს საუნჯეზე!

– ოო! – თქვა ბილბომ და ისეთი დაღლილობა მოეძალა, მანამდე რომ არასოდეს უგრძვნია. კიდევ ერთხელ მოინატრა თავისი კეთილნაგები სორო, მოხერხებული სავარძელი ცეცხლის პირას, საყვარელ მოსასვენებელ ოთახში, ამღერებული ჩაიდანი მოიგონა. ვაი, რომ არა ბოლოჯერ, არა უკანასკნელად!

წინ ახლა გენდალფი მიუძღოდათ.

– გზას არ უნდა ავცდეთ, თორემ შავი დღე დაგვადგება, – თქვა მან, – ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საკვები და დასვენება ისე, რომ შიში არაფრისა გვქონდეს. ნისლიან მთებს კი უეჭველად მართალი ბილიკით უნდა შეუყვეთ, თორემ გზა დაგებნევათ, დაიკარგებით და უკან გამობრუნება მოგინევთ სწორ

გზაზე დასადგომად, თუკი საერთოდ შეძლებთ უკან მობრუნებას.

– ახლა საითკენ მივდივართ? – დაეკითხნენ ჯადოქარს გნომები.

– ზოგმა, ალბათ, კიდევაც იცით, ველური მხარის კიდეს მოვაწიეთ. სადღაც ჩვენს წინ ველვარდნილის ჯადო-ველია მიმალული. იქ, ბოლო შინაურულ ბინაში ელრონდი სახლობს. ჩემს მეგობრებს ამბავი დავაბარე და იქ უკვე მიგველიან.

საამო და გულსმოსაფენი იყო ამის გაგონება, მაგრამ იქამდე ჯერ არ მიელწიათ, და არც ისე იოლი იყო მთაგრეხილის დასავლეთი მხარის ბოლო შინაურული ბინის პოვნა. არც ხეები, არც მდელოები, არცთუ გორაკები მოჩანდა სადმე, თვალს რომ შეესვენა. მხოლოდ უკიდეგანო ფერდობი მაღლდებოდა კვლავ და კვლავ, რათა უახლოესი მთის კალთას შერთვოდა; რუხი, ნაშალი კლდისფერი ედო ამ ფართო მიდამოს, ალაგ-ალაგ კი ხავსისფერი მწვანე ლაქები ტენიან-ნყლიან ღრმულებს ამხელდა.

დილა გარდახდა, მოშუადღევდა. მაგრამ მდუმარე ხრიოკზე ბინის ნასახიც არ ჩანდა. მგზავრებს მოუთმენლობა მოეძალათ, ისინი ხვდებოდნენ, რომ მათგან მთებამდე ნებისმიერ ადგილას შეიძლებოდა სახლი ჩამალულიყო – ისინი ზოგჯერ ზედ ადგებოდნენ ანაზდეულ ველებს, ვიწროდ ჩავარდნილს ციცაბო კლდეთა შორის, და გაოცებით ჩასცქეროდნენ მის ფსკერზე მდინარე წყალს, ნაპირებზე ამოზრდილ ხეებს. გზად ხვდებოდათ ხრამები, იმდენად ვიწრო, რომ გულმაგარი კაცი ზედ გადახტომასაც გაბედავდა, მაგრამ თავბრუსდამხვევად ღრმა, მათი უჩინარი ფსკერებისაკენ მაღალი ჩანჩქერები ჩაჰქუხდნენ. ხვდებოდათ ბნელი ხევებიც, რომელთაც ვერც ზედ გადაევლებოდი და ვერც შიგ ჩაცოცებას მოახერხებდი. ზოგჯერ თვალნინ ეშლებოდათ თვალისგასახარად მწვანე მაცდური საფლობები, ერთიანად მოჩითული ნერწეტა ჭრელი ყვავილებით, ოღონდაც იქ უზრუნველად შეხეტებული დატვირთული პონი ველარასოდეს გამოალწევდა უკან.

ფონიდან მთებამდე მართლაც წარმოუდგენლად ფართო, თვალუწვდენელი მხარე გადაშლილიყო. ბილბოს გაოცება იპყრობდა. ერთადერთი ბილიკი თეთრი ქვებით მოენიშნათ, რომელთაგან ზოგი პატარა და შეუმჩნეველი იყო, ზოგიც სანახევროდ ჩაფლულიყო ხავსსა და ღვიებში. გენდალფის მეგზურობითაც კი გზას მეტად ნელა მიუყვებოდნენ, თუმც ჯადოქარი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ბილიკს. იგი თავს ატრიალებდა, ქვა-ნიშნებს აკვირდებოდა და წვერებს არხევდა. მის ნაჩვენებ გზას მისდევდნენ დანარჩენნი. დღემ ქრობა იწყო, მათ ძიებას კი ბოლო არ უჩანდა. ჩაის დრომ გადაიარა, მალე მას უიმედოდ მიჰყვებოდა ვახშმის ჟამიც. გარშემო ღამის ჰეპლები დაფარფატებდნენ, დღის შუქი ილეოდა, მთვარე კი ჯერ არ ამოსულიყო. ბილბოს პონი ქვებსა და ბილიკზე ამოჩრილ ფესვებზე აბორძიკდა. და მგზავრები ისე ანაზდად

გადაანყდნენ დაქანებულ ციცაბო დაღმართს, რომ გენდალფის ცხენი ლამის ფერდობზე დაცურდა.

– როგორც იქნა, მოვედით! – ნამოიძახა ჯადოქარმა. დანარჩენებიც გარშემო შემოეჯარნენ მას და ფერდობზე გადაიხედეს. შორს, დაბლა ველობი გადაშლილიყო. გაისმოდა ქვის კალაპოტში მორაკრაკე წყლის ხმა, ჰაერში ხეების სუნი დარიალებდა, ხოლო მდინარის გადაღმა, ველის კიდეზე სინათლე ილანდებოდა.

ბილბოს სამუდამოდ დაახსომდა, როგორ ეშვებოდნენ ციცაბო, დაკლაკნილ ბილიკზე ფორხილითა და სრიალით ველვარდნილის ფარული ველისაკენ. დაბლა და დაბლა სულ უფრო თბებოდა ჰაერი, ფიჭვების სურნელი რულს გვრიდა, ბილბო ყვინთავდა და პონის ზურგიდან ცურდებოდა, ზოგჯერ კი ცხვირს ახლიდა მის ფაფრიან კისერს. ყოველი ნაბიჯი მგზავრებს ხალისსა და მხნეობას მატებდა. ისინი უკვე მუხებსა და წიფლებს შორის მიდიოდნენ მოალერსე ბინდში. გარემოს სიმწვანე ჩამონოლილ ბნელში ინთქმებოდა, როდესაც, როგორც იყო, მიადგნენ ბორცვს, მდინარის ჩქერებს რომ გადასცქეროდა.

– ჰმ... ელფების სუნი მცემსო! – გაიფიქრა ბილბომ და ვარსკვლავებს ახედა, ცისფერ და კაშკაშა ვარსკვლავებს. სწორედ ამ დროს მათ ყურს მოკისკასე სიმღერის ხმა მისწვდა:

ო, აქ რას აკეთებთ ერთად,
ან საით მიდიხართ, ნეტავ?!
უნდა დაჭედოთ პონები,
მდინარე მოღელავს გორებით,
ტრა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლი, ტრა-ლა-ლე,
იქ, დაბლა, მომწვანო ტრამალზე.

ო, აქ რას დაეძებთ ერთად,
ან რას საქმიანობთ ნეტავ?
ფიჩხი აბოლდება ხველებით,
ცეცხლზე გამოცხვება კვერები,
ო, ტრა-ლა-ლი, ტრა-ლა-ლე, ტრა-ლა-ლა,
ველი მხიარულობს,
ჰა-ჰა-ჰა!

ო, საით მიდიხართ ერთად,
წვერების ცანცარით, ნეტა?
არავინ იცის ნამდვილი,
თუ რისთვის მოვიდა ბეგინსი,
ბალინი, დვალინი
რად თელენ კოინდარს
ძირს, ველზე,
ივნისში,
ჰი-ჰი-ჰი!

ნეტავ, აქ დარჩენას აპირებთ
თუ ფრენით გადუვლით ნაპირებს?
გზას ასცდნენ პონები თქვენი,
ილევა სინათლის ფერი,
რა სისულელეა გაფრენა,
ნამდვილად სჯობია დარჩენა!
დილამდე დაუგდეთ ყური,
სანამ ბნელს წაუვა სული,
ამ ჩვენს სიმღერას –
ტრი-ლი-ლი!

ისინი იცინოდნენ და მღეროდნენ ხეებს შორის და ოდნავადაც არ შეწუხდებოდნენ, რომ გეთქვათ, გვარიან აბდაუბდასაც ჩმახავთო. ამის გაგონებაზე კიდევ უფრო გაიცინებდნენ ელფები – რასაკვირველია, ელფები იყვნენ! მალე ბილბომ მათ ლანდებსაც მოჰკრა თვალი ჩამოწოლილ ბინდში. ბილბოს უყვარდა ელფები, თუმც ძალიან იშვიათად ხვდებოდა მათ და ცოტათი კიდეეც უფრთხოდა. ხოლო გნომები დიდად არ სწყალობენ ელფებს. თავად თორინისა და მის ძმობილთა მსგავს ღირსეულ გნომებსაც კი ელფები სულელებად მიაჩნიათ (რაც თავისთავად დიდი სისულელეა) და ბრაზდებიან მათზე, რადგანაც ზოგი ელფი დასცინის ხოლმე გნომებს, განსაკუთრებით მათ გრძელ წვერებს აყრიან ხოლმე სიცილს.

– დახეთ, დახეთ! – გაისმა ხმა, – ერთი შეხედეთ! ჰობიტი ბილბო პონიზე ამხედრებულა! ჩინებულია!

– გასაოცარი საქმეა!

და მათ ნამოიწყეს სხვა სიმღერა, ისეთივე აბდაუბდა, როგორსაც მანამდე მღეროდნენ. ბოლოს ერთი მალალი მოხდენილი ჭაბუკი გამოსცდა ხეებს და თავდადრეკით მიესალმა გენდალფსა და თორინს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! – თქვა მან.

– გმადლობთ, – მიუგო თორინმა მშრალად. გენდალფი კი უმალ დაქვეითდა, ელფებში გაერია და მხიარული საუბარი გააბა.

– თქვენ ოდნავ ასცდით გზას, – თქვა ელფმა, – თუკი, ცხადია, იმ ერთადეთ ბილიკს ეძებთ, წყალზე რომ გადადის და მდინარის გადაღმა სახლისკენ მიემართება. ჩვენ გიჩვენებთ მართალ გეზს, ოღონდ ხიდზე გადასვლისას სჯობს, დაქვეითდეთ. არ შეყოვნდებით ჩვენთან ერთად სამღერლად? თუ გიჯობთ, უმალ განაგრძოთ გზა? იქ ვახშამი მზადდება, – დაუმატა მან, – კვამლი მოდის კერძის მოსახარშად ანთებული კოცონებიდან.

თუმცა ბილბო ძალიან იყო დაღლილი, მაინც სიამოვნებით დარჩებოდა ელფებთან. ივნისის ღამეს ვარსკვლავიანი ცის ქვეშ ელფების სიმღერა გამოსატოვარი რამ როდია, თუკი, ცხადია, გულს გხვდებათ ამგვარი რამეები. ჰობიტს უნდოდა, თავადაც შეხმიანებოდა, გამოლაპარაკებოდა ხალხს, რომელთაც იცოდნენ მისი სახელი, იცოდნენ, ალბათ, ყველაფერი მის შესახებ, თუმცა თავად მანამდე არასოდეს ენახა ისინი. ნეტავ, რას ფიქრობდნენ ელფები მისი მოგზაურობის თაობაზე? მათ ხომ ბევრი, ბევრი რამ იციან, უჩვეულოდ სწრაფად ჰკრეფენ ახალ ამბებს და ქარის უსწრაფესად შეიტყობენ ხოლმე, რა ხდება და რას საქმიანობს ხალხი უცხო მხარეში.

მაგრამ გნომებს უკლებლივ ყველას ვახშამი სურდა, თანაც რაც შეიძლება მალე, ამიტომ აღარ შეჩერებულან. გაუძღვნენ პონებს და გასწიეს, მალე გავიდნენ კარგად გატკეპნილ ბილიკზე და ბოლოს მდინარესაც მიადგნენ. ჩქერალი სწრაფად და ხმაურით მიქროდა, ასე მიიჩქარიან ხოლმე ზაფხულის საღამოს მთის ნაკადები, მთელ დღეს მაღლა მზის გულზე გამთბარი თოვლისაგან ჩამოწურულნი. მდინარეზე ვიწრო, უმოაჯირო ქვის ხიდი გადადიოდა, სწორედ იმხელა, რომ ზედ პონის გაევლო. მგზავრებმა ფრთხილად, დაწალიკებით გადაიარეს ხიდი, ყველას თავ-თავისი პონი მიყავდა აღვირით. ელფებმა მდინარესთან ბრდღვიალა სანთურები მოიტანეს და კვლავ წამოიწყეს მხიარული სიმღერა, თანაც სიცილ-ხარხარით მიაცილებდნენ სტუმრებს.

– ნუ, ნუ ჩაანობ წვერებს მდინარეში, მამილო! – ეძახდნენ ისინი თორინს, რომელიც წელში მოკაკულიყო და ლამის დაოთხილი გადადიოდა ვიწრო ხიდზე, – ისედაც გრძელია, დალბობა აღარ სჭირდება!

– უფრთხილდით, არ შეაჭამოთ ბილბოს ყველა ნამცხვარი! – იცინოდნენ ელფები, – ასეთი მსუქანი როგორლა გაძვრება გასაღების ჭუჭრუტანაში!

– ჩუ, ჩუმად, კეთილო ხალხო! და ღამე მშვიდობისა! – მიუბრუნდა მათ გენდალფი, მწკრივის ბოლოში რომ მიდიოდა, – ველებსაც ასხიათ ყურები, ხოლო ზოგიერთ ელფს მეტად უხრუნველი ენა ჰქონია. ღამე მშვიდობისა!

და ბოლოს, მგზავრებმა მიაღწიეს ბოლო შინაურულ ბინას, რომლის კარიც ფართოდ გაეღოთ სტუმრების დასახვედრად.

საოცარია, მაგრამ სასიამოვნო ამბებზე და საამოდ გატარებულ დღეებზე ბევრს ვერაფერს მოყვები და მოსასმენიც ბევრი არაფერია ხოლმე. უსიამო, ამაფორიაქებელი და ამაზრზენი ამბები კი ენას მოღლიან და მსმენელიც არ დაგელევა. მგზავრები დიდხანს დარჩნენ ამ მშვენიერ სახლში, სულ თოთხმეტი დღე, და გაუძნელდათ მასთან განშორება. ბილბო სიხარულით დარჩებოდა აქ მუდამ და მუდამ, თუნდაც მხოლოდ სურვილი ყოფილიყო საკმარისი, რომ უნვალებლად და უდავიდარაბოდ უმალ თავის ჰობიტის სოროში დაბრუნებულიყო. ოღონდ, მათი იქ ყოფნის შესახებ თითქმის არაფერია მოსაყოლი.

მათი მასპინძელი, ელფთა მეგობარი ელრონდი ერთი მათგანი იყო, ვის მამათაც ჯერ კიდევ ისტორიის დასაბამამდე გარდახდომოდათ დაუჯერებელი თავგადასავლები და უწყოდნენ, თუ რა იყო ელფთა და ჩრდილოელ კაცთა ბრძოლა სასტიკ გობლინებთან. იმჟამად ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ელფებისა და ჩრდილოელ გმირთა საერთო შთამომავალნი და ელრონდი მათი წინამძღვარი გახლდათ. იგი იყო ელფთა თავადივით კეთილად აღნაგი და სახით მშვენიერი, მეომარივით მძლავრი, ჯადოქარივით ბრძენი, გნომთა მეფეებიით ღირსეული და გაზაფხულივით გულკეთილი. მრავალ საგმირო ამბავს ყვებოდნენ ელრონდზე; ბილბოს დიდ თავგადასავალში კი მას მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი წილი ედო, რასაც თქვენც შეიტყობთ, თუკი ოდესმე გავასრულებთ ამ თავგადასავალს. ელრონდის სახლში საამური იყო ჭამა თუ ძილი, მუშაობა თუ ამბების თხრობა, სიმღერა თუ უბრალოდ ჯდომა და კეთილად ფიქრი, და ყოველივე ამის თანაბარი ნაზავიც გულს ეფონებოდა. ავი და ბოროტი ვერ შემოდიოდა ველვარდნილის ჯადოსნურ მიწაზე.

მრავალი საგმირო ამბავი ითქვა და მრავალი მშვენიერი სიმღერა იმღერეს ელრონდის სახლში. სულ რამოდენიმე დღეში სტუმრებმაც და მათმა პონებმაც დაისვენეს და ძალა მოიკრიბეს. მათი ტანსაცმელი გააახლეს, წყლულები და დაბეჟილობანი მოუშუშდათ, განწყობა გამოუკეთდათ და გულს ახალი იმედები დაესახათ. ჩანთები და ხურჯინები მსუბუქი, მაგრამ ძალისმომცემი საკვებით შეუვსეს – ასეთი მარაგი მთებს უფრო იოლად გადაატარებინებდათ – და საკვებზე არანაკლებ საჭირო ბრძნული რჩევებითაც აღჭურვეს. ახლოვდებოდა ზაფხულის ნაბუნიობა და ისინი აპირებდნენ, გზა სწორედ ამ დღეს, მზის ამოსვლისთანავე განეგრძოთ.

ელრონდს ყველაფერი მოეხსენებოდა ყოველნაირი რუნული წარწერების შესახებ. მან გულდასმით დაათვალიერა ტროლების ბუნაგიდან წამოღებული ხმლები.

– ეს ხმლები ტროლების ნაოსტატარი როდია, – თქვა მან, – ისინი დიდი,

დიდი ხნის წინათ ჩემი მოდგმის დასავლელ მაღალ ელფებს გამოუჭედავთ ციხე-ქალაქ გონდოლინში გობლინებთან საომრად. ეს ქალაქი დრაკონებმა და გობლინებმა მრავალი საუკუნის წინათ ნანგრევებად აქციეს და, ალბათ, მათი ნაძარცვ-ნაალაფარიდან გადარჩნენ ეს ხმლები. თორინ, რუნები ამ მახვილს ორკრისტს უხმობენ, გონდოლინის ძველ ენაზე ეს „გობლინების მჟლეტს" ნიშნავს; ბრძოლებში სახელგანთქმული იყო ეს ხმალი. ხოლო ამ მახვილისათვის, გენდალფ, გლამდრინგი უწოდებიათ – „რისხვა მტრისა" – და გონდოლინის მეფესაც ჰპყრია იგი ოდესღაც ხელთ. ამიერიდან კი თქვენ მოუფრთხილდით ამ იარაღს!

– ნეტავ, ტროლებს საიდანღა ჩაუვარდათ ხელში? – იკითხა თორინმა, თან ყურადღებით შეათვალიერა მახვილის პირი.

– ძნელი სათქმელია, – მიუგო ელრონდმა, – ალბათ, თქვენმა ტროლებმა სხვა მძარცველები გაძარცვეს, ან ძველად გადანახული განძის ნაშთს მიაგნეს სადმე, მთის ბებერ გამოქვაბულებში. მსმენია, რომ მორიას მაღაროთა უდაბურ მღვიმეებში დღესაც მრავლად არის დამარხული დავიწყებული განძი.

თორინი დააფიქრა მასპინძლის სიტყვებმა.

– ამ მახვილს თვალისჩინივით მოვუფრთხილდები, – თქვა მან, – იქნებ, კვლავაც ულიტოს გობლინები, როგორც ოდეს უულეტია!

– ამ სურვილს, იქნებ, მალეც ეწეროს ახდენა მთის გზებზე, – შეეხმიანა მას ელრონდი, – ახლა კი თქვენი რუკა მიჩვენეთ.

იგი ხანგრძლივად და გულდასმით ჩააცქერდა რუკას და ნელა გაიქნია თავი. ელრონდისათვის უცხო იყო გნომთა გულისტკივილი, მათი მწველი სიყვარული ოქროს მიმართ, მაგრამ მას სძულდა დრაკონის ავი საქმენი. წუხილით იგონებდა იგი ნანგრევებად ქცეულ ხალისიან ქალაქ დეილს, მის დაქცეულ ხმიერ სამრეკლოებს, ნათელი მდინარე ჩქერულას გადაბუგულ ნაპირებს. მაღლა, ცაში ფართო ვერცხლისფერ ნახევარწრედ ენთო მთვარე. ელრონდმა რუკა ასწია, ფურცელში მთვარის თეთრმა შუქმა გამოსჭვირა.

– ეს რაღაა? – თქვა მან, – იქ, სადაც რუნებით წერია: „ხუთი ფუტია კარი სიმაღლით, სამნი გადიან განში მხარდამხარ" – იქვე მთვარის ასოები მოჩანს.

– რა არის მთვარის ასოები? – იკითხა გულაჩქროლებულმა ჰობიტმა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მას უყვარდა რუკები, უყვარდა რუნები, მოხდენილი ასოები და გამოუცნობი მშვენიერი ხელნაწერები, თუმც თავად მეტისმეტად ნვრილი, განლობილი ასოები გამოსდიოდა.

– მთვარის ასოებიც რუნებით ნაწერია, ოღონდ თვალისათვის უხილავია, – მიუგო ელრონდმა, – ჰო, უხილავია, როდესაც პირდაპირ უცქერი. ისინი მარტო მაშინ ჩანს, როდესაც მთვარე ანათებს მათ მიღმა. ხოლო უფრო ფარული და ოსტატური ნაწერის წასაკითხად ეს მთვარე იგივე სისავსის, წლის

იმავე დროისა უნდა იყოს, რაც ასოების დაწერის დროს იყო. მთვარის ასოები გნომებმა მოიგონეს და ვერცხლის კალმებით გამოჰყავდათ ისინი – ამას შენი მეგობრებიც გეტყვიან. ამ რუკაზე კი მთვარის ასოებით ზაფხულის ნაბუნიობის წინა სალამოს უწერიათ, ნახევარმთვარეობისას, მრავალი წლის წინათ.

– და რა წერია ამ ასოებით? – ერთხმად დაეკითხნენ გენდალფი და თორინი, იქნებ, ცოტათი გულდაწყვეტილნიც, რაკი ელრონდმა პირველმა დაინახა ფარული წარწერა. თუმც მათ მანამდე არცა ჰქონიათ ამ ასოების წასაკითხად ხელსაყრელი შემთხვევა და, უფალმა უწყის, სხვა შესაფერი დღე როდისღა დადგებოდა.

– „დადექი რუხ ლოდთან, შაშვი რომ დაიჭახჭახებს", – ამოიკითხა ელრონდმა, – „და დურინის დღის ჩამავალი მზე უკანასკნელი სხივით გასაღების ჭუჭრუტანას გაანათებს".

– დურინი, დურინი, – გაიმეორა თორინმა, – იგი გრძელწვერათა, გნომების უძველესი ტომის მამათა მამა იყო. მე მისი შთამომავალი ვარ.

– დურინის დღე – რომელია? – ჰკითხა ელრონდმა.

– როგორც ყველას მოგეხსენებათ, გნომთა ახალი წელი შემოდგომის უკანასკნელი მთვარის დაბადებისას იწყება, ზამთრის პირას. როდესაც შემოდგომის უკანასკნელი ახალი მთვარე და მზე ერთად მოჩანს ცაზე – იმ დღეს ჩვენ დურინის დღეს ვუხმობთ. ოღონდაც ვშიშობ, დიდად ვერაფრით დაგვეხმარება ამის გაგება, რადგანაც ამჟამად გნომებს დაკარგული აქვთ ცოდნა, თუ როგორ უნდა შეიტყონ, კვლავ როდის დადგება ამგვარი დღე.

– ეს მერე ვნახოთ, – თქვა გენდალფმა, – რაიმე კიდევ წერია?

– ამ მთვარეზე მეტი არაფერი ჩანს, – უპასუხა ელრონდმა და რუკა თორინს დაუბრუნა. შემდეგ კი ყველანი წყლისპირას ჩავიდნენ, რათა ზაფხულის ნაბუნიობის ღამეს ელფების ცეკვა და სიმღერა ეხილათ.

ზაფხულის ნაბუნიობის დილა საოცნებოდ მშვენიერი და ცინცხალი გათენდა – ლურჯ ცაზე არა ღრუბელი არ ილანდებოდა, მზის ათინათი ცეკვავდა წყალზე. მხედრები კვლავ გზას გაუდგნენ, მათ ელფთა გამოსათხოვარი სიმღერა მშვიდობის გზას უქადდა, გამხნევებულებს აღარ აფრთხობდათ ახალი თავგადასავლები და წვრილად იცოდნენ, მთებში რომელ გზას უნდა დასდგომოდნენ, ქედს გადაღმა გაშლილ ქვეყანაში რომ გადასულიყვნენ.

4 მთას გადაღმა და მთის ქვეშ

ნისლიანი მთებისაკენ მრავალი დაჩეხილ-დანაპრალებული ბილიკი მიემართებოდა, ოღონდ ეს ცრუ და მაცდური ბილიკები მგზავრს ან უგზოობაში შეიტყუებდა, ან ფათერაკს გადაჰყრიდა. ბნელ ნაპრალებში მრავლად ბუდობდნენ ავი არსებანი, ხევებში ხიფათი ჩაბუდებულიყო. გნომებსა და ჰობიტს ელრონდის ბრძნული რჩევა და გენდალფის ცოდნა-მეხსიერება დაეხმარათ, რათა ისინი საჭირო ხეობისაკენ მართალ გზას შეჰყოლოდნენ.

მრავალი დღე გავიდა, რაც მგზავრებმა ელრონდის სახლი დატოვეს. სადღაც შორს, უკან დარჩა ბოლო შინაურული ბინა, ისინი კი სულ აღმა, აღმა, აღმა მიიწევდნენ. ბილიკი ძნელად სავალი და ხიფათიანი იყო, დაუსრულებელ, დახლართულ, უდაბურ გზას მიუყვებოდნენ მხედრები. ახლა მათ შეეძლოთ, მაღლიდან გადაევლოთ თვალი უკან მოტოვებული ქვეყნებისათვის, დაბლა შორეთში რომ გადაშლილიყო. და ძალიან, ძალიან შორს, დასავლეთით, იქ, სადაც ცისფრდებოდა და მკრთალდებოდა ხაზები, ბილბოს სამშობლო ეგულებოდა, მშვიდობიანი და უზრუნველი ცხოვრება, თავისი პატარა ჰობიტის სორო. აქ, მაღლა მთებში კი მწველი სუსხი იდგა, კლდეებს შორის გამჭოლი ქარები ზუზუნებდნენ. ზოგჯერ ზემოდან შუადღის მზის სხივებით თოვლიდან მომლღვალი ლოდები წყდებოდა და მგზავრებს შორის ჩაიქროლებდა, ან თავზე გადაუფრენდათ ხოლმე. მოუსვენრად ატარებდნენ სუსხიან ღამეებს, დღისით კი ველარ ბედავდნენ სიმღერას და ხმამაღლა ლაპარაკს – მთის ექო თითქოს იმუქრებოდა, მდუმარებას კი არ სურდა, წყლის ჩხრიალის, ქარის ზუზუნისა და ქვების ტკაცუნის გარდა სხვა რამ ხმა გაჩქამებულიყო იმ არემარეზე.

– იქ, დაბლა შუა ზაფხულია, – ფიქრობდა ბილბო, – თიბვა აქვთ გაჩაღებული და პიკნიკები. ასე თუ ვივლით, სანამ იქით მხარეს გადახედვას მაინც მოვახერხებთ, ქვემოთ მკასაც მორჩებიან, კენკრის შეგროვებასაც...

ბილბოს თანამგზავრებიც მსგავს უგემურ ფიქრებს მისცემოდნენ. ელრონდის სახლიდან ზაფხულის ნაბუნიობის დილას გამოყოლილი მხიარული თავდაჯერების კვალიც გამქრალიყო, ისინი აღარ ყვებოდნენ ხალისიანად, როგორ გადაივლიდნენ მთებს და შემდეგ სწრაფად გადასერავდნენ მთაგრეხილის იქით გადაშლილ ქვეყნებსაც. ბოლო შინაურულ ბინაში იმასაც კი ვარაუდობდნენ, ეულ მთაში დატანებულ საიდუმლო კარს შემოდგომის ბოლო ახალმთვარეობამდე მივაღწევთ და იქნებ სწორედ მაშინ იყოს დურინის

დღეცო. მაშინ მხოლოდ გენდალფმა გაიქნია თავი და არაფერი თქვა – გნომებს დიდი ხანი იყო, ამ გზებით აღარ ევლოთ, მაგრამ გენდალფმა კი კარგად უწყოდა, როგორ იმატა და იმრავლა ხიფათმა და ბოროტებამ ველურ მხარეში მას აქეთ, რაც დრაკონებმა იქიდან ადამიანები განდევნეს, მორიას მაღაროებში ბრძოლის შემდგომ კი ნისლიანი მთების წიაღებს ურიცხვი გობლინები მოედვნენ იდუმალ. გენდალფის დარი ბრძენი ჯადოქრების და ელრონდის მსგავს საიმედო მეგობართა თანადგომაც კი შეიძლება ამაო აღმოჩნდეს, როდესაც ველური მხარის კიდესთან ამოუცნობი ფათერაკები დაგატყდებიან თავს, და გენდალფმა ეს ძალიან კარგად იცოდა.

მან იცოდა, რომ გაუთვალისწინებელ ხიფათს ყოველ ნაბიჯზე შეეძლო, გზა ჩაეხერგა მათთვის და იმედიც არა ჰქონდა, რომ შემზარავი თავგადასავლების გარეშე გადაივლიდნენ ამ უზარმაზარ, ცადანვდილ მთაგრეხილს, ეული მწვერვალებისა და შიშისმგვრელი ველების მხარეს, სადაც არავის ხელმწიფებას სცნობდნენ და იცნობდნენ. ვერც გადაიარეს.

ყველაფერი რიგზე იყო, სანამ ერთ დღესაც ჭექა-ქუხილი არ წამოენიათ, ჭექა-ქუხილი კი არა, ნამდვილი ქარიშხალი. იცით, თუ რა საშინელია ხოლმე ჭექა-ქუხილი ბარში და ჭალებში, მით უფრო, თუ ორი ქარიშხალი შეხვდება და შეასკდება ერთმანეთს. ბევრად უფრო შემზარავია ელვა და ჭექა მთაში, ღამით, როდესაც გრიგალნი აღსდგებიან აღმოსავლეთსა და დასავლეთიდან და ქედებს ზემოთ ერკინებიან ერთმანეთს. ელვა ემსხვრევა მწვერვალებს, კლდეები ირყევა, ქუხილი ჰაერს ფხრეწს და გრგვინვით აწყდება ყველა ღრმულსა თუ ქვაბულს, წყვდიადი თავზარდამცემი გრიალით და ელვის ანაზდეული გაკვესებით ივსება, იძაბება...

ბილბოს ამისთანა არაფერი ენახა და წარმოედგინა მანამდე. ისინი მიყუჟულიყვნენ მთის ვიწრო ბილიკზე, რომლის ცალი ციცაბო კიდე თავბრუდამხვევი სიმაღლიდან იჩეხებოდა დაბლა, პირქუში და დანისლული ველისაკენ. ღამის სათევად ყველანი წამოხრილ კლდეს შეჰფარებოდნენ, საბანში გახვეული ბილბო კლდის ძირას მიწოლილიყო და თავითფეხებამდე ცახცახებდა. იგი ელვის შუქზე ხედავდა, რომ ხრამს იქით ქვის გოლიათები გამოსულიყვნენ და თავშესაქცევად ვეება ლოდებს უგდებდნენ ერთმანეთს, იჭერდნენ და სიბნელეში სტყორცნიდნენ გამოსროლილ კლდის ნატეხებს, სადღაც დაბლა, ხეებს შორის რომ ილეწებოდა ზათქითა და გრიალით. შემდეგ ატყდა ქარი და წვიმა, ქარაშოტი ყოველი მიმართულებით უშხაპუნებდა სეტყვას და წყლის ღვარს, გადმოკიდებული კლდე მგზავრებს ავდრისაგან ველარ იფარავდა. სულ მალე ყველა გაილუმპა, პონები თავჩაქინდრულები იდგნენ, კუდები ფეხებს შორის ამოეძუებინათ და ზოგი შიშისაგან ჩუმად ჭიხვინებდა – მათ ესმოდათ გოლიათების ხორხოცი და მთებს მოდებული ძახილი.



The Mountain-path

მთის ბილიკი

– ეს ჩვენ არ გვარგებს, – განაცხადა თორინმა, – თუკი არც ქარი გადაგვიძახებს უფსკრულში, დახრჩობასაც გადავრჩებით და არც მეხი დაგვეცემა, რომელიმე გოლიათი მაინც აგვიყვანს და მუხლის გასამართად ცისკენ შეგვაპანღურებს!

– თუკი უკეთესი ადგილი გეგულება, გაგვიძეხი და წამოგყვებით, – მოუჭრა გენდალფმა, რომელიც საზიზღარ გუნებაზე იდგა და ნამდვილად არ ეხატებოდა გულს გოლიათების მეზობლობა.

დავა დამთავრდა იმით, რომ ფილი და კილი უკეთესი თავშესაფრის მოსაძებნად გაგზავნეს. მათ სხვებზე მეტად უჭრიდათ თვალი და, რაკი დანარჩენ გნომებზე ორმოცდაათიოდე წლით უმცროსები მაინც იყვნენ, ამგვარი სამუშაო ჩვეულებრივ მათ ეკისრებოდათ (თუკი, რასაკვირველია, ყველასათვის ცხადი იყო, ბილბოს გაგზავნა ფუჭი იმედიაო). როდესაც რაიმეს პოვნა გსურთ, უნდა ეძებოთო, დამოძღვრა თორინმა ახალგაზრდა გნომები. მართლაც, როდესაც კაცი კარგად ეძებს, რაიმეს უთუოდ იპოვის, თუმც ნაპოვნი ყოველთვის როდი აღმოჩნდება საჭირო და გამოსადეგი. ამჯერადაც ასე მოხდა.

მალე ფილი და კილი ცოცვით დაბრუნდნენ უკან, კლდის შვერილებს ეჭიდებოდნენ ქარში.

– მშრალი გამოქვაბული ვიპოვეთ, – თქვეს მათ, – აქვე, შემდეგი მოსახვევის იქით. პონებიც და ჩვენც, ყველანი დავეტევით შიგნით.

– კარგად დაათვალიერეთ, მთლიანად? – ეჭვით დაეკითხათ ჯადოქარი, რომელმაც იცოდა, რომ მაღლა მთაში იშვიათად თუა გამოქვაბული ცარიელი.

– კი, კი, – დაუდასტურეს ფილიმ და კილიმ, თუმც ყველა ხვდებოდა, ისე ჩქარა დაბრუნდნენ უკან, ბევრს ვერაფერს დაათვალიერებდნენო, – გამოქვაბული არც ისე დიდია და არც ისე ღრმა.

გამოქვაბულში დაბინავება შეიძლება საშიში აღმოჩნდეს, თუკი არ იცი, რამდენად შორს ღრმავდება იგი, საით მიემართება და შიგნით ვინ მოგელოდება. მაგრამ ფილისა და კილის ნაპოვნი მღვიმე ყველამ შესაფერის თავშესაფრად ჩათვალა. თავაწყვეტილი ქარი სტვენდა და ქროდა, განუწყვეტლივ გრიალებდა მეხი და იოლი საქმე როდი იყო გამოქვაბულამდე მიღწევა და პონების გადაყვანა. მაგრამ იქამდე მართლაც არ იყო შორი და მათ მალე მიაღწიეს ბილიკზე გადმოდგმულ დიდ კლდეს. მის უკან მთის ფერდში დაბალი თაღი იხსნებოდა, შიგ გაჭირვებით გაძვრებოდა ბარგჩამოხსნილი და უნაგირმოხდილი პონი. ყველანი სათითაოდ შებარგდნენ გამოქვაბულში. აქ მათ ველარ მისწვდებოდნენ ქვის გოლიათები და მათი აბურთავებული ლოდები, და საამოც კი იყო გარეთ მობობოქრე ქარისა და წვიმის ყურისგდება. ოღონდ გენდალფი არ აპირებდა, აუტკივარი თავი აეტკივებინა. მან აანთო თავისი ქვერთხი – როგორც მაშინ, ბილბოს სასადილოში, თითქოსდა დიდი, ძალიან

დიდი ხნის წინათ – და კვერთხის შუქზე კიდით-კიდე გადაჩხრიკეს გამოქვაბული. იგი საკმაოდ მოზრდილი იყო, მაგრამ არა ვეება და იდუმალი, მშრალი იატაკითა და აქა-იქ მყუდრო კუთხე-კუნჭულებით. მღვიმის ბოლოში მოხერხებულად მოთავსდნენ პონები, იდგნენ იქ მოულოდნელი ცვლილებით გახარებულნი, ორთქლი ასდიოდათ და მადიანად ხრამუნობდნენ ცხვირზე წამოცმულ თოფრებში. ოინმა და გლოინმა შემოსასვლელში ცეცხლის გაჩალება მოისურვეს ტანსაცმლის გასაშრობად, მაგრამ გენდალფმა გადაჭრით იუარა. მაშინ სველი სამოსი იატაკზე გაფინეს, ფუთებიდან ამოღებული მშრალები გადაიცვეს, მოხერხებულად დაიგეს საბნები, მოიმარჯვეს თავ-თავისი ჩიბუხები და კვამლის რგოლების ბოლებას მოჰყვნენ. გენდალფი მათ შესაყოლიებლად რგოლებს ნაირფრად ფერავდა და ჭერთან აცეკვებდა. ისინი საუბრობდნენ და საუბრობდნენ, სულ გადაივიწყეს ქარიშხალი და ბჭობდნენ, თითოეული რაში მოიხმარდა თავის წილ სიმდიდრეს განძის მოპოვების შემდეგ (რაც იმჟამად არცთუ დაუჯერებელ საქმედ ეჩვენებოდათ) და ერთიმეორის მიყოლებით ჩაეძინათ. ვაი, რომ იმ საღამოს უკანასკნელად მოიხმარეს თავიანთი პონები, ფუთები, ყუთები, იარაღები და ყოველგვარი აღჭურვილობა!

როგორც იმ ღამეს აღმოჩნდა, გნომებმა მართლაც ბედად ნამოიყვანეს თან პატარა ბილბო ბეგინსი. მას რატომღაც დიდხანს არ ჩაეძინა, ხოლო როდესაც როგორც იყო ჩათვლიმა, საძაგელი სიზმრები მოეჯარნენ. ბილბოს ესიზმრებოდა, რომ გამოქვაბულის უკანა კედელზე ნელ-ნელა გაიხსნა ბზარი, გადიდდა, გადიდდა, უფრო და უფრო ფართოდ დააღო პირი... ბილბოს ძალიან ეშინოდა, მაგრამ ვერც ყვიროდა, ვერც გარბოდა, უმწეოდ იწვა და ნაპრალს მისჩერებოდა. შემდეგ ესიზმრა, როგორ დაფერდდა გამოქვაბულის იატაკი, ბილბო ჩაცურდა, ჩავარდა სადღაც, დაბლა და დაბლა, ქვემოთ – უფალმა უწყის, საით...

ბილბო შეკრთა და გამოფხიზლდა, და დაინახა, რომ მისი სიზმარი ცხადდებოდა: გამოქვაბულის უკანა კედელში მართლაც გახსნილიყო ბზარი და უკვე ფართო გასასვლელად გადაქცეულიყო. მან თვალი შეასწრო შიგ გაუჩინარებული უკანასკნელი პონის კუდს და, ცხადია, სულისშემძვრელად დაინივლა. ხოლო ჰობიტებმა მათი ზომის კვალობაზე გასაოცრად ხმამაღალი ნივილი იციან.

იქიდან კი გამოხტნენ გობლინები, დიდი გობლინები, ვეება დაღრეჯილი გობლინები, ურიცხვი გობლინები, გამოხტნენ თვალის დახამხამებაში, თითო გნომს ბარე ექვსი დაეხვია და ორი კიდევ ბილბოსთვისაც მორჩა. წამის უმალ შეიპყრეს და ნაპრალში შეიღეს ყველანი – მაგრამ არა გენდალფი. ბილბოს ყვირილმა ჯადოქარი უმალ გამოაფხიზლა და, როდესაც გობლინები შესაპყრობად შემოეწყვნენ, ეამოქვაბული თვალისმომჭრელმა ელვამ გაანათა, დენთის სუნი დადგა და რამოდენიმე მომხვდური უსულოდ დაეცა.

ნაპრალი ტკაცუნით შეიკრა, ბილბო და გნომები კი მის უარეს მხარეს აღმოჩნდნენ! გენდალფი სადღა იყო? არც ტყვეებმა, არც გობლინებმა ეს არ იცოდნენ და გამოსარკვევად არც დაყოვნებულან. ბილბო და გნომები ხელთ მოიგდეს და უცნობი გზებით გააქანეს. უკუნი, უკუნი წყვდიადი იდგა, მხოლოდ მთათა ღრმა ნიაღვრების ბინადარი გობლინები ხედავენ ასეთ სიბნელეში. ყოველ მხარეს იხლართებოდა და იკვეთებოდა დერეფნები, მაგრამ მათ გეზი არ შეშლიათ – ყოველი შესახვევი და გადასარბენი მშობლიური ქუჩასავით ნაცნობი იყო მათთვის. გზა დაღმა და დაღმა ეშვებოდა, ჰაერი გაუძალისად ჩამოიხუთა. დამტყვეველები უხეშად ექაჩებოდნენ ტყვეებს, დაუნდობლად აჭყმიტებოდნენ, საძაგელი ხორკლიანი ხმით ქირქილებდნენ და ხარხარებდნენ და ბილბო კიდევ უფრო უბედურად გრძნობდა თავს, ვიდრე მაშინ, როდესაც ტროლებმა ფეხის თითებით ააპორწიალეს და ჰაერში დაკიდეს. იგი კვლავ და კვლავ ნატრობდა თავის ჩინებულ ნათელ ჰობიტის სოროს და ამჯერადაც არა უკანასკნელად.

სადღაც წინ წითელი შუქი ალაპლაპდა. გობლინებმა ხრინწიანი ხმით ნამოიწყეს სიმღერა, უფრო ყრანტალს რომ წააგავდა. სიმღერას ააყოლეს ქვაზე შიშველი ტერფების ტყაპუნი, გარბოდნენ და შენყობილად მიიქნევდნენ ტყვეებსაც:

ჯახუნი, ტკაცუნი! აბა, ჰე, რას უცდი?!
არსად არ გაუშვა! მიალრჩე, რა უშავს?
იქ, დაბლა დაქანდი! გობლინთა ქალაქი!
რა გიჭირს, ბიჭი!
ღრიალი, ღრენა! ბრახუნი, მტვრევა!
ურო და მარწუხი! გონგები გაწუხებს?!
გარეკეთ ცემით მიწაში ქვევით!
დაიჭი, ბიჭი!
ბუხუნი, ჟღარუნი; მათრახის ტკაცუნი;
ცემე და გაუხტი! აბლავლდი, აყმუვლდი!
მიდი, წინ გაიგდე და თავს ნუ აიგდებ!
მუსრავს გობლინეთი ჩვეული ილეთით!
მიწა დაარწიეთ და ქვევით გასწიეთ,
შენ იცი, ბიჭი!

საზარლად და შიშისმგვრელად გაისმოდა დერეფნებში სიმღერა, მისი გამოძახილი, გობლინთა ამაზრზენი ხარხარი. სიმღერის აზრი კი მარტივი იყო: გობლინებმა შოლტები მოიმარჯვეს და ქანცისგამწყვეტი სირბილით წინ

გაირეკეს ტყვეები. გრძელ მათრახებს ზუზუნი გაჰქონდა მათ ზურგებზე და
არა ერთმა გნომმა იძახა „ვაი დედა" და იზმუვლა ვიღაც ვიგინდარასავით,
სანამ ყველანი ერთ უზარმაზარ გამოქვაბულში არ შეჩერდნენ.

გამოქვაბულს უზარმაზარი შუაცეცხლი და კედლებზე ჩაყოლებული
ჩირაღდნები ანათებდა. იგი სავსე იყო გობლინებით, რომლებიც ხარხარებდ-
ნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ხელებს ატყაპუნებდნენ აღტაცებით, როდესაც
გნომები და ბილბო (ის სულ ბოლოში მორბოდა და ყველაზე ახლოს იყო
შოლტებთან) გამოქვაბულში შეცვივდნენ. მათ მათრახების ტკაცუნით და
ყიჟინით მოსდევდნენ მარეკები. პონები უკვე აქ იყვნენ, დამფრთხალები უწეს-
რიგოდ მიქუჩებულიყვნენ კუთხეში. აქვე ეყარა ტყვეების ბარგი, მათი ფუთები
და ყუთები, დალეწილ-გამოშიგნული, გობლინების მიერ გადაქექილი, დასუ-
ნული და ხელნაფათურები, ჩხუბითა და აურზაურით დატაცებული.

გნომები უკანასკნელად ხედავდნენ თავიანთ პატარა ყოჩაღ პონებს, იმ
მკვირცხლ და ამტან თეთრ პონისაც, ელრონდმა გენდალფს რომ ათხოვა,
რაკი მისი ცხენი მთის ბილიკებს ვერ დაძლევდა. გობლინები ჭამენ ცხენებს,
პონებს, სახედრებს, სხვა ბევრად უფრო ამაზრზენ სალაფავებსაც და მუდამ
მშივრები არიან. ასე თუ ისე, იმჟამად ტყვეებს საკუთარი გასაჭირი უფრო
აფიქრებდათ. გობლინებმა მათ ზურგსუკან შეუბორკეს ხელები, მწკრივად
ჩააბეს და გამოქვაბულის შორეული კუთხისაკენ წაანონიალეს. მწკრივის
ბოლოს პატარა ბილბო მილასლასებდა.

აქ, ცეცხლის მოლიცლიცე ბინდბუნდში დიდ ბრტყელ ქვაზე იჯდა
უზარმაზართავიანი საზარელი გობლინი, მის გარშემო იარაღასხმული მეომ-
რები იდგნენ, ხელთ ბასრი ნაჯახები და გობლინური მორკალული ხმლები
ეპყრათ.

გობლინები ბოროტი, ავი და გულსასტიკი არსებანი არიან. ლამაზს და მომ-
ხიბლავს ვერაფერს აკეთებენ, მაგრამ საავკაცოდ საკმაოდ ოსტატურად
ხელოსნობენ. თუკი თავს შეიწუხებენ, გვირაბების გაყვანასა და მაღაროების
დამუშავებაში მხოლოდ ყველაზე ხელოვან გნომებს თუ ჩამორჩებიან, თუმც
ჩვეულებრივ ფეთხუმად და ბინძურად ცხოვრობენ. ჩაქუჩებს, ნაჯახებს,
ხმლებს, ხანჯლებს, ნერაქვებს, მარწუხებს და წამების იარაღებს თვითონაც
კარგად აკეთებენ, ანდა ტუსაღებსა და მონებს ასაქმებენ და ამუშავებენ, სანამ
მათ სული არ ამოხდებათ უპაერობითა და უმზეობით. როგორც ჩანს, სწორედ
გობლინებმა გამოიგონეს ზოგი ის მანქანა, დღესაც საგონებელში რომ აგდებს
ქვეყნიერებას და ერთბაშად ბევრი ადამიანის მოსაკლავად რომ არის
მოწყობილი. გობლინებს ყოველთვის აღტაცებას ჰგვრიდათ კბილანები, მექა-
ნიზმები და აფეთქებები, თანაც სურდათ, რაც შეიძლება ნაკლები ემუშავათ
საკუთარი ხელით. მაგრამ იმხანად და იმ მხარეში მცხოვრები ხროვები ჯერ არ

იცნობდნენ რთულ მოწყობილობებს. ვერ ვიტყვით, თითქოსდა მათ განსა-
კუთრებით სძულებოდათ გნომები, უფრო მეტად, ვიდრე საერთოდ ვინმე ან
რაიმე, მეტადრე დალხინებული და მოგვარებული. აქა-იქ ზოგი წამხდარი
გნომი მათთან პირსაც კი შეკრავდა ხოლმე. მაგრამ თორინის ხალხთან მათ
ძველი შუღლი ჰქონდათ იმ ომის გამო, რომელიც უკვე ვახსენეთ, თუმც
დაწვრილებით არ მოგვითხრია მის შესახებ. და მაინც, გობლინები დიდად არ
დაგიდევენ, თუ ვის შეიპყრობენ, მათთვის მთავარია, ანაზდად და მუხანათუ-
რად დაესხან თავს მსხვერპლს, გონს მოსვლა და შემოტევა რომ არ აცალონ.

– ეს საწყლები ვილა არიან? – იკითხა გობლინების ბელადმა.

– გნომები, და კიდევ ეს, – მიუგო ერთმა მარეკმა და ისე მოქაჩა ბილბოს
ჯაჭვს, რომ იგი წინ გადმოდგა და მუხლებზე დაეცა, – ჩვენს წინკარს აფარებდ-
ნენ თავს, იქ ვიპოვეთ.

– ვითომ რას განიზრახავდით? – მიუბრუნდა გობლინთა ბელადი თორინს,
– თავს დავდებ, რომ კარგს არაფერს! ვიცით, ვიცით – ჯაშუშობთ და ჩემი
ხალხის საქმიანობას უთვალთვალებთ! არც გამიკვირდება, ქურდები რომ
აღმოჩნდნენ! ეგენი მკვლელები და ელფთა მეგობრებიც კი იქნებიან! ჰა! რას
იტყვით!

– გნომი თორინი, მზად ვარ, გემსახუროთ, – წარუდგა თორინი ჩვეული
ზრდილობით, ახლაც რომ არ ღალატობდა, – ყოველივე, რასაც თქვენ ეჭ-
ვობთ და ჰგონებთ, განზრახული არა გვქონია. ჩვენ ქარიშხალს გამოვერიდეთ
გამოქვაბულში, რომელიც შესაფერი და სხვათაგან გამოუყენებელი გვეჩვენა.
მართლაც რომ გულშიაც არ გაგვივლია გობლინების აფორიაქება რითიმე! –
თორინი მართალს ამბობდა!

– ხმმ! – ჩაიღმუვლა გობლინების ბელადმა, – მაშ, გულშიაც არ გაგივლიათ?
და რომ გკითხოთ, სულაც რა გინდოდათ ამ მთებში, საიდან მოდიხართ, ან
საით მიდიხართ? გეუბნებით, რომ მე მსურს, ყველაფერი ვიცოდე თქვენს
შესახებ! მართალია, დიდად ვერც ეს დაგეხმარება, თორინ ოუკენშილდ, რად-
განაც უკვე საკმაოზეც მეტი ვიცი შენი ხალხის შესახებ, მაგრამ მაინც სიმარ-
თლე მომახსენე, თორემ სრულიად საგანგებო სატანჯველს მოგიმზადებ!

– ჩვენ მივემართებოდით ჩვენი ნათესავების, დისწულებისა და ძმისწუ-
ლების, პირველი, მეორე, მესამე მუხლის ბიძაშვილების და ჩვენს პაპათა სხვა
ჩამომავლების მოსანახულებლად – ისინი ამ მართლაც სტუმართმოყვარე
მთავრეხილის გადაღმა ცხოვრობენ, – მიუგო შეფიქრიანებულმა თორინმა,
რომელიც ცდილობდა, ზედმეტი არაფერი ეთქვა, რადგანაც სრული სიმარ-
თლის გამომზეურება ნამდვილად არ აძლევდათ ხელს.

– ის ტყუის, ო, უდიადესო! – თქვა მეორე მარეკმა, – რამდენიმე ჩვენი კაცი
ელვამ განგმირა გამოქვაბულში, როდესაც ამ არსებებს ქვემოთ ჩამოსვლა

შევთავაზეთ, ისინი ახლაც ქვებივით უსულოდ ყრიან. თანაც, აი, ამას როგორ
ლა აგვიხსნის? – და მან გაინოდა მახვილი, რომელიც თორინისათვის შემოე
ხსნათ, ტროლების ბუნაგში ნაპოვნი მახვილი.

გობლინების ბელადი ხმლის დანახვაზე საზარელ ყმუილს მოჰყვა რისხვით
მისმა გააფთრებულმა ჯარისკაცებმა კბილები ააკრაჭუნეს, ფარები ააჟღრია
ლეს და მძიმე ფეხები ააბრახუნეს იატაკზე – მათ იცნეს მახვილი. იყო დრო, ი
ასობით გობლინს ავლებდა მუსრს, როდესაც გონდოლინის მაღალი ელფებ
მათ ხროვებს მთებში მიერეკებოდნენ, ან თავიანთი ქალაქის გალავანს იცავდ
ნენ ბრძოლით. ელფებმა მახვილს ორკრისტი – გობლინთა მჟღეტი – უწოდეს
მაგრამ თავად გობლინები მას უბრალოდ „კბენიას" ეძახდნენ. მათ სძულდა
ხმალი და უფრო მეტად სძულდათ იგი, ვინც ამ ხმალს ხელთ დაიპყრობდა.

– მკვლელები და ელფთა დამქაშები! – დაიღრიალა გობლინების ბელადმა,
აჩეხეთ! გვემეთ! დაკბინეთ! დაგლიჯეთ! წაათრიეთ და ჩაყარეთ გველებიან
სავსე ბნელ ხაროებში, რომ ველარასოდეს ნახონ მზის შუქი!

და გავეშებული ვეებერთელა გობლინი ჩამოხტა თავისი ქვიდან და თორი
ნისაკენ გაექანა პირდაღებული. სწორედ ამ დროს გამოქვაბულში ყველ
ჩირაღდანი ჩაქრა, კოცონი კი სტვენით აისვეტა ჭერისაკენ ლურჯ გავარვარე
ბულ კვამლად და გობლინთა ხროვაში მწველი თეთრი ნაპერწკლები გაჰყარ
მართლაც რომ ენით აუწერელი იყო ის წივილი და კივილი, ჩხავილი, ჩოჩქოლ
და ყაყანი, ყმუილი, ღმუილი და წყევლა-კრულვა, ამას რომ მოჰყვა. რამოდენ
იმე ასეული ველური კატა და მგელი ერთად რომ შეგეწვათ ნელ ცეცხლზე
ასეთ გამაყრუებელ აურზაურს ისინიც ვერ ატეხდნენ. ნაპერწკლები სხეულ
უშანთავდა გობლინებს, გამოქვაბულში კი ისეთი სქელი კვამლი ჩამონვა, რო
მათი სიბნელეს შეჩვეული თვალიც კი ვერაფერს არჩევდა. სულ მალე ისინ
ერთმანეთზე დახორავდნენ, ახლართულები გორავდნენ იატაკზე და იმგვარად
იკბინებოდნენ, იწიხლებოდნენ და იქნევდნენ მუშტებს, თითქოს ყველანი
ერთიანად ჭკუას გადამცდარანო.

უეცრად სიბნელეში გაშიშვლებული მახვილი აენთო. ბილბო ხედავდა
როგორ დაიძრა ხმალი რისხვისა და მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილ
ბელადისაკენ და როგორ განგმირა იგი. გობლინი უსულოდ დაეცა, მისი მეომ
რები კი დაზაფრულები წიოდნენ და ილტვოდნენ, სიბნელეში ემალებოდნ
შემზარავ მახვილს.

ხმალი კვლავ ქარქაშში ჩასრიალდა.

– მომყევით, სწრაფად! – გაისმა მძლე და მშვიდი ხმა. ბილბომ გონს მოსვლ
ვერ მოასწრო, რომ იგი კვლავ გნომთა რიგის კუდში მიკუხკუხებდა მთელ
ძალ-ღონით კვლავ დაღმა და დაღმა, უფრო და უფრო ბნელი დერეფნებით
მათ უკან თანდათან შორეთში იკარგებოდა შეძრწუნებული გობლინებ

ნივილ-კივილი, ნინ მკრთალი შუქი მიუძღოდათ.

– იჩქარეთ, იჩქარეთ, – კვლავ გაისმა ხმა, – თორემ სულ მალე ისევ აანთებენ ჩირაღდნებს!

– სულ ერთი წუთით! – ითხოვა დორიმ, ბილბოს წინ რომ გარბოდა და კეთილი გული ჰქონდა. მან შეკრული ხელებით როგორღაც მოიგდო ზურგზე ბილბო და შემდეგ კვლავ სირბილით გაექანნენ ყველანი წინ, თან ჯაჭვს მიაღრიალებდნენ და ხშირ-ხშირად ბორძიკობდნენ, რაკი ხელები არ ჰქონდათ თავისუფალი, თავი რომ შეემაგრებინათ. ისინი დიდხანს აღარ გაჩერებულან და ბოლოს, როდესაც შეჩერდნენ, ალბათ უკვე მთაგრეხილის ღრმა გულს იყვნენ მიწეულები.

გენდალფმა კვერთხი აანთო. ცხადია, გენდალფი იყო! ოღონდ ახლა ყველანი ძალიან მოუცლელნი იყვნენ საიმისოდ, რომ გამოეკითხათ, აქ როგორღა გაჩნდიო. ჯადოქარმა კვლავ იშიშვლა მახვილი და იგი ისევ უცნაური თავისთავადი შუქით აენთო. მახვილს მწველი მრისხანება ააციალებდა ხოლმე, თუკი ახლომახლო გობლინები დაბოგინობდნენ; ახლა იგი ცისფერი ალით კაშკაშებდა, უხაროდა, გამოქვაბულის ბოროტი მბრძანებელი რომ მოკლა. მას ოდნავადაც არ გასჭირვებია გობლინური ჯაჭვების გაკვეთა და ტყვეებმა საჩქაროდ დაყარეს ბორკილები. ალბათ გახსოვთ, ამ მახვილს გლამდრინგი – მტერთა რისხვა – ერქვა, გობლინები კი მას „ჩხვლეტიას" ეძახდნენ და კიდევ უფრო გააფთრებით სძულდათ, ვიდრე კბენია, თუკი საერთოდ შესაძლებელია იმაზე უფრო მეტი სიძულვილი. ორკრისტიც დაიხსნეს: გენდალფმა იგი ხელიდან წაგლიჯა შეძრწუნებულ მცველს და თან წარიტანა. ჯადოქარი ყოველთვის ასწრებდა, თითქმის ყველაფერზე ერთად ეფიქრა და თუმც ყოვლისშემძლე არ იყო, გასაჭირში ჩაცვენილი მეგობრების დასახსნელად მაინც ბევრი რამის გაკეთებას ახერხებდა.

– ყველანი აქა ვართ? – იკითხა მან და თავდადრეკით დაუბრუნა თორინს მისი ხმალი, – აბა, ვნახოთ: თორინი – ეს ერთი. ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი. ფილი და კილი სად არიან? ისინიც აქ გახლავან. თორმეტი, ცამეტი და აქვე არის მისტერ ბეგინსიც – თოთხმეტი! კეთილი, კეთილი! შეიძლებოდა, უარესიც დაგვმართვოდა, მაგრამ, უნდა ვითხრათ, ბევრად უკეთესადაც შეიძლებოდა ვყოფილიყავით. ახლა აღარა გვყავს პონები, სულ არა გვაქვს საჭმელი, სრულებითაც არ ვიცით, სად ვართ და უკან გამძვინვარებულ გობლინთა ურდოები მოგვდევენ. აბა, გავწიოთ!

მათ გზა განაგრძეს. გენდალფი მართალს ამბობდა: გაქცეულთა ყურს უკვე სწვდებოდა გობლინთა ხმაური და საშინელი ღრიალი იმ გვირაბებიდან, რომლებიც მათ უკან მოიტოვეს. ამან კიდევ უფრო ააჩქარა ლტოლვილები. უნდა ვითხრათ, რომ გნომებს გასაოცარი სისწრაფით შეუძლიათ გზის გალევა და

რადგანაც საბრალო ბილბო ასეთ სწრაფ სვლას სანახევროდაც ვერ უსწორებდა ნაბიჯს, მისი თანამგზავრები მონაცვლეობით იკიდებდნენ ზურგზე და ისე მიარბენინებდნენ.

მაგრამ გობლინები გნომებზე უფრო სწრაფად დარბიან, თანაც ამჯერად მათ მდევრებს გამახელებელი ბრაზი მიერეკებოდა თავისსავე გაყვანილ გვირაბებში, რომლებსაც, ცხადია, გაქცეულებზე ბევრად უკეთ იცნობდნენ. გნომები თავდაუზოგავად მიჰქროდნენ, მაგრამ გობლინების ყმუილი და შეძახილები სულ უფრო ახლოვდებოდა. ცოტა ხანში ლტოლვილები მდევართა ფეხების ტყაპუნსაც არჩევდნენ, ბევრი, უამრავი ფეხის ხმას, თითქოსდა აგერ, ბოლო მოსახვევის იქიდან რომ მოისმოდა. უკან უკვე მოჩანდა წითელი ჩირაღდნების მოლაპლაპე შუქი და თანაც, დევნილები უსაშველოდ დაიქანცნენ.

– რატომ, ო, რატომ მივატოვე ნეტავ ჩემი ჰობიტის სორო! – კვნესოდა საბრალო მისტერ ბეგინსი, ზემოთ-ქვემოთ რომ ჯაყჯაყებდა ბომბურის ზურგზე.

– რად, ო, რად წამოვიყვანე ნეტავ პატარა უვარგისი ჰობიტი განძის საძიებლად! – კვნესოდა ბომბური, სქელი, ერთიანად გახვითქული და შეშინებული ბომბური. იგი ბორძიკით მიქაქანებდა და ცხვირიდან ოფლი სწვეთავდა.

ამ დროს გენდალფი ჩამორჩა დანარჩენებს, თორინიც მას ამოუდგა გვერდში. მათ ის იყო მკვეთრი მოსახვევი მოიტოვეს უკან.

– აქეთ, უკან! – დაიყვირა ჯადოქარმა, – ხმალი იშიშვლე, თორინ!

სხვა გზა არც ჰქონდათ. გობლინებს კი სულაც არ მოეწონათ მათი საჩუქარი. ისინი ხრიალითა და ყვირილით შემოცვივდნენ მოსახვევში და განცვიფრებულებს იქვე, ცხვირწინ აუელვარდათ ცივი და კაშკაშა ნათებით გობლინთა მჟღეტი და მტერთა რისხვა. მოწინავეებს ჩირაღდნები გაუცვივდათ ხელიდან და სიკვდილის წინ განწირულის ხმით დაჩხავლებაღა მოასწრეს. ისინი, ვინც მათ მოჰყვებოდნენ, უფრო ხმამაღლა აწივლდნენ შიშით, უკან მიანყდნენ და შემდეგი რიგები გადათელეს.

– კბენია და ჩხვლეტია! – კიოდნენ ისინი. სულ მალე ყველაფერი აირ-დაირია, გობლინები ქიმუნჯებით მიიკვლევდნენ გზას უკან, საზარელ მახვილებს ემალებოდნენ.

დიდი დრო გავიდა, სანამ გობლინები კვლავ გაბედავდნენ იმ მოსახვევში შესვლას. ამასობაში გნომები კვლავ წინ მიიჩქაროდნენ და გობლინთა სამეფოს ბნელ გვირაბებში კარგა ძალი გზაც განვლეს. როდესაც მდევრები გონს მოეგნენ, მათ კვლავ აანთეს ჩამქრალი ჩირაღდნები, რბილი ხამლი შეიმოსეს, გამოარჩიეს უსწრაფესი მორბენალნი, მახვილი ხედვითა და სმენით განთქ-

მულნი. ისინი წინ გაიჭრნენ, ბნელ ღამეში გამოსულ თრითინაზე უსწრაფესად და ღამურებივით უჩუმრად.

ამიტომაც გაქცეულთაგან ვერავინ, თვით გენდალფმაც კი, ვერ გაიგონა მდევარის ჩქამი, ვერც თვალი მოჰკრეს მოახლოებულ მტერს. გობლინები კი უხმოდ და სწრაფად ეწეოდნენ დევნილებს და კარგადაც ხედავდნენ მათ გენდალფის კვერთხის მკრთალად მოციალე შუქზე, გნომებს გზის გაკვლევაში რომ ეხმარებოდა.

ანაზდად სიბნელეში ვილაცამ უკნიდან ხელი ჩაავლო დორის, კვლავ ბოლო რომ მირბოდა და ზურგით ბილბო მიყავდა. გნომმა იყვირა და ნაიქცა, ჰობიტი უცნობ სიშავეში გადაგორდა მისი მხრებიდან, მაგარ კლდეს მიახეთქა თავი და გონება დაკარგა.

5 გამოცანები ბნელში

როდესაც ბილბომ თვალები გაახილა, უცებ ვერც მიხვდა, გაახილა თუ არა – ირგვლივ უკუნი სიბნელე იდგა და სულ არაფერი ჩანდა. ახლომახლო არავინ იყო. ხომ წარმოიდგინეთ, როგორ შეშინდა! მას არაფერი ჩაესმოდა, ვერაფერს ხედავდა და ვერც ვერაფერს გრძნობდა ქვის ცივი იატაკის გარდა.

ბილბო ძალიან ფრთხილად წამოიწია და დაოთხილმა ხელისცეცებით გასწია წინ, სანამ გვირაბის კედელს არ მიადგა. მაგრამ კედლის გასწვრივ ვერც აღმა, ვერც დაღმა ვერაფერი იპოვა, სულ ვერაფერი: გნომებისაც, გობლინებისაც თითქოს სახსენებელიც გამქრალიყო. ბილბოს თავი უტორტმანებდა და დანამდვილებით იმასაც ვერ იტყოდა, საითკენ გარბოდნენ მაშინ, დორის ზურგიდან რომ ჩამოვარდა. ბოლოს როგორღაც შეარჩია თითქოსდა მართალი გეზი და ცოცვით გასწია წინ. ასე იცოცა კარგა ხანს, სანამ ხელისგულით ქვის იატაკზე დაგდებული მომცრო ლითონის რგოლის გრილი შეხება არ იგრძნო. ბილბოს მოლვანეობაში ეს წუთი ახალი ხანის დადგომას მოასწავებდა, მაგრამ თავად მან ეს ჯერ არ უწყოდა. უგულისყუროდ ჩაიგდო ჯიბეში ნაპოვნი – იმჟამად ვერც გეტყოდათ, რაში შეიძლებოდა გამოსდგომოდა იგი. ამის მერე შორს აღარ წასულა, შეჩერდა, დაჯდა ცივ იატაკზე და კარგა ხანს იჯდა ასე, მწუხარე ფიქრებს მიცემული. მან წარმოიდგინა, როგორ იწვავდა ლორსა და ერბოკვერცხს შინ, მყუდრო სამზარეულოში – მისი სტომაქი კარგა ხანია გრძნობდა, შენაყრების დროაო. მაგრამ ამგვარმა ოცნებებმა ბილბო კიდევ უფრო დაამწუხრა.

იგი ვერ ხვდებოდა, რა უნდა მოემოქმედა. ვერც იმას მიმხვდარიყო, რა გადახდა თავს, რად დატოვეს თანამგზავრებმა, ან მიტოვებული რად არ შეიპყრეს გობლინებმა, ან ასე ძალიან რად სტკიოდა თავი. მიზეზი ყველაფრისა კი ის გახლდათ, რომ ბილბო დიდხანს იწვა ბნელ კუთხეში უგონოდ და, რაკი თვალში არავის ხვდებოდა, ყველას მიავიწყდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩიბუხი მოიძია. ჩიბუხი არ გამტყდარიყო და ეს უკვე რაღაც კარგს ნიშნავდა. ბილბომ მოჩხრიკა ქისა – შიგ ცოტაოდენი თამბაქო ჩარჩენილიყო – ეს კიდევ უკეთესი. ასანთის საპოვნელადაც მოაფათურა ხელი, მაგრამ ერთი ღერიც ვერსად ნახა. ამ ამბავმა ერთიანად გაუცრუა იმედები, თუმცა შემდეგ, გონი რომ მოიკრიბა, იფიქრა, მით უკეთესი ჩემთვისო: უფალმა უწყის, იმ დაწყევლილ ალაგას ასანთის ჩხაკუნი და თამბაქოს სუნი რას ან ვის

გამოიტყუებდა ბნელი ტალანებიდან ბილბოს ჭირად. და მაინც, იმ წუთას უასანთობამ ძლიერ დააღონა. ოღონდ როდესაც ჯიბეებს იჩხრეკდა და ტანზე ხელებს იტყაპუნებდა, მოულოდნელად თავისი პატარა მახვილის ტარს ნააწყდა – მას სულმთლად გადავიწყებოდა ტროლების ბუნაგში ნაპოვნი იარაღი. საბედნიეროდ, ხანჯალი ვერც გობლინებმა შენიშნეს, რადგანაც ბილბოს იგი მარვალში ჩატანებული დაჰქონდა.

ბილბომ მახვილი ამოზიდა. თვალწინ აუელვარდა მისი მკრთალი ნათება.

– ესეც ელფების გამოკვერილია, – გაიფიქრა მან, – და მანიშნებს, რომ გობლინები არ არიან ძალიან ახლოს, მაგრამ არც საკმაოდ შორს წასულან...

ჰობიტმა მაინც შვება იგრძნო. ჩინებულია, როდესაც გონდოლინში გობლინებთან საომრად გამოჭედილი მახვილი გიპყრია ხელთ. მრავალი სიმღერა თქმულა იმ ბრძოლებზე! თანაც ბილბომ უკვე შეამჩნია, როგორ ფეთდებოდნენ გობლინები ამგვარი იარაღის დანახვისას.

– უკან წავიდე? – დაეკითხა იგი თავისთავს, – რა ხეირია? გვერდით გავუხვიო? არა, არა! პირდაპირ ვიარო? ალბათ, ისევ წინ წასვლა სჯობს. მაშ, გავწიოთ!

იგი წამოდგა და გვირაბში გაეჩქარა. თავისი პატარა მახვილი გაშიშვლებული ეპყრა და წინ მიიძღვანიებდა, ცალ ხელს კედელს მიაყოლებდა და გული ტამალებით უცემდა.

ახლა ბილბოს შემხედვარე ვინც გინდა იტყოდა, ნამდვილად დიდ გასაჭირში ჩავარდნილაო. მაგრამ მაინც ნუ დაივიწყებთ – ეს გასაჭირი ბილბოსათვის ისეთი მძიმეც არ ყოფილა, როგორიც, ვთქვათ, ჩემთვის ან თქვენთვის იქნებოდა. ჰობიტები განსხვავდებიან ადამიანებისაგან და, თუმც მათი სოროები ჩინებულად განიავებული კოპწია საცხოვრისებია და სულაც არა ჰგავს გობლინთა დერეფნებს, მათ მაინც ჩვენზე უკეთ იციან გვირაბების ასავალ-დასავალი და მიწის ქვეშ ძნელად თუ ექცევათ მხარი – რასაკვირველია, თუკი უკვე დაბრუნებიათ გონების სიცხადე თავის მირტყმის შემდეგ. ჰობიტებს ძალიან უჩუმრად შეუძლიათ სიარული, მარჯვედ იმალებიან, იოლად უშუშდებათ წყლულები და დაბეჟილობები და კიდევ – კარგად ახსოვთ უამრავი საგულისხმო ანდაზის ბრძნული შეგონებები, რომლებიც ადამიანებს არასოდეს სმენიათ ან დიდი ხნის წინათ გადაივიწყეს.

და მაინც მისტერ ბეგინსის დღეში ყოფნას არავინ ინატრებდა. გვირაბს დასასრული არ უჩანდა. ბილბო ატყობდა, რომ გზა განუწყვეტლივ დაღმა ეშვებოდა და თუმც იგრიხებოდა და უხვევდა, ძირითად გეზს მაინც არ იცვლიდა. ბილბო ხედავდა აელვარებული სატევარის შუქზე, ხანაც კედელს მიყოლებული ხელით გრძნობდა გვირაბის ორივე მხარეს პირდაღებულ გვერდი-

თა გასასვლელებს, რომლებშიც იგი არც იხედებოდა, მხოლოდ ნაბიჯს აუჩქარებდა ხოლმე, უფრო სწრაფად რომ ჩაევლო – შიშობდა, იქიდან ჩასაფრებული გობლინები, ან სხვა უცნობი და ბუნდოვანი ბნელი არსებები არ დამაცხრენენო. იგი მიიწევდა სულ წინ, წინ, დაღმა და დაღმა. და უწინდებურად ჩქამიც კი არ ჩაესმოდა არსაიდან – მხოლოდ ანაზდად ყურთან ჩაფრენილი ღამურას ფართქალი თუ შეაკრთობდა. თავიდან აფრთხობდა ეს ხმა, მაგრამ მერე და მერე მიეჩვია მათ ხშირ-ხშირ ჩაქროლებას და ყურადღებას აღარ აქცევდა. არ ვიცი, რამდენ ხანს მიდიოდა იგი ასე, წინ სვლაც მოსძულებოდა, ვერც შეჩერებას ბედავდა და მიუყვებოდა, მიუყვებოდა დაუსრულებელ გვირაბს უკვე დაღლილობისგანაც დაქანცული. ეჩვენებოდა, რომ უკვე ხვალეშიც გადაიარა და მის მიღმა მომავლის უსასრულო დღეთა გზას შეუყვა...

და უცებ ბილბო წყალში შეჭყაპუნდა. უჰ! წყალი ყინულივით ცივი იყო, და მან უმალ უკან დაიხია. ბილბო ვერ გეტყოდათ, ბილიკზე დამდგარ გუბეს ნააწყდა, დერეფნის გარდიგარდმო ჩამდინარე მიწისქვეშა ნაკადის კიდეს თუ ღრმა და ბნელი ტბის სახიფათო ნაპირებს მიადგა. იგი შეჩერდა, დაძაბულმა მიაყურადა და უჩინარი ჭერიდან წყალში ჩაცვენილი წვეთების აუჩქარებელი წკაპუნი მოესმა.

– მდინარეს არ ჰგავს – ან გუბეა, ან ტბა, – გაიფიქრა ბილბომ. იგი ვერ ბედავდა ამ ბნელ და უცნობ წყალში შესვლას. ცურვა მან არ იცოდა, თანაც ცხადად წარმოიდგინა ის საძაგელი ლიპი არსებები, ვეება გადმოკარკლული ლიბრიანი თვალები რომ ჰქონდათ და კლაკვნით დაცურავდნენ ბნელ და ცივ წყალში.

მაღალი მთების ღრმა გულში დამდგარ გუბეებსა და ტბებში უჩვეულო არსებანი ბუდობენ – ის თევზები, რომელთა მამანი, უფალმა თუ უწყის, რომელ უხსოვარ დროს შემოხეტებულან აქ ბნელი ნაკადებით და უკან ველარასოდეს გაუგნიათ გზა. მათ სულ უდიდდებოდათ, უდიდდებოდათ, უდიდდებოდათ თვალები ბნელში დაძაბული ცქერისაგან. სხვა, თევზებზე უფრო საშიშარი არსებანიც შეგხვდებიან იქ, რადგან გობლინთა მიერ სათავისოდ აშენებულ გვირაბებსა და გამოქვაბულებშიც კი ცხოვრობენ სხვადასხვაგვარი ქმნილებანი პატრონთა დაუკითხავად – ისინი აქ გარედან შემომძვრალან სიბნელეში ჩასაყურსად. ზოგი მღვიმე კი გობლინების მოსვლამდე ბევრად უფრო ადრე გამოიქვაბა მთათა გულში, გობლინებმა მხოლოდ გააფართოვეს და გვირაბებით შეაერთეს ისინი ერთმანეთთან. ხოლო გამოქვაბულთა ოდინდელი მფლობელები იქვე დარჩნენ, იდუმალ კუთხეებს შეეხიზნენ, უჩუმრად დაიპარებიან და გარშემო ყველაფერს უთვალთვალებენ.

აქ, ამ სილრმეში, ბნელი წყლის პირას ცხოვრობდა ბებერი გოლუმი – პატარა სლიპინა ქმნილება. არ ვიცი, საიდან მოსულიყო, ან ვინ თუ რა იყო იგი

– სიბნელესავით ბნელი, მთისქვეშეთის სიშავეში მხოლოდ ორი დიდი მქრქალი თვალი განირჩეოდა მის ვიწრო სახეზე. პატარა ნავით იგი სულ უჩუმრად დასრიალებდა ტბაზე – დიახ, ეს ტბა იყო, ფართო, ღრმა და მომაკვდინებლად ცივი. გოლუმი ფეხებს ნავის ძგიდეს მიღმა გადაკიდებდა და ფართო ტერფების მოსმით დაცურავდა ისე, რომ ოდნავადაც არ აშფოთებდა წყალს, არა, იგი არც შეაშფოთებდა. ბუუტია თვალებით ბრმა თევზებს დაეძებდა ტბაში და გრძელი თითებით ფიქრის უმალ იტაცებდა წყლიდან. ხორციც უყვარდა, გობლინები კარგ საჭმელად მიაჩნდა, თუკი მოახერხებდა მათ დაჭერას, მაგრამ თავად მუდამ ფრთხილობდა და თვალში არავის ეჩხირებოდა. იგი უკნიდან მიპარვით გუდავდა მსხვერპლს, თუკი რომელიმე გაუფრთხილებელი გობლინი მარტო ჩამოეხეტებოდა წყლის პირას, როდესაც გოლუმი ახლომახლო დაძრწოდა. მაგრამ ისინი იშვიათად თუ ჩამოდიოდნენ – ეგრძნოთ, რომ იქ, დაბლა, სილრმეში, თითქმის მთის ფესვებთან რაღაც მტრული ჩასაფრებულიყო. გობლინები ამ ტბას დიდი ხნის წინ მიადგნენ, მაშინ, როდესაც მთის სილრმეებისკენ გვირაბი გაჰყავდათ, და ნახეს, რომ წინ ველარ წავიდოდნენ. ასე რომ, ერთი მიმართულებით ამ ადგილას სრულდებოდა გობლინთა გზები და ამიტომ აქეთ აღარ დადიოდნენ – თუკი ბელადი არ გამოგზავნიდათ. ბელადი კი ზოგჯერ ტბის თევზს მოიგუნებებდა და ისეც ხდებოდა, რომ თევზიც და ნარგზავნილიც უკვალოდ გაქრებოდა ხოლმე.

გოლუმი ტბის შუაგულში, ქვის ლიპ კუნძულზე ცხოვრობდა. მან უკვე შეამჩნია ბილბო შორიდან თავისი მქრქალი, ჭოგრიტივით თვალებით. ჰობიტი ვერ ამჩნევდა გოლუმს, იგი კი ცნობისმოყვარეობით აღვსილიყო ამ ახალი სტუმრის გამო, რადგან კარგად ხედავდა, რომ მოსული გობლინი არ იყო.

გოლუმი ნავში ჩაძვრა და კუნძულს მოსწყდა, ბილბო კი ამასობაში მწუხარედ ჯდა წყლის პირას, რაკი ბილიკიც დაჰკარგვოდა და თავგზაც. და უცებ მოახლოებული გოლუმი აჩურჩულდა და ასისინდა:

– გვეშველა და გვესველა, ძვირფასო! რას ვხედავ, საუცხოოდ გვიმასპინძლდებიან! სასუსნავ ცვრიან საკბილოდ წაგვადგება, გოლუმ! – და მან საშინელი ბუყბუყა ხმით ჩაყლაპა ბოლო სიტყვა. ამ ჩვევის გამო შეარქვეს მას გოლუმი, თუმც თავად იგი საკუთარ თავს „ძვირფასს" ეძახდა.

ბილბოს კინაღამ სული გასძვრა შიშისაგან, როდესაც სრულიად მოულოდნელად ყურში ჩასშიშინეს და სულ ახლოდან მოშტერებული მკრთალი თვალები დაინახა.

– ვინა ხარ? – წამოიძახა მან და ხანჯალი შემართა, წინ აიფარა.

– თავად რა არისს, ძვირფასსო? – კვლავ ასისინდა გოლუმი, რომელიც მუდამ საკუთარ თავს მიმართავდა, რაკი ახლომახლო არავინ ჰყავდა, ვისთანაც ისაუბრებდა. ამჯერად იგი სწორედ ახალმოსულის ვინაობის შესატყო-

ბად გარჯილიყო, რადგანაც, საოცარია, მაგრამ არც ისე მშიერი გახლდათ რომ შიებოდა, გოლუმი ჯერ ჩააცლებდა ბილბოს და მერელა ასისინდებოდა.

– მე მისტერ ბილბო ბეგინსი ვარ. დავკარგე გნომები, დავკარგე ჯადოქარი და არ ვიცი, სად ვარ ახლა. არც მინდა ვიცოდე, ოღონდ აქედან გამაღწევინა.

– ხელთებსში რაღა უკავია? – ჩაეკითხა გოლუმი, თან ხმალს შესცქეროდა. მას არცთუ ძალიან მოსდიოდა თვალში ბილბოს იარაღი.

– მახვილი, გონდოლინს გამოწრთობილი!

– სსს... – დაფიქრდა გოლუმი და თვალდათვალ შეემატა ზრდილობა, – ეგებ ჩამოვსხდეთ აქ და საუბარი ვქნათ ცოტათი, ძვირფასო? მაგას ეგება გამოცანები მოსწონს, ეგება მოსწონს, ასეა? – გოლუმი შეეცადა, მეგობრად სჩვენებოდა ბილბოს, ჯერჯერობით მაინც, სანამ ცოტა მეტს შეიტყობდა ჰობიტისა და მისი ხმლის შესახებ, სანამ კარგად გამოარკვევდა, მთლად მარტო იყო თუ არა ბილბო, იჭმეოდა თუ არა იგი და მართლაც შიოდა თუ არა თავად მას, გოლუმს. და მას გამოცანობანას თამაში მოაგონდა. მათი თქმა და ხანდახან გამოცნობა ერთადერთი თამაში იყო, რომელსაც იგი მისსავე მსგავს უცნაურ არსებებს ეთამაშებოდა მათთან ერთად სოროში ჩამჯდარი დიდი, დიდი, დიდი ხნის წინათ, მანამ, სანამ ყველა მეგობარს დაჰკარგავდა და მარტოსულს უცნობი გზებით წარიტანებდა ბედი, სანამ ჩაცოცდებოდა სულ დაბლა და დაბლა, მთისქვეშა ბნელში.

– კეთილი და პატიოსანი, – მიუგო ბილბომ, რომელმაც დათანხმება არჩია, მანამ მაინც, სანამ გამოარკვევდა, მარტო იყო თუ არა გოლუმი, იყო თუ არა იგი ბოროტი ან მშიერი, მეგობრობდა თუ არა გობლინებთან.

– პირველმა შენ მკითხე, – უთხრა მან გოლუმს, რადგან გამოცანის მოფიქრება ვერ მოესწრო.

და გოლუმმა ნაისისინა:

ფესვები აქვს უხილავი,
სიმაღლით ხეს გაასწრებს,
მაღლა არის აზიდული,
არ იზრდება აროდეს.

– იოლია! – თქვა ბილბომ, – მგონი, მთა არის.

– ეგ რალაც ამბობს, იოლი გამოსაცნობია? მაშ, მაგი უნდა შეგვეჯიბროს, ძვირფასსო! თუ ძვირფასმა ჰკითხა და ეგ ვერ მიხვდა, ჩვენ მაგას შევჭამთ, ძვირფასსო. თუ ეგ შეგვეკითხა და ჩვენ ვერ გამოვიცანით, მაშ ჩვენ ვიზამთ, რაც მაგას სსურს, ა? ჩვენ ვუჩვენოთ მას გასასვლელი, ასე!

– კეთილი! – დასთანხმდა ბილბო, რაკი შეკამათება ვერ გაბედა; თან ტვინს იჭყლეტდა ისეთი გამოცანის მოსაფიქრებლად, შეჭმას რომ გადაარჩენდა.

ოცდაათი თეთრი ცხენი
წითელ გორაკს შეზრდია,
ხან ერთმანეთს შორდებიან,
ხან ერთმანეთს ეკვრიან,
წკაპუნობენ, ჩხაკუნობენ,
ისევ წყნარად დგებიან.

უკეთესი ვერაფერი მოიგონა – გუნებაში უნებურად სულ „შეჭმაზე" ეფიქრებოდა. გამოცანა საკმაოდ ძველი იყო და გოლუმმა თქვენსავით კარგად იცოდა პასუხი:

– ძველია, ძძველი, – წაისისინა მან, – კბილები, კბილები! ძვირფასსო, მაგრამ ჩვენ სულ ექვსი გვაქვსს!

და მეორე გამოცანა უთხრა ბილბოს:

უენოდ გაჰყვირის,
უფრთებოდ ფრენს,
უპიროდ ლულლუღებს,
უკბილოდ კბენს.

– ერთი წუთით! – იყვირა ბილბომ, რომელსაც ჯერ კიდევ აფორიაქებდა ბრი „შეჭმის" თაობაზე და ამიტომ მთლად დალაგებით ვერ ფიქრობდა. ბედად, ადრე მას უკვე სმენოდა მსგავსი გამოცანა და პასუხიც მოაგონდა:

– ქარი, ქარი, რასაკვირველია! – თქვა მან. და საკუთარი სიმარჯვით ფრთაშესხმულმა ხელდახელ შეთხზა მორიგი გამოცანა:

ლურჯი სახის თვალმა
მწვანე სახის თვალი
დაინახა დაბლა
და თქვა: – დაბლა არის,
თორემ არის ისიც
ჩემნაირი თვალი!

„ეს ხომ ჩააგდებს საგონებელში საზიზღარ მინისქვეშელ ქმნილებას!" – ფიქრობდა მან.

– სს, სს, სს, -დაფიქრდა გოლუმი. იგი ძალიან, ძალიან დიდხანს ცხოვრობდა მიწისქვეშეთში და ამგვარი რამეები გადავიწყებოდა. ის იყო, ბილბოს იმედიც გაუჩნდა, ეს უბედური ვერ მპასუხობსო, რომ გოლუმმა მრავალ და მრავალ საუკუნეთა წინანდელ მოგონებებს მოუხმო, გაახსენდა ხანა, როდესაც ბებიასთან ერთად მდინარის პირას სოროში ცხოვრობდა.

– სსს, ძვირფასსო – მზე და ზიზილები – აი, რა არის, ჰო.

მაგრამ ამგვარი მარტივი და სამზეოსათვის ჩვეულებრივი გამოცანები გოლუმისათვის დამქანცველი გახლდათ. მას მოაგონდა ჟამი, როცა ნაკლებ ეული, ნაკლებად ქვემძრომი და საზიზღარი იყო თავად, და მოთმინება გამოელია, თანაც მოშივდა. ამიტომ იგი შეეცადა, რაც შეიძლება ძნელი და უსიამო გამოცანა მოეფიქრებინა:

ვერ გაიგებ, ვერ იგრძნობ,
ვერ ნახავ და იყნოსავ,
ვარსკვლავების მიღმა წევს,
ბნელ ხევ-ხუვებს შემოსავს,
სულ პირველად ის იყო,
დაასრულებს ყველაფერს,
სიცილს მოკლავს მხიარულს
და გააქრობს სიცოცხლეს.

გოლუმის სამწუხაროდ, ბილბოს ადრე სმენოდა მსგავსი გამოცანა. თანაც პასუხი ყოველმხრივ შემოსჯაროდა!

– სიბნელე! – განაცხადა მან ისე, რომ არც თავი უმტვრევია, არც კეფა მოუქექია. და მხოლოდ იმისათვის, რომ დრო მოეგო მართლაცდა ძნელი გამოცანის მოსაფიქრებლად, თქვა:

უფანჯრო და უკარო, უთავსაფრო ყუთი,
რომელშიც დამალულა ციცქნა ოქროს ბურთი.

ბილბო თვლიდა, ეს გამოცანა ძველი და ძალიან ადვილი გამოსაცნობიაო, თუმც მან ცოტათი შეცვალა სიტყვები და ახალ ყაიდაზე მოჰყვა. გოლუმს კი, სრულიად მოულოდნელად, ძალიან გაუჭირდა პასუხის პოვნა. იგი სისინებდა, შიშინებდა და რაღაცას ჩქარ-ჩქარა ბუტბუტებდა, პასუხს კი ვერ ამბობდა.

ცოტა ხანში ბილბოს მოთმინება დაელია.

– აბა, რა არის? – დაეკითხა იგი გოლუმს, – ისე ხმაურობ, თითქოს ფიქრობდე, პასუხი იყოს „ჩაიდანი, რომელიც დულს და გადმოდულს“. უნდა

ვითხრა, რომ ეს სწორი არ არის.

– გვაცალოს, დაე, დაგვაცადოსს, ძვირფასს-სსო.

– აბა, – უთხრა ბილბომ მას შემდეგ, რაც კარგა ხანს დააცადა, – მიხვდი, რა არის?

და უცებ გოლუმს გაახსენდა, როგორ აცარიელებდა ბუდეებს, შემდეგ მდინარის პირას თავზეწამოფარებული ფლატეს ქვეშ იჯდა და ბებიას ასწავლიდა – ჰო, ბებიას ასწავლიდა ნაჭუჭიდან გამოწუწნას.

– კვერცხსები, – წაისისინა მან, – ეგ კვერცხსებია!

შემდეგ იკითხა:

არ სუნთქავს და ცოცხალია,
სიკვდილივით ცივია,
არ ჩხაკუნობს აბჯარშიაც,
სვამს და არკი წყურია.

ამჯერად გოლუმი ფიქრობდა, ძალიან იოლი გამოცანა შევარჩიეო, რადგანაც თავად განუწყვეტლივ მასზე – ამ პასუხზე – ფიქრობდა. მაგრამ ნაუცბათევად უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, ისე ააღელვა გამოცანამ კვერცხებზე. და ამჯერად საბრალო ბილბოს დაადგა გასაჭირი. იგი მუდამ ცდილობდა, წყლისაგან თავი შორს დაეჭირა. თქვენ, ცხადია, იცით პასუხი, ანდა სულ იოლად შეგიძლიათ გამოიცნოთ, რაკი შინ სხედხართ არხეინად და გონებას არ გიფანტავთ იმაზე ფიქრი, რომ ვილაც შეჭმით გემუქრებათ. ბილბო ჩამოჯდა, ერთი-ორჯერ ხმაც ჩაიწმინდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

კარგა ხნის შემდეგ გოლუმი სიხარულით ასისინდა და აჩურჩულდა:

– ეგ რაღაც გემრიელია, ძვირფასსო? თუა წვნიანი? თუ არის ჩასაკვნეტ-ჩასაკნატუნებელი? – თან ჩაციებით აშტერდებოდა ბილბოს ნესტიანი წყვდიადიდან.

– სულ ერთი წუთით! – მოითხოვა აცახცახებულმა ბილბომ, – ახლა არ იყო, იმდენ ხანს რომ დაგაცალე?

– სწრაფად, სწრაფად უნდა ქნას! – თქვა გოლუმმა და ნავიდან ნაპირზე გადმოცოცება დაიწყო, ბილბოს რომ მიახლოებოდა. გრძელი, აპკიანი ფეხი წყალში რომ ჩაყო, იქიდან დამფრთხალი თევზი ამოხტა და ბილბოს ტერფებზე დაეცა.

– უჰ! – წამოიძახა მან, – რა ცივია, და სველი! – და უცებ მიხვდა, – თევზი, თევზი! – აყვირდა იგი, – თევზია!

გოლუმი საშინლად იმედგაცრუებული დარჩა. ბილბომ რაც შეეძლო სწრაფად მიაგება მორიგი გამოცანა და იგი კვლავ ნავში უნდა ჩამძვრალიყო საფიქრელად:

უფეხო დევს ცალფეხაზე,
ორფეხა ზის სამფეხაზე,
ოთხფეხასაც წილს აძლევენ".

ამ გამოცანის სათქმელად ბილბომ არცთუ ხელსაყრელი დრო შეარჩია, მაგრამ იგი ძალიან ჩქარობდა. გოლუმს იქნებ კიდევაც გასჭირვებოდა მისი გამოცნობა, სხვა დროს რომ ეკითხათ. მაგრამ რაკი სულ ცოტა ხნის წინ თევზზე საუბრობდნენ, თუ რა იყო „უფეხო", ამის გამოცნობა იოლი საქმე ხდებოდა, ხოლო ამას იოლადვე მოსდევდა დანარჩენი პასუხი: „პატარა მაგიდაზე თევზი დევს, ადამიანი სკამით მიმჯდარა მაგიდასთან, კატა კი ძვლებს მიირთმევს". და გოლუმმაც სწრაფად გაართვა თავი გამოცანას. შემდეგ იფიქრა, უკვე დადგა დრო, მართლაცდა ძნელი და საშინელი კითხვა შევარჩიოო. და მან თქვა:

ის ყველაფერს ანადგურებს –
ჩიტებს, ხეებს და მხეცებს,
რკინას დახრავს, ლოდებს დაფქვავს,
კლდეებს დაანამცეცებს,
მისი ხელით დაიქცევა
ყველა ციხე-დარბაზი
და მიწასთან გაასწორებს,
რაც კი იყო ლამაზი.

საბრალო ბილბო დიდხანს იჯდა სიბნელეში და რიგ-რიგობით იხსენებდა ყველა საარაკო გოლიათისა თუ კაციჭამიას თავზარდამცემ საქმეებსა და სახელებს, მაგრამ გოლუმის ჩამონათვალს ვერც ერთი ვერ მიუსადაგა. გუმანი ეუბნებოდა, პასუხი იცი, ოღონდ სხვაგან უნდა ეძიოო, მაგრამ ბილბოს გონება ვერ მოეკრიბა, გულს შიში შეეპარა, ეს კი ფიქრს ძალიან უშლის ხელს. გოლუმმა კვლავ იწყო ნავიდან გადმოცოცება, გადმოაბიჯა თავხელში და ნაპირისაკენ გამოჭყაპუნდა. ჰობიტი ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა, უახლოვდებოდა მისი თვალები... ბილბოს ენა აღარ ემორჩილებოდა, სიტყვები უწყდებოდა... სურდა, დაეყვირა: „ცოტა ხანს მადროვე! მადროვე!", მაგრამ შეშინებულმა ესღა ამოიწრიპინა:

– დრო! დრო!

ბედწყერმა შემთხვევამ დაიფარა ბილბო – სწორედ ეს იყო გოლუმის გამოცანის პასუხი.

გოლუმი კიდევ ერთხელ დარჩა იმედგაცრუებული. იგი სულ უფრო და უფრო ბრაზდებოდა, თამაშმა კი დაღალა და ძალიან მოაშია. ამჯერად იგი

ნავში აღარ დაბრუნებულა, ბილბოს შორიახლოს ჩამოჯდა ბნელაში. ამან ჰობიტი საშინლად ააფორიაქა და საბოლოოდ დაეფანტა გონება.

– მაგან ჩჩვენ უნდა შეგვეკითხოსს, ძვირფასსო, ასსეა, ასსსე. გამოსსაცნობად შეგვეკითხოსს, ასსსე, – გამოსცრა გოლუმმა.

მაგრამ ბილბოს საერთოდ არ შეეძლო ფიქრი, როდესაც ასე ახლოს მისჯდომოდა გამოუცნობი საზიზღარი ქმნილება, განუწყვეტლივ ხელებს ავლებდა და თითებით სინჯავდა. ჰობიტმა თავი მოიქექა, მერე მაგრად იჩქმიტა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოიგონა.

– გვკითხოს! გვკითხოსს! – არ ცხრებოდა გოლუმი.

ბილბომ კვლავ იჩქმიტა, მერე ხელები შემოიტყაპუნა გვერდებზე, თავისი პატარა ხმალი ჩაბლუჯა, მეორე ხელით ჯიბეც კი მოიჩხრიკა. და უცებ წააწყდა ბეჭედს, ბნელ დერეფანში რომ იპოვა, აიღო და გადაივიწყა.

– რა მაქვს ჯიბეში? – წამოსცდა ხმამაღლა. იგი საკუთარ თავს ჩაეკითხა, მაგრამ გოლუმმა იფიქრა, გამოცანას მთავაზობსო და საშინლად გაღიზიანდა.

– წესი არ არისს, არ შეიძლება. წესი არ არის, ძვირფასსო, ხომ არ არის, მაგ რაღაცამ გვკითხოს, რა აქვსს საძაგელ პატარა ჯიბეებსში?

ბილბო მიხვდა, რაც მოხდა და, რაკი უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გოლუმისათვის რომ ეკითხა, თავისი დაიჟინა:

– რა მაქვს ჯიბეში? – იკითხა უფრო ხმამაღლა.

– ს-ს-ს, – ასისინდა გოლუმი, – მაგან სამჯერ გვათქმევინოს პასუხსსები, ძვირფასსო, სამი პასსუხსსები...

– კეთილი და პატიოსანი! – დასთანხმდა ბილბო.

– ხელთები! – თქვა გოლუმმა.

– არ არის მართალი, – მიუგო ბილბომ, რომელსაც ილბლად მოესწრო ჯიბიდან ხელის ამოღება, – კიდევ გამოიცანი!

– ს-ს-ს, – თქვა უარესად გაღიზიანებულმა გოლუმმა. იგი იხსენებდა, თავად რას დაატარებდა ჯიბეებით: თევზის ხერხემლებს, გობლინის კბილებს, სველ ნიჟარებს, ღამურას ფრთის ნაგლეჯს, სალეს ქვას ეშვების ნასამახად და სხვა საზიზღარ ნვრილმანთ. იგი შეეცადა, მიმხვდარიყო, რას ინახავდნენ ჯიბეებში სხვები.

– დანა! – წარმოსთქვა ბოლოს.

– არაა მართალი! – მიუგო ბილბომ, რომელსაც დანა დაჰკარგვოდა, – ბოლო ცდა!

გოლუმს ახლა ბევრად უფრო მძიმე გასაჭირი ადგა, ვიდრე მაშინ, ბილბომ კვერცხის გამოცანა რომ ჰკითხა! იგი სისინებდა და ბუტბუტებდა, წინ და უკან ქანაობდა, იატაკზე ფეხებს ატყაპუნებდა, იკლაკნებოდა და წრიალებდა, ბოლო ცდის დახარჯვას კი ვერ ბედავდა.

– მიდი, აბა, – თქვა ბილბომ, – გელოდები! – იგი ცდილობდა, თავდაჯერებულად და მხნედ ელაპარაკა, თუმც დარწმუნებით ვერ გეტყოდათ, როგორ დამთავრდებოდა თამაში – გინდ მიმხვდარიყო გოლუმი სწორ პასუხს, გინდ ვერა.

– კმარა, დრო გავიდა! – თქვა მან.

– თოკი, ან არაფერი! – დაიწივლა გოლუმმა, რომელიც მთლად პატიოსნად არ მოიქცა – ერთბაშად ორი პასუხი თქვა.

– არც ერთი და არც მეორე! – შვებით წამოიძახა ბილბომ, უმალ ფეხზე წამოხტა, ზურგი უახლოეს კედელს მიაბჯინა და თავისი პატარა ხმალი ხელთ იპყრა. ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ გამოცანებით თამაში საკრძალავი და წარმოუდგენლად ძველი რამ იყო, ამ თამაშის დროს დაცემული ნაძირალა ქმნილებანიც კი უფრთხიან და ეკრძალვიან სიცრუეს. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ამ სლიპინა არსების ნდობა არ შეიძლებოდა და რომ იგი, თუკი საქმე საქმეზე მიდგებოდა, არცთუ ხალისით დაეშურებოდა პირობის შესრულებას. თავის ასარიდებლად მისთვის ნებისმიერი საბაბი ივარგებდა. თანაც, ბოლოსდაბოლოს, ბილბოს კითხვა უძველესი წესებით არც ჩაითვლებოდა ნამდვილ გამოცანად.

მაგრამ, ასეა თუ ისე, გოლუმი მაშინვე არ დასხმია თავს ჰობიტს, რადგანაც კარგად ხედავდა მახვილს ბილბოს ხელში. იგი წყნარად იჯდა, ცახცახებდა და ჩურჩულებდა. ბოლოს ბილბომ ველარ გაძლო.

– აბა? – თქვა მან, – პირობაზე როგორა ხარ? წასვლა მინდა. შენ გზა უნდა მიჩვენო.

– ასე ვთქვით, ძვირფასსო? ვუჩვენოთ პატარა საზიზღარ ბეგინსს გასასვლელი, ასეა, ასე. მაგრამ რა აქვს ჯიბეებსში, ჰა? ბაწარი არა, ძვირფასო, მაგრამ არაფერიც არა. ო, არა! გოლუმ!

– თავს ნულა იმტვრევ, – მიუგო ბილბომ, – პირობა კი პირობაა!

– ეგ რალაც ბრაზიანია, და მოუთმენელი, ძვირფასო, – დაისისინა გოლუმმა, – მაგრამ მაგან უნდა მოიცადოს, ჰო, მოიცადოსს. ასე უცებ გვირაბებს ვერ ავუყვებით, ჯერ უნდა წავიდეთ და რალაც წამოვიღოთ, ჰო, რალაც, რაც მოგვეშველება...

– მაშინ იჩქარე! – უთხრა ბილბომ და შვებით გაიფიქრა, გოლუმი ახლა მაინც მომცილდებაო. იგი რალაც აბდაუბდას იმიზეზებს და უკან დაბრუნებას არც აპირებსო, ჩათვალა ჰობიტმა. აბა, რას ამბობდა გოლუმი? განა რა საჭირო ნივთს ინახავდა იგი ბნელ ტბაზე? მაგრამ ბილბო ცდებოდა, გოლუმი სნორედაც რომ აპირებდა უკან დაბრუნებას. იგი გაავდა, მოშივდა, თანაც ძალიან წამხდარი საწყალობელი ქმნილება გახლდათ და უკვე გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ნაპირიდან შორს არ იყო მისი კუნძული – ბილბომ არაფერი იცოდა ამ კუნძულის შესახებ – და იქ, მის მიერვე მოწყობილ სამალავში გოლუმი ნაირ-ნაირ უბადრუკ წვრილმანს ინახავდა. და იმ პატარა ბინძურ გროვაში ერია ერთი მშვენიერი ნივთიც, მეტად მშვენიერი, მეტად საოცარი. მას ჰქონდა ბეჭედი, ოქროს ბეჭედი, ძვირფასი ბეჭედი.

– ჩემი დაბადების დღის საჩუქარი! – ჩურჩულებდა იგი თავისთვის; იგი ხშირად იმეორებდა ასე დაუსრულებელ, წყვდიადით მოცულ დღეებში, – აი, რა გვინდება, ჰო. ჩვენ გვინდა იგი!

მას სჭირდებოდა იგი – მისი ბეჭედი, რადგან ეს ძალის ბეჭედი იყო და ვინც მას თითზე ჩამოიცვამდა, უჩინარი გახდებოდა. მხოლოდ კაშკაშა მზის შუქი თუ გასცემდა სხვათა თვალთათვის მის ჩრდილს – იმასაც მკრთალს, მოცახცახეს.

– ჩემი დაბადების დღის საჩუქარი! დაბადების დღეს მომეცა იგი, ჩემი ძვირფასი, – მუდამ უმეორებდა იგი საკუთარ თავს. მაგრამ ვინ იცის, რაგვარად მიიღო გოლუმმა ეს საჩუქარი ადრე, საუკუნეთა მიღმა, იმ უხსოვარ დღეებში, როდესაც ამგვარი ბეჭდები ჯერაც სამზეოს იყვნენ მოფენილნი? ალბათ ამას ვერ გეტყოდათ თავად დიდი ოსტატიც, რომელსაც ხელთექმნა ეს ბეჭდები.

ადრე გოლუმს თითზე ეკეთა იგი, სანამ არ მობეზრდა, შემდეგ ტანზე მიკრული ქისით დაატარებდა, მაგრამ ქისამ კანი გადაუტყავა. და ახლა, ჩვეულებრივ, თავის კუნძულზე მალავდა, კლდის ხვრელში, და ხშირ-ხშირად დახედავდა ხოლმე. ზოგჯერ თითზეც იკეთებდა, მაშინ, როდესაც მონატრებას ველარ უძლებდა, ან როცა ძალიან, ძალიან შიოდა, თევზი კი მოჰყირჭებოდა. მაშინ იგი ცოცვით აუყვებოდა ბნელ დერეფნებს და გზააბნეულ გობლინებს დაეძებდა. ზოგჯერ ჩირაღდნებით განათებულ გამოქვაბულებშიც ბედავდა შეხედვას. ცეცხლის შუქი თვალებს სჭრიდა და უჭუტავდა, მაგრამ გოლუმი დაცული იყო. ო, დიახ, დაცული! ვერვინ დაინახავდა, ვერვინ შეამჩნევდა მას, სანამ მსხვერპლს ყელზე არ შემოეჭდებოდა სლიპინა თითები. სულ რამდენიმე საათის წინ ეკეთა გოლუმს თავისი ბეჭედი და გობლინთა პატარა ნაშიერი მოგუდა. მერედა როგორ ჭყიოდა პატარა ნანადირევი! ერთი-ორი ძვალი კიდევაც შემოენახა მოგვიანებით დასახრავად, მაგრამ ამჯერად რალაც უფრო ცვრიანი მოსურვებოდა.

– სულ მთლად დაცული, ჰო, – ჩურჩულებდა იგი თავისთვის, – ეგ რალაც ჩვენ ვერ დაგვინახავს, ჰო, ძვირფასო? ვერა. ეგ ვერ დაგვინახავს და მაგის პატარა საზიზღარი ხმალი ვერც გამოადგება, სულ ვერ გამოადგება.

აი, რა ტრიალებდა მის პატარა უნამუსო გონებაში, როდესაც ნაპირიდან ჩასხლტა, კვლავ თავის ნავისაკენ ნაჭყაპუნდა და წყვდიადში შეცურა. ბილბო

ფიქრობდა, ანი კი ამბადაც ველარაფერს გავიგებ მასზეო, მაგრამ მაინც შეიცადა, რადგან არ იცოდა, მარტოს როგორ უნდა გაეგნო გზა სამზეოსაკენ.

და უცებ საშინელი ღმუილი მოესმა. ჰობიტმა იგრძნო, როგორ დაუყვა ხერხემალზე უნებური ჟრჟოლა. გოლუმი იწყევლებოდა და მოსთქვამდა შორიახლოს, ბნელაში. იგი თავის კუნძულზე გადასულიყო, გარშემო კლდეებს ფხოჭნიდა, იჩხრიკებოდა და ამაოდ დაეძებდა რაღაცას.

– სად არის? სად არისს? – ესმოდა ბილბოს მისი ძახილი, – დაკარგულია ჩემი ძვირფასი, დაკარგულია, დაკარგული! მოგვსპეთ, მოგვსრეთ – დაიკარგა ჩემი ძვირფასი!

– რა დაგემართა? – გასძახა ბილბომ, – რა დაგეკარგა?

– მაგ რაღაცამ არ უნდა გვკითხოს, – წიოდა გოლუმი, – მაგის საქმე არ არის, არა, გოლუმ! ის დაიკარგა, გოლლუმ, გოლუმ, გოლლუმ!

– ო, მეც დავიკარგე! – დაიყვირა ბილბომ, – და მინდა, მოვიძებნო. თანაც, მე მოვიგე თამაში, შენ კი შემპირდი. ამიტომ, მოდი ახლა! მოდი, გამიყვანე აქედან და მერე განაგრძე ძებნა!

უძირო სასონარკვეთით ხმობდა გოლუმი, მაგრამ ბილბო მაინც ვერ თანაუგრძნობდა. მას გული ეუბნებოდა, ის, რაც გოლუმს ასე ძალიან სჭირდება, მთლად კარგი რამე ვერ იქნებაო.

– მოდი აქ! – კვლავ შესძახა მან გოლუმს.

– არა, ჯერ არა, ძვირფასო, – პასუხობდა გოლუმი, – ჩვენ უნდა ვეძებოთ, იგი დაიკარგა, გოლუმ!

– მაგრამ შენ ვერ გამოიცანი ჩემი ბოლო კითხვა, და შენ შემპირდი, – კვლავ შეახსენა ბილბომ.

– ვერ გამოიცანი! – გაიმეორა გოლუმმა. და უცებ წყვდიადიდან ბასრი სისინი გამოიჭრა, – რა აქვს მაგ რაღაცას ჯიბეებსში? გვითხრას! მაგან პირველმა უნდა გვითხრას!

ბილბო ვერც გეტყოდათ, ვითომ რატომ არ სურდა, გაემხილა, რა ჰქონდა ჯიბეში. გოლუმი კი მასზე სწრაფად გაერკვა და მიხვდა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დაუსრულებელი წლებისა და წლების განმავლობაში იგი მხოლოდ ერთ ნივთზე ფიქრობდა და მუდამ შიშობდა, არ მომპარონ, არ მომტაცონო. მაგრამ ბილბოს უკვე თავი მოაბეზრა ამ დაუსრულებელმა დავამ. ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვა მან, გაიმარჯვა საკმაოდ პატიოსნად, საშინელ საფრთხეს შეჭიდებულმა...

– პასუხი უნდა გამოიცნო, მზამზარეულად კი არ უნდა მოგართვან, – თქვა მან.

– მაგრამ ეს არ იყო სწორი კითხვა, – დაობდა გოლუმი, – ეს არ იყო გამოცანა, ძვირფასო, არა!

– ო, კარგი, თუკი ჩვეულებრივი კითხვები დავიწყეთ, მაშ, მე პირველმა გკითხე. რა დაკარგე? მითხარი!

– მაგას რა აქვს ჯიბეებსში? – უფრო ხმამაღლა და გამჭოლად ასისინდა ხმა. ბილბო სიბნელეს ჩააცქერდა და შეშინებულმა იქიდან შემოჩერებული ორი პატარა ლაქა გაარჩია. გოლუმის გონებას ეჭვი იპყრობდა, ეს საშინელი ეჭვი გაფითრებული ალით უნთებდა თვალებს...

– რა დაკარგე? – ისევ ჩაეკითხა ბილბო.

გოლუმს თვალები გაუმწვანდა, აუგიზგიზდა და მანათობელმა ლაქებმა სწრაფად იწყო მოახლოება. იგი კვლავ თავის ნავში იჯდა და გამალებით მოცურავდა უკან, ბნელი ნაპირისაკენ. სასონარკვეთითა და ეჭვით გახელებულს შიშველი მახვილი აღარ აფრთხობდა.

ბილბო ვერ ხვდებოდა, რამ გაახელა ასე ეს უბადრუკი ქმნილება, მაგრამ იმას კი მიხვდა, ახლა ყველა პირობა უქმია და გოლუმს ჩემი მოკვლა გადაუწყვეტიაო. ამის გაფიქრებაზე იგი შემოტრიალდა და ბრმად შეუყვა სირბილით ბნელ დერეფანს, რომლითაც ტბასთან ჩამოვიდა, მარცხენა ხელს ისევ გვირაბის კედელს მიაყოლებდა.

– რა აქვს მაგას ჯიბეებსში? – ჩაესმა უკნიდან ხმამაღალი სისინი, შემდეგ გაიგონა წყლის ტყლაშუნი – გოლუმი ნავიდან გადმოხტა.

– ნეტავი რა მაქვს ასეთი, – ჩაეკითხა ბილბო თავისთავს, თან შეუჩერებლივ გარბოდა ქოშინითა და ბორძიკით. მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაიყო. ყინულივით ცივი მოეჩვენა ბეჭედი, რომელიც მაშინვე თავისთავად წამოეცვა ჯიბეში აფათურებულ საჩვენებელ თითზე.

სისინი უკვე სულ ახლოდან, მხარსუკნიდან მოისმოდა. იგი მიტრიალდა და დაინახა, როგორ მოუყვებოდნენ შელმართს პატარა მწვანე სანთურების მსგავსი თვალები, გოლუმის თვალები. შეძრწუნებულმა სცადა, კიდევ უფრო აეჩქარებინა ნაბიჯი, მაგრამ უეცრად მაგრად წამოკრა ფეხის წვერი იატაკის რომელიღაც შვერილს, დაბლა გაიშოტა და თავისი პატარა მახვილი ქვეშ მოიყოლა. გოლუმი წამის დაუხანებლად წამოადგა თავს წაქცეულს, მაგრამ, სანამ ბილბო რამეს მოიმოქმედებდა, სანამ შეძლებდა, სული მოებრუნებინა, კვლავ წამომხტარიყო, ან მახვილი მოექნია, გოლუმმა გვერდით ჩაურბინა წყევლითა და ბუტბუტით ისე, რომ მისთვის ზედაც არ შეუხედავს.

ეს რაღას მოასწავებდა? გოლუმს შეეძლო ბნელში ხედვა. უკან მოტოვებული ბილბო ახლაც კი ხედავდა მის თვალთა მქრქალ ნათებას. იგი წვალებით წამოდგა, ჩაგო ხმალი, რომელიც ისევ აელვარებულიყო მკრთალად. შემდეგ კი, რაც შეეძლო, ფრთხილად, კვლავ წინ გასწია – სხვა გზა არც ჰქონდა. ისევ უკან, გოლუმის წყალთან ჩაცოცება არაფერს არგებდა, ხოლო თუკი უკან გაყვებოდა, გოლუმს იქნებ კიდევაც გაეყვანა მხსნელ გზაზე უკან ადევნებული ჰობიტი.

– წყეული იყოს! წყეული! წყეული იყოს! – სისინებდა გოლუმი, – წყეული იყოს ბეგინსი! მან მიგვატოვა! რა აქვს მაგას ჯიბეებსში? ო, ვიცით, ჩვენ ვხედებით, ძვირფასო. მან იპოვა იგი, ჰო, ალბათ, იპოვა. ჩემი დაბადების დღის საჩუქარი!

ბილბომ ყურები ცქვიტა. ბოლოს და ბოლოს იგი თავადაც იწყებდა მიხვედრას. მან ნაბიჯს აუჩქარა და რამდენადაც გაბედა, მიუახლოვდა გოლუმს. იგი კვლავ მიისწრაფოდა, მირბოდა და უკან არ იხედებოდა, მხოლოდ თავს ატრიალებდა აქეთ-იქით – ჰობიტს ამას კედლებზე გაჩენილი მკრთალი ციმციმი ახვედრებდა.

– ჩემი დაბადების დღის საჩუქარი! კრულ იყოს! როგორ დავკარგეთ იგი, ჩემი ძვირფასი? ჰო, აი, როგორ. მაშინ, როდესაც ბოლოჯერ გამოვიარეთ აქ, როდესაც კისერი მოვუგრიხეთ საზიზღარ ჭყვიტინა ღლაპს. აი, როგორ. წყეულ იყოს! ის მოგვძვრა, გაგვიძვრა ამდენი წლების, ამ წლების მერე! მან მიგვატოვა, გოლუმ!

ანაზდად გოლუმი ჩაჯდა და მოთქმას მოჰყვა სასმენად საზარი სტვენითა და ბუყბუყით. ბილბო შეჩერდა და კედელს აეკრა. ცოტა ხნის შემდეგ გოლუმმა ტირილი შეწყვიტა და ალაპარაკდა – როგორც ჩანს, იგი საკუთარ თავთან ბჭობდა:

– იქ, უკან მის საძებრად ტყუილად წავალთ – ჩვენ არ გვახსოვს ყველა ადგილი, სადაც გავიარეთ. საჭიროც არაა. ბეგინსს აქვს იგი ჯიბეებსში. საზიზღარმა მსტოვარმა ბეგინსმა იპოვა იგი, ასე ვსთქვით ჩვენ.

ჩვენ ვხედებით, ძვირფასო, მხოლოდ ვხედებით. ვერ გვეცოდინება, სანამ არ ვიპოვეთ საზიზღარი ქმნილება, სანამ არ გამოვწურეთ! მაგრამ მაგან არ იცის, ძვირფასს რა შეუძლია, ხომ არ იცის? მაგი ძვირფასს უბრალოდ თავის ჯიბეებსში შეინახავს. მაგან იცის. მაგან იცის შემოსასვლელი, უნდა იცოდეს გასასვლელი, ასეა. ის რაღაც უკანა კარისკენ გაიქცა, უკანა კარისკენ, აი, როგორ.

მაგას გობლინსები დაიჭერენ, მაგი იქიდან ვერ გავა, ძვირფასო.

სს, სს! გოლუმ! გობლინსები! მაგრამ თუ მაგას აქვს საჩუქარი, ჩვენი ძვირფასი საჩუქარი, მაშინ გობლინსები აიღებენ იმას, გოლუმ! ისინი იპოვიან, ისინი გაიგებენ, ძვირფასს რა შეუძლია. ჩვენ აღარ ვიქნებით დაცული, აღარასოდეს, გოლუმ! ერთი გობლინსი გაიკეთებს იმას, და მაშინ ველარავინ დაინახავს. ის აქ იქნება და არ გამოჩნდება. ჩვენი ჭკუიანი თვალსებიც კი ვერ შეამჩნევენ იმას. ის მოვა სასტიკი, საძულველი, მოგვასტყუებს და დაგვიჭერს, გოლუმ, გოლუმ!

მაშ, მოვრჩეთ სიტყვებს, ძვირფასო, სწრაფად, გასწი! თუ ბეგინსი იქით ნავიდა, ჩვენ ჩქარა უნდა გავიქცეთ და შევამოწმოთ. გასწი! შორს აღარაა! სწრაფად!

გოლუმი დამდულრულივით წამოიჭრა და უშნო ფართხუნით გავარდა წინ. ბილბო უკან გაედევნა. იგი შიშობდა, კიდევ არ წამოვედო მორიგ შვერილს და ხმაურით არ წავიქცეო, ამიტომ ძალიან ფრთხილობდა. გულს კვლავ იმედი დაესახა, თან ცნობისმოყვარეობით ინვოდა, გარბოდა და თავი უბრუოდა. ნაპოვნი ბეჭედი ჯადოსნური ყოფილიყო – მისი მეშვეობით გაუჩინარება შეიძლებოდა! ბილბოს ამბად სმენოდა, ძველისძველ ზღაპრებში გაეგონა ამგვარ საგანთა ამბები, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მან თავად იპოვნა ერთი ასეთი ბეჭედი, სრულიად შემთხვევით. მაგრამ გოლუმმა, გამჭრიახმა, თვალებმოკიაფე გოლუმმა ხომ მართლაც ჩაურბინა გვერდით, სულ ახლოს, და ვერ შენიშნა!

მათ გზა განაგრძეს. გოლუმი ტყაპატყუპით, სისინითა და წყევლა-კრულვით წინ გარბოდა, მას ბილბო მისდევდა უკან ფრთხილი და უჩუმარი ჰობიტური ნაბიჯით. მალე მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც, როგორც ბილბომ აქეთა გზაზე შენიშნა, გვირაბის ორთავ მხარეს გვერდითი დერეფნები იხსნებოდა. გოლუმი მათ თვლას მოჰყვა:

– ერთი მარცხნივ, ჰო; ერთი მარჯვნივ, ასეა. ორი მარჯვნივ, ასეა, ასე. ორი მარცხნივ, ასე, ასე... – ბუტბუტებდა იგი.

რაც უფრო ემატებოდა სათვალავი გოლუმს, მით უფრო ყოვნდებოდა გზაში, ნაბიჯი აერია, ხმა აუტირდა. იგი სულ უფრო შორს იტოვებდა მფარველ წყალს და შიში ემატებოდა. იქნებ, გობლინები გამოჩენილიყვნენ სადმე ახლომახლო, ბეჭედი კი დაკარგული ჰქონდა. ბოლოს იგი ხელმარცხნივ დაბალ გასასვლელთან შეჩერდა.

– შვიდი მარჯვნივ, ჰო. ექვსი მარცხნივ, ასეა, – ჩაიჩურჩულა მან, – ეს არის გზა უკანა კარისაკენ, ჰო. აქ არის დერეფანი!

მან შეიხედა გასასვლელში, მაგრამ უმალ უკან დაიხია.

– ჩვენ ვერ შევბედეთ შიგ, ძვირფასო, ვერა, ვერ შევბედეთ. იქ, დაბლა გობლინსებია, ბევრი გობლინსები. ჩვენ მათი სუნი გვცემს. სსს!

რა ვქნათ? წყეული იყვნენ, მომსპარიყვნენ! აქ უნდა მოვიცადოთ, ძვირფასო, ცოტა მოვიცადოთ და ვნახოთ!..

და ისინი შეჩერდნენ, შეჩერდნენ ჩიხში. როგორც იქნა, გოლუმმა ბილბო გასასვლელთან გამოიყვანა, მაგრამ ჰობიტს არ შეეძლო ამ ფზას გაჰყოლოდა! გვირაბის ღიობში მოკუნტული გოლუმი იჯდა, მუხლებს შორის მოქცეულ თავს აცანცარებდა და ცივად უელავდა თვალები.

ბილბო თაგვზე უფრო ჩუმად მოსცილდა კედელს. მაგრამ გოლუმი მყის დაიძაგრა, ცხვირი აასრუტუნა და თვალები გაუმწვანდა, მერე წყნარად, მუქარით ასისინდა. იგი ვერ ხედავდა ჰობიტს, მაგრამ მრავალწლიანი სიბნელით გამძაფრებული სმენა და ყნოსვა დაძაბა, მიაყურადა. შემდეგ ნელ-ნელა მოიკეცა,

რკალად მოხრილი ბრტყელი ხელები იატაკს დააბჯინა, თავი გამოიწვდინა და ცხვირით ლამის ძირს გაგებულ ქვას შეეხო. და თუმცა იგი მხოლოდ ბუნდოვან ჩრდილად ილანდებოდა საკუთარი თვალების შუქში, ბილბო მაინც ხედავდა თუ გრძნობდა – ლარივით მოჭიმული გოლუმი მზად იყო მეყსეული ნახტომისათვის.

ბილბომ თითქმის შეწყვიტა სუნთქვა და თავადაც დაიძაგრა. იგი უიმედობას შეეპყრო. უნდა გავიდეს, უნდა გააღწიოს ამ შემზარავი წყვდიადიდან, სანამ ძალა შერჩენია. უნდა იბრძოლოს. უნდა განგმიროს ხანჯლით ეს ქვემძრომი ქმნილება, თვალები დასთხაროს, მოკლას. უნდა მოკლას იგი!

მაგრამ არა! ასე არ გამოვა პატიოსანი ბრძოლა. ბილბო უჩინარი იყო. გოლუმს არ ჰქონდა ხმალი. იგი ცხადად არც დამუქრებია მოკვლით ბილბოს, არც უცდია ჯერ მისი მოხრჩობა. და იგი სანყალობელი, მარტოსული, უძირო წყვდიადში ჩაკარგული არსება იყო. ამ ანაზდეულმა მიხვედრამ გააოგნა ბილბო, შიშისა და სიბრალულის ნაზავმა გრძნობამ აუვსო გული; თვალწინ გაუელვა დაუსრულებელი ულიმლამო დღეების წყებამ, და ამ დღეებში არ კრთოდა არც შუქი, არც იმედი უკეთესი ყოფისა, ამ დღეებს ავსებდა მხოლოდ სალი ქვები, ცივი თევზები, დაბლით ძრომა და საკუთარ თავთან ბუტბუტი. სულ ერთ წამში ჩაიქროლეს ფიქრებმა და უცებ, მომდევნო წამს, სრულიად მოულოდნელად მოზღვავებული ძალითა და გამბედაობით ატაცებულმა ბილბომ ისკუპა.

ადამიანს ასე გადასახტომად, ალბათ, დიდი ჯაფა არც დაადგებოდა. მაგრამ ეს იყო ნახტომი წყვდიადში, გაურკვევლობაში. ჰობიტი თავზე გადაევლო გოლუმს, აწვდილი ხელის სიმაღლეზე, და სამიოდ ნაბიჯით იქით დახტა. ვერც შეამჩნია, რომ სულ ოდნავ ასცდა დერეფნის დაბალ თაღს, რომელსაც კინალამ შუბლი მიანარცხა.

გოლუმი გადაიზნიქა და თავზე გადამხტარ ჰობიტს ნაეპოტინა, მაგრამ გვიანღა იყო – ხელთ ჰაერიღა შერჩა. ბილბო კი მარჯვედ დახტა თავის ღონიერ ფეხებზე და თავდაღმა გაქანდა მხსნელ გვირაბში. იგი არ მობრუნებულა იმის სანახავად, თუ რას შვრებოდა გოლუმი. ერთხანს ფეხდაფეხ მისდევდა სისინი და წყევლა-კრულვა, შემდეგ ხმა მიჩუმდა და მაშინვე მოისმა სისხლისგამყინავი ძახილი, სიძულვილითა და სასოწარკვეთით სავსე. გოლუმი დამარცხდა – ამსიშორეზე გადევნებას იგი ველარ ბედავდა. მან დაკარგა ნადავლი, მსხვერპლი გაუსხლტა და თან გაიყოლა ის ერთადერთი ნივთიც, რომელიც ოდესმე რაიმედ ულირდა გოლუმს, დაიკარგა მისი ძვირფასი. ბილბოს გული ყელს მიებჯინა, ეს საზარელი დაძახილი რომ მოესმა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა, კვლავ წინ მიქროდა. ექოსავით შორეული, მაგრამ მუქარით აღსავსე ხმა უკნიდან მოსძახოდა:

– ქურდი, ქურდი, ქურდი! ბეგინსსი! გვძულს იგი, გვძულს, ჩვენ გვძულს იგი უკუნისამდე!

შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა, მაგრამ ჩამონოლილი მდუმარება უფრო უარესად აფრთხობდა ბილბოს.

– თუ გობლინები ისე ახლოს არიან, რომ გოლუმმა მათი სუნი იკრა, – ფიქრობდა იგი, – მაშინ ისინი უთუოდ გაიგონებდნენ ყვირილსა და წყევლას. ახლა კი ფრთხილად, ბილბო, ამ გზამ უარეს ჭირამდე არ მიგიყვანოს!

დერეფანი დაბალი და უხეშად ნაჩორკნი იყო. ჰობიტს არც ძალიან უჭირდა სიარული, მაგრამ ფრთხილობდა, რადგანაც რამდენჯერმე მწარედ შეერჭო ფეხისგულში იატაკზე დაყრილი საძაგელი წვეტიანი ქვები.

– ჭერი ზედმეტად დაბალია გობლინებისათვის, ზორბა გობლინებისათვის მაინც, – გაიფიქრა ბილბომ. მან არ იცოდა, რომ ყველაზე ზორბა გობლინებსაც, თვით მთიელ ორკებსაც კი ძალიან სწრაფად შეუძლიათ სირბილი ნახრილებს, ხელებით თითქმის მიწამდე დაწვდილთ.

მალე დერეფანი, აქამდე დაღმა-დაღმა რომ ეშვებოდა, კვლავ აღმართს შეუყვა და თანდათან სულ უფრო და უფრო ციცაბო შეიქნა. ბილბომ უნებურად ნაბიჯი შეანელა, მაგრამ ბოლოს შეღმართი დასრულდა, გვირაბმა მოუხვია და კუთხის იქით ისევ დაბლა დაეშვა. ხოლო აქ, ამ მცირე ჩაღრმაების ფსკერამდე რომ ჩაალწია, შენიშნა – მორიგი მოსახვევის იქიდან სუსტი სინათლის ათინათი ჟონავდა და კრთოდა. ეს არ იყო ცეცხლის თუ სანთურის წითელი ლაპლაპა შუქი, არა – წინ ცისქვეშეთის ფერმკრთალი ათინათი ციალებდა. და ბილბო გაიქცა.

იგი მთელი ძალით გარბოდა. სწრაფად აირბინა აღმართი, მოუხვია და მოულოდნელად გავიდა მოღიავებულ და, როგორც ამდენ ხანს წყვდიადში ყოფნის მერე მოეჩვენა, თვალისმომჭრელად კაშკაშა შუქით განათებულ სივრცეში. სინამდვილეში კი მან მხოლოდ კარის ღრიჭოში შემოღვრილი მზის სინათლე დაინახა – ვეებერთელა, ქვისგან ნაკვეთი კარი შეღებული დაეტოვებინათ.

ბილბომ თვალები აახამხამა და უცებ შენიშნა გობლინები. კბილებამდე იარაღასხმული, ხმალამონვდილი მეომრები იქვე, ღია კარში ჩამსხდარიყვნენ, ფხიზლად დარაჯობდნენ კარს, ფხიზლად დარაჯობდნენ მისკენ მომავალ დერეფანს დაუძინარი, მოზიდული, ყველაფრის მომლოდინე მცველები.

და გობლინებმა უფრო ადრე შენიშნეს ჰობიტი, ვიდრე ბილბო შენიშნავდა მათ. დიახ, მათ დაინახეს იგი. შემთხვევით იყო, თუ ბეჭედმა ბოლო ოინი ჩაიდინა, სანამ საბოლოოდ სცნობდა ახალ პატრონს, არავინ იცის, მაგრამ ბილბოს თითზე ბეჭედი ალარ ეკეთა! გობლინები ყურისნამლები აღტაცებული ყიჟინით გამოექანნენ მისკენ.

შიშისა და დანაკარგის მწვავე ტკივილმა, თითქოსდა გოლუმის სასონარკვეთის მკრთალმა ექომ, ანაზდად გული მოუწურა ბილბოს. მახვილის გაშიშვლებაც გადაავიწყდა და ერთბაშად ჯიბეებში იტკუცა ხელები. აქ იყო, ჯერაც აქ

იყო ბეჭედი, მის მარცხენა ჯიბეში, და მყის ჩამოეცვა თითზე. გობლინები ადგილზე გაქვავდნენ – ჰობიტის კვალიც კი გაქრა და გაუჩინარდა. ისინი კვლავ აღრიალდნენ, წინანდელივით ყურისწამლებად, მაგრამ ნაკლები ალტაცებით.

– სად წავიდა? – ყვიროდნენ ისინი.

– უკან, დერეფანში მიიმალა! – გაიძახოდა ზოგი.

– აქეთ! – ყმუოდნენ ერთნი.

– იქით! – ღრიალებდნენ სხვანი.

– კარს მიხედეთ! – დაიზმუვლა მეთაურმა.

გაისმა სტვენა, იარაღის ჩხაკუნი, ხმლების ჟღრიალი, გობლინები იკურთხებოდნენ და იგინებოდნენ, უთავბოლოდ აწყდებოდნენ აქეთ-იქით, ეცემოდნენ და საშინლად გაავდნენ. ყველაფერი აირია, ენით აუწერელი ალიაქოთი და აყალმაყალი ატყდა.

ბილბო საშინლად შეშინდა, მაგრამ იმის გონი შერჩა, რომ მიმხვდარიყო, რაც მოხდა და სხარტად ამოფარებოდა კედელთან მიდგმულ ზორბა კასრს – ამ კასრით მცველი გობლინებისათვის სასმელი მოქონდათ ხოლმე. აქ დამალულს მტრები ვერც კედელზე მიანარცხებდნენ, არც სასიკვდილოდ გადათქერავდნენ და ვერც ხელისცეცებით დაიჭერდნენ.

– კართან უნდა გავაღწიო, კართან უნდა გავაღწიო, – უმეორებდა და უმეორებდა ბილბო თავისთავს, მაგრამ კარგა ხანი გავიდა, სანამ ცდას გაბედავდა. შემდეგ ყოველივე შემზარავი ხუჭალობის თამაშს დაემსგავსა. გარშემო უთავბოლოდ დარბოდნენ გაავებული გობლინები. საბრალო პატარა ჰობიტმა გვერდი აუქცია ერთს, მეორეს... შემდეგ პირდაპირ შეასკდა მორიგ მცველს და გადააყირავა – გობლინი ვერ მიმხვდარიყო, რას დაეჯახა. ბილბო ოთხით გაცოცდა განზე, როგორღაც მოასწრო და ფეხებს შორის გაუძვრა მეთაურს, წამოდგა და კარისკენ გაიქცა.

ნირთხლთან ჯერ კიდევ რჩებოდა ღრიჭოდ გასასვლელი, მაგრამ მძიმე კარი რომელიღაც მცველს თითქმის ბოლომდე მიეხურა. ბილბო დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. მაშინ შეეცადა, ღრიჭოში გამძვრალიყო. იგი ძალისძალით ძვრებოდა, ძვრებოდა და უცებ გაიჭედა! ეს საზარელი იყო! მისი ღილები შელებული კარის კიდეს გამოსდებოდა. იგი უკვე ყველაფერს ხედავდა გარეთ, ღია ცის ქვეშ: ზღურბლიდან რამდენიმე საფეხური ჩარბოდა დაბლა, მაღალ მთებს შორის მოქცეული ვიწრო ველისაკენ. ღრუბლის უკნიდან მზემ გამოიხედა და ქვის კარს კაშკაშა სხივი მიანათა გარედან – მაგრამ ბილბო ვერა, ვერ გადიოდა!

და უცებ შიგნიდან გობლინმა იყვირა:

– კართან ჩრდილია! იქ, გარეთ ვილაც არის!

ბილბოს ლამის გული ამოუხტა საგულედან. იგი დაიგრიხა, გაიქაჩა. გარშემო მიმოიფანტა აწყვეტილი ღილები და იგი გასხლტა, ტანსაცმელშემოხეულმა ქურციკივით ჩაიკუნტრუშა კიბე, სანამ განცვიფრებული გობლინები ზღურბლზე დაბნეულ ლამაზ ღილებს კრეფდნენ და იტაცებდნენ.

რასაკვირველია, ისინი მალევე მოეგნენ გონს და გაქცეულს გაედევნენ. დაგეშილები კივილით და ყიჟინით დასდევდნენ ხეებს შორის. მაგრამ გობლინებს არ უყვართ მზე, მზის შუქზე მუხლები ეკეცებათ და თავბრუ ესხმით. მათ ვერ იპოვნეს ბილბო, რომელსაც ბეჭედი ეკეთა და ხეების ჩრდილიდან ჩრდილში სხლტებოდა, თავს არიდებდა მზის სხივებს. მალე გობლინები ჯავჯღანითა და ცინებით გაბრუნდნენ უკან, კარის სადარაჯოდ. ბილბომ თავი იხსნა!

6 ვაის გაყრილნი და ვუის შეყრილნი

ბილბომ გობლინებს კი დააღწია თავი, მაგრამ სად იყო, ის კი არ იცოდა. მან დაკარგა ჩაჩი, მოსასხამი, საჭმელი, პონი, ღილები და მეგობრები. ანგარიშმიუცემლად მიეხეტებოდა სულ წინ და წინ, სანამ მზე დასავლეთით, მთაგრეხილის მიღმა არ დაიძირა. ბილბოს ბილიკს მწვერვალთა ჩრდილები ნამოადგა. იგი შემოტრიალდა, გაიხედა უკან, შემდეგ კვლავ წინ და დაინახა მხოლოდ ფერდობები და მთათა თხემები, დაშვებული უცნობი ბარისაკენ, სადაც ხეებს შორის აქა-იქ გაშლილი ვაკეები ილანდებოდა.

– წმინდაო ზეცაო! – შესძახა მან, – როგორც ჩანს, ქედის მეორე მხარეს გამოვძვერი და ახლა გალმა მინების მისადგომებს გადავცქერი! სად, ო, სად არიან გენდალფი და გნომები? ღმერთო, ოღონდაც ჯერაც გობლინების საზარელ გვირაბებში არ დაეხეტებოდნენ!

იგი გაუჩერებლად მიდიოდა, მიეხეტებოდა, განვლო პაწია ზეგანი, მისი კიდეც გადაიარა და დალმა დაუყვა უცნობ ფერდობებს. და მთელი ეს ხანი ძალიან, ძალიან არასასიამოვნო ფიქრი უთანაღრებდა გულს: ნეტავი ახლა, რაკილა საოცარი ბეჭდის მფლობელი გამხდარიყო, უნდა დაბრუნებულიყო თუ არა უკან შემზარავ, საზარელ დერეფნებში მეგობრების მოსაძებნად? ის იყო, კიდევაც გადაწყვიტა მწუხარედ, მათი შველა ჩემი ვალია და უკან უნდა გავტრიალდეო, და ამის გამო თავი საოცრად უბედური ეჩვენა, რომ მოულოდნელად რაღაც ხმები ჩაესმა.

ბილბო შეჩერდა და მიაყურადა. ხმები გობლინების არ უნდა ყოფილიყო და მან კვლავ წინ გასნია ფრთხილად, ფეხაკრეფით. ქვიანი ბილიკი ხვეულებად ეშვებოდა დაბლა, მარცხნიდან ციცაბო კლდე მიჰყვებოდა, ხელმარჯვნივ კი ესაზღვრებოდა დაბალი ხეებითა და ბუჩქნარით მოდებული ღრმა ღრანტეები. და ერთ ასეთ ღრანტეში ხშირ ბუჩქნარს მოფარებული ხალხი საუბრობდა. ბილბო ფეხაკრეფით მიუახლოვდა იმ ადგილს, საიდანაც ხმები მოისმოდა და უცებ ორ მოზრდილ ლოდს შორის ნითელჩაჩიანი თავი შეამჩნია – ეს ბალინი იყო, მზირად ედგა დანარჩენებს.

აღტაცებული ბილბო სიხარულით ლამის ტაშისკვრას და ყვირილს მოჰყვა, მაგრამ თავი დაიოკა. მას ბეჭედი ჯერ კიდევ თითზე ეკეთა, მოულოდნელი და არასასიამოვნო შეხვედრები რომ აერიდებინა თავიდან. ახლა კი შეამჩნია, რომ ბალინი პირდაპირ მას მისჩერებოდა, მაგრამ ვერ ხედავდა.

– დაიცათ, მე მაგათ გავაოცებ, – გაიფიქრა ბილბომ და ჩუმად შეიპარა ბილიკის იქით ამოზრდილ ბუჩქებში. იქ გენდალფი გნომებს ეკამათებოდა. ისინი გობლინთა გვირაბებში თავსგადახდილ ამბებს განსჯიდნენ და ბჭობდნენ, ახლა როგორლა მოვიქცეთო. გნომები ბუზღუნებდნენ, გენდალფი კი მათ უმტკიცებდა, შეუძლებელია გზის გაგრძელება, თუკი არ გავარკვევთ, რა ბედი ეწია დაკარგულ მისტერ ბეგინსს, არ შევეცდებით შევიტყოთ, ცოცხალია იგი თუ მკვდარი და მის გამოხსნას არ ვეცდებითო.

– ბოლოს და ბოლოს, იგი ჩემი მეგობარია, – თქვა ჯადოქარმა, – და, საერთოდაც, რიგიანი ყმაწვილი გახლავთ. მე ვგრძნობ, რომ მოვალე ვარ, მასზე ვიზრუნო. და რატომ, რატომ დაკარგეთ იგი თქვენ თავად?

ხოლო გნომები გენდალფს ემართლებოდნენ, საერთოდაც რატომ წამოიყვანე იგი? დაობდნენ, რად ვერ შეძლო თვითონ ბილბომ მეგობრებთან დარჩენა, მათთან ერთად რომ დაეხსნა თავი და ჯადოქარმა ნეტავ რად ვერ მოახერხა ვინმე უფრო გამჭრიახის შერჩევაო?

– ჯერჯერობით მას უბედურება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე ხეირი, – თქვა რომელიღაცამ, – და თუკი მის საძებრად იმ საზიზღარ გვირაბებშიც მოგვიწევს დაბრუნება, ჩემდათავად მითქვამს, ჭირსაც წაულია მისი თავი-მეთქი!

გენდალფმა ბრაზით მიუგო:

– მისტერ ბეგინსი მე წამოვიყვანე, მე კი უსარგებლო ნივთები თან არ დავიტარებ. ან დამეხმარებით მის მოძებნაში, ან მე მარტო წავალ და თქვენ ამიერიდან როგორც გენებოთ, ისე გაუმკლავდით ხიფათს თავად. ხოლო თუ ჩვენ მოვახერხებთ მის მოძებნას, საქმის დასრულებამდე მადლობებსაც მეტყვით მისი წამოყვანისთვის. ნეტავ ვიცოდე, დორი, რას გამოიქეცი, ბილბო კი იქ დააგდე?

– შენც დააგდებდი, – ჩაიბუზღუნა დორიმ, – უცებ უკნიდან გობლინი რომ ჩავფრენოდა ფეხში, მოექაჩა და ზურგში კიდევ მუშტი ჩაეცხო!

– და მერე რატომ აღარ აიყვანე?

– ღმერთო ჩემო! კიდევ რომ მეკითხები! სიბნელეში გობლინები იბრძვიან და იკბინებიან, გარშემო ყველა დარბის, ერთმანეთზე ეცემიან, მუშტებს იქნევენ! შენ კინაღამ თავი წამასხიპე გლამდრინგით, თორინი კი გარშემო ყველგან ორკრისტს სჩრიდა! უცებ, სულ რომ არ ველოდი, ისე, შენებური დამაბრმავებელი ელვა გაკვესე და ყვირილით გაქცეული გობლინები დავინახეთ. მერე მან დაიყვირე: „მომყევით, ყველანი!" – და ყველანი უნდა გამოგდევნებოდით. გვეგონა, რომ ყველანი ასეც მოვიქეცით. კარგად იცი, დათვლის დრო არ გქონია, სანამ მცველებს არ ჩავუქროლეთ, დაბლითა კარში არ გამოვიჭერით და ასე არეულები აქ არ ჩამოვხრიალდით. და, აი, ბატონო, ყველანი აქა ვართ ბარავის გარდა, ჯანდაბა მაგის თავს!

– ხოლო მპარავი აქ გახლავთ, – თქვა ბილბომ, მათ შორის შეაბიჯა და ბეჭედი წაიძრო.

რომ იცოდეთ, რარიგ შეფუცხუნდნენ! შემდეგ ყველანი აყვირდნენ გაოცებითა და სიხარულით. გენდალფიც სხვებივით გაოცებული გახლდათ, მაგრამ, შეიძლება, ყველაზე უფრო ნასიამოვნებიც იყო. მან გამოიძახა ბალინი და მოახსენა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა იმ მზირთა შესახებ, რომელნიც ასე, გაუფრთხილებლად, შუა კრებულში უშვებენ მავანთ და მავანთ. ბილბოს რეპუტაცია კი გვარიანად გაიბუქა და, თუკი დღემდე გენდალფიც კი ვერ აჯერებდა გნომებს, მისტერ ბეგინსი ერთი საუკეთესო მპარავთაგანიაო, ამიერიდან მსგავსი ეჭვები უკვალოდ გაქრა. ბალინი სხვებზე მეტად შეფიქრიანდა, მაგრამ იმას კი ყველა აღიარებდა, ბილბოს ნამოქმედარი მართლაც რომ ოსტატურიაო.

ბილბო კი იმდენად იყო ნაამები მათი გაოცების ხილვით, რომ თავისთვის ჩუმად ხითხითებდა გულში და ჯადოსნური ბეჭდის თაობაზე სიტყვაც არ დასცდენია. ხოლო როდესაც ჰკითხეს, რანაირად მოახერხე ამის ჩადენაო, მან მიუგო:

– ოჰ, უბრალოდ მოვიპარე შეუმჩნევლად, იცით, აი, ასე – ძალიან ფრთხილად და უჩუმრად.

– არ ყოფილა, რომ თუნდაც თაგვს ჩაევლო ჩემს ცხვირწინ ძალიან ფრთხილად და უჩუმრად და მე არ შემეტყო ეს ამბავი, – თქვა ბალინმა, – ჩაჩი მომიხდია თქვენს წინაშე, – და დაუყოვნებლივ ასეც მოიქცა.

– ბალინი, თქვენს მსახურად მიგულეთ, – წარმოთქვა მან.

– მისტერ ბეგინსი, თქვენი მონა-მორჩილი, – მიუგო ბილბომ.

ამის შემდეგ ყველამ მოიწადინა, შეეტყო, თუ რა შეემთხვა ბილბოს მას შემდეგ, რაც დაიკარგა. იგიც ჩამოჯდა და ყველაფერს წვრილად მოყვა – ოლონდ ბეჭდის პოვნის ამბავი გამოტოვა („არა, ჯერ არ მოვყვები", – გაიფიქრა მან). მსმენელნი განსაკუთრებით დაინტერესდნენ გამოცანებით ჭიდილის ამბებით და შიშით ცახცახებდნენ, როდესაც ბილბომ გოლუმი აღწერა.

– ჰოდა, გვერდით რომ მომიჯდა, გამოცანა ველარ გავიხსენე, – ამბავს ასრულებდა ბილბო, – და ვკითხე: „რა მაქვს ჯიბეში?" მან სამ ჯერზე ვერ გამოიცნო. მაშინ შევახსენე: „გახსოვს პირობა? მიჩვენე გასასვლელი!" მაგრამ იგი მოსაკლავად დამეღირა, მე გავექეცი, დავვარდი და მან ვერ შემამჩნია სიბნელეში, ისე ჩამირბინა გვერდით. მე კი უკან გავყევი, რადგან გავიგონე, როგორ ესაუბრებოდა საკუთარ თავს. მან ჩათვალა, რომ მე ვიცოდი, სად იყო კარი, ამიტომაც ჩემს დასაჭერად იქითკენ გაემართა. შემდეგ კი გვირაბის პირას ჩამოჯდა ისე, რომ გვერდს ვერ ავუვლიდი, მეც ავდექი და თავზე გადავახტი, გავექეცი და ჭიშკრისაკენ მოვუსვი.

– და მცველები? – ეკითხებოდნენ გნომები, – კართან არ იდგნენ მცველები?

– ო, იდგნენ! მერედა რამდენნი! მაგრამ მათ დავუსხლტი, მერე კი ღრიჭოდ გამოლებულ კარში გავეჭედე და იმდენი ღილი დავკარგე! – ბილბომ დანანებით დაიხედა დაფხრეწილ ტანისამოსზე, – მაგრამ, საბედნიეროდ, მოვახერხე გამოძრომა და – აქ გახლავართ!

და სანამ ბილბო იმგვარად ყვებოდა მცველი-გობლინებისაგან დასხლტომის, გოლუმის თავზე გადახტომისა და კარის ღრიჭოში გამოძრომის შესახებ, თითქოს დიდად საძნელო და სახიფათოც არაფერი გადახდომოდა, გნომები მისდამი სრულიად ახალი პატივისცემით განიმსჭვალნენ.

– რას გეუბნებოდით? – თქვა გენდალფმა სიცილით, – მისტერ ბეგინსს იმისთანები შეუძლია, თქვენ რომ ვერც მიხვდებით, – ამას რომ ამბობდა, ჯადოქარმა წარბებსქვემოდან ისეთი უცნაური მზერით აათვალიერა ჰობიტი, რომ ბილბო შეეჭვდა, გენდალფი, ალბათ, იმასაც ხვდება, რაც გამოვტოვე და არ მოვყევიო.

ამის შემდეგ ბილბოს ჯერი დადგა – მასაც დაგროვებოდა კითხვები. გენდალფს ის იყო, ყოველივე განემარტა და მოეთხრო გნომებისათვის, მაგრამ ჰობიტმა ხომ ვერ მოისმინა მისი მონაყოლი! მას სურდა, შეეტყო, რანაირად გაჩნდა მათთან ჯადოქარი იქ, გვირაბებში და ამჯერად სად გამოსულიყვნენ.

ცოდვა გამხელილი ჯობს და, გენდალფი უარს არასოდეს ამბობდა, კიდევ ერთხელ მოეთხრო საკუთარი სიბრძნისა და სიმარჯვის შესახებ და ამჯერადაც დაუზარებლად უამბო ბილბოს, რომ მასაც და ელრონდსაც კარგად მოეხსენებოდათ, მთათა იმ სანახებში ბოროტი გობლინები რომ სახლობდნენ. მაგრამ მათი მთავარი კარიბჭე სხვაგან, სხვა ბილიკზე გადიოდა. ის ბილიკი სავალად უფრო იოლი იყო და გობლინები ხშირად იტაცებდნენ მგზავრებს, რომელთაც კარიბჭის შორიახლოს დაუღამდებოდათ. როგორც ჩანს, ამ საფრთხის გამო ყველამ თავი ანება ძველ ბილიკს, ამიტომაც გობლინებმა ახალი გასასვლელი გაჭრეს, სწორედ იმ გზის თავზე, რომელსაც გნომები მიუყვებოდნენ, და გაჭრეს, ალბათ, სულ ცოტა ხნის წინათ, რადგანაც ეს გზა ბოლო დრომდე უხიფათოდ ითვლებოდა.

– უნდა დავფიქრდე, იქნებ კიდევაც ვიპოვნო ვინმე შედარებით წესიერი გოლიათი და ის გასასვლელი ამოვაქოლინო, – ამბობდა გენდალფი, – თორემ ალბ საერთოდ შეუძლებელი გახდება ამ მთებზე გადმოსვლა.

როგორც კი ბილბოს განწირული ყვირილი გაიგონა, ჯადოქარი მაშინვე მიხვდა, რაც მოხდა. მან თვალისმომჭრელი ელვით განგმირა გობლინები, რომელნიც შესაპყრობად შემოსწყობოდნენ და იმავე ელვის საფარქვეშ შეასწრო სანახევროდ პირშეკრულ ნაპრალში. იგი კვალდაკვალ მისდევდა ბარეკებსა და მათ ტყვეებს დიდი გამოქვაბულის პირამდე, იქ კი დაჯდა და იმ

შავბნელ ალაგას შესაძლო საუკეთესო ჯადოქრობა მოიმუშაკა.

– საფრთხილო საქმე იყო, – თქვა მან, – საფრთხილო და ძალიან სახიფათო. ოღონდაც გენდალფს, რასაკვირველია, სრულიად განსაკუთრებულად და გამონწვლილვით ჰქონდა შესნავლილი ცეცხლითა და სინათლით ჯადოსნობის ქმნის ხელოვნება (ჰობიტსაც ხომ ვერ დაევიწყებინა ზაფხულის ნაბუნიობის ღამეებში მოხუცი ტუკის წვეულებებზე შეთხზული უცხო ფეირვერკები!).

თუ რა მოხდა შემდეგ, უკვე ვიცით. იმასლა გეტყვით, რომ გენდალფს ყოველივე მოეხსენებოდა უკანა კარის შესახებ – ასე უწოდებდნენ გობლინები ქვემო კარიბჭეს, რომლის ზღურბლზეც ბილბომ ღილები დაფანტა. ამ კარის არსებობის შესახებ კარგად იცოდა ყველამ, ვინც კი ამ მიდამოებში ბინადრობდა ქედის აღმოსავლეთით, მაგრამ გობლინების დახლართულ გვირაბებში გზის გამოგნებას და გაქცეულთა სწორ გეზზე დაყენებას მართლაც რომ ჯადოქრული მოხერხებულობა სჭირდებოდა.

– მრავალი საუკუნეა, რაც მათ ეს კარი გამოჭრეს, – ყვებოდა გენდალფი, – თან იმისათვის, რომ საჭიროების დროს გასაქცევი გზა ჰქონოდათ, თანაც ქვემოთ, მთისძირა მიწებისაკენ გასასვლელი გაიკეთეს. გობლინები ახლაც ხშირად გამოდიან ხოლმე ბნელ ღამეებში ამ მიწების დასარბევად. ისინი ყოველთვის ფხიზლად დარაჯობდნენ უკანა კარს და დღემდე ვერავის მოუხერხებია მისი დახშვა. ამიერიდან კიდევ უფრო საგულდაგულოდ დაიცავენ ამ გასასვლელს, – გაიცინა მან.

და ყველანი ახარხარდნენ. არცთუ მცირე იყო მათი საკუთარი დანაკარგიც, მაგრამ მათ მოკლეს გობლინთა ბელადი, მრავალი მისი მსახურიც უკან გაადევნეს და თავად კი უკლებლივ ყველანი გამოექცნენ მტერს. შეეძლოთ ეთქვათ, ჯერჯერობით ილბალი გვწყალობსო.

მაგრამ ჯადოქარმა მათ გონიერებას მოუხმო:

– ახლა, რაკი ცოტათი მაინც დავისვენეთ, დაუყოვნებლივ უნდა გავუდგეთ გზას. ბინდის ჩამოწოლისთანავე ასობითა და ასობით გობლინი გამოუდგება ჩვენს კვალს, ჩრდილები კი უკვე დაგრძელდა. მათ მრავალი საათის შემდეგაც არ გაუჭირდებათ ჩვენი ნაფეხურების მიგნება ყნოსვით, ამიტომ დაბნელებამდე რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ. თუ დარი იქნა, მთვარეც ამოვა. გობლინებს კი ბევრს ვერაფერს შეუშლის მთვარე, მაგრამ ჩვენ ცოტათი მაინც გაგვინათებს, გზა რომ გავიგნოთ.

– ჰო, კიდევ, – თქვა მან ჰობიტის კითხვების პასუხად, – გობლინთა გვირაბებში დროის ანგარიში აგრეკია. დღეს ხუთშაბათია, გობლინებმა კი ორშაბათ ღამეს, უკეთ, სამშაბათ დილით შეგვიპყრეს. ჩვენ ბევრი, ბევრი მილი მოვიტოვთ უკან იმ ბნელ გვირაბებში, მთის გულში გამოვიარეთ და ქედის მეორე მხარეს გამოვძვერით – საკმაოდ მოკლეზე მოვჭერით, რომ

იცოდეთ. მაგრამ ჩვენ იმ ალაგას როდი გამოვედით, სადაც ბილიკი მიგვიყვანდა. ახლა ბევრად უფრო ჩრდილოეთით ვართ და წინ ძნელად სავალი მხარეები გვიძევს. თანაც, ჯერ კიდევ კარგა მალლა ვართ, მთებში. აბა, გავწიოთ!

– მე კი ისე საშინლად მშია, – დაიკვნესა ბილბომ, რომელმაც მოულოდნელად შეიტყო, რომ თურმე გუშინწინისწინდელი ღამის აქეთ არაფერი უჭამია. დაფიქრდით, რა უნდა იყოს ეს ჰობიტისათვის! ახლა, აღგზნებამ რომ გაუარა, იგრძნო, რა ცარიელი და შევარდნილი ჰქონდა მუცელი, მუხლები დაუსუსტდა.

– ვერაფრით დაგეხმარები, – მიუგო გენდალფმა, – თუმცა, ცხადია, შეგიძლია, უკან მიბრუნდე და თავაზიანად სთხოვო გობლინებს, ჩემი პონი და ბარგი დამიბრუნეთო.

– არა, დიდი მადლობა, – იუარა ბილბომ.

– მაშ, ძალიან კარგი. ახლა კი მჭიდროდ შემოვიჭიროთ სარტყლები და წავლასლასდეთ – თუ არა და, ამ სალამოს ვახშმად მოგვამზადებენ. ეს კი ბევრად უარესია, ვიდრე უვახშმოდ დარჩენა.

გზადაგზა ბილბო აქეთ-იქით იცქირებოდა და რაიმე კბილგასაკრავს ეძებდა. მაგრამ მაყვალი ჯერ მხოლოდ ყვაოდა, რასაკვირველია, არც თხილი მწიფდა და კუნელიც კი არ შემოსულიყო. მან ცოტაოდენი მჟაუნა მოწიწკნა, ბილიკზე ჩამოჩქრიალებული მთის ნაკადულით წყურვილი მოიკლა და მის ნაპირას ნაპოვნი სამი ველური მარწყვი გადაყლაპა, მაგრამ ამით დიდი შვება არ უგრძვნია. ისინი კი მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ბნელში დაიძირა დაღარული ბილიკი. აღარ ჩანდა ბუჩქები, ლოდებს შორის გადმოვარცხნილი გრძელი ბალახი და აქა-იქ ნაკუწებად მიმობნეული კურდღელთა ნაძოვი კორდები. გაუჩინარდა ბეგქონდარა, სალბი და თავშავა, კლდის ყვითელი ყაყაჩოები, გარემო გაუდაბურდა. მგზავრები კი მეწყერის ჩამონაჭერი ციცაბო ფერდის თავზე გავიდნენ. ფერდი ნაშალს დაეფარა და დაღმა დაშვებული მგზავრების ნაბიჯებით დაბლა ჩაცვივდა გამოფიტული ქანის ნატეხები და ნვრილი ხრეში. დაცურებული ქვები სხვა ქვებს წამოედო და თან წაიყოლა გორვითა და სრიალით. შემდეგ თანდათანობით კლდის დიდ-დიდი ნატეხები ჩამოიშალა, ჩამოცვივდა და მტვრის ბულში გახვეული ზათქითა და გრიალით გაექანა დაბლა. სულ ცოტა ხანში მთელი ფერდობი ამოძრავდა, ჩაზვავდა და მობრახუნე, მოტკაცუნე, არახრახებული ქვებისა და დიდი-დიდი ფილების შიშისმგვრელ კორიანტელში თან წაიყოლა ერთად შეკუჩებული მგზავრებიც.

ისინი დაბლა ნაზარდმა ხეებმა იხსნეს. ქვემოთ, ველზე ულრანი და ბნელი ტყე გაშლილიყო და ამ ტყიდან მთის ფერდობს მეჩხერად მდგარი ფიჭვები შემოჰფენოდნენ. ხეებამდე რომ დასრიალდნენ, ზოგი მათ ტანს მოეჭიდა და დაბლითა ტოტებზე დაეკიდა, ზოგიც, პატარა ჰობიტის მსგავსად, უკნიდან

ამოეფარა მსხვილ ხეებს, დაუცხრომელ ქვათაცვენას რომ მორიდებოდა. საშიშროებამ მალე გადაიარა, ქვათაცვენა შეწყდა, მხოლოდ ყრუდღა ისმოდა, ჩამოცვენილ ქვათაგან უდიდესნი როგორ ამთავრებდნენ ხმაურიან რბოლას სადღაც დაბლა და შორს, ფიჭვების ფესვებსა და გვიმრებს შორის.

– ასე. ჩვენ კარგად ნავინაცვლეთ წინ, – თქვა გენდალფმა, – ჩვენს კვალს გამოდევნებულ გობლინებს კი გაუჭირდებათ აქ უხმაუროდ ჩამოსვლა.

– ვიტყოდი... – ჩაიბუზღუნა ბომბურმა, – სამაგიეროდ, ქვების დაგორება და ჩვენთვის თავზე დაყრა არ გაუჭირდებათ.

გნომებს (და ბილბოს) კმაყოფილების ნასახიც არ ეტყობოდათ, ისე ისრესდნენ ნაგვემ სხეულს და დაბეჟილ ხელ-ფეხს.

– სისულელეა! აქ ჩვენ ბილიკიდან გადავუხვევთ და ამ ფერდსაც გავერიდებით. უნდა ვიჩქაროთ! შეხეთ – დღის შუქი ილევა.

მზეს უკვე კარგა ძალი ვზა ჩაევლო მთებს იქით. მათ გარშემო უკვე მუქდებოდა ჩრდილები, თუმც შორს, ხეთა ტოტებს შორის და ბნელი კენწეროების მიღმა, დაბლა ველებზე ჯერ კიდევ ილანდებოდა საღამოს სინათლე. მგზავრები მთელი ძალ-ღონით მიჩლახუნობდნენ ფიჭვის ტყეში დამრეც ფერდობზე სამხრეთისაკენ გაწონილი ირიბი ბილიკით. ზოგჯერ ისინი მაღალ გვიმრათა ზღვაში მიცურავდნენ – ამ გვიმრების ფოთლებში ჰობიტი თავიანად იმალებოდა. ზოგჯერ რბილად და უჩუმრად გადარბოდნენ ფიჭვების ჩამოყრილი წიწვებით დაგებულ სქელ ნოხებზე. და სულ უფრო მძიმდებოდა ტყის ბინდი, სულ უფრო მძაფრდებოდა მდუმარება. იმ საღამოს ნიავიც კი არ უბერავდა, რომ ხეთა ფოთლები მაინც აეშარიშურებინა...

– კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ? – იკითხა ბილბომ, როდესაც ისე ჩამობნელდა, რომ ჰობიტი მის გვერდით მავალი თორინის ნვერების მეტს ველარაფერს ხედავდა, და ისეთი სიწყნარე ჩამოწვა, რომ გნომთა სუნთქვა მძლავრ ხმაურად ეჩვენებოდა, – ფეხის თითები დამეჟეჟა და დამებრიცა, მუხლები მტკივა, მუცელი კი ცარიელი ტომარასავით მკიდია.

– კიდევ ცოტაც, – მიუგო გენდალფმა.

და ამ უსასრულო, თითქოს საუკუნეებად გაწელილი „კიდევ ცოტას" შემდეგ ისინი ტყიდან მოშიშვლებულ მინდორზე გავიდნენ. აქ ხეები არ იზრდებოდა, მთვარე ამოსულიყო და მოკრიალებულ ცაზე ბრწყინავდა. გარშემო თითქოს არაფერი ჩანდა მაწყინარი, მაგრამ რატომღაც ყველას უსიამოდ გაჰკენწლა გულმა, ავ ალაგას გამოვსულვართო.

და უცებ სადღაც დაღმიდან ამომავალი ყმუილი ჩაესმათ, გაბმული შემზარავი ყმუილი. მას იმგვარივე ხმა გაეპასუხა – იგი სადღაც მარჯვნივ და მგზავრებთან ბევრად უფრო ახლოს გაისმა. შორიახლოს მარცხნიდან მესამეც

შეეხმიანათ. ეს მგლები შეჰყმუოდნენ მთვარეს, მგლები თავყრილობაზე მოისწრაფოდნენ!

შინ, მისტერ ბეგინსის სოროს სიახლოვეს მგლები არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ბილბოსთვის ეს ხმა ნაცნობი იყო. ძველ წიგნებში ხშირად აღწერდნენ მგლის ყმუილს, თანაც, ერთი მისი უფროსი ბიძაშვილი (ტუკების მხრიდან), მრავლისმნახველი მოგზაური, ზოგჯერ ბილბოს დასაშინებლად წაბაძავდა ხოლმე ამ ხმას. აქ, ღია ცის ქვეშ, მთვარით განათებულ ულრან ტყეში ამ ყმუილის მოსმენა ბილბოსთვის მართლაც მეტისმეტი იყო. ჯადოსნური ბეჭედიც კი ვერ დაიფარავდა მგელთაგან, მით უფრო იმ ბოროტი ხროვებისაგან, გობლინთა საბუდარი მთის ძირას რომ სახლობდნენ ველური მხარის კიდეზე, უცნობი მიწების მისადგომებთან. ამ მგლებს გობლინებზე უფრო მახვილი ყნოსვა აქვთ და თვალით უხილავი მსხვერპლის შეპყრობაც იოლად შეუძლიათ.

– რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ! – იყვირა მან, – გობლინებისაგან გამოქცეულნი, მგლების ხახაში ჩავცვივდით!

მისი ეს გამონათქვამი შემგომ ანდაზად იქცა, თუმცა დღესდღეობით ამგვარ ჭირს გადაყრილი კაცი იტყოდა: „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო".

– სწრაფად, ხეებზე! – დაიძახა გენდალფმა. მათ სწრაფად მიირბინეს მინდორის გარშემო ამოსულ ხეებთან, თან არჩევდნენ, თუ რომელი იყო ძირიდანვე დატოტვილი, ან იმდენად წვრილი, რომ ზედ აცოცება მოეხერხებინათ. თავადაც მიხვდებით, ცდა არ დაუკლიათ, რომ რაც შეიძლება მალე გამონახულიყო შესაფერისი ხეები, შემდეგ კი გამალებით აუყვნენ მათ კენწეროსაკენ, მაღლა და მაღლა, სანამ ტოტები მათ სიმძიმეს უძლებდა. გაგეცინებოდათ (რასაკვირველია, სადმე შორიდან, ხიფათს მორიდებულებს), ხეებზე მსხდარი წვერგაჩეჩილი გნომები რომ დაგენახათ – გეგონებოდათ, დარბაისელი ბერიკაცები ჭკუას გადამცდარან და პატარა ბიჭუნობანას თამაში მოსურვებიათო. ფილი და კილი ტანმაღალი ლარიქსის კენწეროზე ჩამოკონწიალებულიყვნენ, რის გამოც მცენარე ვეებერთელა საშობაო ხეს ემსგავსებოდა. დორი, ნორი, ორი, ოინი და გლოინი უკეთ მოეწყვნენ უზარმაზარ ფიჭვზე, რომელსაც სართულ-სართულ, ერთმანეთის ზემოთ სხივებად გამოზრდოდა გარსშემორტყმული სწორი ტოტები. ბიფური, ბოფური, ბომბური და თორინი მეორე ასეთსავე ფიჭვზე ახუნძლულიყვნენ. ბალინი და დვალინი მეჩხერტოტებიან ტანწერწეტა ნაძვს შეაცოცდნენ და ცდილობდნენ, როგორმე შეეფარებოდნენ ზემოთა შტოების სიმწვანეს. სხვებზე ბევრად უფრო მაღალმა გენდალფმა თავისთვის ისეთი ხე მოძებნა, რომელზედაც დანარჩენები ვერ აძვრნენ – მისი შერჩეული მსხვილი ფიჭვი ზედ მინდვრის განაპირას იდგა, ჯადოქარი მთლიანად იმალებოდა მის ხშირ ტოტებსა და წიწვებში, მხოლოდ თვა-

ლები უელავდა მთვარის შუქზე, როდესაც ფრთხილად ზვერავდა გარემოს.

და ბილბო? მან საერთოდ ვერ შეძლო მაღლა აცოცება და დამფრთხალი ხან ერთ ხეს ურბენდა გარშემო, ხან მეორეს. რაღაცით ძალიან ჩამოჰგავდა კურდღელს, რომელსაც მწევრები გამოსდევნებიან, სორო კი დაუკარგავს.

– მპარავი ისევ დაგრჩა, – უთხრა ნორიმ დორის, დაბლა რომ ჩაიხედა.

– მე არ შემიძლია, გამუდმებით მპარავები ვათრიო ზურგით, – გაცხარდა დორი, – დაღმა გვირაბებში, აღმა ხეებზე! მაინც ვინა გგონივართ? მეკურტნე?

– მას შეჭამენ, თუკი არაფერს ვუშველით, – საუბარში ჩაერია თორინი. ყმუილი უკვე ყველა მხრიდან ისმოდა, თანაც განუწყვეტლივ ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა, – დორი! – დაუძახა მან დორის, რადგან იგი ყველაზე დაბლა იჯდა ყველაზე უფრო იოლად ასასვლელ ხეზე, – სწრაფად, გაისარჯე და ხელი შეაშველე მისტერ ბეგინსს!

დორი, თუმც ბევრს ბუზღუნებდა, ურიგო ყმაწვილი როდი გახლდათ. მან სულ ქვედა ტოტზე ჩაინაცვლა და რაც შეეძლო დაბლა ჩაიწოდა ხელები. საბრალო ბილბო მაინც ვერ შეწვდა მხსნელ ხელებს. მაშინ დორი მიწაზე ჩამოხტა და უზურგა.

სწორედ ამ დროს მინდორზე აყმუვლებული მგლები გამოიჭრნენ. ასობით ანთებული თვალი მიაჩერდა გნომსა და ჰობიტს. და მაინც, დორიმ ბილბოს არ ულალატა. მან შეიცადა, სანამ მპარავი მისი მხრებიდან ხეზე გადაინაცვლებდა და მერელა შეხტა თავად, ტოტებს მოეჭიდა. ძლივსლა მოასწრო! ის იყო, კიდევაც მიეჭრა მოწინავე მგელი და მის მოსასხამს ნაეტანა, კინაღამ კბილი ჩაავლო. წუთიც და, მთელი ხროვა გარს შემოეხვია ხეს, ყურისწამლებად ღავლავებდნენ და ტოტებს ებლოტებოდნენ, თვალები უგიზგიზებდათ, ხახიდან წითელი ენები გადმოჰკიდებოდათ.

მაგრამ ველურ უარგებსაც კი (ასე უხმობენ ველური მხარის კიდეზე მოთარეშე ბოროტ მგლებს) არ შეუძლიათ ხეებზე აცოცება. მეგობრებს ჯერჯერობით ხიფათი აღარ ემუქრებოდა. იღბლად, თბილოდა და არც ქარი უბერავდა. ხეებზე დიდი ხნით ვერანაირ ამინდში ვერ მოკალათდები მოხერხებულად, მაგრამ თუკი ქარი უბერავს, დაბლა კი წრედ ჩამსხდარი მგლები მოგელიან, ამგვარი თავშესაფარი შეიძლება ძალიან, ძალიან ცუდი გამოდგეს.

როგორც ჩანს, ეს ღია მინდორი შუაგულ ტყეში მგლების თავშეყრის ადგილი იყო. უკვე მოსულ მგლებს ემატებოდნენ და ემატებოდნენ სხვები. მათ მცველები დატოვეს იმ ხის ძირას, რომელზედაც დორი და ბილბო აძვრნენ, შემდეგ გარემო მოისუნსულეს და ყნოსვით მიაგნეს ყველა იმ ხეს, რომელზედაც გნომები და გენდალფი ჩამომსხდარიყვნენ. ამათაც დარაჯები დაუყენეს, დანარჩენნი კი დაელოდნენ, სანამ ყველა მომსვლელი შეიყრებოდა. ასობით

და ასობით შეგროვდნენ და მდელოზე ვეებერთელა წრედ ჩასხდნენ. წრის შუაგულში უშველებელი რუხი მგელი დაყუნცდა და უარგების შემზარავ ენაზე საუბარი გააბა. გენდალფს ესმოდა მათი ნაუბარი, ბილბომ კი ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც შიშს ჰგვრიდა მგლების ხმა. ამ ენას თითქოს მხოლოდ ბოროტ და ავ საქმეთა შესახებ შეეძლო მოეთხრო. ასეც იყო. რუხ წინამძღოლს ხანგამოშვებით მთელი ხროვა ერთად გამოეპასუხებოდა ხოლმე და ამ თავზარდამცემი მოძახილისას ჰობიტი ლამის ხიდანაც ჩამოვარდნილიყო.

მე გეტყვით, თუ რა ვერ გაიგო ბილბომ და რა მოისმინა გენდალფმა. უარგები და გობლინები ხშირად შველოდნენ ერთმანეთს ავ საქმეებში. საერთოდ, გობლინები ვერ ბედავენ, შორს გასცდნენ თავიანთ მთებს და ბუნაგებს, თუკი ძველი ადგილებიდან გამოყრილნი ახალ საცხოვრისს არ დაეძებენ, ან საომრად არ დაირაზმებიან (საბედნიეროდ, უკვე დიდი ხანია, ეს არ მომხდარა). მაგრამ იმ დღეებში გობლინები დროდადრო თავდასხმებს აწყობდნენ საჭმლისა და ახალი მონების საშოვნელად. მაშინ ისინი ხშირად უხმობდნენ შემწეებად უარგებს, შემდეგ კი ალაფში მათაც უდებდნენ წილს. ზოგჯერ მგლებზე ამხედრებულნი დაჰქროდნენ იმგვარად, როგორც კაცნი ცხენებზე შესხდებიან ხოლმე. თურმე, სწორედ იმ ღამეს გობლინებს დიდი საძარცვი თავდასხმა ჰქონოდათ გამიზნული. უარგები მათთან შესახვედრად მოსულიყვნენ, გობლინები კი იგვიანებდნენ. უეჭველია, მიზეზი ამისა იყო მათი ბელადის სიკვდილი და მთელი ის ალიაქოთი, რომელიც გნომებმა, ბილბომ და ჯადოქარმა მოაწყვეს მათ გვირაბებში. იქნებ, ჯერ კიდევ მათ დაეძებდნენ გაალმასებული მტრები!

თუმც მტრული და ფათერაკიანი იყო ეს პირქუში მიწები, ბოლო ხანებში მაინც ბრუნდებოდნენ აქ მამაცი ადამიანები სამხრეთიდან, ხეებს ჭრიდნენ და სახლებს იშენებდნენ მდინარის ნაპირების გასწვრივ გაწოლილ ველებზე, უფრო სტუმართმოყვარულ ტყეებში. ისინი ბევრნი იყვნენ, უშიშარნი და იარაღასხმულნი, და უარგებიც კი ვერ ბედავდნენ მათზე თავდასხმას, როდესაც ადამიანები ერთად იყვნენ, ან თუკი დღე ნათობდა. მაგრამ ახლა მათ განეზრახათ, გობლინებს შეკვროდნენ და ღამით მთებთან ყველაზე ახლოს გაშენებული დასახლებები აეკლოთ. თუკი ამ განზრახვას აასრულებდნენ, დილისათვის იმ მხარეში კაცთა სახსენებელი გაწყდებოდა, ცოცხალი აღარაინ გადარჩებოდა მათ გარდა, ვისაც გობლინები მგლებს გამოსტაცებდნენ და მონებად ნაასხამდნენ თავიანთ გამოქვაბულებში.

სასმენად საზარი იყო მათი საუბარი, და არა მარტო იმიტომ, რომ გენდალფს მამაცი ახალმოსახლეების და მათი ოჯახების ბედი აფიქრებდა, არამედ იმ საშიშროების გამოც, რაც თავად ჯადოქარსა და მის მეგობრებს დაემუქრა. უარგები გააავა და გააოცა ხროვის თავშეყრის ადგილზე უცნობე-

ბის აღმოჩენამ. ისინი ფიქრობდნენ, ესენი ადამიანთა მეგობრები არიან და საჯაშუშოდ მოსულან, რათა ამბავი წაიღონ დაბლა ველებზეო. მაშინ გობლინები და მგლები სასტიკი ბრძოლით უნდა შებმოდნენ ადამიანებს, ვეღარ შეძლებდნენ, მძინარენი და მტრის დასახვედრად მოუმზადებელნი იოლად დაეხოცათ ან ტყვეებად წაესხათ. ასე რომ, უარგები არც აპირებდნენ აქედან წასვლას და ხეებზე შემსხდარი ხალხი რომ არ გაქცეოდათ, დილამდე მაინც ფხიზლად დაუდარაჯდებოდნენ. ხოლო დილამდე, მათივე თქმით, მთიდან გობლინი მეომრებიც ჩამოვიდოდნენ, გობლინებმა კი ხეებზე ასვლაც იციან და მათი მოჭრაც შეუძლიათ.

ამიტომაც იყო, რომ გენდალფი, თუმცა კი ჯადოქარი გახლდათ, მაინც ძალიან შეშინდა, როდესაც მათი ღრენა და ყმუილი მოისმინა. იგი მიხვდა, რომ ძალიან ცუდ ალაგას შემოხეტებულიყვნენ და განსაცდელი ჯერაც არ მოეტოვებინათ უკან. და მაინც, იგი არ აპირებდა, იოლი საკბილო გამხდარიყო მტერთათვის, თუმც ამ მაღალ ხეზე გამოკიდებული, ქვემოთ კი მოდარაჯე მგლებით გარშემორტყმული, ბევრს ვერაფერს მოახერხებდა. მან გარშემო ტოტებიდან მსხვილ-მსხვილი გირჩები ჩამოკრიფა, ერთ-ერთს ჯიბეში ცისფერი ცეცხლი წაუკიდა და ატკაცუნებული დაბლა, მგლების წრის შუაგულისკენ გასტყორცნა. გირჩი ერთ მხეცს ზურგზე მოხვდა და მის ბალნიან ტანს მყის ცეცხლი მოედო. მგელი საზარლად აყმუვლდა და აქეთ-იქით მიაწყდა. გირჩები კი ცვიოდა და ცვიოდა, ზოგი ცისფრად აალებული, ზოგიც წითლად, სხვანი კი მწვანედ. ისინი წრის შუაგულში მიწას ასკდებოდნენ და ფერად ნაპერწკლებს და კვამლს აფრქვევდნენ. ერთი, საგანგებოდ შერჩეული ბრიმე გირჩი უარგების რუხ წინამძღოლს ცხვირში მოხვდა, იგი ჰაერში აიჭრა ბამწარებით, შემდეგ კი წრეზე მოჰყვა სირბილს და თავისიანებსაც კი კბენდა და ბლეჯდა შიშითა და რისხვით გაგიჟებული.

ბილბო და გნომები სიხარულით აყვირდნენ და აყიჟინდნენ. შემზარავი იყო უარგთა მრისხანება, მთელი ტყე აავსო მათმა ყურისწამლებმა ძახილმა. მგლებს ყოველთვის ეშინიათ ცეცხლის, გენდალფის ანთებული ალი კი განსაკუთრებით სასტიკი და მწველი იყო მათთვის – ტყავზე მოხვედრილი ნაპერწკლები ზედ ეკვროდათ და, თუკი მის ჩასაქრობად უმალ მიწაზე არ გაგორდებოდნენ, სულ მალე მთლიანად ცეცხლში ეხვეოდნენ. სულ ცოტა ხანში მთელ მინდორზე თავზარდაცემული მგლები გორავდნენ, ზურგზე დაცემული ნაპერწკლები რომ მოეშორებინათ, უკვე ცეცხლმოკიდებულნი კი გარშემო დარბოდნენ საზარელი ღმუილით. მათგან ჯადოსნური ალი სხვა მგლებს ედებოდა, სანამ თავისიანებმავე არ განდევნეს ისინი. მათ დალმა ფერდობებზე გაკურცხლეს ყმუილითა და ნკავნკავით მხსნელი წყლის საძებრად.

– ეს რა აურზაურია ამაღამ ტყეშიო, – თქვა არწივთა ბატონმა. იგი მთაგრეხილის აღმოსავლეთით კლდის ეულ ქიმზე ჩამომჯდარიყო და შავად მოჩანდა მთვარის შუქში. – მგლების ხმა ჩამესმის. გობლინები ხომ არ დაბოროტობენ ტყეში?

იგი ჰაერში აიჭრა და მყისვე მის ორთავე მხარეს ორი მცველი მოსწყდა ბნელ კლდეებს, უკან გაედევნა. მათ ირაო შეკრეს ცაში და დაბლა ერთი ციდა ლაქად დაჩნეულ უარგთა წრეს დააკვირდნენ. არწივებს მახვილი თვალი აქვთ და შორი მანძილიდან სულ მცირე საგნების დანახვა შეუძლიათ. ნისლიან მთათა არწივების ხელმწიფეს კი მზისათვის შეეძლო თვალის გასწორება და ერთი მილის სიმაღლიდან მთვარის შუქზე გაქცეულ კურდღელს ამჩნევდა. და თუმც ხეებზე მსხდომი ხალხი არ დაუნახავს, მან კარგად შენიშნა მგელთა არეული ხროვა, მრავალი პანია კოცონის კვესებაც შეამჩნია და იმ შორეული სილრმეებიდან სუსტ გამოძახილად მხეცების ყმუილი და ღაღავიც ჩაესმა. იგი ხედავდა გობლინთა შუბებსა და ზუჩებზე ამსხლტარ მთვარის სხივსაც, როდესაც ამ ბილწ მეომართა გრძელი მწკრივი მთის ჭიშკრიდან გამოცოცდა, ფერდობებს დაუყვა და ტყეს შეერია.

არწივები არ არიან გულკეთილი ფრინველები. ზოგი მხდალია და ბოროტი. მაგრამ ჩრდილოეთის მთებში მცხოვრები უძველესი რასა უკეთილშობილესი იყო ფრინველთა შორის. ამაყებსა და ძლიერებს, გობლინები არ უყვარდათ და არც ეშინოდათ მათი. თუკი ოდესმე საერთოდ ყურადღებას მიაპყრობდნენ მათ (ეს კი იშვიათად ხდებოდა, რადგან გობლინების მსგავს გარეწარ არსებებს არწივები არ გეახლებიან), მაშინ მძლავრი ფრინველები მაღლიდან აცხრებოდნენ გობლინებს და ისინიც მაშინვე ანებებდნენ თავს თავიანთ ბოროტ საქმეებს ცისქვეშეთში, აწივლებულნი უკან, ბნელი გამოქვაბულებისაკენ გარბოდნენ. გობლინებს სძულდათ არწივები და ეშინოდათ მათი, მაგრამ ღრუბლებში შეკარგულ საბუდრებს ვერ სწვდებოდნენ და არ შეეძლოთ საძულველ ფრინველთა გარეკვა მთებიდან.

იმ ღამეს არწივთა ხელმწიფე ცნობისწადილმა შეიპყრო და მოესურვა გეგო, თუ რა ხდებოდა ტყეში. მან მოუხმო ქვეშევრდომებს, რათა უკან გასდევნებოდნენ და ყველანი ერთად გაფრინდნენ მთებიდან, ნება-ნება დატრიალდნენ ტყის თავზე და დაბლა, დაბლა დაეშვნენ წრეებად პირდაპირ მგელთა ხროვისაკენ, გობლინთა თავშეყრის ადგილისაკენ.

სწორედ რომ ილბლად დაეშვნენ! იქ, დაბლა, საშინელი ამბავი ტრიალებდა. ტყეში გავარდნილმა ცეცხლწაკიდებულმა მგლებმა რამდენიმე ადგილას ხანძარი ააბრიალეს. მწველი ზაფხული იდგა, ქედის აღმოსავლეთით მიდამო უწვიმარი იყო. დამჭკნარ გვიმრებს, ჩამოცვენილ ტოტებს, მიწაზე დაგებულ ჩამოყრილ ნიწვებს, აქა-იქ მდგარ ხმელ ხეებს ცეცხლი მოედო. უარგთა მინდ-

ვრის გარშემო ყველგან ალი ცეკვავდა, მაგრამ გუშაგი მგლები ხეებს არ მოშორებიან. რისხვით გაცოფებულები გარშემო ხტოდნენ და ყმუოდნენ, გნომებს წყევლიდნენ თავიანთი საძაგელი კილოკავით, ენები გადმოჰკიდებოდათ, თვალები კი ცეცხლის ალივით მწველად და წითლად უელვარებდათ. შემდეგ უეცრად გობლინებმა მოირბინეს ძახილით. მათ ეგონათ, მგლები და ადამიანები უკვე ერთმანეთს შებმიანო, მაგრამ უცებვე შეიტყვეს, სინამდვილეში რაც მომხდარიყო. ზოგი ჩაჯდა და ახარხარდა, სხვებმა შუბები შეარხიეს, ფარებზე ცემით ააჩხარუნეს. გობლინებს ცეცხლის არ ეშინიათ და სულ მალე მოიფიქრეს მზაკვრული და, მათივე აზრით, მეტად თავშესაქცევი გეგმა.

ზოგმა ერთად მოაგროვა გაბნეული მგლები, ზოგი ხეების ძირას გვიმრისა და ჩინჩხვარის შეგროვებას მოყვა. სხვები გარემოს მოედვნენ, ტკეპნეს და ქელეს, ქელეს და ტკეპნეს აბრიალებული ცეცხლი, სანამ თითქმის ყველგან არ ჩააქრეს. ოღონდ, არ დაუშრეტიათ გნომების ხეებთან ყველაზე უფრო ახლოს გაჩაღებული კოცონები, პირიქით, უხვად გამოკვებეს ხმელი ტოტებითა და ნეშოთი. მალე გნომების გარშემო კვამლისა და ალის წრე შეიკრა. გობლინებმა ცეცხლი აღარ გადაუშვეს ამ წრის იქით, ნელ-ნელა შეკრეს, შეავიწროვეს, სანამ ალი გნომების ხეთა ძირას დახვავებულ ფიჩხს არ წასწვდა. ბილბომ ცეცხლის მხურვალება იგრძნო, თვალები ბოლით აევსო. ახრჩოლებული კვამლის ფარდის მიღმა იგი ხედავდა გობლინებს, რომლებიც როკავდნენ, როგორც ადამიანები ჭიაკოკონას გარშემო. აცეკვებულ, შუბით და საბრძოლო ნაჯახებით შეიარაღებულ მეომართა წრის მიღმა მგლები ჩამსხდარიყვნენ საპატიო მანძილზე, უცქერდნენ და იცდიდნენ. ჰობიტს ესმოდა, როგორ წამოიწყეს გობლინებმა საშინელი სიმღერა:

თხუთმეტი ჩიტი ზის ხუთ ნაძვის ხეზე,
ბუმბული ეშლებათ ნიავის ხმებზე!
ფრთები რომ არა აქვთ პატარა ჩიტუნებს?
არც ვიცით, რა ვუყოთ ამ სასაცილოებს!
ცოცხლად ჩავხრაკოთ თუ ჩავთუთქოთ მთლად?
შევბრაწოთ, მოვხარშოთ, შევჭამოთ ცხლად?

შემდეგ სიმღერა შენყვიტეს და აყვირდნენ:

– გაფრინდით, ჩიტუნიებო! გაფრთხიალდით, თუ შეგიძლიათ! დაბლა ჩამოდით, ჩიტებო, თორემ ბუდეებში შეიბრანებით! იჭიკჭიკეთ, იჭიკჭიკეთ, ჩიტუნიებო! რატომ არ გალობთ?

– აქედან მოშორდით, ლანირაკებო! – ჩამოსძახა პასუხად გენდალფმა, – ბუდეების ჩამოშლის დრო ჯერ არ დამდგარა. უგუნურ და გაუზრდელ ბიჭებს კი, ცეცხლთან რომ თამაშობენ, სჯიან ხოლმე!

გენდალფი ამას ამბობდა, რათა გობლინები გაებრაზებინა და თანაც ეჩვენებინა, თქვენი არ მეშინიაო – თუმცა, ცხადია, ეშინოდა, მერე რა, რომ ჯადოქარი იყო. მაგრამ გობლინებმა მისი სიტყვები არად ჩააგდეს და ისევ ამღერდნენ:

დაიწვი, დაიწვი, შეშავ და ჩინჩხვარო!
კარგად იგიზგიზე, ღამის ჩირალდანო,
რომ ღამე აანთო და ჩვენ გაგვახარო,
ჰე-ჰეი, ჰო-ჰო-ჰო!

კარგად გამოაცხვე, შეწვი და დაადნე,
სანამდის თვალები შუშად არ იქცევა,
გნომების წვერებით კოცონი აანთე,
ძვლები გაშავდება და ქონი დაილევა,
ნაცარში იდება –
ვიდრე დაბინდდება –
გნომების დიდება!
მობრძანდი, ღამევ, რომ ჩვენ გავიხაროთ,
ჰე-ჰეი,
ჰე-ჰერი-ჰეი,
ჰო-ჰო-ჰო!

ამ „ჰერი-ჰერის" მოძახილისას გენდალფის ხის ქვეშ ალი ავარდა, შემდეგ კი სხვა ხეებსაც გადასწვდა. მშრალ ქერქს სწრაფად აჰყვა ცეცხლი, ქვედა ტოტები ატკაცუნდნენ.

გენდალფი ხის კენწეროზე აცოცდა. უეცარმა ბრწყინვალებამ ელვასავით იკვესა მისი კვერთხიდან და ჯადოქარი მოემზადა, მაღლიდან პირდაპირ გობლინთა შუბებზე გადმოშვებულიყო. მაშინ მისი აღსასრულიც მოვიდოდა, თუმცა, ციდან მეხივით ჩამომტყდარი, ალბათ, ბევრ მტერსაც დაღუპავდა. მაგრამ მან ვერ მოასწრო გადმოხტომა.

სწორედ ამ დროს მაღლით არწივთა ხელმწიფე ჩამოიჭრა, გენდალფს მძლავრი ჭანგები ჩაავლო და თან წარიტანა.

გობლინებს ბრაზისა და გაოცების ყმუილი აღმოხდათ. მჭახედ იყვირა არწივთა ხელმწიფემ, რომელსაც გენდალფი რაღაცას მოუთხრობდა. მისი

მხლებლები უკან მიბრუნდნენ, ვეება შავი ჩრდილებივით დაეშვნენ დაბლა. მგლები ღაღავებდნენ და კბილებს აღრჭიალებდნენ, გახელებული გობლინები წიოდნენ, რისხვით სცემდნენ მიწას მძიმე ფეხებს და ამაოდ სტყორცნიდნენ ჰაერში მძიმე შუბებს. ციდან ჩამოჭრილი არწივები ბნელი ფრთების ცემით მიწაზე ანარცხებდნენ ან შორს, ტყეში მიერეკებოდნენ არეულ-დარეულ მეომრებს, ჭანგებით სახეს აკაწრავდნენ. ზოგნი კი ხეების კენწეროებთან მიფრინდნენ და მაღლა-მაღლა აცოცებული გნომები გაიტაცეს.

საბრალო პატარა ბილბო, ცოტას გაწყდა, ისევ არ დარჩათ! მან ძლივსღა მოასწრო, ფეხებზე ჩასჭიდებოდა ყველაზე ბოლოს ნაყვანილ დორის და მასთან ერთად აიჭრა მაღლა, ხანძრისა და რიალ-კიალის ზემოთ ჰაერში მიქანაობდა და მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა.

შორს, დაბლა გობლინები და მგლები გაიფანტნენ და ტყეს მოედვნენ. რამდენიმე არწივი ჯერ კიდევ თავს დასტრიალებდა ბრძოლის ველს. ხეების გარშემო ანთებული ცეცხლი ანაზდად ზეაიჭრა, კენწეროებს ასცდა. ტკაცუნით იწვოდა წიწვები და ტოტები, გარშემო ნაპერწკლები იფრქვეოდა, კვამლი იგრაგნებოდა. წამიც რომ დაეხანებინა, ბილბოს ველარაფერი იხსნიდა.

ცოტა ხანში სადღაც შორს და დაბლა მოტოვებული ხანძარი მომცრო მოციმციმე ლაქად ილანდებოდა. ისინი მაღალ ცას შეერივნენ, მძლავრ მდოვრე წრეებად ინევდნენ სულ ზემოთ და ზემოთ. დორის კოჭებზე ჩაფრენილ ბილბოს სამუდამოდ დაახსომდა იმლამინდელი ფრენა.

– ვაი, ხელები, ხელები! – მოსთქვამდა იგი.

– ვაი, ჩემი საბრალო ფეხები, ვაი, ფეხები! – ბანს აძლევდა დორი კვნესით.

ბილბოს დალხენილი ცხოვრების დროსაც თავბრუს ახვევდა სიმაღლე. თუნდაც სულ პატარა კბოდედან გადახედვისასაც გაურკვეველი გრძნობა ეუფლებოდა, არასოდეს უყვარდა მისადგმელი კიბეები და, ცხადია, არასოდეს დაძვრებოდა ხეებზე (რადგანაც ადრე არასოდეს დასჭირვებოდა მგლებისგან გაქცევა). ალბათ, მიხვდებით, როგორ უბრუოდა თავი ახლა, როდესაც საკუთარ დაკიდულ ფეხებს შორის ჩასცქეროდა ქვემოთ გადაშლილ ბნელ მიწებს, აქა-იქ მთვარის სხივით დაფერილ კლდოვან ქედსა და ველზე გაწოლილ მდინარეს.

ნელ-ნელა მოახლოვდა მთათა მკრთალი მწვერვალები, შავი ჩრდილებიდან ამოჩრილი, მთვარით გაშუქებული წამახული კლდეები. ზაფხული იდგა, მაგრამ მთაგრეხილი ცივად გამოიმზირებოდა სიბნელიდან. ბილბომ თვალები დახუჭა და თავს დაეკითხა, გავძლებ თუ ვერაო. შემდეგ წარმოიდგინა, რა მოხდებოდა, თუკი ღონე უმტყუნებდა და ამგვარი ფიქრებისაგან თავბრუ დაეხვა.

ის იყო, ბილბოს თითები უნდა გაშვებოდა, რომ ფრენა დასრულდა. აქოშინებული ჰობიტი დორის კოჭებს მოსწყდა და არწივების საბუდარის უხეშ

ბაქანზე დაეცა. იქვე დარჩა მწოლიარე, უსიტყვოდ მინებდა ფიქრებს მოულოდნელი გადარჩენით აღტაცებული, თან ფრთხებოდა, ამ ვიწრო კლდიდან გარშემო პირდაღებულ უძირო წყვდიადში არ ჩავიჩეხოო. გონება ერეოდა, თავი უგუგუნებდა ბოლო სამი დღის საშინელი თავგადასავლებისა და შიმშილისაგან. უცებ მოესმა, როგორ ამბობდა თვითონვე:

– ახლა კი ვიცი, რას გრძნობს შაშხის ნაჭერი, უცებ ჩანგლით რომ აიღებენ ტაფიდან და ისევ თაროზე შემოდებენ.

– არა, არ იცი, – ჩაესმა დორის პასუხიც, – იმიტომ, რომ შაშხი დარწმუნებულია, როდესაც იქნება, ისევ ტაფაზე აღმოვჩნდებიო. ჩვენ კი, იმედია, შენვა აღარ მოგვიწევს. და არწივებიც – ჩანგლები როდი არიან!

– ჰო, სულ არ გვანან შანდლებს – ჩანგლებს-მეთქი, მინდოდა მეთქვა, – ბილბო უცებ წამოჯდა და შეშფოთებულმა გახედა იქვე ჩამომჯდარ არწივს. თან იხსენებდა, რაიმე ისეთი ხომ არ მოვჩმახე, რაც შეიძლებოდა, არწივს სანყენად დარჩენოდაო. არწივებს არ უნდა ეთავხედოთ, მით უფრო, თუ ტანად ჰობიტზე უფრო დიდი არცა ხართ და ღამით არწივისავე საბუდარში ზიხართ!

მაგრამ არწივმა ნისკარტი შეიწმინდა ქვაზე, ბუმბულები შეისწორა და ბილბო აინუნშიაც არ ჩაუგდია.

მალე მოფრინდა სხვა არწივი.

– არწივთა ხელმწიფე გიბრძანებთ, ტყვეები დიდ ბაქანზე წამოიყვანოთ, – დაიძახა მან და კვლავ გაფრინდა. გვერდით მჯდომმა ფრინველმა დორი კვლავ მძლავრ კლანჭებში მოიქცია და მასთან ერთად ღამეში გაუჩინარდა. სულ მარტო დარჩენილ ბილბოს იმის ღონელა შერჩენოდა, რომ თავს დაჰკითხებოდა, ნეტავი, მაცნე რას გულისხმობდა, „ტყვეები“ რომ გვიწოდაო, და დაეჭვდა, იქნებ, ვახშმად კურდღელივით გამგლიჯონ, როდესაც ჩემი ჯერი მოვაო.

არწივი უკან მობრუნდა, ჰობიტს ტანისამოსში ჩასჭიდა ჭანგები და კლდეს მოსწყდა. ამჯერად ბევრი აღარ უფრენიათ, სულ მალე შიშით აცახცახებული ბილბო მთის კალთიდან გამოშვერილ ფართო კლდის თაროზე დაუშვეს. თუ ფრთები არ გესხა, აქ ვერა ბილიკით ვერ მოხვდებოდი და ვერცერთი ბილიკით ვერ დაეშვებოდი. ერთადერთი გზა დაბლა – უფსკრულში გადაშვება იყო. გნომები უკვე აქ მოეყვანათ, კედელზე ზურგმიყრდნობილები ჩამომსხდარიყვნენ. შორიახლოს ჩამომჯდარი არწივთა ბატონი გენდალფს ესაუბრებოდა.

როგორც ჩანდა, ბილბოს შეჭმას აღარ უპირებდნენ. ჯადოქარი და არწივთა ხელმწიფე, ეტყობა, იცნობდნენ ერთმანეთს, მეტიც, მეგობრებად ეგულებოდათ ერთმანეთი. ოდესღაც გენდალფმა, რომელიც ხშირად დაეხეტებოდა მთებში, სამსახური გაუწია არწივებს და განკურნა მათი ხელმწიფე, როდესაც იგი ისრით იყო დაკოდილი. ასე რომ, „ტყვეები“ „გობლინებისაგან თავდახსნილ ტყვეებს“ ნიშნავდა და არამც და არამც – არწივთა ტუსაღებს. ბილბომ

ყური მიუგდო ჯადოქრისა და არწივის საუბარს და მერელა დაიჯერა, მგონი, იმ თაქზარდამცემ მთებს ახლა კი ნამდვილად დავალწიეთ თავიო. გენდალფი ხელმწიფე ფრინველს ეთათბირებოდა, რათა მის არწივებს გნომები, თავად ჯადოქარი და ბილბო რაც შეიძლება შორს გადაეყვანათ მთის ძირას გაშლილი ველების მიღმა და იქიდანღა დაეყენებინათ გზაზე. არწივთა ხელმწიფე უარობდა მათ გადაფრენას ადამიანთა საცხოვრისების მახლობლად.

– ისინი ისრებს დაგვიშენენ ურთხელის დიდი მშვილდებით, – ამბობდა იგი, – იფიქრებენ, რომ მათი ცხვრების მოსატაცებლად მივფრინდით – სხვა დროს ასეც არის ხოლმე. არა! ჩვენთვის სასიხარულოა, რომ გობლინები გავაცურეთ და გართობა ჩავუშალეთ, სიხარულით მოგახსენებთ მადლობას კიდევ ერთხელ, მაგრამ გნომების ხათრით სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩავიგდებთ სამხრეთის ველებზე.

– კეთილი, – მიუგო გენდალფმა, – მაშ, ნაგვიყვანეთ იქით და იქამდე, სადაც მოისურვებთ. ჩვენ ისედაც მეტისმეტად დავალებულნი ვართ თქვენგან. ოღონდ, ახლა შიმშილით ვიხოცებით.

– მე თითქმის უკვე მოვკვდი შიმშილით, – დაიჩივლა ჰობიტმა, მაგრამ მისი ჩუმი, სუსტი ხმა არავის გაუგონია.

– ამას შეიძლება ეშველოს, – შეჰპირდათ არწივთა ხელმწიფე.

ცოტა ხნის შემდეგ ქვის თაროზე ბრდღვიალა კოცონი აგიზგიზდა, გარშემო გნომები აფუსფუსდნენ, საჭმლის მზადებას მოჰყვნენ, მალე შემწვარი ხორცის გემრიელი სუნიც დატრიალდა. არწივებმა ტყიდან მოზიდეს მშრალი შეშა ცეცხლის დასანთებად და კურდღლები და ბატკანი მოინადირეს. მზადება გნომებმა ითავეს – ბილბო მეტისმეტად დასუსტებულიყო და ვერაფერს ეხმარებოდათ. თანაც, ესეც რომ არა, მაინც ვერ მოახერხებდა კურდღლების გატყავებას და ხორცის აქნას, იგი მიჩვეული იყო, ყასბისაგან უკვე აქნილი, სამწვადედ გამზადებული ხორცი შეეძინა. გენდალფიც წამოწვა, თუმც მანამდე ცეცხლის ანთება დაეკისრა – ოინს და გლოინს კვეს-აბედი დაჰკარგოდათ, ხოლო ასანთს გნომები დღემდე არ ხმარობენ.

ასე დასრულდა მათი თავგადასავლები ნისლიან მთებში. მალე ბილბოს კვლავ სასიამოვნოდ დაუმძიმდა კუჭი და იგრძნო, შემიძლია, კმაყოფილმა დავიძინოო, თუმც კარაქიან ფუნთუშებს უფრო სიამოვნებით გეახლებოდათ, ვიდრე შამფურებზე შემწვარ ხორცის ნაჭრებს. სულ მალე ღრმად ჩაეძინა ქვის თაროზე მოკუნტულს. ასე ღრმად თავის მყუდრო სოროში, საკუთარ ბუმბულის ქვეშაგებზეც კი არასოდეს სძინებია. ოღონდ მთელი ღამე მშობლიური სახლი ესიზმრებოდა. ეზმანებოდა, როგორ დაეხეტებოდა გაუთავებლად ოთახიდან ოთახში და ეძებდა რაღაცას, რასაც ვერ პოულობდა და ვერც იხსენებდა, რა უნდა ყოფილიყო.



არწივთა საბუდრიდან დასავლეთით მდებარე ნისლიანი მთები და გობლინთა ჭიშკარი

7 საოცარი საცხოვრისი

გამოღვიძებულ ბილბოს დილის მზემ შეანათა თვალებში. იგი წამოხტა, რათა ჩვეულებისამებრ საათი ენახა და ჩაიდანი შემოედგა ცეცხლზე, მაგრამ თურმე შინ როდი ყოფილიყო! ჰობიტი ჩაჯდა და ამაოდ ინატრა დაბანა და დავარცხნა. მან ვერც პირი დაიბანა, ვერც დაივარცხნა და ვერც ჩაი მიირთვა საუზმედ გახუხული პურითა და შაშხით, მხოლოდ ცხვრის ცივი მწვადები ერგო. ყოველივე ამის შემდეგ კი კვლავ გზას უნდა გასდგომოდა.

ამჯერად ჰობიტს ნება დართეს, არწივს ზურგზე ასცოცებოდა და ფრთებს შორის მოთავსებულიყო. ზედ მოვარდნილმა ჰაერმა ბილბოს სუნთქვა შეუკრა, მან თვალები დახუჭა. თხუთმეტი ვეება ფრინველი მთის კალთებს მოსწყდა, გნომები ძახილით ეთხოვებოდნენ მასპინძლებს და არწივთა მეფეს სიკეთის ნილ სამსახურს აღუთქვამდნენ. მზე ჯერაც არ შემაღლებულიყო, გრილი დილა იდგა, ველებსა და ხეობებში ნისლი ჩაწოლილიყო, აქა-იქ მთის მწვერვალებსაც ბურუსი შემოხვეოდა. ბილბომ ცალი თვალით გამოიჭყიტა და დაინახა, რომ ფრინველები უკვე მაღლა აჭრილიყვნენ ცაში, ქვეყნიერება სადღაც შორს ჩაკარგულიყო. მათ ზურგსუკან თანდათან შორეთს ერთვოდა პირქუში მთაგრეხილი. ჰობიტმა კვლავ დახუჭა თვალები და უფრო ღონივრად ჩასჭიდა თითები ბუმბულებს.

– ნუ იჩქმიტები, – შეეხმიანა არწივი, – და გულს ნუ იხეთქავ კურდღელივით, მერე რა, რომ კურდღელს ჩამოჰგავხარ. ჩინებული დილაა, ნელი სიო ქრის და რა უნდა იყოს ახლა ფრენაზე უკეთესი!

ბილბოს სურდა, ეპასუხა: „თბილი აბაზანა და შემდეგ კორდზე მირთმეული გვიანი საუზმეო", მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა შეპასუხება და სულ ოდნავ მოადუნა თითები.

კარგა ხნის ფრენის შემდეგ არწივებმა დაბლა იწყეს დაშვება ფართო წრეებით – მათ იმ თვალუწვდენი სიმაღლიდანაც შეამჩნიეს მიზანი, რომლისკენაც მიემართებოდნენ. დიდხანს, დიდხანს ტრიალებდნენ ცაში ფრინველები, სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდნენ და ბოლოს ჰობიტმა ისევ გაბედა თვალის გახელა. მიწა მოახლოებულიყო, მათ ქვემოთ მოჩანდა ხეები – ალბათ, მუხები და თელები – ფართო ბალახოვანი მინდვრები და მათ შორის განოლილი მდინარე. ნაკადს გზად ეღობებოდა მიწიდან ამოჩრილი დიდი კლდე, ყოველსხრივ ჩქერალებით შემოსალტული ერთიანი ქვის გორაკი, ვითარცა შორეულ

მთათა განაპირა ნასხლეტი, ან როგორც ვეება ნატეხი, გოლიათთა შორის უძლიერესის მიერ შორს, შორს ველებზე გადმოტყორცნილი.

მალე არწივები სათითაოდ შემოსხდნენ კლდეზე და მგზავრებიც ჩამოსხეს.

– მშვიდობით! – დაიძახეს მათ, – და გზა მშვიდობისა, საითაც არ უნდა მიემართებოდეთ! კეთილად გევლოთ, სანამ გზის დასასრულს საკუთარი ბუდე არ შეგიხიზნებთ! – თავაზიანი არწივები ასე ეთხოვებიან მეგობრებს.

– კეთილი ქარი გიძღოდეთ იქ, სადაც მზე ცურავს და მთვარე დაიარება! – გასძახა მათ გენდალფმა, ვისაც არასოდეს ეშლებოდა თავაზიანი სიტყვა-პასუხი.

ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. არწივთა ბატონი შემდეგ ყოველთა ფრინველთა ხელმწიფე შეიქნა და ოქროს გვირგვინი ჰხურავდა, მის თხუთმეტ ეზირს კი გნომთა ნაოსტატარი ოქროს საყელურები ამშვენებდა, მაგრამ ბილბოს ისინი აღარასოდეს შეხვედრიან. მხოლოდ ერთხელ, ხუთი ლაშქრის ბრძოლაში ჰკიდა მათ თვალი ჰობიტმა მაღლა და შორს, მაგრამ ეს უკვე ჩვენი ამბის დასასრულს მოხდა და ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქვის გორაკის თავი მობრტყელებული იყო და აქედან დაბლა, მდინარისაკენ კარგად გაკვალული მრავალსაფეხურიანი ბილიკი მიემართებოდა, ხოლო მდინარის გადალმა ამწვანებული მინებისაკენ დიდი ბრტყელი ქვებით მოგებული ფონი გადადიოდა. კლდის ძირში, ქვიანი ფონის მახლობლად პატარა გამოქვაბული მოჩანდა, საამო თავშესაფარი, ხვინჭკით მოფენილი იატაკით. ისინი გამოქვაბულში შეიკრიბნენ და მოჰყვნენ ბჭობას, ანი როგორლა მოვიქცეთო.

– მე თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, მშვიდობით გადმომეყვანეთ ნისლიან მთებზე, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი აღმოჩნდებოდა, – წამოინყო ჯადოქარმა, – და ახლა, უნარიანი წინამძღვრობითა და კეთილი იღბალის წყალობით, მოვახერხე ამის გაკეთება. უნდა გითხრათ, რომ ვვარაუდობდი, ბევრად უფრო ადრე დამეტოვებინეთ და ასე შორს აღმოსავლეთით არ შემოგყოლოდით; ბოლოს და ბოლოს, ეს თქვენი მოგზაურობა ხომ ჩემი თავგადასავალი არ არის. სანამ ყველაფერი დამთავრდებოდეს, იქნებ, კიდევაც დაგხედოთ როგორმე, მაგრამ ამჯერად სხვა საშური საქმეები მიხმობს.

გნომები აკვნესდნენ, დაღონდნენ, ბილბო მნარედ ატირდა. ისინი ხომ უკვე იმასაც ფიქრობდნენ, გენდალფი მთელ გზას ჩვენთან ერთად გაივლის და ყოველგვარი გასაჭირის დროს მუდამ გვერდით იქნებაო.

– მე ახლავე კი არ გავუჩინარდები, – ანუგეშა ისინი ჯადოქარმა, – ერთიორი დღე კიდევ შემიძლია დავყოვნდე. შეიძლება, მოვახერხო და ამ გასაჭირშიც დაგეხმაროთ, მე თვითონაც დამჭირდება შემწე. ჩვენ არა გვაქვს საკვები, არც სხვა საჭირო ბარგი და არა გვყავს პონები. თქვენ არც იცით, სად

იმყოფებით, მაგრამ ამას გეტყვით: მთის გზას ბოლომდე რომ მივყოლოდით, ახლა ჩვენი სავალი ბილიკი აქედან რამდენიმე მილით უფრო სამხრეთით იქნებოდა. აქეთ მხარეებში ძალიან ცოტა ხალხი სახლობს, თუ, რა თქმა უნდა, მას მერე არ გადმოსახლდნენ, რაც ბოლოჯერ ჩამოვიარე აქ რამოდენიმე წლის წინათ. მაგრამ აქედან არცთუ მოშორებით მაინც ცხოვრობს ვილაც. მან გამოკვეთა საფეხურები ამ დიდ კლდეში – ვგონებ, კლდეს თავად სალკლდეს უხმობს. იგი აქ არცთუ ხშირად მოდის, არასოდეს მოდის დღისით და არას გვარგებს, აქვე რომ დავუცადოთ. ძალიან სახიფათოც იქნება, ასე რომ მოვიქცეთ. ჩვენ თვითონ უნდა წავიდეთ და ვიპოვოთ იგი, და თუ კეთილად შეგვხვდება, ვფიქრობ, რომ მე ჩემს გზას ვენევი და არწივებივით გისურვებთ: გზამშვიდობისა, საითაც არ უნდა მიემართებოდეთ-მეთქი.

გენდალფს ყველანი შესთხოვდნენ, არ მიეტოვებინა ისინი, გნომები დრაკონის ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს ჰპირდებოდნენ, მაგრამ ჯადოქარს განზრახვა არ შეუცვლია.

– ვნახოთ, ვნახოთ! – თქვა მან, – და, მგონი, თქვენი დრაკონის ოქროები ცოტაოდენი უკვე დავიმსახურე – რომ დაიბრუნებთ, საიმდროოდ, ცხადია.

ამის მერე ხვეწნა-მუდარა შეწყდა. მგზავრებმა ტანთ გაიძვრეს და მდინარეში იბანავეს. ნყალი ფონთან თავხელი და წმინდა იყო, კენჭებიანი ფსკერით. შემდეგ ცხელი, უკვე ძალამოცემული მზის სხივებში გაშრნენ და გახალისდნენ, თუმცა ნყლულები ჯერ კიდევ თავს ახსენებდათ და ცოტათი კიდევაც მოშივდათ. მერე ფონს გადავიდნენ და მაღალ მწვანე ბალახებს შორის გააბიჯეს, შტომრავალი მუხებისა და მაღალი თელების ხეივნების დასწვრივ.

– და ამ ადგილს სალკლდე რად ჰქვია? – დაეკითხა გენდალფს ბილბო, რომელიც ჯადოქრის გვერდით მიაბიჯებდა.

– იმიტომ, რომ მისებურად ამას სალკლდე ეწოდება. ამგვარ რამეებს იგი საერთოდ სალკლდეს უწოდებს, ხოლო სწორედ ამ კლდეს განსაკუთრებით შეარქვა სახელი, რადგან ეს ერთადერთია მისი სახლის მახლობლად და კარგადაც იცნობს.

– ვინ შეარქვა? ვინ იცნობს?

– ის, ვის შესახებაც გეუბნებოდით – იგი საოცარი, განსაკუთრებული ვინმეა. როდესაც წარგადგენთ, ყველანი ძალიან თავაზიანად მოიქეცით. მგონი, სჯობს, თანდათანობით, ორ-ორნი წარვსდგეთ მის წინაშე. თქვენ კი ძალიან იფრთხილეთ, თავი არ შეაწყინოთ, თორემ უფალმა უწყის, რა შეიძლება მოხდეს. იგი შემაზრზენია, თუკი გაჯავრდა, თუმცა საკმაოდ კეთილია. მაგრამ იცოდეთ: ის იოლად ბრაზდება.

გნომები გარშემო შემოჯარდნენ, ბილბოსა და გენდალფის საუბარი რომ მოესმინათ.

– ახლა იმ კაცთან მიგყავართ? – კითხულობდნენ ისინი, – არ შეგიძლია, ცოტა უფრო გულმოწყალე მასპინძელი გამოძებნო? არ შეგიძლია, ცოტა უფრო დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი?

– დიახ, მასთან! არა, არ შემიძლია! და ძალიანაც კარგად აგიხსენით ყველაფერი, – მოუჭრათ ჯადოქარმა, – და თუ მაინც გჭირდებათ, რომ მეტი იცოდეთ, გეტყვით: მას ბეორნი ჰქვია, მეტად ძლიერია და ტყავის შეცვლა იცის.

– რაო? ტყავებით მოვაჭრეა და კურდღლის ტყავზე ამბობს, გამოქნილი ბოცვერიაო, თუკი ციყვის ბეწვად ვერ გაასაღა?

– ოჰ, ღმერთო დიდებულო, არა, არა, არა და არა! – შეუტია გენდალფმა, – იქნებ მოახერხო, მისტერ ბეგინს, და არ იყო ასეთი ბრიყვი! და გაფიცებ, რაც კი წმინდა გაგაჩნია, სიტყვა „ტყავებით მოვაჭრე" არ წამოგცდეს, სანამ ასი მილით მაინც არ დაშორდები მის სახლს. არ ახსენო არც ქურქი, არც ტყაპუჭი, ტყავკაბა და ამგვარი საბედისწერო სიტყვები! მან ტყავის შეცვლა იცის, ესე იგი, თავად იცვლის ტყავს. იგი ზოგჯერ ვეება შავი დათვია, ზოგჯერ კი – ზორბა და ძლიერი შავთმიანი კაცი, გოლიათური მკლავები და ხშირი წვერი აქვს. ახლა მეტს ვერაფერს შეგატყობინებთ, ამიტომ ეს იკმარეთ. ზოგი ამბობს, რომ იგი დათვია, მთის დათვთა მოდგმის ჩამომავალი, რომლებიც ნისლიან მთებში გოლიათების მოსვლამდე სახლობდნენ. სხვანი ყვებიან, რომ მისი წინაპრები იყვნენ ის პირველი ადამიანები, რომლებიც ამ მხარეში სმაუგისა და სხვა დრაკონების გამოჩენამდე ბინადრობდნენ, უფრო ადრე, სანამ გობლინები მოვიდოდნენ ჩრდილოეთის მთებიდან. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მაგრამ მგონი, ასეც არის. თავად მას კი ბევრს ვერაფერს გამოკითხავ.

ასეა თუ ისე, იგი სხვათა ჯადოთი როდია შეკრული – მხოლოდ საკუთარ ჯადოსნობას ემორჩილება. ცხოვრობს მუხის ტყეში, უზარმაზარ ხის სახლში. ჰყავს საქონელი და ცხენები, ისინიც არანაკლებ საოცარნი. ისინი მუშაობენ პატრონისათვის და ესაუბრებიან მას, ხოლო პატრონი არ ჭამს თავის საქონელს, არც გარეულ მხეცებს მოინადირებს საკვებად. აურაცხელი სკები უდგას, ვეებერთელა ავი ფუტკრებით სავსე, და მეტნილად ნალებითა და თაფლით იკვებება. დათვად ქცეული ბევრს დაეხეტება შორი-შორ. ერთხელ ვნახე, როგორ ივჯდა სალკლდის წვერზე სულ მარტო, ნისლიან მთათა გადაღმა დაძირულ მთვარეს უცქერდა და დათვურად ბობღინებდა: „ის დღეც დადგება, ისინი რომ ამოწყდებიან, და მაშინ უკან დავბრუნდებიო". ამიტომ ვფიქრობ, რომ იგი ოდესღაც მთებიდან მოვიდა.

ბილბოს და გნომებს საფიქრალი გაუჩნდათ და გენდალფს დაეხსნენ, ალარაფერს ეკითხებოდნენ. წინ კიდევ გრძელი გზა ედოთ და ისინიც მიდიოდ-

ნენ, მიიკეცავდნენ აღმა ფერდებს და ჩაღმა დაბლობებს. ჩამოცხა. მგზავრებმა რამდენჯერმე ხეების ჩრდილში შეისვენეს, ხოლო ბილბოს ისე შიოდა, ისე შიოდა, რომ რკოებსაც შეჭამდა, რომ ენახა მწიფე, ძირს ჩამოცვენილი.

შუადღე გადასული იყო, როდესაც შენიშნეს, რომ გარშემო ერთბაშად მომრავლდა ფერადი ყვავილოვანი ლაქები. ერთგვარი ყვავილები მიჯრით, გვერდიგვერდ იზრდებოდნენ, თითქოს ვიღაცას საგანგებოდ დაურგავსო. სხვა ყვავილებს სამყურები სჭარბობდა: მოტორტმანე მამლისქოჩორა სამყურებით, იისფერი სამყურებით, დაბალი, ტკბილი, თაფლოვანი სურნელების მფრქვევი თეთრი სამყურებით დაპენტილიყო მინდვრები. გარშემო გამუდმებული ზუზუნი, გუგუნი და ბზუილი გაისმოდა – სადამდეც თვალი გასწვდებოდა, ყველგან საქმიანად დაფუსფუსებდნენ ფუტკრები. მერედა, როგორი ფუტკრები! ბილბოს ადრე არაფერი ენახა მათი მსგავსი.

– ერთმა მაინც რომ მიკბინოს, – გაიფიქრა მან, – ალბათ, მაშინვე ძველებურად ჩავმრგვალდები.

ცერის უმსხოსი ფუტკრები დაუცხრომლად დაფრინავდნენ, შავ, მბზინვარე სხეულზე ბაჯაღლო ოქროსავით უელავდათ ყვითელი რკალები.

– უკვე ახლოს ვართ, – თქვა გენდალფმა, – საფუტკრე სანახებს მოვადექით.

და მაინც კარგა ძალი იარეს, სანამ გოლიათური ბებერი მუხების ზოლს, მათ მიღმა კი მაღალ მწვანე ეკლის ღობეს მიადგებოდნენ. ამ ღობეში ვერც ვერაფერს დაინახავდი, ვერც ზედ გადაცოცდებოდი.

– აჯობებს, რომ თქვენ აქ მოიცადოთ, – უთხრა ჯადოქარმა გნომებს, – და როდესაც მე დაგიძახებთ ან დაგისტვენთ, მერეღა გამომყევით უკან – ხომ დაინახავთ, საითაც წავალთ. ოღონდ დაიხსომეთ: ორ-ორნი მომყევით, ხუთ-ხუთი წუთის დაყოვნებით. ბომბური ყველაზე სქელია და ორის მაგივრობას გასწევს, ამიტომ სჯობს, ბოლოსთვის დარჩეს და მარტო გამოჩნდეს. წავედით, მისტერ ბეგინს! ასე თუ მივყვებით ღობეს, ჭიშკარს მივადგებით.

გენდალფმა ღობის გასწვრივ გასწია და თან წაიყოლა დამფრთხალი ჰობიტი.

მალე ისინი მაღალ და ფართო ხის კარიბჭეს მიადგნენ. ჭიშკრის იქით მოჩანდა ბალი და ერთად შეჯგუფული დაბალი ხის ნაგებობები, გაუთლელი მორებით ნაშენები და ჩალით დახურული ბეღლები, თავლები, ფარდულები და გრძელი, დაბალი ხის სახლი. შემოღობილის სამხრეთ ნაწილში ნამჯისაგან შეკრული, ზარისებრსახურავიანი სკების აურაცხელი რიგები ჩამწკრივებულიყო. უზარმაზარი ფუტკრები წინ და უკან დაფრენდნენ, შედი-გამოდიოდნენ სკებში და ხმამაღლა ზუზუნებდნენ.

ჯადოქარმა და ჰობიტმა მძიმე მოჭრიალე ჭიშკარი შეაღეს და სახლისაკენ მიუყვნენ ფართო შარას. რამოდენიმე ჩინებულად დაურვებულმა და ნაპა-

ტივებმა ცხენმა ჩორთით გადმოჭრა კორდი. ბილბო გააოცა მათმა გონიერმა თვალებმა. ცხენებმა ყურადღებით შეათვალიერეს მოსულები და შემდეგ სახლისაკენ გათოხარიკდნენ.

– წავიდნენ, რომ მას შეატყობინონ ჩვენი მოსვლის შესახებ, – თქვა გენდალფმა.

ისინი სახლს უახლოვდებოდნენ. ეზო შენობის წინ სამი მხრიდან სახლის კედლებით იყო მოკავებული. შუაში ეგდო უზარმაზარი მუხის ტანი, გარშემო ჩამოსხეპილი ტოტები ეყარა. იქვე იდგა ვეებერთელა კაცი, ხშირი შავი თმანვერი ესხა, მოკლე შალის ტუნიკა ემოსა, შიშველ მკლავებსა და ფეხებზე კუნთები დაბურცვოდა. იდგა უზარმაზარი ნაჯახის ტარს ჩამოყრდნობილი და მოსულთ შესცქეროდა. გვერდით ედგნენ ცხენები, დრუნჩები მის მხარზე ჩამოედოთ.

– აჰ! აი, ისინიც, – მიმართა მან ცხენებს, – არც ისე მრისხანენი ჩანან. შეგიძლიათ, წახვიდეთ! – მან ხმამაღლა გაიცინა, ნაჯახი დაბლა დადო და წინ ნამოვიდა.

– ვინა ხართ და რა გინდათ? – ჯიქურ შეეკითხა სტუმრებს. მათ პირისპირ მდგარი, გენდალფს ზემოდან დასცქეროდა, ბილბოს კი შეეძლო, უწვალებლად გაესეირნა მის ფეხებს შორის ისე, რომ თავიც არ დაეხარა იმის შიშით, გოლიათურ მუხლებამდე დაშვებული ყავისფერი კაბის ფოჩებს ნამოვედებიო.

– მე გენდალფი ვარ, – მიუგო ჯადოქარმა.

– არ მსმენია შენი სახელი, – ჩაიბუზღუნა კაცმა, – ეს მოკლე კაცი ვინლაა? – იკითხა მან, დაიხარა და შუბლშეკრული დააჩერდა ჰობიტს.

– მისტერ ბეგინსი გახლავთ, ჰობიტი, კარგი ოჯახიშვილი და შეუბღალავი სახელის პატრონი, – უპასუხა ჯადოქარმა. ბილბო წელში მოიდრიკა. ქუდი არ ჰქონდა, რომ თავაზიანად მოეხადა და თანაც საშინლად რცხვენოდა თავისი აწყვეტილი ღილების გამო.

– მე ჯადოქარი ვარ, – განაგრძო გენდალფმა, – და მსმენია შენს შესახებ, თუმც შენ არ გსმენია ჩემი სახელი. მაგრამ იქნებ იცნობდე ჩემს ბიძაშვილს რადაგასტს. იგი ტყეებნელის სამხრეთ პირას ცხოვრობს.

– დიახ. ჯადოქრის კვალობაზე არცთუ ურიგო ყმაწვილია; დროდადრო ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, – თქვა ბეორნმა, – კარგი, ახლა ვიცი, ვინა ხართ, ან თავს რად ასაღებთ. რა გინდათ?

– გულახდილად გეტყვით, რომ დავკარგეთ ჩვენი ბარგი და კინაღამ გზა დაგვებნა. ძალიან გვჭირდება შემწეობა, რჩევა მაინც. მთებში გობლინებმა ავი დღე დაგვაყარეს.

– გობლინებმა? – იკითხა დიდმა კაცმა და ოდნავ მოლბა, – ოჰო, მაშ გობლინებმა საქმე გაგიჭირეს? რისთვის მიდიოდით მათთან?

– ჩვენ არც ვაპირებდით, მათ გადავყროდით. მოულოდნელად წამოგვადგნენ თავს, ღამით, როდესაც მთის ბილიკს მოვუყვებოდით. დასავლეთის მინებიდან აქეთ მხარეში მოვეშურებოდით – გრძელი ამბავია.

– მაშ, იქნებ ჯობდეს, შინ შევიდეთ და ცოტა რამ მიამბოთ, თუკი ამას მთელ დღეს არ მოუნდებით, – და ბეორნი ეზოდან სახლში შეუძღვათ ბნელი კარით.

ისინი ფართო დარბაზში შევიდნენ. დარბაზის შუაგულში კერია იყო მოწყობილი და, თუმც ზაფხული იდგა, ზედ კოცონი გაეჩაღებინათ. კვამლი მაღლა, გაშავებული კოჭებისაკენ ადიოდა და სახურავის ღიობში მიიკვლევდა გზას. მათ გადაჭრეს ეს ბინდიანი დარბაზი, მკრთალად განათებული ცეცხლითა და მის ზემოთ ჭერში დატანებული ხვრელიდან შემოსული შუქით, და მეორე, უფრო მომცრო კარით გავიდნენ მთლიან გაუთლელ მორებზე შეყენებულ ღია აივანზე. სამხრეთისაკენ მიქცეულ აივანზე ჯერ კიდევ თბილოდა, ჩამავალი მზე ალმაცერ სხივებს აღვრიდა და შემდეგ ოქროს წვიმად ცვიოდა დაბლა, აყვავებულ ბაღში, კიბის საფეხურებამდე მოზღვავებულ ყვავილებზე...

სანამ გენდალფი თხრობას დაიწყებდა, ყველანი ხის მერხზე ჩამოსხდნენ. ბილბო სკამიდან დაკიდულ ფეხებს იქნევდა, ყვავილებს უცქერდა და ფიქრობდა, ნეტავი რა ჰქვიათო – ამ მცენარეებიდან ნახევარი ადრე არასოდეს ენახა.

– მე ერთი-ორ მეგობართან ერთად მთებზე გადმოვდიოდი... – წამოიწყო ჯადოქარმა.

– ერთი-ორ? მე მარტო ერთს ვხედავ და ისიც კარგა მოკლეა, – მოუჭრა ბეორნმა.

– რომ არ დაგიმალო, არ მინდოდა, ჩვენი სიმრავლით შეგვეწუხებინე, სანამ არ ვნახავდი, გეცალა თუ არა. ნებას თუ დამრთავ, დავუძახებ.

– მიდი, შესძახე!

გენდალფმა გრძლად, ყურისწამლებად დაუსტვინა და უმალ თორინი და დორი გამოსცდნენ სახლის კუთხეს, ბაღის ბილიკს გამოუყვნენ, დაბლა შეჩერდნენ და წელში მოდრეკით მიესალმნენ მასპინძელს.

– ერთი-სამიო, უნდა გეთქვა, როგორც ვხედავ, – თქვა ბეორნმა, – მაგრამ ესენი არ არიან ჰობიტები, ესენი გნომები არიან!

– თორინ ოუკენშილდი, მზად ვარ, გემსახუროთ! დორი, მზად ვარ, გემსახუროთ, – წარმოსთქვეს გნომებმა და კვლავ თავი დაუკრეს.

– არ მჭირდება თქვენი სამსახური, გმადლობთ, – თქვა ბეორნმა, – თქვენ კი, მგონი, გჭირდებათ ჩემი. გნომები დიდად არ მომდიან თვალში, მაგრამ თუკი მართალია, რომ შენ თორინი ხარ, ძე თრეინისა, თრორის ძისა, როგორც მსმენია, თუ ეგ შენი ამხანაგიც ღირსეულია და ჩემს მინა-წყალზე ავს არაფერს განიზრახავთ – ჰო, კაცმა რომ თქვას, რა გაქვთ განზრახული?

– ისინი მამათა მიწების მოსანახულებლად მიემართებიან, შორს, ალმოსავლეთისაკენ, ტყებნელის გადაღმა, – ჩაურთო გენდალფმა, – და სრულიად შემთხვევით მოვხვდით შენს მინა-წყალზე. ქედზე მთის მაღალი ბილიკით გადმოვდიოდით, ის ბილიკი შენი ქვეყნის სამხრეთით გამავალ გზებზე დაგვაყენებდა, მაგრამ ბოროტი გობლინები დაგვესხნენ თავს – როგორც გიამბობდი...

– მაშ, მიდი, განაგრძე თხრობა, – მიმართა ბეორნმა, რომელიც დიდი თავაზით არ გამოირჩეოდა.

– საშინელი ქარიშხალი ატყდა. ქვის გოლიათები კარში გამოვიდნენ და კლდეებს აბურთავებდნენ. ბილიკის შორიახლოს გამოქვაბულს შევეფარეთ მე, ჰობიტი და რამოდენიმე ჩვენი ამხანაგი...

– ორს შენ რამდენიმეს ეძახი?

– არა, არა. ისინი ორზე მეტნი იყვნენ.

– სად არიან? დახოცეს? შეჭამეს? შინ დაბრუნდნენ?

– არა, არა. ყველანი არ მოსულან, რომ დავუსტვინე. ალბათ, ერიდებათ. მეტად ვშიშობდი, რომ ბევრნი ვართ და სტუმრობით თავს შეგაწყენთ.

– მიდი, მიდი, კიდევ დაუსტვინე. როგორც ჩანს, დღეს სტუმრობანას ვერ ავცდები და ერთი-ორით მეტი ან ნაკლები ბევრს არაფერს შეცვლის, – ჩაიბურდღუნა ბეორნმა.

გენდალფმა კვლავ დაუსტვინა. მაგრამ ნორი და ორი ლამის სტვენის შეწყვეტამდე გამოცხადდნენ, რადგანაც, თუკი გახსოვთ, გენდალფმა დაუბარათ, ყოველ ხუთ წუთში წყვილ-წყვილად შემოსულიყვნენ.

– გაუმარჯოს, – მიესალმა მათ ბეორნი, – სხარტები ყოფილხართ, ვერაფერს იტყვი. სად იმალებოდით? ჯადოქრის სახელოებში? შემოგვიერთდით!

– ნორი, თქვენს მსახურად მიგულეთ, ორი, თქვენს... – წამოიწყეს მათ, მაგრამ ბეორნმა შეაწყვეტინათ:

– გმადლობთ! მე თავად შეგატყობინებთ, თუკი სამსახური დამჭირდება. დასხედით და განვაგრძოთ ამბის მოსმენა, თორემ ვახშმის დროც მოატანს, სანამ დასრულდება.

– როგორც კი ჩავიძინეთ, – განაგრძო გენდალფმა, – გამოქვაბულის უკანა კედელზე ნაპრალი გაიხსნა. იქიდან გობლინები გამოძვრნენ და ხელთ იგდეს ჰობიტი, გნომები და ჩვენი პონების ჯოგი...

– პონების ჯოგი? ვინა ხართ – მოხეტიალე ცირკი? თუ ბევრი ბარგი-ბარხანა მოგქონდათ? ან, იქნებ, შენ ექვსს საერთოდ ჯოგს ეძახი?

– ო, არა! იქ ხომ ექვს პონიზე მეტი იყო, იმიტომ, რომ ჩვენც მეტნი ვიყავით – აი, ორნიც შემოგვემატნენ.

აივნის წინ ბალინი და დვალინი გამოჩნდნენ და ისე მდაბლად დაიდრიკნენ, რომ მათმა წვერებმა მიწას უწვდინა. დიდმა კაცმა წარბი შეჰყარა, მაგრამ გნომები ისე ცდილობდნენ, გულისგამგმირავად თავაზიანნი ყოფილიყვნენ, ისე

გულმოდგინედ უკრავდნენ თავს, იხრებოდნენ და იდრიკებოდნენ, ჩაჩებს კი მუხლებთან აფრიალებდნენ გნომთა ადათისამებრ, რომ ბეორნს უცებ როხროხა სიცილი წასკდა – ძალზე სასაცილოდ ირჯებოდნენ!

– ჯოგიო, მართალია, – თქვა მან, – თავშესაქცევი კია. შემოდით, მხიარულო ხალხო, და მითხარით, რა გქვიათ? ამჟამად თქვენი სამსახური არ მესაჭიროება, მხოლოდ სახელები მითხარით. შემდეგ კი დასხედით და მორჩით ქუდების ქნევას!

– ბალინი და დვალინი, თქვენს მსახურად მიგულეთ, – თქვეს მათ, მასპინძელზე განაწყენება ვერ გაბედეს და მონყვეტით ჩასხდნენ იატაკზე, საკმაოდ გაოცებულები ჩანდნენ.

– ახლა კი განაგრძე, – მიუბრუნდა ბეორნი ჯადოქარს.

– რას ვყვებოდი? ჰო – ჩემი მოტაცება ველარ მოასწრეს. ელვის კვესებით ერთი-ორი გობლინი მოვკალი...

– ბარაქალა! – დაიბუხუნა ბეორნმა, – მაშ, ჯადოქრად ყოფნასაც მოაქვს რალაც ხეირი.

– ...და ნაპრალში შევსხლტი, სანამ პირს შეიკრავდა. დატყვევებულებს მთავარ დარბაზამდე მივსდიე, იქაურობა გობლინებით იყო სავსე. მათი ბელადიც იქ იჯდა, ოცდაათი თუ ორმოცი იარალასხმული მცველით გარშემორტყმული. და მაშინ გავიფიქრე: „ტყვეები რომც არ იყვნენ ერთმანეთზე გადაჯაჭვულები, მაინც ვერაფერს გახდებოდა დუჟინი ამდენი მტრის წინააღმდეგ".

– დუჟინი? პირველად მესმის, რომ რვა თურმე დუჟინი ყოფილა. თუ ყველა ჯერ კიდევ არ გამოგიშვია სახელოებიდან?

– დიახ. დიახ. როგორც ვხედავ, კიდევ ორნი გვიახლოვდებიან – ფილი და კილი, მგონი, – თქვა გენდალფმა, როდესაც მორიგი წყვილი გამოჩნდა და მოახლოებული გნომები ღიმილითა და ნელში დრეკით გაჩერდნენ აივნის წინ.

– კმარა! – დააჩუმა ისინი ბეორნმა, – დასხედით და წყნარად იყავით! განაგრძე, გენდალფ!

გენდალფმა განაგრძო თხრობა, მოყვა სიბნელეში ბრძოლის შესახებ, აუწყა, როგორ იპოვეს ქვემო ჭიშკარი და როგორ შეშინდნენ, როცა ნახეს, რომ მისტერ ბეგინსი დაჰკარგოდათ.

– ერთმანეთი გადავთვალეთ და ვნახეთ, რომ ჰობიტი გვაკლდა. თოთხმეტნიღა ვიყავით!

– თოთხმეტნიო! პირველად შესმის, რომ ათს რომ ერთი დააკლდეს, თოთხმეტი დარჩება. ან ცხრანიო, უნდა გეთქვა, ან არა და, ჯერ კიდევ არ მოგიყოლია ყველას შესახებ, ვინც იქ იყავით.

– ჰო, რასაკვირველია, ოინი და გლოინი ჯერაც არ გინახავს და, ღმერთო ჩემო, აი, ისინიც. იმედია, შიუტევებთ, შენუხებას რომ გიბედავენ.

– ოჰ, მოვიდნენ ყველანი! ჩქარა! შემოდით თქვენ ორნი და დასხედით! მაგრამ, მისმინე, გენდალფ, ახლაც კი ათი გნომი, შენ და დაკარგული ჰობიტი – თუკი დაკარგულსაც გამოვაკლებთ – მხოლოდ თერთმეტია! და არა თოთხმეტი, თუკი ჯადოქრები რალაც სხვანაირად არ ანგარიშობენ. მაგრამ ახლა მითხარი, შემდეგ რა მოხდა? – ბეორნი არ იმჩნევდა, რომ ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ადრე იგი კარგად იცნობდა მთებს, რომლებსაც ახლა გენდალფი აღწერდა. ბეორნი დასტურის ნიშნად თავს უკრავდა, ხმამაღლა როხროხებდა, გენდალფი კი ყვებოდა, როგორ გამოჩნდა დაკარგული ჰობიტი, როგორ ჩამოცურდნენ ქვიან მენყერზე და ტყეში როგორ მოექცნენ მგლების ალყაში. როდესაც შეიტყო, როგორ აცოცდნენ ყველანი ხეებზე გარსმოჯარული ხროვისაგან თავის გადასარჩენად, ბეორნი წამოიჭრა, ფართო ნაბიჯით ბოლთა დასცა და აბურდღუნდა:

– ერთი იქ ვყოფილიყავი! მარტო ფეირვერკებით ვერ გადამირჩებოდნენ!

– დიახ, – გენდალფი კმაყოფილი იყო, რომ ბეორნი ასე დააინტერესა მათმა ამბავმა, – რაც შემეძლო, ცდა არ დამიკლია. ასე ვისხედით ხეებზე, ჩვენს ქვემოთ ბრაზით გაცოფებული მგლები ყმუოდნენ, ტყეს აქა-იქ ცეცხლი მოედო. ამასობაში მთებიდან გობლინები ჩამოვიდნენ და გვიპოვეს, აღტაცებით აღრიალდნენ და ჩვენს აბუჩად ასაგდებად ამღერდნენ: „თხუთმეტი ჩიტი ზის ხუთ ნაძვის ხეზე..."

– ღმერთო დიდებულო! – იყვირა ბეორნმა, – ნუ მეტყვით, გობლინებმა თვლა არ იციანო. იციან. თორმეტი თხუთმეტი არ არის და გობლინებს ეს არ შეეშლებათ.

– არც მე მეშლება. ჩვენთან ერთად ბიფური და ბოფურიც იყვნენ. ვერ გავბედე, ადრევე მომეხსენებინა. და აი, ისინიც.

შემოვიდნენ ბიფური და ბოფური.

– და მეც! – ამოიქშინა მათ უკან ქოშინით მომავალმა ბომბურმა. იგი მსუქანი იყო, თან გულმოსული, სულ ბოლოს რომ დატოვეს. მან არ ისურვა, ხუთი წუთი მოეცადა და ბიფურს და ბოფურს აედევნა.

– ახლა ხომ ხართ თხუთმეტნი! და რადგანაც გობლინებმა თვლა იციან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხეებზე მეტი აღარავინ იჯდა. იქნებ, ახლა მოახერხო და დაასრულო მოყოლა ისე, რომ აღარავინ შეგვანყვეტინოს!

მისტერ ბეგინსი ახლალა მიხვდა, რა ჭკვიანურად მოიქცა გენდალფი. ნაწყვეტ-ნაწყვეტი თხრობა ბეორნს ამბის მოსმენის სურვილს უცხოველებდა; ხოლო ყველანი ერთად რომ მისდგომოდნენ კარს, მას, იქნებ, ყურიც არ დაეგდო მოსულთათვის და მკვახედ გაესტუმრებინა, როგორც საეჭვო მანანწალები. იგი ხომ მუდამ ერიდებოდა სტუმრებს, ცოტა მეგობარი ჰყავდა, ისინი კარგა მოშორებით ცხოვრობდნენ და ბეორნი მათაც თითოს ან ორს ერთად

თუ მოინვევდა შინ. ახლა კი მის აივანზე თხუთმეტი უცნობი ჩამომჯდარიყო!

იმ დროისათვის, როდესაც ჯადოქარი მოყვა, როგორ იხსნეს ისინი არწივებმა და შემდეგ სალკლდემდე გადმოაფრინეს, და ამბავიც დაასრულა, მზე უკვე განელილ ჩრდილებში დაიძირა.

– ჩინებული ამბავია! – თქვა ბეორნმა ბოლოს, – ამისთანა უკვე დიდი ხანია, ალარ მომისმენია. ყველა მანანნალას ასეთის მოთხრობა რომ შეეძლოს, მათ უფრო გულმოწყალედ შევხვდებოდი ხოლმე. რასაკვირველია, შეიძლება, ყველაფერი თქვენი შეთხზული იყოს, მაგრამ ამისთანა ზღაპარიც იმსახურებს ვახშამს. ხომ არ გვეჭამა რაიმე?

– ო, დიახ! – მიუგო ყველამ ერთხმად, – დიდი მადლობა!

დიდ დარბაზში უკვე ბნელოდა. ბეორნმა ტაში შემოკრა და მაშინვე მოირბინა ოთხმა მშვენიერმა თეთრმა პონიმ და რამოდენიმე ზორბა რუხმა ძაღლმა. ბეორნი მათ უცნაურ ენაზე გამოელაპარაკა – მისი კილოკავი ცხოველების ხმით საუბარს მოგაგონებდათ. ისინი გავიდნენ და ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდნენ, პირებით მოჰქონდათ ჩირაღდნები, რომლებსაც კერიის ალზე მოუკიდეს და შუაცეცხლის გარშემო ბოძებზე დატანებულ დაბალ ბუდეებში ჩაამაგრეს. ძაღლებს, როცა მოესურვებოდათ, ორ თათზე სიარული და წინა თათებით სხვადასხვა საგნების დაკავება შეეძლოთ. მათ სწრაფად გადმოიტანეს კედლებთან მიდგმული ფიცრები და ხარიხები და ცეცხლის სიახლოვეს გამართეს.

შემდეგ მოისმა „ბეე-ბეე-ე", და შემოვიდა რამდენიმე ქათქათა ცხვარი, მათ წინ მოუძღოდათ მოზრდილი, ნახშირივით შავი ვერძი. ერთ ცხვარს მოჰქონდა თეთრი სუფრა, კიდეებზე ნაქარგი ცხოველებით დამშვენებული, სხვებმა კი ფართო ზურგებით სინები შემოიტანეს. ზედ თასები, ხის თეფშები, დანები და ხის კოვზები ელაგა. ძაღლებმა სწრაფად გაანყვეს ყველაფერი ფიცრის მაგიდაზე. ტაბლები დაბალი იყო, ბილბოც კი მოხერხებულად მიუჯდებოდა. პონებმა თორინისა და გენდალფისათვის ახლოს მოაჩოჩეს ორი დაბალი და ფართო, სქელფეხება მონნული ჯორკო, სუფრის მეორე ბოლოში კი მასპინძლისათვის მათი მსგავსი შავი სკამი დადგეს. მაგიდებიც და სკამებიც ასე დაბალი ალბათ იმიტომ დაემზადებინათ, რომ საოცარ ცხოველებს პატრონის მომსახურება არ გასჭირვებოდათ. ბეორნი დაჯდა და მაგიდის ქვეშ გრძლად გაიწედინა გოლიათური ფეხები. მის დარბაზში მეტი სკამი არც იყო. სხვები სადღა ჩამომსხდარიყვნენ? არც ისინი დაივიწყეს – პონებმა შემოაგორეს გასწორებულ-გაპრიალებული მორების გადანაჭრები, იმდენად დაბლები, რომ ტანმორჩილი ბილბოც მოხერხებულად ჩამოჯდებოდა. მერე ყველანი სუფრას



ბეორნის დარბაზი

შემოუსხდნენ – მრავალი წელი იყო, რაც ბეორნის დარბაზს ამგვარი ხალხ-მრავლობა არ ეხილა.

და ისინი შეექცნენ სადილს, თუ ვახშამს, რომლის მსგავსიც არ ეგემათ მას შემდეგ, რაც დასავლეთის მინებზე ბოლო შინაურული ბინა მოიტოვეს უკან და ელრონდის სტუმართმოყვრული სახლის კარი გამოიხურეს. გარშემო ჩირაღდნებისა და შუაცეცხლის შუქი ლაპლაპებდა, მაგიდაზე ორი მაღალი, ტლალი თაფლის სანთელი ენთო. სტუმრები ჭამდნენ და ჭამდნენ, ხოლო ბეორნი დაბალი, მოგუგუნე ხმით მოუთხრობდა მათ ქედის გადმოლმა გაშლილი ველური მხარის ამბებს, მეტწილად აქეთური ბნელი და საშიშარი ტყის შესახებ ყვებოდა. ეს ტყე, უცნობი და შიშისმგვრელი ტყებნელი, მისი სახლიდან ერთი დღის სავალზე განოლილიყო, შორს სამხრეთსა და შორს ჩრდილოეთისაკენ ხშირობდა და მგზავრებს აღმოსავლეთისაკენ სავალ გზას უღობავდა.

გნომები ყურს უგდებდნენ და ჩაფიქრებულნი წვერებს არხევდნენ – მათ იცოდნენ, რომ სულ მალე სწორედ იმ ტყეში უნდა შეებედათ და რომ ნისლიან მთათა ქედის გადმოლახვის შემდეგ ეს ტყე ყველაზე უფრო საშიშარ დაბრკოლებად აღემართებოდათ დრაკონის სიმაგრისაკენ მიმავალ გზაზე. სადილს რომ მორჩნენ, მათაც ნამოიწყეს თავისი ამბების თხრობა, მაგრამ ბეორნს თითქოსდა თვლემა მოერია და სტუმრებს ყურს აღარ უგდებდა. გნომები ყვებოდნენ ოქრო-ვერცხლსა და პატიოსან თვლებზე, სამჭედლო საქმესა და ნაჭედ საგნებზე, ბეორნს კი ამგვარი ამბები დიდად არ ეხალვლებოდა. მის დარბაზში ოქრო-ვერცხლის ნივთები არ ჩანდა და დანების გარდა თითქმის არაფერი იყო ლითონისგან ნაკეთები.

ისინი დიდხანს ისხდნენ სუფრასთან, ხის თასები თაფლუჭით ჰქონდათ სავსე. გარეთ ბნელი ღამე ჩამონვა. დარბაზის შუაგულში გამართულ კერიას ახალი მორები შეუკეთეს, ჩამწვარი ჩირაღდნები გაიტანეს, ისინი კი ისხდნენ ცეცხლის მოცეკვავე ენების შუქზე, მათ ზურგსუკან აწვდილი მაღალი ბოძები თვალშეუდგამ სიბნელეში იკარგებოდნენ, როგორც ხეები ტყეში. იქნებ ეს ჯადოქრობა იყო, იქნებ არც იყო, ბილბოს რომ ეჩვენებოდა, მაღლიდან, კოჭებს შორისიდან დარხეულ ტოტებში დაქროლილი ქარის ხმა და ჭოტის კვნესა ჩამესმისო. მალე ძილმორეულმა ყვინთვა დაიწყო, ხმები თითქოსდა შორდებოდნენ, შორდებოდნენ... და ანაზდად გამოფხიზლდა.

შემოსასვლელი კარი ჭრიალით გაიღო და მერე მიჯახუნდა – ბეორნი გავიდა. გნომები ფეხმორთხმით ჩამსხდარიყვნენ იატაკზე ცეცხლის გარშემო და სიმღერა წამოეწყოთ. სიმღერა გრძელი იყო, ისინი დიდხანს მღეროდნენ ამის მსგავს ლექსებზე:

უსიცოცხლო ტრამალები ქარიშხლისგან ირბეოდა,
მაგრამ ტყეში ფოთოლიც კი არ კრთოდა და ირხეოდა,
სადაც არ ისმოდა ჩქამი – ჩრდილი იწვა დღით და ღამით –
მთის საფარქვეშ უცნაური არსებები ირეოდა.

მილმა მთათა სიცივიდან უცებ ქარი გადმოიქცა,
ნიალვრებად გადმოქუხდა, დაიგრგვინა, გადმოირწა,
ჯერ ტოტები დააკვნესა, კვნესა იწყო თავად ტყემაც
და ფოთლებით მიმოფინა ფხვიერი და ცივი მიწა.

დასავლისკენ უბერავდა აღმოსავლის ცივი ქარი,
ტყეში დადგა უძრაობა, მცირე ჩქამიც არსად არის,
მაგრამ მჟღერი, მეტად მკვეთრი და გამჭოლი მისი ხმები
გადაიჭრა უკვე სტვენით ჭაობების გალმა ძალით.

ბალახს ცეცხლი ედებოდა და ფოთლების იყო დრეკა,
შრიალებდა ძალზედ ლელი – ქარი უკვე გალმა რეკდა,
მოტორტმანე ტბების წყლებზე და გაყინულ ზეცის ქვეშე
გალმა იყო უკვე ქარი და მრბოლ ღრუბლებს ძალით გლეჯდა.

ქარი გასცდა ეულ მთასაც, ხრიოკ ქედზე გადიქროლა,
იქ დრაკონის ღრუ ბუნაგზე წამით თითქოს დაეკონა –
სადაც სივრცე იყო ბნელი და ლოდები მთლად შიშველი –
და ჰაერში გაფრენილი მუქი კვამლი გაიყოლა.

მან დატოვა ეს ქვეყანა, გააგრძელა ფრენა ზევით,
სადღაც დაბლა მოიტოვა ღამეული ფართო ზღვები;
მიცურავდა მაღლა მთვარე, ღელვის ზემოთ, მთელი ღამე
და ბრუნავდნენ ვარსკვლავები – მოკამკამე შუქისფერი.

ბილბომ ისევ ჩამოყვინთა. უცებ გენდალფი წამოდგა.

– ჩვენი ძილის დროა, – განუცხადა მან დანარჩენებს, – ჩვენი, მაგრამ, ვგონებ, არა ბეორნისა. ამ დარბაზში უზრუნველად და უშიშრად შეგვიძლია დავიძინოთ, მაგრამ გაფრთხილებთ: არ დაივიწყოთ, რა თქვა ბეორნმა წასვლის წინ და მზის ამოსვლამდე გარეთ ბოდიალს არ მოყვეთ, თუ არ გინდათ, თავი ხიფათში ჩაიგდოთ.

ბილბომ დაინახა, რომ მათთვის უკვე დაეგოთ ლოგინები იქვე, დარბაზში, ბოძებსა და გვერდითა კედელს შორის შემაღლებულ ბაქანზე. მისთვის ჩალის ქვეშაგები და შალის საბნები მოემზადებინათ. თუმც ზაფხული იდგა, ჰობიტი მაინც სიამოვნებით ჩათბუნდა. ცეცხლი ჩანავლდა, ბილბო ძილმა ნაიღო. მაგრამ ღამით კვლავ გამოელვიძა – კერიაზე ნაკვერჩხლებილა ღუოდა, გნომები და გენდალფი წყნარად ფშვინაედნენ, ეტყობა, ეძინათ. ცაზე შემაღლებული მთვარე სახურავში დატანებულ საკვამლე ხვრელში იცქირებოდა და იატაკზე თეთრი შუქის ლაქას აფენდა.

გარედან ღრენა და ბობღინი მოისმოდა, თითქოსდა დიდი ცხოველები შებმოდნენ ერთმანეთს. ბილბო ვერ მიმხვდარიყო, რა ხმები ჩაესმოდა და იფიქრა, იქნებ ეს გარდასახული ბეორნია, იქნებ დათვად ქცეული მოვიდეს და დაგვხოცოსო. მან საბნები თავზე ნაიფარა, ჩაიმალა ქვეშაგებში და, თუმც საშიშარი ეჭვები შემოსეოდა, კვლავ ჩაიძინა.

დილა ჩაღობდა, როდესაც გამოიღვიძა: რომელიღაც გნომი ზედ წამოედო ჩრდილიან კუთხეში მძინარე ჰობიტს, გაგორდა და შემაღლებულიდან იატაკზე დაებერტყა. ეს ბოფური იყო, იგი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, როდესაც ბილბომ თვალები გაახილა.

– ადე, მცონარავ, – უთხრა მან, – თორემ შენთვის საუზმე აღარ დარჩება.

ბილბო ბურთივით ახტა.

– საუზმე! – იყვირა მან, – სად არის საუზმე?

– დიდი ნილი – ჩვენში, – განუცხადეს სხვა გნომებმა, რომლებიც დარბაზში დაიარებოდნენ, – მაგრამ რაც დარჩა, გარეთ არის, აივანზე. მზის ამოსვლის აქეთ ბეორნს დავეძებთ. მისი კვალიც ვერ ვნახეთ, მაგრამ გარეთ რომ გავედით, განყობილი საუზმე ვიპოვეთ.

– გენდალფი სადღაა? – იკითხა ბილბომ, თან საჭმლის მოსაძებნად გაეჩქარა.

– ო! სადღაც გარეთ, აქვე, – მიუგეს მას. მაგრამ ჯადოქარი საღამომდე არ გამოჩენილა. მზე ჩადიოდა, როდესაც იგი შემოვიდა დარბაზში, სადაც ჰობიტი და გნომები ვახშმობდნენ. მათ ახლაც თავს დასტრიალებდნენ ბეორნის საოცარი ცხოველები, რომელნიც მთელი დღე დაუზარებლად ემსახურნენ სტუმრებს. გუშინდელი საღამოს აქეთ ბეორნი არ გამოჩენილიყო და ისინი უკვე საგონებელში ჩაცვენილიყვნენ, ვერ ხვდებოდნენ, სად უნდა ყოფილიყო იგი.

– სად არის ჩვენი მასპინძელი და შენ თვითონ სად იყავი მთელი დღე? – ერთხმად შესძახეს გენდალფს.

– კითხვებზე სათითაოდ ვპასუხობ – და მხოლოდ ვახშმის შემდეგ! დილას აქეთ ხემსი არ მინახავს.

ბოლოს გენდალფმა, როგორც იყო, განზე გასწია თეფში და სასმისი – მან შეჭამა ორი მთლიანი პური, რომელზედაც უშურველად წაუსვა ბლომად კარაქი, თაფლი და არაჟანი, და ზედაც მთელი სურა თაფლუჭი დააყოლა. მერე აუჩქარებლად გამართა ჩიბუხი.

– ჯერ მეორე კითხვაზე გიპასუხებთ, – თქვა მან, – მაგრამ, ნახეთ ერთი! რა დიდებული ადგილია რგოლების გასაშვებად!

და ჯადოქარს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ დააცდენინეს სიტყვა, ისე გაერთო კვამლის რგოლების ბოლებით. მისი რგოლები გვერდს უქცევდნენ დარბაზის ბოძებს, ათასგვარად იცვლიდნენ ფერსა და ფორმას და ბოლოს, ერთმანეთს გადევნებულები, გარეთ მიფრინავდნენ სახურავის ხვრელიდან. გარედან მაცქერალისათვის ალბათ საოცარი სანახავი იქნებოდა ხვრელიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოფრენილი რგოლები, მწვანეები, ლურჯები, მოვერცხლილები, ყვითლები თუ თეთრები, დიდები თუ მომცროები. პატარები დიდ რგოლებში მიძვრებოდნენ, რვიანებად ერთდებოდნენ და მერე ჩიტებივით გუნდად მიფრენდნენ შორეთში.

– მე დათვის ნაფეხურებს ვიკვლევდი, – თქვა მან ბოლოს, – როგორც ჩანს, დათვებს წუხელ აქ ნამდვილი კრება მოუწყვიათ. მარტო ბეორნი ამდენ კვალს ვერ დატოვებდა, თანაც ნაფეხურები სხვადასხვა ზომისაა. მე ვიტყოდი, რომ პატარა დათვები, დიდი დათვები, ჩვეულებრივი დათვები, უზარმაზარი გოლიათი დათვები – ყველანი ერთად ცეკვავდნენ გარეთ დაბნელებიდან თითქმის განთიადამდე. ისინი აქ ყოველი მხრიდან შეიყარნენ, მაგრამ დასავლეთიდან, მდინარის გალმიდან არავინ მოსულა. იქით მხოლოდ ერთი დათვის კვალი მიემართებოდა, იქითკენ მიმავალი კვალი. მე მას სალკლდემდე მივყევი. კვალი მდინარეში გაუჩინარდა, მაგრამ კლდის ძირში დინება ღრმა და ძლიერი იყო, მე ვერ გადავლახავდი. ხომ გახსოვთ, რომ ამ ნაპირიდან სალკლდემდე ფონით გასვლა ძალიან იოლია, მაგრამ კლდის მეორე მხარეს ციცაბო ფერდობებთან ბობოქარი მორევი ტრიალებს. რამდენიმე მილი გავიარე, სანამ ვიპოვიდი ადგილს, სადაც მდინარე იმდენად ფართოვდება და თხელდება, რომ გაცურვა და ფონს გასვლა შევძელი, მერე ისევ უკან დავბრუნდი და კვალი ვიპოვე. ამ დროისათვის უკვე გვიანღა იყო, მას შორს ვეღარ მივყვებოდი. კვალი პირდაპირ ნისლიან მთათა აღმოსავლეთ ფერდებზე შეფენილი ფიჭვის ტყისაკენ მიემართებოდა, იქითკენ, სადაც ორი დღის წინ უარგებთან ერთად პატარა ტკბილი საღამო გავატარეთ. ახლა კი, მგონი, პირველ კითხვასაც ვუპასუხე, – დაასრულა გენდალფმა და გაჩუმდა.

ბილბომ იფიქრა, კარგად გავიგე, რასაც ჯადოქარი გვეუბნებაო.

– რაღა ვქნათ! – იყვირა მან, – აქ რომ ჩამოიყვანოს უარგები და გობლინები? ყველას დაგვიჭერენ და დაგვხოცავენ! შენ კი ამბობდი, მათთან არ მეგობრობსო!

– დიახ, ვამბობდი. და ნუ ხარ ბრიყვი! ჯობს, დასაძინებლად წახვიდე, თორემ უძილობით უკვე გონება გერევა.

ჰობიტმა მოიწყინა და, რაკი უკეთესი მართლაც ვერაფერი მოიფიქრა, დასაძინებლად გაემართა. გნომები ისევ მღეროდნენ, ბილბომ ჩათვლიმა, პატარა თავს ისევ ბეორნზე ფიქრით იტეხდა, სანამ არ ესიზმრა ასობით შავი დათვი, რომელნიც მძიმე და დინჯი ცეკვით ტრიალებდნენ წრეში მთვარის შუქზე შიდა ეზოში. შემდეგ გამოელვიძა, როდესაც სხვებს უკვე ეძინათ, და გარედან ისევ ძველებური ბურტყუნი, ბრაგუნი, დავა და ქშენა მოესმა.

მეორე დილით ისინი თავად ბეორნმა გააღვიძა.

– ოჰო, ჯერ კიდევ აქა ხართ! – დაიბუხუნა მან. შემდეგ ჰობიტი ჰაერში ააპორწიალა და ახარხარდა:

– უარგებს და გობლინებს ჯერ არ შეუჭამიხარ, არც ავ დათვებს, ვატყობ! – შემდეგ სრულიად უპატივცემულოდ თითი ატაკა მუცელში, – პატარა ყურცქვიტა ისევ გაპატივდა და ჩამრგვალდა თაფლითა და ლავაშებით, – როხროხებდა იგი, – წამო, ცოტაც დაუმატე!

ყველანი სასაუზმოდ გაემართნენ. ბეორნი მშვენიერ გუნებაზე დამდგარიყო, ენამახვილობდა და მხიარული ამბების თხრობით ყველას აცინებდა. მალე თავად მოუყვა სტუმრებს, თუ სად იყო წასული, ან გუნება ასე რად გამოჰკეთებოდა. მან თურმე მდინარე გადალახა და მთებისკენ გაემართა – დათვური ნაბიჯის კვალობაზე მართლაც რომ სწრაფად მობრუნებულიყო უკან. ტყეში მგლების მინდორი გადაბუგული დახვდა და დარწმუნდა, რომ მისი სტუმრების მონაყოლი მთლად მონაჭორი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს როდი იკმარა: ტყეში კვალაბნეული გობლინი და უარგი დაიჭირა და მათგან შეიტყო, რომ გაალმასებული გობლინი მეომრები და მგლები ჯერაც დაეძებდნენ ტყეში გნომებს, ისინი უზომოდ განერისხებინა გობლინთა ბელადის სიკვდილსა და მგლების წინამძღოლის მომწვარ ცხვირს. ჯადოქრის ცეცხლს ავი ხროვის სხვა რჩეული მეომრებიც მრავლად დაეხოცა. ბეორნის მძიმე ხელმა აიძულა შეპყრობილები, ამდენი რამე ჩამოეფქვათ, მაგრამ ბეორნი თავად ხვდებოდა, რომ მტრები უფრო მეტ სიავესაც განიზრახავდნენ და რომ მალე გობლინთა მთელი არმია თანამზრახველ მგლებთან ერთად მთისძირა მიწებს დაატყდებოდა, რათა შური ეძიათ ადამიანებსა და სხვა არსებებზე, რომელთაც, როგორც თავად ეგონათ, გნომები შეიფარეს.

– თქვენი ამბავი კარგი მოსასმენი იყო, – ამბობდა ბეორნი, – მაგრამ ახლა უფრო მეტადაც მომწონს, რაკი ვიცი, რომ მართალია. უნდა მომიტევოთ, თქვენს სიტყვას რომ არ ვენდე – როცა ტყებნელის სიახლოვეს ცხოვრობ, ვერ ენდობი ლიტონ სიტყვას, თუკი მთქმელს ღვიძლ ძმაზე უკეთ არ იცნობ. ყველაფერი რომ შევიტყვე, უკანვე გამოვეჩქარე, რომ მენახა, რამე ხომ არ

გიჭირდათ, და დახმარება აღმეთქვა, რითაც შემიძლია. დღეის ამას იქით გნომებს უფრო კეთილად მოვიხსენიებ ხოლმე. გობლინების ბელადი მოკლულია, მოკლული! – პირქუშად ჩაიცინა მან.

– იმ გობლინს და უარგს რალა ბედი ეწიათ? – დაეკითხა უცებ ბილბო.

– წამოდით და ნახეთ, – მიუგო ბეორნმა და წინ გაუძღვათ. ყველანი უკან მიჰყვნენ, სახლს შემოუარეს და იქვე, ჭიშკრის იქით სარზე გაცმული გობლინის თავი დაინახეს. გვერდით ხეზე უარგის ტყავი იყო მილურსმნული. დაუნდობელი იყო ბეორნი მტრებთან, მაგრამ მათთვის იგი მეგობარი გამხდარიყო და გენდალფმა გადაწყვიტა, უკეთესი იქნება, თუ მთელ ჩვენს ამბავს მოვუყვებით და მოგზაურობის მიზანსაც გავუმხელთო – მაშინ მასპინძელი საგზაოდ უკეთ მოამარაგებდათ.

ხოლო ბეორნი მართლაც უხვ დახმარებას ჰპირდებოდათ. ტყებნელამდე მისასვლელად იგი გენდალფს ცხენს სთავაზობდა, დანარჩენებს კი – პონებს. ცხოველები საგზლით დატვირთა, თუკი გამოიზოგავდნენ, მგზავრებს რამოდენიმე კვირა ეყოფოდათ ეს საკვები. სატარებლად მარჯვედ შეეფუთათ გზად წასაღები ნიგოზი, ფქვილი, ჩირით სავსე დაბეჭდილი ქილები, წითელი თიხის თაფლიანი ქოთნები, ტკბილი ორცხობილები, რომლებიც კარგად იტანდა დიდხანს შენახვას და მისი მცირედი ხემსიც კი მგზავრს დიდ გზას გაატარებდა. ამ ორცხობილების დამზადების წესი ერთი მის საიდუმლოთაგანი იყო, მათში ერია თაფლი, როგორც საერთოდ ბეორნის თითქმის ყველა საკვებში, და საამო მისართმევი იყო, თუმც კაცს აწყურებდა. შემდეგ მასპინძელმა მგზავრებს აუწყა, ტყემდე წყლის წაღება არ დაგჭირდებათ, რადგან გზის გასწვრივ უხვად შეხვდებით წყაროებსა და ნაკადულებსო.

– მაგრამ გზა ტყებნელში წყვდიადით არის მოცული, სახიფათოა და საძნელო, – თქვა მან, – იმ გზაზე წყლის პოვნაც ძნელია და საკვებისაც. თხილი ჯერ არ შემოსულა (თუმც, სანამ მეორე მხარეს გააღწევთ, იქნებ, კიდევაც მოილიოს), თხილის გარდა კი, მგონი, არც არაფერი იზრდება იმ ტყეში საკვებად გამოსადეგი. იქაური ნადირი შავია, უცნაური და დაუნდობელი. წყლის სატარებლად ტიკებს მოგიმზადებთ, რამოდენიმე მშვილდსა და ისრებსაც მოგცემთ. ოღონდ, ძალიან ვეჭვობ, ტყებნელში რასაც იპოვით, საჭმელად ან დასალევად ვარგოდეს რაიმე. მე ვიცი, ტყეში ერთი მდინარეა, მისი შავი და მძლავრი ნაკადი ბილიკს კვეთს. ოღონდ ამ წყალში არც იბანაოთ, არც წყურვილი მოიკლათ, რადგანაც მსმენია, მდინარე მოჯადოებულია, მისი წყალი ყველას ძილს ჰგვრის და ყოველივეს ავიწყებსო. თანაც, არა მგონია, იქაურ დაბურულ ჩრდილებში რაიმე მოინადიროთ, მარგი თუ მაწყინარი ისე, რომ ბილიკი არ დააგდოთ. ხოლო ეს არაფრით, არაფრის გამო არ უნდა ქნათ. სულ ეს არის, რაც შემიძლია, გირჩიოთ. ტყისპირის იქით ბევრი ვერაფრით დაგეხმარებით,

მერე უკვე თქვენი იღბლისა და გულმაგრობის ამარა იქნებით და იმ საგზლისა, თან რომ გატანთ. მე გთხოვთ, ტყისკარს რომ მიანევთ, უკან გამოუშვათ ჩემი ცხენი და ჩემი პონები. კეთილი გზა მისურვებია და ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება თქვენთვის, თუკი ოდესმე კვლავ ჩამოივლით ამ გზებზე.

მათ, ცხადია, უღრმესი მადლობა მოახსენეს მასპინძელს, მრავალჯერ დადრკნენ და გულმოდგინედ აფრიალეს ჩაჩები, მრავალჯერ გაიმეორეს: „თქვენს მსახურად გვიგულეთ, ო, ხის ფართო დარბაზთა ბატონო!“ მაგრამ ბეორნის დადინჯებულმა საუბარმა გული დაუმძიმათ, ყველამ იგრძნო, რომ მათ თავგადასავლებს ბევრად უფრო სახიფათო პირი უჩანდა, ვიდრე ეგონათ, და რომც დაეძლიათ ეს გრძელი და ფათერაკიანი გზა, მის ბოლოში დრაკონი დახვდებოდათ.

დილა საგზაო მზადებამ გალია. შუადღე გადასული იყო, როდესაც ბოლოჯერ ისადილეს ბეორნთან ერთად, შემდეგ კი ამხედრდნენ ბეორნის ნათხოვებ ტაიჭებზე, უამრავჯერ გამოეთხოვნენ მასპინძელს და ჩორთით გაიარეს ფართო ჭიშკარი.

ღობეს რომ გასცდნენ, მაშინვე ჩრდილოეთისკენ ჰქნეს პირი, ცოტა ხანში კი ჩრდილო-დასავლეთით დაიჭირეს გეზი. ბეორნის რჩევისამებრ, ისინი აღარ მიეშურებოდნენ ტყის მთავარი გზისაკენ, მისი მიწების სამხრეთით რომ გადიოდა. მთის ბილიკი მშვიდობიანად რომ გადმოევლოთ, მაშინ ქედიდან დაშვებისას ნაპირ-ნაპირ დაუყვებოდნენ ხევის პატარა წყალს, რომელიც სალკლდიდან სამხრეთით, რამდენიმე მილის იქით ერთვოდა დიდ მდინარეს. ამ ადგილას წყალი ღრმა ფონად იშლებოდა, მის გადალახვას მოახერხებდნენ, თუკი საიმდროოდ თავიანთი პონებიც თან ეყოლებოდათ. აქედან შარა ტყისპირისკენ მიემართებოდა, ზედ ადგებოდა ტყის ძველი გზის შესასვლელს. მაგრამ ბეორნმა გააფრთხილა ისინი, ბოლო დროს გობლინები ხშირად დაიარებიან ამ გზაზეო, ესეც რომ არა, მსმენია, მისი დასავლეთი ბოლო ულრანმა ტყემ დაფარა და კვალი გააუჩინარა, გზა გაუვალ ჭაობებში იკარგება, სადაც სავალი ბილიკი დიდი ხნის წინ გამქრალაო. თანაც ტყის ძველი გზის აღმოსავლეთი ბოლო ეული მთიდან კარგა შორს, სამხრეთით გადიოდა ტყეებნელიდან და მგზავრებს კიდევ დიდხანს მოუწევდათ სვლა ჩრდილოეთისაკენ საძნელო და ფათერაკიანი გზებით. სალკლდის ჩრდილოეთით კი ტყეებნელის კიდე დიდი მდინარის ნაპირებს უახლოვდებოდა და, თუმც ამ ადგილას მეორე მხრიდან მთებიც ახლოს მოჯარულიყვნენ, ბეორნი მაინც იქით წასვლას ურჩევდათ, რადგანაც სწორედ აქ, სალკლდის ჩრდილოეთით რამოდენიმე დღის სავალზე ტყეებნელში ბილიკი შედიოდა. ცოტამ თუ იცოდა ამ გზის არსებობა, რომელიც თითქმის გაუმრუდებლად მიემართებოდა ეული მთისაკენ.

– გობლინები, – უთხრა მათ ბეორნმა, – ვერ ბედავენ, მდინარე გადმოლახონ სალკლდიდან ასეული მილით ჩრდილოეთითაც კი, ჩემს სახლთან ახლოს გაჭაჭანებასაც კი უფრთხიან – ღამ-ღამობით იგი კარგად არის დაცული! მაგრამ მაინც აჩქარებას გირჩევდით, რადგანაც თქვენს საძებრად წამოსული გობლინები მალე გადმოვლენ მდინარეზე სამხრეთით და მერე მთელ ტყისპირს გადაჩხრეკენ თქვენს დასაჭერად, უარგები კი პონებზე უფრო სწრაფად დარბიან. ჩრდილოეთით წასვლა კი ნაკლებ სახიფათოა, თუმც ეს გზა მათ სამფლობელოებს მიგაახლოებთ. მტრები არ მოელიან, რომ ახლა ამ გზას დაადგებით და უფრო დიდხანს, შორიდან მოვლით მოუწევთ თქვენი ძებნა. ახლა კი გასწით და იჩქარეთ, რაც შეგიძლიათ!

ამიტომაც იყო, რომ მხედრები ჩუმად მიჭენაობდნენ და სავალად რბილ, ბალახიან მიწას ირჩევდნენ. მათი გზის ხელმარცხნივ ბინდიანი მთაგრეხილი აღმართულიყო, შორს ილანდებოდა ხეებით დაჩრდილული მდინარის ზოლი, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ბეორნის სახლი რომ დატოვეს, მზე დასავლეთისკენ იხრებოდა და შემდეგაც საღამომდე ოქროდ ეფრქვეოდა მგზავრთა გარშემო გადაშლილ მინდვრებს. საძნელო იყო გამუდმებით უკან დადევნებულ გობლინებზე ფიქრი, და მგზავრებმა კვლავ წამოიწყეს სიმღერა და საუბარი, როდესაც ბეორნის სახლიდან მრავალი მილის მოშორებით დაიგულეს თავი, გადაივიწყეს ტყის წყვდიადიანი გზაც, ნინ რომ ელოდათ. საღამოს, ბინდი რომ ჩამოწვა და ჩამავალი მზის დაფიონზე პირქუშად გამოიკვეთნენ მთათა მწვერვალები, ისინი ღამისსათევად დაბანაკდნენ და სადარაჯოდ მზირები დააყენეს. მაგრამ ბევრ მათგანს მოუსვენრად ეძინა, სიზმრად დაგეშილი მგლების შიშისმგვრელი ყმუილი და გობლინთა ყიჟინა ჩაესმოდათ.

მომდევნო დღეც ნათელი და ცინცხალი გათენდა. შემოდგომური ნისლი თეთრად გაწოლილიყო მიწის პირზე, ჰაერში სუსხი იდგა, მაგრამ სულ მალე აღმოსავლეთით წითელი მზე ამოვიდა, ნისლები გაქრა და მგზავრები უკვე დილის ჩრდილების დამოკლებამდე გაუდგნენ გზას. ორი დღეც იარეს და არაფერი უნახავთ ბალახისა და ყვავილების, ჩიტებისა და მიმოფანტული ეული ხეების მეტი. ხანდახან ხვდებოდათ ნითური ირმების მომცრო ჯოგები, ისინი მინდვრად ძოვდნენ, ან შუადღის მზეს ემალებოდნენ ხეების ჩრდილში. ბილბო ზოგჯერ ხედავდა მაღალი ბალახიდან ამოჩრილ ხარირემთა ჩამოყრილ რქებს, რომლებიც თავიდან ხმელი ტოტები ეგონა. მესამე დღე იწურებოდა და იმ საღამოს ისე მოწადინებით მიინევდნენ ნინ, რომ დაბინდებისას არ შეჩერებულან და ღამითაც განაგრძობდნენ გზას მთვარის შუქში – ბეორნმა ხომ უთხრათ, ტყეში შესასვლელს მეოთხე დღეს, დილაადრიან მიადგებითო. დღის შუქის მილევის შემდეგ ბილბოს სულ ეჩვენებოდა, გზის

ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ ვეებერთელა დათვის ლანდს ვხედავ, რომელიც გამუდმებით შორიახლოს მოგვდევსო. მან გაბედა, ეს ეჭვები გენდალფისათვის გაეზიარებინა, მაგრამ ჯადოქარმა მხოლოდ ეს მიუგო:

– ჩუუ! ვითომც არაფერი დაგინახავს!

ხანმოკლე ღამისთევის შემდეგ გზას განთიადამდე გაუდგნენ. როგორც კი ინათა, წინ შავ, პირქუშ კედლად აღმართული ტყებნელი დაინახეს. ტყე თითქოს მათ შესახვედრად მოიწევდა, თუ კუშტად მოელოდა მგზავრებს. სავალი ბილიკი შეფერდდა, აღმა წავიდა, ჰობიტს ეჩვენებოდა, თავდაულნევ მდუმარებაში ვიძირებიო. ბოცვერსაც კი ვერსად მოჰკრავდი თვალს. საშუადღეოდ ტყებნელის პირსაც მიაღწიეს და დასასვენებლად ლამის მის განაპირა ხეთა გადმოკიდებულ ტოტებქვეშ შეჩერდნენ. ხეებს მსხვილი და დაკორძილი ტანები ჰქონდათ, დაგრეხილი ტოტები, გრძელი, მუქი ფოთლები ესხათ. ტანზე სურო ეხვეოდათ, მიწაზეც სურო ეფინებოდა.

– აი, ესეც ტყებნელი! – თქვა გენდალფმა, – ჩრდილოეთის მიწებზე ამაზე დიდ ტყეს ვერ ნახავთ! იმედია, თვალში მოგდით იგი. ახლა კი, პირობისამებრ, ეს ჩინებული პონები შინ უნდა გაუშვათ.

გნომები აბუზღუნდნენ კიდეც ამის გამო, მაგრამ ჯადოქარმა მოახსენათ, ბრიყვები ხართო.

– ბეორნი ისე შორსაც არაა აქედან, თქვენ რომ გგონიათ და, ესეც რომ არა, დანაპირები უნდა შეასრულოთ. ვერ იქნება კარგი ამბავი მისი მტრად მოკიდება. მისტერ ბეგინსს თქვენზე მახვილი თვალი ჰქონია, თუკი თქვენ ვერ შენიშნეთ, ყოველ ღამე, ბინდის ჩამოწოლის შემდეგ უზარმაზარი დათვი რომ მოუყვებოდა გზას ჩვენთან ერთად, ან მთვარის თეთრ შუქში იჯდა მოშორებით და ჩვენს ბანაკს უთვალთვალებდა. იგი გვიცავდა და გზაზე გვაყენებდა, თანაც თავის პონებზე ზრუნავდა. დიახ, ბეორნი თქვენი მეგობარია, მაგრამ თავისი ცხოველები შვილებივით უყვარს. თქვენ ვერც კი ხვდებით, რარიგ კეთილად მოგექცათ, ნება რომ დაგრთოთ თქვენ, გნომებს მისი პონები ასე შორს და ასე სწრაფად გეჭენებინათ. ვერც იმას ხვდებით, რა მოგელით, თუკი დააპირებთ, ტყეში შეიყვანოთ ისინი.

– ცხენი? – იკითხა თორინმა, – რატომ არაფერს ამბობ მის უკან გაგზავნაზე?

– იმიტომ, რომ არც ვაპირებ მის გაშვებას.

– მაშ, შენს დაპირებებზე როგორა ხარ?

– ამაზე ზრუნვა მე მომანდეთ. მე ცხენს უკან არ გავუშვებ, რადგან თვითონ წავიყვან.

ასე შეიტყვეს, რომ ტყებნელის პირას გენდალფი მათ მიტოვებას აპირებდა. ყველას სასო წარეკვეთა, მაგრამ ჯადოქარს ვერა მათი სიტყვა ვერ შეაცვლევინებდა განზრახვას.

– ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამის შესახებ მაშინ, სალკლდეზე რომ დავეშვით, – თქვა მან, – დავა საჭირო აღარაა. ხომ გითხარით, სამხრეთში საშური საქმეები მელის. ისედაც ზედმეტად შევყოვნდი თქვენთან და ვაგვიანებ. იქნებ კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს მანამ, სანამ ეს ყველაფერი დასრულდებოდეს, იქნებ ვერც შევხვდეთ – ეს თქვენს იღბალზე, სიმამაცესა და მიხვედრილობაზე ჰკიდია. თქვენთან ერთად მისტერ ბეგინსს ვაგზავნი – ადრეც გითხარით, მას თქვენ რომ გგონიათ, იმაზე მეტი შეუძლია და სულ მალე ამას თავადაც მიხვდებით. ასწი თავი, ბილბო, და ნუ იქუშები! თავი ასწით, თორინის ხალხო! ბოლოს და ბოლოს, ეს გზა ხომ მხოლოდ თქვენი დასაძლევია! იფიქრეთ საგანძურზე, გზის ბოლოს რომ მოგელით, და გადაივიწყეთ ტყეცა და დრაკონიც, ხვალინდელ დილამდე მაინც!

ხვალინდელ დილას მან იგივე გაიმეორა. რაღა დარჩენოდათ – მგზავრებმა ტყეში შესასვლელის სიახლოვეს გამჭვირვალე ნაკადულის წყლით შეავსეს ტიკები და პონებს ბარგი ჩამოხსნეს, შემდეგ კი გულმოდგინედ გაანაწილეს და შეკრეს ტვირთი. ბილბო ფიქრობდა, ჩემი წილი ბარგი ქანცისგამწყვეტად მძიმეაო და სულაც არ ეპიტნავებოდა მრავალი მილის მანძილზე ყოველივე ამის ზურგით თრევა.

– ნუ სწუხხარ, – ანუგეშა იგი თორინმა, – ძალიან მალე ეს ყველაფერი შემსუბუქდება და ვფიქრობ, მალევე მოვინატრებთ ყველანი მძიმე ფუთებს, საჭმელი რომ შემოგვაკლდება.

ამის მერე ისინი პონებს დაემშვიდობნენ და პირი შინისაკენ უქნეს. პონები მხიარული ჩორთით გაუდგნენ გზას, ეტყობა, უხაროდათ, ტყებნელის ბინდს ზურგი რომ აქციეს. მათი წასვლა იყო და, ბილბო დაგიფიცებდათ, დათვის მსგავსი არსება ხეთა ჩრდილიდან გამოვიდა და სწრაფი ბაჯბაჯით აედევნა ცხოველებსო.

ახლა გენდალფიც მშვიდობის გზას უსურვებდათ. ბილბო მიწაზე ჩაჯდა, თავს მეტად უბედურად გრძნობდა და ნატრობდა, ნეტავი, მეც ჯადოქრის გვერდით ვიჯდე მის მალალ ცხენზეო. საუზმის (საწყალობელი მწირი საუზმის) მერე ჰობიტი ტყეში შევიდა და იმ ნათელ დილითაც შუალამურად ბნელი და ძალიან იდუმალი მოეჩვენა იქაურობა. „რაღაც მოთვალთვალე და მომლოდინე გრძნობაა“, – განუმარტა მან თავისთავს.

– ნახვამდის! – მიმართა გენდალფმა თორინს, – ნახვამდის, ყველასთვის მშვიდობის გზა მისურვებია! ახლა თქვენი გზა პირდაპირ მიდის, ტყის გავლით. ბილიკს არ გადახვიდეთ, თორემ მერე ველარ დაუბრუნდებით მართალ გეზს და ველარასოდეს გამოაღწევთ ტყებნელიდან. ასე თუ მოხდა, არა მგონია, ან მე, ან საერთოდ ვინმემ ოდესმე თვალით გიხილოთ.

– აუცილებელია ამ ტყეში გავლა? – დაიკვნესა ბილბომ.

– დიახ, აუცილებელია! – მიუგო ჯადოქარმა, – თუკი გინდათ, რომ მის მეორე მხარეს გახვიდეთ. ან ტყე უნდა გაიაროთ, ან ხელი უნდა აიღოთ განძზე. და არც ვაპირებ, ნება დაგრთოთ, ახლალა დაიხიოთ უკან. მე მრცხვენია, ბილბო, ეს რა გაგივლია გულში! ბოლოს და ბოლოს, ამ გნომებს ხომ უნდა მიმიხედო! – გაიცინა მან.

– არა, არა! – თქვა ბილბომ, – ასე არ მიფიქრია. მე მინდოდა მეკითხა, შემოვლითი გზა არ არის სადმე?

– არის, თუკი გაბედავთ, ორასი მილი გაიაროთ ჩრდილოეთისაკენ და მერე ერთი ამდენი უკან, სამხრეთისაკენ გამოიაროთ. მაგრამ უხიფათო ბილიკს მაშინაც ვერ იპოვიდით – აქეთურ მინებზე საერთოდ არ არის უხიფათო ბილიკები. გახსოვდეთ, ველურ მხარეში ხართ და, საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ათასგვარი თავშესაქცევი მოგელოდებათ. ტყებნელის ჩრდილოეთიდან შემოსავლელად ლეგა მთების ფერდობები უნდა გადაიაროთ, იქ კი ჭერეხივით ყრია გობლინები და ორკები, სხვებზეც უფრო საშინელები. სამხრეთიდან ტყის მოსავლელად კი ნეკრომანტის სამფლობელოში უნდა გაიაროთ და შენც კი, ბილბო, არ გჭირდება მოყოლა, თუ ვინ არის ეს შავი გრძნეული. არ გირჩევდით, ახლოს გაჰკარებოდით იმ მხარეებს, რომელთაც მისი ბნელი კოშკი გადმოჰყურებს. გიჯობთ, ტყის ბილიკს გაუყვეთ, მხნეობა მოიკრიბეთ და, თუკი ძალიან გაგიმართლებთ, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს კიდევაც გახვიდეთ ტყიდან და ქვემოთ გაშლილი გრძელი ჭაობები დაინახოთ, ხოლო მათ მიღმა, დასავლეთით, თვალი ჰკიდოთ ცადაწვდილ ეულ მთას, სადაც ძვირფასი ბებერი სმაუგი ცხოვრობს. იმედია, იგი თქვენ არ მოგელოდებათ.

– გულს გვეფონა პირდაპირ, – ჩაიბუზღუნა თორინმა, – ნახვამდის! თუკი არ გსურს, ჩვენთან ერთად წამოხვიდე, ისა სჯობია, ზედმეტი საუბრების გარეშე გაგვშორდე!

– მაშ, ნახვამდის და, მართლაც ნახვამდის! – მიუგო გენდალფმა, ცხენი მოაბრუნა და დასავლეთისკენ გაეჩქარა; მაგრამ ბოლო სიტყვის თქმის ცდუნებას ვერ გაუძლო, სანამ ხმისმისაწვდენ მანძილს გასცდებოდა, შემოტრიალდა, ხელები პირთან მოიმარჯვა და შემოსძახათ; მათ უკვე სუსტადღა ჩაესმოდათ ჯადოქრის ხმა:

– ნახვამდის! თავს მოუფრთხილდით და – ბილიკს არ გადახვიდეთ!

შემდეგ კვლავ გაჭენდა და მალე თვალს მიეფარა.

– ნახვამდის, ჰო, და წადი, რალა! – ჯავჯლანებდნენ გნომები და მით უფრო ჯავრობდნენ, რომ გენდალფის წასვლის გამო ყველა მართლაც რომ შიშმა აიტანა. მათი მოგზაურობის ყველაზე სახიფათო ნაწილი ახლალა იწყებოდა. მათ ზურგზე მოიგდეს მძიმე ფუთები, თავ-თავისი ნილი ტიკები და გარშემო გადაშლილი განათებული მინებიდან ტყის ბინდში შეაბიჯეს.

8 ბუზები და ობობები

ტყეში დაწალიკებულნი შევიდნენ. ბილიკი პირქუშ გვირაბს ჰგავდა, შესასვლელთან თაღი შეეკრა ორ ერთმანეთისაკენ გადახრილ ვეებერთელა ბებერ ხეს, რომელთა ტოტები ისე შეეხუთა ზედ შემოხვეულ სუროს, ისე მოსდებოდათ მღიერი, რომ აქა-იქლა მოუჩანდათ მეჩხერი გაშავებული ფოთლები. ბილიკი ვიწრო იყო, ხეებს შორის მიმოიკლაკნებოდა. მალე ტყეში შესასვლელი მხოლოდ პატარა ნათელ ხვრელად ილანდებოდა მგზავრების ზურგსუკან, მდუმარება კი ისე გაღრმავდა, რომ ეჩვენებოდათ, ჩვენი ნაბიჯები გუგუნებენ და ამ ხმას ბილიკის თავზე წამოხრილი ხეები აყურადებენო.

როდესაც ბინდბუნდს თვალი შეაჩვიეს, გზის აქეთ-იქით შედედებულ მწვანე ათინათებში ცოტაოდენი რამის გარჩევა შეძლეს. ზოგჯერ მზის სიფრიფანა სხივი, რალაც ბედად ჩამომსხლტარი სადღაც მაღლა, ხეებს შორის დარჩენილ ხვრელში, თუ დაგრეხილ-გადახლართული რტოებისა და ტოტების გისოსსაც თავს დააღწევდა, მგზავრთა წინ გაიელვებდა მკრთალი კაშკაშით. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა და მალე აღარც ხდებოდა საერთოდ.

ტყეში შავი ციყვები ცხოვრობდნენ. ცოტა ხანში ბილბოს მახვილი ცნობისმოყვარე თვალები ბინდბუნდს შეეჩვივნენ და ჰობიტი ხედავდა, როგორ გადაევლებოდნენ ხოლმე ისინი ბილიკს ფუმფულა ლანდებად და ელვის უსწრაფესად ხეების უკან აფარებდნენ თავს. გარშემო უცნაური ხმებიც გაისმოდა, ჩირგვებიდან და უსასრულოდ სქლად დაგებული ფოთლების საფარველს ქვემოდან მათ ყურს ღრუჩუნი, ძრომიალი, ალიაქოთი და შარიშური სწვდებოდა, მაგრამ ბილბო ვერ ხედავდა, თუ რა ხმაურობდა. ყველაზე უფრო ამაზრზენი, რაც მათ ნახეს, აბლაბუდა იყო – მჭიდრო, მუქი აბლაბუდა, წარმოუდგენლად მსხვილი ძაფებით ნაქსოვი. ქსელი ან გზისპირა ხეებს შორის გაჭიმულიყო, ან დაბლითა ტოტებს შემობურდვოდა. ოღონდ ბილიკს არც ერთი არ კვეთდა – რაიმე ჯადოქრობის გამო იყო ასე, თუ სხვა რამ მიზეზით, მგზავრები ვერ ხვდებოდნენ.

დიდი ხანი არ გასულა და მათ ისეთივე თავგამოდებით შეიძულეს ეს ტყე, როგორც გობლინების გვირაბები სძულდათ და ეჩვენებოდათ, ეს გზა იმ გვირაბებზე უფრო უიმედო და დაუსრულებელიაო. მაგრამ მათ გზა უნდა განეგრძოთ, უნდა ევლოთ. უკვე დიდი ხანი იყო, მზისა და ცის დანახვა მონატრებოდათ, მოსწყურებოდათ სახეზე ნიავის შემოქროლება. ტყის საფარველ-

ქვეშ ჰაერი არ იძვროდა, მარადი სიბნელე და დახუთულობა დაყუჩებულიყო. ამას გნომებიც გრძნობდნენ, თუმც ისინი ჩვეულნი არიან გვირაბებში ცხოვრებას და ზოგჯერ დიდხნობითაც ვერ ხედავენ მზის სინათლეს. ხოლო ჰობიტი, რომელსაც, მართალია, მოსწონდა სოროში გაკეთებული ბინები, მაგრამ ზაფხულის ნათელი დღეების გალევას ღია ცის ქვეშ არჩევდა, ასე ფიქრობდა, ნელ-ნელა ვიგუდებიო.

ყველაზე უარესი ჟამი ღამ-ღამობით დგებოდა. კუპრივით ბნელდებოდა გარემო, მართლაც ისეთი წკვარამი ჩამოწვებოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ბილბო ცხვირწინ გაშლილ თითებს იქნევდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ოღონდ მართალი არ იქნება, რომ ვთქვათ, ღამით ვერაფერს ხედავდნენო – არა, სიბნელეში თვალები ჩანდა. ეძინათ ყველას ერთად, მჭიდროდ შექუჩებულებს და რიგრიგობით დარაჯობდნენ ერთმანეთს. როდესაც ბილბოს ჯერი დგებოდა, იგი გარს ჩამოწოლილ სიბნელეში აქა-იქ გაკვესებულ ციალს ამჩნევდა, ხანდახან კი წყვილი ყვითელი, ნითური ან მწვანედ ანთებული თვალი სულ ახლოდან შემოაჩერდებოდა ხოლმე, შემდეგ ნელ-ნელა ჩაიბუტბოდნენ, ჩაქრებოდნენ და კვლავ ნელ-ნელა აგიზგიზდებოდნენ, ახლა უკვე სხვაგან, მოშორებით. ზოგჯერ თვალები ზემოდან აშტერდებოდნენ, ზედ ბილიკზე გადმოწოლილი ტოტებიდან და შიშის ზარს ჰგვრიდნენ ჰობიტს. მაგრამ მას ყველაზე მეტად ზარავდა მანამდე უნახავი, დამზაფვრელი, გაცრეცილ-გადმოქაჩული თვალები. „მწერების თვალებია", – ფიქრობდა იგი, – „ნადირის თვალებს არა ჰგავს, თუმც დიდებია მეტისმეტად".

ღამღამობით ძალიანაც არ ციოდა, მაგრამ მაინც სცადეს, დაბინდებისას სადარაჯო კოცონი აენთოთ ხოლმე. ამ განზრახვაზე მალევე აიღეს ხელი – კოცონი უმალ ასეულობით ცნობისმოყვარე თვალს შემოიკრებდა ხოლმე გარშემო, თუმც თავად მოთვალთვალე არსებანი ფრთხილობდნენ და კოცონის მკრთალ ათინათებში არც ერთხელ არ გამოჩენილან. უფრო უარესი კი ის იყო, რომ ცეცხლი გუნდ-გუნდად იზიდავდა მუქ-რუხ და შავ ფარვანებს, რომელთაგან ზოგი ხელისგულისხელაც იქნებოდა, და ისინი ამაზრზენი ფართქალითა და ზუზუნით ავსებდნენ ჰაერს. გაუძალისი იყო ღამესავით ბნელი, ვეებერთელა ღამურების შემოსევაც, ამიტომ კოცონის გაჩაღებას თავი ანებეს, ღამღამობით უძირო, საშიშარ წყვდიადში ისხდნენ და თვლემდნენ.

ჰობიტს ეჩვენებოდა, ჩვენს ამგვარ ყოფაში უკვე მრავალმა წელიწადმა გადაიარაო. მას მუდამ შიოდა, რადგან გამუდმებით იზოგავდნენ საგზალს. დღე დღეს მისდევდა, ტყე კი მათ გარშემო არ იცვლებოდა და მგზავრები შეფიქრიანდნენ – როდემდე ეყოფოდათ სურსათის მარაგი, რომელიც უკვე გვარიანად შეცოტავებულიყო? მათ ციყვის მონადირება სცადეს და უამრავი ისარი დაეხარჯათ, სანამ მოახერხეს ერთის ჩამოგდება. მაგრამ შემწვარ ნანადირევს

საზიზღარი გემო ჰქონდა და მათ ციყვებზე ნადირობას თავი ანებეს.

მგზავრებს წყურვილიც აწუხებდათ, რადგან წყლის მარაგი ილეოდა, ტყეში კი ვერსად ნახეს წყარო ან ნაკადული. მაგრამ ერთხელ მათი სავალი ბილიკი აჩქერებული ნაკადით გადაიკვეთა. არცთუ ძალიან ფართო, მაგრამ სწრაფი და მძლავრი დინება ზუსტად გარდიგარდმო კვეთდა გზას, წყალი კი შავი იყო, ან შავად ჩანდა ტყის ბინდში. საბედნიეროდ, ბეორნს არ დაავიწყდა მათი გაფრთხილება, თორემ მგზავრებს მდინარის ფერიც ალარ შეაკრთობდა, უეჭველად წყურვილს მოიკლავდნენ მისი წყლით და დაცარიელებულ ტიკებსაც შეავსებდნენ, მაგრამ ახლა იმასლა ფიქრობდნენ, როგორ მოვახერხოთ და გალმა გავიდეთ ისე, რომ მშრალები დავრჩეთო. ოდესღაც მდინარეზე ხის ხიდი ყოფილიყო გადებული, მაგრამ ისიც დამპალიყო და ჩაქცეულიყო, ნაპირთან მომტვრეული საყრდენებიღა ჩანდა.

ნაპირზე ჩამუხლულმა და სიბნელეს მიჩერებულმა ბილბომ უცებ იყვირა:

– იქით ნაპირზე, ჩვენს გასწვრივ ნავი მოჩანს! აი, ჩვენს მხარეს რომ იყოს...

– როგორ გგონია, ნავი ძალიან შორსაა? – დაეკითხა თორინი ჰობიტს, რადგან უკვე ყველამ იცოდა, რომ ბილბოს გნომებზე უკეთ უჭრიდა თვალი.

– არა, არც ძალიან. თორმეტ იარდზე მეტი არ იქნება.

– თორმეტი იარდი! მე კი მეგონა, ოცდაათი მაინც იყო. მაგრამ მე ისეთი მახვილი მზერა ალარა მაქვს, როგორითაც ამ ასიოდე წლის წინ ვიკვეხნიდი. ასეა თუ ისე – გინდ თორმეტი იარდი ყოფილა, გინდ მთელი მილი, ჩვენთვის სულ ერთია – გადახტომით ვერ გადავხტებით, ფონით გასვლას ან გაცურვას კი ვერ გავბედავთ.

– ბაგირის შეტყორცნა არცერთს არ შეგიძლიათ?

– რა ხეირს მოგვიტანს? ნავი უეჭველად მიბმულია, კავი რომც გამოვდოთ, ვერ გადმოვითრევთ.

– არა მგონია, მიბმული იყოს, – შეეპასუხა ბილბო, – თუმც ისეთი ბინდია, რომ დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს ნავი უბრალოდ ნაპირზე იყოს ათრეული. ნაპირი დაბალია იქ, სადაც ბილიკი წყალს ადგება.

– დორი ყველაზე ღონიერია, მაგრამ ფილი ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს შორის და უკეთესადაც ხედავს, – თქვა თორინმა, – ფილი, მოდი და ნახე – ხედავ იმ ნავს, რომლის შესახებაც მოგვახსენებს მისტერ ბეგინსი?

ფილიმ თქვა, მგონი, ვხედავო. იგი კარგა ხანს იდგა სიბნელეს ჩაშტერებული და მანძილის განსაზღვრას ლამობდა, შემდეგ კი ბაგირი მიუტანეს. იმ რამოდენიმე ხვეულადან, თან რომ წამოელოთ, ყველაზე გრძელი ამოარჩიეს და ბოლოში რკინის ზორბა კავი მიაბეს – ასეთი კავებით ისინი ფუთებს იმაგრებდნენ მხრებზე გადადებულ ღვედებზე. ფილიმ აიღო კავი, ხელში აწონა და უცებ ნაკადის გალმა გატყორცნა.

კაუჭი შხაპუნით ჩავარდა წყალში.

– ვერ მიატანა! – თქვა ბილბომ, კვლავ სიბნელეს რომ ჩასჩერებოდა, – ორიოდე ფუტიც და – ნავს გამოსდებდი. კიდევ სცადე. არა მგონია, ამ ბნელი წყლის ჯადო ისე ძლიერი იყოს, რომ სველი თოკის შეხებით გევნოს რაიმე.

ფილიმ თოკი გამოქაჩა, კავი ამოათრია და მაინც დიდი სიფრთხილით დასწვდა. ამჯერად უფრო ძლიერად შეტყორცნა.

– მოიცა! – გააფრთხილა ბილბომ, – ახლა გაღმა ტყეში გადააგდე. ნელ-ნელა გამოსწიე.

ფილიმ ნელ-ნელა აკრიფა თოკი, სანამ ბილბომ არ თქვა:

– ახლა ფრთხილად! კავი ნავის კიდეზე დევს. იმედია, გამოედო.

მართლაც, გამოსდებოდა. ბაგირი დაიჭიმა, ფილი ამაოდ ქაჩავდა და ქაჩავდა. მას კილი მიეშველა, მერე ოინი, შემდეგ გლოინიც დაეხმარათ. ისინი მთელი ძალით ქზიდებოდნენ და უცებ ოთხივე მიწაზე გადაყირავდა. ოლონდ ბილბო, რომელიც მათ თვალყურს ადევნებდა, სწრაფად დასწვდა ბაგირს და ჯოხის ნატეხით შეაჩერა პატარა შავი ნავი, რომელმაც ერთბაშად გადმოკვეთა ნაკადი.

– მიშველეთ! – აყვირდა იგი. ბალინმა მოასწრო და მაგრად ჩაეჭიდა ნავს, სანამ იგი მდინარებას გაჰყვებოდა.

– მაინც მიბმული ყოფილა! – თქვა მან, რაკი დაინახა გამწყდარი საბელი, ნავს რომ მოსთრევდა, – თქვენც რიგიანად მოგიქაჩავთ, ბიჭებო! საბედნიეროდ, ჩვენი თოკი უფრო მტკიცე გამოდგა.

– პირველი ვინ გადავა? – იკითხა ბილბომ.

– მე გადავალ, – მიუგო თორინმა, – შენ წამოხვალ ჩემთან ერთად, ფილი და ბალინი. ერთ ჯერზე ნავი მეტს ვერც ზიდავს. ჩვენ მოგვყვებიან კილი, ოინი, გლოინი და დორი. შემდეგნი იქნებიან ორი და ნორი, ბიფური და ბოფური. და ბოლოს – დვალინი და ბომბური.

– მე მუდამ ბოლოსათვის ვრჩები და სულ არ მომწონს ეს, – განაცხადა ბომბურმა, – დღეს სხვისი ჯერია!

– მაშინ არ უნდა იყო ასე მსუქანი. და თუკი ხარ, კიდევაც უცადე ბოლო ჯერს, როდესაც ნავის ტვირთი შემსუბუქდება. ნუ ეურჩები ბრძანებებს და ნუ ჭაჭლანებ, თორემ რამე ფათერაკს მოინევ.

– ნიჩბები რომ არა გვაქვს, ნავს გაღმა ნაპირს როგორ მიაყენებთ? – იკითხა ჰობიტმა.

– მომეცით კიდევ ერთი ბაგირი და მეორე კაუჭიც, – თქვა ფილიმ და, როდესაც ყველაფერი დაუმზადეს, მან კვლავ გასტყორცნა სიბნელეში კავი ნინ და, რამდენადაც შეეძლო, მაღლა. ის დაბლა აღარ ჩამოვარდნილა, როგორც ჩანს, გაღმა ტოტებში გაიხირა.

– ახლა ჩავსხდეთ, – თქვა ფილიმ, – და რომელიმემ უნდა მოვზიდოთ ეს თოკი, რომელიც გაღმა ხეებზე არის გამოდებული. სხვამ კი თან უნდა წამოიღოს პირველი კავი და, როდესაც იქითა ნაპირზე გადმოვსხდებით, ისევ გამოვდებთ ნავს ამ კავს და გამოღმა დარჩენილები მას უკან გადმოითრევენ.

მათ ამგვარად სულ მალე მშვიდობით გადალახეს მოჯადოებული წყალი და გაღმა გადმოსხდნენ. დვალინი ის იყო, ნავიდან გადმოცოცდა მკლავზე ამოხვეული ბაგირით, ხოლო ბომბურმა, ჯერაც რომ ბუზღუნებდა, დააპირა, მას მიჰყოლოდა, რომ მართლაც დატრიალდა მოულოდნელი ფათერაკი. ნინ, ბილიკიდან სწრაფი ფლოქვების ცემის ხმა მოისმა, წყვდიადიდან გამოიჭრა მჭროლავი ირმის ბნელი ლანდი. იგი გნომებს შორის შევარდა, აქეთ-იქით გადააყირავა ისინი და ნაპირთან გადასახტომად შეიკრა. წამსვე მაღალი, მძლავრი კამარით ზედ გადაევლო მოჯადოებულ წყალს, მაგრამ მეორე ნაპირს უვნებლად მაინც ვერ უწია. გნომთაგან მხოლოდ თორინი არ ნაქცეულა და არც დაბნეულა; მან ნაპირზე გადმოსვლისთანავე მოზიდა მშვილდი და ისარი მოარგო, რათა მზად ყოფილიყო, თუკი უცებ საიდანმე ნავის დარაჯი გამოჩნდებოდა, და ახლა კამარაშეკრულ ნადირს ელვისებურად დაადევნა აუცდენელი ისარი. ირემი გაღმა ნაპირთან წაბორძიკდა. სიბნელემ შთანთქა იგი, მაგრამ მათ ესმოდათ, როგორ თანდათან მიწყდა სწრაფი, თუმც უკვე არეული ნაბიჯების ხმაური.

და სანამ ელვისებური ნასროლით გაოცებულ გნომებს აღტაცების შეძახილი აღმოხდებოდათ, ბილბოს შემაძრწუნებელი წივილი გაისმა. ამ ხმამ უკვალოდ გააქრო ყველა ოცნება შემწვარ ირმის ხორცზე:

– ბომბური ჩავარდა! ბომბური იხრჩობა! – ყვიროდა ბილბო.

ვაი, რომ იგი ჭეშმარიტებას ღალადებდა! ბომბური მხოლოდ ცალი ფეხით იდგა ნაპირზე, როდესაც ხარირემი მიეჭრა და თავზე გადაევლო. იგი წაბორძიკდა, გადაქანდა, ნაპირს მიყენებულ ნავს წყალში უბიძგა და თვითონაც ბნელ მდინარეში ჩავარდა. ბომბური წყლისპირას გაშიშვლებულ სლიპინა ფესვებს ეჭიდებოდა, ხელი უსხლტებოდა, ნავი კი ზანტად დატრიალდა და, ნაკადს გადევნებული, მალე თვალს მიეფარა.

ნაპირთან რომ მიირბინეს, ბომბურის ჩაჩი ჯერ კიდევ მოჩანდა წყლის ზედაპირზე. სასწრაფოდ სტყორცნეს კავიანი საბელი, ბომბური მის ბოლოს ჩაეჭიდა და, როგორც იყო, ნაპირზე ამოათრიეს. წყლიდან ამოთრეული, ცხადია, თავიდან ბოლომდე დამბალიყო, მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა! ბევრად უარესი ის იყო, რომ ბომბურს ღრმა ძილით ეძინა; ცალ ხელში ისე ჩაებღუჯა თოკი, რომ ვერაფრით გამოგლიჯეს, და თუმც მრავალს ეცადნენ, მაინც ვერ მოახერხეს მისი გაღვიძება – ბომბურს ისევ ისე უდრტვინვლად ეძინა.

მძინარეს თავზე წამომდგარი გნომები კიდევ დიდხანს ხმამაღლა კრულავდ-

ნენ თავიანთ უიღბლობას და ბომბურის მოუქნელობას, თან დაკარგულ ნავს იგლოვდნენ, რაკი უნავოდ აღარ შეეძლოთ, დაჭრილი ირმის საძებრად უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ ყოფაში იყვნენ, როდესაც შორს, ტყიდან საყვირთა სუსტი ხმიანობა და ძაღლების ყეფა ჩაესმათ. მაშინ ყველანი დაჩუმდნენ და ჩამონოლილ მდუმარებაში თითქოს ჩაესმოდათ სადღაც, ბილიკის ჩრდილოეთით გაჩაღებული დიდი ნადირობის ხმები, თუმც დანახვით არაფერი დაუნახავთ.

ხმაგაკმენდილი მგზავრები კარგა ხანს ისხდნენ წყნარად და განძრევასაც ვერ ბედავდნენ. ბომბურს კი ეძინა და ეძინა, მსუქან სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა, თითქოსდა დანარჩენთა სატკივარ-სანუხარი მას სრულიადაც აღარ ანაღვლებდა. მოულოდნელად წინ, ბილიკზე რამოდენიმე ირემი გამოჩნდა, ფური და ნუკრები, იმდანად თეთრნი და ქათქათა, რაოდენადაც კუპრივით მუქი იყო გაქცეული ხარირემი. ხეთა ჩრდილებში გაიელვეს ნადირებმა. სანამ თორინი რაიმეს წამოძახებას მოასწრებდა, სამი გნომი ზე წამოიჭრა, სამი ისარი სტვენით მოსწყდა მათ მშვილდებს. მიზანს ვერცერთმა ვერ უნია, ირმები შებრუნდნენ და ისევე უხმოდ გაუჩინარდნენ, როგორადაც მანამდე გამოჩენილიყვნენ. ამაოდ დაადევნეს გნომებმა ისრები ბინდში.

– შეჩერდით! შეჩერდით! – შესძახა თორინმა, მაგრამ გვიანლა იყო – აღგზნებულმა გნომებმა უკანასკნელი ისრებიც გახარჯეს და ახლა ბეორნის მიცემულ მშვილდებს ველარაფერში მოიხმარდნენ.

დაღვრემილი და სევდიანი იყო იმ ღამით მათი ბანაკი. მერე და მერეც დღითიდღე მძიმდებოდა მგზავრთა გულებს შემოწოლილი ნაღველი. ხომ გადალახეს მოჯადოებული მდინარე, მაგრამ მის გაღმაც ნირუცვლელად მიიზლაზნებოდა ბინდიანი ბილიკი, ვერც ტყეს ატყობდნენ რაიმე ცვლილებას. ოღონდ მათ ზოგი რამ მეტი რომ სცოდნოდათ ამ ტყის შესახებ, ან მიმხვდარიყვნენ, თუ რას მოასწავებდა ხარირემისა და თეთრი ფურის ანაზდეული გამოჩენა, მაშინ შეატყობდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს ტყებნელის აღმოსავლეთ კიდემდეც მიეღწიათ და რომ სულ მალე, თუკი სიმხნევეს და იმედს არ დაკარგავდნენ, კიდეევაც გავიდოდნენ ადგილებში, სადაც ხეები უფრო წვრილი იყო, ფოთლებს შორის კი კვლავ ატანდა ხოლმე მზის სხივი.

მაგრამ მათ ეს არ იცოდნენ, თანაც მძიმე ტვირთად აწვათ ბომბურის ჩასუქებული სხეული. მას რიგრიგობით ატარებდნენ ოთხ-ოთხნი, ხოლო დანარჩენნი ბომბურის მზიდავთა ფუთებს ინაწილებდნენ. საიმდროოდ ბარგი ისევე გვარიანად შემსუბუქებულიყო, თორემ ვერც მოახერხებდნენ ყველაფრის ერთად ტარებას. თუმცა მძინარე და მომღიმარი ბომბური ვერაფერიშვილი სანაცვლო იყო თუნდაც მძიმე, მაგრამ საჭმლით სავსე ფუთებისა. რამდენიმე დღეში თითქმის მთლად გამოელიათ სასმელ-საჭმელი, ტყეშიც

ვერაფერს პოულობდნენ საჭმელად გამოსადეგს, ბზად მხოლოდ აბედა სოკოები და ფერმკრთალი მყრალა ბალახები ხვდებოდათ.

მოჯადოებული ნაკადის გადალახვიდან ოთხიოდე დღის შემდეგ ისინი იმგვარ ალაგებში გავიდნენ, სადაც მეტწილად წიფელები ხარობდა. თავიდან თითქოს კიდეევაც გაუხარდათ ტყის ამგვარი ცვლილება, რადგანაც აქეთ ბუჩქნარები აღარ იყო და ჩრდილები თითქოს გამკრთალდა. მათ თავსზემოთ მომწვანო შუქი კრთოდა და ზოგან ბილიკის აქეთ-იქით ტყის მცირე სივრცესაც გასწვდებოდა თვალი. თუმც, ამ ოდნავ შუქზე მოჩანდა მხოლოდ უსასრულო მწკრივები სწორი, ნაცრისფერი ხეებისა, რომლებიც ვეებერთელა ბინდიანი დარბაზის აწვდილ ბოძებს ჩამოჰგავდნენ. მათ შორის ზოგჯერ ჰაერიც იძროდა და ქარი ხმიანობდა, მაგრამ გულსაკლავი იყო ამ ხმის ყურისგდება. ზოგჯერ მაღლიდან შრიალით ეშვებოდნენ კანტი-კუნტი ფოთლები და მგზავრებს მოაგონებდნენ, შემოდგომა ახლოვდებაო. სხვა აურაცხელ შემოდგომათა დანატოვარი ხმელი ფოთლების წითელი ხალიჩა ბილიკის კიდეებს გადმოფენოდა და მათი ნაბიჯები შარიშურით იძირებოდა ამ ხალიჩაში.

ბომბურს კი კვლავ ეძინა და ყველა დაქანცა მისმა ტარებამ. ტყიდან ზოგჯერ სიცილი მოისმოდა და მგზავრებს აფრთხობდა, ზოგჯერ სადღაც სიმღერაც ხმიანობდა. გაცინება კისკასი იყო, არა გობლინური, სიმღერები კი ამოდ სასმენი, დამატკბობელი, მაგრამ ეს უცხოდ და უჩვეულოდ აჟღერებული ხმები აფორიაქებდათ, დარჩენილ ძალებს იკრეფდნენ და ნაბიჯაჩქარებით გაერიდებოდნენ ხოლმე ამგვარ ადგილებს.

ორი დღის შემდეგ ბილიკი დაღმა დაცერდა და ცოტა ხანში ისინი დაეშვნენ ველზე, ერთიანად მუხათა მძლავრი ნერგებით რომ შევსებულიყო.

– ნუთუ ამ წყეულ ტყეს ბოლო არა აქვს? – შეიკურთხა ერთხელაც თორინმა, – ვინმე ხეზე უნდა აცოცდეს, შეეცადოს, ტყის ჭერს ასცდეს და გარშემო მიმოიხედოს. ისლა დაგვრჩენია, ბილიკზე გადმომდგარი ხე ვნახოთ, ისეთი, სხვებზე მაღალი რომ იქნება...

ცხადია, „ვინმე" ბილბო უნდა ყოფილიყო. იმისათვის, რომ ამ საქმიდან რაიმე გამოსულიყო, ხეზე ასულს თავი კენნეროს ფოთლებს ზემოთ უნდა აეყო, და საკმაოდ მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რათა წვეროკინა წვრილ ტოტებს გაეძლოთ მისი სიმძიმისათვის. საბრალო მისტერ ბეგინსს ხეებზე ძრომიალის დიდი გამოცდილება არასოდეს ჰქონია, მაგრამ იგი მაინც ციმციმ შესვეს ბილიკის გვერდით მდგარი უზარმაზარი მუხის ქვედა ტოტზე და მასაც რაღა დარჩენოდა – მაღლა უნდა აცოცებულიყო ისე, როგორც შეეძლო. იგი გადახლართულ შტოებში მიიკვლევდა გზას, წვრილი ნნელები თვალებში ეჩრებოდა, ერთიანად გამწვანდა და გაიმურა მსხვილი ტოტების ქერქზე, ერთი-ორჯერ დაცურდა და ძლივს დაიჭირა თავი; ბოლოს, მას მერე, რაც

შეეჭიდა და დაძლია ურთულესი უბანი, სადაც საერთოდ არ იყო მოსაჭიდი ტოტები, ბილბო კენწეროს მიუახლოვდა. მთელი ეს ხანი იგი წუხილით ფიქრობდა, ნეტავ, ხეზე ობობები თუ არიან და ნეტავ, უკან როგორლა ჩავიდე და თან არც ჩავვარდეო.

ბოლოს და ბოლოს მან ფოთლების ჭერს ზემოთ აჰყო თავი და დიახაც, იქ ობობები დახვდნენ. მაგრამ ეს ობობები პატარები იყვნენ, ჩვეულებრივები, და პეპლებს უსაფრდებოდნენ. ბილბო ლამის დააბრმავა მზის შუქმა.

მას ჩაესმოდა, როგორ ამოსძახოდნენ გნომები სადღაც, შორეული ქვესკნელიდან, ოღონდ გამოპასუხება არ შეეძლო, მხოლოდ თვალებს ახამხამებდა ხის კენწეროს ჩაჭიდებული. მზე ბრჭყვიალებდა და ბრნყინავდა და კარგა ხანი გავიდა, სანამ ჰობიტი თვალს გააჩვევდა ნათელს. როდესაც ხედვა შეძლო, თვალნინ მუქი სიმწვანის უკიდეგანო ზღვა გადაეშალა, აქა-იქ ნიავის ქროლვით ატალღული. და ყველგან, ყველგან, სადამდისაც თვალი გასწვდებოდა, ასეულობით პეპელა დაფარფატებდა. მუხის ტყის კენწეროებში ცხოვრება უყვართ პეპლებს, რომელთაც „მენამულ იმპერატორებს" უნოდებენ, მაგრამ ტყეებნელის პეპლები არ იყვნენ მენამულნი. მათ მუქი, მუქი, ხავერდოვნად შავი ფრთები ჰქონდათ და სულ არ აჩნდათ ლაქები.

ბილბო დიდხანს უცქერდა „შავ იმპერატორებს", სიამით უშვერდა პირისახეს ნიავს, თმებს რომ უნეწავდა... მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოუთმენლობით ახტუნავებული, ლოდინით გატანჯული თანამგზავრების ყვირილმა და შეძახილებმა, სადღაც დაბლიდან რომ ამოდიოდა, შეახსენა ის საქმე, რომლისთვისაც ამ სიმაღლეზე ამოსულიყო. ხოლო ის, რაც დაინახა, კარგს არაფერს უქადდათ. ბილბო თვალჩაციებით აცქერდებოდა გარემოს და ვერსაით უპოვა კიდე ხეებისა და ფოთლების ზღვას. აღტაცება, რომელიც მზის ხილვამ და ნიავის ქროლვამ მოჰგვარა, მყის ჩაიფერფლა – ვერა, ვერ ჩაბრუნდებოდა ჰობიტი ტყეში კეთილი ამბით.

ხოლო სინამდვილეში, როგორც უკვე მოგახსენებდით, ისინი შორს აღარ იყვნენ ტყის პირიდან და საამისო გამჭრიახობა რომ ჰქონოდა, ბილბოც მიხვდებოდა, რომ ის ხე, რომელზედაც აცოცდა, სხვებზე უფრო ტანმაღალი კი იყო, მაგრამ ფართო, ჩაღრმავებული ტაფობის ფსკერზე იზრდებოდა, ამიტომაც მისი კენწეროდან მხოლოდ გარშემო ყოველმხრივ გადაშლილი ტყე მოჩანდა. ტყე მაღლდებოდა და იშლებოდა, თითქოს ვეებერთელა ჯამის კიდეზე ადის და გადადისო და ჰობიტი, ცხადია, ვერ დაინახავდა, თუ სადამდე ვრცელდებოდა იგი. ვერც დაინახა და სასოწარკვეთილმა დაბლა იწყო ჩამოცოცება. ბოლოს, როგორც იყო, დაკანრულმა, გახვითქულმა და უბედურმა მიწას უნია და დიდხანს ვერაფერს ხედავდა იმ ბინდიან ქვესკნელში. მისმა მიტანილმა ამბავმა მალე სხვებიც ჰობიტივით დააღონა.

– ყოველმხრივ უსასრულოდ ტყე არის გადაშლილი! რალა უნდა ვქნათ? რალას ავგზავნეთ მაღლა ჰობიტი! – გაიძახოდნენ გნომები, თითქოს ყველაფერი ბილბოს ბრალი ყოფილიყო. ლამაზი პეპლები გნომებს გროშადაც არ ულირთ, ხოლო ბილბოს მონათხრობმა საამო ნიავზე, ტყის ზემოთ რომ ქროდა, ისინი უფრო მეტად გააბრაზა, რაკილა მეტისმეტად მძიმენი იყვნენ და მის შესახვედრად ხეს კენწეროზე ვერ მოექცეოდნენ...

იმ დღეს მათ საგზლის უკანასკნელი ნარჩენ-ნაფშხვენებიც შეჭამეს და მეორე დილით გამოღვიძებისთანავე იგძნეს მტანჯველი შიმშილი. შემდეგ შენიშნეს, რომ წვიმდა და ტოტების სახურავიდან აქა-იქ მსხვილი წვეთები ცვიოდა. წვიმამ შეახსენათ, რომ წყურვილით ყელი ჰქონდათ გამშრალი, შება კი ვერ მოჰგვარათ, რადგან წვიმაში გოლიათური მუხის ქვეშ მდგარი მგზავრი, შემთხვევითი წვეთის ენაზე დაცემას რომ ელოდება, წყურვილს ვერ მოიკლავს. ოღონდ მოულოდნელად ბომბურმა ინება მათი ხვედრის ოდნავი შემსუბუქება.

მან უცებ გაილვიძა და თავის ქექვით ნამოჯდა. ვერ გაერკვია, თუ სად იმყოფებოდა, ვერც იმას მიმხვდარიყო, ასე ძალიან რად შიოდა, რადგანაც ყველაფერი გადავინყებოდა, რაც მოხდა იმ დიდი ხნის ნინათ გარდასული მაისის დილის აქეთ, მას შემდეგ, რაც მათი მოგზაურობა დაიწყო. უკანასკნელი, რაც ახსოვდა – ეს ჰობიტის ბინაში გამართული წვეულება იყო და მის მეგობრებს დიდი ჯაფა დაადგათ ბომბურის დასაჯერებლად, რომ მათ მიერ მოთხრობილი ხიფათიანი თავგადასავლები მართლაც გადახდათ თავს.

როდესაც ბომბურმა შეიტყო, რომ საჭმელი სულ არ ჰქონდათ, ჩაჯდა და მნარე მოთქმას მოჰყვა.

– ოჰ, რატომ, რატომ გავილვიძე საერთოდ! – გაიძახოდა იგი, – რა მშვენიერ სიზმრებს ვხედავდი! მესიზმრებოდა, თითქოს ამ ტყის მსგავს ტყეში დავსეირნობდი, ოღონდ სიზმარში იგი ხეებში ჩამაგრებული ჩირაღდნებით, ტოტებზე დაკიდული სანთურებით და მიწაზე დაგზნებული კოცონების შუქით იყო განათებული. დიდი ლხინი ჩაღობდა და ამ ლხინს ბოლო არ უჩანდა. ტყის მეფეც იქ ბრძანდებოდა, ფოთლის გვირგვინით დამშვენებული, მხიარული სიმღერები გაისმოდა, ხოლო იმას, თუ რას ჭამდნენ და სვამდნენ წვეულნი, ხომ ვერც აღვიწერთ, ვერც ჩამოგითვლით!

– ნურც ეცდები! – მიუგო თორინმა, – და საერთოდაც, თუ საჭმლის გარდა საუბარი არაფერზე შეგიძლია, სჯობს, სულაც გაჩუმდე. ისედაც გვარიანდ მოგვაბეზრე თავი. რომ არ გაგლვიძებოდა, აქვე, ტყეში დაგტოვებდით შენს ჭკუანაკლულ სიზმრებთან ერთად. რამოდენიმე კვირის მარხვამ, რომ იცოდე, მაინც ვერ გაგხადა იოლი სათრევი!

მგზავრებს ისღა დარჩენოდათ, უფრო მჭიდროდ შემოერტყათ ქამრები ცარიელ სტომაქებზე, წამოეკრიფათ ცარიელივე ტომრები და ფუთები და კვლავ ლასლასით გასდგომოდნენ ბილიკს, თუმც დიდად არც ეიმედებოდათ, ამ ტყიდან გაღწევას მოვახერხებთ, სანამ შიმშილით დავიხოცებოდეთო. ამ ყოფაში იყვნენ მთელი ის დღე, ძლივ-ძლიობით, გაჭირვებით მიაბიჯებდნენ, მხოლოდ ბომბური არ ცხრებოდა, განუწყვეტლივ წუწუნებდა, მოსთქვამდა, ფეხზე ველარ ვდგავარ, ისა სჯობს, დავწვე და დავიძინოო.

– ვერ მოგართვეს, – განუცხადეს დანარჩენებმა, – არაფერი უჭირთ, გაისარჯონ შენი ფეხებიც, ჩვენ უკვე საკმაოდ გათრიეთ.

მაგრამ შეგონებამ არ გაჭრა – ბომბური მოულოდნელად მიწაზე დაეფერთხა და განაცხადა, ნაბიჯის გადამდგმელი აღარ ვარო.

– თქვენ წადით, თუკი გინდათ, – თქვა მან, – მე კი აქ წამოვწვები, დავიძინებ და სიზმრად მაინც ვნახავ საჭმელს; იმედია, აღარასოდეს გამოვიღვიძებ.

და სწორედ ამ დროს ბალინმა, რომელიც დაწინაურებულიყო, წამოიძახა:

– ის რალაა? მგონი, ტყეში სინათლეს მოვკარი თვალი!

ყველამ იქით გაიხედა. შორს, ტყის ბინდში თითქოს წითელი ციმციმი დალანდეს. გაოცებულ მგზავრთა თვალწინ კიდევ და კიდევ ენთებოდა შუქები, ნათება ნათებას მიეჯარა, ბომბურიც კი ზეზე წამოდგა და ყველანი ერთად მონუსხულებივით გაეშურნენ წინ, აღარ დაგიდევდნენ, ტროლებს ან გობლინებსაც რომ გადაჰყროდნენ. შუქი მათ პირდაპირ ნათობდა, ბილიკიდან ხელმარცხნივ და, როდესაც გაუპირისპირდნენ, ცხადად გამოჩნდა, რომ კოცონები და ჩირაღდნები დაბლა, ხეების ქვეშ გიზგიზებდა, მაგრამ მათი გზიდან კარგა მოშორებით.

– ასე მგონია, სიზმრები ამიცხადდა, – აღმოხდა ბომბურს, რომელიც სულ ბოლოს მოქოშინებდა. მან დააპირა, დაუფიქრებლად გაჭრილიყო ტყეში აკიაფებული სინათლეებისკენ, მაგრამ დანარჩენებს კარგად ახსოვდათ ბეორნისა და ჯადოქრის გაფრთხილება.

– რას გვარგებს ლხინი, თუ ამ ლხინიდან ცოცხლები ვერ გამოვაღწევთ, – ბრძანა თორინმა.

– მაგრამ მოლხენის გარეშე ჩვენ მაინც ვერ გავაწევთ დიდხანს, – შეეპასუხა ბომბური და ბილბო მას მთელი სულითა და გულით დაეთანხმა. მათ დიდხანს ითათბირეს, დიდხანს ჩხრიკეს წაღმა-უკუღმა დავის საგანი და ბოლოს დაადგინეს, ორიოდე მზვერავი გავუშვათ, რათა სინათლეებთან მიიპარონ და შეიტყონ, იქ რა ხდებაო. მაგრამ მზვერავად ვინ უნდა წასულიყო, ამაზე კი ველარ შეთანხმდნენ – არავის სურდა, ხიფათში გაეყო თავი, ტყეში დაკარგულიყო და ველარასოდეს ეხილა მეგობრები. ბოლოს და ბოლოს შიმშილმა გადააწყვეტინათ, გადაივიწყეს ყველა გაფრთხილება, მით უფრო, რომ ბომ-

ბური არ ცხრებოდა, მჭევრმეტყველურად აღწერდა, თუ რა ნუგბარს მიირთმევდნენ ტყის ლხინის სტუმრები მის სიზმრებში, და ყველანი ერთად ფეხათრევით შეერივნენ ბინდიან ტყეს.

დიდხანს იარეს ჩუმად, მიპარვით, სანამ მსხვილი ხეების მიღმა დალანდავდნენ განათებულ მდელოს, სადაც ტყებნელის ხეები ნამოექციათ და მიწა მოესწორებინათ. მდელოზე მრავალი ხალხი შეყრილიყო, ელფურად მშვენიერნი, მწვანე და ყავისფერ სამოსში გამოწყობილნი, მოჭრილ ხეთა დახერხილ კუნძებზე ჩამომსხდარიყვნენ ფართო წრედ. წრის შუაგულში კოცონი ენთო, გარშემო ხეებზე კი ჩირაღდნები მიემაგრებინათ. მაგრამ დამშეულ მგზავრთა გულისყურს სულ სხვა იპყრობდა, სულ სხვა ახარებდა თვალს: მდელოზე შეყრილები ჭამდნენ, სვამდნენ და მხიარულად დამღეროდნენ.

ისე მომნუსხველი იყო შემწვარი ხორცის სუნი, რომ გნომები არც შეთანხმებულან, არც დაჰკითხვიან ერთმანეთს, ყველანი ერთად ლასლასით გაედევნენ ამ სუნს განათებული წრისაკენ ერთადერთი აზრით პყრობილნი: ცოტაოდენი საჭმელი მაინც გამოეთხოვათ!

მაგრამ უეცრად, თითქოს ჯადოსნურმა ქარმა დაბერაო, სინათლეები ერთბაშად ჩაქრა. ერთმა ელფმა კოცონს ჩასცა ფეხი, ცეცხლი თვალისმომჭრელ ნაპერწკლებად აიჭრა მაღლა და გაქრა. ბილბო და გნომები უკუნ სიბნელეში ჩაიკარგნენ და დიდხანს ველარ იპოვეს ერთმანეთი. გზააბნეულნი აწყდებოდნენ წყვდიადში აქეთ-იქით, კუნძებს წამოდებულნი ძირს ცვიოდნენ, უწყალოდ, ბრახა-ბრუხით ეხეთქებოდნენ ხეებს, თავდაუზოგავად გასძახოდნენ და მოუხმობდნენ ერთმანეთს ისე, რომ, ალბათ, გარშემო ტყეში ყველა და ყველაფერი გამოაღვიძეს. ბოლოს, როდესაც მოახერხეს თავშეყრა და ხელისცეცებით გადათვალეს ერთმანეთი, უკვე ყველას მხარი ქცეოდა და ველარავინ იტყოდა, რომელ მხარეს იყო ტყის ბილიკი. ამგვარად, ისინი უიმედოდ დაიბნენ ტყეში, გათენებამდე მაინც ვერაფრით გაიგნებდნენ გზას.

ისღა დარჩენოდათ, ღამისსათევად მოწყობილიყვნენ იქვე, სადაც შეიკრიბნენ. ისიც ვერ გაბედეს, მიწაზე ჩამოყრილი ტოტები დაეძებნათ ცეცხლის დასანთებად, შიშობდნენ, კვლავ არ დავიფანტოთო. მაგრამ მშვიდად წოლა დიდხანს არ დასცალდათ. ბილბომ ის იყო ჩათვლიმა, რომ დორიმ, რომელსაც პირველს ხვდა წილად გუშაგად დგომა, ხმამაღლა დაიჩურჩულა:

– აგერ, იქ ისევ ენთება სინათლეები, უფრო მეტადაც ციმციმებენ, ვიდრე წინათ.

ყველა ზეზე წამოიჭრა. მართლაც, ტყეში, არცთუ ძალიან შორს, კვლავ მრავლად ციმციმებდნენ ათინათები და კვლავ ცხადად ჩაესმათ სიცილი და მხიარული შეძახილებიც. გნომები და ბილბო ფეხაკრეფით, ერთ რიგად გაწყობილნი გაემართნენ სინათლეებისკენ, თითოეული წინ მიმავალის ზურგს

ეხებოდა ხელით. განათებულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, თორინმა გააფრთხილა:

– ამჯერად უთავბოლოდ ნულარ გავცვივდებით წინ. საფარიდან ცხვირსაც არავინ გამოყოფს, სანამ მე არ გეტყვით. მათთან მოსალაპარაკებლად ჯერ მარტო მისტერ ბეგინსს გავგზავნი. ელფებს მისი არ შეეშინდებათ („და მე მათი?" – გაიფიქრა ბილბომ) და, ვიმედოვნებ, ცუდს არაფერს მოსწევენ.

როდესაც განათებული ნრის კიდეს მიადგნენ, მათ უცებ უბიძგეს ბილბოს სინათლისაკენ. იგი მანამდე შეიჭრა კოცონისა და ჩირაღდნების თვალისმომჭრელ სიკაშკაშეში, სანამ ბეჭდის წამოცმას მოახერხებდა. კვლავ ჩაქრა შუქები და სრული წყვდიადი ჩამონვა.

ადრე ხომ განვალდნენ, სანამ ერთად შეიყრებოდნენ, მაგრამ ამჯერად ერთმანეთის პოვნა ბევრად უფრო ძნელი საქმე გამოდგა. ჰობიტი კი სულაც ვერ იპოვეს. რამდენჯერაც არ დათვალეს ერთმანეთი, სულ ცამეტნი იყვნენ ხოლმე.

– ბილბო ბეგინს! ჰობიტო! წყეულო ჰობიტო! ჰეი, ჯანდაბა შენს თავს, სადა ხარ? – დაუცხრომლად გაჰყვიროდნენ გნომები, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა.

ის იყო, მისი პოვნის იმედი გადაეწურათ, რომ ჰობიტს სრულიად შემთხვევით გადააწყდა დორი. იგი, როგორც თავად ეგონა, მორს წამოედო სიბნელეში და წაიქცა, ხოლო ეს მორი მისტერ ბეგინსი აღმოჩნდა, რომელიც მოხერხებულად მოკუნტულიყო და ტკბილად ეძინა. დიდხანს, დიდხანს ანჯღრიეს იგი, სანამ მის გაღვიძებას მოახერხებდნენ, მერე კი ასე ვაი-ვაგლახით გაღვიძებული ჰობიტი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა:

– ისეთი კარგი სიზმრები მესიზმრებოდა, – ჩიოდა იგი, – საზეიმო, ნვეული სადილები...

– ღმერთო მაღალო! ესეც ბომბურს დამსგავსებია, – შეიცხადეს გნომებმა, – ნულარ გვიყვებით სიზმრებს, მათში არაფერი ყრია, სიზმრის სადილებს ვერ გავინაწილებთ.

– ამ სამხეცეთში უკეთესს მაინც ვერაფერს ვიშოვი, – ჩაიბურდღუნა ჰობიტმა, როდესაც დასაძინებლად ეწყობოდა გნომების გვერდით და შეეცადა, კვლავ სიზმრებში შებრუნებულიყო თავისი სადილების საძებრად.

მაგრამ იმღამინდელი ათინათები ამით არ დასრულებულა. მოგვიანებით, როდესაც ღამეს უკვე ხანი მოეთია, დარაჯად მდგომმა კილიმ კვლავ ყველა გააღვიძა და აუწყა:

– ეგერ, შორიახლოს ისევ შუქი კაშკაშებს. რაღაც ჯადოქრობით ერთბაშად აინთო ურიცხვი კოცონი და ასობით ჩირაღდანი. და თქვენც ხომ ჩაგესმით სიმღერები, არფათა ჟღერა!

ისინი ცოტა ხანს კიდევ იწვნენ და ყურს უგდებდნენ, შემდეგ კი იგრძნეს, რომ არ შეეძლოთ, წინ აღსდგომოდნენ სურვილს, კიდევ ერთხელ მიახლოებოდნენ სინათლეებს, კიდევ ერთხელ ეცადათ შემნეობის მოძებნა. კვლავ წამოდგნენ ზეზე, კვლავ შუქებისაკენ გაემართნენ და ამჯერად სავალალო შედეგიც იწვნიეს:

ლხინი, მათ რომ იხილეს, წინანდელზე უფრო ხალხმრავალი და თვალწარმტაციც კი იყო. უზრუნველ სტუმართა გრძელი რიგის თავში ტყის მეფე დაბრძანებულიყო, ოქროსთმიან თავს ფოთლის გვირგვინი უმშვენებდა, სწორედ ისე, როგორც ბომბურის სიზმრების მეფეს. ხელიდან ხელში გადადიოდა სავსე თასები, აგიზგიზებული კოცონების აქეთ-იქიდან ელფები სასმურებს აწვდიდნენ ერთმანეთს, ზოგი არფას აჟღერებდა და მრავალნი დამღეროდნენ. ელვარე თმებში უხვად ჩაებნიათ ყვავილები, საყელოებსა და სარტყლებზე მწვანე და თეთრი თვლები უციმციმებდათ. სიხარულს გაენათებინა მათი მშვენიერი სახეები, სიხარულს შეეთხზა სიმღერები; ხმიერი, ნკრიალა და საამო იყო მათი მღერა. და ამ ლხინში შეაბიჯა თორინმა.

ანაზდად ჩამოწოლილმა დუმილმა სიტყვა გაწყვიტა. ყველა სინათლე დაიშრიტა, კოცონები შავ კვამლად აიჭრა ცისკენ. გნომებს ფერფლმა და ნაცარმა დაუბნელა თვალები და ცოტა ხანში ტყის სიჩუმე კვლავ მათმა ყვირილმა და გადაძახილებმა აავსო.

მერე კი ბილბო გარშემო დარბოდა უსასრულო წრეებზე, ნრეებზე (როგორც თავად ეჩვენებოდა) და ყვიროდა და ყვიროდა:

– დორი, ნორი, ორი, ოინ, გლოინ, ფილი, კილი, ბომბურ, ბიფურ, ბოფურ, დვალინ, ბალინ, თორინ ოუკენშილდ!

ხოლო ამასობაში მისი თანამგზავრები, რომელთაც ბილბო ვერც ხედავდა და ვერც ხელისცეცებით პოულობდა, გარშემოვე დარბოდნენ და ჰობიტივით გაჰყვიროდნენ (ოღონდ, მათ ძახილში ზოგჯერ ბილბოს სახელიც გაისმოდა). მათი ძახილი თანდათან დაშორდა, დაშორდა ჰობიტს, შემდეგ თითქოსდა მშველელსაც მოუხმობდა მათი მისუსტებული ხმები სადღაც შორიდან... შემდეგ ღამეულ ტყეში ყოველგვარი ხმიანობა მიჩუმდა და ბილბო მარტო დარჩა სრულ წყვდიადსა და მდუმარებაში.

ამაზე უფრო შემზარავი ნუთი ჰობიტს ცოტა თუ ახსოვდა. და მაინც, მან სწრაფად მოისაზრა, დილამდე, სანამ ცოტათი მაინც არ განათდება, სჯობს, არაფერი მოვიმოქმედოო. სიბნელეში უგზო-უკვლოდ სახეტიალოდ წასვლა სულ ტყუილად დაქანცავდა, ძალის აღსადგენი საუზმის იმედი კი არა ჰქონდა. ჰოდა, ჩამოჯდა ჰობიტი მინაზე, ზურგით ხეს მიეყრდნო და კიდევ ერთხელ დარდით მოიგონა თავისი ტკბილი და შორეული ჰობიტის სორო მისი

შესანიშნავი საკუჭნაოებით. შაშხსა და კვერცხებზე, შემწვარ პურსა და კარაქზე ფიქრებს მიცემული ბილბო ანაზდად რაღაცის შეხებამ გამოაფხიზლა. მარცხენა ხელზე მაგარი და ნებია თოკის მსგავსი რამ გადაეხვა და თავდასახსნელად გაფართხალებულმა ჰობიტმა იგრძნო, რომ ფეხებზეც იმგვარივე ბაწრები შემობლანდვოდა, ამიტომაც იყო, რომ ზეზე წამომხტარი კვლავ მიწაზე გადაიქცა.

და მაშინ ბილბოს ზურგს ამოფარებული ვეება ობობა, რომელიც საქმიანად კოჭავდა ჰობიტს, სანამ იგი თვლემდა, წინ გამოიჭრა და მსხვერპლს შეუტია. ჰობიტი სიბნელეში მხოლოდ მის თვალებს ხედავდა, მაგრამ გრძნობდა ბენვა თათების შეხებას, როდესაც ობობა ცდილობდა, თავისი საზიზღარი ძაფები შემოეხვია საკბილოსათვის. საბედნიეროდ, ბილბო დროულად გამოფხიზლდა: კიდევ ცოტაც და, იგი თითსაც ვერ გაატოკებდა. ახლაც მხოლოდ თავგანწირული ბრძოლით შეძლო თავის გამოხსნა. ობობა ლამობდა, ბოლოს და ბოლოს დაეგესლა და ამგვარად დაეოკებინა მსხვერპლი – ასე იქცევიან პატარა ობობებიც ბუზებზე ნადირობისას – ჰობიტი კი შიშველი ხელებით ცდილობდა ამ საშინელი ქმნილების მოგერიებას, სანამ თავისი მახვილი არ გაახსენდა და არ იშიშვლა იგი. ახლა კი იკადრა ობობამ უკან გადახტომა, მაგრამ ბილბომ დრო იხელთა და ფეხები მოკვეთა. ახლა მას დასდგომოდა შეტევის ჟამი – ობობა აშკარად არ იყო ჩვეული აქეთურ მხარეში აგრერიგად ბასრნესტრიან საკბილოსთან შეხვედრას, თორემ უფრო ადრე გაიქცეოდა. სანამ იგი დამალვას მოახერხებდა, ბილბო მიეჭრა და მახვილი თვალებში აძგერა. ობობა ცოფიანივით მოჰყვა ხტომას და ცეკვას, ტლინკებს ყრიდა საზარელი ძიგძიგით, სანამ ბილბომ მეორე დარტყმით ბოლო არ მოუღო. შემდეგ კი ჰობიტი თავადაც მიწაზე დაეცა და კარგა ხნით დაკარგა გონი.

გონს რომ მოვიდა, მის გარშემო უკვე ჩვეულად ცრიატი, ბინდიანი ტყის დღე ბუუტავდა, იქვე ეგდო მკვდარი ობობა, ელფური სატევარის პირი კი შავად გასვრილიყო. გოლიათი ობობას მოკვლამ, იმან, რომ სულ მარტო, თავისით გაუმკლავდა მტერს, ჯადოქრის, გნომების ან ვისიც გინდა დახმარების გარეშე, სულ გამოცვალა მისტერ ბეგინსი. როდესაც მახვილი ბალახებს შეაწმინდა და კვლავ ქარქაშში ჩაავო, მან თავი სულ სხვა კაცად იგრძნო. ახლა თითქოს ბევრად უფრო მრისხანე და უშიშარი გახლდათ, თუმც მუცელი კვლავინდებურად ცარიელი ჰქონდა.

– დღეიდან სახელს დაგარქმევ, – მიმართა მან მახვილს, – ამიერიდან შენთვის ნესტარი მიწოდებია.

შემდეგ კი ჩამოჯდა, რათა უკეთ მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო. ტყე ავისმომასნავებლად დუმდა, მაგრამ ბილბო, ცხადია, მაინც უნდა წასულიყო მეგობრების საძებრად. ისინი, საბედნიეროდ, არცთუ შორს უნდა ყოფილიყვ-

ნენ, თუკი ელფებს (ან მათზე უარეს ქმნილებებს) არ წაესხათ ტყვეებად. ბილბო გრძნობდა, ამ ტყეში ყვირილის ატეხვა უხიფათო საქმე არ არისო, ამიტომ დიდხანს იდგა ჩუმად და ფიქრობდა, ნეტავ რომელ მხარეს მოვიტოვეთ ბილიკი და საით უნდა წავიდე ჯერ, გნომები რომ ვიპოვოო.

– ო, რად არ გავიხსენეთ ბეორნის რჩევა, ან ჯადოქრის დანაბარები! – ჩიოდა იგი, – მაშინ ჩვენ ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით. ჩვენო! ნეტავ, მართლაც შეიძლებოდეს, ვთქვა „ჩვენო“. სულ მარტო ყოფნა საშინელებაა!

ბოლოს, რამდენადაც შეეძლო, სწორად ივარაუდა, თუ ღამით რომელი მხრიდან მოისმოდა გნომების სასონარკვეთილი ხმობა და ილბლად (ჰობიტი ილბლის გვარიანი წილით დაბადებულიყო) დაახლოებით კიდევაც გამოიცნო. შემდეგ კი მარჯვედ და უჩუმრად გაუყვა არჩეულ გზას. მე უკვე გითხარით, რომ ჰობიტები მიპარვით სიარულში მარჯვენი არიან, მით უფრო ტყეღრეში. თანაც, სანამ გზას გაუდგებოდა, ბილბომ ბეჭედი წამოიცვა თითზე. ამიტომ იყო, რომ ობობებმა იგი ვერ დაინახეს და ვერც მისი ფეხის ხმა გაიგონეს.

იგი ჩუმად მიიპარებოდა, სანამ მაღლა, ტოტებში მუქი შავი ჩრდილი არ შენიშნა, ამ ბნელი ტყისათვისაც კი ზედმეტად შავი, თითქოს უკუნი შუაღამის ნაფლეთი გაუფანტავი დარჩენილა და ტოტებში გახირულაო. ახლოს მისულმა კი გაარჩია, რომ ეს აბლაბუდები ეკიდა ხეებზე, ქსელი ქსელს ებმოდა და ერთმანეთში იხლართებოდა. და უცებ მან დაინახა ვეებერთელა საზარელი ობობებიც, მის თავსზემოთ ტოტებზე რომ ჩამომსხდარიყვნენ. ბილბოს ბეჭედი ეკეთა, მაგრამ მაინც შიშით აცახცახდა, ვაითუ დამიჭირონო. ხეს ამოფარებული ერთხანს მათ საშინელ ხროვას უთვალთვალებდა და უცებ ტყის მდუმარებასა და ბინდში ამ ამაზრზენ ქმნილებათა საუბარი გაიგონა. ობობების ხმა გაწვრილებულ ჭრაჭუნსა თუ სტვენას ჩამოჰგავდა, მაგრამ ბილბოს მათი საუბრიდან საკმაოდ ბევრი სიტყვა ცხადად ჩაესმოდა. ისინი გნომებზე ლაპარაკობდნენ!

– მაგარმა ბრძოლამ მოგვიწია, მაგრამ კი ღირდა, – ამბობდა ერთი, – გარედან საზიზღარი სქელი ტყავები აკრავთ, მაგრამ, ჩამო ნიძლევი, თუ შიგნით გემრიელი წვენები არ ქონდეთ!

– ხო, ცოტა ეკიდონ და მერე ნახე, რა საჭმელი იყოს! – დაეთანხმა მეორე.

– ძაან დიდხანსაც არ გააჩეროთ, – ჩაერია საუბარში მესამე, – ისედაც წაიმჭლევებენ, ბოლო დროს, ეტყობა, ცუდად აჭმევდნენ.

– დახოცეთ-მეთქი, გეუბნებით, – წაისისინა მეოთხემ, – ახლა დახოცეთ და მერე მკვდრები ეკიდონ.

– გეუბნები, მკვდრებიათქო, – შეედავა პირველი.

– არაფერი შეგეშალოს. ახლა დავინახე, ერთი როგორ ფაფხურობდა,

გათიშულები იყვნენ და ეხლა აზრზე მოდიან. აი, განახებ.

გაბერილმა ობობამ სწრაფად გაირბინა გაჭიმულ ბაგირზე და აცოცდა მაღალ ტოტზე, რომლიდანაც ერთ რიგად გაკიდული თორმეტი გადაკოჭილი ხვეულა ჩამოკონნიალებულიყო. ბილბო შეძრწუნდა – მან ახლალა შენიშნა ეს ჩრდილში მოტორტმანე ფუთები, რომელთაგან ზოგს ზემოდან ამოჩრილი გნომის წულა ამკობდა, აქა-იქ კი ან ცხვირის ბოლო მოჩანდა, ან წვერის ბუწუწები, ზოგან კი ფერადი ჩაჩების კიდეები გამოყოფილიყო.

ობობა ყველაზე მსხვილ ფუთას მიუახლოვდა – „თავს დავდებ, რომ ბომბურია, სანყალი", – გაიფიქრა ბილბომ – და მაგრად უჩქმიტა აბლაბუდებიდან გამოჩრილ ცხვირის წვერზე. გაისმა მოგუდული შეყვირება, გარეთ გადმოკიდებული ფეხი მაღლა აიჭრა და ობობას მწარე, აუცდენელი წიხლი ჩააზილა. გააფთრებული ობობა ბრაგვანით ჩავარდა ტოტიდან, მაგრამ მოასწრო, საკუთარ ძაფს ჩამოჰკიდებოდა.

დანარჩენები ახორხოცდნენ.

– სნორი იყავი, სნორი! – გაიძახოდნენ ისინი, – საჭმელი ცოცხალია და ინიხლება!

– მალე აღარ იქნება! – ასისინდა გაჯავრებული ობობა და უკან, ტოტისკენ ინყო აცოცება.

ბილბო მიხვდა, მოქმედების ჟამი დამდგარაო. მაგრამ ამ საზიზღარ ნადირებს ხმლით ვერ შესნვდებოდა, სასროლი კი ხელთ არაფერი ჰქონდა. მან მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ იქვე, ახლოს, დამშრალი ნაკადულის პატარა კალაპოტში ბლომად ეყარა სიპი ქვები. ბილბო ქვის სროლის ოსტატი გახლდათ და სულ მალე იპოვა მშვენიერი კვერცხა ქვა, გლუვი და მოხერხებულად დასაჭერი. ბიჭობისას იგი ისეთი განთქმული ქვასროლია იყო, რომ ბაჭიები, ციყვები და ჩიტებიც კი ელვის სისწრაფით იფანტებოდნენ აქეთ-იქით, როგორც კი იგი ქვას დასნვდებოდა ასაღებად. და შემდეგ, უკვე დიდობაშიც, იგი სიამოვნებით და დიდხნობით თამაშობდა ხოლმე სერსოს სროლას, კეტის ტყორცნას, კეგლს და სხვა ამგვარ წყნარ თამაშებს, სადაც კარგი დამიზნებისა და სროლის ცოდნა იყო საჭირო. დიახ, ჰობიტმა კვამლის რგოლების ბოლების, გამოცანობანასა და კერძების მზადების გარდა სხვაც ბევრი რამ იცოდა, რის მოსათხრობადაც ვერ მოვიცალე და არც ახლა მრჩება დრო.

სანამ ბილბო ქვებს კრეფდა, ობობამ ბომბურამდე მიაღწია და სულ მალე სიცოცხლესაც გამოასალმებდა. და ბილბომ სტყორცნა. ქვა ობობას მაგრად მოხვდა თავში, იგი გრძნობადაკარგული გადმოვარდა ხიდან და ფეხებშემოკეცილი მიწას დაებერტყა.

მეორე ქვა ზუზუნით გაიჭრა ფართო ქსელში, სხივები დაუწყვიტა და

მძლავრი დარტყმით მის შუაში მჯდარი დიდი ობობა უსულოდ დასცა. ჯოგში დიდი ალიაქოთი ატყდა და, უნდა გითხრათ, რომ ობობებს გნომები, ცოტა არ იყოს, კიდევაც გადაავიწყდათ. ისინი ბილბოს ვერ ხედავდნენ, მაგრამ კარგად შენიშნეს, თუ საიდან მოზუზუნებდა გამოსროლილი ქვები. ობობები ტოტიდან ტოტზე ქანაობით გამოიქცნენ ბილბოსკენ, თან ყოველმხრივ გრძელ ძაფებს ყრიდნენ, სანამ გარშემო ჰაერი დარხეული წებია მახეებით არ აივსო.

ბილბო ამასობაში სწრაფად გასხლტა, ადგილი შეიცვალა. მას გადაეწყვიტა, გამძვინვარებული ობობები შორს და შორს გაეტყუებინა და, თუკი შეძლებდა, მოეცილებინა გნომებისათვის. საამისოდ მდევრებს ცნობისწადილი, ბრაზი და აღგზნება არ უნდა განელებოდათ. როდესაც იმ ადგილას, სადაც ადრე ბილბო იდგა, ორმოცდაათიოდე ობობა შეიყარა, ჰობიტი კვლავ ქვებით გაუმასპინძლდა მათაც და მათ უკან დარჩენილებსაც. შემდეგ ხეებს შორის აცეკვდა და სიმღერას მოჰყვა, რათა ობობები უფრო გაეხელებინა, უკან რომ გაჰკიდებოდნენ, და რათა გნომებსაც შეეტყოთ მისი გამოჩენა:

ბებერი ობობა ტრიალებს ხეზე!
მახინჯი ობობა უჩემოდ ვერ ძლებს!
გაჩერდი, მსუქანო,
ეგება, ვუგანო!
ხომ არ დაიღალე? თუ კიდევ მეძებ?

ბებერი უტვინო მსუქანი ტანით,
დამეძებს ჩერჩეტი რამდენი ხანი!
მრგვალი და ბენტერა
დაბლა დაებერტყა,
მაინც ვერ დამიჭერს, სქელუა არის!

იქნებ, სიმღერა დიდი ვერაფერიშვილი გამოუვიდა, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ბილბო იქვე, ხელდახელ თხზავდა სიტყვებს, გარემოება კი საამისოდ სნორედ რომ შეუფერებელი გახლდათ. ასეა თუ ისე, ჰობიტმა მიზანს მიაღწია: იგი მღეროდა, ქვებს ისროდა და ფეხებს აბაკუნებდა და თითქმის ყველა ობობა უკან აიდევნა. მდევართაგან ზოგი მიწაზე ჩამოხტა, ზოგი კი ტოტებზე მირბოდა, ხიდან ხეზე ხტომით მიიწევდნენ ჰობიტისაკენ, სხვანი კი საზიზღარი ბაგირებით ქსელავდნენ ხეთა შორის დარჩენილ ბნელ სივრცეებს. საზარლად განრისხებულმა ობობებმა ბევრად უფრო სწრაფად გამოიცნეს ბილბოს ადგილსამყოფელი, ვიდრე ჰობიტი მოელოდა – ქვების სეტყვა ხომ ახელებდათ და, ესეც რომ არა, არცერთ ობობას არ უყვარს, „სქელუას" რომ

ეძახიან, ხოლო „ბენტერას" თუ უწოდებთ, ხომ ყველა გაბრაზდება!

ბილბომ კვლავ გაირბინა და ადგილი შეიცვალა, მაგრამ ობობები უკვე ყოველმხრივ მოსდებოდნენ მათი საცხოვრებელი მდელოს კიდეებს და გამალებით ქსელავდნენ ვეება აბლაბუდებს ხეებს შორის. ისინი აპირებდნენ, ჰობიტის გარშემო გაუვალი, მტკიცე ღობე მოექსოვათ. დაგეშილი, მქსელავი მწერებით გარშემორტყმულმა ბილბომ მხნეობა მოიკრიბა და კვლავ ამღერდა:

გიჟს და ზარმაცს, ალბათ,
ბადე ჩემთვის დასჭირდა,
გემრიელი ლუკმა ვარ და
მე დამეძებს ნამდვილად!

მე აქა ვარ, ციცქნა ბუზი,
ზარმაცებო, სქელებო!
ვერ დამიჭერთ ბადე-ქსელში,
რაც არ უნდა მეძებოთ!

დაამღერა, მობრუნდა და დაინახა, რომ ორ მაღალ ხეს შორის დარჩენილ უკანასკნელ გასასვლელსაც ქსელი ჩამოჰფარებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ იყო ნამდვილი, მტკიცე ქსელი, ხიდან ხემდე მხოლოდ ორმაგი გრძელი ნართები გაეჭიმათ ნაჩქარევად. ბილბომ თავისი პატარა სატევარი იშიშვლა, ბაგირები დაკვეთა და კვლავ სიმღერით გაიქცა მდელოდან.

ობობებმა თვალი მოჰკრეს მახვილს და, თუმც ვერ მიხვდნენ, რა იყო იგი, მაინც უამრავი ვეება მწერი ჯგროდ გაედევნა გაქცეულ ჰობიტს. ზოგი მინაზე მირბოდა, ზოგიც ტოტებს მიუყვებოდა, გავეშებულები და გაცოფებულნი განლობილ ფეხებს მიაშმაშურებდნენ, სატაც და სართავ მარნუხებს მიატკაცუნებდნენ, თვალებს მიაფეთებდნენ. ბილბო ტყეში გარბოდა, იმდენად დაშორდა ობობების მინდორს, რამდენადაც გაბედა, უკან გაიყოლა განრისხებულ მწერთა ხროვა, შემდეგ კი თაგვივით ჩუმად გამოიპარა უკან.

მან იცოდა, რომ დრო ცოტალა რჩებოდა: იმედგაცრუებული და დაბოლმილი ობობები მალევე მობრუნდებოდნენ უკან. ბილბოს მანამდე მეგობრების დახსნა უნდა მოესწრო. ყველაზე უფრო საძნელო გამოდგა მაღლა აცოცება იმ წაგრძელებული ტოტისაკენ, რომელზედაც ფუთები ქანაობდნენ. ჰობიტი, ალბათ, ვერც მოახერხებდა ამას, რომელილაც ობობას ხიდან ჩამოკონწიალებული ბაგირი რომ არ დარჩენოდა. ბილბოს ხელისგულებზე ეკვროდა ბაგირი, ჩხვლეტდა და სუსხავდა, მაგრამ ჰობიტი მისი დახმარებით მაინც აცოცდა ტოტამდე – და ბებერ, ზანტ და გაბერილ ობობას გადააწყდა,

რომელიც ტყვეთა სადარაჯოდ დარჩენილიყო და ახლა საქმიანად ჩქმეტდა საკბილოს, რომ გამოერკვია, რომელი იყო ყველაზე უფრო წვნიანი და ხორციანი. გუნებაში სხვების დაბრუნებამდე ქეიფის დაწყებასაც განიზრახავდა, მაგრამ მისტერ ბეგინსს ძალიან ეჩქარებოდა, ამიტომ, სანამ ობობა გაარკვევდა, თუ რა ხდებოდა, თავისი ნესტარი აგემა და უსულოდ ჩამოაგორა ხიდან.

ამის შემდეგ ბილბოს პირველივე ხელთ მოხვედრილი გნომი უნდა გამოეთავისუფლებინა. როგორ მოქცეულიყო? თოკი რომ გადაეჭრა, ის საწყალი გვარიანი სიმაღლიდან დაასკდებოდა მიწას. ჰობიტი ტოტს გაუყვა და მწიფე ნაყოფებივით აქანავებულ გნომთაგან პირველს მიაღწია.

– ან ფილია, ან კილი, – გაიფიქრა მან, ფუთის თავზე გამოჩრილ ლურჯი ჩაჩის წვერს რომ ჰკიდა თვალი. – უფრო ფილის ჰგავს, – დაუმატა, როდესაც დახვეული ძაფებიდან გამოყოფილი გრძელი ცხვირის ბოლოც დაინახა. ტოტიდან გადაკიდებულმა როგორღაც მოახერხა მჭიდროდ დახვეული, მტკიცე და წებია ძაფების გადაჭრა და თითქმის მთლიანად გამოაჩინა აფართხალებული და ნამდვილად ფილი. ბილბოს სიცილიც კი აუტყდა, როდესაც შეხედა, როგორ უხტოდა გაშეშებული ხელ-ფეხი ილლიებში ამოდებულ ქსელზე ჩამოკონწიალებულ გნომს, თითქოს მავთულებით აცეკვებული სასაცილო ტიკინააო.

ფილი დიდის ვაი-ვაგლახით აცოცდა ტოტზე და მაშინვე მოინადინა, ჰობიტს დახმარებოდა, თუმც თავად მთლად დაესუსტებინა ობობას შხამს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ მთელი დღე და გასული ღამის დიდი ნაწილი ხეზე ეკიდა, ძაფზე ბრუნავდა და გაჭირვებით სუნთქავდა მხოლოდ ცხვირით. შემდგომ მას უამრავი დრო დასჭირდა, წარბ-წამწამიდან საზიზღარი ქსელის ნაფლეთები რომ მოეშორებინა, ხოლო წვერის გამოსუფთავება ვერც მოახერხა და იძულებული გახდა, გვარიანად შეეკვეცა იგი. მაშინ კი ბილბო და ფილი დაუყოვნებლივ შეუდგნენ გნომების ერთიმეორის მიყოლებით ამოზიდვას ტოტზე და მათ სათითაოდ გამოხსნას. არცერთი მათგანი ფილიზე უკეთეს დღეში არ იყო, ხოლო ბევრი მასზე მეტადაც მისუსტებულიყო, რადგან ობობებს ზოგი უფრო მეტად მოეწამლათ, ზოგი კი, მჭიდროდ შეფუთულ-შექსელილი, ღამის დაეხრჩო უჰაერობას (როგორც ხედავთ, გრძელი ცხვირი ზოგჯერ ძალიან გამოსადეგი რამ არის).

მათ სათითაოდ გაათავისუფლეს კილი, ბიფური, ბოფური, დორი და ნორი. საბრალო ბომბური ისე იყო მისავათებული – რაკი ყველაზე მსუქანი იყო, მას გაუთავებლად ჩქმეტდნენ და სინჯავდნენ – რომ ტოტიდან გადმოგორდა და მინას დაებერტყა. საბედნიეროდ, ფოთლების გროვაში ჩავარდა და არც წამომდგარა, იქვე იწვა ძალაგამოცლილი. მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც წინანდელზე უფრო მეტადაც გამძვინვარებულმა ობობებმა უკან დაბრუნება იწყეს, ტოტის ბოლოში ჯერ კიდევ ეკიდა ხუთი გნომი.

ბილბო დაუყოვნებლივ გაცოცდა ტოტის ძირისაკენ და ხეს ამოყოლილი ობობები უკანვე ჩაყარა. როდესაც ფილის ათავისუფლებდა, ბილბომ მოიხსნა ბეჭედი და დაავიწყდა, ისევ გაეკეთებინა. ამიტომაც ობობები ერთხმად მოპყვნენ ჩიფჩიფსა და სისინს:

– ახლა ხომ გხედავთ, პატარა ბინძურო არსებავ! შენც შეგჭამთ, შენს ძვალს და ტყავს კი ხეზე დაკიდულს დავტოვებთ! უჰ! ეს მაგას აქვს, არა, ნესტარი? მაინც ჩაგიგდებთ ხელში და ერთი-ორი დღით თავდაღმა ჩამოგკიდებთ!

ამასობაში კი გნომები შეკოჭილ თანამოძმეებს ათავისუფლებდნენ და დანებით გამალებით კვეთდნენ ერთმანეთზე დახვეულ ძაფებს. სულ მალე ყველას გამოხსნიდნენ, თუმც არავინ იცოდა, შემდეგ რაღა მოხდებოდა. წინა ღამით ობობებმა დიდი ნვალების გარეშე შეიპყრეს ისინი, მაგრამ მაშინ ბნელოდა და თავდასხმაც მოულოდნელი იყო. ამჯერად კი გნომები, უეჭველია, ცხარე ბრძოლით შეებმოდნენ მტერს.

უცებ ბილბომ შენიშნა, რომ რამდენიმე ობობა ძირს დაგდებულ ბომბურს შემოხვეოდა, ხელახლა შეეკოჭათ და სადღაც მიათრევდნენ. ჰობიტმა დაიყვირა და გაალმასებული მახვილით ეძგერა ობობებს, გზას რომ ულობავდნენ. მათ სწრაფად უგანეს, ბილბომ ხიდან იწყო ჩამოცოცება, სიჩქარით ჩამოვარდა და პირდაპირ ბომბურს გარშემო მოქუჩებულ ჯგროში ჩავარდა. ობობებს ჯერაც არსად ეგემათ ბილბოს მოკლე სატევარივით ბასრი ნესტარი. ხმალი დაულალავად დაქროდა მათ შორის და ალტაცებით კამკამებდა უტყუარი ძგერებისას. ნახევარი დუჟინი მაინც გამოასალმა სიცოცხლეს, სანამ ყველა არ გაიფანტა და ბომბური ბილბოს არ დაუტოვეს.

– ჩამოდით! დაბლა ჩამოდით! – ასძახა მან გნომებს, – ნუ სხედხართ ხეზე, თორემ ბადეებში გაგხვევენ! – გაიძახოდა იგი, რადგანაც დაინახა, როგორ დაეხუნძლათ მახლობელი ხეები ობობებს და ახლა გნომების თავსზემოთ განვდილ ტოტებზე მიცოცავდნენ.

დაბლა ჩამოცოცდნენ, ჩამოხტნენ, ჩამოცვივდნენ გნომები, თერთმეტივე ერთად მოქუჩდა ხის ძირას. თითქმის ყველას მუხლები ეკეცებოდა, ძლივსლა იდგნენ ფეხზე. მეთორმეტეც ბომბური იყო, მას აქეთ-იქიდან მხარში შესდგომოდნენ ბიძაშვილი ბიფური და ღვიძლი ძმა ბოფური. მათ გარშემო ბილბო დავლურს უვლიდა და თავის ნესტარს იქნევდა, აქეთ-იქიდან, შორიახლოს და თავსზემოდან კი ასობით და ასობით ობობა საზარელი თვალებით აშტერდებოდა ტყვეობიდან თავდახსნილებს. გადარჩენის იმედი თითქოს აღარც იყო.

შემდეგ ბრძოლაც დაიწყო. გნომთაგან ზოგს დანა აღმოაჩნდა, ზოგმა ჯოხი მოიმარჯვა, ქვების აკრეფა კი ყველას შეეძლო. ბილბოსაც ხელთ ეპყრა ელფური სატევარი. კვლავ და კვლავ უკუაქცევდნენ მეგობრები ობობათა შემოტევას, მრავალიც დახოცეს, მაგრამ ამგვარად დიდხანს ველარ გაგრძელ-

დებოდა. ბილბო ცოტას განყდა არ გაკოჭეს, გნომთაგან მხოლოდ ოთხილა იდგა ფეხზე მყარად და მათ სულ მალე, ალბათ დაქანცული ბუზებივით შეიპყრობდნენ მტაცებლები. გარშემო ობობებმა კვლავ იწყეს ხიდან ხემდე მტკიცე ქსელის გაბმა.

და ბილბო მიხვდა – სხვა გზა აღარ იყო, გნომებისათვის ბეჭდის საიდუმლოება უნდა გაემხილა. სულ არ უნდოდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვას ვერაფერს გახდებოდა.

– მე ახლა გავქრები, – თქვა მან, – და ობობებს გავიტყუებ, თუკი შევძლებ. თქვენ კი ერთად იყავით და საწინააღმდეგო მხარეს გაეშურეთ – აი, იქით, მარცხნივ თუ გაემართებით, დახლოებით იმ ადგილას გახვალთ, სადაც უკანასკნელად დავინახეთ ელფთა ჩირაღდნები.

ძნელი იყო, რამე შეგეგნებინებინა გნომთა გაბრუებული თავებისათვის იმ ყვირილში, ჯოხების ქნევასა და ქვების ზუზუნში, მაგრამ ბილბო მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა – ობობებმა კიდევ უფრო შეამჭიდროვეს რკალი მათ გარშემო. მან ანაზდად წამოიცვა ბეჭედი და გაოგნებულ გნომთა თვალწინ გაუჩინარდა.

მალე სიმღერა „სქელოებსა“ და „ბენტერებზე“ კვლავ გაისმა ხეებს შორის გნომებისაგან მარჯვნივ, მდელოს განაპირას. ამან ობობები სულ გააცეცხლა, ზოგიერთმა გნომებს თავი ანება და ხმის მიმართულებით გაიქცა – ბილბოს სიმღერით ისე გაბრაზდნენ, რომ გონი დაკარგეს. შემდეგ ბალინმა, რომელიც სხვებზე უკეთ მიუხვდა ბილბოს ჩანაფიქრს, გნომთა შეტევას უთავა: მათ ობობებს ქვების წვიმა დაუშინეს, ნელ-ნელა, ნელ-ნელა წინ წაინიეს და შეძლეს, შეტევის რკალი გაერღვიათ. სწორედ ამ დროს მათ უკან ანაზდად მიჩუმდა ყვირილი და სიმღერა.

გნომებმა გზა განაგრძეს, თან იმედს არ კარგავდნენ, ბილბო უვნებელი იქნება, მტრები ვერ დაიჭერდნენო. ისე იყვნენ დაღლილები, რომ სწრაფად ვერ გასცლოდნენ ბრძოლის ადგილს, ძლივს მიჩლახუნებდნენ კოჭლობითა და ბარბაცით, თუმც უკან ფეხდაფეხ მისდევდნენ ობობები. ხშირ-ხშირად უწევდათ შემობრუნება და წამოწეულ მხეცთა მოგერიება. რამდენიმე ობობა უკვე მახლობელ ხეებზე აცოცებულიყო და დაბლა ისროდა გრძელ ნებია ძაფებს.

გნომები კვლავ შავ დღეში ჩაცვივდნენ, მაგრამ უცებ საიდანლაც ბილბო მოევლინათ და გაოცებულ ობობებს მოულოდნელად შეუტია გვერდიდან.

– გასწით, გასწით! – შესძახა მან – ამათ მე დავნესტრავ!

და მან დანაპირები შეასრულა. იგი წინ და უკან მიმოქროდა, აბლაბუდას ჭრიდა, წინ წამოწვდილ ფეხებს კვეთდა და მახვილს აძგერებდა გაბერილ სხეულებს, თუკი მტერი ძლიერ მიუახლოვდებოდა. ობობები ბოლმით იბერებოდნენ, დუჟმორეულნი ჩიფჩიფებდნენ და საშინელი სისინით იწყევლებოდ-

ნენ, მაგრამ მათ შიშის ზარს სცემდა ბილბოს ნესტარი, ამიტომაც ახლოდან შეტევას ვერ ბედავდნენ და, რამდენიც არ უნდა ეწყევლათ, ნადავლი ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ შორდებოდათ. ჰობიტს ეჩვენებოდა, უკვე მრავალი საათია, რაც ამ საზარელ ბრძოლაში ჩავებიო. და ბოლოს, როდესაც იგრძნო, რომ ხელი აღარ ემორჩილებოდა და მახვილს უკვე ერთხელაც ველარ აღმართავდა, ობობებმა მოულოდნელად თავი ანებეს დევნას და იმედგაცრუებულნი თავიანთი ბნელი მდელოსაკენ გაიძურწნენ.

გნომებმა მერელა შენიშნეს, რომ იმ ადგილას გამოსულიყვნენ, სადაც ადრე ელფებს ნთებოდათ ჩირაღდნები. ისინი დანამდვილებით ვერ იტყოდნენ, წინა ღამით სნორედ აქ შეხვდნენ ელფებს თუ არა, მაგრამ ის კი იგრძნეს, რომ გარშემო თითქოს რაღაც კეთილი ჯადო შეყოვნებულიყო, რაც ობობებს არ ეჭაშნიკათ. აქ ტყის რუხ ბინდს მომწვანო შუქი გამორეოდა, ხეთა ტოტები ნაკლებად მსხვილი და შიშისმგვრელი ჩანდა და მათ შეეძლოთ, დაესვენათ და სული მოეთქვათ.

ასე ინვნენ ერთხანს, აქოშინებულები და ძალაგამოცლილნი. მაგრამ ძალიან მალე გნომებმა თავი წამოყვეს და უამრავი კითხვით მისდგნენ ჰობიტს. მათ უეჭველად სჭირდებოდათ, დაწვრილებით გამოერკვიათ ბილბოს გაუჩინარების ამბები და სანამ ჰობიტი ყვებოდა, როგორ იპოვა ბეჭედი გობლინთა ბნელ გვირაბებში, საკუთარი გასაჭირიც კი გადაავიწყდათ. ბალინმა მოითხოვა, რომ ბილბოს თავიდან ბოლომდე მოეყოლა გოლუმთან შეხვედრის ამბავი, გამოცანებიც და ყველაფერი, ყველაფერი ხელახლა მოეთხრო, ოღონდ ისე, რომ ბეჭედი აღარ გამოეტოვებინა. მაგრამ მალე სინათლე მიილია და შეკითხვებიც სხვანაირი გახდა. რა ადგილას იმყოფებოდნენ, საითკენ იყო მათი ბილიკი, სად შეიძლებოდა რაიმე საჭმლის შოვნა, ან ახლა რის გაკეთებას აპირებდნენ? კვლავ და კვლავ გაისმოდა კითხვები და თითქოს ყველა პატარა ბილბოსაგან მოელოდა პასუხს. როგორც ხედავთ, გნომებმა სულ სხვა თვალით შეხედეს მისტერ ბეგინსს და თანდათან უაღრესი პატივისცემით განიმსჭვალნენ მისადმი (როგორც გენდალფი უქადდათ). აღარავინ ბუზღუნებდა ბილბოზე, არამედ ყველა მოელოდა, რომ ჰობიტი რაღაც საოცარ გეგმას მოიფიქრებდა მათთვის და გასაჭირიდან იხსნიდათ. იმასაც კარგად ხედებოდნენ, რომ ბილბო რომ არა, უეჭველ სიკვდილს ვერ გადაურჩებოდნენ და ხშირ-ხშირ მადლობას სწირავდნენ ხსნისათვის. ზოგიერთი წამოდგა და მინამდეც კი მოიდრიკა მის წინაშე, თუმც ამგვარი გარჯისაგან მუხლი ეკვეთებოდათ და კარგა ხანს ველარ დგებოდნენ ფეხზე. იმის შეტყობამ, თუ როგორ ახერხებდა ბილბო გაუჩინარებას, სრულიადაც არ დაამცირა გნომთა თვალში მათი მპარავი – მათ ირწმუნეს, რომ ჰობიტს გონებაც უჭრიდა, ილბალიც სწყალობდა და თანაც ჯადოსნური ბეჭედი ჰქონდა. ხოლო ეს სამივე –

ფრიად სასარგებლო ქონებაა. იმდენი აქეს და ადიდეს ბილბო, რომ მან თავი ღამის მართლაც თავგადასავლების მამაც მაძიებლად იგრძნო, თუმც სიმამაცე ბევრად შეემატებოდა, რაიმე საჭმელიც რომ ჰქონოდათ.

მაგრამ მათ არაფერი, სულ არაფერი გააჩნდათ. და არცერთს არ ჰქონდა იმის თავი, წამომდგარიყო და საკვების საშოვნელად ან დაკარგული ბილიკის მოსაძებნად წასულიყო. დაკარგული ბილიკი! ბილბოს დაღლილი თავი სხვაზე ველარაფერზე ფიქრობდა, ჰობიტი იჯდა და უმიზნოდ მისჩერებოდა ხეთა უსასრულო რიგს მის წინ. ნელ-ნელა ყველანი დაჩუმდნენ, ყველანი, ბალინის გარდა. იგი თანამოძმეებს შორის იწვა და კიდევ დიდხანს ბურტყუნებდა და ხითხითებდა თავისთვის:

– გოლუმ! მადლობა ღმერთს! აი, თურმე როგორ გაძვრა, როგორ გამეპარა, არა? ახლა კი ვიცი! უბრალოდ, ჩუმად მოიპარებოდით, ასეა, ხომ, მისტერ ბეგინს? ღილები დაიფანტა კიბის საფეხურებზე! ოჰ, ეს ბილბო-ბილბო-ბო-ბო... – და შემდეგ მასაც ჩაეძინა და კარგა ხნით სიჩუმე ჩამოწვა.

შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად, დვალინმა თვალი გაახილა და გარშემო მწოლებს გადახედა.

– სად არის თორინი? – იკითხა მან.

ეს გამაოგნებელი იყო! რა თქმა უნდა, მხოლოდ ცამეტნი იყვნენ – თორმეტი გნომი და ჰობიტი. მართლაც, სად იყო თორინი? დაკარგულები, ბნელ ტყეში ინვნენ და ცახცახით ფიქრობდნენ, თუ რა ავი ბედი ეწია თორინს, ჯადოთი იძლია თუ ბნელმა ურჩხულებმა ჩაიგდეს ხელში? შემდეგ, როდესაც საღამო ნყვდიად ღამედ გადაიქცა, მათ ისევ ჩაეძინათ საზარი სიზმრებით სავსე მოუსვენარი ძილით. იმდენად მისავათებულიყვნენ, რომ არც მცველები დაუყენებიათ, არც დარაჯობის რიგი გაუნაწილებიათ. და ასე, შავ სიბნელეში ჩაძინებულებს დროებით მივატოვებთ...

თორინი კიდევ უფრო სწრაფად შეიპყრეს, ვიდრე დანარჩენები. ხომ გახსოვთ, როგორ კუნძივით ჩაეძინა ბილბოს მას შემდეგ, რაც განათებულ ნრეში შეაბიჯა? შემდეგ ჯერზე უკვე თორინი მიდიოდა სხვებზე წინ და, როდესაც სინათლეები ჩაქრა, იგი, ჯადოთი შეპყრობილი, ქვასავით უგრძნობლად დაეცა მიწაზე. ტყეში გზადაკარგული გნომების ხმობა, მათი ყვირილი, როდესაც ობობებმა დაიჭირეს და გაკოჭეს, მეორე დღის დიდი ბრძოლის ხმაური – არაფერი გაუგონია. შემდეგ კი ტყის ელფები მოვიდნენ, შეკრეს და წაიღეს.

იმ ღამით ტყეში ელფები ლხინობდნენ, ელფთა მოდგმა კი არ არის ბოროტი, თუმც უცხოებს არ ენდობიან. მძლავრი იყო მათი ჯადოსნური ძალა, მაგრამ მაშინაც, იმ ძლიერების დღეებშიც კი ძალიან ფრთხილობდნენ. ისინი არ ჰგავდნენ დასავლეთის მაღალ ელფებს, უფრო საშიშარნი და ნაკლებად ბრძენნი გახლდნენ, რადგანაც ისინი და გორაკებსა და ტყეებში მიმოფანტული

მათი ნათესავები მეტწილად იმ უძველესი ტომების შთამომავალნი იყვნენ, რომელნიც არასოდეს წასულან დასავლეთის ჯადოსნურ მხარეში. ნათლის ელფები, სიღრმის ელფები და ზღვის ელფები კი გაემართნენ იმ იდუმალ მხარეში, მრავალი საუკუნე იცხოვრეს იქ, იქვე შექმნეს ელფური მაგია და მშვენიერი და გასაოცარი საგნების თხზვის ხელობას დაეუფლნენ, სანამ კვლავ უკან, ვრცელ ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ. ტყის ელფები კი დაყოვნდნენ ვრცელ ქვეყანაში, ჩვენი მზისა და მთვარის ბინდბუნდში, სადაც ყველაზე მეტად ვარსკვლავთა ნათება ხიბლავდათ. ისინი დაეხეტებოდნენ დიდ ტყეებში, უფრო და უფრო რომ იზრდებოდა, მაღლდებოდა იმ მიწებზე, ან რომ დაკარგულა. უფრო ხშირად ტყის კიდეებზე ბინადრობდნენ, საიდანაც ზოგჯერ სანადიროდ, ცხენის საჭენებლად ან სანავარდოდ შეეძლოთ გაჭრა გაშლილ მიწებზე, მთვარისა და ვარსკვლავების შუქში. კაცთა მოსვლის შემდეგ მათ უფრო მეტად შეიყვარეს ბინდი და საღამო, მაგრამ ისინი ელფები იყვნენ და ელფებად დარჩნენ, კეთილ ხალხად.

იმ დროს ტყებნელში, ვეებერთელა გამოქვაბულში, რომელიც რამდენიმე მილით თუ სცილდებოდა ტყის აღმოსავლეთ კიდეს, ელფთა დიდებული მეფე ცხოვრობდა. მისი უზარმაზარი ქვის კარის წინ მდინარე გადმოსჩქეფდა და გორაკების ძირში დამდგარ ჭაობებში იღვრებოდა. დიდი მღვიმე, რომლიდანაც ურიცხვი მომცრო გამოქვაბული იხსნებოდა, შორს მიწის ქვეშ ღრმავდებოდა უამრავი დერეფნითა და ფართო დარბაზებით. მაგრამ ელფების სასახლე ბევრად უფრო ნათელი და ჯანსაღი იყო, ვიდრე გობლინთა ნებისმიერი სამყოფელი, უფრო ნაკლებად ღრმა და ნაკლებად სახიფათო. ელფთა მეფის ქვეშევრდომები ძირითადად გარეთ, ტყეში ცხოვრობდნენ და ნადირობდნენ, საცხოვრებელი სახლები და ქოხები კი მიწაზე ედგათ ან ტოტებში აეშენებინათ. მეფის მღვიმე მისი სასახლე იყო, მისი განძთსაცავი და ელფთა ციხე-სიმაგრე მტრების შემოსევის დროს.

მღვიმე მის ტუსაღთა ციხეც იყო. ამიტომ სწორედ იქ მიათრიეს თორინიც – უნდა გითხრათ, რომ არცთუ სათუთად ეპყრობოდნენ, რადგან ელფებს გნომები გულზე არ ეხატებათ, თანაც ფიქრობდნენ, რომ იგი სამტროდ მოსულიყო. უძველეს დროს ტყის ელფებს ომი ჰქონოდათ გნომებთან, რომელთაც ელფური განძის მოპარვას აბრალებდნენ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავად გნომები ამ ამბავს სხვანაირად ყვებოდნენ და ამბობდნენ, რომ წაილეს მხოლოდ ის, რაც ეკუთვნოდათ, რადგანაც ელფთა მეფე მათ ელფური ოქრო-ვერცხლის გამოჭედვაზე გაურიგდა, ხოლო შემდეგ მათთვის გასამრჯელოს გადახდა იუარა. ელფთა მეფეს თუკი რამ სისუსტე სჭირდა, ეს ძვირფასეულობის სიყვარული იყო, გამორჩევით – ოქროსი და თეთრი პატიოსანი თვლებისა. და თუმც მდიდრული იყო მისი საგანძური, მას მეტი და

მეტი სწყუროდა, სურდა, უძველესი დროის ელფთა მბრძანებლების საუნჯის შესადარი საჭურჭლე ჰქონოდა. ტყის ელფები არც მაღაროებს თხრიდნენ, არც ლითონსა და პატიოსან თვლებს ამუშავებდნენ, თავს ზედმეტად არც ვაჭრობით და მინათმოქმედებით იწუხებდნენ. ყოველივე ეს ნებისმიერმა გნომმა კარგად იცოდა, თუმც თორინის გვარი არაფრით გარეულა იმ ძველ შულლში, რომელზედაც ახლა მოგახსენებდით. ამიტომაც თორინი ძალიანაც გაბრაზდა ამგვარი მოპყრობის გამო, როდესაც ჯადო მოხსნეს და გონს მოვიდა. გარდა ამისა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ოქროსა და პატიოსანი თვლების შესახებ სიტყვასაც ვერ დააცდენინებდნენ.

როდესაც თორინი მეფის წინაშე წარადგინეს, ელფთა ბატონმა მკაცრად აათვალიერა ტყვე და უამრავი რამ ჰკითხა, მაგრამ თორინს არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რომ შიმშილით კვდებოდა.

– რად ცდილობდით შენ და შენი ხალხი, ზეიმის დროს თავს დასხმოდით ჩემს ქვეშევრდომებს? – დაეკითხა მეფე.

– ჩვენ არავის დავსხმივართ თავს, მოწყალებისათვის მოვედით, რადგან შიმშილით ვიხოცებოდით.

– სად არიან ახლა შენი თანამოძმენი და რას აკეთებენ?

– არ ვიცი, მაგრამ მგონია, ტყეში შიმშილით იხოცებიან.

– ტყეში რაღა გინდოდათ?

– სასმელ-საჭმელს ვეძებდით, რადგანაც შიმშილით ვიხოცებოდით.

– მაგრამ, რამ მოგიყვანათ ამ ტყეში საერთოდ? – გაბრაზდა მეფე.

ამაზე თორინმა პირი დამუნა და აღარაფერი უთქვამს.

– ძალიანაც კარგი! – თქვა მეფემ, – წაიყვანეთ და კარგად ჩაკეტეთ, სანამ არ იგრძნობს, რომ სიმართლის თქმა მოესურვა. თუნდ ასი წელიწადი უცდია!

მაშინ ელფებმა ღვედებით შეკრეს თორინი, ერთ ღრმა გამოქვაბულში ჩაკეტეს მაგარი ხის კარს მიღმა და მარტო დატოვეს. სასმელი და საჭმელი უხვად მისცეს, მართალია, არცთუ ნარჩევი. ტყის ელფები გობლინები როდი იყვნენ, ისინი ტყვედ ჩაგდებულ უსასტიკეს მტერსაც კი ჩვეული გულმოწყალებით ეპყრობოდნენ და ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ გოლიათ ობობებს არ ინდობდნენ.

ასე ინვა საბრალო თორინი ელფთა მეფის ბნელ სატუსაღოში. მან, როგორც იყო, დაძლია უნებური მადლიერების გრძნობა ნაბოძები პურის, ხორცისა და წყლის გამო და ახლა თავს იტეხდა იმაზე ფიქრით, ნეტავ ჩემს ბედკრულ მეგობრებს რაღა მოუვიდათო. ამის შესატყობად ძალიან დიდი დრო არ დასჭირვებია, მაგრამ ეს უკვე შემდეგი თავის ამბავია, დასაწყისი ახალი თავგადასავლისა, რომელშიც ჰობიტმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მეგობრებს, რომ საჭირო კაცი იყო.

9 კასრები საკნებიდან

ობობებთან ბრძოლის მეორე დღეს ბილბო და გნომები განწირულთა სასოწარკვეთილებით ერთხელ კიდევ შეეცადნენ, ტყიდან გასასვლელი გზა ეპოვათ, სანამ შიმშილით დაიხოცებოდნენ. ისინი წამოდგნენ და წაბარბაცდნენ იმ მიმართულებით, საითკენაც, როგორც ცამეტიდან რვა ვარაუდობდა, დაკარგული ბილიკი მოიტოვეს. მაგრამ მათ ვერასოდეს შეიტყვეს, მართალ გზას ადგნენ თუ არა. ტყის უღიმღამო დღე მორიგეჯერ იბჟუტებოდა ღამის სიშავედ, როდესაც მათ გარშემო ერთბაშად აენთო მრავალი ჩირაღდანი, თითქოს ტყეში ასობით და ასობით წითელი ვარსკვლავი აციმციმდაო. წინ გამოიჭრნენ მშვილდებით და შუბებით შეიარაღებული ელფები და შეჩერდითო, გნომებს შეუძახეს.

არავის უფიქრია მათთან შებრძოლება; გნომები ისეთ დღეში ჩაცვენილიყვნენ, რომ გაუხარდათ კიდეც ტყვედ ჩავარდნა. ესეც რომ არა, მათი პატარა დანები, ერთადერთი იარაღი, რაც შემორჩენოდათ, ვერაფერს გახდებოდა ელფების ისრებთან, სიბნელეში გაფრენილი ჩიტის თვალსაც რომ არ ასცდებოდნენ. ამიტომ ყველანი შეჩერდნენ, ჩასხდნენ და ლოდინი დაიწყეს. ყველანი, ბილბოს გარდა – მან ბეჭედი წამოიცვა თითზე და უჩუმრად გადგა განზე. ამიტომ, როდესაც ელფებმა გნომები ერთიმეორის მიყოლებით გრძელ მწკრივში ჩააბეს და გადათვალეს, მათ გაუჩინარებული ჰობიტი ტყვეებისათვის არ მიუთვლიათ.

ელფებმა ვერც მაშინ შეამჩნიეს ბილბო, როდესაც იგი, კარგა მანძილით ჩამორჩენილი, მათ უკან მიძუგძუგებდა, ვერც მისი ფრთხილი ნაბიჯების ხმას მოჰკრეს ყური. გნომები თვალახვეული მიჰყავდათ, მაგრამ ასეთი სიფრთხილე არც იყო საჭირო, რადგან თვალხილულ ბილბოსაც არ შეეძლო გაერკვია, სად მიდიოდნენ და არც მან, არც გნომებმა არ იცოდნენ, რა ადგილიდან გაუყენეს გზას. ბილბო თავს არ იზოგავდა, რომ ჩირაღდნებს მისდევნებოდა, რადგანაც დაღლილ-დაქანცულ გნომებს ელფები რამდენადაც შეეძლოთ, სწრაფად მიარბენინებდნენ – იჩქარეთო, მეფეს ებრძანებინა. უეცრად ჩირაღდნები შეჩერდნენ და ჰობიტმა შეძლო, წინ მიმავლებს წამოსწეოდა, სანამ ისინი ხიდზე გადასვლას დაიწყებდნენ. ეს ხიდი მდინარეს კვეთდა და მეფის ბინისაკენ მიემართებოდა. მის ქვეშ მუქი, სწრაფი და მძლავრი ნაკადი მისჩქეფდა, ბოლო კი ებჯინებოდა ჭიშკრით ამოგმანულ



ელფთა მეფის კარიბჭე

ვეებერთელა გამოქვაბულს, რომელსაც ხეებით შემოსილი მთის ციცაბო ფერდზე დაელო პირი. ზედ მდინარის ნაპირამდე ჩამოდიოდნენ გოლიათური წიფლები, ნაკადი ბანდა მათ ფესვებს.

ელფებმა ხიდზე გადარეკეს ტყვეები, მაგრამ ბილბო ყოყმანით შეჩერდა. მას სულ არ მოეწონა პირდაღებული გამოქვაბული. ბოლოს, როდესაც მაინც გადაწყვიტა, არ მიეტოვებინა მეგობრები, ძლივსლა მოასწრო, ფეხდაფეხ შეჰყოლოდა ბოლო ელფს, მათ უკან კი ულარუნით დაიგმანა ვეება ჭიშკარი.

შიდა დერეფნები ჩირაღდნების მონითალო შუქით იყო განათებული და მეომარი ელფები სიმღერით მიაბიჯებდნენ მიმოხვეულ, გადაჯვარედინებულ და გამოძახილით ახმიანებულ გვირაბებში. აქაურობა როდი ჰგავდა გობლინთა ქალაქს – გვირაბები უფრო მომცრო იყო, ნაკლებად ჩაღრმავებული მიწის ქვეშ და ცინცხალი ჰაერით სავსე. მთლიან კლდეში ნაკვეთ ფართო, სვეტებიან დარბაზში ელფთა მეფე დაბრძანებულიყო, კენკრებისა და წითელი ფოთლების გვირგვინი ეხურა, რადგანაც შემოდგომა შემოსულიყო. გაზაფხულზე კი მეფე ტყის ყვავილების გვირგვინს დაიხურავდა. ხელთ ნაჩუქურთმალი მუხის კვერთხი ეპყრა.

ტყვეები რომ ნარუდგინეს, მეფემ მათ მრისხანედ გადახედა, მაგრამ ბრძანა, ხელ-ფეხი გაეხსნათ გნომებისათვის, ისეთი ჩამოფლეთილი და ძალაგამოცლილები ჩანდნენ.

– აქ ალარც სჭირდებათ ღვედები, – დასძინა მან, – ჩემს ჯადოსნურ კარში ერთხელ შემოსული აქედან ვეღარც გაიქცევა.

იგი დიდხანს და გამონვლილვით დაჰკითხავდა გნომებს მათ საქმეთა შესახებ, თუ საით მიდიოდნენ, ანდა საიდან მოემართებოდნენ, მაგრამ მათგანაც ბევრი ვერაფერი შეიტყო იმაზე მეტი, რაც თორინმა მოახსენა. ტყვეები ილუშებოდნენ, ჯავრობდნენ და არც კი ცდილან, ზრდილობა გამოეჩინათ.

– რა შევცოდეთ, ო, მეფეო? – წარმოსთქვა ბალინმა, რომელიც ახლა ყველაზე უფროსი იყო, – განა დანაშაულია, ტყეში დაიბნე, გშიოდეს და გწყუროდეს, შემდეგ კი ობობებმა გაგაბან მახეში? შინაურ მხეცებად ხომ არა გყავთ ისინი მოთვინიერებული, ასე რომ გაგაბრაზათ მათმა დახოცვამ?

ამგვარმა მიმართვამ, ცხადია, მეფე კიდევ უფრო განარისხა.

– დანაშაულია, გაუთავებლად რომ დაძრწიხართ ჩემს მიწებზე. ხომ არ დაგავიწყდათ, ჩემს სამეფოში რომ იყავით და ჩემი ხალხის გაყვანილი გზით მიდიოდით? განა თქვენ არ გაედევნეთ და შეაწუხეთ ჩემი ხალხი ტყეში სამგზის? განა არ აშალეთ ობობები თქვენი აურზაურითა და ხმაურით? ამიტომაც უფლება მაქვს, ვიცოდე, აქ რისთვის მოსულხართ, და თუკი არ მეტყვით, ყველას დაგატუსაღებთ, სანამ გონს არ მოიკრებთ და ზრდილობას არ ისწავლით.

და მეფემ ბრძანა, თითოეული გნომი განცალკევებულ საკანში ჩაესვათ, მიეცათ სასმელ-საჭმელი, მაგრამ მანამ არ გამოეშვათ საპყრობილედან, სანამ ერთ-ერთი მაინც არ მოუთხრობდა მეფეს ყველაფერს, რისი გაგებაც მას სურდა. მაგრამ ელფთა ბატონს არ უთქვამს ტყვეებისათვის, რომ თორინიც მისი ტუსაღი იყო. ეს ბილბომ აღმოაჩინა.

საბრალო მისტერ ბეგინსი! მომქანცველად და უსასრულოდ მიზოზინობდა დრო, სანამ იგი, სრულიად მარტოსული, ელფთა სასახლეში ცხოვრობდა მუდამ მალვით, წუთითაც ვერ ბედავდა ბეჭდის მოხსნას და უშორეს და ჩაბნელებულ კუთხეებში შეკუჭულიც კი გულისკანკალით ბედავდა წათვლემას. იმისათვის, რომ რაიმე მაინც ეკეთებინა, იგი ელფთა მეფის სასახლეში დახეტიალობდა. კარიბჭეებს ჯადო გმანავდა, მაგრამ ბილბო, თუკი სხარტად გაირჯებოდა, ახერხებდა ხოლმე გარეთ გასვლას. ტყის ელფები, რომელთაც ზოგჯერ მეფე მიუძღოდათ, დროდადრო ამხედრდებოდნენ და ტყეში სანადიროდ, ან დასავლეთის მიწებზე სხვა რამ საქმეთა მოსაგვარებლად გაემართებოდნენ ხოლმე. მაშინ შეიძლებოდა, ელფებს ფეხდაფეხ მიდევნებული ბილბოც გამსხლტარიყო გარეთ, თუმც ეს სახიფათო საქმე გახლდათ – არა ერთხელ და ორჯერ ჰობიტი კინაღამ მოყვა ჭიშკარში, რომელიც ბოლო ელფის გასვლისთანავე ჯახუნით იკეტებოდა. მაგრამ იგი მაინც ვერ ბედავდა, ელფთა ჯგუფში გარეულს გაევლო კარიბჭე, რადგან გარეთ მაინც მოჩანდა ხოლმე მისი ჩრდილი, თუმც მკრთალი და მოცახცახე, თითქოს ჩირაღდნის ალს გაუჩენიაო. ისიც აფრთხობდა, ვაითუ შემთხვევით ვინმე წამომედოს და მიპოვოსო. ამიტომ არცთუ ხშირად გადიოდა გარეთ და როდესაც გადიოდა, ვერც ვერაფერს აკეთებდა სახეიროს. გნომების მიტოვება არ უნდოდა და არც იცოდა, თანამგზავრების გარეშე რა გზას დასდგომოდა. სანადიროდ გასული ელფების მიდევნება მას არ შეეძლო, ამიტომ ტყიდან გასასვლელი გზები ვერ დაისწავლა. ჩამორჩენილი და უბედური ტყეში დაეხეტებოდა ხოლმე და დაბნევის შიში ზაფრავდა, სანამ კვლავ არ მოიხელთებდა დროს და უკან არ შეიპარებოდა. გარეთ, ტყეში იგი მუდამ მშიერი იყო, რადგან ნადირობით თავის გატანა არ იცოდა, მაგრამ სასახლის გამოქვაბულებში სარჩოს შოულობდა – ხან საკუჭნაოდან იპარავდა, ხან კი სუფრიდან ააცოცებდა, როდესაც ახლომახლო არავინ ჩანდა ხოლმე.

– ახლა კი ვგავარ მპარავს, რომელსაც გარეთ გასვლა არ შეუძლია და იძულებულია, ერთი და იგივე სახლი ძარცვოს დღიდან დღემდე, დღიდან დღემდე, – ფიქრობდა იგი, – ეს ამ უბადრუკი, მომქანცველი, შემაწუხებელი თავგადასავლის ყველაზე საცოდავი და სულელური ნაწილია. აჰ, ნეტავ ახლა ჩემს ჰობიტის სოროში მამყოფა, ჩემი საკუთარი თბილი ბუხრის პირას ლამპით განათებულ ოთახში!

ჰობიტი იმასაც ხშირად ნატრობდა, ნეტავ საშველად ჯადოქრის გამოძახება შემეძლოსო, მაგრამ, ცხადია, ეს შეუძლებელი იყო. და მან მალევე დაასკვნა, რომ თუკი საერთოდ შეიძლებოდა რაიმეს გაკეთება, ეს უთუოდ მისტერ ბეგინსს უნდა გაეკეთებინა, მარტო, შემწეების გარეშე.

ერთი-ორი კვირა ასე მალვითა და პარვით ცხოვრების შემდეგ, მცველების თვალთვალითა და უკან მიდევნებით ბილბომ მოახერხა, გამოერკვია, თუ სად იყო დამწყვდეული თითოეული გნომი. მათი თორმეტი საკანი სასახლის სხვადასხვა ნაწილში მიყუჟულიყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბილბომ უკვე კარგად დაისწავლა მათთან მისასვლელი გზები. ხოლო ერთ დღეს, მცველთა საუბარს მიყურადებულმა, გაოცებით შეიტყო, რომ ელფებს კიდევ ერთი გნომი ჰყავდათ ტუსაღად ციხის განსაკუთრებით ბნელ და ღრმა საკანში. ბილბო მაშინვე მიხვდა, რომ ეს გნომი თორინი იქნებოდა და ცოტა ხანში კიდევაც დარწმუნდა ამაში – მრავალი მცდელობის შემდეგ მან მოახერხა, ეპოვნა თორინის ადგილსამყოფელი და, როდესაც ახლო-მახლო არავინ იყო, კიდევაც გამოელაპარაკა გნომების მეთაურს.

თორინი ძალიან უბედური იყო საიმისოდ, რომ კვლავ და კვლავ ეჯავრა საკუთარი უიღბლობის გამო და იმასაც კი ფიქრობდა, ხომ არ მოვუთხრო მეფეს ჩემი განძის და ჩემი ძიების შესახებო (ხოლო ამგვარი ფიქრები მას მხოლოდ უდიდესი სასონარკვეთის ჟამს შეიძლებოდა გასჩენოდა), როდესაც გასაღების ჭუჭრუტანიდან ბილბოს სუსტი ხმა შემოესმა. იგი ყურებს არ უჯერებდა, მაგრამ მალე გადაწყვიტა, ალბათ, მაინც არ მეშლებაო, კარს მიუახლოვდა და შემდეგ დიდხანს ესაუბრებოდა ჰობიტს კარის მილმა.

ამის შემდეგ ბილბომ მოახერხა, თითოეული გნომისათვის თორინის შენათვალი გადაეცა და ეთქვა, რომ თორინი, მათი წინამძღოლი, იქვე, მათ გვერდით იყო დამწყვდეული და რომ არც ერთ ტყვეს არ უნდა გაემხილა მეფისათვის მათი მოგზაურობის მიზანი, სანამ თორინი არ გასცემდა საამისო განკარგულებას. ხოლო თორინი, რაკი შეიტყო, თუ როგორ იხსნა ჰობიტმა ობობებისაგან მისი თანამგზავრები, კვლავ მხნეობით აღივსო და გადაწყვიტა, ჯერ არ გამოესყიდა თავი ელფთა მეფისაგან განძში ნილის დადების დაპირებით და დაეცადა, ვიდრე ციხიდან რაიმე სხვა გზით თავისდაღწევის იმედი საბოლოოდ არ განქარდებოდა, ანუ სანამ შეუდარებელი მისტერ-თვალითუხილავი ბეგინსი, ვისზედაც გნომთა თავს მართლაც რომ მაღალი წარმოდგენა შეჰქმნოდა, საბოლოოდ არ ჩაფლავდებოდა რაიმე ჭკვიანური გეგმის მოფიქრებაში.

დანარჩენმა გნომებმა ერთსულოვნად მოიწონეს თორინის ამგვარი გადაწყვეტილება, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ელფების ჩაზიარებით გვარიანად შემცირდებოდა თითოეულის წილი განძი. განძი კი დიახაც რომ უკვე თავისად

მიაჩნდათ, თუმცა მისი მაძიებლები ამჯერად გასაჭირში ჩაცვენილიყვნენ და დრაკონიც ჯერ არავის დაემარცხებინა. ამიტომ ყველა ბილბოს მიენდო. როგორც ხედავთ, ახდა გენდალფის სიტყვა. იქნებ, ნაწილობრივ ესეც იყო ჯადოქრის ნასვლის, მათი მიტოვების მიზეზი?

ოღონდ ბილბო სულ არ იზიარებდა გნომთა იმედებს. მას არ მოსწონდა, რომ ყველა მისგან მოელოდა ხსნას და ჯადოქრის გვერდით ყოფნას ნატრობდა. ნატრობდა, მაგრამ უშედეგოდ – მათ შორის, ალბათ, ტყეებნელის მთელი ჩაბნელებული სივრცე განოლილიყო. ჰობიტი იჯდა და ფიქრობდა და ფიქრობდა, სანამ ლამის თავი არ გაუსკდა ფიქრით, მაგრამ ვერც ერთი ნათელი აზრი ვერ მოიხელთა. ერთი ჯადოსნური ბეჭედი ჩინებული რამ იყო, ოღონდ თითხმეტივესთვის ერთად ბევრს ვერაფერს შეძლებდა. მაგრამ, როგორც ალბათ ხვდებით, ბილბომ ბოლოს და ბოლოს დაიხსნა მეგობრები. და აი, როგორ მოხდა ეს:

ერთ დღეს, როდესაც ბილბო სასახლეში დასუნსულებდა, მან ძალიან საგულისხმო რამ აღმოაჩინა: დიდი ჭიშკარი თურმე არ იყო გამოქვაბულში შესასვლელი ერთადერთი გზა! სასახლის ყველაზე დაბალი სართულების ქვეშ ზოგან მინისქვეშა ნაკადი მიედინებოდა და ცოტა მოშორებით, იმ ციცაბო ფერდის ქვეშ, რომელზედაც მთავარი შესასვლელი იხსნებოდა, ტყის მდინარეს უერთდებოდა. იქ, სადაც ეს მძლავრი ნაკადი მთიდან გადმოჩქეფდა, წყლის ჭიშკარი დაეტანებინათ. გვირაბის ქვის ჭერი აქ თითქმის ნაკადის ზედაპირამდე ეშვებოდა და ამ ჭერიდან პირდაპირ მდინარის კალაპოტში ეშვებოდა მძიმე ასანევი ცხაური, რათა ამ გზით ვერც ვერავინ გასულიყო და ვერც ვერავინ შემოსულიყო. ოღონდ ეს ცხაური ხშირად იხსნებოდა, რადგანაც ელფთა ნავაჭრის დიდი ნილი სწორედ ამ გზით აღწევდა სასახლეში და სასახლიდან. თუკი ვინმე ჭიშკარში შემოაღწევდა, იგი აღმოჩნდებოდა ბნელ, უხეშად ნაკვეთ გვირაბში, რომელიც ღრმად იჭრებოდა მთაში. ხოლო ერთგან, გამოქვაბულების ქვეშ, გვირაბის ჭერი გამოეჭრათ და შემდეგ მუხის ვეება სარქველებით დაეხშოთ. ეს კარი კი შეგიყვანდათ მეფის სარდაფებში, რომელიც კასრებით, სულ კასრებით იყო სავსე. ტყის ელფებს, და განსაკუთებით მათ ხელმწიფეს, ძალიან უყვარდათ ღვინო, მათ მხარეში კი ვაზი არ ხარობდა. ღვინოს და სხვა სანოვაგეს ისინი სამხრეთელი ნათესავებისაგან ეზიდებოდნენ, ან შორეულ მხარეებში მობინადრე კაცთა ვენახებიდან მოჰქონდათ.

ბილბომ, რომელიც უზარმაზარი კასრების უკან იმალებოდა ხოლმე, მალე აღმოაჩინა სარქველები და მათი დანიშნულებაც გაარკვია. მარანში მალვითა და მეფის მსახურთა საუბრების ყურისგდებით მან ისიც შეიტყო, თუ როგორ მიეზიდებოდნენ ღვინოს თუ სხვა სურსათ-სანოვაგეს მდინარეებით თუ ხმელეთით ტაბაგრძელისაკენ. როგორც ჩანს, იქ, სხვადასხვა ჯურის მტრისა-

გან და უფრო მთის დრაკონისაგან თავდასაცავად პირდაპირ წყალში, ბოჯგებზე აშენებულ ადამიანთა ქალაქში, ცხოვრება დღესაც დულდა და გადმოდულდა.

ელფთა მეფის სასახლისათვის განკუთვნილ კასრებს ტყის მდინარეს ამოაყოლებდნენ ხოლმე. უფრო ხშირად მათ ერთად კრავდნენ დიდ ტივებად და ნაკადის აღმა მოაცურებდნენ, ზოგჯერ კი ბრტყელ ნავებზე ტვირთავდნენ ხოლმე.

დაცლილ კასრებს ელფები მარნის იატაკში გაჭრილ კარში ყრიდნენ და ხსნიდნენ წყლის ცხაურიან ჭიშკარს, რომლიდანაც ტორტმან-ტორტმანით გამოცურდებოდნენ ხოლმე დინებას გაყოლილი კასრები და დაღმა დაეშვებოდნენ, სანამ ქვემოთ, კარგა მოშორებით, ტყებნელის მთლად აღმოსავლეთ კიდესთან, წყალში შეჭრილ ნაპირს არ მიადგებოდნენ. აქ კასრებს იჭერდნენ, ისევ ერთად კრავდნენ და კვლავ უკან, ტაბაგრძელისაკენ მიაცურებდნენ – ტბის ქალაქი წყალში, ტყის მდინარის შესართავის მახლობლად იყო გაშენებული.

ბილბო ერთი ხანობა იჯდა და წყლის ჭიშკარზე ფიქრობდა, ვარაუდობდა, ნეტავ, თუ შევძლებ, მეგობრები ამ გზით გავაქციოო და ბოლოს და ბოლოს თითქოს კიდევაც მოაფიქრდა გაბედული და თითქმის უიმედო გეგმის დასაწყისი.

ტუსაღებს უკვე ჩამოურიგეს საღამოს ულუფა. ელფებმა მწყობრად ჩაიარეს დერეფნები, თან გაიყოლეს ანთებული ჩირაღდნები და იქაურობა ბნელში გახვეული დატოვეს. შემდეგ ბილბომ გაიგონა, როგორ უსურვებდა მეფის მოურავი მცველთა მეთაურს ღამემშვიდობისას და თან მარანში ეპატიჟებოდა.

– ახლა წამომყევი, – ამბობდა იგი, – გავსინჯოთ ახალი ღვინო, ცოტა ხნის წინ რომ მივიღეთ. ამაღამ გვარიანი სამუშაო მელის, მარანი ცარიელი ჭურჭლისგან უნდა გავცალო, ასე რომ, წამო, მანამდე ერთი-ორი გადავკრათ, საქმეს წაადგება.

– კარგია, კარგი! – გაიცინა მცველთა მეთაურმა, – დავაჭაშნიკებ შენთან ერთად, ვნახოთ, თუ გამოდგება ეს ღვინო მეფის სუფრისათვის. ამაღამ ლხინი იქნება და არ ივარგებს, ზემოთ უვარგისი სასმელი ავაგზავნოთ.

ამის გაგონებაზე ბილბო მღელვარებით აცახცახდა, რადგან მიხვდა, ილბალი მწყალობს და სწორედ ახლა შემიძლია, ჩემი გიჟური ჩანაფიქრი ავასრულოო. მან უკან მისდია ელფებს მომცრო სარდაფამდე, სადაც ისინი მაგიდას მიუსხდნენ და ორი მოზრდილი კათხა მოიდგეს. სულ მალე ისინი უკვე სვამდნენ და მხიარულად იცინოდნენ. უჩვეულო ილბალი სდევდა ბილბოს იმ დღეს! მხოლოდ ძალიან მაგარი სასმელით შეიძლება ტყის ელფების შეზარხოშება, ეს ღვინო კი, როგორც ჩანს, დორვინიონის დიდი ვენახების

საუკეთესო მოსავლის გახლდათ, იგი მომცრო თასებით უნდა მიერთვათ მეფის ლხინზე მიწვეულ სტუმრებს, განა მსახურებსა და ჯარისკაცებს უნდა ეყლურწათ ვეებერთელა კათხებით!

ძალიან მალე დაცვის უფროსმა ჩამოყვინთა, შემდეგ თავი მაგიდაზე ჩამოდო და ჩაიძინა. მოურავი ერთი ხანობა თავისთვის განაგრძობდა სიცილსა და საუბარს, თითქოს ვერც კი შეემჩნია, რა სამარცხვინოდ გამოაკლდა თანამესუფრე, მაგრამ მალე მასაც დაუმძიმდა თავი, მასაც მაგიდაზე ჩამოეძინა და უზრუნველად ახვრინდა მეგობრის გვერდით. და მაშინლა შემოიპარა ჰობიტი. ცოტაც და, დაცვის უფროსი გასაღებების გარეშე დარჩა, ბილბო კი გამალებით მიძუგძუგებდა გრძელ დერეფნებში გნომთა საკნებისაკენ. უზარმაზარი ასხმა ხელებს უმძიმებდა და, თუმც ბეჭედი ეკეთა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, რადგანაც გასაღებები დროდადრო ჩხაკუნობდნენ და ჟღრიალებდნენ და ჰობიტიც ყოველ გაჩქამებაზე შიშით თრთოდა.

პირველად მან ბალინის კარი გახსნა და, როგორც კი გნომი გარეთ გამოვიდა, კვლავ მზრუნველად ჩაკეტა. ბალინი, როგორც თავადაც ხვდებით, გაოცებული დარჩა, მაგრამ ძალიან კი ეამა მობეზრებული პატარა ქვის ოთახიდან გამოსვლა. მას ერთი სული ჰქონდა, შეჩერებულიყო და კარგად გამოეკითხა, თუ რა ხდებოდა, ან რის გაკეთებას აპირებდნენ.

– ახლა დრო არა გვაქვს! – შეაჩერა იგი ბილბომ, – უკან მომყევი! ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, რომ შემთხვევით არ დავიქსაქსოთ. ან ყველანი უნდა გავიქცეთ, ან არც ერთი, და ეს ჩვენი ბოლო შანსია. ახლა რომ დაგვიჭირონ, უფალმა უწყის, სად ბრძანებს მეფე თქვენს ჩამწყვდევას და ალბათ ხელფეხზე ბორკილებსაც დაგადებენ. ახლა ლაპარაკის დრო არ არის, ძმობილო!

შემდეგ გზა განაგრძეს კარიდან კარამდე, სანამ ბილბოს თორმეტი თანამგზავრი არ აედევნა უკან. დიდი ხნის ტყვეობის მერე და ჩაბნელებული გზის გამო გნომებს სწრაფი სიარული უჭირდათ. ყოველ ჯერზე, როდესაც ერთი მეორეს მიეჯახებოდა, ან სიბნელეში რაიმეს წაიჩურჩულებდა, ბილბოს გული უსკდებოდა. „წყეულიმც იყოს ეს გნომური ალიაქოთი!" – ბუზღუნებდა იგი თავისთვის. მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა, მათ არც ერთი მცველი არ შეხვედრიათ. საქმე ისაა, რომ იმ ღამით ტყეში და სასახლის დარბაზებში დიდი საშემოდგომო ლხინი იყო გაჩაღებული და მეფის ყველა მსახური მხიარულობდა.

ბოლოს და ბოლოს, ბევრი ბორძიკის მერე მათ თორინის დილეგსაც მიაღწიეს. თორინი ღრმა და შორეულ საკანში ჩაესვათ, მაგრამ, საბედნიეროდ, აქედან არცთუ შორს იყო მარანი.

– ჩემმა მზემ, – თქვა თორინმა, როდესაც ბილბომ ჩურჩულით დაუძახა, ისიც გარეთ გამოსულიყო, მეგობრებთან, – გენდალფი, როგორც ყოველთვის,

მართალი იყო! ასე მგონია, მისტერ ბეგინსი მართლაც ჩინებულ პარვას შემოგვთავაზებს, დრო რომ მოვა. ღრმად მწამს, რომ ამიერიდან რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ყველა მარად პატივად ჩავთვლით, გემსახუროთ. მაგრამ ახლა რა გველის?

ბილბომ შეატყო, რომ დადგა დრო, რაც შეიძლება, დაწვრილებით განემარტა თავისი გეგმები. მაგრამ იგი სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ გნომები მხარს დაუჭერდნენ. მისი შიში სავსებით გამართლდა: გნომებს სულ არ მოეწონათ გაქცევის გეგმა და ხმამაღლა აბუზღუნდნენ, ისე, რომ სიფრთხილეც გადაავიწყდათ.

– დავიჟეჟებით, ხელ-ფეხი დაგვატყდება და, რასაკვირველია, დავიხრჩობით, – ჯაჯღანებდნენ ისინი, – ჩვენ გვეგონა, რაღაც ჭკვიანური გქონდა მოფიქრებული, როდესაც გასაღებების ხელში ჩაგდება მოახერხე. ეს ხომ გიჟური აზრია!

– ძალიანაც კარგი, – მიუგო ბილბომ. მის ხმაში გაწბილება ისმოდა და ყველაფერი ეს უკვე კიდევაც მობეზრებოდა, – მიბრძანდით ისევ თქვენს მომხიბლავ საკნებში, მე კი ისევ ჩაგკეტავთ ყველას, როგორც იყავით, იქ კი შეგეძლებათ, მოხერხებულად დასხდეთ და უკეთესი გეგმა მოიფიქროთ. ოღონდ არა მგონია, სხვა დროსაც მოვახერხო გასაღებების ხელში ჩაგდება, რომც მომინდეს ოდესმე, შევეცადო.

ეს მათთვის უკვე მეტისმეტი იყო და გნომები ჩაჩუმდნენ. ბოლოს, ცხადია, ისე მოიქცნენ, როგორც ბილბო სთავაზობდათ. ან კი სხვა რა გზა ჰქონდათ! ზემოთ, დარბაზებისკენ გზის გაკვლევა არ შეეძლოთ, ჯადოთი ჩარაზულ ჭიშკრებს ხომ ვერა და ვერ გაივლიდნენ ბრძოლით, და დერეფნებში ჯაჯღანი მანამ, სანამ არ დაიჭერდნენ – კარგს რას მოუტანდათ? ამიტომაც, ჰობიტს გადევნებულები, ყველაზე ღრმა სარდაფებში ჩაიპარნენ. მათ ჩაუარეს კარს, რომლის მიღმა ჯერაც არხეინად ხვრინავდნენ სახეზე ღიმილგადაფენილი დაცვის უფროსი და მოურავი – დოვინიონის ღვინომ ღრმა ძილისა და ტკბილი სიზმრების მოგვრა იცის. მეორე დღეს დაცვის უფროსს, ალბათ, სხვანაირი გამომეტყველება ექნებოდა, თუმც გულკეთილი ბილბო, სანამ გზას გააგრძელებდნენ, ოთახში შეიპარა და გასაღებები ისევ მზრუნველად შეაბა ქამარზე.

– ეს ცოტათი მაინც აარიდებს იმ უსიამოვნებებს, რომელშიც გაეხვა, – უთხრა ბილბომ თავისთავს, – არ იყო ცუდი ბიჭი, ტყვეებსაც წესიერად ექცეოდა. ყველას დავუტოვებთ თავსატეხს – ისინი იფიქრებენ, რომ ძალიან ძლიერი ჯადოქრობა მოვიშველიეთ, ყველა დაკეტილი კარი გავიარეთ და გავუჩინარდით. გავუჩინარდით! სასწრაფოდ საქმეს უნდა შევუდგეთ, თუ გვინდა, რომ გავუჩინარდეთ!

ბალინს დაავალეს, მცველისა და მოურავისთვის ეთვალთვალა და ნიშანი

მიეცა, თუკი ისინი აწრიალდებოდნენ. დანარჩები გვერდითა, სარქველებიან სარდაფში შევიდნენ. დრო ცოტაღა რჩებოდათ – ბილბომ იცოდა, რომ მალე მოვიდოდნენ ელფები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, მოურავს ცარიელი კასრების დაგორებასა და მდინარეში ჩაყრაში დახმარებოდნენ. გასაგზავნი კასრები უკვე შუა ოთახში მწკრივად ჩარიგებული გაემზადებინათ. ღვინის კასრები მათ არ გამოადგებოდათ – დიდი ბრახა-ბრუხის გარეშე თავს ვერ ახდიდი, ვერც იოლად დაგმანავდი ხელახლა. მაგრამ იქვე იდგა ისეთებიც, რომლითაც კარაქი, ვაშლები და უამრავი სხვა საქონელი შემოჰქონდათ მეფის სასახლეში.

მათ მალე ამოარჩიეს ცამეტი იმ ზომის ჭურჭელი, რომ შიგ თითო გნომი ჩატეულიყო. მართალი თუ გინდათ, ზოგი კასრი ზედმეტად განიერიც იყო და შიგ ჩამძვრალი გნომები გულისკანკალით ფიქრობდნენ იმ ყანყალსა და აქეთ-იქით ხეთქებაზე, მათ რომ ელოდა. თუმც ბილბომ ღონე არ დაიშურა, სადღაც ჩალაბულა გამოძებნა და დარჩენილ დროში რაც შეეძლო, საგულდაგულოდ შეფუთა გნომები. ბოლოს, როგორც იყო, თორმეტი გნომი ჩალაგდა. ყველაზე ძნელი თორინის დაბინავება აღმოჩნდა: იგი წრიალებდა და ბრუნავდა თავის კასრში და პატარა ხუხულაში ჩამწყვდეული დიდი ძაღლივით იღრინებოდა, ბოლოს მოსულმა ბალინმა კი ერთი ალიაქოთი ატეხა თავისი სანიავო ხვრელების გამო და მანამდე განაცხადა, ვიხუთებიო, სანამ ბილბო სახურავს დააფარებდა. ბილბომ გულდასმით დაგმანა ხვრელები კასრების გვერდებზე და რაც შეიძლება, საიმედოდ დაამაგრა სახურავები. ახლა იგი კვლავ მარტო იყო, დარბოდა ირგვლივ, უკანასკნელ წვრილმან საქმეებს აგვარებდა და ჯიუტად აჯერებდა თავს, ჩემი ჩანაფიქრი ასრულდებაო.

საქმე სწორედ რომ დროზე მოათავა – როგორც კი ბალინის კასრს თავსახური მოარგო, ბილბოს მოახლოებული ხმები ჩაესმა და სინათლის ციმციმს მოჰკრა თვალი. სარდაფში სიცილითA და ხმამაღალი საუბრით შემოვიდა რამდენიმე ელფი. ისინი მაღლა, დარბაზში გაშლილი მხიარული სალხინო სუფრიდან წამომდგარიყვნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის მიბრუნდებოდნენ უკან.

– სად არის ჩვენი ძმა გალიონი, მოურავი? – იკითხა ერთმა, – ამ საღამოს სუფრასთან არ დამინახავს. ახლა აქ უნდა იყოს, რომ გვიჩვენოს, რა არის გასაკეთებელი.

– გავბრაზდები, თუკი ბებერი ზოზინა დაიგვიანებს! – თქვა ერთმა, – სულ არ მინდა, აქ, დაბლა ვაცდინო დრო, როდესაც მაღლა მხიარულობენ!

– ჰა, ჰა! – გაისმა ძახილი, – ვიპოვეთ ძველი ავაზაკი, ჯამში თავწაყოფილი! მას აქ პატარა ქეიფი გაუჩაღებია მხოლოდ თავისთვისა და მისი ძმაბიჭი კაპიტნისათვის!

– შეანჯღრიე! გამოალვიძე! – დასძახეს სხვებმა მოუთმენლად.

გალიონს სულ არ ესიამოვნა, რომ ანჯღრევდნენ და აღვიძებდნენ, უფრო კი ის, რომ დასცინოდნენ.

– თქვენ ყველამ დაიგვიანეთ, – აბუზღუნდა იგი, – მე აქ, დაბლა გიცდით და გიცდით, სანამ თქვენ, ვაჟბატონები, სვამთ, მხიარულობთ და დავალებებს ივიწყებთ. რა გასაკვირია, რომ მობეზრებისგან ჩამეძინა!

– არაა გასაკვირი, – მიუგეს მათ, – მით უფრო, რომ მიზეზიც აქვეა, სურაში. აბა, გაგვასინჯე ახლა შენი ძილის წამალი, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ. მაგ ინდაურს კი ნულარ გააღვიძებ – როგორც ვხედავთ, თავისი ნილი უკვე მიულია!

მათ თითოც დალიეს და მეტად გამხიარულდნენ, მაგრამ გონება მთლად არ დაუკარგავთ.

– გვიშველე, გალიონ! – აყვირდა ზოგი, – ძალიან ადრე დაგინყია ქეიფი და, როგორც ჩანს, სულ გამოჩერჩეტდი. აქ ცარიელ კასრებთან ერთად საკვლებიც დაგილაგებია, ისე მძიმეა ზოგიერთი!

– აბა, შეუდექით მუშაობას! – დასჭექა მოურავმა, – ცოტა კიდევ დალიეთ, უარესებიც მოგეჩვენებათ! სნორედ ის კასრებია, რომელიც საჭიროა. გააკეთეთ, რასაც გეუბნებით!

– კარგი, კარგი, – მიუგეს მათ და კასრები ახდილი ხვრელებისკენ გააგორეს, – შენს თავს დააბრალე, მეფის სურსათ-სანოვაგეს და საუკეთესო ღვინოებს თუ ჩაგვაყრევინებ მდინარეში ტბისპირელი ადამიანებისათვის მოულოდნელ საჩუქრად!

გორავ-გორავ-გორებით,
ბნელი ხვრელი მოგელით!
აბა, ერთად ავწიოთ,
ესეც წინას დავწიოთ!

ასე მღეროდნენ ისინი, სანამ ჯერ ერთი, მერე კი დანარჩენი კასრები გრუხუნით არ მიაგორეს ხვრელებთან და სათითაოდ არ ჩაყარეს ცივ წყალში. ზოგი მართლაც ცარიელი იყო, ზოგში კი თითო გნომი შეეფუთათ გულდაგულ, მაგრამ ნაკადს ყველა გაედევნა, ერთმანეთის მიყოლებით, ბრახუნითა და ერთმანეთზე ხეთქებით; ახალი ჩამოგდებული ყრუ ხმაურით ეცემოდა წინათ ჩაყრილებს, კასრები წყალს აჭყაპუნებდნენ, გვირაბის კედლებს ედებოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ყვინთვა-ყვინთვით მიტივტივებდნენ დალმა.

და სნორედ ამ დროს ბილბომ თავისი გეგმის ნაკლი აღმოაჩინა. რასაკვირველია, თქვენ უფრო ადრეც შეამჩნიეთ მისი შეცდომა და გულიანადაც დასცინეთ. მაგრამ არა მგონია, მის დღეში რომ ყოფილიყავით, ნახევარი მაინც მოგეხერხებინათ იმისა, რაც ბილბომ გააკეთა. დიახ – თავად იგი არ იჯდა კასრში და არც არავინ იყო, რომ შეეფუთა ჰობიტი, ამის დრო რომც დარჩენილიყო. ამჯერად იგი ნამდვილად კარგავდა მეგობრებს – თითქმის ყველა უკვე გაუჩინარდა ბნელ ხვრელში – თავად კი, უიმედოდ ჩამორჩენილი, მალვით და ფარვით სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო ელფთა გამოქვაბულში, როგორც მარადიული მპარავი. როდესმე რომც ემარჯვა და ზედა კარიბჭის გზით გაელწია სასახლიდან, გნომების ხელახლა პოვნის იმედი მცირეზე მცირე იყო, ბილბომ არ იცოდა, ხმელეთით როგორ უნდა მისულიყო იმ ადგილამდე, სადაც მდინარეში ჩაყრილი კასრები შეგროვდებოდა. მან ვარაუდითაც კი არ იცოდა, საერთოდ რა დაემართებოდათ გნომებს უმისოდ – ჰობიტს დრო არ ჰქონდა, რომ მოეთხრო მეგობრებისათვის ყველაფერი, რაც მან შეიტყო, ან აეხსნა, თუ რის გაკეთებას აპირებდა, როდესაც ტყიდან გავიდოდნენ.

სანამ ბილბოს გონებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ეს და სხვა ამგვარი აზრები, ელფებმა მდინარის კარის გარშემო ძალიან მხიარული სიმღერა წამოიწყეს. ზოგი მათგანი უკვე კიდევაც გაემართა ბაწრებიანი საქაჩისკენ, რომლითაც წყლის ჭიშკრის ცხაურები იწეოდა – როგორც კი ყველა კასრს დაბლა, წყალში ჩაუშვებდნენ, მეფის სასახლიდან გასასვლელი გზაც გაიხსნებოდა.

ჩქარი, ბნელი ნაკადების
დაყოლებით წახვალთ
და იმ მიწებს მიაშურებთ,
რომ იცნობდით კარგად.
მოიტოვეთ დარბაზები,
მთები ჩრდილოეთით,
მოლუშულ ტყეს გაუტოლდით
გადაბურულს სევდით.
გადაცურეთ მსტვინავ ქარში
ხეთა ქვეყნის უკან,
გასცდით ლერწმებს და ლაქაშებს,
ჭაობების სუნთქვას.
გადაკვეთეთ თეთრი წყება
ნისლის – ტბორს რომ აწევს,
სდიეთ ვარსკვლავს, რომ გასხლტება
ცივ, ციცაბო ცაზე.
გადუარეთ დაბლა ხმელეთს,

ჭორომეებს და ქვიშრობს,
სამხრეთისკენ, სამხრეთისკენ
მიაშურეთ მზის შუქს!
დაუბრუნდით იალაღებს,
ხარები რომ სძოვენ,
გორაკებზე გაშენებულ ბაღებს,
მდიდარ სოფლებს.
მზის შუქის ქვეშ,
დღის შუქის ქვეშ
სამხრეთისკენ გასწით,
ჩქარი ბნელი ნაკადების
და ველების გასწვრივ!

იატაკში გაჭრილი ხვრელისაკენ უკვე უკანასკნელი კასრი მიგორავდა! იმედდაკარგული და დაბნეული პატარა საბრალო ბილბო კასრს დაებღაუჭა და მასთან ერთად გადაგორდა კიდის მილმა. იგი ბნელ ცივ წყალში ჩადგაფუნდა ზემოდან მოქცეული კასრით.

მან ფრუტუნით ამოყვინთა, ვირთხასავით ეჭიდებოდა ფიცრებს, ცდილობდა, კასრზე აცოცებულიყო, მაგრამ ყოველი მორიგი მცდელობისას ჭურჭელი ტრიალდებოდა და კვლავ ქვეშ იძირავდა ჰობიტს – ეს კასრი მართლაც ცარიელი იყო და კორპივით მსუბუქად ტივტივებდა. ბილბოს წყლით აევსო ყურები, მაგრამ მაინც ჩაესმოდა, როგორ მღეროდნენ ელფები მაღლა, სარდაფში. შემდეგ ანაზდად ბრახუნით დაიხშო სარქველები და მათი ხმებიც მიწყდა. ჰობიტი სულ მარტო დარჩა ბნელ გვირაბში, ყინულოვან წყალში მოტივტივე – კასრებში გამოკეტილი მეგობრები თანამგზავრებად ხომ ვერ ჩაითვლებიან!

ძალიან მალე წინ, სიბნელეში მკრთალი ლაქა გამოჩნდა. ბილბოს აწეული ცხაურის ჭრიალი ჩაესმა და მაშინვე მოექცა დიდი და მომცრო კასრების მოყვინთავე და მოჯახუნე გროვაში, რომელიც ღია დინებაში გასასვლელთან მიჯარულიყო. იგი, როგორც შეეძლო, ირიდებდა ძლიერ დაჯახებებს, გასრესვით რომ ემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს ერთმანეთზე მიჯრილი გროვა ნელ-ნელა დაიშალა, კასრები ტრიალ-ტრიალით სათითაოდ გაძვრნენ ქვის თაღის ქვეშ და დინებას გაჰყვნენ. და ბილბომ ახლალა შეიტყო: რომც მოეხერხებინა და ზედ მოსჯდომოდა თავის კასრს, კარგი დღე არ დაადგებოდა, რადგანაც კასრის ზედაპირსა და გასასვლელთან უეცრად დადაბლებული გვირაბის ჭერს შორის ჰობიტის გასატევი ადგილიც კი არ რჩებოდა.

ისინი გარეთ გაცურდნენ და ახლა მდინარის ორივე ნაპირზე ნაზარდი ხეების ჩამონოლილ ტოტებქვეშ მიტივტივებდნენ. ბილბო სულ იმას ფიქრობდა, ნეტავ, თავს როგორ გრძნობენ გნომები და მეტისმეტად ბევრი წყალი ხომ არ აღწევს მათ კასრებშიო. მის გვერდით მოტივტივე ჭურჭელთაგან ზოგი კარგა ღრმად ჩამჯდარიყო წყალში და ჰობიტი ხვდებოდა, სწორედ ისინია გნომებიანიო.

– იმედია, კარგად დავაფარე ხუფები, – ფიქრობდა იგი, მაგრამ ძალიან მალე იძულებული გახდა, საკუთარ თავზე ეფიქრ-ეზრუნა და გნომებისათვის აღარ სცხელოდა. ჰობიტი ახერხებდა, თავი წყალს ზემოთ დაეჭირა, მაგრამ სიცივისაგან ცახცახებდა და თავს ეკითხებოდა, მომკლავს თუ არა სიცივე, სანამ ბედი გამილიმებს და წყლიდან ამოცოცებას მოვახერხებ, კიდევ რამდენ ხანს შევძლებ, კასრს ვეკიდო და გავბედო თუ არა, კასრს ხელი ვუშვა და თავად გავცურო ნაპირისკენო?

საბედნიეროდ, ბედმა მალე გაულიმა: დატრიალებულმა ნაკადმა რამოდენიმე კასრი ერთად მიყარა ნაპირთან ახლოს, სადაც რომელიღაც წყალქვეშა ფესვმა ცოტა ხნით შეაყოვნა ისინი. აქ ბილბომ შეძლო, ზემოდან აცოცებოდა თავის კასრს, სანამ იგი მყარად გაჭედილიყო შეყოვნებულ გროვაში. იგი გაწუწული ვირთხასავით აცოცდა მაღლა და გაიფართხა, რომ უკეთ შეენარჩუნებინა წონასწორობა. ცივი ნიავი ქროდა, მაგრამ ზემოდან ჯდომა მაინც სჯობდა წყალში ტივტივს და ბილბო ნატრობდა, ნეტავ, ისევ არ ამოვბრუნდე, როდესაც დავიძრებითო.

ცოტა ხანში კასრების გროვა დაიშალა, ისინი ბრუნვა-ტრიალით კვლავ დაუყვნენ წყალს და ნაკადის შუაგულისაკენ გადაინაცვლეს. ჰობიტი დარწმუნდა, რომ კასრზე თავის დაჭერა მართლაც ისე ძნელი იყო, როგორც ეგონა, მაგრამ, თუმც დიდ ჯაფად უღირდა, როგორღაც მაინც ახერხებდა წონასწორობის შენარჩუნებას. საბედნიეროდ, ბილბო ძალიან მსუბუქი იყო, კასრი კი – კარგა ზორბა და, როგორც ჩანს, ნასვრეტებიანი, რადგანაც შიგნით წყალს შეეჟონა და ახლა, დამძიმებული, ოდნავღა იყო ამოზნექილი წყლიდან. მაგრამ ბილბოს მაინც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ცდილობდა, გაეხედნა უაღვირო და უუზანგო, ძალიან ჩამრგვალებული პონი, რომელიც გამუდმებით ბალახში გასაგორებლად ინევდა.

ამგვარი ყოფით მისტერ ბეგინსმა მიაღწია ადგილს, სადაც მდინარის ორივე ნაპირზე უფრო მეჩხერად ხარობდა ხეები. ახლა მას შეეძლო, ტოტებს შორის გამკრთალი ცა დაენახა. ბნელი მდინარე უეცრად ფართოდ გაიშალა და შეუერთდა ტყის მდინარის მთავარ ნაკადს, რომელიც მეფის დიდი ჭიშკრიდან გადმოსჩქეფდა. წყლის ფართო სივრცე ხეებით აღარ იჩრდილებოდა და მის პრიალა ზედაპირზე ვარსკვლავებისა და ღრუბლების ანარეკლი ხტოდა, ინენებოდა. შემდეგ ტყის მდინარის სწრაფმა დინებამ დიდი და მომ-

ცრო კასრების მთელი გროვა მიყარა ჩრდილო ნაპირისაკენ, სადაც წყალს განიერი ყურე გამოერეცხა. მისი ხრეშიანი ნაპირის უკან ფრიალო ფლატეები აღმართულიყო, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან მოსაზღვრული იყო წყალში შეჭრილი მტკიცე კლდის კონცხით. კასრების უმეტესობა წყალმარჩხ ნაპირზე გაირიყა, ხოლო რამოდენიმე გზას განაგრძობდა, სანამ ქვის კედელს არ მიეხეთქნენ.

ნაპირზე ხალხი იცდიდა. მათ სწრაფად ამოკრიფეს და ერთად შეაგროვეს კასრები თავხელში, გადათვალეს, ერთმანეთზე გადააბეს და ასე დატოვეს გათენებამდე. საცოდავი გნომები! ბილბო ახლა არც ისე ცუდ დღეში იყო. იგი კასრიდან ჩამოძვრა და ნაპირზე გავიდა, შემდეგ კი პარვით გასწია წყლისპირას მდგარი ქოხებისაკენ. ჰობიტი იმდენ ხანს საზრდოობდა სხვათა სუფრიდან უნებართვოდ აღებული საჭმლით, რომ ახლა აღარც იყოყმანებდა, თუკი საამისოდ მარჯვე შემთხვევას მოიხელთებდა. თანაც, ახლა უკვე მშვენივრად მოეხსენებოდა, თუ რა იყო ნამდვილი შიმშილი, ნამდვილი შიმშილი და არა თავშეკავებული დაინტერესება ნუგბარით სავსე საკუჭნაოებით. გარდა ამისა, მან ხეებს შორის ცეცხლის ნათებას შეასწრო თვალი და, რასაკვირველია, სითბოსაკენ გაუწია გულმა – გალუმპული და დაფლეთილი სამოსი ბილბოს სველად და სუსხიანად ეტმასნებოდა ტანზე.

ალბათ, არ არის საჭირო, დაწვრილებით მოგიყვეთ მისი იმღამინდელი ღამის შესახებ, რადგანაც ჩვენ უკვე მივუახლოვდით აღმოსავლეთისაკენ მგზავრობის დასასრულს და მათ უკანასკნელ და ყველაზე მნიშვნელოვან თავგადასავალს მივადექით, ამიტომაც უნდა ვიჩქაროთ. თავიდან, ჯადოსნური ბეჭდის წყალობით, ბილბოს არაფერი გასჭირვებია, მაგრამ მერე და მერე იგი სველმა ნაფეხურებმა და მისი ტანსაცმლიდან ჩამოწურული წყლის კვალმა გასცა. ყველა სიკეთესთან ერთად მას სურდოც დაემართა და, რაც არ უნდა ცდილიყო დამალვასა და თავის შეკავებას, უნებლიე მჭექარე დაცხიკება მოღალატურად აღმოაჩენდა ხოლმე მის სამყოფელს. ძალიან მალე მდინარისპირა სოფელში დიდი ალიაქოთი ატყდა, მაგრამ ბილბო დროულად გაიქცა ტყეში და თან გაიყოლა ერთი პური, ღვინით სავსე ტყავის მათარა და ნაზუქი – ყველაფერი სხვათა სუფრიდან. ღამის დარჩენილი ნაწილი გალია სველმა, ცეცხლისაგან მოშორებით, მაგრამ ამ ძნელ საქმეში სავსე მათარა დაეხმარა. ჰობიტმა ცოტა წათვლემაც კი მოახერხა მშრალი ფოთლების გროვაზე, თუმც წელიწადი უკვე იწურებოდა და ჰაერში სუსხი ტრიალებდა.

იგი განსაკუთრებით ხმამაღალმა დაცემინებამ გამოაღვიძა. უკვე რიბირაბო შემომდგარიყო; დაბლა, მდინარის მხრიდან მხიარული აურზაურის ხმები მოისმოდა. იქ კასრებისაგან კრავდნენ ტივებს, რომლებსაც მეტივე-ელფები მალე ტბის ქალაქისაკენ დააცურებდნენ. ბილბომ ისევ დააცემინა. მისი

ტანსაცმლიდან წყალი ალარ წვეთავდა, მაგრამ გამუდმებით სციოდა. იგი დაღმა გაეჩქარა იმდენად სწრაფად, რამდენად სწრაფადაც ახერხებდნენ მოძრაობას მისი გაფიჩხული ფეხები, და სწორედ დროულად მიაღწია ნაპირთან, ერთად შეგროვილ კასრებზე შეუმჩნევლად რომ მოეხერხებინა აცოცება. იღბლად მაშინ მზე არ ანათებდა და, მადლობა ღმერთს, ბილბოს კარგა ხანი არც დაუცემინებია.

მეტივეები ძლიერად დააწვნენ ორთაყვირებს. თავხელში მდგარმა ელფებმა ტივი ნაკადისაკენ გაათრიეს. ერთად შეკრული კასრები აჭრიალდნენ და აქანავდნენ.

– მძიმე ტვირთია! – აბუზღუნდა ზოგი, – ღრმად ზის წყალში. ამ კასრებიდან ზოგი ნამდვილად არ არის ცარიელი. დღისით რომ მოცურებულიყვნენ, შიგ ჩახედვასაც მოვახერხებდით.

– ახლა მაგის დრო არ არის! – დაიძახა მეტივემ, – მოანექით!

და ბოლოს, როგორც იყო, ისინი დაიძრნენ – თავიდან ნელ-ნელა, სანამ გასცდებოდნენ წყალში შეჭრილ კლდეს, რომლის ცხვირზეც სხვა ელფები იდგნენ და გრძელი ჭოკებით შუა ნაკადისკენ უბიძგებდნენ ტივს, შემდეგ კი უფრო სწრაფად და სწრაფად; მძლავრ დინებაში მოექცნენ და გაცურდნენ დაღმა და დაღმა, ტბისაკენ.

მოგზაურებმა თავი დააღწიეს ელფთა მეფის რისხვას და ტყიდანაც გამოვიდნენ, მაგრამ ცოცხლები გადარჩნენ თუ არა, ეს ჯერაც გასარკვევი იყო.

10 გულთბილი დახვედრა

ისინი მიცურავდნენ, დღე კი თანდათან ნათდებოდა და თბებოდა. შემდეგ მდინარემ მოუხვია, გვერდი უქცია მარცხნივ წამომართული მთის ციცაბო მხარს, რომლის ფეხქვეშ ტყლაშუნით და ბუყბუყით მიედინებოდა გაღრმავებული ნაკადი. უეცრად კლდე თვალს მიეფარა, ნაპირები დადაბლდა, ხეები გაუჩინარდნენ. და ბილბომ დაინახა:

მის გარშემო წყლით სავსე ფართო მხარე გადაშლილიყო – მდინარე აქ ასობით დაკლაკნილ ნაკადულად იქსაქსებოდა ან ჭაობებსა და გუბეებში ყოვნდებოდა და ყოველ მხარეს კუნძულებით იყო დალაქული, მაგრამ შუაში უცვლელად მიედინებოდა ერთი მძლავრი ტოტი. ხოლო შორს დაფლეთილ ღრუბლებში თავშეყოფილი მუქი მთა ილანდებოდა! ჯერ არ ჩანდა მისი უახლოესი მეზობლები ჩრდილო-აღმოსავლეთით, არც უსნორმასნორო მინები, რომლებიც მათთან აერთებდა – მთა ეულად აღმართულიყო და ჭაობებს გადმოღმა ტყეს გადმოსცქეროდა. ეული მთა! ბილბომ მის სანახავად შორი გზა გამოიარა და მრავალი თავგადასავალიც მოიტოვა უკან და ახლა, როდესაც ბოლოს და ბოლოს მიაღწია მთამდე, სულ არ მოენონა იგი.

ბილბო ყურს უგდებდა მეტივეების საუბარს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეიტყო, რომ ბედისათვის მადლობა უნდა შეეწირა, რაკი საერთოდ ეღირსა მთის ხილვა. რაც არ უნდა პირქუში ყოფილიყო მოგონებები ტყვეობაზე და არასასიამოვნო მისი იმჟამინდელი მდგომარეობა (რომ არაფერი ვთქვათ მის ქვეშ მოქცეულ საბრალო გნომებზე), იგი მაინც უფრო ილბლიანი გახლდათ, ვიდრე თავად ეგონა. ელფები საუბრობდნენ სანაოსნო ვაჭრობაზე, იმაზე, რომ ნაოსნობამ მდინარეზე სულ უფრო და უფრო იმატა, რაკიღა აღმოსავლეთიდან ტყებნელისაკენ მიმავალი გზები გაქრა ან გაუკაცრიელდა. ყვებოდნენ დავაზე, რომელიც ტბის მცხოვრებლებსა და ტყის ელფებს ჰქონდათ მდინარის მოვლისა და ნაპირების უხიფათობის შენარჩუნების გამო. ბევრი რამ შეიცვალა ბოლო რამდენიმე წელიწადშიც კი, მას შემდეგ, რაც გენდალფმა უკანასკნელად შეიტყო ამ მინების ავან-ჩავანი. ნყალდიდობებმა და თავსხმა წვიმებმა მდინარეები მოადიდა და ერთი-ორმა მიწისძვრამაც გადაიარა (ისინი, როგორც წესი, მიეწერებოდა დრაკონს, რომლის ხსენებისასაც თავს ავისმომასწავებლად გადაიქნევდნენ ხოლმე მთისკენ). ჭაობები და საფლობები ყოველმხრივ იზრდებოდა და იზრდებოდა, ბილიკები იკარგებოდა, იკარგებოდნენ

მხედრები და ქვეითნიც, ვინც დაკარგული ბილიკების პოვნას შეეცდებოდნენ. ელფთა ბილიკი, რომელსაც ბეორნის რჩევით დაადგნენ გნომები, ტყის აღმოსავლეთ კიდესთან სახიფათო და უკაცრიელ ადგილებში იკარგებოდა. ტყებნელის ჩრდილოეთ სანახებიდან აღმოსავლეთით, მთის ძირას გაშლილი ველებისაკენ ერთადერთ საიმედო გზად რჩებოდა მდინარე, რომელსაც ტყის ელფთა ხელმწიფე იცავდა.

როგორც ხედავთ, ბილბო ერთადერთ გამოსადეგ გზას დასდგომოდა. მას, იქნებ, ისე მწარე აღარ მოსჩვენებოდა კასრებზე ცახცახი, რომ სცოდნოდა, ჩვენს ამბავს გენდალფის ყურამდე მიულწევია და ძალიან შეშფოთებულა, ამიტომ სასწრაფოდ ამთავრებს თავის სხვა საქმეებს (რომელიც ჩვენს ამბავში არ მოგვიყოლია) და ემზადება, თორინის საძმოს მოსაძებნად გამოემგზავროსო. მაგრამ ბილბომ ეს არ იცოდა.

მან იცოდა მხოლოდ ის, რომ მდინარე უსასრულოდ გრძელდებოდა, გრძელდებოდა, გრძელდებოდა, რომ იგი მშიერი იყო, რომ საზიზღრად გაუცივდა ცხვირი და რომ სრულებით არ მოსწონდა ეული მთა, რომელიც, როგორც მას ეჩვენებოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო მუქარით უბღვერდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მდინარე სამხრეთისაკენ გადაიხარა და მთა კვლავ თვალს მიეფარა. ბოლოს, დღის ქრობის ჟამს, მდინარემ ისევ ერთად მოკრიბა თავისი დაფანტული წყლები ერთ ღრმა და ჩქარ ნაკადად და მათ სწრაფად გასწიეს წინ.

მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც მდინარე კიდევ ერთხელ შემობრუნდა, ამჯერად აღმოსავლეთისაკენ, და ტაბაგრძელში ჩაიღვარა კლდისდირეებიანი შესასვლელით, რომლის კიდეებიც ხვინჭკით მოფენილიყო. ტაბაგრძელი! ბილბოს ვერ წარმოედგინა, რომ ზღვის გარდა რაიმე სხვა წყალიც შეიძლებოდა ამხელა ყოფილიყო. შორს ერთი ციდად ძლივს ილანდებოდა გაღმა ნაპირი, ხოლო გრძლად გაწოლილი წყლის ჩრდილო კიდე, რომელიც პირდაპირ მთისკენ იყო მიმართული, საერთოდ არ ჩანდა სიშორის გამო. მხოლოდ რუკებიდან იცოდა ბილბომ, რომ სწორედ იქით, სადაც უკვე ციმციმს იწყებდნენ ვაინის ვარსკვლავები, დეილიდან ტაბაგრძელისაკენ მოსჩქეფდა მდინარე ჩქერული და ტყის მდინარესთან ერთად ღრმა წყლებით ავსებდა ტბას, რომელიც ოდესღაც დიდი და ჩაღრმავებული მაღლივი ვაკე უნდა ყოფილიყო. სამხრეთ ბოლოსკენ ორი მდინარის წყალი მაღალ ჩანჩქერებად გადმოედინებოდა ტბის კლდოვანი პირიდან და შემდეგ გაჩქარებით მირბოდა უცნობი მიწებისაკენ.

ტყის მდინარის შესართავის შორიახლოს გაშენებული იყო ის უცნაური ქალაქი, რომლის შესახებაც ბილბომ მეფის სარდაფებში ელფთა საუბრიდან შეიტყო. ქალაქი გაშენებული იყო არა ნაპირზე – თუმც იქაც მოჩანდა რაღაც ქოხმახები და ნაგებობები – არამედ პირდაპირ წყლის ზედაპირზე, ტბაში

შემოჭრილი მდინარის მორევებისაგან კლდის კონცხით დაცულ წყნარ ყურეში. ვეებერთელა ხის ხიდი ებჯინებოდა ბაქანს, სადაც უზარმაზარ ხიმინჯებზე შედგმული იყო ხის საქმიანი ქალაქი, არა ელფების ბინა, არამედ საცხოვრისი იმ ადამიანებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ბედავდნენ, მოშორებით მდგარი დრაკონის მთის ჩრდილქვეშ დასახლებულიყვნენ. ისინი დღემდე წარმატებულად ვაჭრობდნენ სამხრეთთან, საქონელი დიდ მდინარეს ამოუყვებოდა, შემდეგ კი, ჩანჩქერებიდან, ფორნებით გადაჰქონდათ ქალაქში. მაგრამ ძველ, დიდებულ დღეებში, როდესაც ჩრდილოეთიდან მდიდარი და დალხინებული დეილი მეზობლობდათ, ტბის ქალაქიც მეტი სიუხვითა და ძლიერებით ყვაოდა, მაშინ წყალზე ხომალდების ფლოტილიები დაცურავდა, ზოგი ხომალდი ოქროთი იყო სავსე, ზოგი – შეჭურვილი მეომრებით, და იყო ომები და საქმენი საგმირონი, რომელნიც დღეს მხოლოდ ლეგენდებს თუ შემორჩენია. ძველი, დიდი ქალაქის ლპობაშეპარული ხიმინჯები ახლაც ჩანდა ხოლმე ნაპირის გასწვრივ, როდესაც გვალვაში წყალი უკან იხევდა.

მაგრამ ადამიანებს ცოტა რამ ახსოვდათ იმ დროიდან, თუმც ზოგნი ჯერაც მღეროდნენ ძველ სიმღერებს მთის მფლობელ გნომთა მეფეებზე, დარინის შთამომავალ თრორსა და თრეინზე, დრაკონის მოსვლასა და დეილის ხელმწიფეთა დამხობაზე. ზოგი იმასაც მღეროდა, რომ ერთ დღესაც უკან დაბრუნდებიან თრორი და თრეინი, მთის ჭიშკრიდან მდინარეს ღვარად ჩამოყვება ოქრო და მთელი მხარე ახალი სიმღერებითა და სიცილით აივსება. მაგრამ ეს საამური ლეგენდები დიდად არ ცვლიდა მათ დღიურ საქმიანობას.

როგორც კი ტივი ქალაქის გარშემო ჩარიგებული ნავების თვალსაწიერზე გამოჩნდა, მოსულებს მისალმების ხმები შემოესმათ. გადმოაგდეს ბაგირები, ამუშავდა ნიჩბები. მალე ტივი ტყის მდინარის ნაკადიდან გაიყვანეს და კლდის მაღალი კონცხის გარსშემოტარებით ტბის ქალაქის პატარა ყურეში შეათრიეს. აქ იგი ნაპირთან დააბეს, ხმელეთს მიბჯენილი დიდი ხიდის შორიახლოს. მალე უნდა მოსულიყვნენ სამხრეთელი ვაჭრები, რომლებიც თან წაიღებდნენ კასრებს, ხოლო ზოგს კვლავ შეავსებდნენ მოტანილი საქონლით და მდინარის ალმა ისევ ელფთა მეფეს გაუგზავნიდნენ. ჯერჯერობით კი კასრები წყალზე სატივტივოდ დატოვეს, ელფები და მენავეები კი ტბის ქალაქში გაემართნენ საქეიფოდ.

ისინი ალბათ გაოცდებოდნენ, რომ ენახათ, რა ხდებოდა იქ, ნაპირთან მას შემდეგ, რაც ყველანი წავიდნენ და ღამის ჩრდილები ჩამოწვა: ბილბომ ტივიდან კასრი გამოხსნა, ნაპირზე აათრია და გახსნა. მოისმა კვნესა და გარეთ უსაზღვროდ უბედური გნომი გამოცოცდა. მოთელილ წვერებში სველი ნამჯა გასჩროდა, გასავათებულ-გაფიჩხულმა, დაჟეჟილ-დაბეგვილმა ძლივს შეძლო, წამომდგარიყო და ბარბაცით გაეარა თავხელი, რათა კვნესით დაცემულიყო



ტბის ქალაქი

ნაპირზე. ისეთი დამშეული და გატყიურებული შესახედაობა ჰქონდა, როგორც ძაღლს, რომელიც ჯაჭვით დაბმული ერთი კვირით მიავინყდათ ხუხულაში. ეს თორინი იყო, მაგრამ ამის გამოცნობა მხოლოდ ოქროს ჯაჭვით, ბინძური და დაკონკილი ლაჟვარდისფერი ლაბადით და ბზინვადაკარგული ვერცხლის ფუნჯით შეიძლებოდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ იგი ადამიანურად გამოელაპარაკებოდა ჰობიტს.

– ჰა, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? – შეეკითხა ბილბო საკმაოდ მკვახედ. მას ალბათ დაავიწყდა, რომ, გნომებისგან განსხვავებით, ამ მოგზაურობის დროს ერთხელ მაინც მიირთვა ლაზათიანად და ხელ-ფეხსაც თავისუფლად ხმარობდა, რომ არაფერი ვთქვათ თავისუფლად სუნთქვის უპირატესობაზე, – ჯერ კიდევ ციხეში ზიხარ თუ გათავისუფლდი? თუკი გინდა საჭმელი და თუკი გსურს, კვლავაც გააგრძელო ეს ბრიყვული თავგადასავალი – ბოლოს და ბოლოს, იგი თქვენია და არა ჩემი – ხელები ატყაპუნე, ფეხები დაისრისე, გაინძერი და შეეცადე, მომეხმარო, სხვებიც გამოვიყვანო, სანამ ეს შესაძლებელია!

თორინმა, ცხადია, საღი აზრი შენიშნა მის სიტყვებში, ამიტომ ცოტაოდენი კვნესის შემდეგ წამოდგა და დაეხმარა ჰობიტს, როგორც შეეძლო. წინ კი ძნელი და საძაგელი საქმე ედოთ: სიბნელეში გაყინულ წყალში უნდა ეჭყაპუნათ, ეფართხალათ და როგორღაც გამოერჩიათ საჭირო კასრები, გამოეხსნათ და ნაპირზე აეთრიათ. გამოშვებული გნომები ნაპირზე ისხდნენ, გაურკვევლად ლუღლუღებდნენ, კრუსუნებდნენ, ისინი ისე დამბალიყვნენ, დაჟეჟილიყვნენ და დაკრუნჩხულიყვნენ, რომ ბოლომდე ვერც აცნობიერებდნენ გათავისუფლებას და ვერც ახერხებდნენ, მადლიერნი ყოფილიყვნენ.

დვალინი და ბალინი ყველაზე უფრო დაეჩაგრა ამ მოგზაურობას და, ცხადია, დახმარებას ვერც სთხოვდი. ბიფური და ბოფური ნაკლებად დაბეგვილები და უფრო მშრალებიც იყვნენ, მაგრამ ნაპირზე გაიშოტნენ და არაფერი გაუკეთებიათ. მაგრამ ფილი და კილი, რომელნიც ახალგაზრდებიც იყვნენ (გნომთა კვალობაზე) და სხვებზე უფრო მოხერხებულადაც იყვნენ შეფუთულები მომცრო კასრებში ბლომად ნამჯით, გარეთ ასე თუ ისე მომღიმარნი გამოძვრნენ, თითო-ოროლა დაბეჟილობით, და გაფიჩხული ხელ-ფეხიც უფრო მალე აამოძრავეს.

– იმედია, ცხოვრებაში აღარასოდეს ვიგრძნობ ვაშლის სუნს! – წარმოთქვა ფილიმ, – ჩემი ხომალდი მთლად ვაშლის სუნად ყარდა. გამუდმებით ამ სუნის ყნოსვამ, როდესაც ძლივს ინძრევი, იყინები და შიმშილისგან ხარ მისავათებული, ჭკუიდან შეიძლება გადაგიყვანოს! ახლა მე შემიძლია, ვჭამო და ვჭამო საერთოდ ნებისმიერი საჭმელი, რაც კი ქვეყნად არსებობს, ოღონდ ვაშლები არ დამანახოთ!

ფილის და კილის თავგამოდებული დახმარებით თორინმა და ბილბომ, როგორც იქნა, სხვებიც ალმოაჩინეს. საბრალო სქელ ბომბურს ჩასძინებოდა, თუ გონი დაჰკარგვოდა. დორის, ნორის, ორის, ოინსა და გლოინს წყალი ეყლაპათ და ცოცხალმკვდრებს ჰგავდნენ. ისინი სათითაოდ გადაიტანეს ნაპირზე და უმწეოდ მიაწვინეს მიწაზე.

– კეთილი და პატიოსანი. ყველანი აქა ვართ, – თქვა თორინმა, – და, ვფიქრობ, ამისათვის მადლი უნდა შევწიროთ ბედის ვარსკვლავსა და მისტერ ბეგინსს. მე მწამს, რომ მას სრული უფლება აქვს, მადლობას მოელოდეს ჩვენგან, თუმც ვისურვებდი, რომ მის მიერ მოწყობილი მოგზაურობა უფრო სასიამოვნო ყოფილიყო. და მაინც – ჩვენ ყველანი მთელი სულითა და გულით კიდევ ერთხელ მზად ვართ, გემსახუროთ, მისტერ ბეგინს. უეჭველად, მეტად აღვივსებით მადლიერებით, როდესაც დავნაყრდებით და შევიმოსებით. ახლა საით გავწიოთ?

– მე ტბის ქალაქში ნასვლას გთავაზობთ, – მიუგო ბილბომ, – სხვაგან სად?

სხვას ვერც ვერაფერს მოიფიქრებდნენ, ამიტომაც თორინმა, ფილიმ, კილიმ და ჰობიტმა დანარჩენები დატოვეს და ნაპირის გასწვრივ დიდი ხიდისაკენ გაემართნენ. ხიდის თავში გუშაგები იდგნენ სადარაჯოზე, მაგრამ არცთუ ფხიზლობდნენ – უკვე ძალიან დიდი დრო გასულიყო მას შემდეგ, როდესაც ხიდს მართლაც ესაჭიროებოდა დაცვა. თუ არაფრად ჩავთვლით ზოგჯერ ამტყდარ კინკლაობას საბაჟო საკითხებზე, ადამიანებს კეთილი მეზობლობა ჰქონდათ ტყის ელფებთან, სხვა მხარის ადამიანები კი აქედან ძალიან შორს ცხოვრობდნენ. ქალაქის ზოგიერთი ახალგაზრდა მცხოვრები უკვე დაუფარავად ეჭვობდა, საერთოდ არსებობს თუ არა მთის დრაკონიო, და სიცილს აყრიდნენ ჭალარაწვეროსნებს, რომლებიც ყვებოდნენ, ახალგაზრდობაში საკუთარი თვალით ვიხილეთ, როგორ დაფრინავდა დრაკონი ღრუბლებშიო. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გუშაგები უზრუნველად სვამდნენ და იცინოდნენ თავიანთ ფარდულში ცეცხლის პირას და არ გაუგონიათ არც კასრების გახსნის ხმაური და არც ოთხი მზვერავის ნაბიჯების ხმა. ისინი უზომოდ განცვიფრდნენ, როდესაც კარში თორინ ოუკენშილდმა შეაბიჯა.

– ვინ ხართ და რა გინდათ? – დაიძახეს მცველებმა, ფეხზე წამოიჭრნენ და იარაღზე იტაცეს ხელი.

– თორინი, ძე თრეინის, თრორის ძისა, მთისქვეშა მეფეთა შთამომავალი! – წარმოთქვა გნომმა ხმამაღლა. მართლაც, თუმც დაგლეჯილი ტანსაცმელი მოსავდა და დასვრილი ჩაჩი ეხურა, მაინც მეფური შესახედაობა ჰქონდა თორინს. ოქრო უელავდა ყელსა და ნელზე, უძირო მუქი თვალებით შესცქეროდა დამხვდურებს, – მე დავბრუნდი. მსურს, თქვენი ქალაქის თავი ვიხილო!

მის სიტყვებს გაუგონარი ფორიაქი მოჰყვა. ზოგიერთნი, უფრო ბრიყვები,

გარეთაც გამოცვივდნენ ფარდულიდან, თითქოს ღამეში ოქროდ ქცეული მთისა და ოქროფერილი ტბის ხილვას მოელოდნენ. გუშაგების კაპიტანი წინ წამოდგა.

– ესენი ვინლა არიან? – იკითხა მან და ფილის, კილის და ბილბოს მიათითა.

– მამის ჩემის ასულის ძენი, – მიუგო თორინმა, – ფილი და კილი დარინის მოდგმიდან. და მისტერ ბეგინსი, ჩვენთან ერთად დასავლეთიდან გამომგზავრებული.

– თუკი მშვიდობით მოსულხართ, იარაღი აიყარეთ! – მოითხოვა კაპიტანმა.

– ჩვენ იარაღი არა გვაქვს, – მიუგო თორინმა, რაც საკმაოდ მართალი იყო: გნომებს ტყის ელფებმა ჩამოართვეს დანები, მათვე წარილეს გმირი მახვილი ორკრისტიც. ბილბოს კი ჰქონდა თავისი მოკლე სატევარი, ახლაც ტანსაცმელში ჩამალული, მაგრამ არაფერი თქვა, – ჩვენ არც გვესაჭიროება იარაღი, საკუთარ მიწაზე მობრუნებულებს, როგორც ძველი სიმღერები წინასწარმეტყველებდნენ. და არც შეგვიძლია, შევებრძოლოთ ესოდენ მრავალრიცხოვან ქალაქს. წაგვიყვანეთ თქვენს მმართველთან!

– იგი ამჟამად ლხინზეა, – თქვა კაპიტანმა.

– მაშ, მეტი მიზეზიცაა, რომ მასთან წაგვიყვანო! – იფეთქა ფილიმ, რომელსაც მოთმინება გამოელია მთელი ამ ზეიმურობის გამო, – ჩვენ დავიქანცეთ, მივსავათდით შიმშილისაგან, ჩვენი მეგობრები შეუძლოდ არიან. ამიტომ მარდად გაისარჯე და დაგვდე პატივი, მეტს ნულარ გვალაპარაკებ, თორემ, ვინ იცის, იქნებ თქვენმა ბატონმა არც მოგიწონოთ სამსახური.

– მაშ, მომყევით, – დათანხმდა კაპიტანი და ექვსი კაცის თანხლებით წინ წაუძღვა მოსულებს, გადაატარა ხიდი, შემდეგ გაიარეს ჭიშკარი და გავიდნენ ქალაქის მთავარ მოედანზე. ეს იყო დიდძალი წყლის ფართო წრე, მაღალ ხიმინჯებზე აგებული მოზრდილი სახლებით მოსაზღვრული, წყალს გარს ევლებოდა ხის გრძელი სანაპირო, რომელიც აურაცხელი საფეხურით და კიბეებით ტბის ზედაპირისკენ ჩაგიძღვებოდა. ქალაქის რატუშიდან კაშკაშა შუქები ანათებდა და მრავალი მოსაუბრის ხმა ისმოდა. მოსულებმა შევლეს რატუშის კარი და შესასვლელთან შეჩერდნენ, მკვეთრი შუქის გამო თვალებს ჭუტავდნენ და გრძელ მაგიდებს შემომსხდარ ხალხს აცქერდებოდნენ.

– მე ვარ თორინი, ძე თრორის, თრეინის ძისა, მთისქვეშა მეფეთა შთამომავალი! მე დავბრუნდი! – დასჭექა თორინმა კარიდანვე, სანამ კაპიტანი რამის თქმას მოასწრებდა.

ყველანი ზეზე წამოიჭრნენ. ქალაქის მმართველიც წამოდგა თავისი სავარძლიდან. მაგრამ ისე არავინ გაოცებულა, როგორც მეტივე ელფები, რომლებიც დარბაზის შორეულ ბოლოში ისხდნენ. ისინი მმართველის მაგიდის წინ მოქუჩდნენ და შესძახეს:

– ესენი ჩვენი მეფის ტუსაღები გახლავან, გამოქცეულნი! ეს მოხეტიალე მანანწალა გნომები, რომელთაც ვერ შეძლეს, რიგიანად განემარტათ თავისი საქმენი, ტყეში დაძრწოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს ხალხს!

– ეს მართალია? – იკითხა მმართველმა. სიმართლე თუ გნებავთ, მას ამგვარი ახსნა ჭკუასთან უფრო ახლოს ეჩვენებოდა, ვიდრე მთისქვეშა მეფის დაბრუნების შესაძლებლობა, თუკი საერთოდ არსებობდა ამგვარი მეფე ოდესმე.

– სიმართლე ისაა, რომ ჩვენ უსინდისოდ ჩაგვისაფრდა ელფთა მეფე და უმიზეზოდ დაგვატყვევა მაშინ, როდესაც ჩვენი საკუთარი მიწებისაკენ მოვეგზავრებოდით, – მიუგო თორინმა, – მაგრამ ვერა კლიტე და რაზა ვერ ალუდგება ძველთაგანვე ნაწინასწარმეტყველებ შინმობრუნებას. არც ეს ქალაქია ტყის ელფთა სამეფო. მე სიტყვა მაქვს ტბელ კაცთა ქალაქის მმართველთან და არა მეფის მეტივეებთან.

ქალაქის მმართველი ყოყმანობდა, ხან ერთს გადახედავდა, ხან მეორეს. ელფთა ხელმწიფის ძლიერება მთელ იმ მხარეს ეფინებოდა და ქალაქის თავს არ სურდა მასთან მტრობის ჩამოგდება. იგი ნაკლებად უგდებდა ყურს ძველ სიმღერებს, ბევრად უფრო აინტერესებდა ვაჭრობა და ბაჟები, ტვირთი და ოქრო, სწორედ ამის წყალობით მიანდვეს ქალაქის მართვა. ოღონდ მმართველის თანამოქალაქენი სხვაგვარად ფიქრობდნენ და სულ მალე საკითხი უმისოდაც გადაიჭრა. ახალი ამბავი ცეცხლის ალივით გამოიჭრა დარბაზის კარიდან და მალე მთელ ქალაქს მოედო. შეგროვილი ხალხი გაჰყვიროდა რატუშასა და ქუჩებში, სანაპიროც საჩქაროდ გადაივსო ხალხით. ზოგმა ძველი სიმღერების ნაწყვეტების მღერა წამოიწყო, სიმღერებისა, რომლებიც მთისქვეშა მეფის დაბრუნებას მოასწავებდნენ. იმას, რომ უკან დაბრუნდა არა თავად თრორი, არამედ თრორის შვილიშვილი, სრულებით არად აგდებდნენ. მეტმა და მეტმა მომღერალმა აიტაცა სიმღერა და მან ხმამაღლა, მძლავრად გადაიგუგუნა ტბაზე:

მთის ქვეშეთების მეფე,
მეფე ნაკვეთი ქვის,
ბატონი ვერცხლის მთების,
დაბრუნებულა შინ.

კვლავ დაადგამენ გვირგვინს,
სიმს აუჟღერებს არფას,
ოქროს დარბაზში ივლის,
იმღერს ძველისძველ ზღაპარს.

ტყე იმღელვარებს მთაზე
და ბალახები მზის ქვეშ,
განძი ქვაბულებს ავსებს,
მდინარე ოქროდ იდენს.

ღვარი წამოვა ლალად,
ტბა გაბრწყინდება მეტად,
დარდი და მწუხრი წავა,
როს მეფე დაბრუნდება!

ასე, ან თითქმის ასე მღეროდნენ ისინი, ოღონდ ბევრად უფრო ვრცლად და დანვრილებით, სიმღერასთან ერთად ყვირილიც ბევრი ისმოდა, მაგრამ მალე მას არფებისა და ვიოლინოს ჰანგებიც დაერთო. ამგვარი ალტაცება ქალაქში ყველაზე უფრო მხცოვან ბაბუებსაც კი არ ახსოვდათ. თავად ტყის ელფებიც დიდ საგონებელში ჩაცვივდნენ და ცოტათი კიდევაც შეშინდნენ. მათ არ იცოდნენ, თუ რა გზით დაალწია თავი თორინმა დილეგს და უკვე იმასაც ფიქრობდნენ, ჩვენმა მეფემ დიდი შეცდომა ჩაიდინა, გნომები რომ დაატყვევეთ. მმართველმა კი გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუკი დაემორჩილებოდა საყოველთაო მოთხოვნას, ჯერჯერობით მაინც, და თავს ისე მოაჩვენებდა, თითქოს სჯეროდა, თორინი მართლაც იგია, რადაც თავს ასაღებსო. ამიტომაც მან თავისი სავარძელი დაუთმო თორინს, ხოლო ფილი და კილი გვერდით მიუსხა საპატიო ადგილებზე. ბილბოსაც კი სუფრის თავში მიუჩინეს ადგილი და თუმც მასზე გადაკვრითაც არაფერი იყო სიმღერებში თქმული, საყოველთაო ალიაქოთში არავის უფიქრია, მისთვის ეკითხა, შენ ვინღა ხარ და საიდანღა მოსულხარო.

სულ მალე სხვა გნომებიც მოიყვანეს და ისინიც დაუყოვნებლივ მოექცნენ საყოველთაო ალტკინების შუაგულში. მოსულებს ყველას უწამლეს, გამოკვებეს, დააბინავეს, სიხარულით ევლებოდნენ თავს და ყოველნაირად ცდილობდნენ, ეამებინათ მათთვის. თორინსა და მის ხალხს ერთი დიდი სახლი დაუთმეს, მიუჩინეს ნავები და მენიჩბეები. სახლს გარშემო აუარება ხალხი ეხვეოდა, დღედაღამ სიმღერებს დასძახოდნენ და ალტაცებით გუგუნებდნენ, თუკი რომელიმე გნომი გარეთ ცვივრის გამოყოფას ინებებდა.

ნაწილი სიმღერებისა ძველი და ნაცნობი იყო, მაგრამ გაისმოდა სრულიად ახალი სიმღერებიც, რომლებიც დაბეჯითებით ამცნობდნენ ყველას, დრაკონი სულ მალე მოკვდება და მდინარე ჩქერულას მდიდრული საჩუქრებით დატვირთული გემები დაუყვებაო. ამგვარი სიმღერების შთამაგონებელი უმეტესად ქალაქის მმართველი გახლდათ და გნომებს დიდად არ ეხატებოდა

ისინი გულზე, მაგრამ საერთოდ ჩვენი მეგობრები ბედის კმაყოფილები იყვნენ, ძალიან მალე ისევ მოსუქდნენ და მოლონივრდნენ. ერთ კვირაში უკვე სავსებით გამოჯანმრთელდნენ და ამაყად დაიბღინძებოდნენ თავ-თავისი ფერის მდიდრულ სამოსში გამოწყობილები, საგულდაგულოდ შემოკვეცილი და დავარცხნილი წვერებით. თორინი ისე დააბიჯებდა და ისე ამაყად გადმოსცქეროდა ყველას, თოთქოს სამეფო უკვე დაბრუნებული, ხოლო სმაუგი პატარ-პატარა ნაჭრებად აკუწული ეგულებოდა.

იმ დღეებში, როგორც თორინი ადრევე ვარაუდობდა, გნომთა თბილი გრძნობები პატარა ჰობიტის მიმართ იზრდებოდა და იზრდებოდა. აღარავინ კვნესოდა და ბუზღუნებდა, ისინი სვამდნენ ბილბოს სადღეგრძელოებს, მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ, ყოველნაირად თავს ევლებოდნენ. სნორედაც რომ სჭირდებოდა ბილბოს მათი მხარდაჭერა, რადგან ვერ იყო სხვებივით მხნედ და უზრუნველად – მას ვერ დაევინყებინა მთის პირქუში იერსახე, ვერც დრაკონზე ფიქრს იშორებდა თავიდან და, გარდა ამისა, საშინელი სურდო სჭირდა. სამი დღის განმავლობაში იგი აცხიკებდა, ახველებდა და გარეთ ვერ გამოდიოდა, და შემდეგაც მისი სიტყვა ბანკეტებზე ამოიწურებოდა ფრაზით „ძალიად დიდი ბადლობა".

ამასობაში საქონლით დატვირთული ტყის ელფები კვლავ უკან აუყვნენ ტყის მდინარეს. მეფის სასახლეში დიდი ალიაქოთი ატყდა. არ ვიცი, რა ბედი ეწია დაცვის მეთაურს ან მოურავს. გნომებს ტბის ქალაქში, ცხადია, სიტყვაც არ დასცდენიათ გასაღებების და კასრების შესახებ, ბილბოც საკმაოდ ფრთხილი იყო საიმისოდ, რომ უცხოთა თვალწინ არ გაუჩინარებულიყო. ელფებმა ზოგი რამ შეიტყვეს, უფრო მეტი – ივარაუდეს, თუმც მისტერ ბეგინსი მათთვის კვლავ გამოცანად რჩებოდა. მაგრამ, ასე თუ ისე, მეფემ უკვე იცოდა, რა განზრახვა ჰქონდათ გნომებს, ან ფიქრობდა, ვიცი, და გულში თქვა:

– ძალანაც კარგი! ვნახოთ, ვნახოთ! ტყებნელის გზით ვერა განძეულს ვერ გადაზიდავენ უკან ჩემი ნებართვის გარეშე, მაგრამ, ვფიქრობ, ისინი ცუდად დაამთავრებენ ამ საქმეს და ღირსებიც იქნებიან.

ელფთა ხელმწიფე არ ფიქრობდა, გნომები სმაუგის მსგავს დრაკონთან ბრძოლას და მის დამარცხებას აპირებენო და ეჭვობდა, ნამდვილად შეეცდებიან, პარვით ჩაიგდონ ხელში განძეულიო. როგორც ხედავთ, იგი ბრძენი ელფი იყო და უფრო შორსმჭვრეტელიც გახლდათ, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლები, თუმც, როგორც შევიტყობთ, ბოლომდე არც მისი ვარაუდები გამართლდა. მან ჯაშუშები დაგზავნა ტბის სანაპიროებსა და უფრო ჩრდილოეთით, მთისაკენაც – სადამდეც გაბედავდნენ ისინი მისვლას – და ცდა დაიწყო.

ორი კვირა მიიწურა და თორინმა გამგზავრებაზე დაიწყო ფიქრი. მათ მანამ

უნდა ეთხოვათ დახმარება, სანამ ქალაქში აღტაცება და მოწადინება ჩაიფერფლებოდა; დაყოვნება, სანამ ხალხს ხალისი გამოუნელდებოდა, არაფერს არგებდათ. ამიტომაც თორინმა ქალაქის მმართველსა და მის მრჩევლებს მიმართა და მოახსენა, რომ მალე თავად იგი და მისი ხალხი კვლავ მთისკენ მიმავალ გზას უნდა დასდგომოდნენ.

სწორედ მაშინ მმართველი პირველად გაოცდა, ცოტათი შეშინდა და გაიფიქრა, ნუთუ თორინი მართლაც ძველ მეფეთა მემკვიდრეაო? იგი დარწმუნებული იყო, რომ გნომები ვერ გაბედავდნენ სმაუგის სიახლოვეს გაჭაჭანებას და ფიქრობდა, მოსულები ჩვეულებრივი თაღლითები არიან და მათი ტყუილი ადრე თუ გვიან გამომჟღავნდებაო. მაგრამ იგი ცდებოდა. თორინი ჭეშმარიტად მთისქვეშა მეფის შვილიშვილი იყო და არავინ იცის, რას ვერ გაბედავს ან არ მოიმოქმედებს გნომი შურისსაძიებლად ან მისი კუთვნილების დასაბრუნებლად.

მაგრამ მმართველს ძალიანაც არ სწყდებოდა გული მათი წასვლის გამო. გნომების შენახვა ძვირი ჯდებოდა, თანაც მათმა ჩამოსვლამ ქალაქის ცხოვრება ერთ გაგრძელებულ დღესასწაულად გადააქცია, მუშაობაზე აღარავინ ფიქრობდა და საქმეც შეფერხდა. „სადაც უნდათ, იქ წავიდნენ, მოაბეზრონ სმაუგს თავი და იმასაც ნახავენ, რა შეხვედრას მოუწყობს", – გაიფიქრა მან, ხმამაღლა კი ასე თქვა:

– რა თქმა უნდა, ო, თორინ, ძეო თრეინის, თრორის ძისა! შენ უნდა მოითხოვო ის, რაც გეკუთვნის. ახლოა ჟამი, ძველთაგან უწყებული. თქვენად იგულეთ ყველაფერი, რითაც კი შეგვიძლია დაგეხმაროთ, ხოლო ჩვენ გვწამს თქვენი მადლიერების მას შემდეგ, რაც კვლავ მოიპოვებთ თქვენს სამეფოს.

და ასე, ერთ დღეს, თუმც შემოდგომა უკვე იწურებოდა და ცივ ქართა ქროლვით სწრაფად შიშვლდებოდნენ ხეები, ტბის ქალაქიდან სამი დიდი ნავი გამოცურდა. ნავებზე ისხდნენ მენიჩბეები, გნომები, მისტერ ბეგინსი და თან უამრავი საგზალი მიჰქონდათ. ცხენები და პონები შემოვლითი გზით გააგზავნეს დანიშნულ ადგილამდე, სადაც ისინი ხმელეთზე გადმოსხდომას აპირებდნენ. მმართველი და მისი მრჩევლები რატუშის ფართო, წყლისკენ დაშვებული კიბიდან გამოემშვიდობნენ წამსვლელებს. ხალხი მღეროდა სანაპიროებზე, მღეროდნენ გამოლებული ფანჯრებიდანაც. შხაპუნით ჩაეშვა წყალში თეთრი ნიჩბები, თორინის ხალხი აღმა, ჩრდილოეთისაკენ, თავისი გრძელი მოგზაურობის ბოლო ამბისაკენ აუყვა ტბას. და მათ შორის ერთადერთი, ვინც თავს უბედურად გრძნობდა, იყო ბილბო.

11 ზღურბლზე

ორ დღეში მათ პირდაპირ გადაჭრეს ტაბაგრძელი და მდინარე ჩქერულას ნაკადებში შეცურდნენ. ახლა თვალსაწიერს თითქმის ერთიანად ფარავდა მათ წინ ქუშად და მაღლივად წამომართული ეული მთა. ნაკადი მძლავრი იყო, ისინი ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. მესამე დღის ბოლოსათვის ნავები მდინარის მარცხენა, დასავლეთის ნაპირს მიაყენეს შესართავიდან რამოდენიმე მილის დაშორებით და ხმელეთზე გადმოსხდნენ. აქ უკვე ელოდათ სურსათით და სხვა საჭირო ნივთებით დატვირთული ცხენები, აგრეთვე პონები სამგზავროდ – ისინი წინასწარ გამოგზავნეს ქალაქიდან. გნომებმა ტვირთის ნაწილით პონები დატვირთეს, დანარჩენი კი გაჭიმულ კარავში შეინახეს. ქალაქელთაგან არავინ მოისურვა თუნდაც ერთი ღამით დარჩენა მთასთან ასე ახლოს.

– ჯერ მოვიცდით, როდის ახდება ძველი სიმღერები, – განაცხადეს მათ. ამ ველურ ადგილებში უფრო იოლი იყო, დრაკონის არსებობა გერწმუნა, ვიდრე თორინის ძალმოსილება დაგეჯერებინა. მართლაც რომ არ სჭირდებოდა მცველი გნომების სანყობს – მთელი ეს მხარე დრაკონის შიშს გაეუდაბურებინა და დაეცარიელებინა. მალე გამცილებლებმა დატოვეს მგზავრები, ნელ-ნელა დაუყვა ზოგი მდინარეს, ზოგიც მდინარისპირა ბილიკებს, თუმც უკვე ღამე წვებოდა.

ის ცივი ღამე მათ მარტო დარჩენილებმა გაათიეს და მათი მხნეობა და რიხი თვალსა და ხელს შუა გამოილია. მეორე დილით ისინი კვლავ ამხედრდნენ. ბალინი და ბილბო მწკრივის ბოლოს მიჩაქჩაქებდნენ, თან ალვირებით მიყავდათ კიდევ თითო დატვირთული პონი. დანარჩენები უფრო წინ წასულიყვნენ, იოლ გზას არჩევდნენ, რადგან აქეთ ბილიკები აღარ იყო. გეზი ჩრდილოდასავლეთისაკენ აიღეს, ალმაცერად შორდებოდნენ მდინარე ჩქერულას და უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ეული მთის ვეებერთელა მხარს, პირდაპირ მათკენ რომ გამოწვდილიყო.

მგზავრობა დამღლელი იყო, ისინი წყნარად და პარვით მიიწევდნენ წინ. აღარ ისმოდა სიცილი, აღარც სიმღერა და ქნართა ჟღერა. ის თავმონონება და იმედები, ტბის ქალაქში რომ დაესახათ გულს ძველი სიმღერების სმენით, ახლა უძირო სასოწარკვეთილებაში დაიძირა. მათ იცოდნენ, რომ უკვე მიაწიეს მოგზაურობის დასასრულს და ეს დასასრული, ვინ იცის, რა საზარელი შეიძლებოდა ყოფილიყო! მათ გარშემო გაშავებულ-გადატრუსული მინები

იშლებოდა, თუმც თორინი მოუთხრობდათ, ოდესღაც აქაურობა ამწვანებული და მშვენიერი იყოო. აქა-იქ თუ მოჩანდა ბალახი, ცოტა ხნის მერე ბუჩქები და ხეებიც გაქრა, მხოლოდ დაჩეხილი და გაშავებული კუნძები ხვდებოდათ. მათ დრაკონის ნაოხარს მიაღწიეს, და მიაღწიეს წელიწადის მიწურულს.

მთის კალთებს ისე მიადგნენ, რომ დრაკონის ბუნაგის გარშემო აოხრებული მიწების გარდა სხვა რამ კვალი და სახიფათო ნიშანი არ შეუმჩნევიათ. მთა, ბნელი და მდუმარე, თვალშეუდგამი სიმაღლით წამომართულიყო მათ წინ და თავსზემოთ. პირველი ბანაკი სამხრეთ მხარის დასავლეთ ფერდობზე დასცეს. ამ მხარეს ძველი საგუშაგოც იყო, ოღონდ მათ ვერ გაბედეს იქ აცოცება, იმ თვალსაჩინო ადგილიდან ზედმეტად არავის შეეჩხიროთ თვალშიო.

სანამ დამალული კარის საძებრად მთის დასავლეთი თხემის ჩხრეკას შეუდგებოდნენ, თორინმა მთავარი ჭიშკრის წინ გაშლილი სამხრეთ მიწების მოსათვალიერებლად სადაზვერვო გასვლა მოაწყო. საამისოდ მან გაგზავნა ბალინი და ფილი და კილი, მათ გაყვა ბილბოც. მათ პარვით გაიარეს რუხი და მდუმარე ჭიუხების ძირში და ყორანგორის ძირს მიადგნენ. აქ მდინარე ასრულებდა დეილის ველის გარშემო განიერ მარყუჟზე შემორბენას, ზურგს აქცევდა მთას და მძლავრად და ხმიერად მიედინებოდა ტბისაკენ. სანაპირო შიშველი და კლდოვანი იყო, შემაღლებულიდან ციცაბოდ ეშვებოდა ნაკადისაკენ. მაღალი ნაპირიდან, დაბლა ლოდებს შორის მოქცეული აქაფებული და შხეფებიანი დინების მილმა მათ ფართო ველს გადახედეს და იხილეს მთის მხრებით დაჩრდილული რუხი ნანგრევები, უძველესი სახლების, კოშკებისა და კედლების ნგრეული ნაშთი.

– აი, დეილიდან ისღა გადარჩა, რაც ახლა მდინარის იქით გადაშლილა, – თქვა ბალინმა, – ხოლო ოდესღაც ამ ქალაქში ზარები ხმიანობდა, მაშინ მთის კალთებს მწვანე ტყე მოსავდა, მის ძირას გაშლილი ველი კი სიმდიდრითა და განცხრომით ყვაოდა. – ბალინი ერთდროულად პირქუშიც იყო და სევდიანიც, იგი იმასაც მოყვა, რომ დრაკონის მოსვლის დღეს თავადაც თორინს ახლდა.

მათ ვერ გაბედეს, ისევ ალმა, მთავარი ჭიშკრისაკენ აპყოლოდნენ მდინარეს და ქვემოდან შემოუარეს მთის სამხრეთი მხარის ბოლოს. აქედან კლდის უკან ჩამალულმა მზვერავებმა მთის განვდილ მხრებს შორის უზარმაზარ კლდოვან კედელში დაღებულ ვეებერთელა, ბნელი გამოქვაბულის შესასვლელს მიანვდინეს თვალი. გოლიათური ღიობიდან გადმოსჩქეფდა მდინარე ჩქერულა, იქიდანვე გამოდიოდა ორთქლისა და შავი კვამლის ბოლქვები. სრულ უდაბურებაში მხოლოდ წყალი და მთიდან გამოსული ოხშივარი მოძრაობდა და მათ თავზე ზედიზედ დაფრენდნენ შავი, ავისმომასწავებელი ყვავები. მხოლოდ წყლის ხმა გაისმოდა და ფრინველები დაპყრანტალებდნენ თავზე მზვერავებს ხშირ-ხშირად. ბალინს გააჟრჟოლა.



. The Front Gate .

წინა კარიბჭე

– ნამო, დავბრუნდეთ! – თქვა მან, – აქ ყოფნა რას გვარგებს. და მე არ მომნონს ეს ბნელი ფრინველები, ბოროტების ჯაშუშებივით რომ დაგვტრიალებენ თავს.

– დრაკონი კი ჯერაც ცოცხალია და მთისქვეშა დარბაზებშია ჩამჯდარი, თუ კვამლის მიხედვით ვიმსჯელებთ, – დაასკვნა ჰობიტმა.

– კვამლი ჯერაც არაფერს ამტკიცებს, – მიუგო ბალინმა, – თუმც ეჭვიც არ მეპარება, რომ სწორად ვარაუდობ. მაგრამ იგი შეიძლება კიდევაც წასულიყო სადმე ცოტა ხნით, ან მთის ფერდობზე წამოწოლილიყო გარემოს მოსათვალიერებლად, ჭიშკრიდან კი მაინც იდენდა ორთქლი და კვამლი – მთელი მთა შიგნიდან მისი მურდალი ოხშივარით იქნება გამოვსებული.

ამგვარი ფიქრებით გულდამძიმებული მზვერავები უკან, ბანაკისაკენ გამოჰყვნენ მომქანცველ გზას, თან სდევდათ ყვავების ყრანტალი. ივნისი იდგა, როდესაც ისინი ელრონდის მშვენიერ სახლში სტუმრობდნენ, ახლა კი შემოდგომა ზამთრისაკენ მიდრეკილიყო და თითქოს მრავალი წლის წინ გარდასულიყო ის საამური დრო. ახლა ისინი მარტონი იყვნენ სახიფათო და უდაბურ ადგილას და არავის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. დასასრულს მიახლოებოდა მათი თავგადასავალი, მაგრამ ძველებურად მიუწვდომელი ჩანდა ის, რასაც ეძიებდნენ. მათი შემართება და იმედები დღითიდღე ილეოდა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ სწორედ მისტერ ბეგინსს შემორჩა სხვებზე მეტი მხნეობა. იგი ხშირად გამოართმევდა ხოლმე თორინს რუკას და დიდხნობით უმზერდა, ათვალიერებდა, ჩაჰკირკიტებდა რუნებსა და ელრონდის მიერ ამოკითხულ მთვარისასოებიან ბარათს. სწორედ მან აიძულა გნომები, დასავლეთის ფერდობებზე საიდუმლო კარის ძებნა წამოეწყოთ, თუმც ეს საკმაოდ სარისკო საქმე იყო. მათ ბანაკი გადაიტანეს მოგრძო ველზე, რომელიც უფრო ვიწრო იყო, ვიდრე მდინარიანი კარიბჭის წინ გაშლილი სამხრეთის დიდი ვაკე და უფრო დაბალი ქედებითაც იყო მოსაზღვრული. აქ ორი გრძელი, ციცაბოკედლებიანი მხარი გრძლად გაჭრილიყო დასავლეთისკენ და ველიც მათ შორის ექცეოდა. აქეთ, მთის დასავლეთ მხარეს ნაკლებად ჩანდა მძარცველი დრაკონის კვალი და პონებისათვის ცოტაოდენი ბალახიც შემორჩენილიყო. მათი ახალი ბანაკი მთელი დღე მთის ან დასავლეთით გაწვდილი ქედის ჩრდილში იყო მოქცეული, სანამ საღამოს მზე ტყის უკან არ დაიწყებდა ხოლმე დაძირვას. დღე დღეს მისდევდა, ისინი მომცრო ჯგუფებად გადიოდნენ და ზემოთ, მთის ფერდზე ბილიკებს დაეძებდნენ. რუკის მიხედვით სწორედ აქ, მაღლა, ველს თავს წამომდგარ ფერდობზე უნდა ყოფილიყო საიდუმლო კარი. დღე დღეს მისდევდა და ჯგუფები ხელმოცარულები უბრუნდებოდნენ ბანაკს.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს სრულიად მოულოდნელად მათ იპოვეს ის, რასაც დაეძებდნენ: ერთ დღეს ფილი, კილი და ჰობიტი დაბლა დაუყვნენ ველს და მის სამხრეთ კუთხესთან კლდის ნაშალზე აცოცდნენ. შუადღე იქნებოდა, როდესაც ჰობიტი სვეტივით სწორი, განმარტოებით წამომართული ქვის უკან შეძვრა და აღმოაჩინა რაღაც, რაც ძალიან ჰგავდა აღმავალი კიბის უხეშად ნაკვეთ საფეხურებს. აფორიაქებული ჰობიტი და გნომები აუყვნენ საფეხურებს და გავიდნენ ძველ გზაზე, რომლის კვალიც ხშირად იკარგებოდა ჩამოშლილ კლდეებში. გზამ ისინი სამხრეთ ქედის თავზე გაიყვანა და მიაყენა ჩრდილოეთისკენ პირმიქცეულ კიდევ უფრო ვიწრო შვერილს. მათ დაბლა გადაიხედეს და მიხვდნენ, რომ ველის თავზე წამომართულ ჭიუხს მწვერვალზე მოქცეოდნენ და ახლა დაბლა პირდაპირ გადასცქეროდნენ საკუთარ ბანაკს. უჩუმრად, ერთმანეთის მიყოლებით გაუყვნენ ვიწრო შვერილს, თან მარჯვნივ წამომართულ კლდეს ეჭიდებოდნენ, სანამ კლდეში გაჩენილ ღიობს არ მიადგნენ. აქედან კი მათ შეუხვიეს მომცრო ციცაბოკედლებიან ველობზე, ბალახოვან, მყუდრო და წყნარ ბაქანზე. ეს შესასვლელი, რომელიც ახლა აღმოაჩინეს, თავსწამომდგარი კლდის გამო მათი ბანაკიდან არ ჩანდა, ვერც მოშორებული ფერდებიდან შეამჩნევდი – იგი ისეთი პატარა იყო, რომ შორიდან მხოლოდ პატარა შავ ბზარად ეტყობოდა კედელს. ეს არ გახლდათ გამოქვაბული – ზემოდან ღია ცა დასცქეროდათ. მის შიგნითა კიდესთან აღმართულიყო ბრტყელი კედელი, რომლის ქვედა, მიწისპირა ნაწილი ქვისმთლელის ნაოსტატარივით გლუვი და სწორი იყო. და თუმც კედელს არც შეერთების ხაზები აჩნდა, არც რაიმე ნაპრალი, არ ეტყობოდა სვეტის, წირთხლის ან ზღურბლის კვალიც კი, ან რაიმე ისეთი, რაც ოდნავ მაინც მოგაგონებდათ ურდულს ან რაზას, ან გასაღების ჭუჭრუტანას, მაინც არც ერთს არ შეპარვია ეჭვი, რომ ბოლოსდაბოლოს მიაგნეს საიდუმლო კარს.

გნომები და ჰობიტი კარზე აბრახუნებდნენ, აწვებოდნენ, ეჯაჯგურებოდნენ, ეევედრებოდნენ, გაღებულიყო, წარმოთქვამდნენ კარის გამღები შელოცვების ნაწყვეტებს, მაგრამ კედელი ოდნავადაც არ შერხეულა. კარგა ხნის შემდეგ, დაღლილებმა, ცოტა შეისვენეს კედლის ძირას რბილ ბალახზე და მოსაღამოვებულზე დაუყვნენ გრძელ დაღმართს ბანაკისაკენ.

ახალმა ამბავმა მთელი ბანაკი ააფორიაქა. დილით ისინი მორიგი გადაბარგებისათვის მოემზადნენ. ძველ ბანაკში მხოლოდ ბოფური და ბომბური დატოვეს პონებისა და მდინარისპირა საწყობიდან ამოზიდული მარაგის სადარაჯოდ. სხვებმა დაღმა ჩაიარეს ველი, შემდეგ ახალნაპოვნ ბილიკს შეყვნენ და ვიწრო შვერილს მიადგნენ. ეს ვიწრო თარო სუნთქვისშემკვრელი სიმაღლიდან გადასცქეროდა ბასრი კლდეებით მოფენილ ასორმოცდაათ-

ფუტიან უფსკრულს, ამიტომ მათ ვერ შეძლეს, ყუთები და ხურჯინები გადაეტანათ. ისინი წელზე შემოხვეული თოკებით ჩაებნენ ერთმანეთს და მალე მშვიდობიანად მიაღწიეს პატარა ბალახიან ყურეს.

აქვე მოანყვეს მესამე ბანაკი. ქვემოდან თოკებით ამოზიდეს, რაც კი რამ სჭირდებოდათ. თოკებითვე უშვებდნენ ხოლმე დაბლა რომელიმე დაუზარელ გნომს, ვთქვათ, კილის, რათა ქვედა ბანაკის ბინადართ შეხმიანებოდა ან ბარგის მცველად დარჩენილიყო ზედა ბანაკში აზიდული ბოფურის ნაცვლად. ბომბური კი არც თოკებით, არც ბილიკით არ აპირებდა მაღლა ასვლას.

– ამგვარი საჰაერო მოგზაურობისათვის მე მეტისმეტად სქელი ვარ, – ამბობდა იგი, – თავბრუ დამეხვევა, ფეხს დავიბიჯებ ნვერზე და თქვენ კვლავ ცამეტნი შეიქნებით. გადაბმული თოკებიც არ არის იმდენად მტკიცე, რომ ჩემს წონას გაუძლოს.

მისდა საბედნიეროდ, თოკები საკმაოდ მტკიცე აღმოჩნდა, რის შესახებაც მოგვიანებით შეიტყობთ.

ამასობაში გნომებმა გულდასმით დაათვალიერეს ვიწრო თარო ველობზე შესასვლელის წინ და იპოვეს ბილიკი, რომელიც მაღლა და მაღლა ადიოდა მთაზე. მაგრამ ვერავინ გაბედა, შორს გაყოლოდა ამ გზას, მით უფრო, რომ ზემოთ ასვლა დიდად არც სჭირდებოდათ. იქ, მაღლა, მდუმარება გაბატონებულიყო, ქვის ნაპრალებში მოხეტიალე ქარის გარდა აქაურობას არც ფრინველი, არც სხვა რამ ჩქამი აშფოთებდა. ისინი ხმადაბლა საუბრობდნენ, არასოდეს არ მღეროდნენ და არ გადასძახოდნენ ერთმანეთს, რადგანაც გრძნობდნენ, როგორ ჩაბუდებულიყო ხიფათი ყოველი კლდის უკან.

გნომების ერთი ჯგუფი განუწყვეტლივ კარს დასტრიალებდა და მისი საიდუმლოს ამოცნობას ლამობდა, მაგრამ საიმედო არაფერი ჩანდა. ისინი იმდენად შეიპყრო მოუთმენლობამ, რომ არავის სურდა, რუნებსა და მთვარის ასოებს ჩაჰკირკიტებოდა, ერთთავად კლდის მოსწორებულ ზედაპირს დაჰფუსფუსებდნენ და ცდილობდნენ, ამოეცნოთ, თუ სად, რომელ ადგილას იყო შენიღბული საიდუმლო კარი. მათ ტბის ქალაქიდან წერაქვები და სხვა მრავალგვარი იარაღი ნამოიღეს და თავდაპირველად შეეცადნენ, მათი მეშვეობით გაეხსნათ შესასვლელი. მაგრამ კლდეს კვეთებული იარაღის ფოლადის ნანილები დაიმტვრა და ტყვიასავით დაიბრიცა, ხის ტარები შუაზე დაიპო და უკუქცეულმა წერაქვებმა ლამის მკლავები დააწყვიტა გნომებს. და ყველა დარწმუნდა, რომ იარაღი და ძალა ვერ გასჭრიდა იმ მაგიური ხერხის წინააღმდეგ, რომელსაც ეს კარი დაეკეტა. თანაც მათ შეეშინდათ კედელს მიღმა დარხეული ექოს გამო.

ზღურბლზე ჯდომა ბილბოს საოცრად მოსაწყენი და დამქანცველი

ეჩვენებოდა. რა თქმა უნდა, კლდეს ზღურბლის მაგვარიც არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ისინი ხუმრობით ასე ეძახდნენ პატარა ბალახოვან მოედანს კედლიდან ღიობამდე, რადგანაც ახსოვდათ ბილბოს სიტყვები, დიდი, დიდი ხნის წინ წარმოთქმული ჰობიტის სოროში მათი მოულოდნელი სტუმრობისას. მაშინ ბილბომ თქვა: მივალთ და ზღურბლზე ჩამოვსხდებით, სანამ რაიმეს არ მოვიფიქრებთო. ისინიც ისხდნენ და ფიქრობდნენ, ან უმიზნოდ დაყიალობდნენ ახლო-მახლო და სულ უფრო და უფრო იღუშებოდნენ.

ბილიკის აღმოჩენამ მათი იმედები ოდნავ გამოაცოცხლა, მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო ღრმა უიმედობა დაეუფლათ. თუმც ყველაფრის მიტოვებას და თავის გზას წევას მაინც არ აპირებდნენ. უკვე ჰობიტსაც აღარ დარჩენოდა სხვებზე მეტი ხალისი – იგი მთელი დღეობით იჯდა გლუვ კედელს ზურგმიყრდნობილი და კლდის ღიობიდან თვალმოუშორებლივ გადასცქეროდა შორეთს წამახული ჭიუხების მიღმა, ტყეებნელის შავი კედლის ძირას გაშლილი ფართო მიწების მიღმა, სადაც ზოგჯერ თითქოს გამოკრთებოდა ხოლმე ნისლიან მთათა პატარა და უსასრულოდ შორი ლანდები. თუკი გნომები ბილბოს დაეკითხებოდნენ, აქ რას შვრებიო, იგი პასუხობდა:

– თქვენ მითხარით, რომ ჩემი საქმე კართან ჯდომა და ფიქრი იქნებოდა, რომ არაფერი ვთქვათ შიგნით შელნევაზე. მეც ვხიარ და ვფიქრობ. – მაგრამ ვეჭვობ, რომ იგი იმდენს საქმეზე არ ფიქრობდა, რამდენსაც იმაზე, რაც ამ ლურჯი შორეთის მიღმა ეგულებოდა – იგი ოცნებობდა წყნარ დასავლეთის მხარეზე, გორაზე და მის ქვეშ შენებულ თავის ჰობიტის სოროზე.

ბალახიანი მოედნის ზუსტად შუაში დიდი ნაცრისფერი ქვა იდო. დაღვრემილი ჰობიტი საათობით მისჩერებოდა ხოლმე ქვას, ან ათვალიერებდა დიდ ლოკოკინებს, რომელთაც, ეტყობა, მოსწონდათ პატარა მყუდრო ყურე, მისი გრილი ქვის კედლები. ამიტომაც იყო, რომ ურიცხვი ვეება ლოკოკინა ზლაზვნით დაცოცავდა მდელობის კიდეებში თავისსავე გაყვანილ ლოპრია ბილიკებზე.

ერთ დღესაც თორინმა თქვა:

– ხვალ შემოდგომის ბოლო კვირა იწყება.

– ხოლო შემოდგომას ზამთარი მოყვება, – დაურთო ბიფურმა.

– შემდეგ მომავალი წელიც დაიწყება, – განაგრძო დვალინმა, – და გაიზრდება ჩვენი წვერები, კლდეებს გადაეკიდება და ველებს დაეფინება, აქ კი არაფერი მოხდება ახალი. რას გვიკეთებს ჩვენი მპარავი? ახლა, რაკი უჩინმაჩინის ბეჭედი მოიპოვა, იგი განსაკუთრებით შესანიშნავი აღმასრულებელი უნდა იყოს. მე უკვე იმაზეც ვიწყებ ფიქრს, რომ იგი წინა კარიბჭით უნდა შეიპაროს და იქაურობა მიზვერ-მოზვეროს.

ბილბომ გაიგონა ეს სიტყვები – გნომები მყუდროდ ჩამომჯდარი ბილბოს ზემოთ, კლდეებზე საუბრობდნენ – და:

– ღმერთო ჩემო! – გაიფიქრა მან, – მაშ, უკვე ამაზე იწყებენ ფიქრს, არა? სულ მე სანყალს უნდა გამომეთრია ყოველნაირი დავიდარაბიდან, რომელშიც ჩაცვივდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, მას მერე მაინც, რაც ჯადოქარმა დაგვტოვა. ახლა რაღა ვქნა? უნდა მცოდნოდა, რომ ბოლოს რაღაც საშინელება დამემართებოდა. არა მგონია, კიდევ ერთხელ ავიტანო დეილის ბედკრული ველის დანახვა, ხოლო ის ოხშივარიანი ჭიშკარი!!!

იმ ღამით იგი ძალიან უბედური იყო და ძლივს დაიძინა. მეორე დილით გნომები სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ – ზოგი დაბლა ველზე პონებს დაატარებდა, ზოგიც ახლო-მახლო დაეხეტებოდა. დაღვრემილი ბილბო მთელი დღე ბალახიან ველობზე იჯდა და ან ქვას დასცქეროდა, ან ვიწრო ღიობში დასავლეთისკენ იყურებოდა. იგი მოლოდინის უცნაურ გრძნობას შეეპყრო.

– იქნებ, დღეს მოულოდნელად ჯადოქარი დაბრუნდეს, – გაიფიქრა მან.

თავს რომ ასწევდა, იგი შორეული ტყის ბუნდოვან მისადგომებს ხედავდა. მზე დასავლეთისკენ გადაიხარა და მკრთალი ყვითელით შეღება ტყის ჭერი, თითქოს უკანასკნელ ძალაგამოცლილ ფოთლებზე აირეკლა. მალე ჰობიტმა დაინახა მზის ნარინჯისფერი ბურთი, თვალებში შეანათა მისმა გადახრილმა სხივებმა. ბილბო ღიობს მიუახლოვდა და ზედ მიწის კიდესთან მკრთალი და სიფრიფანა ახალი მთვარე შეამჩნია.

მაშინვე მის ზურგსუკან ხმამაღალი ტკაცუნი გაისმა. იქ, ნაცრისფერ ქვაზე უზარმაზარი, ნახშირივით შავი შაშვი ჩამომჯდარიყო, ღია-ყვითელი მკერდი მუქი ნინნკლებით ჰქონდა დაჭორფლილი. ტკაც! მას ლოკოკინა დაეჭირა და ახლა ქვაზე არტყამდა. ტკაც! ტკაც!

და უცებ ბილბოს გონება გაუნათდა. სულ გადააავიწყდა სიფრთხილე, შვერილზე გადამდგარმა ყვირილით და ხელების ქნევით დაუწყო გნომებს ხმობა. ისინი, ვინც უფრო ახლოს იყვნენ, ფაცხა-ფუცხით გადმოევლნენ კლდეებს და, რაც შეეძლოთ, სწრაფად გამოუყვნენ შვერილს, ჰობიტთან მიირბინეს, ვერ გაეგოთ, ასეთი რა უნდა დამართოდა. სხვები ქვემოდან იძახდნენ, თოკებით მაღლა ამიდვას მოითხოვდნენ (ამ ალიაქოთში მხოლოდ ბომბური იყო მშვიდად და ღრმად ეძინა).

ბილბომ სწრაფად ახსნა, რაც მოხდა. ყველანი დაჩუმდნენ – ნაცრისფერ ლოდთან მდგარი ჰობიტიც, ნვერმოცახცახე, მოუთმენლად მზირალი გნომებიც. მზე დაბლა და დაბლა იძირებოდა და ნელ-ნელა ქრებოდა მათი იმედებიც – მნათობი განითლებული ღრუბლების ზოლში ჩაეშვა და გაუჩინარდა. კვნესა ალმოხდათ გნომებს, მაგრამ ბილბო ჯერ კიდევ გაუნძრევლად იდგა. ნორჩი

მთვარე ჰორიზონტისკენ დაიხარა, სალამოვდებოდა. და უცებ, როდესაც მათ უკანასკნელი იმედიც გადაუწყდათ, მზის წითელი სხივი თითივით დაუსხლტა გაფლეთილ ღრუბელს. სუსტი სინათლე შემოიჭრა ღიობში და კლდის გლუვ ზედაპირს დაეცა. ბებერი შაშვი, რომელსაც თავი ცალ მხარეს დაეხარა და მძივივით თვალებით გადმოსცქეროდათ მაღალი ქანდარიდან, ანაზდად აჭახჭახდა. გაისმა ხმამაღალი ტკაცუნი. კედელს პატარა ფირფიტა აეტკეცა და ძირს დაეცა. მიწიდან სამიოდ ფუტის სიმაღლეზე კლდეში ჭუჭრუტანა გაჩნდა.

შემთხვევის დაკარგვის შიშით შეპყრობილი გნომები საჩქაროდ მიაწყდნენ კლდეს და მიაწვნენ. ამაოდ.

– გასაღები! გასაღები! – იყვირა ბილბომ, – სად არის თორინი?

მოიჭრა თორინი.

– გასაღები! – დაუყვირა ბილბომ, – გასაღები, რუკას რომ ახლდა! მოსინჯე ახლავე, სანამ დროა!

მაშინ თორინი წინ წამოდგა, კისერზე ჩამოკიდებული ჯაჭვიდან გასაღები გამოაძრო და ჭუჭრუტანაში შეაცურა. გასაღები მოერგო და მოტრიალდა! ჩხაკ! მკრთალი სინათლე ჩაილია, მზე დაიძირა და სალამო ასხლტა ცაზე.

ახლა ყველანი ერთად მიაწვნენ და კედლის ნაწილი ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან. გამოჩნდა გრძელი სწორი ნაპრალები და თანდათან გაფართოვდა. კლდეში გამოიკვეთა ხუთი ფუტი სიმაღლისა და სამი ფუტი სიგანის კარი, რომელიც ნელ-ნელა, უხმოდ შეიღო შიგნით. მთის ფერდზე გაჩენილი ხვრელიდან თითქოს ორთქლივით გამოედინა სიბნელე, განუჭვრეტელი წყვდიადი დაუდგათ თვალწინ – მთის დამთქნარებული პირი, რომელიც სადღაც შიგნით და ქვემოთ მიემართებოდა.

12 ამბავი შიგნიდან

გნომები დიდხანს იდგნენ სიბნელეში ღია კართან და კამათობდნენ, სანამ ბოლოს თორინმა არ ნარმოთქვა:

– ახლა კი დროა, რომ ჩვენმა პატივცემულმა მისტერ ბეგინსმა, ვინც ჩვენს გრძელ გზაზე ყველას დაგვიდასტურა, რომ იგი ბრძანდება ჩინებული ამხანაგი და რომ იგი ბრძანდება შეუდრეკელი ჰობიტი, რომლის სიმამაცეც ბევრად აღემატება მის ზომას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გახლავთ დაჯილდოებული ილბალით, რომელიც ბევრად აღემატება ჩვეულ რაოდენობას, – ახლა კი დროა, რომ მან აღგვისრულოს სამსახური, რის გამოც ჩართული იქნა ჩვენს ჯგუფში. დროა, მან დაიმსახუროს ჯილდო.

თქვენ უკვე კარგად იცით, როგორ საუბრობდა თორინი ღირშესანიშნავ წუთებში, ამიტომ სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ, თუმც თორინმა კიდევ ბევრი რამ თქვა. წუთი მართლაც განსაკუთრებული იდგა, მაგრამ ბილბო მოუთმენლობამ შეიპყრო. საიმდროოდ უკვე ისიც საკმაოდ კარგად იცნობდა თორინს და კარგად ესმოდა, საით უმიზნებდა იგი.

– თუ შენ გულისხმობ, რომ, შენი აზრით, საიდუმლო გვირაბში პირველი ჩასვლა ჩემი საქმეა, ო, თორინ თრეინის ძეო ოუკენშილდ, დე, კვლავაც დაგრძელდეს შენი წვერი, – თქვა გაჯავრებულმა ჰობიტმა, – ასეც თქვი და ამით გაათავე! მე შემიძლია, უარი ვთქვა. უკვე ორ უსიამოვნებას დაგაღწევინეთ თავი, თუმც ეს სამუშაო ძნელად თუ ჩაითვლებოდა მპარავის მოვალეობად, ასე რომ, ვფიქრობ, რალაც ჯილდო უკვე დავიმსახურე. მაგრამ „მესამე და – სამართალიო", ამბობდა მამაჩემი, და ვფიქრობ, რომ არ ვიუარებ ამ სამსახურს. მე იქნებ ახლა უფრო მეტად ვენდობი ჩემს ილბალს, ვიდრე ძველ დროში, – იგი გულისხმობდა იმ დროს, სანამ თავისი სოროდან გამოემგზავრებოდა გასულ გაზაფხულზე, მაგრამ ახლა ის ჟამი საუკუნეების წინ გარდასული ეჩვენებოდა, – მაგრამ ასეც და ისეც, მე გადავწყვიტე, ახლავე ჩავეშვა გვირაბში და დროზე მოვრჩე ამ საქმეს. ვინ წამოვა ჩემთან ერთად?

იგი არც მოელოდა მოხალისეთა გუნდის ერთსულოვან შეძახილებს, ამიტომ იმედიც არ გაცრუებია. ფილი და კილი მოუსვენრად ინაცვლებდნენ ფეხს, ხოლო დანარჩენებს აშკარად ეტყობოდათ, რომ არც აპირებდნენ გვირაბში ცხვირის შეყოფას. ოლონდ არა ბალინს, გნომთა მზირს, რომელსაც საკმაოდ უყვარდა ჰობიტი. მან თქვა, რომ შიგნითაც შეყვებოდა ბილბოს და იქნებ

ცოტათი კიდევაც გაყვებოდა გვირაბში, რომ, თუკი საჭირო გახდებოდა, ჰობიტს მისთვის დაეძახა საშველად.

მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ვთქვათ გნომების გასამართლებლად: მათ განზრახული ჰქონდათ, მართლაც უხვად დაეჯილდოებინათ ბილბო მისი სამსახურის ნილ. იგი სწორედ იმისათვის ნამოიყვანეს, რომ მათ მაგივრად ეკეთებინა არასასიამოვნო სამუშაო და დიახაც რომ თანახმა იყვნენ, ჰობიტს ეს სამუშაო გაეკეთებინა, თუკი იზამდა. მაგრამ ისინი ძალას არ დაიშურებდნენ გასაჭირიდან მის დასახსნელად, ისევე, როგორც უკვე მოიქცნენ ტროლებთან შეხვედრისას ჯერ კიდევ თავგადასავლების დასაწყისში, მაშინ, როდესაც განსაკუთრებით არც არაფერი ჰქონდათ სამადლობელო ჰობიტთან. ერთი რამ ცხადია: გნომები არ არიან გმირები, ისინი ანგარიშიანი ხალხია და უდავოდ აღიარებენ ფულის დიდმნიშვნელოვნებას. ზოგი მათგანი თვალთმაქცი და მოლალატეა, საკმაოდ ბევრია ძალიან წამხდარი. მაგრამ ზოგი გნომი ღირსეული და სანდოა, სწორედ ასეთები იყვნენ თორინი და მისი ძმობილები, ოლონდ ძალიანაც ბევრს ნუ მოვითხოვთ მათგან.

მის უკან შავი ღრუბლებით დახაზულ მქრქალ ცაზე ვარსკვლავები ინთებოდა, როდესაც ჰობიტი მოჯადოებულ კარში შესრიალდა და პირვით დაეშვა მთის სიღრმეში. სიარული ბევრად უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან მოელოდა – ეს არ იყო გობლინების შესასვლელი, ან ტყის ელფთა უხეშად ნაკვეთი მლვიმე, ეს დერეფანი გნომებს აეგოთ მათი სიმდიდრისა და ოსტატობის გაფურჩქვნის ხანაში. ლარივით სწორი, გლუვიატაკიანი და გლუვკედლებიანი გვირაბი თანაბრად, განუტოტავად, პირდაპირი გეზით ეშვებოდა დალმა, უცნობი მიზნისაკენ, რომელიც მოშორებით სიბნელეში ჩამალულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ ბალინმა ბილბოს იღბალი უსურვა და შეჩერდა ისეთ ადგილას, საიდანაც ჯერ კიდევ განირჩეოდა კარის მკრთალი მოხაზულობა და გვირაბის ექოთა გამოუცნობი გადაძახილების წყალობით გარეთ მდგართა ხმადაბალი საუბრის მოშრიალე ხმებიც ისმოდა. მაშინ ჰობიტმა ნამოიცვა თავისი ბეჭედი, მოდარაჯე ექოებით შეშფოთებულმა უხმოდ სიარულის ჰობიტურ ოსტატობასაც გადააჭარბა და სრულიად უჩუმრად დაეშვა დალმა, დალმა, დალმა წყვდიადში. იგი შიშით თრთოდა, მაგრამ პატარა სახეზე შეუპოვრობა და ქუში სიმტკიცე ალბეჭდვოდა. იგი უკვე ძალიან განსხვავდებოდა იმ ჰობიტისაგან, რომელიც დიდი ხნის წინათ ცხვირსახოცების გარეშე გამოიქცა ბეგ-ენდიდან. მან მოსინჯა, როგორ ამოდიოდა მისი სატევარი ქარქაშიდან, უფრო მჭიდროდ შემოირტყა ქამარი და გზა განაგრძო.

– აი, ამასაც მიაღწიე ბოლოსდაბოლოს, ბილბო ბეგინს, – უთხრა მან თავს, – იმ ღამეს, მათი სტუმრობისას, შენ შენი ფეხით მიხვედი და საკუთარი ნებით

სტუცე თავი ამ საქმეში, ამიტომაც ახლა კეთილი ინებე, შენ თვითონ გამოძვერი უკან და იწვნიე, რაც გეკუთვნის. ღმერთო დიდებულო, რა ბრიყვი ვიყავი და კიდევაც ვარ! – აღმოხდა მის ყველაზე უფრო არატუკისეულ ნაწილს, – სრულებით, სრულებით არ მჭირდება საგანძურის გროვები ზედწამომჯდარი დრაკონით, დაე, სამარადისოდ აქ დარჩენილა სულ ყველაფერი, ოღონდაც ახლა გამოვილვიძო და მივხვდე, რომ ეს წყეული გვირაბი ჩემი საკუთარი სახლის სადარბაზოა!

რასაკვირველია, მას არ გამოღვიძებია, არამედ კვლავ წინ და წინ მიდიოდა, სანამ მის უკან მთლად არ ჩაქრა შემოსასვლელის მკრთალი მონახაზი. ახლა იგი სრულიად მარტო იყო. მალე მან იგრძნო, რომ დათბა.

– რაღაც ნათებასავით ხომ არ მოჩანს იქ, პირდაპირ და ქვემოთ? – გაიფიქრა მან.

დასტურ, მოჩანდა. რაც უფრო უახლოვდებოდა, ნათება იზრდებოდა და იზრდებოდა და ბილბოც დარწმუნდა, თვალი არ მატყუებსო. ქვემოდან მოწითალო შუქი ამოდიოდა და სულ უფრო წითლდებოდა და წითლდებოდა. გარდა ამისა, გვირაბში ახლა ნამდვილად ჩამოცხა. ქვემოდან ორთქლის ბოლქვები მოფარფატებდა, გვერდს უქცევდა ჰობიტს და ბილბო ერთიანად გაიხვითქა. შემდეგ ხმებიც მიწვდა მის ყურს – მოისმოდა თუხთუხი, თითქოს ძლიერ ცეცხლზე დიდი ქოთანი დულსო, მას ერთვოდა გრუხუნი, რომელიც გოლიათური ხვადი კატის კრუტუნს წააგავდა. ბოლოს ხმები შეერთდა და ხმამაღალ ბუყბუყში გადაიზარდა, უკვე უეჭველი გახდა, რომ იქ, დაბლა, ჰობიტის წინ წითელ ალმურში გახვეული რომელილაც ვეებერთელა ცხოველი ხვრინავდა ძილში.

აქ კი ბილბო შეჩერდა. ამ შეჩერების შემდეგ გზის გაგრძელება მის ცხოვრებაში ყველაზე უფრო მამაცური საქციელი იყო. ის შემაძრწუნებელი ამბები, რაც შემდეგ გადახდა თავს, არაფერი იყო ამ ნაბიჯთან შედარებით. მან გვირაბში სრულიად მარტომ ნამდვილი ბრძოლა გადაიხადა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თვალს შეავლებდა მომლოდინე საშინელ ხიფათს. ასეა თუ ისე, მცირე შეყოვნების შემდეგ მან მოახერხა და გზა განაგრძო. თქვენც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ უახლოვდება იგი გვირაბიდან გასასვლელს, ფორმითა და ზომით ზუსტად რომ ჩამოგავს შემოსასვლელ საიდუმლო კარს. გასასვლელში იჭყიტება ჰობიტის პატარა თავი, მის წინ გადაშლილა გნომთა ძველი მოდგმის ულრმესი სარდაფი თუ მიწისქვეშა დარბაზი. მთის ფესვებთან გამოკვეთილი დარბაზი თითქმის მთლიანად წყვდიადითაა მოცული, მხოლოდ ბუნდოვნად თუ შეიძლება გამოცნობა, რამდენად უზარმაზარია იგი. ხოლო მის კიდეში, გვირაბიდან არცთუ მოშორებით, ქვის იატაკზე მძლავრი ალმური ანთია. სმაუგის ალმური!

იქ იწვა იგი, უზარმაზარი მეწამულ-ოქროსფერი დრაკონი და ღრმად ეძინა. მისი ხახიდან და ნესტოებიდან ჟღრიალის ხმა და კვამლის ბოლქვები გამოდიოდა, მაგრამ დრაკონის ცეცხლი ჩანავლული და მთვლემარე იყო. მის ქვემოთ, მთელი სხეულის, თათებისა და დახვეული ვეებერთელა კუდის ქვეშ და მის გარშემო ყოველ მხარეს, უხილავ იატაკზე შორს მოფენილიყო ძვირფასი ნივთების აურაცხელი გროვები, ნაჭედი და უჭედი ოქრო, თვალ-მარგალიტი და მეწამულ სინათლეში წითლად დაფერილი ვერცხლი.

სმაუგი იწვა, ფრთები უზარმაზარი ღამურასავით შეეკეცა და ცოტათი გვერდზე მობრუნებულიყო. ჰობიტი ხედავდა მის ღია ფერის მუცელს, რომელიც ფასმიუწვდომ სარეცელზე დიდხანს წოლისაგან პატიოსანი თვლებითა და ოქროს ფილებით მოოქვოდა. მის უკან უახლოეს კედლებზე ბუნდოვნად ილანდებოდა ზედ დაკიდული ჯაჭვის პერანგები, მუზარადები და საომარი ნაჯახები, ხმლები და შუბები. იქვე მწკრივად ელაგა რაღაც იდუმალი საგანძურით სავსე დიდი ქოთნები და ჭურჭელი.

რომ ვთქვათ, ბილბოს სუნთქვა შეეკრაო, ეს არ იქნება მისი განწყობის აღწერა. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა შეცვალეს ოდესღაც, სამყაროს სიმშვენიერის დღეებში ელფთაგან ნასწავლი ენა, ჩვენ აღარ დაგვრჩა ჰობიტის გაოგნების აღსანერად შესაფერი სიტყვები. ბილბოს ზღაპრებსა და ლეგენდებში სმენოდა დრაკონების საჭურჭლეთა შესახებ, მაგრამ ამგვარი განძის მომაჯადოებლობა, სიუხვე და დიდებულება არასოდეს ყოფილა მასთან ასე ახლოს. გულს განემსჭვალა გნომური ხიბლი და სურვილი. მას თითქმის კიდევაც გადავიწყებოდა შიშისმგვრელი მცველი და გაუნძრევლად მისჩერებოდა ოქროს განძეულს, რომლის რიცხვი თუ ფასი ყოველგვარ საწყაოსა თუ საზომს აღემატებოდა.

იგი, როგორც თავად მოეჩვენა, მთელი საუკუნე მისჩერებოდა ყოველივე ამას, სანამ, თითქმის საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, კარისკენ მიმავალი გვირაბის ჩრდილიდან გამოიპარებოდა და განძეულის უახლოესი გროვის კიდემდე ქვის იატაკს გადაივლიდა. მის თავსზემოთ მძინარე დრაკონი იწვა, მძინარეც კი მომაკვდინებლად საშინელი. ჰობიტმა ხელი დასტაცა დიდ ორყურიან თასს, იმდენად მძიმეს, რომ ძლივს შეძლო მისი ზიდვა, და შეშინებულმა სწრაფად აიხედა ზევით. სმაუგმა ფრთა შეარხია, გაშალა ჭანგებიანი თათი, ახლა სხვაგვარად აგრგვინდა მისი ხვრინვა.

მაშინ ბილბომ მოკურცხლა. ოღონდ დრაკონს არ გაღვიძებია – ჯერ არა – მან მხოლოდ სიხარბითა და ძალმომრეობით სავსე სხვა სიზმარში გადაინაცვლა. იგი კვლავ იქ იწვა, თავის მიტაცებულ დარბაზში, სანამ პატარა ჰობიტი რის ვაი-ვაგლახით აათავებდა უკან გრძელ გვირაბს. გული გამალებით უცემ-

და, მუხლები ახლა უფრო მეტადაც უცახცახებდა, ვიდრე მაშინ, დაბლა რომ ეშვებოდა, მაგრამ იგი მაინც მაგრად სჭიდებდა ხელებს მოპოვებულ თასს და ფიქრობდა:

– მე ეს გავაკეთე! ახლა ხომ ნახავენ! მედუქნეს უფრო ვგავარ, ვიდრე მპარავს, როგორ არა! აღარ მოგვიწევს ამისთანების მოსმენა.

აღარც მოუწია. ბალინმა გულით გაიხარა, ჰობიტი ცოცხალი რომ იხილა, და მისი აღფრთოვანება მის გაოცებასავით ძლიერი იყო. გნომმა ბილბო ხელში აიტაცა და გარეთ, სუფთა ჰაერზე გაიყვანა. შუალამე იდგა, ვარსკვლავებს ღრუბლები გადაჰფარებოდა, მაგრამ ჰობიტი თვალდახუჭული იწვა, სულს ითქვამდა, უხმოდ ტკბებოდა კვლავ სუფთა ჰაერის სუნთქვით და თითქმის ვერც ამჩნევდა აღფრთოვანებულ გნომებს, არ ესმოდა, რარიგ ამკობდნენ, როგორ უტყაპუნებდნენ ზურგზე და როგორ აღუთქვამდნენ საკუთარ და თაობიდან თაობამდე მთელი მათი ოჯახების სამსახურს.

გნომები ჯერაც ხელიდან ხელში გადასცემდნენ თასს და აღტაცებით საუბრობდნენ თავიანთი განძის დაბრუნებაზე, როდესაც ანაზდად მთის სიღრმეში ხმამაღალი გუგუნი ახმიანდა, თითქოს ძველ ვულკანს გადაუწყვეტია, დროა, ისევ ამოვიფრქვეო. გნომებს კარი მიეხურათ და, რომ არ მიკეტილიყო, ზღურბლთან ქვა ჩაედოთ. მაგრამ ქვემოდან, სიღრმიდან გვირაბს მაინც ამოსდევდა ღმუილისა და ბრაგუნის შემაზრზენი გამოძახილები. მინა აზანზარდა მათ ფეხქვეშ.

გნომებს წამსვე გადაავიწყდათ სიხარული და თავდაჯერებული კვეხნა და შიშით მოიკუნტნენ. სმაუგი ასე იოლად როდი უნდა გადავიწყებოდათ! შენს გეგმებსა და გათვლებში არაფრით არ უნდა გამოტოვო ცოცხალი დრაკონი, თუკი მის სიახლოვეს ცხოვრობ. დრაკონები იქნებ ვერც ვერაფერში მოიხმარენ თავიანთ სიმდიდრეს, მაგრამ სულ მისხალ-მისხალ იციან საკუთარი საგანძური, მით უფრო, თუ დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ. სმაუგიც არ გახლდათ გამონაკლისი. მოუსვენარი ძილი (რომლის დროსაც სიზმრად ხედავდა თუმც ტანმორჩილ, მაგრამ ბასრი ხმლითა და განუზომელი სიმამაცით აღჭურვილ ძალიან არასასიამოვნო მეომარს) თვლემად გადაექცა, შემდეგ კი სრულიად გამოფხიზლდა. საკუთარ გამოქვაბულში უცნობი ჰაერის მკრთალი სუნთქვა იგრძნო. იმ პატარა ხვრელიდან ხომ არ მობერა ნიავმა? დრაკონი მუდამ ცოტათი მოუსვენრად გრძნობდა თავს ამ ხვრელის გამო, თუმც იგი მეტისმეტად პატარა იყო. ახლა სმაუგი რისხვით და ეჭვით მიაჩერდა მის პირს და გაიფიქრა, ნეტავ აქამდე რად არ ამოვქოლეო. ბოლო დროს მას თითქოს ეჩვენებოდა, რომ სადღაც მაღლიდან სუსტი კაკუნის ყრუ გამოძახილები ჩამოყვებოდა გვირაბს მის ბუნაგამდე. იგი შეირხა და ჰაერის მოსაყნოსად კისერი გაიწვდინა. და შეამჩნია, რომ თასი აკლდა!

ქურდები! უბედურება! მკვლელები! ასეთი რამ მთაში მისი მოსვლის შემდეგ ჯერაც არ მომხდარა! მისი რისხვა ენით აღუწერელი იყო. ასე მრისხანებენ მხოლოდ ის მდიდრები, ვისაც იმაზე მეტი აქვთ, რამდენის მოხმარებაც შეუძლიათ, და უცებ შეამჩნევენ, რომ დაჰკარგვიათ ნივთი, რომელსაც დიდხანს ფლობდნენ, მაგრამ არასოდეს დასჭირვებიათ ან მოსურვებიათ. სმაუგი ცეცხლს აფრქვევდა, ერთიანად გაბოლა დარბაზი, მთის ძირს აზანზარებდა. დრაკონი ამაოდ შეეცადა, თავი მაინც შეეყო პაწაწინა ხვრელში, შემდეგ ერთად მოკრიბა თავისი გრძელი ტანი და მიწისქვეშა გრგვინვასავით აღრიალებული თავისი ღრმა ბუნაგიდან ვეება კარისკენ გაეჩქარა, შემდეგ მთის სასახლის ფართო დერეფნებით მაღლა, წინა კარიბჭისაკენ აიღო გეზი.

ერთადერთ ფიქრს შეეპყრო დრაკონი: გადაეჩხრიკა მთელი მთა, ეპოვა ქურდი და დაეფლითა, გაეთელა. იგი ჭიშკარს გამოსცდა, მდინარიდან სტვენით ავარდა მწველი ორთქლი, სმაუგი ცაში აიჭრა ელვის კვესებით და მწვანე და ალისფერი ცეცხლის ენებში გახვეული მთის მწვერვალზე შემოჯდა. გნომებმა გაიგონეს მისი ფრენის საშინელი გუგუნი, ბალახიანი ტერასის ქვის კედლებს აეკვრნენ და ლოდების ქვეშ მოიბღუნძნენ, რომ როგორმე დამალვოდნენ სანადიროდ გამოსული დრაკონის საზარელ მზერას.

იქვე დაიხოცებოდნენ ყველანი, ბილბოს რომ არ ემარჯვა კიდევ ერთხელ.

– სწრაფად, სწრაფად! – ამოიქოშინა მან, – კარისკენ! გვირაბში! აქ დარჩენა ხეირს არ დაგვაყრის!

მისი სიტყვებით გამოფხიზლებული გნომები ის იყო, გვირაბში აპირებდნენ შეძრომას, რომ უცებ ბიფური აღრიალდა:

– ჩემი ბიძაშვილები! ბომბური და ბოფური! სულ გადაგვავიწყდა – ისინი ხომ დაბლა, ველზე არიან!

– ისინი დაიხოცებიან, დაიხოცებიან ჩვენი პონებიც, მთელი ჩვენი მარაგიც დაილუპება, – აკვნესდნენ სხვები, – ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია!

– სისულელეა! – განაცხადა თორინმა, რომელმაც პირველი ელდის შემდეგ ჩვეული ღირსება დაიბრუნა, – ჩვენ მათ ვერ მივატოვებთ. შიგნით შედით, მისტერ ბეგინს და ბალინ, და თქვენ ორნი, ფილი და კილი. მაშინ დრაკონი ყველას ერთად ვერ ჩაგვიგდებს ხელში. დანარჩენები კი – სად არის თოკები? იჩქარეთ!

ეს იქნებ ყველაზე უარესი გასაჭირი იყო იმისაგან, რაც აქამდე გამოევლოთ. სმაუგის მრისხანების ზარისმგვრელი გრგვინვა ექოებად მრავლდებოდა სადღაც მაღლა, მთის ღრმულებში. აელვარებული და ანთებული დრაკონი ყოველ ნუთას შეიძლებოდა დაბლა დაშვებულიყო ან გარშემო შემოეფრინა მთისათვის და აქ, თავბრუსდამხვევი უფსკრულის პირას მომცრო შვერილზე ეპოვნა ყველანი, გავეშებით თოკებს ჩაჭიდებულნი. ქვემოდან უკვე ამოაღწია ბოფურმა, ხიფათი ჯერ არ ჩანდა. ამოაღწია ბომბურმაც, ერთი ქშენითა და ქოშინით,

ჯერ მაინც არაფერი ხდებოდა საშიში. შემდეგ ამოქაჩეს ზოგი ხელსაწყო და მარაგის რამოდენიმე დიდი შეკრულა, და აი, ხიფათიც თავს წამოადგათ.

გაისმა ზუზუნის ხმა. ამართულ კლდეთა წვერებს წითელი შუქი მისწვდა. დრაკონი მოდიოდა!

გნომები გვირაბის შესასვლელს მიაწყდნენ, ძლივს მოასწრეს, შესულიყვნენ და თან შეეთრიათ თავიანთი ფუთები. გამანადგურებელი სმაუგი ამოფრინდა ჩრდილოეთიდან, ცეცხლის ენებით ლოკავდა მთის კალთებს, აღრიალებული ქარის ხმით მოიქნევდა უზარმაზარ ფრთებს. მისმა ცხელმა სუნთქვამ კარის წინ ბალახი გადატრუსა, ღრიჭოდ დატოვებულ კარში შეაღწია და კარს უკან დამალული გნომები შერუჯა. მაღლა აიჭრა აელვარებული ცეცხლი და კლდის შავი ჩრდილები ააცეკვა. შემდეგ დრაკონმა ჩაიფრინა და კვლავ სიბნელე ჩამოწვა. გულგახეთქილი პონები აჭიხვინდნენ, დაწყვიტეს საბელები და უგონოდ გაკურცხლეს სხვადასხვა მხარეს. დრაკონი ველს დააცხრა, შემოტრიალდა და, პონებს გადევნებული, მთას მიეფარა.

– ესეც ჩვენი საბრალო ცხოველების აღსასრული! – თქვა თორინმა, – ვერავინ გაექცევა სმაუგს, თუკი მან ერთხელ მაინც ჰკიდა თვალი მსხვერპლს. ახლა აქა ვართ და აქვე უნდა დავრჩეთ, თუკი, რასაკვირველია, ვინმე არ აპირებს, ფეხით წაჩანჩალდეს უკან, მდინარისაკენ გრძელი და ღია გზით მოდარაჯე სმაუგის თვალწინ!

ოჰ, რა არასასიამოვნო იყო ამაზე ფიქრი! მათ დაბლა ჩაინაცვლეს გვირაბში, იქ იწვნენ და ცახცახებდნენ, თუმც ჩამოხუთული ჰაერი იდგა და ცხელოდა. შემდეგ კარის ღრიჭოდან მქრქალი შუქი ჩამოიპარა. ღამის განმავლობაში მათ კვლავ და კვლავ ჩაესმოდათ, როგორ ახლოვდებოდა მფრინავი დრაკონის გრგვინვა, შემდეგ კი კვლავ შორდებოდათ – სმაუგი მთის გარშემო დაფრინავდა და ნადირობდა მის კალთებზე.

მან იპოვა პონები, აღმოაჩინა ნაბანაკარები და მიხვდა, რომ მდინარისა და ტბის მხრიდან ხალხი ამოსულიყო, შემდეგ კი მთაზე ამძვრალიყვნენ იმ ველიდან, რომელზედაც პონები იდგნენ. მაგრამ მის მძებნელ თვალს გამოეპარა საიდუმლო კარი და პატარა მალალკედლებიანი ყურე მის მწველ ცეცხლს გადაურჩა. დიდხანს დანადირობდა იგი ამაოდ, სანამ რისხვა არ დაუცხრა და უკან არ დაბრუნდა თავის ოქროს სარეცელზე დასაძინებლად და ძალების მოსაკრებად. სმაუგი არ დაივიწყებდა და არც აპატიებდა ქურდს არასოდეს, თუნდ ათასეულ წლებს ჩანავლულ ქვად ექციათ იგი, მაგრამ დრაკონს შეეძლო, მოცდის უფლება მიეცა თავისათვის. იგი აუჩქარებლად და უჩუმრად შეცოცდა უკან, თავის ბუნაგში და სანახევროდ მილულა თვალები.

დილამ გნომების ზაფრა ცოტათი გაანელა. მათ გაიაზრეს, რომ ამგვარ ხიფათს ვერსად წაუხვალ, თუკი სმაუგის მსგავს მცველთან დაიჭერ საქმეს და

რომ ჯერ ადრე იყო, ხელი აეღოთ განზრახულზე. მით უფრო, რომ მთიდან წასვლა ჯერ არც შეეძლოთ, რაც უკვე აღნიშნა კიდევაც თორინმა. მათი პონები დაიკარგნენ ან დაიხოცნენ და გნომებს უნდა მოეცადათ, სანამ სმაუგი იმდენად მოადუნებდა სიფხიზლეს, რომ გაებედათ, ფეხით გასდგომოდნენ გრძელ გზას. საბედნიეროდ, მათ მოახერხეს, გადაერჩინათ საკვების მარაგი, რაც ცოტა ხანს კიდევ ეყოფოდათ.

გნომები დიდხანს ბჭობდნენ, რა უნდა ექნათ, მაგრამ ვერა და ვერ მოიფიქრეს, როგორ მოეშორებინათ დრაკონი თავიდან – ბილბომ დიდი სურვილი იგრძნო, აღუნიშნა, რომ ეს საკითხი მათ გეგმებში მუდამაც გადაუჭრელი რჩებოდა. შემდეგ, როგორც საერთოდ სჩვევია თავიან-ფეხებიანად გაჭირვებაში ჩაცვენილ ხალხს, გნომები ჰობიტს აუბუზღუნდნენ და ბრალად სდებდნენ სწორედ იმას, რის გამოც თავიდან ძალიანაც გაიხარეს: მათი აზრით, ჰობიტს არ უნდა წამოელო თასი, რათა ასე ადრე არ გამოეფხიზლებინა სმაუგის ეჭვები.

– მაშ, როგორ გგონიათ, სხვა რა უნდა აკეთოს მპარავმა? – იკითხა გაჯავრებულმა ბილბომ, – მე დრაკონის მოსაკლავად არავის ავუყვანივარ, ეს მეომრის საქმეა, მე კი განძი უნდა მომეპარა და, როგორც შემეძლო, ისე დავიწყე. ხომ არ მოელოდით, რომ ზურგით ამოგირბენინებდით აქ თორორის მთელ საწყობს? და თუ საერთოდ ვინმეს აქვს საბუზღუნო, ვფიქრობ, მეც მეკუთვნის ორიოდე სიტყვა. თქვენ ერთი კი არა, ხუთასი მპარავი უნდა წამოგეყვანათ თან. ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს თქვენი პაპის დიდ ღირსებას ცხადჰყოფს, მაგრამ ვერ იტყვით, რომ ერთხელ მაინც ნათლად აგეხსნათ ჩემთვის მთელი მისი სიმდიდრის ზომა-წონა. იმ განძეულის აქ ამოსაზიდად ასეულობით წლები დამჭირდებოდა, თავად მე ორმოცდაათჯერ უფრო ზორბაც რომ ვიყო, სმაუგი კი – ბაჭიასავით თვინიერი.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, გნომებმა ბოდიში მოიხადეს.

– მაშ, რას გვთავაზობ, როგორ მოვიქცეთ, მისტერ ბეგინს? – დაეკითხა თორინი თავაზიანად.

– ამ წუთას ჯერ არ ვიცი – თუკი, რასაკვირველია, განძის გადმოტანას გულისხმობთ. ეს სრულიად ცხადად დამოკიდებულია საქმის რაღაც ახალ ილბლიან მობრუნებაზე და სმაუგის თავიდან მოცილებაზე. დრაკონების თავიდან მოშორება სრულებითაც არ არის ჩემი საქმე, მაგრამ მე ძალას არ დავიშურებ, რომ რაიმე მოვიფიქრო. თავად მე არაფრის იმედი არა მაქვს და შინ მშვიდობით დაბრუნების გარდა არც არაფერს ვისურვებდი.

– ახლა მაგაზე ფიქრიც არ შეიძლება! რა უნდა გავაკეთოთ ახლა, დღეს?

– კეთილი, თუკი თქვენ მართლაც გაინტერესებთ ჩემი რჩევა, ვიტყოდი, რომ უნდა დავრჩეთ იქ, სადაც ვართ – სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. დღისით უეჭველად მოვახერხებთ, ჩუმად გავიპაროთ გარეთ და ჰაერი ჩავ-

ყლაპოთ. იქნებ, მერე და მერე კიდევაც შევარჩიოთ ერთი-ორი კაცი მდინარის პირას სანყობებისკენ გასაგზავნად, რომ ჩვენი მარაგი შევავსოთ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ღამღამობით ყველანი გვირაბში უნდა დავრჩეთ.

ახლა კი ერთ რამეს შემოგთავაზებთ. მე გავიკეთებ ჩემს ბეჭედს და დღესვე ჩავიპარები დაბლა – იმ დროისათვის სმაუგი, ალბათ, ჩათვლემს – და შევხედავ ერთი, რა ჩიტია. ვინ იცის, იქნებ რაიმე გამოვიდეს. „ყველა დრაკონს აქვს თავისი სუსტი ადგილი", – ამბობდა მამაჩემი, თუმც დარწმუნებული ვარ, ეს საკუთარი გამოცდილებით არ შეუმოწმებია.

ცხადია, გნომები მაშინვე დათანხმდნენ შემოთავაზებულ წინადადებას. ისინი უკვე დიდი ხანია, პატივისცემით განიმსჭვალნენ პატარა ბილბოსადმი, ახლა კი იგი მათი თავგადასავლის ნამდვილ მეთაურად გადაიქცა. მას უკვე საკუთარი აზრები და გეგმები ჰქონდა. შუადღისას იგი მოემზადა, კვლავ დაშვებულიყო მთის სიღრმეში. რასაკვირველია, ჰობიტს სულ არ მოსწონდა ეს მოგზაურობა, მაგრამ ახლა, როდესაც ასე თუ ისე იცოდა, რა ელოდა წინ, თავს მაინც უფრო მხნედ გრძნობდა. მას რომ მეტი სცოდნოდა დრაკონებზე და მათი მზაკვრული ბუნების შესახებ, იქნებ უფრო მეტადაც შეშინებოდა და ნაკლებად ჰქონოდა იმედი, სმაუგი ჩაძინებული დამიხვდებაო.

მზე ჩახჩახებდა, როდესაც იგი გზას გაუდგა, მაგრამ გვირაბში ღამესავით ბნელოდა. თითქმის მიხურული კარიდან შემოღწეული სინათლე მალე გაილია და ჩაქრა. ნელ ნიავში გაფანტული კვამლის სვლასავით ჩუმი იყო ჰობიტის ნაბიჯები და იგი, ცოტა არ იყოს, კიდევაც ამაყობდა საკუთარი თავით, როდესაც ქვედა კარს მიუახლოვდა. ახლა იქიდან ძალიან სუსტი ნათებაღა მოჩანდა.

– ბებერი სმაუგი დაილალა და ჩაეძინა, – გაიფიქრა ჰობიტმა, – იგი ვერ მხედავს, ვერც ჩემი ნაბიჯების ხმას გაიგონებდა. გამხნევდი, ბილბო! – მას სულ გადაავიწყდა, ან იქნებ არც არასოდეს სმენოდა დრაკონების ყნოსვის შესახებ. კიდევ ერთი მოუხერხებელი ზნე სჭირთ დრაკონებს – თუკი რაიმემ დააეჭვათ, მათ შეუძლიათ, მძინარეებსაც სანახევროდ ღია ჰქონდეთ მოდარაჯე თვალი.

სმაუგი მართლაც ღრმად ჩაძინებულს ჰგავდა, თითქმის მთლად ჩამქრალი და ბნელი იყო. სულ ოდნავ ფშვინავდა, უხილავი ნაკადის ხმასავით, როდესაც ბილბომ კიდევ ერთხელ გაიჭყიტა გასასვლელში. უკვე იატაკზე ჩაბიჯებასაც აპირებდა, რომ უცაბედად დაინახა სმაუგის მარცხენა თვალის დაშვებული ქუთუთოს ქვემოდან გამოჭრილი ვიწრო და გამჭოლი ნითელი სხივი. იგი თავს იმძინარებდა! იგი გვირაბის შემოსასვლელს უთვალთვალებდა! ბილბომ სწრაფად დაიხია უკან და ბედს მადლი უძღვნა ბეჭდის გამო. მაშინ სმაუგი ალაპარაკდა.

– მაშ ასე, ქურდო! მე ვგრძნობ შენს სუნს და შენგან მობერილ ჰაერს. მე მესმის შენი სუნთქვა. შემოდი! კვლავ გაიხარე გული, აქ უამრავი განძია, ყველას ეყოფა!

მაგრამ ბილბო აგრერიგად უცოდინარიც არ იყო, რომ სულ არაფერი სმენოდა დრაკონებზე თქმულიდან. და თუკი სმაუგი ფიქრობდა, ასე იოლად მოვიტყუებ ახლოსო, მაშინ მას იმედის გაცრუება ელოდა.

– არა, მადლობა მომიხსენებია, ო, სმაუგ შიშისმგვრელო, – უპასუხა ბილბომ, – მე საჩუქრებისათვის როდი მოვსულვარ. მე მხოლოდ მსურდა, თვალი შემევლო შენთვის და მენახა, მართლა ისე უზარმაზარი თუ ხარ, როგორც ზღაპრებში ყვებიან. მე არ მჯეროდა ზღაპრების.

– ახლა თუ გჯერა? – დაეკითხა უნებურად ნასიამოვნები დრაკონი, თუმც, რასაკვირველია, ჰობიტის ერთ სიტყვასაც კი არ დაიჯერა.

– ჭეშმარიტად, სიმღერები და თქმულებები ოდნავ თუ შეეფერება სინამდვილეს, ო, სმაუგ, უმთავრესო და უდიადესო ყველა რისხვათა შორის!

– ქურდისა და მატყუარას კვალობაზე ძალიან ზრდილობიანი ყოფილხარ, – წარმოთქვა დრაკონმა, – როგორც ვატყობ, შენ იცი ჩემი სახელი, მაგრამ მე, ვგონებ, ადრე არ შემხვედრია შენი სუნი. შეიძლება, გკითხო, ვინა ხარ, ან საიდან მოსულხარ?

– რასაკვირველია, შეიძლება! მე გორის ქვეშიდან მოვედი, მთათა ქვეშ და მთათა გადაღმა მედო გზა და აქ მოსასვლელად ჰაერიც გადმოვკვეთე. მე იგი ვარ, ვინც უჩინრად დაიარება.

– ეს კი მჯერა, – შეაწყვეტინა სმაუგმა, – მაგრამ ეს არ უნდა იყოს შენი ნამდვილი სახელი.

– მე ვარ პასუხის მპოვნელი და ქსელის გამკვეთი, ნესტრიანი ბუზი ვარ, ბედნიერი რიცხვისათვის ამირჩიეს.

– მომხიბლავი ნოდებებია, – ჩაიცინა დრაკონმა, – მაგრამ ბედნიერი რიცხვი ყოველთვის როდი ამართლებს!

– მე იგი ვარ, ვინც მეგობრებს ცოცხლად მარხავს და სძირავს, შემდეგ კი უვნებლად ამოყავს ნყლიდან. სოროდან ამოვედი და ვერავინ დამამარცხა.

– ეს უკვე ძნელი დასაჯერებელია, – გამოაჯავრა სმაუგმა.

– მე დათვების მეგობარი და არწივთა სტუმარი ვარ. მე ვარ ბეჭდის მომპოვებელი და ილბლის ნებიერი, და კასრის მხედარი ვარ, – განაგრძობდა ბილბო. მას უკვე თავად სიამოვნებდა საკუთარი გამოცანები.

– აი, ეს კი უკეთესია, – ჩაილაპარაკა სმაუგმა, – მაგრამ ფრთხილად იყავი, მხედარო, ძალიანაც ნუ გააჭენე, თორემ სადაცაა, თავს აინყვეტს შენი წარმოსახვა!

დრაკონებს სწორედ ასე უნდა ელაპარაკო, თუკი არ გინდა, საკუთარი სახელი გაუმხილო (რაც ძალიან ჭკვიანურია) და არც ის გინდა, რომ პირდაპირი უარით განარისხო (რაც არანაკლებ ჭკვიანურია). ვერც ერთი დრაკონი წინ

ვერ ალუდგება გამოცანებით საუბრის ცდუნებას და სურვილს, ამ გამოცანების პასუხი იპოვოს. სმაუგმა ბევრი რამ საერთოდ ვერ გაიგო (თქვენ კი, რასაკვირველია, ყველაფერს მიხვდით, რადგან იცით ბილბოს მთელი თავგადასავალი, რომლიდანაც არჩევდა იგი თავის გამოცანებს), მაგრამ მისი აზრით ზოგი რამ მაინც შეიტყო და ახლა დამცინავად ქირქილებდა თავის ბილწ გულში.

– ასეც ვიფიქრე ნუხელ, – ბოროტად ხარობდა იგი თავისთვის, – ტბის ხალხი, იმ უბადრუკ, კასრებით მოვაჭრე ტბის მცხოვრებთა საზიზღარი გეგმები ტრიალებს აქ, ხვლიკი ვიყო, თუ ასე არ არის. საუკუნეებია, რაც იქითკენ ალარ ჩამისეირნია, მაგრამ ძალიან მალე კვლავ მოვინახულებ მათ.

– ძალიან კარგი, ო, კასრების მხედარო, – თქვა მან ხმამაღლა, – იქნებ შენს პონის ერქვა კასრი, იქნებ არც ერქვა, თუმც საკმაოდ კი იყო ჩაკურატებული. იქნებ უხილავად დაიარები, მაგრამ მთელი გზა საკუთარი ფეხით როდი გამოგივლია. ნება მიბოძე, მოგახსენო, რომ გასულ ღამეს ექვსი პონი შევჭამე და ცოტა ხანში დანარჩენებსაც დავიჭერ და შევჭამ. მშვენიერი სადილის სამადლობელოდ კი ერთ კარგ რჩევას მოგცემ და ყური კარგად დამიგდე: გნომებთან რაც უფრო ნაკლებად დაიჭერ საქმეს, მით უკეთესი იქნება შენთვის.

– გნომებთანო! – მოჩვენებით გაიოცა ბილბომ.

– ფუჭია სიტყვები, – მიუგო სმაუგმა, – ჩემზე უკეთ არავინ იცნობს გნომების სუნს და გემოს. ნუთუ გგონია, რომ შესაძლებელია, შევჭამო გნომის ნაჭენები პონი და არ ვიცოდე, ვინ იყო მისი მხედარი? ცუდ ბოლოს გადაეყრები, თუ ამგვარ მეგობრებთან ერთად დადიხარ, კასრების მხედარო ქურდო! და სულ არ მეწყინება, თუკი უკან გაბრუნდები და გადასცემ ჩემგან, რასაც ვფიქრობ მათზე. – მაგრამ სმაუგმა ბილბოს დაუმალა, რომ ერთი სუნი, ჰობიტის სუნი, მან ვერ იცნო – ამგვარი მას ჯერ არაფერი შეხვედროდა – და ამიტომ გვარიანად შეფიქრიანდა.

– ალბათ, კარგი გასამრჯელო მიიღე გასულ ღამეს იმ თასში? – განაგრძობდა დრაკონი, – გამოტყდი, ხომ მიიღე? თუ არაფერიც არ შეგხვდა? ო, გნომებისაგან სხვას არც უნდა მოელოდე. ალბათ, თავად გარეთ იმალებიან, შენ კი გევალება, მათ მაგივრად აკეთო ყველა სახიფათო საქმე და რაც შეიძლება, მეტი იშოვნო მათთვის, როგორც კი მე გვერდით გავიხედავ. და შენი წილიც გვარიანი იქნება ამ ნაშოვნში? არ დაიჯერო! ილბალი გქონია, თუკი საერთოდ ცოცხალი დაუძვერი ამ საქმეს.

ბილბო უკვე საშინლად მოუსვენრად გრძნობდა თავს. ზოგჯერ დრაკონის აწრიალებული თვალი, ჩრდილებში რომ დაეძებდა მას, ზედ წაადგებოდა ხოლმე და ბილბოს ააცახცახებდა. მაშინ ჰობიტს დაუძლეველი სურვილი იპყრობდა, გვირაბიდან გამოჭრილიყო, სმაუგს წარსდგომოდა და ყველაფერი დაუფარავად გაემხილა მისთვის. დრაკონის საშინელი ჯადო იპყრობდა ბილბოს, მაგრამ მან გამბედაობა მოიკრიბა და კვლავ ალაპარაკდა:

– შენ ყველაფერი როდი იცი, ო, სმაუგ ძლევამოსილო, – ნარმოთქვა მან – ჩვენ არა მხოლოდ ოქრომ მოგვიზიდა ამ მხარეს.

– ჰა, ჰა! გამოტყდი, არა, „ჩვენო"? – ახარხარდა სმაუგი, – რად არ იტყვი ბარემ, „ჩვენ თოთხმეტნიო", მისტერ ბედნიერო რიცხვო? მე დიდად ნაამები ვარ იმის შეტყობით, რომ ამ მხარეში ჩემი ოქროს გარდა სხვა რამ საქმეებიც გქონიათ. მაშინ იქნებ არც მთლად ფუჭად დაკარგული აღმოჩნდეს თქვენი დრო.

მე არ ვიცი, დაფიქრებულხართ თუ არა როდესმე ამაზე: რომც მოახერხო განძეულის მოპარვა ცოტ-ცოტაობით – ასე, ერთი-ორ ასეულ წელიწადში – შორს მაინც ვერსად წაიღებ. რად გამოგადგება ოქრო აქ, მთაში? ან ტყეში? ჩემმა მზემ, ნუთუ არასოდეს დაფიქრებულხარ, რამდენად სარფიანია ეს საქმე? მეთოთხმეტედი წილი, ალბათ, თუ რაღაც ამდაგვარი – ასეთი იყო შეთანხმება, ჰა? მაგრამ როგორ წაიღებ ოქროს შინ? რით წაიღებ? და რამდენი დაგეხარჯება შეიარაღებულ დაცვაზე და ბაჟებზე?

და სმაუგი ხმამაღლა ახარხარდა. მას ბოროტი და მუხთალი გული ჰქონდა, თუმც ახლა იცოდა, რომ ბევრ რამეს სწორად ვარაუდობდა. მაგრამ დრაკონს ეგონა, რომ ყოველივე ამ საქმეთა წამომწყები ტბის ხალხი იყო და რომ საგანძურის უმეტესი წილი უნდა დარჩენილიყო სწორედ ტბისპირა ქალაქში, რომელსაც მისი ახალგაზრდობის წლებში ესგაროტი ეწოდებოდა.

ძნელად დაიჯერებთ, მაგრამ საბრალო ბილბო მართლაც ძალიან შეცბა. ამ დრომდე მთელი მისი ფიქრები და ძალისხმევა მიმართული იყო საიმისოდ, რომ თანამგზავრებთან ერთად როგორმე მთამდე მიეღწია და შესასვლელი ეპოვნა. იგი ერთხელაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ როგორ უნდა გადაეტანათ განძეული და, რაღა თქმა უნდა, არც იმაზე, თუ როგორ მიიტანდა საკუთარ წილს თავისთან, ბეგ-ენდში, გორისძირას.

და ახლა მის გონებაში მდაბალმა ეჭვმა წამოყო თავი: გნომებსაც გადაავიწყდათ ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლება, თუ მთელი ეს დრო ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ ჰობიტის გულუბრყვილობას? დრაკონთან საუბარი სწორედ ამგვარად მოქმედებს გამოუცდელებზე – ბილბოს ეს უნდა სცოდნოდა და ფხიზლად ყოფილიყო; მაგრამ მეტისმეტად მძლავრი იყო სმაუგის დამთრგუნველი ძალა.

– მე გეტყვი, – ალაპარაკდა ჰობიტი, რათა როგორმე მოეხერხებინა, გული არ ასცრუებოდა მეგობრებზე და დრაკონის ჯადოს არ დანებებოდა, – რომ ოქრო როდი იყო ჩვენი მთავარი მიზანი. ჩვენ გადმოვიარეთ მთებზე და მთათა

ქვეშ, გადმოვლახეთ წყალი და ქარი შურისგებისთვის. ჭეშმარიტად, ო სმაუგ, აღუწყველად მდიდარო, ნუთუ არასდროს დაფიქრებულხარ, რომ ამ გამდიდრებამ მოსისხლე მტრები შეგძინა?

მაშინ სმაუგმა მართლაც გულიანად გადაიხარხარა. მისი სიცილის დამანგრეველმა ძალამ ბილბო იატაკზე გაშოტა, ხოლო მაღლა, გვირაბში, გნომები ერთმანეთს მიეყუჟნენ და ფიქრობდნენ, ჰობიტს უდროო და მძიმე აღსასრული დაუდგაო.

– შურისგება! – ამოიფრუტუნა დრაკონმა და მისი თვალების ცეცხლმა წითელი ელვასავით გააჩირაღდნა დარბაზი იატაკიდან ჭერამდე, – შურისგება! მთისქვეშა მეფე მოკვდა, და განა სად არიან მისი შთამომავლები, რომლებიც გაბედავდნენ შურისძიებას? გირიონ, დეილის მეფე მოკვდა, და სად არიან მისი შვილთაშვილები, ჩემთან მოახლოება რომ გაბედონ? მე ვკლავ, სადაც მომესურვება და ვერვინ ბედავს, წინ აღმიდგეს. მე დავამარცხე ძველი დროის მეომრები, ხოლო დღეს მათი მსგავსი აღარც მოიძებნება დედამიწის ზურგზე. მაშინ მე ყმანვილი ვიყავი და სუსტი, ახლა კი ბებერი ვარ და ძლიერი, ძლიერი, ძლიერი, ჩრდილში მიმალულო ქურდო! – ბოროტად ხარობდა დრაკონი, – ჩემი ჯავშანი ათმაგად ნაჭედი ფარებია, ჩემი კბილები – სატევრები, ჭანგებად შუბები მასხია, კუდის მოქნევა მეხის დაცემას ემსგავსება, ფრთების გაშლა – ქარიშხალს, ხოლო ჩემი სუნთქვა სიკვდილია!

– მე მუდამ მესმოდა, – დამფრთხალი წრიპინით წარმოსთქვა ბილბომ, – თითქოს დრაკონები ქვემოდან უფრო რბილები არიან, განსაკუთრებით მათი... ეე... მკერდის არეში. მაგრამ, უეჭველია, ამგვარად აღჭურვილი არსება უთუოდ იხრუნებდა ამაზეც.

დრაკონმა ერთბაშად შეწყვიტა კვეხნა.

– შენი ცნობები მოძველდა, – ამოიღრინა მან, – მე ზემოდანაც და ქვემოდანაც შეჯავშნული ვარ რკინის ფარფლებით და მტკიცე თვლებით. ვერანაირი მახვილი ვერ გამკვეთს.

– ამას თავადაც უნდა მივმხედარიყავი, – მიუგო ბილბომ, – მართლაც რომ ვერავინ შეედრება ბატონ სმაუგ განუკვეთელს. რა მომაჯადოებელია, ფლობდე მშვენიერი ალმასების ამგვარ ჟილეტს!

– დიახ, ეს მართლაც იშვიათი და შესანიშნავი რამ არის, – განაცხადა სრულიად გაუგებრად და ბრიყვულად ნაამბობმა სმაუგმა. მან არ იცოდა, რომ ჰობიტმა წინა მისვლაზე უკვე მოჰკრა თვალი მის განსაკუთრებულ და უჩვეულო საფარს და ახლა ერთი სული ჰქონდა, ახლოდანაც შეეთვალიერებინა მხოლოდ მისთვის ცნობილი განზრახვით.

დრაკონი გვერდზე გადაკოტრიალდა.

– შეხედე! – თქვა მან, – რას იტყოდი ამაზე?

– დამაბრმავებლად მშვენიერია! გამაოგნებელია! უზადოა! დამბნედავია! – გაიძახოდა ბილბო ხმამაღლა, ხოლო თავისთვის გაიფიქრა: „გადამღრძვალი ჩერჩეტი! განა იქ, მკერდის მარცხენა მხარეს ჩაღრმავებაში მოზრდილ ლაქად არ გიჩანს ნიჟარიდან გამომძვრალი ლოკოკინასავით შიშველი ხორცი?"

რაკი დაინახა, რაც უნდოდა, მისტერ ბეგინსს ერთადერთ საზრუნავად ისღა დარჩა, როგორმე იქაურობას გასცლოდა.

– ახლა კი მეტად ველარ დავაყოვნებ თქვენს უდიდებულესობას, – თქვა მან, – და ვერ მოგაკლებთ ესოდენ საჭირო დასვენებას. ალბათ, ძნელია პონების დაჭერა ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ. მპარავებისაც, აგრეთვე, – დაამატა მან ანაზდად, ერთბაშად შებრუნდა და გვირაბში აღმა გაკურცხლა.

აი, ეს შენიშვნა კი ნამდვილად უდროო და უადგილო გახლდათ. სმაუგმა მას უკან დაადევნა მწველი ალის ნაკადი და, თუმც ჰობიტი მთელი ძალ-ღონით მიიჩქაროდა დამრეც გვირაბში, მან ძლივს გაასწრო უხიფათო მანძილზე სმაუგის საზარელ თავს, რომელიც მის ზურგსუკან დაღებულ გასასვლელს დაეძგერა. საბედნიეროდ, მთელი თავი და ყბები ღიობში ვერ შეეტია, მაგრამ დრაკონმა ნესტოებიდან ცეცხლი და კვამლი დაადევნა გაქცეულს. ჰობიტი კინაღამ დასცა მხურვალებამ, იგი ბრმად მიბორძიკობდა წინ აუტანელი ტკივილითა და შიშით შეპყრობილი. სმაუგთან საუბრისას იგი ზედმეტად გააბრუა საკუთარი სიბრძნითა და გამჭრიახობით ტკბობამ და ახლა, ბოლოს დაშვებულმა შეცდომამ გამოაფხიზლა და ჭკუაში ჩააგდო.

– არასოდეს დასცინო ცოცხალ დრაკონს, ბილბო, შე ტუტუცო, – მიმართა მან თავს. შემდგომი წლების მანძილზე ეს მისი საყვარელი გამოთქმა გახდა და ანდაზადაც იქცა. – შენი თავგადასავალი ჯერაც არ დასრულებულა, – დაამატა მან და ესეც სრული სიმართლე იყო.

შუადღე უკვე მწუხრად ქცეულიყო, როდესაც ბილბო გვირაბიდან გამოვიდა, ნაიბორძიკა და გულშემოყრილი დაეცა ზღურბლთან. გნომებმა იგი გონს მოიყვანეს და, როგორც შეეძლოთ, ისე უწამლეს მის დამწვრობებს. მაგრამ კიდევ დიდი ხანი გავიდა, სანამ ჰობიტს კვლავ მოეზრდებოდა კეფასა და ქუსლებზე თმა, რომელიც კანამდე დაბუგვოდა და გადატრუსვოდა. მაშინ კი მისმა მეგობრებმა ძალა არ დაიშურეს მის გასამხნევებლად. გნომებს უზომოდ სწყუროდათ მისი ნაამბობის მოსმენა, განსაკუთრებით იმის გაგება სურდათ, თუ რად დაილრიალა დრაკონმა ისეთი საშინელი ხმით და როგორ დაუძვრა მას ბილბო.

მაგრამ ჰობიტი დარდიანი და შეწუხებული იყო და გნომებს ძალიან გაუჭირდათ მისი ალაპარაკება. ახლა, როდესაც თავიდან გადაიაზრა მომხდარი, იგი მწარედ ნანობდა, რომ დრაკონს ზოგი რამ მოახსენა და აღარ სურდა უკვე

თქმულის გამეორება. იქვე, მახლობელ კედელზე ბებერი შაშვი შემომჯდარიყო, თავი გვერდზე გადაეხარა და ყურს უგდებდა მათ საუბარს. ბილბო ისე იყო გულმოსული და გაღიზიანებული, რომ ქვას დასტაცა ხელი და ჩიტს ესროლა, მაგრამ შაშვი მხოლოდ გვერდით გადაფრთხიალდა და მაშინვე უკან დაბრუნდა.

– ჯანდაბას ეს ჩიტი! – ბრაზით ნამოიძახა ჰობიტმა, – ნამდვილად ყურს გვიგდებს, და სულ არ მომწონს მისი მზერა!

– დაანებე თავი, – უთხრა თორინმა, – შაშვები კარგი და მეგობრული ფრინველები არიან. ეს კი ნამდვილად ძალიან ბებერი ჩიტია, იქნებ უკანასკნელიც კია იმ უძველესი მოდგმის ფრინველებიდან, რომლებიც აქ, ახლომახლო ბუდობდნენ ჩემს მამასა და პაპას შეჩვეულები. მათი მოდგმა დლეგრძელი იყო და გულთამხილავი, და ეს შაშვი იქნებ ერთი მათგანიც არის, ვინც ჯერ კიდევ მაშინ, ორიოდე ასეული წლის წინათაც ცხოვრობდა. დეილის მცხოვრებლებს მათი ენა ესმოდათ და შიკრიკებად გზავნიდნენ ხოლმე ტბისპირელ ხალხთან, ან სხვაგან სადმე.

– ახლა კი ექნება ახალი ამბები ტბის ქალაქში ნასაღებად, თუკი საამისოდ ირჯება, – მოიღუშა ბილბო, – თუმც არა მგონია, იქ ჯერაც დარჩენილიყო ხალხი, ვისაც რამე გაეგება შაშვების ენის.

– რატომ, რა მოხდა? – შესძახეს გნომებმა, – მიდი, განგრძე თხრობა!

და ბილბომ მოუთხრო მათ, რაც კი ახსოვდა და გამოტყდა, რომ გულს დარდი შემოსწოლოდა, რადგანაც, როგორც ჩანს, დრაკონმა საკმარისზე მეტი რამ შეიტყო მისი გამოცანებიდან, აგრეთვე ნაპოვნი ბანაკებისა და პონების გამოისობით.

– მე დარწმუნებული ვარ, დრაკონმა იცის, ტბის ქალაქიდან რომ მოვედით და იქაურებმა დახმარება რომ გაგვიწიეს. საშინელი გრძნობა მაქვს – ასე მგონია, დრაკონის მორიგი გაფრენა სწორედ ამ მიმართულებით იქნება. ნეტავი ღმერთს დავეფარე და არაფერი მეთქვა კასრის მხედრების შესახებ – ეს გამოცანა ამ მხარეში ბრმა ბაჭიასაც კი ტბის ქალაქისაკენ გაახედებდა.

– კარგი, კარგი! ამას უკვე აღარაფერი ეშველება, და ძალიან ძნელია, არაფერი შეგეშალოს დრაკონთან საუბრისასო, ასე მსმენია მუდამ, – უთხრა ბალინმა, რომელსაც ძალიან ეწადა, ჰობიტი ენუგეშებინა, – მე თუ მკითხავ, ძალიანაც კარგად გაართვი თავი ყველაფერს – შენ, სულ ცოტა, ერთი საჭირო ამბავი მაინც შეიტყვე და უკან ცოცხალი დაბრუნდი. მათი უმრავლესობა, ვინც სმაუგის მსგავს მოსაუბრეს შეხვედრია, ამით ვერ დაიკვეხნის. ვინ იცის, როგორ გამოგვადგეს იმის ცოდნა, რომ ბებერ მატლს თავისი ალმასის ჟილეტიდან ერთგან შიშველი ხორცი მოუჩანს.

ამის შემდეგ ისინი დრაკონის მოკვლის შესახებ ძველი ამბების განსჯას მოჰყვნენ. ამ ამბავთაგან ზოგი მართლაც ძველი დროის გმირებს შეეხებოდა,

ზოგიც საეჭვო მონაჭორს უფრო ჰგავდა. ისინი ბჭობდნენ სხვადასხვაგვარ მახვილის ძგერებაზე, გაკვეთასა და განგმირვაზე, იხსენებდნენ ნაირნაირ ხერხებს, გამოგონებასა თუ ოსტატობას, რისი მეშვეობითაც ოდესმე აღესრულებინათ ამგვარი საქმეები. თითქმის ყველას მიაჩნდა, რომ მთვლემარე დრაკონს თავს წადგომა სათქმელად იოლი და საქმნელად ძნელი იყო და რომ მცდელობა, ჩაძინებული მტრისათვის ეძგერებინათ მახვილი, უფრო სავალალოდ დამთავრდებოდა, ვიდრე მამაცური პირდაპირი შეტევა. მთელი ეს ხანი, სანამ ისინი საუბრობდნენ, შაშვი ყურადღებით უსმენდათ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირველი გაუბედავი ვარსკვლავები აკიაფდნენ სივრცეში, მან უხმოდ გაშალა ფრთები და გაფრინდა. და სანამ ისინი საუბრობდნენ და ჩრდილები გრძელდებოდა, ბილბო უფრო და უფრო უბედურად გრძნობდა თავს და სულ უფრო ძლიერდებდა მისი ავი წინათგრძნობა.

ბოლოს ჰობიტმა ველარ გაძლო და გნომებს საუბარი შეაწყვეტინა.

– მე ვგრძნობ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ხიფათიან ალაგას ჩამოვმსხდარვართ, – თქვა მან, – და მე არც ვიცი, რა საჭიროა, აქ ვისხდეთ. დრაკონმა უკვე გადაბუგა ეს საამო მოლი, ესეც რომ არა, უკვე ჩამოლამდა და აცივდა, მაგრამ მე ვგრძნობ, გულ-მუცლით ვგრძნობ, რომ აქაურობას კვლავ დაესხმიან თავს. სმაუგმა ახლა იცის, რა გზით ჩავედი მის დარბაზში და, არხეინად იყავით, მშვენივრად მიხვდება, სად უნდა იყოს გვირაბის მეორე ბოლო. თუკი დასჭირდა, იგი მთის მთელ ფერდს მინასთან გაასნორებს, რომ ჩვენ მასთან მისასვლელი გზა დაგვიხშოს, და თუ ამასობაში ჩვენც გაგვსრისავს და მოგვსპობს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კიდევ უფრო ნასიამოვნები დარჩება.

– მეტისმეტად პირქუშად განსჯი, მისტერ ბეგინს! – გამოეხმაურა თორინი, – მაშინ, რად არ ჩახერგა სმაუგმა გვირაბის ქვედა ბოლო, თუკი ასე ძალიან უნდა ჩვენი გარეთ დატოვება? ჩვენ უთუოდ გავიგონებდით ხმაურს, ასე რომ მოქცეულიყო.

– არ ვიცი, არ ვიცი... ალბათ, თავიდან სურდა, კვლავ შევეტყუებინე თავისთან, ახლა კი, შეიძლება, ამალამინდელი ნადირობის შემდეგ გასაკეთებლად გადადო, ან იქნებ არ სურს, საძინებელი გაიუშნოვოს. მაგრამ ძალიან მინდა, რომ ახლა არ მედავებოდეთ, ახლა სმაუგი ნებისმიერ წუთს შეიძლება, გარეთ გამოვიდეს და ჩვენი ერთადერთი იმედია, კარგა ღრმად ჩავიდეთ გვირაბში და კარიც დავკეტოთ.

იგი ისეთი დაბეჯითებით იხვეწებოდა, რომ გნომებმა ბოლოსდაბოლოს დაუჯერეს, მაგრამ კარის მიხურვას აყოვნებდნენ – მათ მიაჩნდათ, რომ ეს მეტისმეტად განუსჯელი საქციელი იქნებოდა. არავინ იცოდა, როგორ უნდა გაელოთ მიხურული კარი შიგნიდან, ან საერთოდ შეძლებდნენ თუ არა გალე-

ბას. ისეთ ადგილას გამომწყვდეულა კი, საიდანაც მხოლოდ დრაკონის ბუნაგის გავლით შეიძლებოდა გარეთ გასვლა, გულზე არავის ეხატებოდა. ესეც რომ არა, გარშემო სინყნარე სუფევდა, თითქოს არაფერი ხდებოდა არც გარეთ და არც დაბლა, გვირაბში. ამიტომაც საკმაოდ დიდხანს ისინი გვირაბში სანახევროდ მიხურული კარის შორიახლოს ისხდნენ და საუბარს განაგრძობდნენ.

ახლა ისინი საუბრობდნენ იმაზე, თუ რაგვარად შეამკო გნომები დრაკონმა. ბილბოს სურდა, არასოდეს გაეგონა ის სიტყვები, ან ახლა მაინც, როდესაც გნომები არწმუნებდნენ, არასოდეს გვიფიქრია, თუ რა მოხდებოდა განძის მოპოვების შემდეგო, ახლა მაინც შესძლებოდა, ბოლომდე ერწმუნა მეგობრების პატიოსნება.

– ჩვენ ვიცოდით, რომ ეს თითქმის უიმედოდ სახიფათო საქმე იყო, – ამბობდა თორინი, – და ახლაც ვიცით, რომ ეს ასეა. და მე ვფიქრობ, რომ თუკი განძეულს ხელში ჩავიგდებთ, ჩვენ საკმაო დრო გვექნება მოსაფიქრებლად, თუ როგორ მოვუაროთ მას; ხოლო შენი წილი, მისტერ ბეგინს... გარწმუნებ, რომ ჩვენ ძალიან, ძალიან მადლიერნი ვართ და რომ შენ თავად აირჩევ კუთვნილ მეთოთხმეტედს, როგორც კი რაიმე გვექნება გასაყოფი. მე ვწუხვარ, თუკი გადაზიდვის საკითხი გადარდებს და ვალიარებ, რომ ეს მართლაც საძნელო იქნება – დროის მსვლელობამ აქეთური გზები ნაკლებად ველური როდი გახადა, სწორედაც რომ პირიქით, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ შენთვის, რაც კი შეგვიძლია და, როდესაც დრო მოვა, ხარჯსაც გავინაწილებთ. ახლა კი გინდ დამიჯერე და გინდ არა!

ამის შემდეგ ისინი მოყვნენ საუბარს მთლიანად თორორის აუნყველ საჭურჭლეზე, იმ ნივთებზე, რომელიც თორინსა და ბალინს ახსოვდათ. ნეტავ, ჯერ კიდევ დაუზიანებლად თუ ელაგა დაბლა, დარბაზში ყოველივე? სად იყო შუბები, რომლებიც დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი დიდებული მეფე ბლადორთინის ჯარებისათვის გამოეწრთოთ ოდესღაც? ყოველ შუბს სამგზის ნაწრთობი ნვერი და ოქროცურვილი ტარი ჰქონდა, მაგრამ ველარ გადაეცა ისინი დიდებულ ხელმწიფეს, ვერც ფასი მიითვალეს ოსტატებმა. სად იყო ფარები, დიდი ხნის წინ გარდასულ მეომართათვის ნამზადები? თორორის დიდი ოქროს თასი, ორყურიანი, ნაჭედი და ნაკვეთი ფრინველებითა და ყვავილებით დამშვენებული? ამ ფრინველთა თვალები და მცენარეების ფურცლები ნატიფი ძვირფასი ქვებით ეკეთებინათ... სად იყო მოოქრული და მოვერცხლილი განუკვეთელი აბჯრები, ან გირიონის, დეილის ბატონის დიადემა, ხუთასი მოლისფერი ზურმუხტისგან ასხმული, რომელიც მან გაილო უფროსი ძის შესაჭურვად გნომთა ნაჭედ ჯაჭვის პერანგში? ამგვარი აბჯარი მანამდე არავის გამოეჭედა ფოლადზე სამჯერ უფრო მტკიცე წმინდა ვერცხლისაგან. მაგრამ ყველაფერზე უფრო მშვენიერი იყო დიდი თეთრი პატიოსანი

თვალი, რომელიც გნომებმა მთის ფესვების ქვეშ იპოვეს – მთის გული, თრეინის არკენსტონი.

– არკენსტონი! არკენსტონი! – ბუტბუტებდა თორინი ბნელში, სანახევროდ ოცნებებში წასულს ნიკაპი მუხლებზე ჩამოეყრდნო. – ეს ათასსახა ბირთვი იყო, ელვარებდა, როგორც ვერცხლი ცეცხლის პირას, როგორც წყალი მზეზე, როგორც ვარსკვლავების ქვეშ გაშლილი თოვლი და მთვარით განათებული ნვიმა!

მაგრამ ბილბოს უკვე განშორებოდა მშვენიერი განძით მოგვრილი ჯადო და სურვილი. იგი მხოლოდ სანახევროდ უგდებდა ყურს გნომებს, კართან ყველაზე ახლოს ჩამოჯდა, გაფაციცებით აყურადებდა გარედან შემოღნეულ ყველა ჩქამს და გულდასმით უსმენდა მთის გამოძახილებს გნომთა ბუტბუტის მილმა, თითოეულ გაფაჩუნებას შორს, დაბლიდან.

ბინდი სულ უფრო გახშირდა და ბილბოს მოუსვენრობამაც იმატა.

– დაკეტეთ კარი! – შეევედრა იგი გნომებს, – მთელი შიგნეულით მეშინია ამ დრაკონის. ეს სიჩუმე კიდევ უფრო ნაკლებად მომწონს, ვიდრე წუხანდელი ღმუილი. დაკეტეთ კარი, სანამ გვიანი არაა!

მის ხმაში რაღაც ისეთი გაისმოდა, რამაც გნომებს უსიამო გრძნობა მოჰგვარა. თორინი ოცნებებიდან გამოერკვა, ადგა და ფეხი ჰკრა ქვას, რომელიც კარს იმაგრებდა. შემდეგ ისინი ერთად მიაწვნენ და ტკაცუნითა და ჟღრიალით დაკეტეს კარი. შიგნიდან გასაღების ჭუჭრუტანის კვალიც არ ჩანდა. ისინი მთაში დარჩნენ გამოკეტილები!

და სწორედაც რომ დროულად. ის იყო, ოდნავ გამოსცდნენ კარს, რომ მთის ფერდი საშინელმა დარტყმამ შეაზანზარა, თითქოს გოლიათებმა ვეება ბერმუხები აკვეთეს კლდეებს. კლდეები აგუგუნდა, კედლები აჭრაჭუნდა და ჭერიდან ქვები დააცვივდათ თავზე. გაფიქრებაც არ მინდა, რა მოხდებოდა, კარი ღია რომ ყოფილიყო! მათ, გახარებულებმა, რომ ჯერაც სული ედგათ, დალმა გვირაბში გაკურცხლეს და იქაც ჩაესმოდათ განრისხებული დრაკონის გამაყრუებელი ღრიალი. მისი უზარმაზარი კუდი თავს ატყდებოდა და ამსხვრევდა კლდეებს, ფშვნიდა კედლებს და ჭიუხებს, სანამ პატარა მაღლივი ნაბანაკარი, გადატრუსული ბალახი, შაშვის ლოდი, ლოკოკინებით დაფარული კედლები, ვიწრო თარო, ყველაფერი, ყველაფერი ნამსხვრევების უწესრიგო გროვად არ იქცა, ხოლო დამსხვრეული ქვების ზვავი დაბლა ველებზე არ ჩახრიალდა.

სმაუგმა ჩუმად და ჰარვით დატოვა თავისი ბუნაგი, მდუმარედ აიჭრა ჰაერში და შემდეგ მძიმედ და ნელ-ნელა ჩამოეშვა ბინდში შემზარავი ყვავის დარად დაბლა და დაბლა, მთის დასავლეთი ფერდისკენ. იგი იმედოვნებდა, იქ მოულოდნელად წავადგები თავს ვინმეს ან რაიმეს და შევიტყობ, სად გამოდის დერეფანი, რომლითაც ქურდი დაიარებოდაო. ახლა დრაკონი მრისხანებდა

იმის გამო, რომ ვერავინ და ვერაფერი იპოვა იქაც კი, სადაც ნამდვილად უნდა ყოფილიყო გვირაბის გამოსასვლელი.

მას შემდეგ, რაც ნგრევით ოდნავ მაინც დაიცხრო რისხვა, დრაკონს ცოტა-თი გულს მოეშვა და გაიფიქრა, ამ მხრიდან უკვე ველარავინ შემაწუხებსო. ახლა მას უფრო დიდი შურისგება უნდა აღესრულებინა.

– კასრების მხედარი! – ჩაიფრუტუნა მან, – შენ წყლის მხრიდან მოხვედი და, უეჭველია, წყალს ამოყვებოდი ალმა. მე არ ვიცნობ შენს სუნს, მაგრამ თავად რომც არ იყო ტბისქალაქელი, დახმარება ხომ ნამდვილად მათგან მიიღე! ახლა კი მიხილავენ ისინი და გაახსენდებათ, ვინ არის ჭეშმარიტი მთისქვეშა მეფე!

იგი, ცეცხლის ალში გახვეული, ცად აიჭრა და სამხრეთით, მდინარე ჩქერულასაკენ გაესწრაფა.

13 შინ არ არის

დიდხანს ისხდნენ გნომები ბნელში და მათ გარშემო დაურღვეველი მდუ-მარება მეფობდა. ისინი ცოტას ჭამდნენ და ცოტას ლაპარაკობდნენ, არ იცოდნენ, რამდენი დრო გადიოდა და განძრევასაც ძლივს ბედავდნენ, რადგან მათი ჩურჩული მრავლდებოდა და გვირაბში შრიალებდა. თუკი ჩათვლემდნენ, გამოღვიძებულებს მაინც შეუცვლელი სიბნელე და სიჩუმე ეგებებოდა. ბოლოს, როგორც მოეჩვენათ, მრავალი და მრავალი დღის ლოდინის შემდეგ, როდესაც ლამის იყო, გონი დაეკარგათ უჰაერობისაგან, გნომებმა ველარ შეძლეს ამისთანა ყოფის ატანა. იმ დღეში ჩაცვენილიყვნენ, რომ ალბათ ისიც გაახარებდათ, ქვემოდან ამომავალი, დრაკონის დაბრუნების მაუწყებელი ხმები რომ გაეგონათ. სიჩუმეში მათ სმაუგის მუხთალი ხრიკების შიში ჰქონდათ, მაგრამ ასე სხდომა სამუდამოდ ნამდვილად არ შეეძლოთ.

ბოლოს თორინმა განაცხადა:

– მოდი, შევამოწმოთ, რა დღეშია კარი. მე ან ძალიან მალე ნიავს უნდა მივუშვირო სახე, ან მოვკვდები. მირჩევნია, სუფთა ჰაერზე სმაუგმა გამანადგუროს, ვიდრე აქ გავიგუდო!

რამდენიმე გნომი წამოდგა და ხელისცეცებით გასწია იქითკენ, სადაც ოდესღაც კარი იყო. მაგრამ მათ გვირაბის ზედა ბოლო ჩამოქცეული და კლდის ნამსხვრევებით ამოქოლილი დაუხვდათ. ველარც გასაღები, ველარც ჯადო, რომელსაც ოდესღაც მორჩილებდა, ველარ გააღებდა ამიერიდან კარს.

– მახეში გავებით! – აყვირდნენ გნომები, – ეს დასასრულია, აქვე უნდა ჩავიხოცოთ.

მაგრამ როგორღაც, სწორედ მაშინ, როდესაც გნომები სრულმა სასოწარ-კვეთამ შეიპყრო, ბილბოს უცნაურად გაუნათდა გული, თითქოს მკერდიდან ვეებერთელა სიმძიმე ჩამოეხსნა.

– კარგი, კარგი! – თქვა მან, – „სანამ არსებობს სიცოცხლე, არსებობს იმედიც“ – ასე ამბობდა მამაჩემი, და – „მესამე და – სამართალიო“. მე ვაპი-რებ, კიდევ ერთხელ ჩავეშვა გვირაბში. მე იქ უკვე ვიყავი ორჯერ, როდესაც ვიცოდი, რომ დაბლა დრაკონს შევხვდებოდი, ამიტომ ერთხელაც გავბედავ, მით უფრო, რომ შეიძლება, იქ აღარც იყოს ღრაკონი. ასეც და ისეც, ერთად-ერთი გზა აქედან – დაბლა მიემართება. და, ვფიქრობ, ამჯერად უმჯობესი იქნება, ყველანი თან გამომყვეთ.

უიმედობით შეპყრობილი გნომები დაეთანხმნენ ჰობიტს და თორინი ბილბოს მხარდამხარ წინ გაუძღვა დანარჩენებს.

– ახლა კი ფრთხილად იყავით! – დაიჩურჩულა ჰობიტმა, – და, რაც შეიძლება, ჩუმად იარეთ! იქნებ იქ, ძირში სმაუგი აღარც იყოს, მაგრამ მერე კვლავ შეიძლება, გამოჩნდეს. ზედმეტად ნუ ჩავიგდებთ თავს ხიფათში.

დაღმა, დაღმა დაეშვნენ ყველანი. გნომებს, ცხადია, არ შეეძლოთ, ჰობიტის ჩუმი ნაბიჯებისათვის აეწყოთ ფეხი და გვარიანი ქოშინი და ფეხების ბარტყუნი ატეხეს, ექო კი გამაფრთხილებლად ამრავლებდა ხმებს. მაგრამ, თუმც ბილბო დროდადრო ჩერდებოდა და შიშით აყურადებდა, ქვემოთ არაფერი გაჩქამებულა. როდესაც, მისი აზრით, უკვე გასასვლელს მიუახლოვდნენ, ბილბომ ბეჭედი წამოიცვა და დაწინაურდა. თუმცა, ბეჭედი არც სჭირდებოდა: სრული წყვდიადი იდგა და ყველანი, ბეჭდით თუ უბეჭდოდ, მაინც უჩინრები იყვნენ. იმგვარი სიბნელე იდგა, რომ ჰობიტი მოულოდნელად მიუახლოვდა გასასვლელს, ხელები ჰაერში მოაფათურა, წინ ნაბორძიკდა და კისრისტეხით ჩაგორდა დარბაზში!

ასე ინვა იგი, იატაკზე პირქვე ჩამხობილი და განძრევის ეშინოდა, სუნთქვასაც ძლივს ბედავდა, მაგრამ ბნელში არაფერი შენძრეულა. სინათლის პატარა ათინათიც კი არ ჩანდა, მხოლოდ, როდესაც ბილბომ ბოლოსდაბოლოს ნელა წამოსწია თავი, მოეჩვენა, რომ მის თავსზემოთ, სადღაც შორს, ნკვარამში, მკრთალი თეთრი ციალი გამოკრთოდა. მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო დრაკონის ცეცხლის ნაპერწკალი, თუმც გარშემო სმაუგის მძიმე სიმყრალე იდგა და ბილბო პირში ოხშივარის საძაგელ გემოს გრძნობდა.

ბოლოს მისტერ ბეგინსმა ველარ გაძლო.

– ჯანდაბას შენი თავი, სმაუგ, შე მატლო! – ხმამაღლა დაიწრიპინა მან, – გეყოფა დახუჭობანას თამაში! ამინთე შუქი და მერე შემჭამე, თუკი დამიჭერ!

უჩინარ დარბაზს სუსტმა ექოებმა შემოურბინა, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

ბილბო ნამოდგა და მიხვდა, რომ არ იცოდა, საით უნდა შებრუნებულიყო.

– ახლა მხოლოდ ის მაინტერესებს, რა ოხრობას თამაშობს სმაუგი, – თქვა მან, – დღეს (თუ ამაღამ, თუ რაც არის) იგი შინ არ არის, ამაში უკვე დავრწმუნდი. თუკი ოინსა და გლოინს თავისი კვეს-აბედი არ დაუკარგავთ, იქნებ ცოტათი გავანათოთ აქაურობა და მიმოვიხედოთ, სანამ ილბალი გვწყალობს?

– შუქი! – დაიყვირა მან, – შეუძლია ვინმეს, ცეცხლი აანთოს?

გნომები, რასაკვირველია, ძლიერ შეშფოთდნენ, როდესაც ბილბო საფეხურიდან გადავარდა და ბრაგვანით ჩაებერტყა დარბაზში, და ისინი, გასასვლელის მახლობლად ერთად შეკუჭებულები, იქვე ჩასხდნენ, სადაც ჰობიტმა დატოვათ.

– ჩუ! ჩუ! – აჩურჩულდნენ ისინი, როდესაც ბილბოს ხმა გაიგონეს და ჰობიტი მიხვდა, თუ რომელ მხარეს უნდა ეძებნა გნომები, მაგრამ ძალიან დიდხანს სხვას ვერაფერს გამორჩა თანამგზავრებს. სულ ბოლოს, როდესაც ბილბომ ბრაზით უკვე ფეხები ააბაკუნა იატაკზე და გამკინავად დასჭყივლა „ცეცხლიო“, თორინმა საჭიროდ ჩათვალა, ოინი და გლოინი გვირაბის ზედა ბოლოსაკენ, მათი ბარგის ფუთებთან გაეგზავნა.

ცოტა ხნის შემდეგ მოციმციმე შუქმა ყველას აუწყა მათი დაბრუნება. ოინს ხელში ეჭირა ფიჭვის მომცრო ანთებული ჩირაღდანი, გლოინს კი სამარქაფო ჩირაღდნების შეკვრა ამოეიღლიავებინა. ბილბომ სწრაფად მიირბინა გვირაბის პირთან და ჩირაღდანი აიღო. მაგრამ ვერ შეძლო, დაეყოლიებინა გნომები, აენთოთ დანარჩენი ჩირაღდნებიც ან მასთან ერთად ჩასულიყვნენ დარბაზში. როგორც ფრთხილმა თორინმა განაცხადა, მისტერ ბეგინსი ჯერ კიდევ მათი ოფიციალური მპარავი და მზვერავი იყო. მას შეეძლო, ენება და სინათლის ანთებით თავი საფრთხეში ჩაეგდო, ხოლო გნომები მის მიერ მოტანილ ამბავს გვირაბში დაუცდიდნენ. მართლაც, ისინი შესასვლელის შორიახლოს ჩამოსხდნენ და ბილბოს უცქერდნენ.

ისინი ხედავდნენ, ჰობიტის პატარა მუქი ფიგურა როგორ შეუდგა დარბაზის გადაკვეთას, ხელთ მაღლა აწეული ციცქნა ჩირაღდანი ეპყრა. სანამ იგი ჯერ კიდევ ახლოს იყო, გნომები ამჩნევდნენ მის გარშემო აციმციმებულ ოქროს და ესმოდათ წკრიალი, როდესაც ბილბო რაიმე ძვირფას ნივთს ფეხს ნამოსდებდა. რაც უფრო შორს შედიოდა ჰობიტი ვეებერთელა დარბაზის სიღრმეში, მისი სინათლე სულ უფრო პატარავდებოდა და პატარავდებოდა, შემდეგ იგი ცეკვა-ცეკვით ამაღლდა ჰაერში – ბილბო განძეულის უზარმაზარ ყრილზე მიცოცავდა. მან მალე მიაღწია მწვერვალს და მაინც გზას განაგრძობდა. შემდეგ მოულოდნელად შეჩერდა და წუთით დაიხარა, მაგრამ გნომებმა არ იცოდნენ, რატომ.

ბილბო კი დასწვდა არკენსტონს, მთის გულს. მას ახსოვდა თორინის მონათხრობი და მაშინვე მიხვდა, თუ რა იპოვა. მართლაც რომ შეუძლებელი იყო, ორი ამგვარი პატიოსანი თვალი არსებულიყო სადმე, თვით ამგვარ საოცარ ხაზინაშიც, თუნდ მთელ სამყაროში. მისი თეთრი ციალი იზიდავდა მაღლა და მაღლა ამავალ ბილბოს, რომლის თვალწინაც ციმციმი ნელ-ნელა პატარა მანათობელ ბირთვად გადაიქცა. ახლა, როცა ჩირაღდნიანი ჰობიტი მიუახლოვდა, ათასჯერ არეკლილმა და გარდატეხილმა ცეცხლის შუქმა მრავალფერი ციმციმა ნაპერწკლებით ააელვარა ქვის ზედაპირი. სუნთქვაშეკრული ჰობიტი ახლა ზემოდან დასცქეროდა პატიოსან თვალს. მის ფეხებთან საკუთარი შინაგანი შუქით ცოცხლობდა დიდებული ქვა, დიდი ხნის წინათ გნომთა მიერ ამოთხრილი მთის სიღრმიდან, შემდეგ კი გნომთა მიერვე დაწახნაგე-

ბულ-გაპრიალებული; იგი წიაღში იტევდა ყოველგვარ სინათლეს, რომელიც მას შეეხებოდა და აქცევდა ათიათას ბრწყინვალე თეთრ ნაპერწკლად, რომელთაც, ცისარტყელას ფერებად აელვარებულებს, გარშემო აფრქვევდა.

მონუსხული ბილბოს მკლავები უეცრად თავისთავად დასწვდნენ ქვას. თვალი დიდი და მძიმე იყო და ჰობიტის პატარა ხელს არ შეეძლო, მთლიანად ჩაებღუჯა იგი. მაგრამ მან აიღო არკენსტონი, თვალები დახუჭა და ყველაზე ღრმა ჯიბეში ჩაიდო.

– ახლა კი ნამდვილი მპარავი ვარ, – გაიფიქრა მან, – მაგრამ მე აუცილებლად ვეტყვი გნომებს ამის შესახებ... ოდესმე. მათ თქვეს, რომ შემიძლია, თავად ავიღო და ავირჩიო ჩემი წილი. მე ვფიქრობ, ავირჩევ ამას, დანარჩენი კი მათ დარჩეთ!

და მაინც, მას აწვალებდა გრძნობა, რომ დადებული პირობა არ შეეხებოდა ამ საოცარ თვალს და რომ მის გამო კიდევ ბევრ უსიამოვნებას გადაეყრებოდა.

ბილბომ გზა განაგრძო. იგი მაღალი გორაკის მეორე მხარეს დაეშვა და მაცქერალი გნომები ველარ ხედავდნენ მისი ჩირაღდნის ციმციმს. მაგრამ მალე მოშორებით კვლავ გამოჩნდა შუქი – ბილბომ თითქმის გადაკვეთა მთელი დარბაზი.

იგი მიდიოდა და მიდიოდა, სანამ დარბაზის მოპირდაპირე მხარეს გამოჭრილ უზარმაზარ კარებამდე არ მიაღწია. იქიდან მაცოცხლებელმა სუფთა ნიავმა დაბერა, მაგრამ კინალამ ჩირაღდანი ჩაუქრო. ჰობიტმა ფრთხილად გაიჭყიტა კარში და მის მიღმა ფართო დერეფნები დალანდა, იქით კი – მაღლა ამავალი ვეება კიბის ბუნდოვანი დასაწყისი, რომელიც განუჭვრეტელ ბინდში იკარგებოდა. და არც აქ არსაიდან ისმოდა სმაუგის ჩამი-ჩუმი. იგი ის იყო, უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ უეცრად შავი ჩრდილი დააცხრა და სახეზე გაეხახუნა. ბილბომ შეყვირა, შეხტა, უკან გადაქანდა და წაიქცა. მისი ჩირაღდანი ანთებული ბოლოთი დაენარცხა იატაკს და ჩაქრა!

– ღამურაა და მეტი არაფერი, ვგონებ და ვიმედოვნებ, – საწყალობლად ჩაილაპარაკა მან, – მაგრამ ახლა რაღა ვქნა? საით არის აღმოსავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი ან დასავლეთი?

– თორინ! ბალინ! ოინ! გლოინ! ფილი! კილი! – დაჰყვირა მან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ფართოდ გაშლილ სიბნელეში ხმა სუსტად და გაუბედავად გაისმა, – ცეცხლი ჩამიქრა! ვინმე მოდით, მიპოვეთ და მიშველეთ! – იმ წუთას ბილბოს მთლად შემოლეოდა სიმამაცე და მხნეობა.

მისი სუსტი ხმა მკრთალ გამოძახილად ჩაესმათ გნომებს და გაარჩიეს მხოლოდ სიტყვა „მიშველეთ“.

– ნეტავი, რა უბედურებას უნდა გადაჰყროდა? – იკითხა თორინმა, – ცხადია, რომ არა დრაკონს, თორემ ამდენ ხანს ვერ იწრიპინებდა.

მათ ერთი-ორი წუთი კიდევ შეიცადეს, მაგრამ დრაკონის ხმაური მაინც არ ისმოდა, საერთოდ, არაფერი არ ისმოდა, გარდა ბილბოს შორი ძახილისა.

– მოდით რომელიმე, კიდევ აანთეთ ერთი-ორი ჩირაღდანი! – განკარგულება გასცა თორინმა, – როგორც ჩანს, მოგვიწევს, წავიდეთ და ჩვენს მპარავს მივეშველოთ.

– ახლა ჩვენი ჯერია, დავეხმაროთ, – თქვა ბალინმა, – და მე სიხარულით წავალ მისაშველებლად. მით უფრო, რომ ვფიქრობ, ახლა იქ სახიფათო არაფერია.

გლოინმა აანთო რამდენიმე ჩირაღდანი, ისინი ერთმანეთის მიყოლებით გამოძვრნენ გვირაბიდან და რამდენადაც შეეძლოთ, სწრაფად გაუყვნენ კედელს. დიდი ხანი არ გასულა, რომ მათ დაინახეს ბილბო, რომელიც თავად მოეშურებოდა მეგობრებისაკენ – ჰობიტს სწრაფად დაუბრუნდა საღი გონი, როგორც კი ჩირაღდნების ციმციმს მოკრა თვალი.

– უბრალოდ, ღამურა შემომაფრინდა და ჩირაღდანი ჩამიქრა! – მიუგო მან მათი კითხვების პასუხად.

გნომებმა მაშინვე შვება იგრძნეს, თუმც იმის გამო, რომ ტყუილად შეეშინდათ, ბუზღუნის ხასიათზე დადგნენ. მაგრამ სათქმელადაც ძნელია, რას იტყოდნენ ყველანი, ბილბოს მათთვის არკენსტონის შესახებ რომ მოეთხრო! ისინი ამჩნევდნენ განძის მყისიერ გაელვებებს, როდესაც კედელ-კედელ ბილბოსკენ მიეშურებოდნენ და მათ გულებში კვლავ აინთო დაუცხრომელი წყურვილი. ხოლო როდესაც გნომის გულში, თუნდაც იგი ძალიან პატივცემული გნომი ბრძანდებოდეს, ოქროსა და თვალ-მარგალიტის წყურვილი იღვიძებს, იგი ანაზდად მამაცდება და შეიძლება, მთლად შლეგიც გახდეს.

ამიტომაც გნომებს მეტი ხვეწნა აღარ დასჭირვებიათ. ახლა ყველას მხოლოდ ის ეწადა, დარბაზი გადაეჩხრიკა, სანამ ამის შესაძლებლობა იყო და ერწმუნა, რომ იმჟამად სმაუგი სახლიდან შორს წასულიყო. ყველამ სათითაოდ იპყრა ხელთ ანთებული ჩირაღდანი და, დაკვირვებით რომ მიმოიხედეს, მთლად გადაავიწყდათ შიშიც და სიფრთხილეც. გნომები ხმამაღლა ალაპარაკდნენ, ერთმანეთს გადასძახოდნენ, როდესაც გროვიდან ან კედლებიდან ძველ ძვირფასეულობებს იღებდნენ, სინათლესთან მიჰქონდათ და ფრთხილი ალერსით ეხებოდნენ, სინჯავდნენ თითებით.

ფილი და კილი ჩინებულ გუნებაზე დადგნენ. კედლებზე ძველებურად ეკიდა ვერცხლისსიმიანი ოქროს არფები, მრავალი არფა, მათ სიხარულით ჩამოხსნეს ისინი და სიმებს ჩამოკრეს. ჯადოსნური საკრავები (რომელთაც, საბედნიეროდ, არც შეხებოდა დრაკონი, რაკი მუსიკის დიდი მოყვარული ვერ გახლდათ) ჯერაც ძველებურად ულერდა და ბნელი დარბაზი ისევ აივსო დიდი ხნის წინათ დადუმებული ჰანგებით. სხვანი უფრო ჭკუადამჯდარნი აღმოჩნდნენ –

ისინი ძვირფას ქვებს აგროვებდნენ და ჯიბეებს იტენიდნენ, ხოლო რისი ნალებაც ვერ შეძლეს, ოხვრით დააბრუნეს საერთო გროვაში. თორინიც როდი ჩამორჩებოდა სხვებს, მაგრამ იგი გამუდმებით დაეძებდა ყოველ მხარეს რაღაცას, რისი პოვნაც არ შეეძლო. იგი ეძებდა არკენსტონს, თუმც ჯერ-ჯერობით არავის არაფერს ეუბნებოდა მის შესახებ.

შემდეგ გნომებმა კედლებიდან ჩამოხსნეს აბჯრები და იარაღი და თავით ფეხამდე შეიჭურვნენ. ახლა მართლაც ხელმწიფეს ჰგავდა თორინი – ოქროთი დაფერილ ჯაჭვის პერანგში გამონყობილს ვერცხლისტარა საბრძოლო ნაჯახი წითელი თვლებით მოოქვილ ქამარში გაერჭო.

– მისტერ ბეგინს! – შესძახა მან, – აი, პირველი ჯილდო შენი გასამრჯელოდან! მოიშორე ძველი მოსასხამი და აი, ეს ჩაიცვი!

და მან ბილბოს ჩააცვა პატარა აბჯარი, დიდი ხნის წინათ ელფთა რომელიმე ყმანვილი პრინცისათვის გამოჭედილი. იგი ვერცხლოვანი ფოლადისაგან ემზადებინათ, ამ ლითონს ელფები მითრილს უწოდებდნენ. აბჯარს ერთვოდა ბროლითა და მარგალიტებით მოოქვილი სარტყელი. თორინმა ჰობიტს თავს დაჰხურა ტვიფრებიანი ტყავის მსუბუქი ჩაჩქანი, შიგნიდან ფოლადის რგოლებით გამაგრებული და კიდეებზე თეთრი თვლებით მოჭედილი.

„რა დიდებულად ვგრძნობ თავს", – გაიფიქრა ჰობიტმა. – „მაგრამ, ასე მგონია, საკმაოდ უთავბოლო შესახედი ვარ. რას დამცინებდნენ შინ, გორაზე, ჩემთვის თვალი რომ მოეკრათ! და მაინც, ნეტავ აქ სადმე სარკე ყოფილიყო!"

მისტერ ბეგინსი მაინც ნაკლებად გაებრუებინა საგანძურის ჯადოს, ვიდრე გნომები. ბევრად უფრო ადრე, სანამ გნომები დაიღლებოდნენ ძვირფასეულობის სინჯვით, ჰობიტი დაქანცული ჩამოჯდა იატაკზე და აფორიაქებული მოჰყვა იმაზე ფიქრს, თუ რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

„რა სიხარულით გავცვლიდი ამ ოქროს თასების გვარიან ნილს", – ფიქრობდა იგი, – „ცოტაოდენ გამაგრილებელ სასმელში, ან ბეორნის ერთ ხის ქოთანში!"

– თორინ! – დაიძახა მან ხმამაღლა, – ახლა რაღა ვქნათ? ჩვენ შევიარაღდით, მაგრამ რა იარაღი აღუდგება წინ სმაუგ შემზარავს? ჩვენ ეს განძეული ჯერ არ მოგვიპოვებია, და ახლა ოქროს კი არ დავეძებთ, არამედ ხსნის გზას. ძალიან დიდი ხანია, რაც ილბალს გამოვცდით!

– სრულ სიმართლეს მოგვახსენებ, – მიუგო თორინმა, რომელიც აზრებს იკრებდა, – მოდით, წავიდეთ! მე გაგიძღვებით. ათასი წელიც ვერ დამავიწყებდა ამ სასახლის გზებს.

მან დანარჩენებს მოუხმო, ყველანი ერთად მოგროვდნენ და თავსხემოთ აწეული ჩირაღდნებით გაშუქებული პირდაღებული კარი გაიარეს, თან ისევ და ისევ უკან იცქირებოდნენ გულდაწყვეტით.

მოციმციმე აბჯრებზე მათ კვლავ ძველი ლაბადები მოისხეს, მოელვარე მუზარადები დაკონკილი ჩაჩებით დაიფარეს და სათითაოდ გაედევნენ უკან თორინს სიბნელეში პატარა შუქების მწკრივად, რომელიც ხშირ-ხშირად ჩერდებოდა და გულისფანცქალით აყურადებდა დრაკონის მოსვლის მაუწყებელ რაიმე ჩქამს.

თუმც ყველა სამშვენისი დიდი ხნის წინ დაშლილიყო თუ დაელენათ, და თუმც ყველაფერი წამხდარი და ნაბილწული იყო ამ გზით შემავალ-გამავალი ურჩხულის მიერ, თორინი მაინც ყველა დერეფანს და მოსახვევს ცნობდა. მათ აიარეს მაღალი კიბეები, შემდეგ მოუხვიეს და დაღმა დაეშვნენ ფართო, გამოძახილით ახმიანებული გზებით. შემდეგ კვლავ შეუხვიეს და აიარეს კიდევ უფრო მაღალი კიბე და შემდეგ იმაზეც უფრო მაღალი კიბე. საფეხურები იყო გლუვი, პირდაპირ კლდეში ნაკვეთი ფართოდ და ოსტატურად. და აღმა, აღმა, აღმა მიუყვებოდნენ გნომები და სიცოცხლის ნიშანწყალიც არ შეხვედრიათ, მხოლოდ მფრთხალი ჩრდილები გაურბოდნენ ორპირი ქარებით ატორტმანებული ჩირაღდნების შუქის შეხებას.

მაგრამ საფეხურები მაინც არ იყო ნაკვეთი ჰობიტის პატარა ფეხებისათვის და ბილბო უკვე გრძნობდა, მეტი სიარული აღარ შემიძლიაო, რომ უცებ ჭერი მაღლა აიჭრა, შორს, სადაც მას ჩირაღდნების შუქი ველარ წვდებოდა. სადღაც, მათ თავსხემოთ, რომელილაც ღიობში თეთრი ციალი ილანდებოდა და ჰაერიც უფრო სუფთა იყო. წინ ანჯამებს მოღრეცილად ჩამოჰკონწიალებოდა ნახევრად დამწვარი კარი, ხოლო კარის ფართო და დიდებულ ჭრილში ბუნდოვანი სინათლე შემოდიოდა.

– ეს თრორის დიდი პალატია, – თქვა თორინმა, – სალხინო და საბჭო დარბაზი. აქედან შორს აღარაა წინა კარიბჭეც.

მათ გაიარეს ჩამონგრეული პალატი. დიდი მაგიდები ფუტურად ქცეულიყო, გადაყირავებული ეყარა გამომწვარ-დამპალი სკამები და მერხები. იატაკზე, ყანწების ნამტვრევებსა და მტვერში, მიმობნეულ მათარებსა და თასებს შორის თავის ქალები და ძვლები მოჩანდა. როდესაც მოპირდაპირე მხარეს კიდევ უფრო დიდ კარამდე მიაღწიეს, მათ ყურს წყლის ხმაური მისწვდა და რუხი სინათლე ერთბაშად განათდა.

– აი, აქ იბადება მდინარე ჩქერულა, – თქვა თორინმა, – აქედან მიიჩქარის იგი ჭიშრისაკენ. მოდით, მივყვეთ!

კლდის კედელში პირდაღებული ხვრელიდან მოთუხთუხე ნყალი ამოსჩქეფდა და ტრიალ-ტრიალით მიექანებოდა ვიწრო არხში, რომელიც, ღრმა და ლარივით სწორი, საგულდაგულოდ გამოეკვეთა ძველთა გაწაფულ ხელებს. არხს გვერდით მისდევდა ქვით მოკირწყლული ფართო შარა, რომელზედაც ერთბაშად მოახერხებდა გავლას გვერდიგვერდ ჩამდგარი მრავალი კაცი.

ისინი სირბილით გაუყვნენ გზას, განივრად შემოტრიალებულ მოსახვევს გასცდნენ და – იხილე! მათ წინ დღის თვალუწვდენელი ნათელი გადაიშალა. წინ აღმართულიყო მაღალი თაღი, რომელზეც ჯერ კიდევ განირჩეოდა ძველი ხეში ნაკვეთი ჩუქურთმების კვალი, თუმც ერთიანად გაცვეთილი, დახეთქილი და გაშავებული ჩანდა. ნისლიანი მზე მკრთალ სხივებს გზავნიდა მთის გაწვდილ ქედებს შორის და ზღურბლთან დაგებულ ქვაფენილზე ოქროსფერი ციალი ეფინებოდა. ახრჩოლებული ჩირაღდნებით წამომფრთხალი ღამურები უწესრიგო გუნდებად ირეოდნენ მათ თავსზემოთ. გნომები სწრაფად გაიჭრნენ წინ და ფეხი აუცურდათ ქვებზე, რომელიც დრაკონის სხეულს გაეპრიალებინა და გაელია. ახლა წყალი ხმაურით გადასჩქეფდა გარეთ მათ წინ და აქაფებული ქვემოთ, ველისაკენ მიექანებოდა. გნომებმა ძირს დაყარეს ბჟუტია ჩირაღდნები, იდგნენ და გარეთ იცქირებოდნენ სინათლისგან დაბრმავებული თვალებით. ისინი წინა კარიბჭესთან გასულიყვნენ და ახლა დეილს გადასცქეროდნენ.

– ასე! – თქვა ბოლოს ბილბომ, – არ მეგონა, თუ ოდესმე ამ კარიდან გავიხედავდი გარეთ. არც ის მეგონა, თუკი ოდესმე ასე გამახარებდა მზის ხილვა და ქარისათვის სახის მიშვერა. მაგრამ, ოჰ! რა ცივია ეს ქარი!

მართლაც, აღმოსავლეთის კბენია ქარი კარსმომდგარ ზამთარს იმუქრებოდა. იგი მთის ზემოთ და გარშემო დაზუზუნებდა და კლდეებს შორის მიძვრებოდა. მას შემდეგ, რაც ამდენი ხანი დაჰყვეს დრაკონშემოჩვეული გამოქვაბულების ჩახურებულ წყვდიადში, ისინი სიცივით აძაგძაგდნენ მზის ულონო სხივებში.

უცებ ბილბომ გაიფიქრა, რომ იგი არა მხოლოდ დაღლილი იყო, არამედ კიდევაც მართლაც რომ ძალიან მოშიებოდა.

– როგორც ჩანს, ახლა გვიანი დილა უნდა იყოს, – თქვა მან, – და, ვფიქრობ, ასე თუ ისე, საუზმის დროა – თუკი გვაქვს რაიმე საუზმედ მისართმევი. მაგრამ არა მგონია, სმაუგის სადარბაზოს ზღურბლი წასახემსებლად ყველაზე შესაფერი ადგილი იყოს. ნამო, წავიდეთ აქედან სადმე, სადაც შევძლებდით ცოტა ხნით წყნარად ჩამოსხდომას.

– სრული სიმართლეა! – დაეთანხმა ბალინი, – და, მე მგონი, კიდევაც ვიცი, საით უნდა წავიდეთ: ჩვენ უნდა გავემართოთ ძველი საგუშაგოსკენ მთის ჩრდილო-დასავლეთ თხემზე.

– შორს არის? – იკითხა ჰობიტმა.

– ხუთი საათი უნდა ვიაროთ, როგორც მახსოვს. სავალი ძნელი იქნება. გზა კარიბჭიდან ნაკადის მარცხენა ნაპირის გაყოლებით ერთიანად დანგრეული ჩანს. მაგრამ გაიხედეთ იქით! მდინარე დაქცეული ქალაქის წინ მოულოდნელ მარყუჟს აკეთებს აღმოსავლეთისაკენ და დეილს კვეთს. იმ ადგილას ოდესღაც

ხიდი იყო, რომელიც მარჯვენა ნაპირზე ციცაბო კიბეს ადგებოდა, კიბეს კი გაჰყავდით ყორანგორისკენ მიმავალ გზაზე. იქ არის (ან იყო) ბილიკი, რომელიც გზას გამოეყოფა და საგუშაგოსკენ მიემართება, აღმა და აღმა. ეს ბილიკიც ძნელი ასაძრომია, ძველი საფეხურები ჯერაც შემორჩენილი რომც იყოს.

– ღმერთო ჩემო! – აწუწუნდა ჰობიტი, – ისევ უნდა ვიაროთ, ისევ ვიძრომიალოთ სადილის გარეშე! ნეტავ რამდენი სადილ-ვახშამი გამოვტოვეთ ამ ამაზრზენ, უსაათო და უდროო სოროში?

სინამდვილეში ორი ღამე და ერთი დღე გასულიყო (და არც მთლად უსაქმელოდ) მას შემდეგ, რაც დრაკონმა ჯადოსნური კარი დაამსხვრია, მაგრამ ბილბოს ერთიანად არეოდა დროის შეგრძნება და ვერ გეტყოდათ, ერთმა ღამემ გაიარა თუ ღამეების მთელმა კვირამ.

– კარგი, კარგი, – გაეპასუხა თორინი სიცილით. მას კვლავ გამოუკეთდა გუნება და ჯიბეებში ძვირფას ქვებს აჩხრიალებდა, – ჩემს სასახლეს ამაზრზენ სოროს ნუ უწოდებ! დაიცადე, ჯერ გავწმინდოთ და თავიდან მოვკაზმოთ!

– ეს სმაუგის სიკვდილამდე არ მოხერხდება, – პირქუშად ჩაილაპარაკა ბილბომ, – და საერთოდ, სად არის იგი მთელი ეს ხანი? ერთ კარგ საუზმეს დავთმობდი, ეს რომ შემეტყო. იმედია, მთაზე არ არის შემომჯდარი და ჩვენ არ ჩამოგვცქერის!

ამ აზრმა გნომები გვარიანად შეაფუცხუნა და სასწრაფოდ გადაწყვიტეს, რომ ბილბო და ბალინი მართალნი იყვნენ.

– აქედან უნდა მოვუსვათ, – განაცხადა დორიმ, – თითქოს ვგრძნობ, როგორ მებჯინება კეფაზე მისი თვალები!

– რა ცივი და უკაცრიელი ადგილია, – სიტყვა ჩაურთო ბომბურმა, – აქ დასალევი მოიძებნება, მაგრამ შესაჭმელს ვერაფერს ვხედავ. დრაკონი ამგვარ მხარეში ალბათ მუდამ მშიერი იყო.

– წავიდეთ! წავიდეთ! – შესძახეს სხვებმა, – ნამო, ბალინის ბილიკს გავყვეთ!

მარჯვნივ, კლდის კედლის ძირში, ბილიკი არ იყო, ამიტომ ისინი მარცხენა მხარეს გაუყვნენ, მძიმე-მძიმედ მიჩანჩალებდნენ ქვებს შორის. იქაურობის უდაბურებამ და სიცარიელემ თორინიც კი გამოაფხიზლა და სინამდვილეს დაუბრუნა. ის ხიდი, ბალინი რომ ყვებოდა, დიდი ხნის წინ ჩაქცეული დახვდათ, ქვები, რომლითაც იგი ეშენებინათ, ახლა უბრალო ლოდებად ეყარა ახმაურებულ თავხელში. მაგრამ მათ არ გასჭირვებიათ ფონის გადასვლა, იპოვეს უძველესი საფეხურებიც და მაღალ ნაპირზე აცოცდნენ. ცოტაც გაიარეს და წააწყდნენ ძველ შარას, რომელზეც ისინი მალე ლოდებს შორის შეყუჟულ ღრმა მდელობს მიაყენა. აქ კარგად დაისვენეს და წაისაუზმეს იმით, რაც

იშოვნეს, ძირითადად კვერაკით და წყლით (თუ გინდათ, იცოდეთ რა არის კვერაკი, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მომზადების წესი არ ვიცი. იგი გამომცხვარია, ძალიან დიდხანს ინახება, ალბათ, ნოყიერიც არის, მაგრამ დიდად ვერ დააგემოვნებ. კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის გემრიელი, მხოლოდ ყბის გასაქნევად თუ გამოდგება. ტბის ხალხი კვერაკებს საგანგებოდ ხანგრძლივი მოგზაურობებისათვის ამზადებდა).

შემდეგ მათ კვლავ გზა განაგრძეს. ბილიკი ახლა დასავლეთით გადაიხარა და მდინარეს დასცილდა, მთის სამხრეთისკენ გაწვდილი თხემის ვეებერთელა მხარი კი მოახლოვდა. ბოლოს და ბოლოს მათ მიაღწიეს გორაკის ბილიკს. იგი ციცაბოდ მიცოცავდა მაღლა და ყველანი ნელ-ნელა, ძლივძლიობით მიიწევდნენ წინ ერთმანეთის მიდევნებით, სანამ ბოლოს, გვიან შუადღეს, არ მიაღწიეს მთის მხარის მწვერვალს და დასავლეთით დახრილი მკრთალი მზე არ დაინახეს.

აქ მათ დახვდათ მოსწორებული ადგილი, სამი მხრიდან ღია, მაგრამ ჩრდილოეთიდან სალი კლდის კედლით მოსაზღვრული, რომელშიც კარის მსგავსი ღიობი მოჩანდა. ამ კარიდან ფართო ხედი იშლებოდა აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით.

– აი, აქ, – წამოიწყო ბალინმა, – გარდასულ დღეებში გნომებს მუდამ მზირები ეყენათ, ის კარი კი კლდეში ნაკვეთ პალატში შედის, ადრე იქ მცველთა ოთახი იყო. მთის გარშემო ამგვარი საგუშაგო რამდენიმე გვქონდა, მაგრამ მაშინ, ჩვენი ძლიერებისა და კეთილდღეობის დროს ყველას მიაჩნდა, რომ ამგვარი სიფრთხილე აღარავის სჭირდებოდა, გუშაგებიც დაარხეინდნენ და თავს აღარ ინუხებდნენ. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, იქნებ, ჩვენ ბევრად უფრო ადრე შეგვეტყო დრაკონის თავდასხმის შესახებ და იქნებ ყველაფერი სხვაგვარად დამთავრებულიყო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ჩვენ შეგვიძლია, აქ ჯერჯერობით მაინც მოვისვენოთ თვალს მოფარებულებმა და ჭერიც გვქონდეს თავზე, და შეგვიძლია, ბევრი რამ დავინახოთ ისე, რომ თავად შეუმჩნეველი დავრჩეთ.

– რაში გვარგია, თუკი აქეთ მომავლები უკვე დაგვინახეს, – შეეპასუხა დორი, რომელიც წამდაუწუმ მთის მწვერვალისკენ იხედებოდა, თითქოს მოელოდა, რომ იქ სმაუგი იქნებოდა შემომჯდარი, როგორც ჩიტი სარზე.

– ილბალს უნდა მივენდოთ, – მიუგო თორინმა, – დღეს ჩვენ მეტს ველარ ვივლით.

– დიახ, დიახ! – შესძახა ბილბომ და მიწაზე დაებერტყა.

კლდის პალატში ასი კაციც თავისუფლად მოთავსდებოდა, მაგრამ შიგნით, სილრმეში გამოკვეთილი იყო მომცრო ოთახი, გარე სიცივისაგან უფრო მეტად დაცული. ოთახი მთლად ცარიელი იყო, სმაუგის ბატონობის დღეებში აქ გარეულ ცხოველებსაც კი არ მოეწყოთ საცხოვრებელი. აქვე დააწყვეს თავი-

ანთი ფუთები. ზოგი მაშინვე დაბლა გაიშოტა და დაიძინა, დანარჩენები კი კარის მახლობლად ჩამოსხდნენ და სამომავლო გეგმების შესახებ ბჭობდნენ. და საუბარში გარდაუვლად უბრუნდებოდნენ ერთსა და იმავე კითხვას: სად იყო სმაუგი? ისინი იცქირებოდნენ დასავლეთით და ვერაფერს ამჩნევდნენ, ვერაფერს ხედავდნენ აღმოსავლეთითაც. არც სამხრეთით ჩანდა დრაკონის ნიშანწყალი, მხოლოდ გუნდ-გუნდად დარიალებდა ერთად შეგროვილი აუარება ფრინველი. ისინი უცქერდნენ ფრინველებს და ჰკვირვობდნენ, მაგრამ მაშინაც ვერაფერი გაეგოთ, როდესაც ცაზე პირველი ცივი ვარსკვლავები აენთნენ.

14 ცეცხლი და წყალი

ახლა, თუკი თქვენც გნომების მსგავსად გსურთ, სმაუგის ამბები გაიგოთ, უნდა დაუბრუნდეთ იმ საღამოს ორი დღის უკან, როდესაც მან ნამსხვრევებად აქცია კარი და გაალმასებული გაფრინდა სამხრეთისაკენ.

ესგაროტის მცხოვრებთა უმრავლესობა სახლებში შეყუჟულიყო, რადგანაც ბნელი აღმოსავლეთიდან სუსხიანი ნიავი ქროდა. მაგრამ რამდენიმე კაცი მაინც დასეირნობდა სანაპიროზე – მათ უყვარდათ ცქერა, როგორ ირეკლებოდა ტბის წყნარ ზედაპირზე ღრუბლებს თავდაღნეული ვარსკვლავები. ქალაქიდან ეული მთის ხედს ფარავდა ტბის შორეულ ბოლოში ნამომართული დაბალი ბორცვები, რომელთა შორის გაჩენილი ნაპრალიდან ჩრდილოეთიდან მოვარდნილი მდინარე ჩქერულა ტბაში გადმოიღვრებოდა. ულრუბლო ამინდში ესგაროტიდან მხოლოდ მთის მაღალი მწვერვალი მოჩანდა და მასაც იშვიათად თუ უცქერდა ვინმე, რადგანაც იგი დილის მზის სხივებშიც კი პირქუში და ავისმომასწავებელი ჩანდა. ახლა მწვერვალი დაკარგული და მიმალული იყო, სიბნელეში გადღაბნილი.

უეცრად იგი გამოჩნდა – ხანმოკლე ელვამ გაანათა მწვერვალი და უცბადვე ჩაქრა.

– შეხედეთ! – შესძახა ერთმა, – კვლავ ანათებს! გუშაგები გასულ ღამესაც ხედავდნენ, როგორ ინთებოდა და ქრებოდა მწვერვალი შუალამიდან განთიადამდე. იქ რაღაც ხდება!

– იქნებ მთისქვეშა მეფე ოქროს ჭედავს, – გაეპასუხა მეორე, – კარგა ხანია, რაც იგი ჩრდილოეთისკენ გაემართა. უკვე დროა, ძველი სიმღერები კვლავაც აცხადდეს.

– რომელი მეფე? – ჩაერია საუბარში სხვა, პირქუში ხმა, – იქ მხოლოდ მძარცველი დრაკონი თუ აანთებს თავის გამანადგურებელ ცეცხლს, ერთადერთი მთისქვეშა მეფე, რომელსაც კი ოდესმე ვცნობდით.

– შენ მუდამ ავ ამბებს წინასწარმეტყველებ! – შეუტიეს მას, – ან წყალდიდობას გვიქადი, ან თევზების ჭირს. რამე კარგზე მაინც იფიქრე!

ამ დროს გორაკებს შორის ჩაღრმავებაში თვალისმომჭრელი ცეცხლი აინთო და ტბის ჩრდილო ბოლო ოქროთი დაიფერა.

– მთისქვეშა მეფე! – აყვირდა ყველა, – მისი საჭურჭლე მზესავით კაშკაშებს, შადრევნებივით სჩქეფს მისი ვერცხლი და მისი ოქრო მდინარესავით მოე-

დინება! – გაიძახოდნენ ისინი. ფანჯრები იღებოდა, აჩქარებული ნაბიჯები მოისწრაფოდა სანაპიროსკენ. ტბის ქალაქი კვლავ აუწერელმა მღელვარებამ და აღტაცებამ მოიცვა, მაგრამ პირქუშხმიანი კაცი ქალაქის მმართველთან გაქანდა.

– დრაკონი მოფრინავს, ან არა და, საერთოდ არაფერი გამეგება! – ყვიროდა იგი, – ჩაჭერით ხიდები! იარაღი აისხით! აისხით იარაღი!

მაშინ ახმიანდა საყვირები, გამოძახილებმა კლდიანი ნაპირების გასწვრივ გაიხმიანა. მხიარულება შეწყდა და აღტაცება შიშის ზაფრით შეიცვალა. ამიტომაც იყო, რომ დრაკონმა ვერ მოახერხა, მოულოდნელად დასხმოდა თავს ბრძოლისათვის მოუმზადებელ ქალაქს.

დრაკონი იმდენად სწრაფად მოქროდა, რომ ცოტა ხანში ესგაროტის მცხოვრებლებმა კიდევაც დაინახეს იგი, სიბნელეში ანთებული ნაპერწკლის მსგავსი, რომელიც მათკენ მოექანებოდა, იზრდებოდა და ბრწყინვალება ემატებოდა და უკვე ყველაზე უფრო ბენტერასაც კი ეჭვიც აღარ დარჩა, რომ წინასწარმეტყველება საკმაოდ უკულმართად ცხადდებოდა. ქალაქში ყველა ჭურჭელი წყლით შეივსო, ყოველი მეომარი შეიჭურვა, საბრძოლოდ გაამზადეს ყველა ისარი თუ შუბი, ნაპირზე გადებული ხიდი დაშალეს და ჩაანგრიეს მანამ, სანამ გაისმებოდა სმაუგის ზარისმხდელი მოახლოების გრგვინვა და ტბა მისი საშინელი ფრთების ცემისგან წითლად აიტალღებოდა.

წივილის, კივილისა და მამაკაცთა გადაძახილების ყურისწამღებ აურზაურში დრაკონი ქალაქს თავზე გადაევლო, ხიდისკენ დაექანა და – გაშრა! ხიდი არსად იყო, მისი მტრები კი ღრმა წყალში ამოზიდულ კუნძულზე იდგნენ. ეს წყალი დრაკონისათვის მეტისმეტად ღრმა, ბნელი და ცივი იყო. თუკი იგი ტბაში ჩაყვინთავდა, ისეთი ორთქლი და ოხშივარი ავარდებოდა, რომ მთელ მხარეს რამდენიმე დღით ნისლი მოიცავდა, მაგრამ ტბა დრაკონზე ძლიერი გახლდათ, იგი ჩააქრობდა მის ცეცხლს მანამ, სანამ სმაუგი კუნძულზე ააღწევდა.

იგი ღრიალით შემოტრიალდა ქალაქისაკენ. მუქი ისრების სეტყვა ამოიჭრა დაბლიდან და დრაკონის ფარფლებსა თუ ძვირფას თვლებზე აგრიალდა. მისი სუნთქვით ისრის ტარებს ცეცხლი ეკიდებოდა და შიშინით ცვიოდა ტბაში. ვერცერთი საუცხოო ფეიერვერკი ვერ შეედრებოდა იმ ღამის სანახაობას. მშვილდების ზუზუნმა და საყვირების ხმობამ კიდევ უფრო გააღვივა დრაკონის რისხვა, ბრაზი უკვე გონებას უბინდავდა და თვალებს უბნელებდა. მრავალი საუკუნის მანძილზე ვერავინ ბედავდა, ბრძოლით აღსდგომოდა მას წინ. ვერც ახლა გაბედავდნენ, რომ არა პირქუშხმიანი კაცი – მას ბარდი ერქვა – რომელიც წინ და უკან დარბოდა, მოისრებს ამხნევებდა და აჯერებდა ქალაქის მმართველს, უკანასკნელ ისრამდე ბრძოლის ბრძანება გაეცა.

დრაკონის ხახიდან ცეცხლი გამოიჭრა. კარგა ხანს იგი მაღლა, ჰაერში

დატრიალებდა და მთელ ტბას ანათებდა. ნაპირზე მდგარი ხეები ელავდნენ, როგორც სპილენძი, როგორც სისხლი, ხოლო მათ ძირას აქეთ-იქით აწყდებოდა ჩაშავებული ჩრდილები. შემდეგ დრაკონი დაბლა ჩამოიჭრა, პირდაპირ ისრების ქარიშხალში, რისხვით გახელებული არც ცდილობდა, დაჯავშნული გვერდებით შებრუნებულიყო მტრებისაკენ, მხოლოდ ერთს ესწრაფოდა – ცეცხლი მოედო ქალაქისათვის.

ცეცხლი ავარდა ისლის სახურავებსა და ხის კოჭებზე, როდესაც დრაკონი დაბლა დაეშვა, გაიქროლა და უკან შემობრუნდა, თუმც მის მოსვლამდე ყველაფერი წყლით გაეჟღინთათ. კვლავ და კვლავ ასობით ხელი წყალს ავლებდა დაფანტულ ნაპერწკლებს. დრაკონი უკან შემოტრიალდა. კუდის ერთი მძლავრი მოქნევით რატუშის სახურავი დაიმსხვრა და ჩამოიქცა. ღამის სიბნელეში ცად აიჭრა დაუოკებელი ცეცხლის ენები. კვლავ კუდის მოქნევა, კვლავ მოქნევა. სახლები ერთიმეორის მიყოლებით ეხვეოდა ცეცხლის ალში და იქცეოდა. და ვერც ერთი ისარი წინ ვერ ალუდგა სმაუგს, ვერც კი დააზიანა ჭაობის ბუზის ნაკბენზე მეტად.

გარშემო ყოველ მხარეს ხალხი წყალში ხტებოდა. ქალები და ბავშვები ნავებში ჩასხეს და უწესრიგოდ მოაქუჩეს მთავარ მოედანზე. მეომრები იარაღს ყრიდნენ. მოთქმა-გოდების ხმა ავსებდა ქალაქს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ სიხარულისმომგვრელი ძველი სიმღერებით ამკობდნენ გნომებს. ახლა ადამიანები წყევლით იხსენიებდნენ მათ სახელს. მმართველიც უკვე გაეშურა თავისი დიდი მოოქრული ნავისკენ – მას იმედი ჰქონდა, რომ არეულ-დარეულობაში შეუმჩნევლად გავიდოდა სამშვიდობოს. სულ მალე ყველა მიატოვებდა ქალაქს და იგი ტბაში ჩაინვებოდა, ჩაიფერფლებოდა.

დრაკონის სურვილიც ეს იყო. დაე, ჩამსხდარიყვნენ ყველანი ნავებში, მას ეს არ ანაღვლებდა. ბოგვიანებით იგი თავშესაქცევ ნადირობას მოაწყობდა მათზე, ან ტბაშივე ჩახოცავდა შიმშილით. ერთი ეცადათ ნაპირზე გადმოსხდომა – მტერიც იქვე დაუხვდებოდათ. მალე იგი ცეცხლს წაუკიდებს სანაპირო ტყეებს და ყველა ნათესს თუ საძოვარს გადახრუკავს. დიდი, დიდი ხანი იყო, დრაკონი ისე არ გართულიყო, როგორც ახლა ქალაქის განადგურება ართობოდა.

მაგრამ ქალაქში ჯერ კიდევ დარჩენილიყო მოისართა ჯგუფი, რომელიც არ ტოვებდა ბრძოლის ადგილს ცეცხლმოკიდებულ სახლებს შორის. მათი მეთაური იყო ბარდი, პირქუშხმიანი და პირქუშსახიანი კაცი, რომელსაც ამხანაგები ბრალად სდებდნენ, რომ ავი ამბების, წყალდიდობისა და თევზის ჭირის წინასწარმეტყველება იცოდა, მაგრამ ამავე დროს კარგად უწყოდნენ მისი ფასი და მისი სიმამაცე. იგი შორეული შთამომავალი იყო გირიონის, დეილის

მეფისა, რომლის ცოლი და შვილი მდინარე ჩქერულას დაუყვნენ და აწიოკებული ქალაქის ნანგრევებიდან გაიქცნენ დიდი ხნის წინათ. ახლა ბარდი ისროდა ურთხელის დიდი მშვილდით, სანამ ერთის გარდა ყველა ისარი არ დაეხარჯა. ცეცხლი უკვე გარს შემოსჯაროდა, ამხანაგები ტოვებდნენ. მან უკანასკნელად მოზიდა მშვილდი.

უეცრად სიბნელიდან რალაც შეაფრთხიალდა მხარზე. იგი შეკრთა – მაგრამ ეს მხოლოდ ბებერი შაშვი იყო. ფრინველი უშიშრად შემოჯდა მის ყურთან და ახალი ამბავი ამცნო. განცვიფრებულმა ბარდმა გაიგო მისი ენა, რადგანაც დეილის მკვიდრთა ჩამომავალი იყო.

– შეიცადე! შეიცადე! – უთხრა მას შაშვმა, – მთვარე ამოდის. როდესაც დრაკონი გადაიფრენს და შენს თავსზემოთ შემოტრიალდება, მის მკერდზე მარცხნივ ჩალრმავება მოძებნე!

გაოცებული ბარდი შეყოვნდა და შაშვმა მოუთხრო, თუ რა მოხდა მთაზე და მოუყვა ყველაფერს, რაც გაიგონა.

ბარდმა ბოლომდე მოჭიმა მშვილდის ლარი. დრაკონი უკან ბრუნდებოდა დაბლა ფრენით. როდესაც იგი მოახლოვდა, ტბის აღმოსავლეთ ნაპირს მთვარე ამოსცდა და ურჩხულს ვერცხლით დაუფერა ვეებერთელა ფრთები.

– ისარო! – ნარმოთქვა მშვილდოსანმა, – შავო ისარო! მე შენ ბოლოსთვის შემოგინახე. შენ არასოდეს გიმტყუნია ჩემთვის და მუდამ უკან გიბრუნებდი მიზანს მოხვედრილს. მე შენ მამაჩემისგან მიგიღე, მას – თავის წინაპართაგან ერგე. თუკი ოდესმე მართლაც ჭეშმარიტი მთისქვეშა მეფის სამჭედლოში ინრთობოდი, მაშ, გაფრინდი ახლა და კეთილი იყოს შენი გაფრენა!

დრაკონმა კვლავ გაიქროლა, ახლა კიდევ უფრო დაბლა და როდესაც, მობრუნებული, ქალაქისკენ დაეშვა, მისი მუცელი, ნაირფერად ანაპერწკალებული ძვირფასი ქვებით, თეთრად აელვარდა მთვარის შუქზე. არ ელავდა მხოლოდ ერთი ნაწილი. უზარმაზარმა მშვილდმა გაიზუზუნა, შავი ისარი ლარს მოსწყდა და გაფრინდა პირდაპირ დრაკონის მკერდისაკენ, სადაც მარცხენა მხარეს, ფართოდ გაშლილი თათის ქვეშ ბნელი ჩალრმავება მოჩანდა. იგი მიზანს მოხვდა და გაუჩინარდა – წამახული პირიც, ტარიც და ფრთებიც, იმდენად მძლავრი იყო ნატყორცნი.

დრაკონის გამყინავმა დაძახილმა ხალხი გააყრუა, სანაპიროზე დაბლა დასცა ხეები და ქვები დახეთქა. სმაუგი ჰაერში აიჭრა, გადმოტრიალდა და დაბლა ჩამოენარცხა.

უზარმაზარი სხეული მთლიანად ქალაქს დაეცა. მისმა სასიკვდილო კრუნჩხვებმა აურაცხელ ნაპერწკლად და მუგუზლად გაფანტა ჯერაც შემორჩენილი სახლები. ტბამ იჭექა. მთვარის ქვეშ ერთბაშად ჩამოწოლილ სიბნელეში თვალშეუწვდენელი თეთრი ორთქლი აიჭრა. გაისმა შიშინი, დატრიალდა

მძლავრი მორევი – და ყოველივე მიჩუმდა. ასე დაუდგა აღსასრული სმაუგსა და ესგაროტს, მაგრამ არა ბარდს.

მზარდი ნახევარმთვარე მაღლა და მაღლა მიიწევდა და ქარი სულ უფრო ხმამაღლა და სუსხიანად ქროდა. იგი თეთრ ნისლს დახრილ სვეტებად და გაფრენილ ღრუბლებად გრეხდა და დასავლეთისკენ მიაქროლებდა, რათა მერე ტყეებნელის წინ გაშლილ ჭაობებზე გაეფანტა დაძენძილ ნაკუწებად. შემდეგ გამოჩნდა მრავალი ნავი, მუქად დალაქული ტბის ზედაპირზე. ქარმა ჩამოიტანა ადამიანთა მოთქმა, ისინი დასტიროდნენ დაღუპულ ქალაქს და საბადებელს, დაქცეულ სახლებს. მაგრამ მაშინ ამაზე ფიქრი რომ შესძლებოდათ, მართლაც რომ ბედის მადლიერნი დარჩებოდნენ, რადგანაც შეინარჩუნეს ის, რისი შენარჩუნებაც ძნელად საფიქრებელი იყო: ქალაქის მცხოვრებთა სამი მეოთხედი გადარჩა, არ დაზიანებულა მათი ტყეები, ნათესები, ნახირი და საძოვრები, აგრეთვე მრავალი ნავი. ხოლო დრაკონი მოკვდა, მაგრამ მათ ჯერაც ვერ გაესიგრძეგანებინათ, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

ისინი მგლოვიარე ჯგუფებად გროვდებოდნენ დასავლეთ სანაპიროზე და ცივ ქარში ცახცახებდნენ. მათი პირველი გულისწყრომა და ბრაზი გადასწვდა ქალაქის მმართველს, ვინც ასე საჩქაროდ მიატოვა ესგაროტი მაშინ, როდესაც სხვები ჯერ კიდევ ცდილობდნენ ქალაქის დაცვას.

– იქნებ მას კიდევაც გაეგებოდეს რამე სავაჭრო სარგებლის – განსაკუთრებით მისი საკუთარი სარგებლის, – ჩიოდნენ ისინი, – მაგრამ მართლაც საჭირბოროტო საქმის გადაწყვეტა არ შეუძლია.

და ხალხი ხოტბას ასხამდა ბარდს და მის უკანასკნელ მძლავრ ნატყორცნს.

– ახ, რომ არ დაღუპულიყო, – ამბობდა ყველა, – ჩვენ მას მეფედ დავსვამდით – დრაკონის გამგმირავ ბარდს გირიონის მოდგმიდან. ვაი, რომ იგი ბრძოლაში დაეცა!

და სნორედ მათი გაცხოველებული საუბრისას ჩრდილიდან მაღალმა ფიგურამ გამოაბიჯა. იგი ერთიანად წყლით გალუმპულიყო, სველი თმა სახესა და მხრებზე სცემდა და სასტიკი ცეცხლი ენთო თვალებში.

– ბარდი არ დაღუპულა! – შესძახა მან, – მან ესგაროტიდან წყალში ჩაყვინთა, როდესაც მტერი დაეცა. მე ვარ ბარდი, გირიონის შთამომავალი, მე ვარ დრაკონის დამმარცხებელი!

– მეფე ბარდი! მეფე ბარდი! – აყვირდა ხალხი, მაგრამ მმართველმა სიცივისაგან აკანკანებული კბილები გაალრჭიალა.

– გირიონი დეილის ხელმწიფე იყო და არა ესგაროტის, – თქვა მან, – ტბის ქალაქში მართველებს მუდამ თავად ვირჩევდით ხნიერ და ბრძენ ადამიანთაგან და არ ვემორჩილებოდით უბრალო მებრძოლთა კანონებს. დე, „მეფე

ბარდი“ დაბრუნდეს საკუთარ სახელმწიფოში – დეილი უკვე გათავისუფლდა მისივე შემართების წყალობით და აღარაფერი აღუდგება წინ მის დაბრუნებას. და წაყვეს მას ყველა, ვინც მოიწადინებს, თუკი მათ მთის ჩრდილში დაყრილი ცივი ქვები ტბის ამწვანებულ ნაპირებს ურჩევნიათ. ბრძენები აქვე დარჩებიან ჩვენი ქალაქის აღორძინების იმედით და კვლავაც იამებენ მისი სიმდიდრითა და სიმშვიდით, როდესაც დრო დადგება.

– ბარდი იქნება ჩვენი მეფე! – შესძახეს პასუხად ახლოს მყოფებმა, – გვეყო ხნიერი მმართველები, მუდამ ფულის თვლაში რომ არიან! – ხოლო მოშორებით მდგარი ხალხი ყვიროდა:

– გაუმარჯოს მშვილდოსანს და ძირს ფულის ტომრები! – სანამ ძახილი ექოდ არ დააბრუნეს ტბის ნაპირებმა.

– თუკი ვინმე არ აფასებს მოისარ ბარდს, მე როდი ვურევივარ მათში, – წამოიწყო ფრთხილად მმართველმა (რადგანაც ბარდი ახლა მის შორიახლოს იდგა), – ამ ღამეს მან თვალსაჩინო ადგილი დაიმსახურა ჩვენი ქალაქის კეთილისმყოფელთა სიაში და მრავალი დაუვიწყარი სიმღერის მიძღვნის ღირსია. მაგრამ, რატომ, ხალხნო? – აქ მმართველი ფეხზე წამოდგა და ძალიან ხმამაღლა და გარკვევით ალაპარაკდა, – მე რად მდებთ ბრალს მომხდარის გამო? რა დანაშაული მიმიძღვის? მე გეკითხებით, ვინ გამოაღვიძა დრაკონი? ვინ მიიღო ჩვენგან მდიდრული საჩუქრები და დაუშურველი დახმარება, და დაგვაჯერა, თითქოსდა ახდენა ეწერა ძველ სიმღერებს? ვინ ისარგებლა ჩვენი გულჩვილობითა და საამური ოცნებებით გაგვაბრუა? განა რა ოქრო ჩამოაყოლეს მდინარეს ჩვენს ჯილდოდ? მხოლოდ დრაკონის ცეცხლი და ნგრევა! ვის უნდა მოვთხოვოთ ზარალის ანაზღაურება, ჩვენი ქვრივ-ობლის ნუგეშისცემა და დახმარება?

როგორც ხედავთ, მმართველს სულ არაფრის გამო როდი მოუპოვებია თანამდებობა. მისი სიტყვების შედეგად ხალხს სრულიად გადაავიწყდა აზრი ახალი მეფის შესახებ და ბრაზით გადასწვდნენ თორინსა და მის მეგობრებს. ყოველი მხრიდან მრისხანე, მწარე შეძახილები მოისმოდა. ზოგი მათგანი, ვინც ადრე ყველაზე უფრო ხმამაღლა უმღერდა გნომებს ძველ სიმღერებს, ახლა ისევე ხმამაღლა გაიძახოდა, რომ მათ განზრახ შეაშფოთეს დრაკონი ტბის მცხოვრებთა დასაქცევ-დასაღუპად.

– ბრიყვებო! – თქვა მაშინ ბარდმა, – ტყუილად რად ხარჯავთ სიტყვებს და რისხვას იმ ბედკრულებზე? უეჭველია, რომ ისინი პირველები დაიღუპნენ ცეცხლში, მანამ, სანამ დრაკონი ჩვენსკენ გამოემართებოდა, – და სანამ ლაპარაკობდა, ბარდს გულს შეეპარა ფიქრი მთის ზღაპრულ საგანძურზე, რომელსაც ახლა არც მცველი ჰყავდა და არც პატრონი, და ერთბაშად დაჩუმდა. იგი ჩაუფიქრდა მმართველის სიტყვებს, გაიფიქრა, რომ მართლაც

ააღორძინებდა დეილს და ოქროს ზარების ხმიანობით აავსებდა – თუკი საამისოდ თანამზრახველებს იშოვნიდა.

ბოლოს იგი კვლავ ალაპარაკდა:

– მმართველო, ახლა ავი სიტყვების დრო არ არის და არც სამომავლოდ დიდ ცვლილებებზე საფიქრელად გვცალია. საქმე ბევრია. მე ჯერ კიდევ გემსახურები, თუმც ოდესმე იქნებ კვლავ დავფიქრდე შენს სიტყვებზე და ჩრდილოეთისაკენ გავწიო მათთან ერთად, ვინც გამომყვება.

და მან სწრაფი ნაბიჯით გასწია, რათა ბანაკის გაშლისათვის ეხელმძღვანელა და ხალხს ავადმყოფთა თუ დაჭრილთა მოვლაში დახმარებოდა. მმართველმა წასულს მოღუშული მზერა გააყოლა, მაგრამ არ წამომდგარა, ისევე დარჩა მინაზე ჩამჯდარი. მან ბევრი რამ გაიფიქრა, მაგრამ არაფერი უთქვამს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხმამაღლა დაუძახა ხალხს და უბრძანა, მისთვის ცეცხლი და საჭმელი მიეტანათ.

სადაც არ უნდა მისულიყო ბარდი, ყველგან ერთი და იგივე საუბარი ჩაესმოდა: ხალხს ცეცხლის სისწრაფით მოსდებოდა ამბავი აურაცხელ განძეულზე, რომელიც ახლა მცველის გარეშე დარჩა. ამბობდნენ, რომ ამ განძეულიდან მალე მიიღებდნენ ყოველგვარი ზარალის საზღაურს და სიმდიდრესაც მოიხვეჭდნენ სამხრეთული საქონლის საყიდლად. ეს აზრი ამხნევებდათ თავსდატეხილ უბედურებაში, სიმხნევე კი იმ მწარე და უბედურ ღამეს მართლაც ძალიან სჭირდებოდათ. თავშესაფრის მოწყობა ცოტასთვის თუ მოხერხდა (ერთი მმართველს ერგო) და საკვებიც არ ჰყოფნიდათ (მმართველიც კი მცირედით უნდა დაკმაყოფილებულიყო). ბევრი ავად გახდა სისველის, სიცივის და იმღამინდელი ვარამის გამო, ამიტომ ქალაქის ნანგრევებიდან უვნებლად თავდაღნეულიც შემდეგ და შემდეგ ბევრი შეინირა ავადმყოფობამ. დღეები, რომელიც იმ ღამეს მოყვა, ავადობის და შიმშილის სიმწარით იყო სავსე.

ბარდმა კი წინამძღოლობა ითავა. იგი ისე გასცემდა ბრძანებებს, როგორც თავად მიაჩნდა საჭიროდ, თუმც ყოველთვის მმართველის სახელით მოქმედებდა. მძიმე იყო მისი საქმე – ხალხისთვის უნდა ეთავკაცა და ეხელმძღვანელა მათი დაცვისა და დაბინავების სამზადისისათვის. ალბათ ბევრი ვერც გადაიტანდა ზამთარს, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა მინურულ შემოდგომას, დახმარებას რომ არ მოესწრო. მაგრამ დახმარება სწრაფად მოვიდა, რადგანც ბარდმა დაუყოვნებლივ გაგზავნა მდინარის აღმა სწრაფი შიკრიკები ტყისაკენ, რათა უღრანის ელფთა მეფისათვის დახმარება ეთხოვა. მის შიკრიკებს მეფე, უკვე წამოსული, გზად შემოეყარათ, თუმც სმაუგის დაცემიდან მხოლოდ სამი დღე იყო გასული.

ელფთა მეფემ ახალი ამბები შეიტყო საკუთარი მაცნეებისა და ჩიტებისაგან,

რომელთაც უყვართ მისი ხალხი, ამიტომაც უკვე ბევრი რამ იცოდა. დრაკონის ნაოხარის საზღვრებთან მცხოვრებ ყველა ფრთოსან არსებას მართლაც რომ ენით აუწერელი ფორიაქი შესდგომოდა. ჰაერში ფრინველთა გუნდი დატრიალებდა და მათი ფრთამალი შიკრიკები აქეთ-იქით სერავდნენ ცას. ტყის პირას ჰაერი სავსე იყო სტვენით, ჟივილით და წრიპინით, შორს, ტყეებნელის თავზე ვრცელდებოდა ხმები: „სმაუგი მოკვდა!" ფოთლები აშარიშურდნენ, ფრთხილი ყურები დაცქვიტეს ტყის ბინადრებმა. და სანამ ელფების მეფე წინ გასწევდა, ახალმა ამბავმა ნისლიანი მთების ფიჭვის ტყეებამდეც მიაღწია. ბეორნმა შეიტყო იგი თავის ხის სახლში და გობლინებიც სათათბიროდ შეიყარნენ საკუთარ გამოქვაბულებში.

– ვშიშობ, რომ უკანასკნელად გვესმის თორინ ოუკენშილდის ამბები, – თქვა ელფთა მეფემ, – უკეთესს იზამდა, ჩემს სტუმრად რომ დარჩენილიყო. ასეა თუ ისე, ავი ქარი ქრის, – დაუმატა მან, – კარგ ამბებს როდი მოიტანს. – ასე ამბობდა მეფე, რადგან მასაც კარგად ახსოვდა გადმოცემები თორორის ზღაპრულ სიმდიდრეზე. ამიტომაც იყო, რომ ბარდის შიკრიკებს იგი გზაზე დამდგარი შეხვდა, თან მრავალი შუბოსანი და მოისარი ახლდა, ლაშქარს კი თავს დასტრიალებდა ყვავების რიცხვმრავალი ჯგრო, რადგანაც ისინი მოელოდნენ ომს, რომლის მსგავსიც უკვე მრავალი წლის მანძილზე არ ამტყდარიყო იმ არემარეზე.

მაგრამ მეფე, როდესაც გამოგზავნილი მთხოვნელები მიიღო, ძლიერ დამწუხრდა, რადგან იგი კარგი და კეთილი ხალხის ბატონი იყო. მან გადაუხვია გზიდან, რომელიც თავიდან პირდაპირ მთისაკენ მიემართებოდა, და მდინარის დაყოლებით ტაბაგრძელისკენ გაეშურა. მას არ ჰყოფნიდა ნავები და ტივები, მთელი მრავალრიცხოვანი ამალით რომ დაჰყოლოდა წყალს, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, ფეხით გასდგომოდნენ გზას, თუმც ასე უფრო გვიან მივიდოდნენ ტბამდე. მაგრამ წყლის გზით ნინდაწინ გაგზავნეს სურსათ-სანოვაგის დიდი ტვირთი. ელფები ფეხმარდი ხალხია და, თუმც იმ დროს ნაკლებად იყვნენ შეჩვეულნი ჭაობებს და იმ მოღალატურ მიწებს, რომელიც ტყესა და ტბას შორის გაწოლილიყო, მაინც სწრაფად მიიწევდნენ წინ. დრაკონის სიკვდილიდან მეხუთე დღეს ისინი უკვე მიადგნენ სანაპიროებს და ქალაქის ნანგრევები იხილეს. როგორც მოსალოდნელიც იყო, ელფები სიხარულით მიიღეს, ადამიანები და მათი მმართველი მზად იყვნენ, ელფთა მეფის დახმარების საფასურად სამომავლოდ ნებისმიერ პირობებზე დათანხმებულიყვნენ.

მათ მალე მოილაპარაკეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ნაპირზე დარჩებოდნენ ქალები და ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები მმართველთან ერთად. მათთან დარჩნენ აგრეთვე ესგაროტელი ხელოსნები და მრავალი ხელგაწაფული ელფი. ისინი ხეებს ჭრიდნენ და დამზადებულ მასალას ტყიდან მდინა-

რეზე აცურებდნენ. შემდეგ შეუდგნენ ტბის ნაპირზე ქოხების აგებას, სადაც ზამთარში თავის შეფარება შეიძლებოდა. მმართველის ხელმძღვანელობით დაიწყეს ახალი ქალაქის გეგმის შედგენა, რომელიც კიდევ უფრო მშვენიერი და დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დაქცეული. იგი არ აშენდებოდა ძველი ქალაქის ნანგრევებზე, არამედ უფრო მაღლა, ჩრდილოეთისკენ, რადგან ხალხი უფრთხოდა იმ წყლებს, სადაც დრაკონი ჩავარდა. იგი ველარასოდეს დაბრუნდა თავის ოქროს სარეცელზე; ქვასავით ცივი და გაშეშებული, დაკრუნჩხული ეგდო წყალმარჩხ ფსკერზე. წლების და წლების შემდეგ წყნარ ამინდში მისი უზარმაზარი ძვლები მოჩანდა ძველი ქალაქის დალეწილ ხიმინჯებს შორის. ცოტანი თუ ბედავდნენ დაწყევლილი ადგილის გადასერვას ნავით და საერთოდ ვერავინ გაბედა, ჩაეყვინთა შეთხელებულ წყალში და მისი გახრწნილი ლეშიდან გადმოცვენილი ძვირფასი თვლები ამოეკრიფა.

ხოლო ყველა მამაკაცი, ვისაც ჯერაც შეეძლო იარაღის ტარება, და ელფთა მეფის ამალის დიდი ნაწილი გაემზადა, რათა ჩრდილოეთისაკენ, ეული მთისკენ დაძრულიყვნენ. ასე რომ, ქალაქის დაქცევიდან მეთერთმეტე დღეს მათი ლაშქრის მეწინავეები გასცდნენ ტბის ბოლოში აღმართულ კლდის ჭიშკრებს და გაუდაბურებულ მხარეში შევიდნენ.

15 საავდრო ღრუბლები

ახლა კი ბილბოსა და გნომებს მივხედოთ. მთელი ღამე ერთ-ერთი ფხიზლობდა და დარაჯად იდგა, მაგრამ დრაკონის ჩქამიც არ გაუგონიათ და კვალიც არ დაუნახავთ. მხოლოდ ჩიტები მოგროვდნენ მეტნი და მეტნი. სამხრეთიდან მოფრინავდნენ ახალი გუნდები და ყვავებიც, მთის ახლო-მახლო რომ ცხოვრობდნენ, ცაში დატრიალებდნენ განუწყვეტელი ყრანტალით.

– უცნაური რამ ხდება, – თქვა თორინმა, – შემოდგომის გადაფრენების დრო უკვე გასულია, თანაც ეს ფრინველები არც არიან გადამფრენები – შოშიებს და ჩიტბატონებს ვხედავ. ხოლო იქით, შორს, მოჩანან ლეშიჭამია ფრინველები, თითქოსდა ომი ახლოვდებოდეს!

უცებ ბილბომ ხელი გაიშვირა.

– შეხედეთ, ისევ ის ბებერი შაშვი! – წამოიძახა მან, – გადარჩენილა, როდესაც სმაუგმა მთის ფერდი დალეწა, მაგრამ არა მგონია, ლოკოკინებიც გადარჩენილიყვნენ!

მართლაც, ეს მათი ნაცნობი ბებერი შაშვი უნდა ყოფილიყო! ბილბოს სიტყვებზე იგი მათკენ გამოფრინდა და იქვე ქვაზე შემოსკუპდა. შემდეგ ფრთები ააფართქალა და ამღერდა. ცოტა ხნის შემდეგ გაჩუმდა და თავი გვერდზე გადახარა, თითქოს აყურადებსო. შემდეგ კვლავ ამღერდა, და კვლავ მიაყურადა.

– დარწმუნებული ვარ, ცდილობს, რაღაც გვითხრას, – ჩაილაპარაკა ბალინმა, – მაგრამ მე ვერ ვარჩევ ამ ფრინველების ნაუბარს, მათი ენა მეტისმეტად სწრაფი და რთულია. შენ შეგიძლია რამის გაგება, ბეგინს?

– არც მთლად კარგად, – მუგო ბილბომ (სინამდვილეში მას სულაც არაფერი გაეგებოდა შაშვის ნალაპარაკევიდან), – მაგრამ ჩვენი ძველი მეგობარი, როგორც ჩანს, ძალიან არის აფორიაქებული.

– აჰ, ნეტავი ყორანი ყოფილიყო! – ინატრა ბალინმა.

– მე კი მეგონა, რომ შენ ყორნები არ გიყვარდა! შენ არ იყავი, ძალიანაც რომ ერიდებოდი მათ, როდესაც პირველად მოვდიოდით აქეთ?

– ის ყვავები იყო! საძაგელი საეჭვო ქმნილებები, თანაც უზრდელები. ვერ გაიგონე, როგორ მოგვძახოდნენ უკან უტიფრულ სიტყვებს? ყორნები სხვანი არიან. ყორნებსა და თრორის ხალხს შორის მტკიცე მეგობრობა სუფევდა. მათ ხშირად მოჰქონდათ ჩვენთვის საიდუმლო ცნობები, ჩვენ კი ვაჯილდოებდით ბრჭყვიალა ნივთებით, რომლებსაც ხარბად მალავდნენ თავიანთ ბუდეებში.

ისინი დიდხანს ცოცხლობენ და შორს სწვდება მათი მეხსიერება. სიბრძნეს და ცოდნას შვილებს გადასცემენ. ყმაწვილობისას მრავალ კლდის ყორანს ვიცნობდი. ამ მაღლობს ყორანგორი იმიტომაც ეწოდა, რომ ოდესღაც აქ ბრძენი და განთქმული წყვილი ბუდობდა – ბებერი კარკი და მისი ცოლი. ისინი აქ საგუშაგო ოთახის ჭერში ცხოვრობდნენ. მაგრამ არა მგონია, ვინმე ჯერაც შემორჩენილიყოს ამ ძველი ჯიშიდან.

როგორც კი ბალინი დაჩუმდა, ბებერმა შაშვმა ხმამაღლა შესძახა და დაუყოვნებლივ გაფრინდა.

– ჩვენ იქნებ არც გვესმის მისი, მაგრამ ამ ბებერ ჩიტს ნამდვილად გაეგება ჩვენი, – შენიშნა ბალინმა, – ყურადღებით იყავით, ნახეთ, რა მოხდება!

ცოტა ხანში გაისმა ფრთების ფართქალი და შაშვი უკან მოფრინდა. მას თან ახლდა უზომოდ დაჩაჩანაკებული ბებერი ფრინველი, რომელსაც თვალის სინათლე აკლდა, ძლივსღა ფრენდა და თავის კორტოხი გამელოტებოდა. ეს იყო უზარმაზარი ხანმოთეული ყორანი. იგი მძიმედ დაეშვა მინაზე მათ წინ, აუჩქარებლად შეიკეცა ფართხუნა ფრთები და თორინისკენ გადააბიჯა.

– ო, თორინ თრეინის ძეო და ბალინ, ფუნდინის ძეო, – დაიყრანტალა მან (და ბილბომ გაიგო მისი ნათქვამი, რადგან იგი ჩვეულებრივ ენაზე საუბრობდა და არა ფრინველთა კილოკავზე), – მე ვარ როეკი, კარკის ძე. კარკი მოკვდა, მაგრამ იგი ოდესღაც კარგად გიცნობდათ თქვენ. ასერგასი და სამი წელიწადია, რაც მე კვერცხიდან გამოვედი, მაგრამ არ დამვიწყებია მამაჩემის მონათხრობი. ახლა მთის დიდ ყორანთა მეთაური მე ვარ. ჩვენ ცოტანილა დავრჩით, მაგრამ ჯერ კიდევ გვახსოვს მეფე, ძველად რომ სუფევდა. ამჯერად ჩემი ხალხის უმრავლესობა გაფრენილია, რადგანაც დიადი ამბები ისმის სამხრეთში. ზოგი ცნობა სიხარულს მოგგვრით, ხოლო ზოგი არც მთლად გულს დაგეხატებათ.

იხილეთ! კვლავაც გროვდებიან ეულ მთასთან და დეილის გარშემო ფრინველები, მოისწრაფიან სამხრეთიდან, დასავლეთსა და აღმოსავლეთიდან, რადგანაც ქვეყნიერებას მოედო – სმაუგი მკვდარიაო!

– მკვდარია? მკვდარი? – აყვირდნენ გნომები, – მკვდარია! მაშ, სულ ფუჭი ყოფილა ჩვენი შიში და საგანძური ჩვენია! – ისინი ყველანი ზეზე წამოიჭრნენ და სიხარულით აკუნტრუშდნენ.

– დიახ, სმაუგი მოკვდა, – განაგრძო როეკმა, – შაშვმა – დე, ნურასოდეს გასცვივა ფრთეთა ბუმბული – იგი მკვდარი იხილა და ჩვენ შეგვიძლია, ვენდოთ მის სიტყვას. მან იხილა, როგორ დაეცა იგი ესგაროტელ ადამიანებთან ბრძოლაში სამი ღამის უკან მთვარის ამოსვლისას.

კარგა ხანი გავიდა, სანამ თორინი მოახერხებდა და გნომებს დააჩუმებდა, ყორნის მოტანილი ახალი ამბებისთვის რომ დაეგდოთ ყური. ბოლოს, როდესაც როეკმა დაასრულა თხრობა ბრძოლის შესახებ, განაგრძო:

– ეს – რაც გასახარელია თქვენთვის, თორინ ოუკენშილდ. შეგიძლიათ, უშიშრად დაუბრუნდეთ თქვენს დარბაზებს. მთელი საგანძური თქვენია – ჯერჯერობით. მაგრამ აქეთკენ ფრინველების გარდა სხვანიც მრავლად მოეშურებიან. მცველის სიკვდილის ამბავი უკვე ქვეყნიერებას მოედო, ხოლო თქმულება თრორის საჭურჭლის შესახებ მრავალწლიანმა თხრობამ როდი გაამკრთალა! მრავალს სწყურია, ნილი დაიდოს ნაალაფევში. უკვე გზას ადგას ელფთა ბატონი, მას თან მოსდევენ ლეშიჭამია ფრინველები, ბრძოლასა და სისხლისღვრას მოელიან. ტბის მცხოვრებნიც დრტვინავენ, გნომებს თვლიან საკუთარი უბედურების მიზეზად, რამეთუ უსახლკაროდ დარჩნენ, მრავალი დაიხოცა და სმაუგმა დააქცია მათი ქალაქი. ისინიც იმედოვნებენ, თქვენი საგანძურიდან აინაზღაურონ ზარალი, გინდ ცოცხლები იყოთ და გინდ მკვდრები.

შენ შენი გონებით უნდა გადაწყვიტო, თუ როგორ მოიქცევი; მაგრამ ცამეტნი – ეს მცირე ნაშთია დარინის მრავალრიცხოვანი ხალხისა, რომელიც ოდესღაც აქ სუფევდა, ხოლო ან შორეულ მხარეებში გაფანტულა. თუკი ჩემს რჩევას ყურს დაუგდებ, მე გეტყვი შენ: ნუ ენდობი ტბის მცხოვრებთა მმართველს, არამედ მიმართე მას, ვინც დრაკონი მოკლა მშვილდით. მას ბარდი ჰქვია, იგი გირიონის შთამომავალია, დეილის მოდგმიდან, და პირქუში, მაგრამ მართალი კაცია. მაშინ ამ ხანგრძლივი უდაბურების შემდეგ ჩვენ კვლავ ვიხილავთ მშვიდობას გნომთა, კაცთა და ელფთა შორის. მაგრამ ალბათ მრავალი ოქროს ფასად დაგიჯდებათ ეს მშვიდობა. მე ვთქვი ჩემი სიტყვა.

მაშინ თორინი წინ გამოიჭრა ბრაზით.

– მიიღე ჩვენი მადლობა, როეკ კარკის ძეო. შენ და შენს ხალხს არ დავივიწყებთ. მაგრამ ჩვენი ოქროს მისხალსაც ვერ წაილებს ქურდი და ვერც მოძალადე გაიტაცებს, სანამ ცოცხლები ვართ. და კიდევ მეტადაც ვიქნებოდით თქვენი მადლობელი, თუკი კვლავაც მოგვაწვდიდით ამბებს მათ შესახებ, ვინც ახლო-მახლო გამოჩნდებოდა. აგრეთვე გთხოვდი, თუკი რომელიმე თქვენგანი ჯერაც ახალგაზრდა და ფრთაძლიერია, გაგეგზავნა მაცნეები ჩვენი სანათესაოსთვის ჩრდილოეთის მთებში, აქედან აღმოსავლეთიდან ვიდრე დასავლეთამდე და შეგეტყობინებინა მათთვის ჩვენი გასაჭირი. განსაკუთრებით ისწრაფონ ჩემი ბიძაშვილი დაინისაკენ, რკინის გორებში რომ სახლობს, რადგანაც მას მრავალი კარგად შეჭურვილი მეომარი ჰყავს და ყველაზე ახლოსაც არის აქედან. მოუწოდე მას სწრაფად!

– მე არაფერს ვიტყვი, კარგად განბრჭე თუ ავად, – დაიყრანტალა როეკმა, – მაგრამ გავაკეთებ, რაც შემიძლია, – და იგი აუჩქარებლად გაფრინდა.

– უკან, მთისაკენ! – შესძახა თორინმა, – დრო ცოტა გვაქვს!

– საჭმელიც ცოტა გვაქვს! – იყვირა ბილბომ, რომელიც ამ მხრივ მუდამ

თავშენახული გახლდათ. ასე თუ ისე, იგი თვლიდა, კაცმა რომ თქვას, დრაკონის სიკვდილით თავგადასავალიც დასრულდაო – რაშიც ძალიანაც ცდებოდა – და სიამოვნებით გაილებდა მისი კუთვნილი განძის დიდ წილს ამ საქმის მშვიდობიანად მოსაგვარებლად.

– უკან, მთისაკენ! – შესძახეს გნომებმა, თითქოსდა ბილბოს სიტყვები არც გაუგონიათო. ასე რომ, იგი მათთან ერთად უკან უნდა დაბრუნებულიყო.

რადგანაც თქვენ უკვე ადრევე შეიტყვეთ, თუ რა ხდებოდა ტბასთან, მიხვდებოდით, რომ გნომებს რამდენიმე დღე კიდევ ჰქონდათ, მომსვლელთა დასახვედრად რომ მომზადებულიყვნენ. მათ კიდევ ერთხელ გამოიკვლიეს გამოქვაბულები და დარწმუნდნენ, რომ, როგორც თავადაც ვარაუდობდნენ, მხოლოდ მთავარი კარიბჭე იყო ღია. ყველა დანარჩენი შესასვლელი (გარდა, რასაკვირველია, პატარა საიდუმლო კარისა) ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაეღენწა და ამოექოლა სმაუგს და ახლა მათი კვალიც არ დარჩენილიყო. მაშინ გნომები თავდაუზოგავ შრომას შეუდგნენ – ისინი ამაგრებდნენ მთავარ შესასვლელს და მისკენ მიმავალი ახალი ბილიკი ამოჰყავდათ. გამოქვაბულებში მათ მრავლად იპოვეს სამუშაო იარაღები, რომლითაც ძველი დროის მშენებლები შრომობდნენ. ხოლო სამშენებლო საქმეში გაწაფულობა გნომებს ჯერაც მოსდგამდათ.

ისინი მუშაობდნენ, ყორნებს კი განუწყვეტლივ მოჰქონდათ მათთვის ახალი ამბები. გნომებმა მათგან შეიტყვეს, რომ ელფთა მეფემ გზიდან გადაუხვია და ტბასთან შეყოვნდა, ასე რომ, სულის მოსათქმელი დრო კიდევ ჰქონდათ. გარდა ამისა, ყორნებმა ამბად მოიტანეს, რომ გნომების სამი პონი სმაუგს დასხლტომოდა და ახლა გაველურებულები დაეხეტებოდნენ მოშორებით, მდინარე ჩქერულას ნაპირებთან, მათ მიერ დანატოვარი საწყობის ნარჩენების სიახლოვეს. სანამ დანარჩენები კვლავ გაცხარებით მუშაობდნენ, ფილი და კილი ყორნის მეგზურობით გაგზავნეს პონების საპოვნელად და რამდენსაც შეძლებდნენ, იმდენი მარაგის ამოსაზიდად.

ისინი უკან ოთხი დღის შემდეგ დაბრუნდნენ. ამ დროისათვის ყორნებმა უკვე იცოდნენ, რომ ტბის მცხოვრებთა და ელფთა გაერთიანებული არმია მთისაკენ მოიჩქაროდა, მაგრამ გნომებს ახლა იმედიც შემომატებოდათ, რადგან რამდენიმე კვირის სამყოფი საკვები ჰქონდათ. მარაგი, რასაკვირველია, ძირითადად კვერაკისგან შედგებოდა, რაც გვარიანად მობეზრებოდათ, მაგრამ კვერაკი მაინც ბევრად სჯობს არაფერს. კარიბჭეც უკვე ამოქოლილი იყო ოთხკუთხად ნათალი ლოდებით ამოყვანილი, მშრალად ნაწყობი, მაგრამ სქელი და მაღალი კედლით. კედელი გარდიგარდმო კეტავდა შესასვლელს, მასში დატანებული ხვრელებიდან გნომებს გარეთ გახედვა ან გასრო-

ლა შეეძლოთ, მაგრამ ვერ გავიდოდნენ. აქეთ-იქით ისინი მისადგმელი კიბეებით დაცოცავდნენ, ბარგი-ბარხანას კი თოკებით ექაჩებოდნენ. ნაკადის გამოსავლად მშენებლებმა ახალი კედლის ძირში მომცრო დაბალი თაღი დაატანეს, მაგრამ გამოსასვლელთან ისეთნაირად გადააკეთეს ქვის ვიწრო კალაპოტი, რომ ფართო ტბორი დაგუბდა მთის ფერდიდან ჩანჩქერების თავამდე, საიდანაც მდინარე დეილისაკენ დაექანებოდა. ახლა კარიბჭესთან მიახლოება შესაძლებელი იყო მხოლოდ კლდის ვიწრო შვერილის გზით, ჭიშკრიდან მაცქერალთათვის ხელმარცხნივ რომ მიუყვებოდა ტბორის კიდეს. პონები მათ მხოლოდ ძველი ხიდის ზემოთ, საფეხურების ბოლომდე ამოიყვანეს, ბარგი ჩამოხსნეს, უბრძანეს, პატრონებთან დაბრუნებულიყვნენ და უმხედრებოდ გაგზავნეს სამხრეთისაკენ.

ერთ ღამესაც მათ თვალწინ ველზე მრავალი შუქი მოჯარდა, თითქოსდა სამხრეთით კვლავ ანთებულიყო დეილის ცეცხლები და ჩირაღდნები.

– მოვიდნენ! – შესძახა ბალინმა, – დიდია მათი ბანაკი. როგორც ჩანს, ისინი მდინარის ორთავე ნაპირს ამოუყვნენ და ბინდის საფარქვეშ შემოვიდნენ ველზე!

იმ ღამით გნომებს ცოტა ეძინათ. ადრიან დილით, ჯერ კიდევ გაცრეცილ სინათლეში მათ მოახლოებული ჯგუფი დაინახეს. გნომები ახალნაგები კედლის უკნიდან უცქერდნენ, როგორ მოუახლოვდნენ მოსულები ველის შესასვლელს და ნელ-ნელა შემოუყვნენ აღმართს. ცოტა ხნის შემდეგ მოთვალთვალეებმა გაარჩიეს, რომ მოსულთა შორის იყვნენ ტბის მცხოვრებლებიც, შეიარაღებულნი, თითქოს საომრად გამზადებულანო, და ელფთა მოისრებიც. მონინავენი ამოსცდნენ ნაშალ კლდეებს და ჩანჩქერების თავზე გამოჩნდნენ. უსაზღვრო იყო მათი გაოცება, როდესაც თვალწინ გადაეშალათ ტბორი და მის მილმა ახალნათალი ქვებით ნაგები კედლით ამოქოლილი კარიბჭე.

ისინი იდგნენ, კარიბჭეზე მიათითებდნენ და ერთმანეთში ბჭობდნენ, როდესაც თორინი შეეხმიანათ.

– ვინა ხართ თქვენ, – შესძახა მან ძალიან ხმამაღლა, – ვინც მოსულხართ, თითქოსდა საომრად, თორინ თრეინის ძის, მთისქვეშა მეფის, კარიბჭესთან?

მაგრამ მათ არაფერი უპასუხეს. ზოგი დაუყოვნებლივ შებრუნდა და უკან გაემართა, სხვებმა ცოტა ხანს უცქირეს კარიბჭეს და მის ახალ ფარს და მალე-ვე მიჰყვნენ წასულებს. იმ დღეს ბანაკი მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაიტანეს, სწორედ მთების გაწოლილ მხრებს შორის, და კლდეებმა ექოდ აირეკლეს ხმები და სიმღერები, რაც უკვე მრავალი დღე იყო, აღარ სმენოდა აქაურ არემარეს. გაისმოდა ელფთა არფებისა და ტკბილი ჰანგების ჟღერა. მთაში შემოღწეულმა გამოძახილმა თითქოსდა ჰაერის სუსხიც შეათბო და

ჯერაც მათ მმართველს ვემსახურები. მე ვილაპარაკებ მისი სახელით და გკითხავთ თქვენ: ნუთუ არაფერს ფიქრობთ ტბის მცხოვრებთა ვარამსა და უბედურებაზე? ისინი დაგეხმარნენ, როდესაც გიჭირდათ, ხოლო სამაგიეროდ მათთვის ჯერაც არაფერი გაგიგზავნიათ ნგრევის გარდა, თუმც უეჭველია, თქვენ ეს გულში არ გედოთ.

ბარდის სიტყვა პატიოსნური და მართალი იყო, თუმც ქუშად და ამაყად ნარმოთქმული. და ბილბომ იფიქრა, თორინი დაუყოვნებლივ მიიღებს და აღიარებს მის სამართლიანობასო. იგი, რასაკვირველია, არც მოელოდა, რომ ვინმეს გაახსენდებოდა, სწორედ მან და მხოლოდ მან რომ აღმოაჩინა დრაკონის სუსტი ადგილი. კარგადაც იქცეოდა, რადგან არც არავის გახსენებია. მაგრამ ბილბო სათვალავში არ აგდებდა არც ძალმოსილებას ოქროსი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში დრაკონი გადაჰფოფვროდა, და არც გნომურ გულისთქმას. უკანასკნელ ხანს თორინმა მრავალი საათი გაატარა საგანძურში, და თუმც უმთავრესად არკენსტონს დაეძებდა, იგი კარგად ამჩნევდა სხვა მრავალ მშვენიერ ნივთსაც, რომლებიც მის გულში აღძრავდნენ ძველისძველ მოგონებებს მისი მოდგმის შრომასა და სანუხარზე.

– ყველაზე საჭირბოროტო საკითხი ბოლო და უმთავრეს ადგილზე დაგიყენებია, – გაეპასუხა თორინი, – არავის აქვს უფლება ჩემი ხალხის სიმდიდრეზე მხოლოდ იმის გამო, რომ გნომთა განძის მიმტაცებელმა სმაუგმა მასაც წარსტაცა სიცოცხლე თუ სახლ-კარი. განძი არ ყოფილა დრაკონის და მისი ბოროტი საქმეები ამ განძით არ უნდა გამოისყიდოს. ტბის ქალაქელთაგან მილებული ნივთებისა და დახმარების საფასურს პატიოსნად გადავიხდით, როდესაც ამის დრო მოვა. მაგრამ არაფერს, ფრჩხილის ტოლა ოქროსაც კი არ გავილებთ ძალადობის და მუქარის შიშით. სანამ ჩვენს კართან შეიარაღებული კრებული დგას, როგორც მტრებსა და ქურდებს, ისე გიცქერით!

და კიდევ, მსურს შეგეკითხოთ: მათი მემკვიდრეობიდან რა წილს გადაუხდიდით ჩვენს სანათესაოს, ჩვენ რომ დავლუპულიყავით და საჭურჭლე დაუცველი დაგხვედროდათ?

– საჭირო კითხვაა, – მიუგო ბარდმა, – მაგრამ თქვენ არ დალუპულხართ, ხოლო ჩვენ არა ვართ მძარცველები. მაგრამ ხომ შეიძლება, მდიდარმა თანაუგრძნოს მათ, ვინც მეგობრულად მოექცა გასაჭირში ჩავარდნილს? გარდა ამისა, ჩემი სხვა ბრალდებები უპასუხოდ დარჩა.

– მე, როგორც უკვე მოგახსენეთ, არ გავმართავ თათბირს მათთან, ვინც შეიარაღებული მოსდგომია ჩემს კარიბჭეს. და სულაც არაფერი მაქვს სათქმელი ელფთა მეფის ხალხთან – მათგან ცოტა რამ თუ მახსოვს კარგი. ჩვენს თათბირში მას ხელი არა აქვს! გაბრუნდით ახლა, სანამ ფრთა არ შეუსხამთ ჩვენს ისრებს! და თუკი კვლავაც მოისურვებთ ჩემთან საუბარს, ჯერ მიაბრძანეთ ელფთა ბატონი ტყეში, მის საბრძანებელში, შემდეგ მობრუნდით და იარაღი აიყარეთ, სანამ ზღურბლს მოუახლოვდებოდეთ!

– ელფთა მეფე ჩემი მეგობარია, იგი ტბის ხალხის დასახმარებლად მოვიდა, როდესაც გვიჭირდა, თუმც მეგობრობის გარდა სხვა რამ ვალი არა სდებია, – შეეპასუხა ბარდი, – ჩვენ მოგცემთ დროს, რომ შეინანოთ თქვენი სიტყვები. გონი მოიკრიბეთ, სანამ ისევ მოვიდოდეთ, – ამ სიტყვებით იგი შებრუნდა და უკან, ბანაკისაკენ გაემართა.

და სანამ მრავალი საათი გავიდოდა, დაბრუნდნენ მედროშეები, წინ წამოდგნენ მესაყვირენი და ჩაჰბერეს.

– ესგაროტისა და ტყის სახელით! – შესძახა ერთმა, – მივმართავთ თორინ თრეინის ძეს ოუკენშილდს, რომელიც თავს მთისქვეშა მეფეს უწოდებს, და მოვითხოვთ მისგან, ყური გვიგდოს და მიიღოს მისდამი წარდგენილი მოთხოვნები, ხოლო თუ არ დაგვთანხმდება, მტრად შევრაცხავთ. იგი განძის, სულ მცირე, მეთორმეტედ ნაწილს გადასცემს ბარდს, როგორც დრაკონის მკვლელსა და გირიონის მემკვიდრეს. ამ წილიდან ბარდი თავად შესწირავს ესგაროტს მეოხებას, მაგრამ თუკი თორინს სურს, გნომთა ძველი ბატონების მსგავსად მოიხვეჭოს მეზობელი მინების მეგობრობა და პატივი, იგი თავის მხრივაც გაილებს შესანირავს ტბის მცხოვრებთა სანუგეშოდ.

მაშინ თორინმა ხელი დასტაცა რქის მშვილდს და მაცნეს ისარი სტყორცნა. ისარი მის ფარს გაეწონა და, აცახცახებული, გაჩერდა.

– იმ დრომდე, სანამ ამგვარია შენი პასუხი, – შესძახა მაცნემ პასუხად, – მთა ალყაშემორტყმულად გამომიცხადებია. თქვენ მთას ვერ დატოვებთ, სანამ თავად არ შემოგვთავაზებთ ზავსა და თათბირს. თქვენს წინააღმდეგ იარაღს არ ვიშიშვლებთ, დაგტოვებთ თქვენს ოქროსთან. შეგიძლიათ, ჭამოთ იგი, თუკი შეგერგებათ.

ამის შემდეგ შიკრიკები სწრაფად გაბრუნდნენ, ხოლო გნომები დარჩნენ საკუთარ ყოფაზე დასაფიქრებლად. თორინი ისეთი პირქუში შეიქნა, რომ სხვები, რომც მოენდომებინათ, ვერ გაბედავდნენ მისთვის ბრალის დადებას. მაგრამ გნომთა უმრავლესობა მართლაც რომ მთელი სულითა და გულით ეთანხმებოდა მის გადაწყვეტილებას – გარდა, ალბათ, ჩვენი მსუქანი ბომბურის, აგრეთვე ფილისა და კილისა. ხოლო ბილბოს, ცხადია, სრულებითაც არ მოსწონდა საქმის ასე შეტრიალება. ამ დროისათვის მას საკმაოზე მეტად ამოსვლოდა ყელში ეული მთა და მის წიაღში ალყაშემორტყმული ჯდომა სრულიადაც არ ეპიტნავებოდა.

– აქაურობა ჯერაც დრაკონის სუნად ყარს, – დუდღუნებდა იგი თავისთვის, – და ეს სუნი ცუდად მხდის. და კვერაკიც ხომ უკვე აღარ გადადის ყელში!

16 ღამის ჟურდი

დღეები დღეებს ტაატით და მოსაწყენად მისდევდა. გნომები თითქმის მთელ დროს განძის დალაგებასა და გადარჩევას ანდომებდნენ; და თორინმა, ბოლოსდაბოლოს, ახსენა თრეინის არკენსტონი და ყველას უმკაცრესად უბრძანა, ყოველ კუთხე-კუნჭულში ეძებნათ იგი.

– რადგანაც მამაჩემის არკენსტონი, – თქვა მან, – თავისთავად ოქროს მდინარეზე მეტადაც ფასობს, ხოლო ჩემთვის იგი ფასდაუდებელია. მთელი განძიდან ჩემად ამ პატიოსან თვალს მივითვლი და შურს ვიძიებ ყოველზე, ვინც მას იპოვის და თავისად დაეუფლება.

ბილბომ გაიგონა თორინის ნათქვამი და შეშინდა. მან არც იცოდა, რა მოხდებოდა, გნომებს რომ ეპოვათ ქვა, გადახვეული დაძონძილი ძველმანების ფუთაში, რომელსაც ჰობიტი ბალიშად ხმარობდა. და მაინც, მას არაფერი უთქვამს, რადგანაც რაც უფრო აუტანელი ხდებოდა დღეთა დამქანცველობა, მის პატარა თავში უფრო და უფრო იკვეთებოდა რაღაც გეგმა.

ამგვარად გადიოდა დღეები, სანამ ერთხელაც ყორნებმა არ მოიტანეს ამბავი, რომ დაინი და მასთან ერთად ხუთასზე მეტი გნომი, რკინის მთებიდან გამოჩქარებულნი, ორი დღის სავალ მანძილზე მოსდგომოდნენ დეილს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

– მაგრამ ისინი შეუმჩნეველად ვერ მოადგებიან მთას, – უთხრათ როაკმა, – და ვშიშობ, ბრძოლა არ ატყდეს ველზე. მე ამგვარ გადაწყვეტილებას კარგს ვერ ვუწოდებ. თუმც შეუპოვარნი არიან გნომთა მეომრები, მაგრამ ალბათ მაინც ვერ დაძლევენ იმ რიცხვმრავალ ჯარს, თქვენ რომ შემოგდგომიათ გარს. და რომც დაძლიონ, განა რას მოიგებთ? მათ ფეხდაფეხ მოიჩქარის ზამთარი და თოვლი, და რანაირად შეძლებთ თავის გამოკვებას მეზობელი მიწების მცხოვრებთა მეგობრობის და კეთილგანწყობის გარეშე? მაშინ იქნებ სიკვდილადაც გექცეთ ეს განძი, თუმც დრაკონი აღარ არის.

მაგრამ თორინი არ შემდრკალა.

– ზამთარი და თოვლი ადამიანებს და ელფებსაც დააზრობს, – განაცხადა მან, – და იქნებ უდაბნოში დიდხანს დარჩენა საძნელოდ ეჩვენოთ. ჩემმა გარსმომდგარმა თანამოძეებმა და შემომდგარმა ზამთარმა ერთად, იქნებ, კიდევაც მოარბილოს მათი გუნება სათათბიროდ.

იმ ღამეს ბილბომ გადაწყვიტა. ცა შავი და უმთვარო იყო. როგორც კი

სრული სიბნელე ჩამოწვა, ბილბო გაემართა კარიბჭის შიგნით პირველივე პალატის კუთხისკენ და თავისი ფუთიდან ამოაძვრინა თოკი, აგრეთვე ჩვარში გახვეული არკენსტონი. შემდეგ იგი კედლის თავზე აცოცდა. იქ იდგა მხოლოდ ბომბური, რადგანაც მისი მორიგეობის ჯერი იყო, გნომები კი მხოლოდ თითო გუშაგს აყენებდნენ ხოლმე მორიგედ.

– ძლიერ ცივა! – დაიჩივლა ბომბურმა, – როგორ მინდა, რომ ჩვენც გვენთოს აქ კოცონი, როგორც იქ, დაბლა ბანაკში უნთიათ!

– შიგნით საკმაოდ თბილა, – მიუგო ბილბომ.

– ალბათ. მაგრამ მე შუაღამემდე ვარ აქ დაბმული, – აბუზღუნდა სქელი გნომი, – ერთობ შემაღონებელი რამეა. მე განა ვბედავ, არ ვეთანხმებოდე თორინს, დე, კვლავაც დაგრძელდეს მისი ნეერი, მაგრამ იგი მუდამ კერპი და მოუდრეკელი გახლდათ.

– შენ ის იკითხე, ჩემი ფეხები რა მოუდრეკელია, – თქვა ბილბომ, – დამღალა ამ კიბეებმა და ქვის დერეფნებმა. რას არ მივცემდი, ოღონდ რბილი ბალახი მეგრძნო ფეხისგულებით.

– მე კი რას არ მივცემდი, ოღონდაც ყელში რაიმე მაგარი სასმელი შემეგრძნო და გვარიანი ვახშმის შემდეგ რბილ სანოლში ჩავწოლილიყავ!

– სანამ ალყაში ვართ, ამით ვერ გაგახარებ. მაგრამ მე უკვე კარგა ხანია, გუშაგად არ ვმდგარვარ და, თუ გინდა, ამ ჯერზე შეგცვლი. ამალამ ძილი არ მეკარება.

– შენ კარგი ყმაწვილი ხარ, მისტერ ბეგინს, და სიამოვნებით მივილებ შემოთავაზებულ სამსახურს. თუკი რამეს შეამჩნევ, ჯერ მე გამაღვიძე, იცოდე! მე შიდა პალატში მივწვები, მარცხნივ, იქვე შესასვლელთან.

– მიდი, მიდი, – დაამშვიდა ბილბომ, – შუაღამისას გაგაღვიძებ და შენ თვითონ ააყენე მორიგი გუშაგი.

როგორც კი ბომბური წავიდა, ბილბომ გაიკეთა ბეჭედი, მიაბა თოკი, კედლის იქით ჩასრიალდა და მოუსვა. მას დაახლოებით ხუთი საათი ჰქონდა. ბომბური უშფოთველად იძინებდა (მას ძილი ნებისმიერ დროს შეეძლო და ტყეში თავსგადამხდარი შემთხვევის შემდეგ მუდამ ცდილობდა, კვლავ მოეხელთებინა მაშინ ზმანებული მშვენიერი სიზმრები); დანარჩენი გნომები თორინთან საქმიანობდნენ. როგორც ჩანდა, არც ერთი მათგანი, თუნდაც ფილი ან კილი, არ გამოვიდოდა კედლის თავზე, სანამ დარაჯობის რიგი არ მოუწევდა.

ძალიან ბნელოდა და გზაც მას შემდეგ, რაც ბილბომ უკან მოიტოვა ახლადგაყვანილი ბილიკი და დაბლა, მდინარის ქვემო დინებისკენ ჩაცოცდა, მისთვის უცნობი იყო. ბოლოს იგი მიადგა ადგილს, სადაც ნაკადი უხვევდა – თუკი სურდა, განზრახვისამებრ ბანაკისაკენ აელო გეზი, იგი აქ წყალზე უნდა

გადასულიყო. მდინარის კალაპოტი აქ არცთუ ღრმა, მაგრამ უკვე საკმაოდ განიერი იყო და პატარა ჰობიტისათვის სიბნელეში მისი გადალახვა არ გახლდათ იოლი საქმე. თითქმის უკვე გადასულს ფეხი აუცდა მრგვალი ქვის საყრდენზე და შხაპუნით ჩავარდა ცივ წყალში. აცახცახებული და კბილებაკაწკაწებული ბილბო ის იყო გალმა ნაპირზე აძვრა, რომ ხმაურის მიზეზის მოსაძებნად ელფებმა მოირბინეს სიბნელეში ანთებული კაშკაშა ფარნებით.

– ეს თევზი არ ყოფილა! – თქვა ერთმა, – აქ სადღაც ჯაშუში დაძვრება. სინათლე დამალეთ! თუკი ეს ის საოცარი პატარა ქმნილებაა, რომელიც, როგორც ამბობენ, გნომებს ემსახურება, მაშინ სინათლე მას უფრო დაეხმარება, ვიდრე ჩვენ.

– ემსახურება, როგორ არა! – ჩაიფრუტუნა ბილბომ და სწორედ შუა ფრუტუნში ხმამაღლა დააცხიკა. ელფები მაშინვე ხმის გარშემო შემოგროვდნენ.

– მოანათეთ, მოანათეთ! – თქვა ჰობიტმა, – აქ ვარ, თუკი მე დამეძებთ. – მან ბეჭედი წაიძრო და კლდის უკნიდან გამოხტა.

ელფებმა, თუმც ძალიან იყვნენ გაოცებულები, სწრაფად ჩაავლეს ხელი.

– ვინა ხარ? შენ ხარ გნომების ჰობიტი? აქ რას აკეთებ? როგორ შემოიპარე ამსიშორეს, როგორ გამოსცდი ჩვენს გუშაგებს? – დააყარეს კითხვები ზედიზედ.

– მე მისტერ ბილბო ბეგინსი გახლავართ, – მიუგო მან, – თორინის კომპანიონი, თუკი ამის ცოდნა გწადიათ. მე თვალად კარგად ვიცნობ თქვენს მეფეს, თუმც, იქნებ, იგი არც მიცნობდეს, ვინა ვარ. მაგრამ ბარდს ვეხსომები, მეც სწორედ ბარდის ნახვა მსურს განსაკუთრებით.

– ერთი ნახე! – გაიოცეს ელფებმა, – და რა საქმე გაქვს?

– რა საქმეც არ უნდა მქონდეს, ის საქმე მხოლოდ ჩემია, ჩემო კარგო ელფებო. მაგრამ თუკი გსურთ, ოდესმე ამ ცივი და უსიხარულო ადგილებიდან თქვენს ტყეებს დაუბრუნდეთ, – მიუგო მან ცახცახით, – თქვენ სასწრაფოდ მიმიყვანთ ცეცხლთან, რომ გავშრე, ხოლო შემდეგ ნებას დამრთავთ, ვესაუბრო თქვენს მეთაურებს რაც შეიძლება მალე. მე მხოლოდ ერთი-ორი საათი თუ მაქვს თავისუფალი.

ამგვარად მოხდა, რომ გამოპარვიდან ორიოდე საათის შემდეგ ბილბო დიდი კარვის წინ ლულუნა ცეცხლს უჯდა და იქვე ისხდნენ და გაოცებით უცქერდნენ მას ელფთა მეფეც და ბარდიც. ელფურ აბჯარში გამოწყობილი ჰობიტი, სანახევროდ გამოხვეული ძველ საბანში, მათთვის მართლაც უცხო სანახავი იყო.

– როგორც თავადაც მოგეხსენებათ, – ამბობდა ბილბო რაც შეიძლება საქმიან ყაიდაზე, – საქმეები საძაგლად წარიმართა. პირადად მე დამღალა

ამგვარმა გარემოებამ. კვლავ უკან, დასავლეთში დაბრუნება მინდა, შინ, სადაც ხალხი უფრო კეთილგონიერია. მაგრამ ამ საქმეში მე საკუთარი ინტერესიც გამაჩნია – ერთი მეთოთხმეტედი წილი, რომ ვიყოთ ზუსტნი, თანახმად წერილისა, რომელიც, საბედნიეროდ, არ დამიკარგავს და შევინახე, – მან თავისი ძველი ქურთუკის ჯიბიდან, ჯერაც რომ ეცვა აბჯრის ზემოდან, ამოაცოცა დაჭმუჭნული და მრავალგზის გადაკეცილი წერილი, თორინის წერილი, რომელიც მაისში ამოედოთ ბუხრის თარიზე შემომდგარი საათის ქვეშ!

– წილი შემოსავლიდან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, – განაგრძო მან, – მე ვიცი, რას ნიშნავს ეს. პირადად მე სიხარულით დავთანხმდებოდი, გულდასმით გამეთვალისწინებინა თქვენი ყველა მოთხოვნა, მთელი განძიდან გამომერიცხა ის, რაც სამართლიანად გეკუთვნით, და მხოლოდ ამის შემდეგ წარმედგინა უფლება ჩემს წილზე. მაგრამ თქვენ ჩემსავით კარგად არ იცნობთ თორინ ოუკენშილდს. მერწმუნეთ, იგი სავსებით მზადაა, შემოჯდეს ოქროს გროვაზე და იშიმშილოს, სანამ თქვენ გარს შემოსდგომიხართ.

– ძალიანაც კარგი, ხელს ნუ შევუშლით, – გაეპასუხა ბარდი, – ამგვარი ბრიყვი კიდევაც იმსახურებს, რომ დაიმშეს.

– მართალია, დიახ, – თქვა ბილბომ, – მე კარგად მესმის, რასაც ფიქრობთ, მაგრამ, ამავე დროს, სწრაფად გვიახლოვდება ზამთარი. ცოტა ხანში თქვენ თავზესაყრელად გექნებათ თოვლი, ხოლო სხვა ყველაფერი შემოგაკლდებათ. მომარაგება კი გართულდება – ალბათ, ელფებისთვისაც კი. გარდა ამისა, იქნება სხვა სირთულეებიც. განა არ გსმენიათ დაინსა და რკინის გორებში მცხოვრები გნომების შესახებ?

– გვსმენია, დიდი ხნის წინათ; მაგრამ ჩვენთან მას რა ხელი აქვს? – დაეკითხა მეფე.

– ასეც ვფიქრობდი. როგორც ჩანს, მე შემიძლია, ზოგი ისეთი რამ გაცნობოთ, რის შესახებაც თქვენ ჯერ არაფერი იცით. შემიძლია გითხრათ, რომ დაინი ამჟამად მხოლოდ ორიოდე დღის სავალზე თუა აქედან და მას თან ახლავს სულ ცოტა, ხუთასი შეუპოვარი გნომი – მრავალი მათგანი გამოწრთობილია გნომთა და გობლინთა სასტიკ ომებში, რომელთა შესახებ თქვენ, უეჭველია, გსმენიათ. როდესაც ისინი აქ მოაღწევენ, იქნებ, დიდად გაჭირდეს საქმე.

– რად გვეუბნები ამას? შენს მეგობრებს გასცემ თუ ჩვენი დაშინება გსურს? – ჰკითხა მოქუშულმა ბარდმა.

– საყვარელო ბარდ! – დაიწრიპინა ბილბომ, – ასეც ნუ აჩქარდები! ასეთი ეჭვიანი ხალხი ჯერაც არსად შემხვედრია! მე, უბრალოდ, ვცდილობ, როგორმე ყველას თავიდან ავაცილო გასაჭირი. ახლავე შემოგთავაზებთ, რაც მსურს.

– ბრძანე, გისმენთ! – მიუგეს მათ.

– თქვენ შეგიძლიათ, შეხედოთ კიდევაც მას, – განაცხადა ჰობიტმა, – აი, ისიც! – მან წინ გამოიწვდინა არკენსტონი და საბურავი შემოაცალა.

თავად ელფთა მეფეც, ვისი თვალნიც ჩვეული იყო საუცხოო და მშვენიერ საგანთა მზერას, განცვიფრებული წამოდგა ფეხზე. ბარდიც კი გაოცებით და მდუმარედ უმზერდა პატიოსან თვალს. თითქოსდა მთვარის შუქით ავსილი ბირთვი ეკიდა მათ წინ, ყინვიან ვარსკვლავთა ციმციმით მოქსოვილ ბადეში გამოხვეული.

– ეს თრეინის არკენსტონია, – თქვა ბილბომ, – მთის გული. და თორინის გულიც, აგრეთვე. ეს ქვა მას ოქროს მდინარეზე მეტადაც ულირს. და მე თქვენ გადმოგცემთ მას. იგი თორინთან გარიგებაში დაგეხმარებათ, – და ბილბომ, ვერ ვიტყვით, რომ უეცარი ჟრჟოლვისა და სინანულის ჩრდილის გარეშე, ჩინებული თვალი ბარდს გაუწოდა. მანაც, თითქოსდა მონუსხულმა, ხელთ იპყრა იგი.

– მაგრამ როგორ გახდა იგი შენი და რად გადმოგვცემ ჩვენ, როგორც საკუთარს? – ძალდატანებით იკითხა მან ბოლოს.

– ო, იცით, – უხერხულად წამოიწყო შემცბარმა ჰობიტმა, – მთლად ასეც არ არის. მაგრამ, იცით რა, მე მსურს, რომ მთელი ჩემი უფლება განძზე ამ ქვით აინონოს, თუკი ხვდებით, რისი თქმა მსურს. იქნებ, მე მპარავიც ვიყო – ასე ამბობენ ისინი. პირადად მე თავი ამგვარად არასდროს მიგრძვნია – მაგრამ მე, იმედი მაქვს, პატიოსანი მპარავი ვარ მეტ-ნაკლებად. ასეა თუ ისე, ამჯერად უკან ვბრუნდები და გნომებს შეუძლიათ, რასაც მოისურვებენ, ის მიყონ. იმედი მაქვს, ეს პატიოსანი თვალი გამოგადგებათ.

ელფთა მეფე ბილბოს ახალი გაოცებით დააცქერდა.

– ბილბო ბეგინს! – წარმოთქვა მან, – შენ მეტად ხარ ღირსი, ელფ ბატონიშვილთა აბჯარი დაიმშვენო, ვიდრე მრავალი მათგან, ვისაც იქნებ უკეთაც ადგეს იგი ტანზე. მაგრამ მსურს ვიცოდე, თორინ ოუკენშილდიც ამგვარად თუ განსჯის. მე საერთოდ უკეთ ვიცნობ გნომებს, ვიდრე შეიძლება შენ იცნობდე. გირჩევ, ჩვენთან დარჩე, პატივს მოგაგებთ და სიხარულით მოგესალმებით.

– დიდად გმადლობთ, თქვენს სიკეთეში ეჭვი არ მეპარება, – მიუგო ბილბომ თავდადრეკით, – მაგრამ მგონია, რომ ამგვარად ვერ მივატოვებ ჩემს მეგობრებს ყოველივე იმის შემდეგ, რაც ერთად გადაგვიტანია. თანაც მე ბომბურს შევპირდი, რომ შუალამისას გავალვიძებდი. აუცილებლად უნდა წავიდე, და სწრაფად.

მათი ვერა სიტყვა ველარ გადააჯერებდა ბილბოს. მაშინ მას გამცილებელთა რაზმი აახლეს და ნასვლისას მეფემაც და ბარდმაც საპატიო სალამი

უძღვნეს. როდესაც ისინი ბანაკს გადადიოდნენ, დიდი კარვის კარში ჩამჯდარი, მუქ ლაბადაში გამოხვეული მოხუცებული წამოდგა და მათკენ გამოემართა.

– ყოჩაღ, მისტერ ბეგინს! – თქვა მან და ბილბოს ზურგზე ხელი დაუტყაპუნა, – შენ მუდამ იმაზე მეტი შეგიძლია, ვიდრე შენგან მოელიან ხოლმე!

ეს გენდალფი იყო.

მრავალი დღის განმავლობაში პირველად ბილბო მართლაც აღფრთოვანდა. მაგრამ მას დრო აღარ რჩებოდა იმ კითხვებისთვის, რომლებითაც სურდა, დაუყოვნებლივ აევსო ჯადოქარი.

– ყველაფერი იქნება თავის დროზე! – დაამშვიდა ბილბო გენდალფმა, – ამჯერად ყოველივე დასასრულს უახლოვდება, ან არა და მე მეშლება რაიმე. მძიმე და საშიში ჟამი მოგელის, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ! შენ იქნებ კიდევაც შეძლო, კეთილად დააღნიო თავი ყოველივეს. ისეთი ამბები არის მოსალოდნელი, რომლებიც ყორანთა თვალსა და ყურსაც კი გამოეპარა. მშვიდობის ღამეს გისურვებ!

ვერაფერს მიმხვდარი, მაგრამ მაინც გამხნევებული ბილბო კვლავ გზაზე გაეჩქარა. იგი მიაცილეს უსაფრთხო ფონამდე და მშრალად გადაიყვანეს გადალმა. ამის შემდეგ ჰობიტი ელფებს გამოემშვიდობა და ფრთხილად აძვრა კვლავ უკან, კარიბჭისაკენ. გაუძალისი დაქანცულობა იპყრობდა, მაგრამ შუალამემდე კიდევ კარგა ხანი რჩებოდა, როდესაც კვლავ აცოცდა თოკზე, რომელიც იქვე ეკიდა, სადაც დატოვა. მან ჩახსნა თოკი და შეინახა, შემდეგ ჩამოჯდა კედლის თავზე და ფიქრობდა და ფიქრობდა, ახლა რაღა მოხდებაო.

შუალამისას ბომბური გამოალვიძა, შემდეგ თავის კუთხეში მიწვა და მოიკუნტა, ისე, რომ ყური აღარ დაუგდია მოხუცი გნომის მადლობებისათვის (რომლებსაც, როგორც თვითონ გრძნობდა, არც მთლად იმსახურებდა). ძალიან მალე ბილბოს ღრმად ჩაეძინა და დილამდე ყველა საწუხარი გადაივიწყა. თუ გსურთ იცოდეთ, სიზმრად იგი ერბოკვერცხსა და შაშხს ხედავდა.

17 მეხთატეხა

მეორე დილით ბანაკში ადრიანად დასჭექეს ბუკებმა. მალე გამოჩნდა ეული მალემსრბოლი, რომელიც ვიწრო ბილიკზე მოიჩქაროდა. იგი კედლის შორიახლოს შეჩერდა და მთაში მყოფებს შესძახა კითხვით, ისურვებდა თუ არა თორინი, კვლავ მოესმინა ელჩთათვის, რადგანაც ზოგი რამ ახალი გამოირკვა და გარემოებებიც შეიცვალა.

– ეს ახალი რამ, ალბათ, დაინი უნდა იყოს! – თქვა თორინმა, ეს რომ გაიგონა, – უკვე იგრძნეს მისი მოახლოების სუსხი. ვფიქრობ, ამან გუნება უნდა შეუცვალოთ! მოახსენე, რომ მოვიდნენ რიცვხით მცირედნი, უიარაღოდ, და მე მოვუსმენ მათ! – გასძახა მან მაცნეს.

შუადღისათვის მომავლებმა კვლავ გაშალეს ტყისა და ტბის დროშები და წინ გამოიძღვანეს. მთის კარიბჭეს თორმეტკაციანი ჯგუფი მიუახლოვდა. ვიწრო გზის თავში მათ მახვილები და შუბები ჩამოიხსნეს და ჭიშკრისკენ გაემართნენ. ცნობისწადილით შეპყრობილმა გნომებმა დაინახეს, რომ მოსულთა შორის იყვნენ ბარდიც და ელფთა მეფეც, ხოლო მათ წინ ლაბადასა და ჩაჩში გამოხვეულ მოხუცებულს რკინით შეჭედილი ხის მტკიცე ზარდახშა მოჰქონდა.

– მოგესალმებით, თორინ! – მიმართა ბარდმა, – ჯერაც ძველ აზრს ადგახარ?

– მე გუნებას არ ვიცვლი მხოლოდ იმის გამო, რომ რამოდენიმეჯერ ამოვა და კვლავ ჩაესვენება მზე, – გაეპასუხა თორინი, – ნუთუ ფუჭი კითხვების დასასმელად მოსულხართ ჩემთან? ჯერაც არ გამგზავრებულა აქედან ელფთა ბატონი, როგორც ვითხოვდი! და რაკი ასეა, ფუჭად გარჯილხართ, ჩემთან გასარიგებლად რომ მოსულხართ!

– მაშ, არაფერია ისეთი, რისთვისაც შენ დათმობდი შენი ოქროს წილს?

– არაფერი, რისი შემოთავაზებაც შეგეძლო შენ ან შენს მეგობრებს.

– არც თრეინის არკენსტონი? – ჩაეკითხა ბარდი. იმავ წამს მოხუცებულმა ზარდახშა გახსნა და იქიდან არკენსტონი ამოიტაცა. ნათელმა იელვა მისი შემართული ხელიდან, დღის შუქშიც კი ელვარე და ქათქათა იყო ეს ნათელი.

თორინი გაშეშდა, გაოცებითა და მოულოდნელობით დამუნჯებული. კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია.

ბოლოს ისევ თორინმა დაარღვია სიჩუმე და დაგუბებული რისხვა გაისმა მის ხმაში:

– ეს პატიოსანი თვალი მამაჩემს ეკუთვნოდა და ახლა იგი ჩემია, – თქვა მან, – და რად უნდა გამოვისყიდო ჩემი საკუთრება? – შემდეგ მაინც დასძლია ცნობისწადილმა და დაუმატა: – მაგრამ რა გზით დაეუფლეთ ჩემი გვარის სამკვიდროს – თუკი საერთოდ აზრი აქვს, ამგვარი კითხვით მიმართო ქურდებს?

– ჩვენ არა ვართ ქურდები, – მიუგო ბარდმა, – და დაგიბრუნებთ იმას, რაც გეკუთვნის, ჩვენი კუთვნილის საფასურად.

– რა გზით დაეუფლეთ მას? – შესძახა თორინმა, მას უფრო და უფრო იპყრობდა მრისხანება.

– მე მივეცი! – დაიწრიპინა ბილბომ, რომელიც კედლის ზემოდან იჭყიტებოდა და ამ დროისათვის შიშით სულის გაცხებას არაფერი უკლდა.

– შენ! შენ! – დაილრიალა თორინმა, მიტრიალებული, თავს დაადგა ჰობიტს და ორივე ხელი ჩაავლო. – შე უბადრუკო ჰობიტო! შე დაგვაჯულო... მპარავო! – ყვიროდა იგი, სიტყვა უწყდებოდა და ბაჭიასავით ანჯღრევდა ბილბოს. – დურინის წვერის სახელით! ერთი გენდალფი მანახა აქ! ნყეულიმც იყოს შენი შერჩევისათვის! ნვერიმც მოხმობია! შენ კიდევ... შენ კლდეებზე გადაგისვრი! – დაიძახა მან და ბილბო ხელში აიტაცა.

– შეჩერდი! შენი სურვილი აღსრულებულია! – გაისმა ხმა. მოხუცებულმა, რომელსაც ზარდახშა ეჭირა, ჩაჩი და ლაბადა გადაიძრო, – გენდალფი აქ არის! და, როგორც ჩანს, დროულადაც. თუკი არ მოგწონთ ჩემი მპარავი, გთხოვ, ნუ დააზიანებ მაინც! დასვი დაბლა და მოუსმინე ჯერ, რა აქვს სათქმელი.

– თურმე ყველას პირი შეგიკრავთ! – თორინმა ბილბოს ხელი უშვა და იგი კედლის თავზე დაებერტყა, – აღარასოდეს დავიჭერ საქმეს ჯადოქრებთან თუ მათ მეგობრებთან! აბა, რა გაქვს სათქმელი, ვირთხების ნაშიერო?

– ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! – წარმოთქვა ბილბომ დანანებით, – რა არასასიამოვნოა ყოველივე ეს! იქნებ გახსოვდეს, შენივე ნებართვით მე შემეძლო, თავად ამერჩია საკუთარი მეთოთხმეტედი წილი! იქნებ, ზედმეტად პირდაპირ გავიგე შენი ნათქვამი – როგორც მეუბნებოდნენ, გნომები ზოგჯერ სიტყვით უფრო თავაზიანნი არიან, ვიდრე საქმით. მაგრამ ასეა თუ ისე, იყო დრო, როდესაც თითქოს ფიქრობდით, რომ რაღაც სამსახური გაგიწიეთ. ვირთხების ნაშიერიო! სულ ეს არის შენი და შენი გვარის სამსახური, რომელსაც მრავალგზის აღმითქვამდი, თორინ? ჩათვალე, რომ ჩემი წილი ისე გავხარჯე, როგორც მსურდა, და ამით მოვრჩეთ!

– ასეც ვიზამ! – თქვა თორინმა კუშტად, – შენთანაც ამით მოვრჩები საქმეს და აღარასოდეს ვისურვებდი შენთან შეხვედრას! – იგი მიტრიალდა და კედლის მიღმა გადასძახა: – მე მიღალატეს! სწორად განჭვრიტეს, რომ არ

შემიძლია, არ გამოვისყიდო არკენსტონი, ჩემი გვარის განძი. მისთვის მე გავიღებ მთელი საჭურჭლის მეთოთხმეტედ წილს ოქრო-ვერცხლით – არა თვალმარგალიტით. მაგრამ ეს ჩაითვლება ამ მოღალატისთვის აღთქმულ წილად, ამ ჯილდოთი გავისტუმრებთ და ეს განძი, როგორც გინდათ, ისე გაგინაწილებიათ. ეჭვიც არა მაქვს, თავად მას საკმაოდ ცოტა შეხვდება. ნაიყვანეთ აქედან, თუ გსურთ, რომ ცოცხალი გადარჩეს. ჩემი მეგობრობის მისხალიც არ გაჰყვება თან!

– ახლა კი გასწი შენს მეგობრებთან! – მიმართა მან ბილბოს, – თორემ თავად გადაგისვრი დაბლა!

– და დაპირებული ოქრო-ვერცხლი? – დაეკითხა ბილბო.

– შემდეგში იქნება, როდესაც ყველაფერს გადავთვლით და მოვაწესრიგებთ! – მიუგო თორინმა, – გასწი!

– მანამდე ქვა ჩვენთან დარჩება! – შესძახა ბარდმა.

– ვერ იქცევი ისე ღირსეულად, როგორც მთისქვეშა მეფეს შეჰფერის, – წარმოთქვა გენდალფმა, – მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება, ყველაფერი შეიცვალოს.

– მართლაც რომ, შეიძლება, – გაეპასუხა თორინი; და იმდენად ძლიერად იყო იგი მონუსხული განძეულის ხიბლით, რომ უკვე იმასაც ფიქრობდა, შევძლებ თუ ვერა, დაინის დახმარებით არკენსტონიც გამოვიხსნა და ჯილდოდ შეპირებული წილიც დავინარჩუნოო.

ასე და ამგვარად ბილბო კედლიდან დაბლა დაუშვეს და გაისტუმრეს ცარიელ-ტარიელი ისე, რომ მთელ მის საქმეთა სანაცვლოდ არაფერი მიუციათ გარდა აბჯრისა, რომელიც თორინმა ადრევე უძღვნა. არა ერთი და ორი გნომი დარცხვენილი იყო და სინანულს გრძნობდა ბილბოს ამგვარად წასვლის გამო.

– მშვიდობით! – ეძახდნენ ისინი ჰობიტს, – იქნებ, ოდესმე კიდევ შევიყაროთ მეგობრებად!

– ნაეთრიე! – შეჰყვირა თორინმა, – ტანთ ჩემი ხალხის გამოჭედილი აბჯარი გაცვია და არამია ბენზე ამ აბჯრის სიკეთე. მასში ისარი ვერ გაატანს, მაგრამ თუკი არ იჩქარებ, მაგ უბადრუკ ფეხებს გაგიხვრეტ! ასე რომ, სწრაფად!

– ძალიანაც ნუ ცხარობ! – მიმართა მას ბარდმა, – ხვალამდე დრო მოგვიცია. შუადღისას დავბრუნდებით და ვნახავთ, გამოყავი თუ არა განძიდან ფასი, ქვის წილ მოსაცემი. თუკი ყოველივე სიცრუის გარეშე გაკეთდება, ჩვენ ნავალთ აქედან და ელფთა ბატონიც თავის ტყეს დაუბრუნდება. ჯერჯერობით კი – მშვიდობით!

ამ სიტყვებით ისინი ბანაკისაკენ გაემართნენ. მაგრამ თორინმა როაკს მაცნეები გააგზავნინა. იგი დაინს ატყობინებდა, რაც მოხდა და მოუწოდებდა, სწრაფად და სიფრთხილით მოახლოებოდა ეულ მთას.

ის დღე გავიდა, გავიდა ღამეც. მეორე დღეს ქარმა დასავლეთით დაბერა და გარემო ჩამობნელდა, ჩამოიბურა. ჯერაც ადრიანი დილა იდგა, როდესაც ბანაკში ძახილი გაისმა – მოსულიყვნენ მაცნეები, რომლებმაც მოიტანეს ამბავი: ვნომთა ბატონი გამოჩნდა, მან უკვე მთის აღმოსავლეთ თხემს შემოუარა და დეილისაკენ მოეჩქარებაო. დაინი მოსულიყო. მას მთელი ღამის განმავლობაში ევლო და ბანაკს უფრო ადრე მოადგა, ვიდრე მოელოდნენ. მის რაზმში ყოველ ვნომს გრძელი, მუხლამდე ჩამოწვდილი ჯაჭვის პერანგი ემოსა, ხოლო ფეხებს უფარავდათ მოხერხებული და დრეკადი ლითონის ბადის მალალი წინდები, რომლის გაკეთების საიდუმლოსაც ფლობდა დაინის ხალხი.

ვნომები მათი ზომის კვალობაზე მეტად ძლიერები არიან, მაგრამ ამ მეომართაგან უმრავლესნი ვნომთა შორისაც გამოირჩეოდნენ ძალით. ბრძოლისას მათ ხელთ ეპყრათ მძიმე, ორი ხელით მოსაქნევი საბრძოლო ეჩოები, თითოეულ მათგანს გვერდზე ეკიდა მოკლე ფართო ხმალი და ზურგზე ღვედებით ება მრგვალი ფარი. წვერები, დაყოფილი და დაწნული, ქამრებში ჩაეტანიებინათ, თავს რკინის მუზარადი ჰფარავდათ და ფერხთ რკინა ემოსათ, და კუშტი ჰქონდათ სახე.

ბანაკში ბუკები ახმიანდა. იარაღს ისხამდნენ ადამიანები და ელფები. ცოტა ხანში გამოჩნდნენ ვნომები, რომლებიც სწრაფად უახლოვდებოდნენ ველს. მდინარესა და აღმოსავლეთ მხარს შორის ისინი შეჩერდნენ, მხოლოდ რამდენიმემ გამოაგრძელა გზა, მათ მდინარე გადმოლახეს და ბანაკს მიადგნენ. აქ დაბლა დააწყვეს იარაღი და ხელები ასწიეს მშვიდობის ნიშნად. მათ შესახვედრად ბარდი გაემართა, მას თან გაყვა ბილბოც.

– ჩვენ გამოგვაგზავნა დაინ ნაინის ძემ, – თქვეს ვნომებმა შეკითხვის პასუხად, – და ჩვენი სანათესაოსკენ, მთაში მივეჩქარებით, რადგანაც გვესმა, სამეფო აღმსდგარაო. მაგრამ ვინა ხართ თქვენ და რად სხედხართ აქ, ვაკეზე, როგორც მტრები დაცული კედლის ძირში?

ამგვარი შემთხვევებისას მიღებულ, ძველ და თავაზიან ენაზე წარმოთქმული ეს სიტყვები ასე გადმოითარგმნებოდა: „თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ. ჩვენ გზას ვადგავართ, ან გვიგანეთ, ან არა და შეგებრძოლებით!“ ვნომები აპირებდნენ, მდინარის მარყუჟსა და მთას შორის გაჭრილიყვნენ, რადგან ეს ვიწრო გასასვლელი ყველაზე ნაკლებად დაცული ეჩვენებოდათ.

ბარდმა, რასაკვირველია, იუარა, ვნომები დაუყოვნებლივ შეეშვა მთაში. მას გადაეწყვიტა, მოეცადა, სანამ არკენსტონის სანაცვლო ოქრო-ვერცხლს გამოიტანდნენ, რადგანაც არა სჯეროდა, რომ ვნომები შეასრულებდნენ

პირობას, თუკი მათი სიმაგრე ესოდენ მრავალრიცხოვანი და საომრად შემართული რაზმით შეივსებოდა. მოსულებს გვარიანი მარაგი მოეყოლებინათ თან. გნომებს, საერთოდ, ძალზე მძიმე ტვირთის ტარება შეუძლიათ და დაინის ამალაშიც, თუმც გასაოცრად სწრაფად გადმოიარეს დიდი მანძილი, თითქმის ყველას მძიმე იარაღის გარდა ზურგზე უზარმაზარი ფუთები წამოეკიდა. ამ მარაგით ისინი რამდენიმე კვირის განმავლობაში შეძლებდნენ, ალყისთვის გაეძლოთ, ხოლო ამასობაში კიდევ მეტი და მეტი გნომი მოგროვდებოდა მთის გარშემო, რადგან თორინს დიდი სანათესაო ჰყავდა. ესეც რომ არა, მათ შეეძლოთ, გამოეწმინდათ ან გაეჭრათ ახალი კარი და მაშინ მოალყეები იძულებულნი გახდებოდნენ, მთელი მთა მოექციათ ალყაში, ამას კი ველარ გასწვდებოდნენ.

გნომებიც სწორედ ასე განსჯიდნენ (რადგანაც ყორან-მაცნეთა მიმოფრენა თორინსა და დაინს შორის არ ცხრებოდა), მაგრამ მათ ჯერჯერობით გზაზე გადაუდგნენ და ცხარე სიტყვების შემდეგ გნომთა ელჩები წვერებში ბურდღუნით გაბრუნდნენ უკან. ბარდმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ხალხი ჭიშკრისკენ, მაგრამ მათ ვერ ნახეს ქვის გამოსასყიდი ოქრო-ვერცხლი. სასროლ მანძილზე მიახლოებულ შიკრიკებს გამოსროლილი ისრები შეაგებეს კედლიდან და ისინიც სწრაფად გამობრუნდნენ უკან. მთელი ბანაკი ფეხზე დადგა, თითქოს ბრძოლისათვის ემზადებიანო, რადგან გნომები უკვე მოუყვებოდნენ მდინარის აღმოსავლეთ ნაპირს.

– ბრიყვები! – ჩაიცინა ბარდმა, – როგორ შემოდიან მთების გაწვდილი მხრების ძირში! რაც არ უნდა გაწაფული იყვნენ გნომები მალაროებში ბრძოლაში, მიწისზედა ომის მაინც არაფერი გაეგებათ. მათი მარჯვენა ფრთის თავზე, კლდეებში, მრავლად არიან შემალულნი ჩვენი მოისარნი და შუბოსნები. იქნებ მტკიცეც იყოს გნომთა აბჯარი, მაგრამ სულ მალე დიდი გასაჭირი დაადგებათ. მოდით ახლა, ორივე ფრთიდან შევუტიოთ, სანამ დაისვენებდნენ და ძალებს მოიკრებდნენ!

მაგრამ ელფთა მეფემ თქვა:

– მე კი დავაყოვნებდი, სანამ წამოვიწყებდე ომს ოქროსათვის. გნომები ჩვენ მხარს ვერ აგვიქცევენ, თუკი თავად არ მოვისურვებთ, და ვერც ვერაფერს მოიმოქმედებენ ისე, ჩვენ რომ ვერ შევამჩნიოთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ჯერაც შესაძლებელია დაზავება. და თუკი ბოლოს მაინც გვიწერია შეჯახება – ჩვენ მათ ბევრად ვჭარბობთ რიცხვით და კიდევაც დავძლევთ.

მაგრამ გნომები სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ ცეცხლად ედებოდათ იმის შეგნება, რომ არკენსტონი მოალყეთა ხელში იყო. თანაც შეამჩნიეს ბარდისა და მისი მეგობრების ყოყმანი და გადაწყვიტეს, მანამ შეეტიათ, სანამ ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ.

ანაზდად გნომთა ჯარი გაუფრთხილებლად და მდუმარედ გამოიჭრა წინ, შეტევაზე. მშვილდები მოიდრიკა, ზუზუნით გაფრინდნენ პირველი ისრები. ბრძოლა იწყებოდა!

და კიდევ უფრო ანაზდეულად მებრძოლებს წყვდიადი შემოადგა გარს შემზარავი სისწრაფით. ცას შავი ღრუბელი გადაეკრა. ზამთრის მეხმა დაიგრგვინა მოვარდნილ ქარში, მთის ფრიალოებს მიაწყდა და მალლა, მწვერვალზე ელვად გაიკვესა. ხოლო მეხთატეხის ქვეშ ბინდში კიდევ უფრო მუქი სიშავე მოიგრაგნებოდა, მაგრამ ეს სიშავე ქარს როდი იყო მოყოლილი – იგი ჩრდილოეთიდან მოვიდა ფრინველების ვრცელ და საზარელ გუნდად და უმცირესი შუქიც კი არ ატანდა მათ ურიცხვ ფრთებს შორის.

– შესდექით! – შესძახა გენდალფმა. იგი მოულოდნელად წამოიმართა ყველას თვალწინ და იდგა სულ მარტო, ხელებაპყრობილი, შეტევაზე გადმოსულ გნომებსა და მათ მომლოდინე ლაშქარს შორის, – შეჩერდით! – მეხივით გაისმა მისი ხმა და მისი კვერთხი თვალისმომჭრელი ელვით აენთო, – ყველას საერთო განსაცდელი წამოგდგომიათ! ვაი, რომ იგი უფრო სწრაფად მოგვენია, ვიდრე მეგონა. გობლინები მოინევენ თქვენზე! ჩრდილოელი ბოლვი მოდის, ო, დაინ! ვისი მამაც შენ მოკალი მორიაში. უცქირე! მისი ჯარის თავზემოთ შემოსეული კალიასავით ურიცხვი ღამურა მოფრინავს, მგლებს მოაჭენებენ და უკან კი უარგთა ხროვები მოპყვებიან!

გაოგნებული და შეძრწუნებული იდგა ყველა. სანამ გენდალფი ლაპარაკობდა, კიდევ უფრო ჩამუქდა სიბნელე. გნომები შეჩერდნენ და ცას მიაჩერდნენ, მრავალხმიანი შეძახილები გაისმა ელფთა რიგებში.

– მოდით! – კვლავ შესძახა გენდალფმა, – ჯერ კიდევ გვაქვს დრო, რომ სათათბიროდ შევიყაროთ. და დე დაინი, ნაინის ძეც ჩვენთან მოვიდეს საჩქაროდ!

ამგვარად დაიწყო ბრძოლა, რომელსაც არავინ მოელოდა. მას ხუთი ლაშქრის ბრძოლა უწოდეს და შემზარავი იყო ეს ომი. გობლინების ჯარს და ველური მგლების ხროვებს წინ ალუდგა ადამიანთა, ელფების და გნომების ლაშქარი. და აი, როგორ მოხდა ყოველივე:

ნისლიანი მთების გობლინთა ბელადის დაცემის შემდეგ ამ გარენარი მოდგმის სიძულვილი გნომების მიმართ დაუოკებელ რისხვად იქცა. მათ ქალაქებს, დასახლებებსა და სიმაგრეებს შორის გაუთავებლად მიმორბოდნენ მაცნეები – გობლინებს გადაეწყვიტათ, ამჯერად მთელი ჩრდილოეთის მხარე დაეპყროთ და დაემორჩილებინათ. საიდუმლოდ კრებდნენ ცნობებს, მთელი მთაგრეხილის ქვეშ დაუცხრომლად ჭედდნენ და ისხამდნენ იარაღს. შემდეგ კი დაიძრნენ, გადაიარეს გორაკები და ველები, ან მიწისქვეშა გვირაბებს ეფარებოდნენ, ან

ღამის წყვდიადში დამალულები მიისწრაფოდნენ, სანამ ჩრდილოეთში აღმართულ მთა ვუნდაბადთან, სადაც გობლინების დედაქალაქი იყო გაშენებული, უანგარიშო და ულევმა ჯარმა არ მოიყარა თავი. ისინი მზად იყვნენ, მოულოდნელად დაქანებულიყვნენ სამხრეთისკენ, როდესაც ქარიშხალი ამოვარდებოდა და შეტევის ჟამი დაუდგებოდათ. აქ შეიტყვეს მათ სმაუგის სიკვდილი და დიდად გაიხარეს. ყოველ ღამე მირბოდნენ ისინი მთებში და ხევებში, სანამ ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, ეულ მთას არ მიადგნენ დაინის ფეხდაფეხ. ყორნებმაც კი ვერ შეიტყვეს მათი მოახლოება, სანამ გობლინები არ შემოიჭრნენ იმ გატიალებულ მიწებზე, რომელიც ეულ მთას ჩრდილოეთით აღმართული მთაგრეხილისაგან ყოფდა. არავინ იცის, თუ რა უწყოდა გენდალფმა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჯადოქარიც კი არ მოელოდა ესოდენ სწრაფ თავდასხმას.

გენდალფი ელფთა მეფესა და ბარდთან სათათბიროდ დაჯდა. და დაინთანაც, რადგან გნომთა ბატონიც მათთან მოვიდა: გობლინები საერთო მტრები იყვნენ და მათმა მოსვლამ ყველა სხვა შუღლი გადააავიწყათ. ერთადერთი იმედი იყო, გობლინები მთის წამოწვდილ მხრებს შორის მოქცეულ ვიწრო ველზე შეეტყუებინათ, ხოლო თავად ველის სამხრეთ და აღმოსავლეთ კიდესთან მაღალ თხემებზე გამაგრებულიყვნენ. ესეც სახიფათო იქნებოდა, თუკი გობლინები იმდენნი აღმოჩნდებოდნენ, რომ შეძლებდნენ, მთელი მთისათვის თავს დაეარათ, უკნიდანაც შემორტყმოდნენ და ზემოდანაც შემოეტიათ მოწინააღმდეგისათვის. მაგრამ სხვა გეგმის მოსაფიქრებლად ან დამხმარეთა გამოსაძახებლად დრო აღარ რჩებოდა.

მალე ჭექა-ქუხილმა გადაიარა, გრგვინვით გადაინაცვლა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ მოფრინდა ღამურათა ღრუბელი, დაბლა ჩამონოლილი, მთის თხემებს გადმოუარა და ბანაკის თავსზემოთ დატრიალდა, მზის შუქი დაჩრდილა და შიშის ზარი მოჰგვარა მეომრებს.

– მთისკენ! – შესძახა ბარდმა, – მთისკენ, სწრაფად! ჩვენ-ჩვენი ადგილებისაკენ გავწიოთ, სანამ ჯერ კიდევ დრო გვაქვს!

სამხრეთ მხარზე, დაბლითა ფერდობებზე და მთის ძირას წამომართულ კლდეებზე ელფები ჩასაფრდნენ. აღმოსავლეთის მხარზე განლაგდნენ ადამიანები და გნომები. მაგრამ ბარდი და მასთან ერთად რამდენიმე სხვებზე უფრო მუხლმაგარი მეომარი და ფეხმარდი ელფი თავზე მოექცნენ აღმოსავლეთის თხემს, რათა ჩრდილოეთის მიწებზე გადაეხედათ. და სულ მალე თვალწინ გადაეშალათ მთის ძირაა განოლილი ჩრდილო ველები, რომლებიც ერთიანად გადაეშავებინა სწრაფმავალ ხროვას. დიდ ხანს არ გაევლო და მოწინავეებმა უკვე შემოურბინეს მხარის ბოლოს, დეილის ველზე შემოზვავდნენ. ეს უსწრაფესი მხედრები იყვნენ, მგლებზე შემომსხდარნი, და მათი ყვირილი

შორს ფხრეწდა ჰაერს. მათ გზა გადაუღობა მამაცების მცირე ჯგუფმა, რათა საჭირო მიმართულებით გაეტყუებინათ მტერი და მრავალი მათგანი დაეცა ბრძოლაში, ვიდრე ცოცხლად დარჩენილები შემობრუნდებოდნენ და უკან დაიხევდნენ. როგორც გენდალფი იმედოვნებდა, გობლინთა ჯარი უეცრად შეყოვნებული მეწინავეების უკან მოგროვდა და ახლა რისხვით ჩამოინთქა ველზე, დაუოკებლად მოჭენაობდნენ ალმა, მთის მხრებს შორის და მტერს დაეძებდნენ. თვლა არ ჰქონდა მათ შავ-წითელ დროშებს, არეულ და ალელვებულ ნაკადად მოიზვირთებოდნენ.

შემზარავი იყო ეს ბრძოლა. ეს იყო ყველაზე უფრო საშინელი რამ, რაც ბილბოს გამოეცადა და რაც ყველაზე მეტად სძულდა იმ წუთას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მერე და მერე ბილბო სწორედ ამ თავგადასავლით ამაყობდა ყველაზე მეტად და დიდი ხნის შემდეგ ყველაზე ხშირად სწორედ მისი გახსენება უყვარდა ხოლმე, თუმც თავად იგი უმნიშვნელო კაცი გახლდათ ამ ომში. შეიძლება ითქვას, რომ მან სულ თავიდანვე ბეჭედი გაიკეთა და გაუჩინარდა, თუმც ამით საფრთხეს მაინც ვერ დაემალებოდა. გობლინთა შემოტევის დროს ამგვარი ჯადოსნური ბეჭედი დიდად ვერ დაგიფარავს, ვერც გაფრენილ ისარს და დაუოკებელ შუბს შეაჩერებს. მაგრამ იგი აადვილებს გზიდან განზე გაცლას და გაუჩინარებული თავი არ გახდება გობლინური ხმლისათვის საგანგებოდ არჩეული სამიზნე.

პირველი იერიში ელფებმა წამოიწყეს – მათ მუდამ სძულდათ გობლინები ცივი და მძაფრი სიძულვილით. მწვავე ცეცხლით ანთებდა ელფურ შუბებსა და მახვილებს მათი უყოყმანო რისხვა. როგორც კი მტრები ველზე მოჯარდნენ, ელფებმა მათ ისრების წვიმა დაატეხეს თავს და ცივი ცეცხლით ელავდა ყოველი გაფრენილი ისარი. შემდეგ შუბოსან ელფთა ათასეული დაატყდა თავს გობლინებს. გამაყრუებელი ყმუილი იდგა, კლდეები შავად შეიღება გობლინთა სისხლით.

მტერი უკვე გონს მოდიოდა პირველი შეტევის შემდეგ, უკვე უკან იხევდნენ ელფი მეომრები, როდესაც ველის მეორე მხრიდან ხმამაღალი, ბოხი ძახილი გადმოგუგუნდა. შეძახილებით „მორია!" და „დაინ, დაინ!" ბრძოლაში გადმოეშვნენ რკინის გორებიდან მოსული გნომები, თან შემართული ეჩოები მოჰქონდათ. მათ გვერდში ამოუდგნენ გრძელი ხმლებით შეიარაღებული ტბის მცხოვრებლები.

გობლინები უკვე შიშის ზაფრამ მოიცვა. როგორც კი ახალი იერიშის მოსაგერიებლად შემობრუნდნენ, მათ კვლავ შემოუტიეს ელფებმა განახლებული რიგებით. მრავალი გობლინი უკვე უკან გარბოდა, თავქვე, მდინარის დაყოლებით, თავი რომ გადაერჩინა. და მრავალი მათი საკუთარი მგელი უკვე გობლინებს ესხმოდა თავს, გლეჯდნენ და ფატრავდნენ დახოცილებსა და

დაჭრილებს. შორს აღარ იყო გამარჯვება, როდესაც მაღლა ფერდობებიდან ყვირილი გაისმა.

გობლინები მეორე მხრიდან აცოცებულიყვნენ მთაზე და ახლა მრავლად ფუთფუთებდნენ ჭიშკრის ზემოთ ფერდობებზე, ხოლო დანარჩენნი თავანყვეტით მოქროდნენ დაბლა და არად აგდებდნენ სიჩქარით კლდეებიდან უფსკრულში გადაჩეხილი თანამებრძოლების ნივილს. მათ გადაეწყვიტათ, ზემოდან შეეტიათ გამაგრებული თხემებისათვის, საითკენაც ბილიკები ჩამორბოდა მთის მაღალი ფერდობებიდან. დამხვდურთა ბევრად უფრო მცირერიცხოვანი რიგები დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდა მათ იერიშს. გამარჯვების იმედი უკვალოდ ჩაინავლა – მთის დამცველებმა შავი ნიაღვრის მხოლოდ პირველი შემოტევის შეჩერება შეძლეს.

გადაშუადღევდა. გობლინები ისევ შემოიკრიბნენ ველზე. მოიჭრა უარგთა ნინამძღოლი თავისი სისხლსმოწყურებული ხროვით და ბრძოლაში ჩაება ბოლგის პირადი ამალაც – ფოლადის მრუდე ხმლებით შეიარაღებული უჩვეულოდ ზორბა გობლინები. მალე ჩამობურულ ცას საღამოს სიბნელეც შეეპარებოდა. და ჯერაც მოუსვენრად დაბრუნავდნენ კაცთა და ელფთა თავსზემოთ უზარმაზარი ღამურები ან ვამპირებივით აცხრებოდნენ დაცემულთა ღია ჭრილობებს. ბარდი ჯერაც იცავდა აღმოსავლეთ თხემს და ისიც ნელ-ნელა უკან იხევდა. ხოლო სამხრეთი მხრის მწვერვალზე, ყორანგორის საგუშაგოს მახლობლად, ელფთა თავადები იბრძოდნენ თავიანთი მეფის მხარდამხარ.

უეცრად გაისმა ხმამაღალი ძახილი და კარიბჭიდან ბუკების ხმა გამოიჭრა. თორინი ყველას დავინყებოდა! ბერკეტებით მორყეული კედლის ნაწილი გრუხუნით გადმოვარდა გარეთ და ტბორში ჩაეზღართა. გარეთ გამოიჭრა მთისქვეშა მეფე და თან გამოყვა მთელი მისი ხალხი. აღარსად ჩანდა მათი ჩაჩები და ლაბადები, ყველა მოელვარე აბჯრით შემოსილიყო და ნითელი ცეცხლი უკრთოდათ თვალებში. ნაღვერდალზე გავარვარებული ოქროსავით ენთო ბინდში მეფე-გნომის საჭურველი.

მაღლა ჩამსხდარმა გობლინებმა კლდის ნატეხები დააყარეს თავზე ჭიშკრიდან გამოსულებს, მაგრამ ისინი არ შეჩერებულან, ხტომით ჩაირბინეს ჩანჩქერების ძირში და შუა ბრძოლაში შეიჭრნენ. მათ წინ უსულოდ ეცემოდნენ მგლები და მათი მხედრები, ან გაქცევით შველოდნენ თავს. თვალს ვერ შეასწრებდი თორინის ხელში საომარი ნაჯახის მძლავრ ტრიალს და თითქოს არ იყო ქვეყნად ძალა, რომელიც მას დასცემდა ან დააზიანებდა.

– ჩემსკენ! ჩემსკენ, ელფებო და ადამიანებო! ჩემსკენ, ო, ჩემო თანატომელებო! – საყვირის ხმასავით შეაზანზარა ველი მისმა დაძახილმა.

დაინის ჯარი უნესრიგოდ და უანგარიშოდ დაეშვა მის მისაშველებლად. მისკენ ჩარბოდნენ ტბისპირელი ადამიანები და ბარდმა ვერ შეძლო მათი

შეკავება. მეორე მხრიდან თორინისაკენ გამოემართა მრავალი შუბოსანი ელფი. კვლავ სძლიეს გობლინებს ველზე, გროვებად დახორავდა დახოცილები და ერთიანად გაშავდა და წაიბილწა დეილი მათი გვამებით. უარგები გაიფანტნენ და თორინი ბოლგის ამალას შეება, მაგრამ მათი რიგები კი ველარ დასძლია.

მის უკან, დახოცილ გობლინებს შორის მრავლად დაეცნენ ადამიანებიც და გნომებიც, და მშვენიერი ელფები, რომელთაც კვლავაც მრავალი საუკუნე უნდა ეცხოვრათ თავიანთ მხიარულ ტყეებში. რაც უფრო წინ მიიწევდა თორინი, ველი უფრო და უფრო ფართოვდებოდა, რის გამოც მისი იერიში ძალას კარგავდა. მცირერიცხოვანი იყო მისი რაზმი, გვერდებიდან დაუცველი. მალე თავად მოუწიათ შემოტევის მოგერიება, ბრძოლის ველზე ერთ დიდ წრედ შეიკრა მათი გუნდი, რათა როგორმე გამკლავებოდნენ გობლინებსა და უარგებს, ახლა ყოველი მხრიდან რომ ესხმოდნენ თავს. თორინის რაზმს ღმუილით მიეჭრა ბოლგის ამალა და ბრძოლით შეენარცხა მათ რიგებს, როგორც ტალღები ქვიშნარ ნაპირს. მეგობრებიც ველარ მიეშველებოდნენ ალყაში მოქცეულებს, რადგანაც ზემოდან, მთის ფერდობებიდან გაორკეცებული ძალით მოიწევდა მტერი და ბრძოლის ველის ორივე მხარეს ნელ-ნელა მარცხდებოდნენ ადამიანები და ელფები.

ყოველივე ამას წუხილით გადმოსცქეროდა ბილბო. იგი ყორანგორზე იდგა, ელფებს შორის – იმიტომ, რომ აქედან უფრო იოლიც იყო, გაქცევით ეშველა თავისათვის და იმიტომაც, რომ (მისი გულისა თუ გონების ტუკისეული ნაწილის კარნახით), თუკი დააპირებდა ბოლო, განწირული წინააღმდეგობის დროს მებრძოლთა რიგებში დგომას, მას ერჩივნა, ელფების მეფის დამცველთა შორის ყოფილიყო. იქ იყო გენდალფიც, ღრმად ჩაფიქრებული მინაზე ჩამომჯდარიყო, ალბათ უკანასკნელი ჯადოქრული აფეთქებისთვის თუ ემზადებოდა.

ბოლო კი, როგორც ჩანს, შორს აღარ უნდა ყოფილიყო.

– დიდი დრო არ გავა, – ფიქრობდა ბილბო, – სანამ გობლინები კარიბჭის ალებას მოახერხებენ, ჩვენ კი დაგვხოცავენ ან დაბლა ჩაგვრეკავენ ტყვეებად. ღმერთმანი, აგატირებს კაცს ასეთი ბოლო მას მერე, რაც ამდენი რამ უკვე გადაგიტანია. მე თუ მკითხავ, ჯობდა, ისევ ბებერი სმაუგი მჯდარიყო თავის დაწყევლილ განძზე, ვიდრე ამ საზიზღარ არსებებს ჩაეგდოთ ხელში მთელი სიმდიდრე, საწყალი ძველი ბომბური, ბალინი და ფილი და კილი, და ყველა დანარჩენი კი აღსასრულს სწვდნენ. და ბარდიც, ტბის მცხოვრებლებიც და მხიარული ელფებიც. ვაი მე! მრავალ ბრძოლაზე მსმენია სიმღერები და მუდამ მესმოდა, რომ დამარცხებაც შეიძლება სახელოვანი იყოს. ეს დამარცხება კი, ღმერთო, რა არასასიამოვნოა, რომ არა ვთქვა, სავალალოა-მეთქი. აჰ, ნეტავი ახლა აქედან სადმე შორს მამყოფა!

ქარმა გადარეკა ღრუბლები და დასავლეთით წითელი დაისი გაკრთა. ბილბომ აიხედა და ბინდში უეცრად გამონათებულ შუქს დაუწყო ცქერა. და უცებ ყურისწამლებად დაიყვირა – გული შეუქანდა, როდესაც თვალი ჰკიდა პატარა, მაგრამ მაინც დიდებულ მუქ ჩრდილებს შორეულ წითელ დაფიონზე.

– არწივები! არწივები! – აყვირდა იგი, – არწივები მოფრინავენ!

ბილბოს თვალი იშვიათად ატყუებდა. არწივები მოფრინავდნენ, დაბლა ჩამოჰყვებოდნენ ქარს, მწკრივი მწკრივს მოჰყვებოდა და ისე რიცხვმრავალი იყო მათი რიგები, თითქოს მთელი ჩრდილოეთის ბუდეებიდან შემოკრებილიყვნენ ერთად.

– არწივები! არწივები! – გაჰკიოდა ბილბო, ცეკვავდა და ხელებს იქნევდა. ელფები მას ვერ ხედავდნენ, მაგრამ ხმა გაიგონეს. მალე მათაც აიტაცეს ძახილი, მთელ ველს გადაურბინა მათმა ხმებმა. მრავალმა მეომარმა ააპყრო ცისკენ გაოცებული მზერა, თუმც დაბლა, ველიდან არაფერი ჩანდა მთის სამხრეთი მხრის თხემის ფერდობების გარდა.

– არწივები! – კიდევ ერთხელ დაიყვირა ბილბომ და სწორედ ამ დროს მძიმედ მოხვდა მუზარადზე ზემოდან გამოფრენილი ქვა; ჰობიტი ძირს დაენარცხა და თვალთ დაუბნელდა.

18 დაბრუნება

როდესაც ბილბო გონს მოვიდა, ნახა, რომ სულ მარტო იყო მიტოვებული. იგი ყორანგორის ბრტყელ ქვებზე იწვა, ახლო-მახლო კი არავინ ჩანდა. გარშემო ულრუბლო, მაგრამ ცივი დღე ნათობდა. ბილბო ცახცახებდა და თავადაც გარშემო დაყრილი ქვებივით ცივი იყო, მაგრამ თავი ისე უხურდა, თითქოს ცეცხლი ნაჰკიდებიაო.

– ნეტავი რა მოხდა? – დაეკითხა იგი თავისთავს, – ასეა თუ ისე, ბრძოლის ველზე დაცემულ გმირთა შორის ჯერ არ ვწერივარ. თუმცა ვინ იცის, იქნებ ჯერ კიდევ მქონდეს საამისო დრო.

იგი გაჭირვებით წამოჯდა. ველზე აღარცერთი ცოცხალი გობლინი აღარ ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მზერა ასე თუ ისე დაეწმინდა, მოეჩვენა, დაბლა კლდეებს შორის მოსიარულე ელფებს ვხედავო. ბილბომ თვალები მოიფშვნიტა. ახლა უკვე ცხადად ხედავდა, რომ ვაკეზე, ცოტა მოშორებით, ჯერ კიდევ ბანაკი იყო გაშლილი. ჭიშკართანაც ფუსფუსი შენიშნა – როგორც ჩანს, გნომები კედელს შლიდნენ. მაგრამ გარშემო სამარისებური გარინდება გამეფებულიყო, არ ისმოდა გადაძახილები, არც სიმღერები ხმიანობდა.

– ეს გამარჯვებაა, ასე მგონია, – ჩაილაპარაკა ჰობიტმა და მტკივანი თავი მოისინჯა, – დიდად ულიმლამო რამ კი ყოფილა, მე თუ მკითხავთ.

უეცრად მან შეამჩნია კაცი, რომელიც მაღლა-მაღლა მოცოცავდა და პირდაპირ მისკენ მიემართებოდა.

– ეჰეი! – დაუძახა ბილბომ გაბზარული ხმით, – ჰეი! ახალი რა არის?

– ეს რა ხმები გაისმის ქვებს შორის? – იკითხა კაცმა, შეჩერდა და ბილბოს მხარეს იწყო ცქერა.

ბილბოს მაშინლა გაახსენდა ბეჭედი!

– ღმერთო მოწყალეო! – ჩაილაპარაკა მან, – ზოგჯერ თურმე უჩინრობამაც შეიძლება გავნოს. ეს რომ არა, ალბათ, ამ ღამეს საწოლში გავატარებდი, თბილად და რბილად.

– ეს მე ვარ, ბილბო ბეგინსი, თორინის ამხანაგი! – დაიძახა მან და აჩქარებით წაიძრო ბეჭედი.

– კარგია, რომ გიპოვე, – უთხრა ადამიანმა და ფართო ნაბიჯით გამოსწია მისკენ, – ბანაკში მოგითხოვენ და დიდი ხანია, რაც დაგეძებთ. ამ ბრძოლაში მრავალი დაეცა და ალბათ შენც მათ მიგათვლიდნენ, ჯადოქარ გენდალფს

რომ არ ეთქვა, რომ უკანასკნელად სადღაც აქ გაისმოდა შენი ხმა. მე გამომგზავნეს, რათა ბოლოჯერ მომეთვალიერებინა აქაურობა. ძალიან ხარ დაჭრილი?

– მგონი, მხოლოდ თავში უნდა მქონდეს მაგრად ჩარტყმული, – მიუგო ბილბომ, – მაგრამ მუზარადი მეხურა და ქალაც მაგარი მაქვს. და მაინც, თავს ცუდად ვგრძნობ და ფეხები არ მემორჩილება.

– მე ჩაგიყვან ბანაკში, ველზე, – უთხრა კაცმა და მსუბუქად აიტაცა ხელში.

კაცი მუხლმაგარი და ღონიერი იყო. დიდი ხანი არ გასულა და მან ბილბო დეილში დიდი კარვის წინ ჩამოსვა. იქვე იდგა გენდალფი, შეხვეული ხელი ყელზე ჩამოება – ჯადოქარიც კი ვერ გადაურჩა დაჭრას და მთელ არმიაში ცოტანი თუ მოიძებნებოდნენ უვნებელნი.

გენდალფმა გულით გაიხარა, როდესაც ბილბო დაინახა.

– ბეგინს! – შესძახა მან, – ამას რას ვხედავ! ცოცხალი ხარ ბოლოსდაბოლოს, და რა ძალიან მიხარია! უკვე იმასაც ვფიქრობდი, რომ შენი ილბალიც კი გაიხარჯა და ვერაფერი გიშველა! საშინელი ამბავი დატრიალდა და კინალამ ყველაფერი დაილუპა. მაგრამ ახალი ამბები მოიცდის. წამოდი! – თქვა მან და მოილრუბლა, – შენ მოგელიან, – იგი ჰობიტს გაუძღვა და კარავში შეიყვანა.

– თორინ, – წარმოთქვა მან, – მე იგი მოვიყვანე.

იქ მართლაც თორინ ოუკენშილდი ინვა, მრავალი ჭრილობით დაკოდილი, მისი დაჩეხილი აბჯარი და დაკბილული ნაჯახი ძირს ეყარა. მან ბილბოს ამოხედა, როდესაც იგი გვერდით დაუდგა.

– მშვიდობით, კეთილო ქურდო, – წარმოთქვა მწოლიარემ, – მოლოდინის დარბაზებში მივდივარ ახლა, რათა ჩემს მამათა გვერდით ჩამოვჯდე სამყაროს განახლების ჟამამდე. აქ ვტოვებ მთელ ოქრო-ვერცხლს და მივდივარ იქ, სადაც განძეული მცირედ ფასობს, ამიტომაც მსურს, მეგობრებად დავშორდეთ. უკან წამილია ჩემი სიტყვები და ნამოქმედარი იქ, კარიბჭესთან.

მწუხარებით გათანგული ბილბო ცალ მუხლზე დაეშვა.

– მშვიდობით, მთისქვეშა მეფევ! – თქვა მან, – მწარეა ეს თავგადასავალი, თუკი ამგვარი დასასრული უწერია, და ოქროს მთებიც ვერ გამოისყიდის ამ სიმწარეს. და მაინც, მე მიხარია, რომ შენი განსაცდელი გავიზიარე – ეს ბევრად მეტია იმაზე, რასაც იმსახურებს ნებისმიერი ბეგინსი.

– არა, – მიუგო თორინმა, – შენში უფრო მეტია კარგი, ვიდრე თავად იცი, სვეკეთილი დასავლეთის შვილო. შენში სიმამაცის და სიბრძნის წილია, ზომიერად შეზავებული. და ჩვენს შორის უფრო მრავლად რომ იყვნენ ისინი, ვინც გემრიელ საჭმელს, გართობასა და სიმღერებს ოქროს მოხვეჭაზე მეტად აფასებს, სამყარო უფრო მხიარული იქნებოდა. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სევდიანი თუ მხიარული, მე ვტოვებ ამ სამყაროს. მშვიდობით!

მაშინ ბილბო შეტრიალდა, წავიდა მარტო, თავისთვის მიჯდა საბანში გამოხვეული და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იმდენ ხანს იტირა, რომ თვალები დაუწითლდა და ხმა ჩაეხლიჩა. კეთილი გული ჰქონდა პატარა ბილბოს. ამ ამბის შემდეგ მართლაც რომ ძალიან დიდი ხანი გავიდა, სანამ კვლავ დადგებოდა გახუმრების გუნებაზე.

– კიდევ კარგი, – თქვა მან თავისთვის, – რომ დროულად მოვეგე გონს. გულით ვინატრებდი, რომ თორინი ცოცხალი გადარჩენილიყო, მაგრამ მაინც კარგია, რომ კეთილად დავშორდით ერთმანეთს. ბრიყვი ხარ, ბილბო ბეგინს, და იმ ქვითაც დიდი აურზაური ატეხე, და მაინც იყო ბრძოლა, ვერ შეძელი მშვიდობის ყიდვა... მაგრამ ეს უკვე აღარ უნდა იყოს შენი ბრალი.

ყველაფერი, რაც კი მოხდა მას შემდეგ, რაც მან გონი დაკარგა, ბილბომ მოგვიანებით შეიტყო. მაგრამ გაგონილმა მწუხარება მეტი მოუტანა, ვიდრე სიხარული და საერთოდაც იგი საშინლად დაიქანცა მთელი ამ თავგადასავლით. მაგრამ მისი დასასრული ცოტათი ჯერაც ყოვნდებოდა, ამიტომ ამასობაში მოგითხრობთ, თუ რა ხდებოდა.

არწივები კარგა ხნის წინ დააეჭვა გობლინების თავყრილობებმა – ფრინველების მახვილ თვალს არ გამოჰპარვია მათი ფარული გადარბენები მთებში. მაშინ არწივებმაც იწყეს შეკრება და დიდძალიც შეიყარნენ ერთად, წინამძღოლად ნისლიან მთებში მცხოვრებ არწივთა ბატონი ჰყავდათ. ბოლოს, როდესაც ბრძოლის დაწყება იგრძნეს, გამოეჩქარნენ ქარიშხლის ფრთებზე და ეულ მთასთან დროის მიწურულს მიაღწიეს. სწორედ მათ გამორეკეს გობლინები მთის ფერდებიდან, ან უფსკრულებში ყრიდნენ, ან დაბლა, მტრებისაკენ მიერეკებოდნენ მათ აწივლებულ და თავზარდაცემულ ურდოებს. დიდი ხანი არ დასჭირდა ეული მთის კალთების განმენდას და ადამიანებმა და ელფებმა შეძლეს, ორივე მხრიდან ჩაშველებოდნენ დაბლა, ველზე მებრძოლებს.

მაგრამ არწივების ჯარის მოფრენის შემდეგაც კი შემოსეული გობლინები ბევრად სჭარბობდნენ მთის დამცველებს. უკანასკნელ საათს გამოჩნდა ბეორნი – არავინ იცოდა, როგორ ან საიდან. იგი მოვიდა მარტო, დათვად გადაქცეული, და გოლიათურად დიდი ჩანდა მის დაუოკებელ მრისხანებაში.

მისი ხმის ქუხილი დოლებისა და თოფების გუგუნს ემსგავსებოდა, გზად ჩალის ღერებივით და ბუმბულებივით იოლად მიმოფანტავდა უარგებსა და გობლინებს. იგი ზურგიდან დაეცა მტერს და მეხივით გაარღვია მათი რიგები. გნომები ჯერაც მედგრად იგერიებდნენ მტერს, დაბალ მომრგვალებულ გორაკზე მოქუჩებულები. აქ ბეორნი დაიხარა, აიყვანა შუბებით განგმირული თორინი და ბრძოლიდან გამოიტანა.

შემდეგ სწრაფად მიბრუნდა უკან, გაორკეცებული რისხვით შეუტია მტერს და ვერაფერი აღუდგებოდა წინ მის რისხვას, ვერა იარაღი ვერ დააზიანებდა. მან მიმოფანტა ბოლგის ამალა, თავად ბოლგიც დაითრია და მიწას დაანარცხა. მაშინ შიშმა შეიპყრო გობლინები და თავის გადასარჩენად სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. მაგრამ მათ მტრებს დაღლილობა გადაავიწყა ახალმა იმედმა, ფეხდაფეხ მისდიეს გაქცეულებს და თავშესაფრებიდან გამორეკეს. მრავალი გობლინი ნაიღო მდინარე ჩქერულას ტალღებმა, ხოლო მათ, ვინც სამხრეთით ან დასავლეთით გაიქცნენ, ტყის მდინარის გარშემო გაშლილ ჭაობებამდე მისდიეს. აქ ჩაიხრჩო დევნილთა დიდი ნილი, ხოლო ისინი, ვინც წვალებით გააღწია ტყის ელფთა მიწებამდე, იქ დახოცეს, ან ულრანს შეერივნენ ტყეებნელის უგზო-უკვლო სიბნელეში სიკვდილის საპოვნელად. სიმღერები გადმოგვცემენ, რომ იმ დღეს განადგურდა ჩრდილოელი გობლინი მეომრების დიდი წილი და რომ მთებში მრავალი ხნით დამყარდა მშვიდობა.

ჯერ კიდევ ღამის ჩამოწოლამდე უეჭველი გახდა გამარჯვება, მაგრამ დევნა მაშინაც გრძელდებოდა, როდესაც ბილბო ბანაკში დაბრუნდა, ამიტომ ველზე მძიმედ დაჭრილთა გარდა თითქმის არავინ დარჩენილიყო.

– სად არიან არწივები? – ჰკითხა საღამოს გენდალფს ბილბომ, რომელიც კარავში ინვა მრავალ თბილ საბანში გამოხვეული.

– ზოგი ჯერაც გობლინებზე ნადირობს, – მიუგო ჯადოქარმა, – მაგრამ უმეტესობა უკვე გაფრინდა უკან, საკუთარი ბუდეებისკენ. მათ არ ისურვეს აქ დაყოვნება და დილის პირველი სხივების ამოჩენისთანავე გასწიეს. დაინმა მათი მეთაური ოქროს გვირგვინით შეამკო და საუკუნო მეგობრობა შეპფიცა.

– რა ცუდია. მე მსურს ვთქვა, რომ სიხარულით ვნახავდი მათ კიდევ, – ჩაილაპარაკა ძილმორეულმა ბილბომ, – იქნებ შინისკენ გზაზე ისევ შევხვდე არწივებს. იმედია, გზას შინისკენ მალე გავუდგები?

– როგორც კი შენ მოისურვებ, – უთხრა ჯადოქარმა.

მაგრამ, სანამ ბილბო სამშობლოსკენ გასწევდა, რამდენიმე დღე მაინც გავიდა. მათ თორინი დაკრძალეს, ღრმად, მთის ქვეშ და ბარდმა მას არკენსტონი დაადო მკერდზე.

– დე, აქვე იდოს იგი, სანამ მთა დგას! – წარმოთქვა მან, – და ბედნიერება მოეტანოს მისი ხალხისათვის, რომელიც ამიერიდან აქ დაბინავდება!

თორინის საფლავზე ელფთა მეფემ დაასვენა ორკრისტი, ელფური მახვილი, რომელიც ტყვეობაში ჩამოართვეს თორინს. ძველი სიმღერები მოგვითხრობენ, რომ იგი სიბნელეშიც კი ელვარებდა, თუკი მთის სიახლოვეს მტერი გამოჩნდებოდა, და არავის შეეძლო, მოულოდნელად წამოსდგომოდა თავს გნომების სიმაგრეებს.

შემდეგ დაინმა, ნაინის ძემ, ბინა დაიდო ეულ მთაში და იგი შეიქნა მთის-

ქვეშა მეფე. დროთა განმავლობაში კვლავ და კვლავ შემოკრბნენ გნომები მის ტახტთან, უძველეს დარბაზებში. თორინის თორმეტი ამხანაგიდან ათიღა გადარჩენილიყო – ფილი და კილი დაეცნენ, როდესაც მთისქვეშა მეფეს იცავდნენ თავიანთი ფარებითა და მკერდით, რამეთუ იგი უფროსი ძმა იყო მათი დედისა. დანარჩენები დაინთან დარჩნენ და დაინმა სამართლიანად განაგო განძი.

რაღა თქმა უნდა, ალარავინ აპირებდა განძის გაყოფას ისე, როგორც ადრე იყო დაგეგმილი – ბალინსა და დვალინს, დორის, ნორისა და ორის, ოინსა და გლოინს, ბიფურს, ბოფურს თუ ბომბურს, და თუნდაც ბილბოსაც – შორის. მაგრამ მთელი ოქრო-ვერცხლის, ნაჭედისა თუ უჭედის, მეთოთხმეტედი წილი ბარდს გადაეცა. რადგანაც დაინმა თქვა:

– ჩვენ პატივს ვცემთ მიცვალებულის მიერ მიცემულ პირობას, და ახლა ხომ მას აქვს არკენსტონი თავისთან შენახული.

გნომთა საუნჯის მეთოთხმეტედი წილიც კი აურაცხელი სიმდიდრე იყო, უფრო მეტი, ვიდრე მრავალი მოკვდავი ხელმწიფის განძი. ბარდმა მიღებული წილიდან დიდძალი ოქრო გაუგზავნა ტბის ქალაქის მმართველს და უხვად დააჯილდოვა მეგობრები და თანამებრძოლნი. ელფთა მეფეს მან უძღვნა გირიონის ზურმუხტები, რომელიც მას დაინმა დაუბრუნა. ამგვარი პატიოსანი თვლები ხომ ყველა სხვა ძვირფასეულობას ერჩივნათ ტყის ელფებს.

ბილბოს მან ასე უთხრა:

– ეს განძი ისევეა შენი, როგორც ჩემი, თუმც იმდენმა იბრძოლა მისი მოპოვებისა და დაცვისათვის, რომ ძალა დაეკარგა ძველ შეთანხმებებს. და თუმც თავად ინდომე, არაფერი მოგეთხოვა შენთვის, მე ვისურვებდი, რომ არ გამართლებულიყო თორინის სიტყვა, რომელიც შემდეგ მოინანია. იგი ამბობდა, რომ მცირედს თუ მიიღებდი ჩვენგან, მაგრამ მე მსურს, სწორედ შენ დაგაჯილდოო ყველაზე უხვად.

– ძალიან კეთილი ბრძანდებით, – მიუგო ბილბომ, – მაგრამ ჩემთვის მართლაც რომ შვებაა ამ განძის თავიდან მოშორება. არ ვიცი, როგორ შევძლებდი ამ სიმდიდრის შინამდე მიტანას ომებისა და მკვლელობების გარეშე მთელ გზაზე; არც ის ვიცი, შინ მისული რას მოვუხერხებდი ოქრო-ვერცხლს. დარწმუნებული ვარ, მთელი ეს სიმდიდრე შენს ხელში უკეთეს საქმეს მოხმარდება.

ბოლოს და ბოლოს მან აიღო მხოლოდ ორი მომცრო სკივრი, სავსე ერთი ოქროთი, ხოლო მეორე – ვერცხლით, სწორედ იმდენი, რამდენის ზიდვასაც შეძლებდა ერთი მუხლმაგარი პონი.

– ამდენის დაბინავება კი იქნებ კიდევაც შევძლო, – თქვა მან.

და ბოლოს დადგა ჟამი, როდესაც ბილბო მეგობრებს უნდა გამოსთხოვებოდა.

– მშვიდობით, ბალინ, – მიმართა მან გნომებს, – და მშვიდობით, დვალინ; მშვიდობით იყავით, დორი, ნორი, ორი, ოინ, გლოინ, ბიფურ, ბოფურ და ბომბურ! დე, არასოდეს შეთხელებულიყოს თქვენი ნვერი! – შემდეგ იგი მთისკენ შებრუნდა და წარმოსთქვა: – მშვიდობით, თორინ ოუკენშილდ! და ფილი და კილი! არასოდეს გამკრთალებულიყოს თქვენი ხსოვნა!

შემდეგ გნომები მდაბლად მოიდრიკნენ ჰობიტის წინაშე თავიანთი კარიბჭის წინ, სიტყვები ყელში გასჩროდათ.

– ნახვამდის, და ილბალი გდევდეს მუდამ, საითაც არ უნდა იყო! – გაეპასუხა ბოლოს ბალინი, – თუკი ისევ გვესტუმრები ოდესმე, როდესაც კვლავ მოვკაზმავთ ჩვენს დარბაზებს, მართლაც რომ დიდებულ ქეიფს გავწევთ მაშინ!

– თუკი ოდესმე ჩემსკენ ჩამოივლით, – მიუგო ბილბომ, – ნუ შეყოვნდებით კარზე დასაკაკუნებლად, ისე შემობრძანდით! ჩაის ოთხ საათზე ვამზადებ, მაგრამ თქვენ გთხოვთ, მობრძანდეთ, როდესაც კი მოგესურვებათ!

და ჰობიტი შეტრიალდა.

გზას ადგა ელფთა ბატონი. და თუმც მისი ამალა გულსაკლავად შემცირებულიყო, ელფები მაინც ხარობდნენ, რადგანაც ამიერიდან ჩრდილოეთის მხარე ბევრად უფრო მხიარული და დალხინებული იქნებოდა მრავალი და მრავალი ხალისიანი დღის განმავლობაში: დრაკონი მკვდარი იყო, გობლინები – დარბეულნი, და ელფთა გულები მოუთმენლად მოელოდნენ ზამთრის მერე ხალისით სავსე გაზაფხულს.

ამხედრებული გენდალფი და ბილბო ელფთა მეფის უკან მიდიოდნენ, მათ გვერდით მიაბიჯებდა ბეორნი, კვლავ მალალ შავწვერა კაცად გადაქცეული. იგი ხმამაღლა იცინოდა და მიიმღეროდა გზაზე. ამგვარი ყოფით მიაღწიეს ტყებნელის პირს და შეჩერდნენ ჩრდილოეთით იმ ადგილისა, საიდანაც ტყის მდინარე გამოედინებოდა. აქედან მათი გზები გაიყრებოდა: გენდალფი და ბილბო არ აპირებდნენ ტყეში შესვლას, თუმც მეფე მათ სტუმრად იწვევდა თავის სამეფო დარბაზებში. მათ გადაეწყვიტათ, ტყის კიდეს გაჰყოლოდნენ, მისი ჩრდილოეთი ბოლოსათვის შემოევლოთ და გასულიყვნენ ტრამალზე, რომელიც ტყესა და რუხი მთების მისადგომებს შორის გადაშლილიყო. ეს გზა გრძელი და პირქუში იქნებოდა, მაგრამ ახლა, გობლინების გაჟლეტვის შემდეგ, ბნელი ხეების ქვეშ განოლილ ბილიკებზე უფრო უხიფათო ჩანდა. მით უფრო, რომ ამ გზაზე ბეორნიც თან მიჰყვებოდათ.

– მშვიდობით, ო, ელფთა ხელმწიფევ! – წარმოსთქვა გენდალფმა, – მხიარული ყოფილიყოს ტყის სიმწვანე, სანამ ჯერაც ახალგაზრდაა სამყარო! და მხიარული ყოფილიყოს შენი ხალხი!

– მშვიდობით, ო, გენდალფ! – გაეპასუხა ხელმწიფე, – დე, კვლავაც მუდამ

გამოჩენილიყავი იქ და მაშინ, სადაც ყველაზე უფრო ხარ საჭირო და ყველაზე ნაკლებად მოგელიან! რაც უფრო ხშირად ეწვევი ჩემს დარბაზებს, მით უფრო ნაამები დავრჩები!

– გემუდარებით, – თქვა ბილბომ, მღელვარებისგან ენა ებმოდა და ფეხს ინაცვლებდა, – გემუდარებით, მიიღეთ ჩემგან ეს საჩუქარი! – და ჯიბიდან ამოიღო მარგალიტებით დამშვენებული ვერცხლის ყელსაბამი, რომელიც მას დაინმა უძღვნა გამომშვიდობებისას.

– რით დავიმსახურე ამგვარი საჩუქარი, ო, ჰობიტო? – დაეკითხა მეფე.

– დიახ, ეე... მე ვიფიქრე, იცით, – წამოიწყო შემცბარმა ბილბომ, – რომ, ეე... მცირეოდენი რამით მაინც უნდა გადავიხადო თქვენი ეე... სტუმართმოყვარეობა. მე მსურდა მეთქვა, რომ მპარავსაც კი გააჩნია მადლიერების გრძნობა. მე მრავლად შევსვი თქვენი ღვინო და უხვად გეახელით თქვენს პურს.

– მე მივიღებ შენს საჩუქარს, ო ბილბო საოცარო! – თქვა მეფემ დინჯად, – და გიწოდებ შენ ელფთა მეგობარსა და კურთხეულს. დაე, არასოდეს დამოკლებულიყოს შენი ჩრდილი, თორემ ქურდობა მეტისმეტად გაადვილდებოდა. მშვიდობით!

ამის შემდეგ ელფებმა ტყეს მიმართეს, ხოლო ბილბო შინისაკენ მიმავალ გზას შეუყვა.

მას ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა და მრავალი თავგადასავალიც შეემთხვა, სანამ შინამდე მიაღწევდა. ველური მხარე ველური მხარე იყო და იმ დღეებში გობლინების გარდა სხვა არსებებიც მრავლად ბუდობდნენ იმ არემარეზე. მაგრამ ბილბო უტყუარი გზით მიყავდათ და კარგადაც იცავდნენ – მასთან იყო ჯადოქარი და გზის დიდი წილი – ბეორნიც, ამიტომ დიდ ხიფათში იგი ალარ გახვეულა. ასე თუ ისე, ბილბომ და გენდალფმა შემოუარეს ტყებნელს, მისი დასავლეთი კიდეც ჩამოიარეს და ბეორნის კარს მიადგნენ. აქ ისინი კარგა ხანს დარჩნენ სტუმრად. თბილი და მხიარული იყო მზებუდობის დღეები ბეორნის სახლში, ყოველი მხრიდან შემოიკრიბნენ ადამიანები მის გამართულ ლხინზე. ნისლიან მთაში მცხოვრები გობლინები ახლა ცოტანილა დარჩენილიყვნენ და ისინიც მთების ულრმეს ხვრელებში ჩამძვრალ-ჩამალულიყვნენ შიშით. უარგებიც გამქრალიყვნენ ტყიდან, ამიტომ ადამიანები შორეული მხარეებიდანაც უშიშრად მოდიოდნენ. ბეორნი შემდგომ იმ მხარის დიდი ბელადი შეიქნა და მთებსა და ტყეს შორის გაშლილ ფართო მინებს მართავდა. როგორც ამბობენ, მისი გვარის ჩამომავალმა მამაკაცებმა შემდეგაც, მრავალი თაობის მანძილზე შეინარჩუნეს დათვად ქცევის ძალა და, თუმც ზოგი მათგანი პირქუში და ავი იყო, უმრავლესობა მაინც ბეორნს ჩამოჰგავდა

სიკეთით, თუმც ახოვანებითა და ძალით ჩამოუვარდებოდნენ. მათ უკანასკნელი გობლინებიც გააძევეს ნისლიანი მთებიდან და ახალი მშვიდობა დამყარდა ველური მხარის კიდეზე.

გაზაფხული იდგა, მოალერსე ამინდებითა და მოკაშკაშე მზით დამშვენებული, როდესაც ბილბომ და გენდალფმა ბეორნის კარ-მიდამო დატოვეს. და თუმც ჰობიტს ძალიან ენატრებოდა სახლი, იგი მაინც სინანულით ეთხოვებოდა იქაურობას, რადგანაც ბეორნის ბალის ყვავილები გაზაფხულზე ნაკლებად საოცარნი როდი იყვნენ, ვიდრე გაჩაღებულ ზაფხულში.

მათ, როგორც იყო, აიარეს გრძელი გზა და მიადგნენ სწორედ იმ ბილიკს, რომელზედაც ისინი გობლინებმა შეიპყრეს ადრე. მაგრამ ამჯერად ამ მაღალ გადასასვლელს დღის სინათლეზე ააღნიეს და უკან რომ მოიხედეს, შემოტრიალებულებს თვალნინ გადაეშალათ თეთრი მზით განათებული ფართო მიწები. ველებს მიღმა ტყებნელი გაწოლილიყო, ლურჯად იფერებოდა მისი შორეული კიდე, მაგრამ ახლო ტყისპირი გაზაფხულზეც კი ჩამუქებულად მწვანე ჩანდა. ხოლო შორს, შორს, თვალსანიერის ზღვარზე, ეული მთა ილანდებოდა. მის მწვერვალზე მკრთალად ციმციმებდა ჯერაც გაუმდნარი თოვლი.

– ასე რომ, ცეცხლის შემდეგ თოვლი მოდის და დრაკონებსაც უდგებათ ალსასრული, – თქვა ბილბომ და ზურგი შეაქცია თავგადასავლებს. ტუკისეული სისხლი მასში მეტისმეტად დაღლილიყო, ბეგინსი კი დღითიდღე ძალას იკრებდა, – ახლა მხოლოდ ის მინდა, ჩემს სავარძელში ვიჯდე! – განაცხადა მან.

19 ბოლო ამბავი

მაისის ბოლო დღე იდგა, როდესაც ორი მგზავრი ბოლოსდაბოლოს კვლავ მიადგა ველვარდნილის ველის ნაპირებს – ამ ველზე იდგა ბოლო (თუ პირველი) შინაურული ბინა. ახლაც საღამოვდებოდა, მათი პონები დაღლილიყვნენ, განსაკუთრებით ის, რომელსაც ბარგი მიჰქონდა. და ყველანი გრძნობდნენ, რომ დასვენება სჭირდებოდათ. როდესაც ციცაბო დაღმართს დაუყვნენ, ბილბოს ჩაესმა, როგორ მღეროდნენ ელფები ხეებს შორის, თითქოს მისი აქედან წასვლის მერე არც დაჩუმებულიყვნენ. როგორც კი მხედრებმა ტყის მდელობზე შეაბიჯეს, ელფებმა წამოიწყეს კისკასი სიმღერა, ძალიან რომ ჩამოჰგავდა იმას, ადრე რომ მღეროდნენ:

დრაკონი დაემხო,
იშლება ძვლები,
ჯავშანიც დაიმსხვრა,
დიდებაც ძველი.
ფარ-ხმალი დაჟანგდა,
გვირგვინი ცვდება
და ხალხის იმედიც
წყდება და ქრება.
ტყე კი კვლავ შრიალებს,
ბალახიც ნედლია.
წყალი გზას მიიკვლევს,
ელფებიც მღერიან:
ტრალალა, ტრალალე,
დაბრუნდით ტრამალზე!

ბრწყინავენ ვარსკვლავნი
ალმასზე მეტად,
აქ მთვარე სითეთრით
აჯობებს ვერცხლსაც;
ეს ცეცხლის ოქროა,
რომ ელავს ბუხარში,

თქვენ კი რად დაეძებთ
საგანძურს მიწაში?
ო, ტრალალი, ტრალალე,
დაბრუნდით ტრამალზე!

საითლა მიდიხართ,
გვიან რომ დაბრუნდით?
მდინარე მოღელავს,
გალობენ ვარსკვლავნი.
ო, ისე დაღლილად
გამოიყურებით,
გხვდებიან კეთილად
ელფი ქალწულები.
ტრალალე –
დაბრუნდით ტრამალზე,
ტრალალი – ტრალალა – ტრალალე!

შემდეგ ველვარდნილის ელფები გამოვიდნენ ტყიდან, მიესალმნენ მგზავრებს და წყლის გადალმა ელრონდის სახლისკენ გაუძღვნენ. აქ ისინი გულთბილად მიიღეს და იმ საღამოს მრავალიც გამოჩნდა ისეთი, ვისაც მათი თავგადასავლების ყურისგდება სწყუროდა. გენდალფი იჯდა და ყვებოდა, ხოლო მიყუჩებული ბილბო ტკბილად თვლემდა იქვე, მის გვერდით. მან იცოდა თითქმის ყველაფერი, რასაც გენდალფი ელფებს მოუთხრობდა, ბევრი რამ თავად უამბო ჯადოქარს უკანა გზაზე თუ ბეორნის სახლში. მაგრამ ჰობიტი დროდადრო მაინც ახელდა თვალებს და ყურს უგდებდა ჯადოქარს, როდესაც იგი მისთვის ჯერაც უცნობ ამბებს ყვებოდა.

მან გაიგონა გენდალფის საუბარი ელრონდთან და ამგვარად შეიტყო, თუ სად წასულიყო ჯადოქარი მას შემდეგ, რაც გნომებს და ბილბოს გამოეთხოვა ტყეებნელის პირას. როგორც აღმოჩნდა, იგი გაემართა თეთრ ჯადოქართა, ცოდნისა და კეთილი მაგიის ოსტატთა დიდ შეკრებაზე და მათ ბოლოსდაბოლოს შეძლეს, გაეძევებინათ ნეკრომანტი მისი ბნელი სამეფოდან, ტყეებნელის სამხრეთით რომ გადაშლილიყო.

– ახლა, დიდი დრო არ გავა და, ტყე ცოტათი მაინც გაჯანსაღდება, – ამბობდა გენდალფი, – იმედი მაქვს, ჩრდილოეთი მრავალი და მრავალი ხანგრძლივი წლით დააღწევს თავს შიშსა და საშინელებებს. მაგრამ ვისურვებდი, საერთოდ ამ სამყაროდან გაგვესახლებინა იგი.

– მართლაც რომ კარგი იქნებოდა, – გაეპასუხა ელრონდი, – მაგრამ

ვშიშობ, ეს არ მოხდება სამყაროს ამ ერაში და იქნებ, მრავალი მომდევნო საუკუნის მანძილზეც არ მოხერხდეს.

თხრობა მათი მოგზაურობის შესახებ გაასრულეს, მაგრამ მას სხვა ამბები მოჰყვა, და კიდევ სხვა ამბები, გარდასულ დროთა თუ ახალი დღეების ისტორიები, და საერთოდაც არა-დროის ამბები, სანამ ბილბოს თავი მკერდზე არ ჩამოუვარდა და ტკბილად არ ახვრინდა კუთხეში.

მას ქათქათა ლოგინში გამოელვიძა, ღია ფანჯარაში მთვარე ბრწყინავდა. მთვარის სხივებქვეშ, მდინარის ნაპირებზე ხმამაღლა მღეროდნენ ელფები წკრიალა სიმღერებს:

იმღერეთ ხალისით, იმღერეთ ერთად,
ქარი კენწეროებს და ღვიებს მორთავს,
ჰყვავიან ვარსკვლავნი, აყვავდა მთვარეც,
ო, რა ნათელია ფანჯრებში ღამე!

იცეკვეთ ხალისით, იცეკვეთ ყველამ,
რბილია ბალახი ბუმბულზე მეტად,
მდინარე ვერცხლია, ჩრდილები – სწრაფი,
მხიარულ მაისში ჩვენ შევხვდით რაკი!

ახლა ვილილინოთ, სიზმრები დავქსოვოთ,
სათუთად ვარწიოთ და მარტო დავტოვოთ,
მოგზაურს ჩასთვლიმა ფუმფულა ბალიშზე,
ნანინა, ნანინა ტირიფის ჩრდილის ქვეშ!

ო, ნაძვო, ნუ კვნესი დილის ქარებამდე!
შენც, მთვარევ, დაეშვი, დე, ქვეყნად დალამდეს,
ხეები დადუმდნენ და წყალიც გაჩერდა,
იყუჩეთ, ვიდრემდის აისი დადგება!

– მხიარულო ხალხო! – გადასძახა ბილბომ ფანჯარაში და გარეთ გადაიხედა, – მთვარის რომელი საათია ახლა? თქვენი იავნანა მთვრალ გობლინსაც კი გაუფრთხობს ძილს. და მაინც, მადლობა მომიხსენებია.

– შენი ხვრინვა კი ქვადქცეულ დრაკონსაც გამოალვიძებს – და მაინც, მადლობას მოგახსენებთ, – მიუგეს მას სიცილით, – უკვე ახლოა განთიადი, შენ კი გძინავს, რაც მოსალამოვდა. სახვალიოდ ალბათ დაქანცულობაც გაგივლის.

– ელრონდის სახლში მცირე ძილიც კი დიდი სარგებლის მომტანია, – უპა-

სუხა ბილბომ, – და მაინც, მე რაც შეიძლება მეტს ავიღებ ამ სარგებელს. კიდევ ერთხელ ღამე მშვიდობისა, ჩემო მშვენიერო მეგობრებო! – ამის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა თავის სანოლს და გვიან დილამდე იძინა.

ამ სახლში ბილბოს მართლაც მალე ჩამოსცილდა დაქანცულობა და ადრიან დილით თუ გვიან საღამოს გამართულ მრავალ მხიარულ მოლხენასა და ცეკვა-თამაშს დაესწრო ველის ელფებთან ერთად. მაგრამ ახლა ჰობიტს აქაურობაც კი ვერ გაართობდა დიდი ხნით, იგი მუდამ საკუთარ სახლზე ფიქრობდა. ამიტომ ერთი კვირის შემდეგ გამოემშვიდობა ელრონდს, მასპინძელს მცირე საჩუქრები უძღვნა, რის მიღებასაც იგი დაჰყაბულდებოდა, და გენდალფთან ერთად გზას გაუდგა.

როგორც კი ველს გასცდნენ, წინ, დასავლეთის მხარეს ცა გაშავდა და მათ შესახვედრად ქარი და წვიმა გამოექანა.

– რა სჯობს მაისის დღეებს! – წარმოთქვა ბილბომ, რომელსაც წვიმა სახეში სცემდა, – მაგრამ ახლა თავგადასავლებისათვის ზურგი შემიქცევია და შინაც მოვბრუნებულვარ. ამ წვიმას ალბათ მშობლიური მხარის პირველი სურნელი მოჰყვება.

– სახლამდე ჯერ კიდევ შორი გზაა, – შეეხმიანა გენდალფი.

– მაგრამ ეს ბოლო გზაა, – მიუგო ბილბომ.

ისინი მიადგნენ მდინარეს, რომელიც ველური მხარის კიდეს საზღვრავდა მეზობელი მინებისაგან, მიადგნენ ფონს ციცაბო ნაპირის ძირში, რომელიც ალბათ გახსოვთ. წყალი ზაფხულის მოახლოებით დამდნარ თოვლსა და მთელი დღის წვიმას მოედიდებინა, მაგრამ ცოტაოდენი შეფერხების შემდეგ მგზავრებმა მოახერხეს მისი გადალახვა და ჩამოწოლილ ბინდში მათი მოგზაურობის ბოლო მონაკვეთს შეუყვნენ.

გზა ისეთივე იყო, როგორიც ადრე, აქეთობისას. მხოლოდ მგზავრთა ჯგუფი გამხდარიყო უფრო მცირერიცხოვანი და ნაკლებად ხმაურიანი. თანაც ამჯერად გზად ტროლებს აღარ გადაჰყრიან. ბილბოს ყოველი ნაბიჯი გარდასული წლის შემთხვევებს და მაშინ წარმოთქმულ სიტყვებს ახსენებდა და ასე ეჩვენებოდა, ეს ყველაფერი, სულ ცოტა, ათი წლის წინ მაინც მოხდაო. მან უმალ იცნო ადგილი, სადაც პონი ჩაუვარდათ მდინარეში, იცნო ის ადგილიც, საიდანაც გზიდან გადაუხვიეს და ტომთან, ბერტთან და ბილისთან ფრიად უსიამო ფათერაკს გადაანწდნენ.

გზის შორიახლოს ჯერაც დამალული და ხელუხლებელი იპოვეს ტროლების ოქრო, თავად რომ დაფლეს.

– მე უკვე იმდენი მაქვს, რომ მთელი ჩემი დღე და მოსწრება მეყოფა, – თქვა ბილბომ, როდესაც განძი ამოთხარეს, – უკეთესი იქნება, თუკი შენ წაიღებ ამას, გენდალფ. მე მგონი, არ გაგიჭირდება, მოიფიქრო, რაში უკეთ დახარჯავ.

– რა თქმა უნდა, არ გამიჭირდება! – მიუგო ჯადოქარმა, – მაგრამ მაინც გაანაწილე და თანაც თანაბრად! ვინ იცის, იქნებ იმაზე მეტიც დაგჭირდეს, ვიდრე ახლა გგონია.

მაშინ მათ ჩაალაგეს ოქრო და ღვედებით მიაბეს პონებს, რომლებიც სულაც არ დარჩნენ ამით ნასიამოვნები. ამის შემდეგ ისინი უფრო ნელა მიიწევდნენ წინ, რადგანაც მეტწილად ქვეითად უწევდათ სიარული. მაგრამ გარემო მწვანობდა და ჰობიტი სიამოვნებით მიაბიჯებდა რბილ ბალახზე. დროდადრო იგი სახიდან ოფლს იწმენდდა წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით – არა ეს როდი იყო მისი საკუთარი მარაგიდან გადარჩენილი ერთადერთი ცალი მან ეს ცხვირსახოცი ელრონდისგან ითხოვა, რადგანაც ახლა ივნისი შემოსულიყო და ზაფხულის ნათელი, ცხელი დღეები იდგა.

რადგანაც ყოველივეს აქვს თავისი დასასრული, და მათ შორის ამ ამბავსაც მოვიდა დღე, როდესაც ისინი თვალსაწიერზე მიუახლოვდნენ სოფელს, სადაც ბილბო დაიბადა და გაიზარდა და სადაც ხეებისა თუ გორაკების სილუეტები საკუთარი ხელისგულივით კარგად ნაცნობი იყო მისთვის. აღმართი რომ აათავა, მან მოშორებით თავის გორას უწვდინა მზერა. მაშინ უეცრად შეჩერდა და წარმოთქვა:

გზა მიემართება სახლისკენ,
ხეების, ვარსკვლავთა ქვეშ,
ტბებს და იმ მღვიმეებს გამოსცდა,
სადაც არ ანათებს მზეც.

გზა მიდის თოვლების გადალმა,
ყვავილთა მხიარულ ტევრში,
ბალახზე და ქვებზე გადავა,
ლამაზად მიიკვლევს მთებში.

გზა მოემართება სახლისკენ,
მთვარე და ვარსკვლავნი ნათობენ,
ფეხები კი ისე დაღლილან,
საყვარელ სახლს ისე ნატრობენ!

ვინც ტანჯვა იგემა მრავალი
და ქვის დარბაზები იხილა,
მშობლიურ მთებს უცქერს დაღლილი
და სახლთან ახარებს შეხვედრა.

გენდალფი დააცქერდა ჰობიტს.

– ჩემო ძვირფასო ბილბო! – თქვა მან, – რაღაც დაგემართა! შენ აღარა ხარ ის ჰობიტი, ადრე რომ იყავი.

მათ გადაიარეს ხიდი, გასცდნენ ნისქვილს მდინარის პირას და კიდევაც მიადგნენ ბილბოს სახლის კარს.

– ღმერთო ჩემო! რა ხდება? – წამოიძახა ბილბომ. იქ დიდი აურზაური იდგა და ყველანაირი ხალხი, დარბაისელი თუ არც თუ ისე დარბაისელი, ერთად მოეყარულიყო კარის გარშემო. მრავალი შედი-გამოდიოდა კიდევაც სახლში, ისე, რომ ფეხსაც კი არ იწმენდდნენ კარის წინ დაგებულ ფეხსაწმენდზე, რაც ჰობიტმა დანანებით შენიშნა.

ბილბო ხომ გაოცდა და გაოცდა სახლთან ატეხილი ალიაქოთით, მაგრამ მასზე მეტადაც გაოცდნენ დამხვდურები. იგი ხომ გაჩაღებულ აუქციონზე გამოცხადდა! ჭიშკარზე დიდი შავ-წითელი განცხადება ეკიდა და იუწყებოდა, რომ ოცდაორ ივნისს ბატონებ გრაბის, გრაბის და ბაროუზის მიერ აუქციონზე გაიყიდებოდა მთელი ქონება განსვენებული ესკვაირ ბილბო ბეგინსისა, მცხოვრების ჰობიტეთში, გორას ქვეშ, ბეგ-ენდში. ხოლო დაიწყებოდა გაყიდვა ზუსტად ათ საათზე. ახლა თითქმის მეორე საუზმის დროც მოწეულიყო და ბილბოს ნივთების უმრავლესობა კიდევაც გაეყიდათ სხვადასხვა ფასად, უმეტესწილად ჩალის ფასად და თითქმის სულ მუქთადაც გაესაღებინათ, რაც არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე აუქციონებზე. ბილბოს ბიძაშვილი სეკვილ-ბეგინსები უკვე საქმიანად ზომავდნენ მის ოთახებს, რათა ენახათ, მოხერხებულად დალაგდებოდა თუ არა მათი საკუთარი ავეჯი ახალ ბინაში: ერთი სიტყვით, ბილბო „მიცვალებულად შერაცხილი" გახლდათ და ყველა როდი გაახარა იმის გაგებამ, ხსენებული შერაცხვა არასწორი ყოფილაო.

მისტერ ბილბო ბეგინსის დაბრუნებას მართლაც რომ დიდი ალიაქოთი მოჰყვა გორას ქვეშ თუ გორას იქით თუ წყალგაღმა. მის ამბავს არ ეწერა იოლად გადავინყება იმ ამბავთა მსგავსად, ადრე რომ აფორიაქებდა ხოლმე მეზობლებს – ჩოჩქოლმა და მითქმა-მოთქმამ წლები და წლები გასტანა. კარგა ხანი გავიდა მანამდეც, სანამ მისტერ ბეგინსს კვლავ ცოცხლად აღიარებდნენ. განსაკუთრებით ძნელი გახდა მათი გადაჯერება, ვისაც სხვებზე უკეთ ეცოდინა აუქციონზე და ფრიად სარფიანი გარიგებებიც მოეხდინა. ბოლოსდაბოლოს, დრო რომ მოეგო, ბილბომ უკან გამოისყიდა საკუთარი ავეჯის დიდი ნილი. მისი ვერცხლის კოვზებიდან ძალიან ბევრი გამოუცნობი გზით გაუჩინარდა და აღარასოდეს გამოჩენილა. ბილბო ეჭვობდა, რომ ამ საქმეში სეკვილ-ბეგინსების ხელი ერია. მათ, თავის მხრივ, არაფრით არ აღიარეს, რომ ბილბოს დაბრუნება კანონიერი და უტყუარი იყო და შემდეგაც აღარასოდეს აღუდგენიათ მასთან ნათესაური თუ მეგობრული ურთიერთობანი – მათ



ბეგ-ენდის დარბაზი, მისტერ ბ.ბეგინსის საცხოვრისი

მართლაც ძალიან სურდათ მისტერ ბეგინსის მშვენიერ ჰობიტის სოროში ცხოვრება!

მაგრამ, როგორც ბილბომ მერე და მერე აღმოაჩინა, მხოლოდ კოჭზები როდი დაჰკარგვოდა! მათ უიმედოდ მიჰყოლოდა მისი კეთილი სახელიც. იგი სამუდამოდ დარჩა ელფთა მეგობრად და დიდ პატივს სცემდნენ გნომები, ჯადოქრები და სხვა ამგვარი ჯურის ხალხი, ვინც კი ოდესმე ჩაივლიდა იქეთურ გზებზე. მაგრამ ბილბომ ველარ მოიხვეჭა მეზობელთა ოდინდელი პატივისცემა. მართალი თუ გნებავთ, მთელ იმ არემარეში მცხოვრები მეზობლობა მას „უცნაურ ვინმედ" მიიჩნევდა – გარდა მისი პატარა ბიძაშვილებისა ტუკების გვარიდან, მაგრამ მშობლები და უფროსები დიდად მათაც კი არ ანებებდნენ ბილბოსთან მეგობრობას.

სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ბილბო ყოველივე ამას აინუნშიაც არ აგდებდა. იგი ძალიანაც კმაყოფილი იყო ცხოვრებით და კერიაზე ადუღებული ქეთლის სტვენა ახლა კიდევ უფრო საამო მოსასმენიც ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე მისი მშვიდი და ალუშფოთველი ყოფისას იმ დაუვიწყარ მოულოდნელ სტუმრობამდე. თავისი მახვილი ბილბომ ბუხრის თავზე დაკიდა, აბჯარი კი ლამაზად მიამაგრა ჰოლის კედელზე (მანამდე, სანამ მუზეუმს ათხოვებდა). ოქრო-ვერცხლის დიდი ნაწილი დახარჯა საჩუქრებში, საჭირო თუ ქარაფშუტულ საჩუქრებში და ვერ ვიტყვით, რომ სწორედ ამის გამო უფრო მეტადაც არ უყვარდათ იგი ბიძაშვილიშვილებს. ჯადოსნური ბეჭდის შესახებ კი არავის არაფერს უამბობდა, ფარულად ინახავდა და არასასიამოვნო სტუმრების მოსვლისას ხმარობდა ხოლმე.

იგი ლექსების წერას და ელფებთან სტუმრად სიარულს დაეჩვია. და თუმც მრავალი სინანულით იქნევდა თავს და შუბლში ნაშენით ამბობდა, „საბრალო ბილბო ბეგინსიო", და თუმც ცოტას თუ სჯეროდა მისი მონათხრობი ამბები, იგი უჩვეულოდ ბედნიერი დარჩა თავისი საოცრად ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე.

რამოდენიმე წლის შემდეგ, შემოდგომის ერთ საღამოს, ბილბო თავის კაბინეტში იჯდა და მოგონებებს წერდა – იგი აპირებდა, წიგნისთვის ეწოდებინა „იქით და აქეთ, ანუ ჰობიტის არდადეგები" – როდესაც კარზე ჩამორეკეს. მოსულიყო გენდალფი გნომთან ერთად და ეს გნომი ნამდვილად ბალინი იყო.

– შემოდით! შემოდით! – აღფრთოვანდა ბილბო და სტუმრები ცეცხლის პირას დააბრძანა. ბალინმა შეამჩნია, რომ ბილბოს ჟილეტი ახლა კიდევ უფრო გაგანივრებულიყო და ნამდვილი ოქროს ღილებით იბნეოდა, ხოლო ბილბოს არ გამოჰპარვია ბალინის რამოდენიმე დუიმით დაგრძელებული წვერი და საუცხოოდ ნაჭედი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სარტყელი.

მათ, რასაკვირველია, მოიგონეს დრო, როდესაც ერთად იყვნენ და ბილბომ იკითხა, მთის გარშემო ქვეყნებში ახლა რაღა ხდებაო. აღმოჩნდა, რომ იქ ცხოვრება ყვაოდა, ბარდმა აღადგინა ქალაქი დეილის ველზე და მის ქალაქში კვლავ შეგროვდნენ ადამიანები ტბიდან თუ სამხრეთსა და დასავლეთიდან. ველი ისევ აყვავდა და გაიფურჩქნა, ახლა სმაუგის ნაოხარი გაზაფხულზე ჩიტებითა და ყვავილებით იყო სავსე, ხოლო შემოდგომაზე – ხილითა და ლხინით. აღორძინდა ტბის ქალაქიც და უფრო დალხინებული შეიქნა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მდინარე ჩქერულას ნაკადს აღმა თუ დაღმა აურაცხელი განძი და საქონელი მიუყვებოდა და მეგობრობა სუფევდა კაცთა და გნომთა შორის იმ მხარეში.

ძველმა მმართველმა ავად გაასრულა დღენი. ბარდმა მას ბევრი ოქრო გადასცა ტბის მცხოვრებთა დასახმარებლად, მაგრამ მმართველი ერთი მათგანი იყო, ვისაც იოლად სძლევს ხოლმე სიხარბის სენი. სმაუგის ნაპატრონებმა განძმა მას დრაკონის ავადმყოფობა შეპყარა, გაიტაცა ოქროს დიდი ნაწილი და გაიქცა, შემდეგ კი, ამხანაგთაგან მიტოვებული, შიმშილით მოკვდა უდაბურ ადგილებში.

– ახალი მმართველი უფრო ჭკვიანია, – ყვებოდა ბალინი, – და ხალხსაც უფრო მეტად უყვარს, რადგანაც ოქროს დიდი ნილი ახლანდელ კეთილდღეობას დაახარჯა. ხალხი თხზავს სიმღერებს, რომლებიც იუწყებიან, რომ მისი მმართველობის დღეებში მდინარე ოქროდ მოედინება.

– მაშ, ძველ სიმღერათა წინასწარმეტყველება მაინც ამხდარა! – თქვა ბილბომ.

– ცხადია! – მიუგო გენდალფმა, – და რატომ გეგონა, რომ ისინი მართალს არ გვიქადდნენ? რატომ არ უნდა ირწმუნო წინასწარმეტყველება მხოლოდ იმის გამო, რომ შენ თავად გამოგილია ხელი მის ასახდენად? ხომ არ გგონია, რომ ყველა ფათერაკს ასე იოლად მხოლოდ საკუთარი ბედნიერი ილბალის წყალობით დაუძვერი, მხოლოდ შენი საკუთარი თავის სარგოდ? შენ გადასარევი ვინმე ხარ, მისტერ ბეგინს, და მე ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მხოლოდ ერთი პატარა ჰობიტი ხარ ამ ვრცელ ქვეყანაში!

– მადლობა ღმერთს! – უპასუხა ბილბომ სიცილით და სათუთუნე გაუწოდა.




ვეფხვი მხარე